თბილისი, „ხელოვნება", 1992

86.3
ბ 543

ზიმდგინლიბი: ბილა ბროშვილი
ზურაბ ბროშვილი

წიგნი გამოიცა შემდეგნაირად

4702017200
ბ ——————— — ბრძ. — 92
8(605) (6)—92
© ბ. ბროშვილი, ზ. ბროშვილი, 1992

„არცა ვის ხელეწიფების მეფესა ბინა ფლვდელთ-მოძღუარსა ახლისა რაჲსამე შჯულისა სარწმუნოებასა შინა შემოღებად, არამედ რაჲ იგი პირველითგან წმიდათა მოციქულთა დაუწესეს და წმიდათა კრებათა დაამტკიცეს, ითტაჲ ერთი ანუ ერთი ბიწვი არა შეიცვალების; ხოლო იკადროს თუ ვინმე შეცვალებად, ანუ შემატებად, ანუ დაკლებად, ესე ვითარსა მას კათოლიკე ეკლესიაჲ შეაჩუენებს“.

(წმ. მაქსიმე აღმსარებელი)

ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის

(გაგრძელება)

თავი XXXIV

მასზედ, თუ როგორ უნდა ვიმსჯელოთ წარმოსახვით შექმნილი აჩრდილების (მოჩვენებების) შესახებ.

აქედან გამომდინარე, ეს გარღაქცეულება უნდა გამოსწორდეს, რადგანაც თუკი ადამიანი თავ-თავის ადგილს არ მიუჩენს გონებისა და სხეულებრივი თვალების მოქმედებას, მაშინ იგი ვერ შეიქნება ღირსი ცათა სასუფეველის დამკვიდრებისა. მაშ, ნუ ვეძიებთ ხოლმე უზენაესს — უდაბლესში, და ნუ მივეკრობით უდაბლესს. იმგვარად ვიმსჯელოთ მასზე, რომ მასთან ერთად ჩვენც არ განვისაჯნეთ, ანუ მხოლოდ ის მივაკუთვნოთ მას, რასაც იმსახურებს გარეგანი სახე, რათა უპირველესის ძიებით უკანასკნელში — თვით ჩვენ არ შევიქნეთ პირველთაგან უკანასკნელნი. უკანასკნელთ (საგნებს) არაფერი არ ვნებს, ჩვენ კი ძალზე ბევრი რამ გვვნებს. მაგრამ ამით საღმრთო განგებულების მოქმედება ნაკლებ მწყობრი და ნაკლებ სამართლიანი როდი ხდება, რამეთუ უსამართლონიც კი მის მიერ სამართლიანად წარიმართებიან, უსახურნი კი — სახიერად და მშვენივრად. თუმცა კი ხილულ საგანთა სიმშვენიერე მოგვატყუებს ხოლმე ჩვენ, რადგანაც ერთიანობითაა გაძლიერებული, გარნა სრულყოფილად როდი გამოხატავს ამ ერთიანობას, მაგრამ ჩვენ მაინც გულისხმა-ვყოფთ, თუკი შევიძლებთ, რომ იმით კი არ მოვტყუვდებით ხოლმე, რაც არსებობს, არამედ იმით, რაც არ არსებობს. ყოველი სხეული — უეჭველად ჭეშმარიტად არსებული სხეულია, ხოლო მომატყუებელია მასში — ერთიანობა, რამეთუ ყოველი სხეული სრულყოფილად ერთიანი როდია, ანდა იმ ზომით როდია

შესაფერი იმისათვის, რომ საკუთარი ბოროტებით გამოხატავდეს ამ ერთიანობას, — და მაინც, იგი სხეულიც არ იქნებოდა, ამა თუ იმ ზომით ერთიანი რომ არ იყოს. მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ მას არანაირი ზომით არ შეეძლებოდა ერთიანი ყოფილიყო, **იმისგან** რომ არ ჰქონოდა მონიჭებული (ეს ერთიანობა), **ვინც** არის კიდეც უზენაესი ერთიანობა, ანუ თავისი შემოქმედისაგან რომ არ მიეღო ერთიანობა.

ჰოი, ჯიუტო სულებო![1] თუნდაც ერთი კაცი მანახეთ თქვენგან ისეთი, რომლის გონებრივი ხედვაც თავისუფალი იქნებოდა ხორციელ აჩრდილთა წარმოსახვისაგან! ისეთი კაცი, ვინც გულისხმა-ჰყოფდა, რომ არ არსებობს სხვა დასაბამი ყოველივე ერთიანობისათვის, თვინიერ იმ ერთისა, **რომლისაგანაც** მომდინარეობს ყოველივე ერთიანი — როგორც სრულყოფილად გამომხატველი **მისი**, ასევე ნაწილობრივად გამომხატველიც! ისეთი კაცი, ვინც კამათს კი არ დაგვიწყებდა ამის გამო და იმას კი არ ეცდებოდა, რომ გულისხმის-მყოფელად მოეჩვენებინა ჩვენთვის თავი, არამედ ნამდვილად გაიგებდა ყოველივე ამას! ვინც წინაღუდგებოდა ხორციელ გრძნობებს და მათგან მიყენებულ ჭრილობებსაც თავისი სულისა უწამლებდა! ვინც შეეწინააღმდეგებოდა ადამიანურ ჩვეულებებსა და მათგან მიღებულ შექებას; ვინც თავის სარეცელზე დაიტანჯებოდა სინდისის ქენჯნით და ამგვარად განიახლებდა საკუთარ სულს! ვინც არ იქნებოდა გულფიცხელი, არ ეყვარებოდა გარეგანი ამაოება, არ დაიწყებდა სიცრუის ძიებას და გულისხმა-ჰყოფდა, „რამეთუ სიკვირველ-ჰყო უფალმან წმიდაჲ თვისი“ (ფსალმ. 4, 3—4)! და ბოლოს, მიჩვენეთ თუნდაც ერთი კაცი თქვენგან ისეთი, რომელსაც შეეძლებოდა ამგვარად ეთქვა საკუთარი თავისათვის: „თუკი რომი ერთია, დაფუძნებული, როგორც გადმოგვცემენ, ვინმე რომულუსის მიერ, მაშინ ის რომი, რომელსაც მე გონებით წარმოვიდგენ, ცრუ ყოფილა, რადგან სწორედ ის არ არის, რაც რომულუსს დაუარსებიაო; და მასში მე სულიერადაც არ ვიმყოფები, რამეთუ რომ ვიმყოფებოდე, მაშინ ყველაფერი

[1] ამ შემთხვევაშიც ნეტარი ავგუსტინე მანიქეველ მწვალებლებს გულისხმობს, რომლებიც ასეთ აჩრდილებსა თუ მოჩვენებებს ეყვნენ დამონებული.

მეცოდინებოდა, რაც მასში ხდებაო. კვალად, თუკი მზეც ერთია, მაშინ ის, რომელსაც მე გონებით წარმოვიდგენ, ცრუ ყოფილა, რადგან მზე თავის მსვლელობას განსაზღვრულ სივრცესა და განსაზღვრულსავე დროს აღასრულებს, ამ მზეს კი, ჩემს მიერ გონებით წარმოდგენილს, მე სადაც მოვისურვებ და როდესაც მოვისურვებ, იქ დავადგენო. ასევე, თუკი ჩემი რომელიმე მეგობარი ერთია, მაშინ ის, რომელსაც მე გონებით წარმოვიდგენ, ცრუ, მოჩვენებითი ყოფილა, იმიტომ, რომ თუ სად იმყოფება იგი; — მე არ ვიცი, ამას კი, ჩემს მიერ წარმოდგენილს გონებით, მე იქ მოვათავსებ, სადაც მოვისურვებო. თვით მეც, რა თქმა უნდა, ერთი ვარ, და ვგრძნობ, რომ ჩემი სხეული სწორედ აქ, ამ ადგილას იმყოფება, მაგრამ წარმოსახვით მივდივარ კიდეც, სადაც მინდა, და ვსაუბრობ კიდეც იმასთან, ვისთანაც მომესურვება; ყოველივე ეს ცრუა, მაგრამ არავინ არ მიიჩნევს ამას ცრუდ. არც მე არ მივიჩნევ ამას ცრუდ, როცა ვეკვრეტ ხოლმე რაიმე ამდაგვარს, და მჯერა მისი სინამდვილისა იმის საფუძველზე, რომ გონებით ჭვრეტილი რამ ჭეშმარიტი უნდა იყოს-მეთქი. რამეთუ ნუთუ ყოველივე ეს ის არის, რაც, ჩვეულებრივ, აჩრდილად, მოჩვენებად იწოდება?! მაშ, საიდანღაა ჩემი სული ოცნებებით აღსავსე?! სად არის ის ჭეშმარიტება, გონებით რომ იხილვება და შეიმეცნებაო?!" ესევითარს, ვინც ამგვარად ეტყოდა საკუთარ თავს, შეიძლება შემდეგი მივუგოთ: „ჭეშმარიტია ის ნათელი, რომლის დახმარებითაც შენ შეიცნობ, რომ ეს ყოველივე ჭეშმარიტი, ნამდვილად არსებული რამ არ არის. სწორედ ამ ნათელის საშუალებით ჭვრეტ შენ იმ ერთიანს, რომლის შეწევნითაც ყველაფერს სხვას, რასაც კი ხედავ, შენ ერთიანად მიიჩნევ, ამასთან ყოველივე ეს, რასაც შენ ცვალებადს ხედავ, არ არის თვით ეს (უზენაესი) ერთიანობა".

ღმერთი რომ შევიმეცნოთ, — ამისთვის საჭიროა არაფერს არ ვიყოთ მიჯაჭვული (არაფერს არ ვემონებოდეთ).

მაგრამ თუკი თქვენი მზერა ძრწის ამ სახილველის წინაშე, მაშინ დამშვიდდით, ნურაფერს ნუ დაუწყებთ ბრძოლას, გარდა სხეულებრივი ჩვეულებებისა; ჯერ მათ სძლიეთ, და ამის შემდეგ სხვა ყოველივეზეც გაიმარჯვებთ. ჩვენ ვეძიებთ იმ ერთიანს, ვ ი ს ზ ე ც უფრო მარტივი — სხვა არაფერია. მაშ, ვეძიოთ ი გ ი ჩვენი გულის სიწრფოებით (სიმარტივით), რადგან თვით ი გ ი გვეუბნება: „მოიცალეთ და გულისხმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“-ო (ფსალმ. 45, 11); უნდა მოვიცალოთ არა ჩვენი უმოქმედობის გზით, არამედ აზრის, გონების მოქმედებით, რათა იგი თავისუფალი იყოს დროისა თუ ადგილის პირობებისაგან, რამეთუ ამპარტავნებისა და თავქარიანობის ყველა ეს აჩრდილი თუ მოჩვენება ნებას არ გვაძლევენ მარადიულ ერთიანობას ვეჭვრეტდეთ. სივრცე წინადაგვიდებს საგნებს იმისთვის, რომ გვიყვარდეს ისინი, დრო განაქარვებს მათ და მხოლოდ აჩრდილთა სიმრავლეს გვიტოვებს, რომლებიც ჩვენში ჰბადებენ ხოლმე სურვილს ხან ერთისა, ხანაც მეორისა, და ამის გამო ჩვენი სული მოსვენებას ჰკარგავს და მწუხარე შეიქნება, რაკი ამაოდ ცდილობს იპყრას ის, რაც მისი სიყვარულის საგანს შეადგენს. ამიტომაც (ღმერთი) მას მოცალეობისაკენ, სიმშვიდისაკენ მოუწოდებს, ანუ იმისკენ მოუწოდებს, რომ სულს ჩვენსას არ უყვარდეს ამგვარი საგნები, რომელთა სიყვარულიც შეუძლებელია მწუხარების გარეშე. ამ შემთხვევაში, თუკი არ გვეყვარება ამგვარი საგნები, სული ჩვენი გაბატონებული იქნება ჩვენზე, და ეს საგნები კი არ იხელმწიფებენ მასზე, არამედ სულს ეყოლება ისინი დაქვემდებარებული. „უღელი ჩემი ,— გვეუბნება უფალი. — სუბუქ არს“ (მათე 11, 30). ვინც ქედს მიუპყრობს ამ უღელს, იმას სხვა ყოველივე დაემორჩილება. და იგი თავისუფალი იქნება, მაშასადამე, შრომათა და საზრუნავთაგან (ამაქვეყნისა), რამეთუ მოწინააღმდეგეა იმისა, რაც მას ემორჩილება. მაგრამ საწყალობელ მეგობრებს ამა ქვეყნისა, რომ-

ლის ბატონ-პატრონნიც ისინი იქნებოდნენ, თუკი ღმერთის ძეებად ყოფნას ისურვებდნენ, რადგან ღმერთმა „მოსცა მათ ხელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად“ (იოანე 1, 12), — მეგობრებს-მეთქი ამა ქვეყნისა იმზომამდე ეშინიათ განშორება ამა ქვეყნის სიყვარულისაგან, რომ მათთვის ყველაზე სამძიმოა — მოცალენი იყვნენ, ანუ ამაო საზრუნავით აღსავსენი მარადის ხორციელი კეთილდღეობისათვის არ შრომობდნენ.

თ ა ვ ი XXXVI

ღმრთის სიტყვა — თვით ჭეშმარიტებაა, რადგან ის სავსებით გამოხატავს იმ დ ა ს ა ბ ა მ ს, რომლისაგანაც მომდინარეობს ყოველივე ერთიანი. სიცრუე საგანთაგან კი არ წარმოსდგება, არამედ ცოდვათაგან.

მაგრამ ვისთვისაც ნათელია ის მაინც, რომ არსებობს სიცრუე, რომლის შედეგადაც არსებულად მიიჩნევენ არარსებულს, — მისთვის ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ არსებობს ჭეშმარიტებაც, რომელიც იმას გვიჩვენებს, რაც არსებობს, ხოლო თუკი სხეულები იმდენად ზოგვატყუებენ ჩვენ, რამდენადაც არასრულყოფილად გამოხატავენ იმ ერთიანს, რომლის მიბაძვასაც ესწრაფვიან, მაშინ ყოველივეს, რაც კი ერთიანი მომდინარეობს ამ დ ა ს ა ბ ა მ ი ს გ ა ნ და მ ა ს თ ა ნ მსგავსებას ესწრაფვის, ჩვენ ბუნებრივად ვიწონებთ, ყველაფერ იმას, რაც განეშორება ერთიანობას და მ ა ს თ ა ნ უმსგავსოებას ესწრაფვის. აქედან გვეძლევა გულისხმის-ყოფა იმისა, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რაც ერთიანია ერთი დასაბამისა, და თვითონაც ერთადერთია, რომლისაგან მომდინარეობს კიდეც ყოველივე, რაც კი ერთიანია ამა თუ ამ მიმართებით; ეს რაღაც იმზომამდე მსგავსია ერთიანი დ ა ს ა ბ ა მ ი ს ა, რომ სრულყოფილად გამოხატავს მ ა ს და ი გ ი ვ ე ა მ ი ს ი; ეს არის სწორედ — ჭეშმარიტებაც, ს ი ტ ყ ვ ა ც (არსებული) დასაბამად, და ს ი ტ ყ ვ ა — ღმერთი — ღმრთისა თანა. რამეთუ თუკი მომატყუებლობა იმისგან აღმოცენდება, რაც ერთიანს ჰბაძავს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჰბაძავს მას, არამედ იმის გამო, რომ არ ძალუძს სრულყოფილად

გამოხატოს იგი, ამიტომ ეს ჭეშმარიტება ისეთი რამაა, რასაც შეუძლია სრულყოფილად გამოხატოს ერთიანი და იგივე იყოს ერთიანისა; მაშასადამე, ეს ჭეშმარიტება ისე გვიჩვენებს მ ა ს, როგორიც ის არის, და ამიტომ სავსებით სამართლიანად იწოდება კიდეც მ ი ს ს ი ტ ყ ვ ა დ და ჭეშმარიტ ნათლად (იოანე 1, 9). ყოველივე სხვა ამ ერთიანის მსგავსად მხოლოდ იმდენად შეიძლება იწოდოს, რამდენადაც არსებობს, რამეთუ რამდენადაც არსებობს, იმდენად ჭეშმარიტიცაა. ხოლო ეს ჭეშმარიტება თავისი თავით წარმოადგენს მ ი ს (ღმერთის) მგავსებას, რის გამოც არის და იწოდება კიდეც ჭეშმარიტებად. რამეთუ როგორადაც ჭეშმარიტებისაგან ყოველივე ჭეშმარიტი მომდინარეობს, ამგვარადვე მსგავსებისაგანაც ყოველივე მსგავსი წარმოსდგება. აქედან გამომდინარე, როგორც ჭეშმარიტება არის ხატი ჭეშმარიტებისა, ასევე მსგავსებაც — მსგავსის ხატია. ამიტომ, რადგან ჭეშმარიტი იმდენადაა ჭეშმარიტი, რამდენადაც არსებობს, ხოლო არსებობს კი იმდენად, რამდენადაც მსგავსია პირველერთიანისა, — ამიტომ ყოველივე არსებულის ხატს წარმოადგენს უზენაესი მსგავსება დ ა ს ა ბ ა მ ი ს ა; ი გ ი ვ ე არის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ც, იმიტომ, რომ არაფერი არა აქვს ისეთი, რაც მ ი ს ი მსგავსი და იგივე არ იქნება.

მაშასადამე, სიცრუე მომატყუებელ საგანთაგან როდი მომდინარეობს, რადგან ისინი სხვას არაფერს არ წარმოუდგენენ აღმქმელს, გარდა თავიანთი გარეგანი სახისა, რომელიც თავიანთი სიმშვენიერის ხარისხის კვალობაზე მიუღიათ; ასევე არც მომატყუებელ გრძნობათაგან მომდინარეობს სიცრუე, — ისინი აღიძვრიან შესაბამისად თავიანთი სხეულისა, და ადამიანის სულს, თავიანთ წინამძღვარს, მხოლოდ თავიანთ აღძვრათ წარმოუდგენენ. ხოლო მოგვატყუებენ და შეგვაცდენენ ჩვენ ცოდვები, როცა სული ჭეშმარიტს ეძიებს და ამავე დროს უგულებელუყვია ჭეშმარიტება. რამეთუ შეჰყვარებია რა ქმნილება შემოქმედზე და შემოქმედებაზე მეტად, ასეთი სული იმგვარი შეცთომილებით ისჯება, რომ ქმნილებებში ეძიებს შემოქმედსა და შემოქმედებას, და რაკი ვერ პოულობს მ ა ს, ამიტომ ფიქრობს, რომ სწორედ თვით

ქმნილებანი არიან შემოქმედი და შემოქმედება (რამეთუ ღმერთი არათუ არ ექვემდებარება სხეულებრივ გრძნობებს, არამედ გონებაზეც ყოვლად აღმატებულია).

თავი XXXVII

მასზედ, რომ მრავალსახოვანი კერპთთაყვანისმცემლობის უკეთურება ქმნილების სიყვარულისაგან აღმოცენდა.

აქედან მომდინარეობს ყოველგვარი უკეთურება არამხოლოდ შემცოდე ადამიანებისა, არამედ იმათიც, რომელნიც განსჯილნი იქნენ თავიანთი ცოდვებისათვის; რამეთუ ღმერთის მცნებათა საწინააღმდეგოდ, მათ არამხოლოდ ისა სურთ, რომ ბუნება შეიმეცნონ და მისით უფრო მეტად დატკბნენ, ვიდრე სჯულით და ჭეშმარიტებით, — სწორედ ამაში მეღავნდება პირველი ადამიანის ცოდვა, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისუფალი ნება, — არამედ ისიც სურთ, რომ არათუ უყვარდეთ ქმნილება, არამედ შემოქმედზე მეტად სწორედ მას მსახურებდნენ (რომ. 1, 25); და ეთაყვანებიან კიდეც ქმნილებას წაწილ-წაწილ, — დაწყებული უმაღლესი ქმნილებით, და დამთავრებული უდაბლესით. ამით ისინი კიდეც უფრო ამძაფრებენ თავიანთ უკეთურებას. ზოგნი კი იმ გზას ადგიან, რომ უზეწაესი დმერთის საწაცვლოდ თაყვანს სცემენ სულს, პირველ გონიერ ქმნილებას, რომელიც მამამ ჭეშმარიტების პირ შეპქმნა, რათა მარადის ეგვრიტა თვით ჭეშმარიტება, მისით კი — საკუთარი თავიც, რადგან ჭეშმარიტება ყოველივეთი მისი მსგავსია. შემდეგ ესენი (ანუ სულის თაყვანისმცემელნი) გადადიან წარმომშობ სიცოცხლეზე, ანუ ქმნილებაზე, რომლის საშუალებითაც საუკუნო და უცვალებელი დმერთი ადმოაცენებს ხილულ და დროისმიერ წარმოწაშობთ; აქედან ისინი დამდაბლდებიან ცხოველთა თაყვანისცემამდე, შემდეგ კი — სხეულთა თაყვანისცემამდეც, აღირჩევენ ხოლმე რა ყველაზე მშვენიერთ, რომელთაგანაც პირველი ადგილი ზეციურ სხეულებს უკავიათ, ამათგან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იბყრობს მზე, და მრავალნი კერპთთაყვანისმცემელთაგან სწორედ მასზე ჩერ-

დებიან. სხვანი კი რელიგიური თაყვანისცემის ღირსად მთვარის ელვარებასაც მიიჩნევენ, რადგანაც იგი, როგორც ამტკიცებენ, სხვა ზეციურ სხეულებზე უფრო ახლოსაა ჩვენთან, რის გამოც, მათი ვარაუდით, ყველაზე მეტად ჩამოჰგავს დედამიწას. სხვანი კიდევ სხვა ზეციურ სხეულებსაც დაურთავენ, და საერთოდ, მთელს ზეცასაც ვარსკვლავებითურთ თაყვანისცემის ღირსად მიიჩნევენ. მესამენი ეთერულ ზეცას ჰაეროვან სივრცესაც უმატებენ, და ამ ორ უმაღლეს სხეულებრივ ელემენტს უქვემდებარებენ თავიანთ სულებს. მაგრამ ყველა ამათ შორის ყველაზე რელიგიურ ადამიანებად თავს ისინი მიიჩნევენ, რომელნიც მთელს ქმნილებას მის ერთობლიობაში, ანუ მთელს სამყაროს ყოველივეთურთ, რაც კი არის მასში, და მის სიცოცხლესაც, განმასულიერებელს და ცხოველმყოფელს, რომელსაც ზოგნი სხეულებრივ სიცოცხლედ მიიჩნევენ, სხვანი კი — უსხეულო სიცოცხლედ, — აი, ყოველივე ამას, ერთად აღებულს, აღიარებენ ერთ დიად ღმერთად, რომლის ნაწილებსაც წარმოადგენენ კიდეც სხვა საგნებიო. მათ არ უწყიან ჭეშმარიტი შემომქმედი და განმგებელი სამყაროისა. ამიტომაც მიისწრაფვიან კიდეც კერპებისაკენ, ანუ ღმერთის ქმნილებათაგან — თავიანთ ხელთა ნაქნარისაკენ ისწრაფვიან, რისი მოწმენიც ჩვენ დღესამომდე ვართ.

თავი XXXVIII

ახალი სახეობისათვის კერპთმსახურებისა, რომლითაც — ცოდვილი სამგვარ გულისთქმას ეჰსახურება; მასზედ, რომ სანამ ცოცხალნი ვართ, ჩვენ შეგვიძლია მანკიერებათა ძლევა; უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ გვიჩვენა, რომ უნდა ეეკრძალვოდეთ სამშაგ საცთურს.

არსებობს სხვაგვარი, გაცილებით უარესი და მდაბალი სახე კერპთთაყვანისმცემლობისა, როცა ეთაყვანებიან საკუთარ აჩრდილებს, და რელიგიური მოწიწებით მოსავენ ყველაფერს, რასაც კი გამოიგონებს გზადაბნეული სული ამპარტავნებისა თუ ქედმაღლობის ზეგავლენით; დაბოლოს ესევითარნი იქამდე მიდიან, რომ ამტკიცებენ — უკლებლივ არაფრის თაყვანის-

ცემა არ არის ჯეროვანიო, და რომ ის ადამიანები, რომლებიც ცრუ-რწმენათა წყვდიადში არიან ჩაფლული და ამ ძვირფასულ მონობას მისცემიან, შეცთომილნი არიანო. მაგრამ ამაოდ ფიქრობენ ისინი ამგვარად: ისინი ვერ შეძლებენ ადამიანთა მიყვანას იქამდე, რომ ისინი მონები აღარ იყვნენ, რადგან მათში, სხვაზე რომ არა ვთქვათ რა, მანკიერებანი მაინც დარჩება, რომლებსაც ისინი იმზომამდე არიან მიკრულნი, რომ თაყვანისცემის ღირსადაც კი მიიჩნევენ. და მართლაც ისინი მონურად ემსახურებიან სამგვარ გულისთქმას — გულისთქმას ხორცისა, გულისთქმას ამპარტავნებისა და გულისთქმას თვალთ (I იოანე 2, 16). მე ვფიქრობ, ამ ადამიანთა რიცხვში, რომელთა აზრითაც არაფრის თაყვანისცემა არ არის საჭირო, აღმოჩნდებიან ხოლმე ისინი, რომელნიც ან ხორციელ სიამტკბილობას მისცემიან, ან მონურად უხრიან ქედს ცუდმედიდობასა და ცარიელ სიძლიერეს, ანდა გონება დაჭკარგვიათ რაიმე სახილველით გატაცების გამო. თავიანთი უცნობლობისა გამო ადამიანებს ხომ იმზომამდე შეჰყვარებიათ ყოველივე დროებითი და წარმავალი, რომ ნეტარებას მოელიან მისგან. ხოლო ყველა, ვინც კი იმედოვნებს ნეტარი შეიქნას რაღაც საგანთა წყალობით, ნებსით თუ უნებლიეთ უსათუოდ დაემონება ხოლმე ამ საგნებს. და ამგვარი ადამიანი ყოველთვის იქით მიდის, საითაც ისინი მიიზიდვენ მას, და ეშინია ყველასი, ვისაც კი შეუძლია წაართვას ეს საგნები. მათი წართმევა კი ცეცხლის ნაპერწკალსაც შეუძლია, და რომელიმე სულ პაწაწინა ცხოველსაც. დაბოლოს, ათასგვარ უბედურებაზე რომ არაფერი ვთქვათ წუთისოფლისა, თვით დროებამიც თავისთავად აუცილებლად სპობს ყოველივე წარმავალს. ამრიგად, რადგანაც ეს ქვეყანა მხოლოდ დროებით და წარმავალ საგნებს შეიცავს, ამიტომ ზემოხსენებული უკეთურნი დამონებულნი არიან ყველა ნაწილს სამყაროისა, თუმცა კი, თითქოს, არაფერს არ მიიჩნევენ თაყვანისცემის ღირსად, რათა არაფრის მონები არ შეიქნან.

ყოველივე ამასთან ერთად, თუმცა ეს საწყალობელი ადამიანები იმყოფებიან კიდე— ამგვარ დაკნინებულ მდგომარეობაში, რომ ნებას აძლევენ მანკიერებებს ბატონობდნენ მათზე, რაც სასჯელად მიუღიათ ან ხორცის გულისთქმით, ან ამპარ-

ტავნებით, აწთუ ცნობისწადილით თუ სხვა რამით ესევითარ ცოდვათაგან, ანდა ყველაფერ ამისაგან ერთბაშად, — მიუხედავად ამისა, სანამ ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჰგიებენ თავიანთი სიყვარულით ამაოებისადმი, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ წინაღუდგნენ თავიანთ მანკიერებებს და სძლიონ კიდეც მათ, თუკი მანამდე ირწმუნებენ იმას, რისი გაგებაც არ ძალუძთ, და თუკი აღარ ეყვარებათ ამქვეყნიური სიკეთენი, რამეთუ მშვენივრად ამბობს საღმრთო წერილი, რომ „ყოველივე სოფელსა შინა — ესე არს გულ ის-თქუმაჲ ხორცთაჲ და გულისთქუმაჲ თვალთაჲ და სილაღე ამის ცხოვრებისაჲ, და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“ (I იოანე 2, 16). ამ სიტყვებით აღნიშნულია სამი ზემომოყვანილი ვნება; კერძოდ კი — „გულისთქუმაჲ ხორცთაჲ“ — აღნიშნავს მდაბალ სიამეთა თაყვანისმცემლებს, „გულისთქუმაჲ თვალთაჲ — ცნობისმოყვარეობით შეპყრობილთ, ხოლო „სილაღე ამის ცხოვრებისაჲ“ — ამპარტავნებას დამონებულთ.

ამიტომაც, მის მიერ, რომელიც თვით ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ა, როცა ხორციელ-იქმნა და განკაცდა, მიგვეთითა ვერიდოთ სამგვარ საცთურს. „უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაითა ქვანი ესე პურ იქმნენ!“ (მათე 4, 3), — ეუბნება მაცთური უფალს. მაგრამ ეს ჩვენი ერთადერთი მოძღვარი მიუგებს: „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“ (4,4). ასე გვიჩვენა უფალმა, რომ ჯერ არს სიამეთა სურვილს ვსძლიოთ, რათა შიმშილსაც კი არ დავემონოთ! მაგრამ ვინც შეძლებდა და არდაექვემდებარებოდა ხორცის გულისთქმას, შეიძლება შეპყრობილი იყოს მზვაობარი სურვილით წარმავალი ბატონობისა. ამიტომაც უჩვენეს უფალს ყოველნი სუფევანი ამა ქვეყნისა, ხოლო მაცთურმა ეშმაკმა კვალად უთხრა: „ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყვანის-მცე მე“, მაგრამ პასუხად უფლისაგან ეს მოისმინა: „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა! რამეთუ წერილ არს: უფალსა შენსა თაყვანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“ (მათე 4, 8—9). ამგვარად იქნა ძლეული ამპარტავნება! ამასობაში, მაცთურმა უკანასკნელი სატყუარიც გამოიყენა, აწ უკვე ცნობისწადილისა, რამეთუ ტაძრის სიმაღლეთაგან გადავარდ-

ნას ეშმაკი მხოლოდ იმისთვის სთავაზობდა უფალს, რომ თუნდაც რაღაცნაირი გამოცდა მოეწყო, ანუ ცნობისწადილი გამოცდისა აღეძრა უფალში. მაგრამ ქრისტე არ იქნა ძლეული, და მან ისეთი პასუხი მისცა მაცთურს, საიდანაც ჩვენ ვგებულობთ, რომ ღმრთის შესაცნობად არ არის საჭირო მცდელობანი, რომელთა მიზანია ღვთაებრივის გამოძიება ხილული სახით: „არა განსცადო ღმერთი შენი!"-ო (მათე 4,7), — მიუგო ეშმაკს უფალმა. ამიტომაც ვინც კი შინაგანად საზრდოობს ღმრთის სიტყვით, ის არ ეძიებს სიამოვნებას ამა ქვეყნის უდაბნოში; ვინც ერთი ღმერთის ერთგულია, ის არ ეძიებს ამაღლებას მთაზე, ანუ ამა ქვეყნიურ განდიდებას; და ბოლოს, ვინც უცვალებელი ჭეშმარიტების საუკუნო ჭვრეტას მისცემია, იგი არ გადმოეშვება სიმაღლეთაგან ამა სხეულისა, ანუ თვალებით უდაბლესისაკენ არ მიიქცევა, რათა დროისმიერი და წარმავალი შეიმეცნოს.

თავი XXXIX

თვით თავისი მანკიერებებითაც სული (ადამიანისა) დაიმოძღვრება თავდაპირველი სიმშვენიერე ეძიოს (რაც 43-ე თავამდე დასაბუთებულია, პირველ ყოვლისა, სიამეთმოყვარეობის ცოდვასთან დაკავშირებით).

ამრიგად, არის კი რაიმე ისეთი, რისგანაც სულს არ შეეძლებოდა თავდაპირველი სიმშვენიერის გახსენება, რომელიც მას მიუტოვებია და დაუკარგავს?! განა შეიძლება ასეთი რაიმე არსებობდეს, თუკი საკუთარი მანკიერებანიც კი განსწავლიან მას და შეახსენებენ იმ თავდაპირველ სიმშვენიერეს?! და მართლაც, სიბრძნე ღმრთისა ძლევამოსილად გადაშლილა მთელს ქვეყნიერებაზე და ყოველივეს კეთილად წარმართავს (სიბრძნე სოლომ. 8 ,1). უზენაესმა მხატვარმა ერთმანეთს შეუხამა თავისი ქმნილებანი და ერთს მშვენიერ მთლიანში განალაგა ისინი. მის სახიერებას არავისი სიმშვენიერისა არ შურს, დაწყებული უმაღლესი ქმნილებიდან და უდაბლესით დამთავრებული, რაზეთუ ყოველი სიმშვენიერე მხოლოდ მისგან შეიძლება მომდინარეობდეს; ასე, რომ თვით ჭეშ-

ბარიტების მიერ უარყოფილი არ არის არავინ, ვინც კი თავის თავში ინარჩუნებს თუნდაც რაღაც კვალს ჭეშმარიტებისა. მოიხილე (რომანიანე), თუ რა არის საფუძველი სხეულებრივი სიამოვნებისა, და შენ სხვას ვერაფერს ნახავ, გარდა თანხმობისა, რამეთუ თუკი ჩვენს წინააღმდეგ მბრძოლი მწუხარებასა და უსიამოვნებას აღმოაცენებს ჩვენში, თანახმიერი — მხოლოდ სიამოვნებას გვანიჭებს. ამიტომაც უნდა ვეცადოთ გამოვიკვლიოთ, თუ რა არის უზენაესი თანხმობა; ამისთვის არ გამოხვიდე სადღაც გარეთ საკუთარი თავისაგან, არამედ შენს თავს ჩაუკვირდი, რამე

ლებით; მისი ხილვა იმ თვალებითაც კი არ შეიძლება, რომ-ლებითაც სულში სხეულებრივ თვალთა დახმარებით შემოკ-რილი აჩრდილები მოიაზრება. მაგრამ მისი ჭვრეტა შეიძლება იმ თვალებით, რომლებითაც თვით ამ აჩრდილებს ჩვენ ვეუბ-ნებით: „თქვენ ის არა ხართ, რასაც მე ვეძიებ; ასევე არც ისა ხართ, რის საფუძველზეც მე თქვენ მოგაწესრიგებთ; რაც მე თქვენში უსახურად მიმაჩნია, იმას არ ვიწონებ, ხოლო რაც მშვენიერი მგონია — იმას ვიწონებ, თუმცა გაცილებით მშვე-ნიერია ის, რის საფუძველზეც მე ვიწონებ ან არ ვიწონებ. ამი-ტომ ამ უკანასკნელს მე უფრო მეტად ვიწონებ, და არამხო-ლოდ თქვენს თავს მირჩევნია იგი, არამედ სხვა ყველა სხე-ულსაც, რომელთაგანაც მოგიღებთ კიდეც თქვენ". აი, ეს წე-სი, რომელსაც აწ ხედავ, მომავალში შემდეგნაირად გამოი-ყენე: ყოველი, ვინც კი დაეჭვებულად გრძნობს თავს, გრძნობს რაღაც ჭეშმარიტს, და რაკი დარწმუნებულია იმაში, რასაც ამ შემთხვევაში შეიგრძნობს, მაშასადამე, სწორედ ჭეშმარიტშია დარწმუნებული. აქედან გამომდინარე, ყველას, ვინც კი ჭეშ-მარიტების არსებობაშია დაეჭვებული, თავის თავში აქვს რა-ღაც ჭეშმარიტი, რაშიც ის არ შეიძლება დაეჭვებული იყოს, რამეთუ ყოველივე ჭეშმარიტი მხოლოდ ჭეშმარიტებისაგანაა ჭეშმარიტი. ამიტომ, სწორედ ის არ უნდა იყოს დაეჭვებული ჭეშმარიტებაში, ვისაც ამა თუ იმ მიზეზით დაეჭვება შეეძლო. ვისშიც ამგვარ დაეჭვებას ვხედავთ, იმაში სწორედ ის ნათე-ლი მოქმედებს, — შემოუფარგლავი სივრცითა თუ დროით, და თავისუფალი ყოველგვარი აჩრდილისაგან ამ პირობებისა. რამეთუ განა შეიძლება ჭეშმარიტება რაიმე მხრივ დაზიან-დეს, დაე, თუნდაც ხორციელ ადამიანებში სრულიად განქარ-ვებული იყოს ანდა მოუძლურდებოდეს ყოველგვარი აზროვ-ნება? ჭეშმარიტებას ხომ კი არ წარმოქმნის აზროვნება, არა-მედ უკვე მზას მოიძიებს მას! აქედან გამომდინარე, სანამ მას მოიძიებდნენ, იგი თავის თავში ჰგიებს, და როცა მოვიძიებთ მას, ჭეშმარიტება ჩვენს განახლებას ემსახურება.

თავი XII

სხეულთა სიმშვენიერისათვის, ხორციელ სიამეთათვის და ცოდვილთა დასჯისათვის.

ამგვარად, შინაგანი კაცი განახლდება და აღორძინდება, გარეგანი კაცი კი დღითი დღე განიხრწნება (II კორინთ. 4, 16). მაგრამ შინაგანი კაცი, ამასთან, განუწყვეტლივ აკვირდება გარეგან კაცს, და უდარებს რა თავს, უმსგავსოდ მიიჩნევს მას, თუმცა თავისებურ სიმშვენიერეს მასშიც ხედავს, რადგანაც მასაც უყვარს სიმწყობრე სხეულებისა, თუმცა კი მაინც ღუპავს იმას, რასაც თავისდა სასიკეთოდ მიაქცევს, ანუ ხორცს (ცხოველთა), რასაც ის საზრდოდ მოიხმარს. თუმცა კი, რაც მის მიერ ზიანდება, ანუ რაც ფორმას ჰკარგავს, მისი სხეულის ნაწილთა წარმოქმნა-შენარჩუნებას ემსახურება, და გადადის რა შესაბამის ახალ სახეში, აღადგენს დაზიანებულ ნაწილებს; თანაც სიცოცხლისეული მოძრაობით იმგვარადაა მოწყობილი, რომ სხეულის აგებულებისათვის — ამ მშვენიერი სახილველისათვის — ვარგისი მიიღება, უხმარი კი შესაბამისი მოქმედებით განიგდება სხეულისაგან; ამასთან, ერთი რამ, ყველაზე მეტად დალექილი, მიწას უბრუნდება ახალ ფორმათა მისაღებად, სხვა რამ კი მთლიანად სხეულისაგან გამოდის აირის სახით, მესამე რამ, მიიღება რა თავის თავში ყველაზე ღირებულს ყოველივე ცხოვრებულისა, დასაბამი შეიქნება ხოლმე შთამომავლობისა, და აღძრული ან თანაგრძნობით ორი სხეულისა, ანდა სხვა რაღაც მსგავსი აჩრდილით, გადმოიღვრება ხოლმე განმრავლების არხებით გრძნობისმიერი სიამის აქტში. მერმე, დედის საშოში, განსაზღვრული პერიოდის შემდეგ იგი სივრცობრივად ყალიბდება, ისე, რომ თითოეული ნაწილი სხეულისა თავის ადგილს იკავებს და როცა ყოველი მათგანი სითანაბრის გარკვეულ საფეხურს მიაღწევს ფერთან ერთად, იშვება ხოლმე ახალი სხეული, რომელიც მშობლებისათვის უმშვენიერესია, და მათ მჯურვალედაც უყვართ ისე, თუმცა ჩვენ მასში იმდენად მოძრავი ფორმა კი არ გვიყვარს, არამედ — მომქმედი სიცოცხლე. რამეთუ თუკი ამგვარ განსულიერებულ არსებას ვუყვარვართ, მით უფრო ძალუმად

მიეკრობით ხოლმე მას; ხოლო თუკი ეძულვართ, ვღიზიანდებით და აღარ ძალგვიძს მისი ატანა, თუნდაც თვით ფორმის განსახიერებას წარმოადგენდეს ყველასთვის, ვინც მისი სიმშვენიერით დასტკბება. აი, ამგვარია მეუფება სიამოვნებისა და უდაბლესი სიმშვენიერისა, — უდაბლესისა იმიტომ, რომ იგი წახდენასაა დაქვემდებარებული; ასეთი (ანუ წახდენას დაქვემდებარებული) რომ არ იყოს, მაშინ იგი უზენაეს სიმშვენიერედ მიიჩნეოდა.

მაგრამ საღმრთო განგებულება მას (უდაბლეს სიმშვენიერეს) სწორედ ასეთად წარმოგვიდგენს, ამასთან ბოროტად კი არა, — რადგან მასში ცხადად შეიმჩნევა თავდაპირველ სრულყოფილებათა ნაკვალევი, რაშიც აღურაცხელია ღვთაებრივი სიბრძნე; არამედ წარმოგვიდგენს როგორც მხოლოდ უკანასკნელს, შეუზავებს რა მას ტანჯვას, სნეულებათ, ასოთა დამახინჯებას, ფერის სიმუქეს, მშფოთვარებას და განხეთქილებას სულისას, რათა ამით შეგვაგონოს რაიმე უცვალებელი ვეძიოთ. ამას საღმრთო განგებულება აღასრულებს უდაბლეს მსახურთა მეშვეობით, რომელთაც სიამოვნებას ანიჭებთ მსგავს ქმედებათა აღსრულება, და რომელთაც საღმრთო წერილი მდევნელთ და რისხვის ანგელოზებს უწოდებს, თუმცა თვით მათ არც კი უწყიან, რა კეთილი საქმე მოიმოქმედება მათი მეშვეობით. მათი მსგავსნი არიან ის ადამიანებიც, რომელთაც უხარით სხვათა უბედურება და სხვათა შეცთომილებისაგან თუ ბედუკუღმართობისაგან თავშესაქცევს იწყობენ, ანდა სურთ, რომ მოიწყინონ, დასცინიან სხვებს და ამით განიხარებენ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, სათნო ადამიანები ყოველი ასეთი გარემოებით დაიმოძღვრებიან ხოლმე, უფრო მეტის გულმოდგინებით იღვწიან, ძლევასაც მოიპოვებენ და მეუფებენ, ბოროტი ადამიანები კი ტყუვდებიან, იტანჯებიან, იძლევიან, განისჯებიან და მონები შეიქნებიან ხოლმე, — ოღონდ მონები არა ერთიანი და ყოველიგეზე აღმატებული უფლისა, არამედ უდაბლესი, უმსგავსი მსახურებისა, ანუ იმ ბოროტი ანგელოზებისა, რომელნიც განსჯილთა მწუხარებითა და უბედურებით იოხებენ გულს, ხოლო სათნო ადამიანთა თავისუფლების გამო კი მოიწყვლებიან, რადგან ბოროტისმწდომელნი არიან.

ამრიგად, თავიანთი მოვალეობებითა და მიზნებით, ყოველნი ერთიანის სიმშვენიერეს ემსახურებიან, ასე, რომ რაც ჩვენ შეგვზარავს ხოლმე კერძოობაში, ის სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენზე, თუკი მთლიანობაში განვიხილავთ. იმიტომ, რომ, ვთქვათ, შენობაზე მსჯელობისას ჩვენ არ უნდა გავითვალისწინოთ ხოლმე მისი მხოლოდ ერთი კუთხე, ლამაზ ადამიანზე მსჯელობისას — მისი მხოლოდ თმა, კარგ მჭერმეტყველში — ოდენ მის თითთა დახვეწილი მოძრაობანი, მთვარის ფაზებში — მხოლოდ ესა თუ ის სახე მისი სამდღიანი მდგომარეობებისა. ყოველივე ეს, რაც უდაბლესად გვესახება იმიტომ, რომ არასრულყოფილ ნაწილთა დროს იგი მთლიანობაშია სრულყოფილი, — სულ ერთია, მშვიდ მდგომარეობაში მყოფს ვუყურებთ, თუ — მოძრაობაში, — ყველაფერი ეს ჩვენ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ ხოლმე, თუკი გვსურს ჩვენი მსჯელობა მასზე სწორი და სამართლიანი იყოს. რამეთუ ჩვენი სწორი მსჯელობაც, სულ ერთია — მთლიანზე ვიმსჯელებთ, თუ მის ცალკეულ ნაწილებზე, — ყოველთვის მშვენიერი საქმეა; ამ მეცხოვრებაში იგი მთელს სამყაროზე მაღლა დგას, და ჩვენც, რაკი სწორად ვსჯით, უკვე აღარ მივეკრობით ხოლმე მის რომელიმე ნაწილს. და პირიქით, შეცთომილება, რომლის მიზეზითაც ჩვენ სამყაროს რომელიმე ნაწილს მივეკრობით ხოლმე, თავისთავად არის უმსგავსი რამ. მაგრამ როგორადაც მუქი ფერი რაიმე სურათზე მშვენიერია მთლიანობაში, ზუსტად ამგვარადვე უცვალებელი საღმრთო განგებულება მთლიანობაში მშვენივრად წარმართავს ჩვენს, ბრძოლითა და შრომა-რუდუნებით აღსავსე, ცხოვრებას, როცა ძლეულთ — ერთს რასმე მიუზღავს, მებრძოლთ სხვას რასმე, მძლეველთ კი — სულ სხვას; ასევე ოდენ მაცქერალთაც შესაბამისს მიაგებს, ხოლო იმათ, ვისაც სიმშვიდისათვის მიუღწევიათ და ერთს მხოლოდ ღმერთს ჰვრეტენ — მათს საკადრისს, რამეთუ ყველა ამათში არ არის სხვა ბოროტება, გარდა ცოდვისა და სასჯელისა მისთვის, ანუ თავისუფალი ნებიდან მომდინარე თავის არიდებისა უზენაესი არსისაგან და იძულებითი ტანჯვისა უდაბლეს არსში, რასაც სხვაგვარად შეგვიძლია ვუწოდოთ თავისუფლება სიმართლისა და მონობა ცოდვისა.

თავი XLI

იმ სიმშვენიერისათვის, ცოდვილი სულის დასჯაში რომ მდგომარეობს.

ხოლო განიხრწნება გარეგანი კაცი ან შინაგანი კაცის წარმატებულობის შედეგად, ანდა თავისი საკუთარი უძლურებისა გამო. მაგრამ შინაგანი კაცის წარმატებულობის შედეგად იგი იმგვარად განიხრწნება, რომ მთლიანად იქცევა უკეთესად და უკანასკნელი საყვირის დაცემისას (უფლის მეორედ მოსვლის ჟამს) მკვდრეთით აღდგება უხრწნელი, რათა უკვე აღარც თვით არ წახდეს არასოდეს და აღარც სხვა არ წაახდინოს. ხოლო საკუთარი უძლურებისა გამო იგი (გარეგანი კაცი) შთაინთქმება კიდევ უფრო განხრწნადი სილამაზის სფეროში, ანუ სასჯელთა რიგში აღმოჩნდება. ნუ გაიკვირვებ, (ჩემო რომანიანე), რომ მე კვლავ სილამაზეს ვუწოდებ ამას, რამეთუ არ არსებობს არაფერი ყოველივე მოწესრიგებულისაგან, რაც მშვენიერი არ იქნება. აკი (წმიდა პავლე) მოციქულიც ამბობს — „არა არს ხელმწიფებაჲ, გარნა ღმერთისაგან“-ო (რომ. 13, 1). ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავიიწყებთ იმის უარყოფას, რომ მოტირალი ადამიანი გაცილებით სჯობია მხიარულ ჭიას, მაგრამ მაინც, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მე ქებით შემიძლია ვილაპარაკო ჭიაზეც, თუკი მხედველობაში მექნება მისი ფერის ელვარება, სხეულის ცილინდრული მოყვანილობა, მის წინა ნაწილთა შესატყვისობა შუა ნაწილებთან, შუა ნაწილებისა კი — ბოლო ნაწილებთან, რაშიც გამოხატულია კიდეც მისი მისწრაფება ერთიანობისაკენ, შესაძლებელი მისი კნინი ბუნებისათვის; ასე, რომ მის არც ერთ ნაწილში არაფერი არ არის ისეთი, რასაც იმავე ზომით არ შეესატყვისებოდეს სხვა ნაწილიც მისი სხეულისა. ხოლო მის სამშვინველზე რაღა გვეთქმის, რომელიც ამ მცირე სხეულს ასეთის სიმშვენიერით განაცოცხლებს და ამოძრავებს, — რა თანაბარზომიერად მოძრაობს ჭია, როგორ მიემართება იმისაკენ, რაც თანახმიერია და კეთილისმყოფელია მისი; როგორ, შეძლებისდაგვარად, სძლევს წინაღობას, და როგორ განიკრძალავს თავს იმისაგან, რაც მტრულია მისდამი; ამ სამშვინველს ჭიის მიერ

შეგრძნობად კეთილდღეობამდე დაჰყავს ყოველივე, და გაცილებით უფრო მშვენიერია, ვიდრე სხეული, რადგან გარკვეულ მთლიანობას ანიჭებს მას და სხვა ყოველგვარი ბუნების დამამკვიდრებელი დასაბამიცაა! მე ვლაპარაკობ სამშვინველით განცოცხლებულ ჭიაზე, ხოლო მრავალთ, ჩემამდე, სავსებით სწორად და საკმაოდ ცრცლადაც უქებ-უდიდებიათ თვით ფერფლიცა და ნაკელიც კი![1] მაშ, ამის შემდეგ რაღა გასაკვირი უნდა იყოს, თუკი ადამიანის სულზე გაცილებით აღმატებულზე ყოველგვარ სხეულსა თუ სამშვინველზე, — სულ ერთია, ვისშიც არ უნდა იყოს იგი და როგორიც არ უნდა იყოს, მე ვიტყვი, რომ იგი მშვენიერად არის მოწყობილი, და რომ მისი დასჯის მდგომარეობებიდან აღმოცენდებიან მხოლოდ სხვა სახენი სიმშვენიერისა, რადგან არის რა ამ ბედკრულ მდგომარეობაში, იგი იქ არ იმყოფება, სადაც შეჰფერით ყოფნა ნეტად სულებს, არამედ იქ იმყოფება, სადაც ჯერარს ყოფნა საწყალობელ სულთათვის?!

არაფრის გამო, უმიზეზოდ შეცდენა ჩვენი არავის არ ძალუძს. ყველაფერი, რაც კი მართლიად იგმობა, უმჯობესთან შედარებით არ არის მოსაწონი, და ამის გამო იგმობა. ამასთანავე, ყოველი ბუნება, დაე, თუნდაც გარეგანი იყოს ის და უდაბლესი, სამართლიანად იქებ-იდიდება ხოლმე, თუკი მას არაფერს არ შეუდარებენ. და აკი თითოეული ჩვენგანი მაშინ ვერ არის ხოლმე კარგად, როცა შესაძლებელია უმჯობესად ყოფნა. ამიტომაც თუკი ჩვენთვის კარგი შეიძლება იყოს თვით ჭეშმარიტებასთან ყოფნა, მაშ, ცუდი იქნება მისი მხოლოდ გარკვეული თვისების მიწვდომა, და გაცილებით უარესი უნდა იყოს ჭეშმარიტების უკნინეს თვისებათა ფლობა, როცა ჩვენ მიკრულნი ვართ ხოლმე ხორციელ სიამეთ. მაშ, მაღლა დავდგეთ გულისთქმის როგორც მომხიბვლელობაზე, ასევე უსიამოვნებებზე; თუ ჩვენ უკვე ქმარნი ვართ, მაშინ დავიმორჩილოთ ეს ცოლი. ჩვენი წინამძღვრობის ქვეშ იგიც უკეთესი შეიქნება, და უკვე გულისთქმად კი არ იწოდება, არამედ თავშეკავებად და კეთილკრძალულებად. რამეთუ როცა ის გვწი-

---

[1] ნეტარი ავგუსტინე გულისხმობს კატონის (234—149 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) შრომას „მიწათმოქმედების შესახებ".

ნამძღვრობს, ჩვენ კი მის ნებას მივსდევთ, ის გულისთქმად იწოდება, ვნებად, ჩვენ კი — უგნურნი და უგულისხმონი ვართ. მაშ, მივსდიოთ ჩვენს წინამძღვარს — ქრისტეს, რათა ჩვენც შემოგვიდგეს ის, რისი წინამძღვარნიც უნდა ვიყოთ. იგივე შეიძლება მოვთხოვოთ დედაკაცებსაც, ოღონდ არა ქმრის უფლებით, არამედ (ქრისტესმიერი) ძმის უფლებით, რის მიხედვითაც ჩვენ ყოველნი ქრისტეს მიერ არც მამრობით სქესისანი ვართ, და არც მდედრისანი. რამეთუ ქალთაც ხომ აქვთ რაღაც მამაკაცებრი, რისი წყალობითაც ისინი იმორჩილებენ ქალურ ვნებებს, ქრისტეს ემსახურებიან და ბატონობენ გულისთქმაზე. ამას ჩვენ ვხედავთ მრავალი ქვრივისა და საღმრთო ქალწულის მაგალითზე, ბევრი ქმრიანი დედაკაცის მაგალითზეც, რომელნიც მეუღლეობრივ მოვალეობებს დაძმურად აღასრულებენ, ქრისტეანი ერისათვის დამახასიათებელი თავშეკავებითა და კრძალულებით. ხოლო თუკი იმ მიმართებით, რომლითაც ღმერთი გვიბრძანებს ცმეუფებდეთ, შეგვაგონებს და შეგვეწევა იმისთვის, რომ აღვიდგინოთ თავი (თავდაპირველ) ძლიერებაში, — თუკი-მეთქი, ამ მიმართებით თავისი მცონარებისა თუ უკეთურების გამო ადამიანი დამონებული აღმოჩნდება, ანუ დამონებული გონება შეიქნება, მაშინ, თუმცა კი ასეთი ადამიანი საწყალობელი და საზიზღარიც იქნება, მაგრამ აწინდელ (ამქვეყნიურ) ცხოვრებაშიც ის თავის კუთვნილ ადგილას არის დადგენილი, და მის შემდგომაც იქ განიწესება, სადაც ყოფნას განუსაზღვრავს მას უზენაესი განმგებელი და მეუფე ყოველივესი. მაშასადამე, ყოველი ქმნილებისათვის არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ არავითარი სისაძაგლით არ იყოს შებილწული.

თ ა ვ ი XLII

ხორციელი სიამოვნება გვაიძულებს განუყოფელი ნაწილები ვეძიოთ. მასზედ, დამახასიათებელია, თუ-არა ასეთი ნაწილები რომელიმესათვის ცხოვრებისეულ მოძრაობათაგან.

მაშ, ვიაროთ, სანამ ჯერ კიდევ დღეა, ანუ ვიდრე ძალგვიძს ჩვენი გონიერებით ვისარგებლოთ, რათა ღმერთს შევუდგეთ და **მ ი ს ი ს ი ტ ყ ვ ი თ** ვიქნათ გაწათლებულნი,

რომელიც არის ჭეშმარიტი ნათელი, ამქვეყნად მოსულ კაცს
რომ განანათლებს (იოანე 1, 9), — მაშ, ვიდოდეთ, ვიდრე
ჯერ კიდევ დღე არის, რათა ბნელმა არ მოგვიცვალ! რამეთუ
არსებობა ამ ჭეშმარიტი ნათლისა, ყველას რომ განანათლებს,
არის კიდეც ჩვენთვის ეს დღე. „კაცსაო", — ამბობს მახარე-
ბელი, იმიტომ, რომ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს გონიე-
რებით და საყრდენ წერტილსაც დაეყრდნოს, რათა კვლავ
წამოიმართოს, და იქავ ეძებოს შველა, სადაც დაცემულა. ამ-
რიგად, თუკი ჩვენ ხორციელი სიამენი შეგვყვარებია, მით
უფრო შევაჩეროთ ხოლმე მასზე ჩვენი საგანგებო ყურად-
ღება; და თუ ამგვარ სიამეებში განცხადებული იქნება ნაკვა-
ლევი გარკვეულ რიცხვთა, მაშინ უნდა ვიკითხოთ, თუ სად
არსებობენ ისინი ისე, რომ გრძლიობა არა აქვთ. რამეთუ ამ-
გვარ მდგომარეობაში მყოფი რამ უფრო ერთიანი არის ხოლ-
მე. და თუკი ამგვარი რიცხვები მოცემულია იმ სიცოცხლისეე-
ულ მოძრაობაში, თესლში რომ აღსრულდება, მაშინ მათ არ-
სებობას იქ უფრო უნდა ვკვირობდეთ, ვიდრე სხეულში. რა-
მეთუ თესლთა რიცხვებს გრძლიობა (განფენილობა), რომ
ჰქონდეთ, როგორც თვით თესლებს აქვთ, მაშინ ლეღვის ნა-
ხევარი თესლისაგან — ნახევარი ხე გაიზრდებოდა, და ცხო-
ველთა არასრული თესლისაგან — არასრული ცხოველები იშ-
ვებოდნენ; და აღარც ერთი პატარა თესლი აღარ იქნებოდა
შემცველი უსასრულო, ყოველი გვარისათვის დამახასიათებე-
ლი ძალისა. მაგრამ აკი ვიცით, რომ ერთი თესლისაგან საუკუ-
ნეთა მანძილზე, შესაბამისად მისი ბუნებისა, შეიძლება გან-
მრავლდეს ან ყანები — ყანებისაგან, ანთუ ტყეები — ტყე-
თაგან, ან ჯოგები — ჯოგებისაგან, ანდა ერები — ერთაგან,
ისე, რომ ამ დაუსრულებელ მემკვიდრეობითობაში ერთი
ფოთოლიც კი არ იქნება, თმის ერთი ღერიც კი არ იქნება
ისეთი, რომლის მიზეზიც ერთ, თავდაპირველ თესლში არ
იყოს შთადებული. ასევე, იმასაც უნდა მივაქციოთ ყურად-
ღება, თუ რა მრავალფეროვანი და საამური ხმები იღვრება
ხოლმე ჰაეროვან სივრცეში ბულბულის გალობისას, ის ხმები,
რომელთაც ამ მშვენიერი ფრინველის სამშვინველი ვერაფრით
ვერ გამოსცემდა ასე თავისუფლად, არასხეულებრივი სასი-
ცოცხლო ქმედებით რომ არ ყოფილიყო მასში შთადებული.

იგივე შეიძლება ვნახოთ სამშვინველით განცოცხლებულ სხვა არსებებშიც, რომელთაც თუმც გონიერება არა აქვთ, მაგრამ მოკლებულნი არ არიან გრძნობისმიერ აღქმას. მათ შორის ერთიც კი არ არის ისეთი, რომელიც ახ ბგერათა გამოცემით, ან სხეულის ნაწილთა სხვა მოძრაობებით რაიმეს განსხვავებულს, მრავალფეროვანსა და თავისებურად თანაზომიერს არ აღმოაცენებდეს — არა გარედან შეძენილი რაღაც ცოდნის თუ გაწვრთნის შედეგად, არამედ შინაგანი ბუნებრივი პირობების წყალობით, თანაზომიერნი რომ არიან რიცხვთა უცვალებელი კანონის მიხედვით.

თავი XLIII

მასზედ, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელია ძალა განსჯისა სხეულთა და დროთა თანაზომიერების შესახებ; წესრიგის საზომისათვის, რომელიც საუკუნო ჭეშმარიტებაშია.

მივუბრუნდეთ საკუთარ თავს, და გამოვტოვოთ ის, რაც მცენარეულ და ცხოველურ სამყაროსთან გვაქვს საერთო. რამეთუ მერცხალიც კი ბუდეს ერთადერთი, განუმეორებელი სახით იკეთებს, და საერთოდაც, ყოველი ჯიშიც ფრთოსნებისა თავისი, განსაკუთრებული წესით იკეთებს ბუდეს. მაშ, რა არის ჩვენში ისეთი, რისი დახმარებითაც, ერთის მხრივ, განვსჯით ხოლმე, თუ როგორ ფორმებს ესწრაფვიან ყველა ისინი და რამდენად ახორციელებენ თავიანთ მისწრაფებას, და მეორეს მხრივ, ჩვენ თვითონაც, თითქოსდა ბატონ-პატრონნი მსგავსი ფორმებისა, მოვიაზრებთ და გამოვიგონებთ ხოლმე აღურაცხელ სიმრავლეს ამ ფორმებისას ნაგებობათა მშენებლობისას თუ სხვა სახის ნივთიერ საქმიანობათა ჟამს? რა არის ჩვენში ისეთი, რისი საშუალებითაც ჩვენ შინაგანად შევიცნობთ, რომ ეს, ჩვენს მიერ ხილული სიდიდენი სხეულებისა დიდნი თუ მცირენი არიან პროპორციულად, და რომ ყოველ სხეულს, როგორიც არ უნდა იყოს იგი, აქვს თავისი ნახევარი (იყოფა შუაზე), ხოლო თუკი შუაზე იყოფა, მაშინ აურაცხელი ნაწილიც ჰქონია? და რომ, მაშასადამე, პურის ყოველი მარცვალი თავისი ისეთი ნაწილის მიმართ, როგორიც ჩვენს

ხნეულს უკავია სამყაროში, იმდენადვე დიდია, რამდენადაც ჩვენს მიმართ არის დიდი სამყარო, და რომ მთელი ეს სამყარო მშვენიერია ფორმათა პროპორციით, და არა — თავისი სიდიდით; ხოლო დიდია თუ არა თავისი ვეება ზომის გამო, არამედ ჩვენი უმნიშვნელო სიდიდის გამო, ანუ სიმცირის გამო იმ ცოცხალი არსებებისა, რომლებითაც ის არის სავსე და რომელნიც, თავის მხრივ, რაკი თავის თავში შეიცავენ უნარს დაუსრულებელი დაყოფისა, უმნიშვნელონი არიან არა თავისთავად, არამედ მხოლოდ სხვა საგნებთან შედარებით, და უპირატესად თვით სამყაროსთან შედარებით? მაშ, რა არის ჩვენში ისეთი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევიმეცნებთ ყოველივე ამას? იმავე პროპორციულობას დროის გრძლიობასთანაც აქვს კავშირი, რადგან დროის ყოველგვარ გრძლიობას, მსგავსად ყოველგვარი ადგილის სიგრძისა, აქვს თავისი ნახევარი (ანუ იგიც შეიძლება შუაზე გაიყოს); რამეთუ რა ხანმოკლეც არ უნდა იყოს დროის ესა თუ ის მონაკვეთი, მას მაინც აქვს თავისი დასაწყისიც, თავისი გაგრძელებაც და თავისი დასასრულიც. ამგვარად, მას არ ძალუძს შუაზე გაიყოს, სანამ არ დასრულებულა. აქედან გამომდინარე, მოკლე მარცვლის საზომი (გრძლიობა) უფრო მოკლეა, ვიდრე გრძელი მარცვლისა, და ზამთრის დღის საათიც უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ზაფხულის დღის საათი.[1] ზუსტად ასევე ერთი საათის გრძლიობა უფრო მოკლეა დღის გრძლიობასთან შედარებით, დღის გრძლიობა — თვესთან შედარებით, თვისა — წელიწადთან, წელიწადისა — ხუთწლიანი დროის მონაკვეთთან შედარებით, ხოლო ამ უკანასკნელისა — უფრო ხანგრძლივი დროის მონაკვეთთან შედარებით; და ბოლოს, ყველაზე ხანგრძლივი დროც არაფერია მთელს დროსთან შედარებით, თუკი მას მთლიანობაში წარმოვიდგენთ, თუმცა კი მთელი ეს მრავალფეროვანი თანამიმდევრობა და ერთგვარი თანდათანობა ადგილებისა თუ დრო-ჟამებისა მშვენიერად მიიჩნევა არა სიგ-

---

[1] ძველ რომში დროს დღისა აღრაცხავდნენ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე: დღე იყოფოდა თორმეტ თანაბარ ნაწილად — ჟამად, და ბუნებრივია, ზამთრის ხანმოკლე დღის თითოეული საათი უფრო წაკლები იყო, ვიდრე ზაფხულის ხანგრძლივი დღისა.

რძისა თუ ხაწგრძლიობის შედეგად, არამედ პროპორციული შესატყვისობის ძალით.

მაგრამ თვით საზომი წესრიგისა — საუკუნო ჭეშმარიტებაში მდგომარეობს, რომელიც თავისი მასით კი არ არის დიადი და დროის მხრივაც კი არ არის ცვალებადი, არამედ დიდია თავისი, ყოველგვარ სივრცეზე აღმატებული, ძალითა და უცვალებელია თავისი, ყოველგვარ დრო-ჟამზე აღმატებული, მარადიულობით; მის (ამ საუკუნო ჭეშმარიტების) გარეშე ვერავითარი მასა ვერ მოიყრის თავს ერთ რაიმედ და ვერ გამთლიანდება და ვერც ვერავითარი გრძლიობა დროისა ვერ იქნება შეკავებული ცთომისაგან, — ანუ უმისოდ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ იქნება რაიმე, — ვერც სხეული — სხეული, და ვერც მოძრაობა — მოძრაობა. საუკუნო ჭეშმარიტება — არის თავდაპირველი ერთიანობა, რომელიც არც შემოსაზღვრულად, და არც შემოუსაზღვრავად მკვრივი არ არის, არც შემოსაზღვრულად თუ შემოუსაზღვრავად უცვალებელია. მას არა აქვს ერთი რამ — აქ, და სხვა რამ — იქ, ანდა — ერთი რამ — ამჟამად, სხვა რამ — შემდგომში, იმიტომ, რომ უპირობოდ ერთია მ ა მ ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა, მამა თავისი ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა, რომელიც რაკი არაფრით არ არის განსხვავებული მ ი ს გ ა ნ, იწოდება ხატად, სახედ და ბრწყინვალებად მამისა, რამეთუ მისგან აქვს არსებობა; აქედან გამომდინარე, სამართლიანად იწოდება იგი ძედაც, რადგან მისგან იშვა, მიუწვდომელი სახით, სხვა ყოველივე კი ძ ი ს (ანუ საუკუნო ჭეშმარიტების) მიერ დაებადა, რამეთუ იგი წინ უსწრებს ყოველივეს როგორც ფორმა და სრულყოფილად შეიცავს თავის თავში იმ ე რ თ ი ა ნ ს, რომლისაგან აქვს თავისი არსებობა; ესე, რომ ყოველივე არსებული, რამდენადაც მსგავსია ამ ერთიანისა, სწორედ ამ ფორმისაგან და ამ ფორმის მიერ აღმოცენდა.

თავი XLIV

ძე არის ხატი ღმერთისა, და ამ ხატის მიხედვით შეიქმნა ყოველივე.

ყოველივე არსებულისაგან ერთი რამ შექმნილია მის მიერ ისე, რომ თვით მისი ხატით არსებობს, კერძოდ კი ესაა ყოველი გონიერი და მოაზროვნე ქმნილება, რომელთა შორისაც ადამიანი სავსებით სამართლიანად იწოდება შექმნილად სახედ და ხატად ღმრთისა; სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მას არ შეეძლებოდა თავისი გონებით უცვალებელი ჭეშმარიტების მჭვრეტელი ყოფილიყო. სხვა ყოველივე კი იმგვარად არის მის მიერ შექმნილი, რომ არ არსებობს სახედ და ხატად ღმერთისა. ამის შედეგად, თუკი გონიერი სული თავის შემოქმედს ემსახურება, რომლის მიერაც და რომლის ხატადაც არის თვითონ შექმნილი, მაშინ თვით მასაც ემსახურება სხვა ყოველივე, — უდაბლესი სიცოცხლეც, რომლის დახმარებითაც ის თავის სხეულზე ბატონობს, რადგან ეს სიცოცხლე ასე ახლოს არის მასთან (გონიერ სულთან) და მისი ერთგვარი იარაღიცაა, და თვით სხეულიც — ეს გარეგანი ბუნება და არსი, ყოველივეში მისი მორჩილი სხეული, რომელზეც ის ნებისმიერად იბატონებს და არავითარ სიმძიმეს არ იგრძნობს მისგან, რადგან ნეტარებას უკვე სხეულისაგან კი არ ეძიებს და არც მისი მეშვეობით, არამედ უშუალოდ ღმერთისაგან მიიღებს მას. მაშასადამე, იგი (გონიერი სული) წინამძღვარი იქნება სახეცვლილი და განათლებული სხეულისა, რომელიც გათავისუფლდება ხრწნილებისა და საზრუნავთა ტვირთისაგან, „აღდგომასა მას არცა იქორ-ინებოდიან, არცა განქორ)ინებდინ, არამედ ვითარცა ანგელოზნი იყვნენ ცათა შინა“ (მათე 22, 30); „საზრდელი მუცელისათვის, და მუცელი — საზრდელისათვის, ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარვოს“ (I კორინთ. 6, 13), იმიტომ, რომ „არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17).

თავი XLV

მასზედ, რომ არამდგრადობა სიამოვნებისა გვაიძულებს უფრო ამაღლებულს ვესწრაფვოდეთ. კვალად, ამპარტავნებისათვის და შესახებ იმისა, თუ როგორ აღგვძრავს ეს მანკიერება სათნოებათ ვეძიებდეთ.

ამ მიზეზისა გამო უკვე თვით სიამოვნებაში სხეულისა ჩვენ ვპოულობთ რაღაცას ისეთს, რაც გვაიძულებს გვძაგდეს იგი, ოღონდ იმიტომ კი არა თითქოს სხეულის ბუნება ბოროტება იყოს, არამედ იმიტომ, რომ სხეული ურცხვად მისცემია გარეგანი სიკეთეების სიყვარულს, რომელთა გამოყენება და რომლებითაც ტკბობა თავდაპირველად ნებადართული იყო, როცა (მაგალითად) მეეტლე მიწაზე მიითრევა და ისჯება თავისი უგნურებისათვის, იგი უკლებლივ ყველაფერს ადანაშაულებს თავის უბედურებაში, რაც კი მის ვანკარგულებაში იყო; მაგრამ, დაე, შეწევნად მოუხმობდეს ეისმე; დაე, უბრძანებდეს გარშემომყოფთ, როგორც ბატონი გარემოებისა; დაე, წინააღმდეგობას უწევდეს ცხენებს, რომლებიც მეეტლის დაცემას სხვა სანახაობად აქცევენ, ანდა მზად არიან სხვა სანახაობად აქციონ, თუკი მას ვინმე სიკვდილისაგან არ იხსნის; და დაე, იცადოს კვლავ თავისი ადგილი დაიკავოს, შემოჯდეს კოფოზე, ხელთ იგდოს სადავეები და სიფრთხილით მართოს დაშოშმინებული და დამშვიდებული პირუტყვები! მაშინ ის იგრძნობს, თუ რა კარგად არის მოწყობილი ეტლი თავისი ყოველი ნაწილით, და რა ზიანი მიაყენა მასაც და მგზავრებსაც, როცა გადაბრუნდა და მოგზაურობას სასიამოვნო თანაზომიერება დაურღვია. ასევე ჩვენს სხეულშიც სულის სიხარბემ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ნების თავისუფლება სამოთხეში, უძლურება აღმოაცენა იმით, რომ, მკურნალის მცნებათა საწინააღმდეგოდ, აკრძალული ნაყოფი შეჭამა, მაშინ, როდესაც ის მცნება საუკუნო სიმრთელესა და სულიერ სიჯანსაღეს აღგვითქვამდა.

ამრიგად, თუკი უკვე თვით ამ უძლურებაში ხილული ხორცისა, რომელშიც შეუძლებელია ნეტარი ცხოვრება, ძევს ჩვენთვის აღძვრა ნეტარი ცხოვრებისა იმ სიმშვენიერის წუ-

ლობით, უმაღლესისაგან უდაბლესისაკენ რომ მიემართებ-ბა, — მაშინ მით უმეტეს, ეს აღძვრა უნდა იყოს ჩვენს ამაო მისწრაფებაში წარჩინებისა და სხვებზე აღმატებისაკენ, ყოველგვარ ამპარტავნებასა და ცარიელ ბრწყინვალებაში ამა ქვეყნისა. რამეთუ სხვა რა უნდა ამ შემთხვევაში ადამიანს, თუ არა ის, რომ, თუკი შესაძლებელი იქნება, განუხრელად იყოს ისეთი, ვისაც ყოველივე დაემორჩილებოდა ამ დამახინჯებულ მიბაძვაში ყოვლადძლიერი ღმერთისა?! ხოლო თუკი ის ღმერთს დაემორჩილებოდა და თავისი მდაბალი ცხოვრებით მიბაძავდა მას, ანუ მის მცნებათა შესაბამისი ცხოვრებით მიბაძავდა, მაშინ ნამდვილად დამორჩილებული ექნებოდა სხვა ყოველივე და აღარც თვითონ იქნებოდა ამ სამარცხვინო მდგომარეობაში, რომელშიც მას, მსურველს ადამიანებზე მბრძანებლობისა, ერთი პატარა გარეული მხეცისაც კი ეშინია. ცხადია, რომ ამპარტავნებასაც აქვს გარკვეული მიდრეკილება ერთიანობისა და ყოვლისშემძლეობისაკენ, მაგრამ ეს მისწრაფება მხოლოდ დროისმიერ, წარმავალ საგანთა სფეროში მყოფნდება, იმ საგნებისა, რომლებიც, უკლებლივ ყველა, წარვლიან და აჩრდილსავით განქარდებიან.

ჩვენ ყველას გვსურს უძლეველნი ვიყოთ, და ეს სწორიცაა, რადგან ასეთი სურვილი დამახასიათებელია ჩვენი სულის ბუნებისათვის ღმერთისაგან, რომელმაც თავის ხატად და სახედ, ანუ თავის მსგავსად შეჰქმნა ადამიანის სული. მაგრამ ჩვენს ამ ბუნებას, რაკი ღმერთის ხატად იყო შექმნილი, უნდა დაემარხა მისი მცნებანი, და რომ აღგვესრულებინა ისინი, მაშინ მართლაც ვერაფერი ვერ დაგვამარცხებდა. აწ კი ეს ბუნება, რომლის შეგონებასაც ჩვენ სამარცხვინოდ დავექვემდებარეთ, იძულებულია დაემორჩილოს სამწუხარო აუცილებლობას მონობისა, და ამის გამო ჩვენ ვიჭირვით ქვეყანასა ზედა და დიდად სამარცხვინოდ ჩვენთვის ვიძლევით ხოლმე ყოველივესაგან, რასაც კი შეუძლია შეგვაშფოთოს და აგვრიოს. ასე, რომ ჩვენ არ გვსურს ადამიანებისაგან ძლეულნი ვიყოთ, და ამავე დროს თვითონ კი ისიც არ ძალგვიძს, რომ საკუთარ მრისხანებას ვძლიოთ! რა შეიძლება იყოს ამ უკეთურებაზე უფრო სამარცხვინო?!.. რა თქმა უნდა, ადამიანი — ეს ჩვენა ვართ, და თუმცა მას აქვს მრავალი მანკიერი

ბა, თავისთავად ადამიანი — არ არის მანკიერება. მაშ, აქედან ვამომდინარე, რამდენად უფრო საპატიო უნდა იყოს ჩვენთვის, თუკი ადამიანის მიერ ვიქნებით ძლეულნი და არა — მანკიერებისაგან! ვინ შეიტანს იმაში ეჭვს, რომ შური — საშინელი მანკიერებისა, რომლითაც უსათუოდ მოიწყვილება და დაიმონება ისეთი ადამიანი, რომელსაც მოსურვებია სწორედ დროისმიერ და წარმავალ საგანთა სფეროში იყოს უძლეველი? ამიტომაც ჩვენთვის ამქვეყნად ბევრად უმჯობესია ვინმე ადამიანისაგან ვიძლეოდეთ და სწორედ ჩვენი მსგავსის წინაშე ვიყოთ დამარცხებული, ვიდრე შურისა თუ სხვა რამ მანკიერებისაგან ვიძლეოდეთ ეგზომ სამარცხვინოდ!

თავი XLVI

მასზედ, რომ უძლეველია, ვისაც მხოლოდ ის უყვარს, რასაც ვერავინ წაართმევს, ანუ ვისაც მხოლოდ ღმერთი უყვარს სრულის გულით, და ვისაც მოყვასი უყვარს, ვითარცა თავი თვისი.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ვინც თავის მანკიერებებს სძლევს, იმას ადამიანიც ვერ დაამარცხებს. მაშასადამე, ვისაც მხოლოდ ის უყვარს, რასაც ვერავინ წაართმევს, ის, უეჭველად, უძლეველია, და ასეთი ადამიანი არავითარი შურით აღარ მოიწყვლება. რამეთუ მას რაღაც ისეთი უყვარს, რაც მით უფრო დიდ სიხარულს ანიჭებს ადამიანებს, რაც უფრო ჭეტად უყვართ მათ იგი და რაც უფრო დიდად წარემატებიან მის პყრობაში. კერძოდ კი ასეთ ადამიანს ღმერთი უყვარს სრულითა გულითა თვისითა, სრულითა სულითა თვისითა და სრულითა გონებითა თვისითა, და, ამასთანავე, თავისი მოყვასიც უყვარს, ვითარცა თავი თვისი. ამიტომაც მას არ შურს თავისი მოყვასისა, რადგან ისე უყურებს მას, როგორც საკუთარ თავს, და პირიქითაც, შეეწევა კიდეც თავის მოყვასს, როგორადაც შეუძლია. მას არც დაკარგვა შეუძლია ამ თავისი მოყვასისა, რომელიც უყვარს, ვითარცა თავი თვისი, რადგანაც თავის თავშიც მას ის როდი უყვარს, რაც ხორციელი მზერისა თუ რომელიმე სხვა გარეგანი გრძნობისთვისაა მისაწვდომი.

ამიტომაც მას საკუთარ თავში ჰყავს ისეთი ვინმე, რომელსაც უყვარს იგი, ვითარცა თავი თვისი.

ხოლო სჯული სიყვარულისა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს თავისი მოყვასისათვის იგივე სიკეთე სურდეს, რაც საკუთარი თავისთვის სურს, და ის ბოროტი, რომელიც თვითონ სძულს, სხვას არავის არ უნდა უყოს და არ უსურვოს (ტობ. 4, 16); იგივე დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს იგი სხვა ყოველი ადამიანის მიმართაც, რამეთუ ბოროტი ჩვენ არც უნდა გვსურდეს ვინმესთვის და არც უნდა ვუყოთ ვინმეს: „სიყვარულმან მოყვასსა თვისსა ბოროტი არა უყვის" (რომ. 13, 10). მაშ, გვიყვარდეს თვით მტერნიცა ჩვენნი, როგორც ეს უფალმა დაგვიდო მცნებად (მათე 5, 44), თუკი გვსურს მართლაც უძლეველნი ვიყოთ. რამეთუ ყოველი ადამიანი თავისი თავის მიერ კი არ არის უძლეველი, არამედ იმ უცვალებელი სჯულის წყალობით, რომლის აღსრულებითაც არის კიდეც ადამიანი თავისუფალი: ამ შემთხვევაში მას უკვე ვეღარავინ წაართმევს იმას, რაც შეჰყვარებია, ხოლო ეს გარემოება არის კიდეც მიზეზი იმისა, რომ ჩვენ უძლეველ და სრულყოფილ ადამიანებად შევიქნებით. რამეთუ ადამიანს რომ მოყვასი თვისი ისე კი არ უყვარდეს, როგორც საკუთარი თავი, არამედ როგორც კურტნის პირუტყვი, ანთუ საზოგადო აბანო, ანდა ჭრელი თუ მგალობელი ფრინველი, ანუ ისე უყვარდეს, რომ იმედოვნებდეს მისგან რაღაც დროებითი სარგებლისა თუ სიამოვნების მიღებას, — მაშინ ასეთი ადამიანი აუცილებლად მონად შეიქნება, ოღონდ მონად — არა ადამიანისა, არამედ, — და ეს უფრო სამარცხვინო და საზიზღარი მონობაა, — მონად ისეთი საძაგელი და სავალალო მანკიერებისა, რომლის მიზეზითაც მას არ უყვარს ადამიანი ისე, როგორადაც ჯერ-არს ადამიანის სიყვარული. და სწორედ ამ მანკიერების ხელმწიფების ქვეშ ატარებს ეს დამონებული ადამიანი მთელს თავის ამქვეყნიურ ცხოვრებას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სიკვდილამდე ამგვარად ცხოვრობს.

მაგრამ ადამიანიც იმგვარადვე როდი უნდა უყვარდეს კაცს, როგორც თავისი ხორციელი ძმები, შვილები თუ მეუღლე უყვარს, ანდა სხვანი — ახლობელნი, ნათესავნი თუ თანამოქალაქენი. ამ სახის სიყვარული — დროებითი სიყვარულია,

ჩვენ არ გვექნებოდა ამის მსგავსი არანაირი ურთიერთობა, ჩვენი შობიდანვე რომ აღმოცენდებიან და სიკვდილთან ერთადვე განქარდებიან, ჩვენს, ღმერთის ხატად და სახედ შექმნილ, ბუნებას თავისი შემოქმედის მცნებანი რომ დაემარხა, მისი მსგავსება შეენარჩუნებინა და არ შთავარდნილიყო აწინდელი წახდენის მდგომარეობაში. ამიტომაც, მოგვიწოდებს რა ჩვენ თავდაპირველი და სრულყოფილის ბუნების აღდგენისაკენ, თვით ჭეშმარიტება დაგვიდებს მცნებად წინ-აღვუდგეთ ხოლმე ხორციელ ჩვეულებებს და შეგვაგონებს, რომ ვერავინ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, თუკი ხორციელ საკრველებს არ მოიძულებს (ლუკა 9. 60, 62; 14. 26). და ეს არავის არ უნდა მოეჩვენოს არაადამიანურ და სასტიკ დადგინებად, იმიტომ, რომ გაცილებით უფრო არაადამიანური და შესაზარია ის მდგომარეობა, როცა ადამიანში ის კი არ გვიყვარს, რაც არის ადამიანი თავისი ჭეშმარიტი არსით, არამედ როცა ის გვიყვარს, რაც არის, ვთქვათ, შვილი[1], ანუ ის კი არ გვიყვარს, რაც ღმერთისაა და საღმრთოს შეეხება, არამედ ის — რაც კაცობრივია და ჩვენ შეგვეხება. მაშ, რა უნდა იყოს გასაკვირი იმაში, რომ ცათა სასუფეველი ვერ დაიმკვიდროს იმან, ვისაც კერძოობითი უყვარს, და არა — საზოგადო?! მაგრამ, — იტყვის ვინმე. — იქნებ ჯობდეს, ერთიც გვიყვარდეს და მეორეც?! არაო, — გვეუბნება ღმერთი. — უმჯობესია ერთის სიყვარული, რამეთუ ჭეშმარიტება სრულის ჭეშმარიტებით გვეუბნება: „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და

---

[1] ამგვარადვე მსჯელობს ნეტარი ავგუსტინე საღმრთო ქადაგების განმარტებისასაც (მათე V, VI და VII თავები), სადაც იგი ამბობს, თუ როგორი სიყვარულით თუ სიძულვილით უნდა იყოს ქმარი აღსებული ცოლისადმი, კერძოდ კი შეგვაგონებს გვიყვარდეს მასში ადამიანი, და გვძულდეს — ქალი, და დასძენს, რომ ეს თანაბრად ეხება მამასაც, დედასაც და სხვა ხორციელ საკრველთაც, ანუ მათშიც უნდა გვძულდეს ის, რასაც კაცთა მოდგმა შობით მიიღებს და სიკვდილით კი — მოაკლდება; ხოლო უნდა გვიყვარდეს ის, რაც ჩვენს სულთან ერთადვე შეგვიძლია თან მივიტანოთ ცათა სასუფეველში, სადაც უკვე აღარავინ იტყვსი — მამაო ჩემოო, არამედ ყოველნი შეპღაღადებენ ერთიან ღმერთს — მამაო ჩვენოო; აქედან გამომდინარე, დასკვნის ნეტარი ავგუსტინე, ჩვენ უნდა გვძულდეს დროისმიერი და ხორციელი საკრველნიო.

სხვაჲ იგი შეიყვაროს...“ (მათე 6, 24). და მართლაც, არავის ძალუძს სრულყოფილად უყვარდეს ის, რისი სიყვარულისა-თვისაც ღმერთი მოგვიწოდებს, — არავის, თუკი ჯერ ყოველივე იმას არ მოიძულებს, რისგან მოშორებასაც იგივე ღმერთი გვიბრძანებს. ხოლო მოგვიწოდებს ღმერთი სრულყოფილ ადამიანურ ბუნებას დავუბრუნდეთ, როგორადაც ის შეიქმნა თავდაპირველად და როგორიც იყო ცოდვით დაცემამდე! გვიბრძანებს კი — განვეშოროთ სიყვარულს ყოველივე იმისა, რაც ცოდვის მიზეზით შეგვიძენია. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვიძულოთ ყოველივე ის, რისი მიზეზითაც თავისუფლება მოგვსურვებია.

მაშ, მოვიძულოთ წარმავალი საკრველები ყოველივე დროებითისა, თუკი ნამდვილად ვართ განძლიერებულნი სიყვარულით საუკუნოისადმი! დაე, ყოველ ადამიანს ისე უყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი თვისი! რა თქმა უნდა, ვერაყინ ვერ იქნება საკუთარი თავისთვის ვერც მამა, ვერც ძე და ვერც მოყვასი თუ სხვა რამ ამის მსგავსი, რამეთუ ყოველი ადამიანი — მხოლოდ ადამიანია საკუთარი თავისთვის. ამიტომ, ვინაც იმგვარადვე უყვარს სხვა ადამიანი, როგორც საკუთარი თავი, იგივე უნდა უყვარდეს მასში, რაც თვით არის საკუთარი თავისთვის. მაგრამ ჩვენი სხეული რადია ის, რაც ჩვენ ვართ საკუთარი თავისთვის, ანუ ჩვენი სხეული არ არის ჩვენი არსი. მაშასადამე, ადამიანში სხეული არ უნდა იყოს ძიებისა და სურვილის საგანი. სწორედ ამ მიმართებით აქვს ძალა საღმრთო მცნებას, რომელიც გვასწავლის: „არა გული გითქუმიდეს ცოლსა მოყუსისა შენისასა, არცა აგარაკსა მისსა, არცა მონასა მისსა, არცა მხევალსა მისსა, არცა ხარსა მისსა, არცა კაჰრაულსა მისსა, არცა ყოველსა საცხოვარსა მისსა, არცა რაოდენი — რაჲ არს მოყუსისა შენისა“ (გამოსვლ. 20, 17). ამ მიზეზისა გამო, ვისაც მოყვასში ის არ უყვარს, რაც თვით არის საკუთარი თავისთვის, — იმას არც ჰყვარებია მოყვასი ვითარცა თავი თვისი. აქედან გამომდინარე, ადამიანური ბუნება თავისთავად უნდა იყოს ჩვენი სიყვარულის საგანი თვინიერ ხორციელი პირობებისა, და ან სრულყოფილებისაკენ მსწრაფველი უნდა იყოს, ანდა — სრულყოფილი. წინაშე ერთი ღმრთისა —

მამისა ჩვენისა ჩვენ ყოველნი ერთნი ვართ, და ერთმანეთის მონათესავენი ვართ ყოველნი, ვისაც კი ნამდვილად გვიყვარს იგი და ვინც კი ნამდვილად აღვასრულებთ მის ნებას. ხოლო ერთმანეთისათვის მამებიც ვართ ყველანი, როცა ერთმანეთს ვურჩევთ რაიმეს, ძენიც, როცა ერთმანეთს ვემორჩილებით; მაგრამ ყველაზე მეტად ერთმანეთისათვის ჩვენ ძმები ვართ, რადგანაც ერთი მამა გვყავს, რომელიც მოგვიწოდებს ერთი სამკვიდროს დამკვიდრებისაკენ.

თავი XLVII

მასზედ, რომ უძლეველი მხოლოდ ის არის, ვინც მოყვასისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს გამოავლენს.

ამრიგად, ყოველივე ამის შემდეგ, რატომ არ უნდა იყოს ადამიანი უძლეველი, თუკი მოყვასში მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ეყვარება, ანუ ქმნილება ღმერთისა, შექმნილი მის მიერ ხატად და სახედ თავისა?! და თუკი ყოველ ადამიანში, ვინც კი უყვარს, დაინახავს სწორედ იმ სრულყოფილ ბუნებას, რომელიც შეჰყვარებია, იმიტომ, რომ თვითონაც მიუღწევია სრულყოფილი ბუნებისათვის?! ასე, მაგალითად, თუკი ვინმეს მშვენივრად მომღერალი ადამიანი უყვარს, არა ესა თუ ის ცალკეული მომღერალი, არამედ საერთოდ — მომღერალი, — მაშინ მას, თუკი ის თვითონაც სრულყოფილი მომღერალია, სურს, რომ სხვანიც, ყოველნი, ასევე მშვენივრად მომღერალნი იყვნენ, რათა ნაკლულევანი არ იყოს ყოველივე იმაში, რაც შეჰყვარებია როგორც თავადაც მშვენივრად მომღერალს. რამეთუ თუკი ის შურით იქნება აღვსებული რომელიმესადმი მშვენივრად მომღერალ ადამიანთაგან, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ მას თვით მღერა კი არ ჰყვარებია, არამედ შექება მღერისათვის, ანდა სხვა რამ, რისი მიღწევაც, მშვენივრად მღერით მოსურვებია, ანუ ყოველივე ის ჰყვარებია, რასაც ნაკლებ მიიღებდა, ანდა სულაც მოაკლდებოდა, თუკი მასზე უკეთესად სხვა ვინმე დაიწყებდა მღერას. ამიტომ, ვისაც შურს მშვენივრად მომღერალი ადამიანისა,

მას არ უყვარს იგი. მაგრამ, მეორე მხრივ, ვისაც სჭირდება კარგად მომღერალი ადამიანი, ის თვით ვერ მღერის კარგად.

ყოველივე ეს გაცილებით უკეთესად შეიძლება წარმოჩინდეს სათნოდ მცხოვრები ადამიანის მაგალითზე, იმიტომ, რომ ესევითარი ადამიანი არავის მიმართ არ აღივსება ხოლმე შურით; რამეთუ რაც სათნო ადამიანებს უპყრიათ და რისთვისაც მიუღწევიათ, ის ამგვარადვე, თანაბარი ზომით არის მისაწვდომი სხვა ყველასთვისაც, ვინც კი ნამდვილად მოისურვებს ამას, და ის არ კლებულობს ხოლმე, თუკი მას ძალზე მრავალნი მოიპოვებენ და მისწვდებიან.

შესაძლებელია ისეც მოხდეს ხოლმე, როცა კარგად მომღერალს არ ძალუძს მღერა, მაგრამ არც თავის ღირსებას ჰკარგავს, ამასთან, საჭიროებს კარგ მღერას სხვა ადამიანისას, რომელიც იმას მიანიჭებს მას, რაც უყვარს. მაგალითად, შეიძლება ის ლხინში იყოს, სადაც მისთვის უჯეროა მღერა, მაგრამ ის სიამოვნებით უსმენს სხვათა სიმღერას, და ეს სულაც არ არის მისთვის უჯერო. სათნოდ ცხოვრება კი, როგორც ვიცით, ყოველთვის ჯეროვანი და საჯურველია. ამიტომაც ყველას, ვისაც სათნოება უყვარს და ცხოვრობს კიდეც სათნოყოფელი ცხოვრებით, არათუ შურს ვინმესი თავის მიმბაძველთაგან, ანუ იმათი, ვისაც ასევე მოსურვებია სათნო ცხოვრება, არამედ დიდის სიხარულით და მეგობრულად შეეწევა მათ, როგორც კი შეუძლია, სათნოების მოპოვებაში. ამასთან, ის არ საჭიროებს მათ, რადგან რაც მათში უყვარს, ის თვითვე აქვს მთელის სისრულით. მაშასადამე, ასეთ ადამიანს უყვარს მოყვასი ვითარცა თავი თვისი და არ შურს მისი, რადგან არც საკუთარი თავისა შეიძლება შურდეს. იგი ყველაფერს აძლევს მოყვასს, რისი მიცემაც შეუძლია, რადგან ამასვე იქმს საკუთარი თავის მიმართაც, და ამავე დროს, ის არ საჭიროებს მოყვასს, რადგან არც საკუთარი თავის საჭიროება შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ საჭიროებს მხოლოდ ერთს ღმერთს, რომელთან თანაზიარობითა და ერთობით ის ნეტარი შეიქნება. ღმერთისაგან მას უკვე ვერაფერი ვერ განაშორებს. ამრიგად, სრულის ჭეშმარიტებით და უეჭველად უძლეველია ის ადამიანი, რომელიც ღმერთს შეუდგება და ყოველივეში მ ი ს ნებას აღასრულებს, ოღონდ ისე კი არა, თითქოს რაღაც გარეგან სი-

კეთეს მოელოდეს მისგან, არამედ იმგვარად შეუდგება ღმერთს, რომ მისთვის აღარ იქნება სხვა სიკეთე და სხვა სიხარული, გარდა ღმერთთან ერთობისა.

სანამ ასეთი ადამიანი ამქვეყნად ცხოვრობს, იგი ყოველივეს თავის სასიკეთოდ იყენებს: ზეგობარს — თავისი კეთილგანწყობის გამოსახატავად, მტერს — მოთმინებაში საკუთარი სულის წვრთნისათვის, სხვას, ვისაც კი მისწვდება — კეთილ საქმეთა მისაგებად, ხოლო ყველას და ყველაფერს კი იმისთვის, რომ თავისი სათნოება წარმოაჩინოს; და თუმცა მას არ უყვარს დროებითი, წარმავალი სიკეთენი, მაინც, ამ სიკეთეთაც ის სწორად, ანუ საკუთარი სულის სასარგებლოდ გამოიყენებს, და ზრუნავს ხოლმე ადამიანებზე მათი ხვედრის შესაბამისად, თუკი ძალი არ შესწევს ყველაზე ერთნაირად იზრუნოს. ამიტომ, თუკი ის მეტის მზადყოფნითა და უფრო ხშირად თავის ახლობელს ესაუბრება, ვიდრე სხვას, — ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ახლობელი და თვისიანი მას სხვაზე მეტად უყვარს, არამედ მხოლოდ იმას, რომ თვისიანისადმი მეტი ნდობა აქვს; თავისი დროებითი საცხოვრებლის კარიც სწორედ მისთვის აქვს ხოლმე ღია უფრო ხშირად, რამეთუ დროს დაქვემდებარებულ ადამიანებს იგი მით უფრო კარგის თვალით უყურებს, რაც უფრო ნაკლებ თვით არის დროს და ყოველივე წარმავალს დაქვემდებარებული. აქედან გამომდინარე, რაკი ერთნაირად სასარგებლო შეუძლებელია იყოს ყველასათვის, ვინც კი უყვარს, ამიტომ, მისი მხრივ სამართლიანიც არ იქნება, თუკი არ ამჯობინებს უპირატესად იმ ადამიანებისათვის იყოს სასარგებლო, რომლებიც სხვებზე მეტად არიან დაკავშირებული მასთან ნათესაური საკრველებით. მაგრამ სულიერი საკრველები მისთვის გაცილებით უფრო მტკიცე და ამაღლებულია, ვიდრე დროისმიერი, ამქვეყნიური სარკველები, რომლებშიც ჩვენ ვიშვებით კიდეც ჩვენს სხეულთან ერთად, ხოლო არსებობს კიდევ უზენაესი საკრველები, რომლებიც ყოველივეზე აღმატებულია. ამიტომაც ამ საკრველებით შეკრული ადამიანი არ მოიწყვლება ვინმეს სიკვდილით, რადგან ვისაც მთელის არსებით უყვარს ღმერთი, მისთვის არ იღუპება ის, ვინც ღმერთისთვის არ იღუპება. რამეთუ ღმერთი არის უფალი ყოველთა — ცხოველთა და მკვდართა. ასეთი

ადამიანი არც უბედური არ არის ხოლმე ვინმეს უბედურებით, რადგან კეთილმსახურიც ის სხვათა კეთილმსახურების წყალობით როდია. და როგორც კეთილმსახურებას და ღმერთს ვერ წაართმევს მას ვერავინ, ასევე ნეტარებასაც ვერავინ წაჰგვრის მას. ხოლო თუკი ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მას აშფოთებს ხოლმე ვინმეს უბედურება, ხიფათის წინაშე დგომა, თუ მწუხარება, მაშინ იგი ცდილობს შეეწიოს გაჭირვებულს, ხელი შეუწყოს შეცდომილის გამოსწორებას, ნუგეში სცეს მწუხარეს, და ამით არაფრით არ შეაჭირვებს საკუთარ თავს.

თავის ყოველ აუცილებელ საქმიანობაში კი იგი შეურყეველია იმის გამო, რომ მტკიცედ სასოებს სიმშვიდესა და მოსვენებას მომავალი საუკუნო ცხოვრებისა. რამეთუ რას ან ვის ძალუძს რაიმე ავნოს ისეთ ადამიანს, რომელსაც თავისი მტერიც კი უყვარს და ყველასთან კეთილი დამოკიდებულება აქვს?! მას არ ეშინია არანაირი მტრობისა, დაცულს ი მ ი ს საფარველით, რ ო მ ლ ი ს მცნების მიხედვით და რ ო მ ლ ი ს ა გ ა ნ ა ც მოღებული ნიჭით მას უყვარს თავისი მტრები. ასეთი ადამიანი არათუ არ მწუხარებს ჭირთა და უბედურებათა ჟამს, არამედ ყოველთვის მხნედაა და განიხარებს კიდეც, რაკი უწყის „რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაჲ — გამოცდილებასა, და გამოცდილებაჲ — სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ სიყვარული ღმრთისაჲ განუყოფელ არს გულთა შინა ჩვენთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ არს ჩვენდა“ (რომ. 5, 3—5). მაშ, განა შეიძლება ვინმემ რაიმე ავნოს ასეთ ადამიანს?! ვის ძალუძს დაიმორჩილოს ესევითარი?! ის ადამიანიც, კეთილ გარემოებათა წყალობით წარმატებულობას რომ აღწევს, სწორედ უბედურებათა დახმარებით განისწავლება ამისთვის. რამეთუ როცა წარმავალი სიკეთენი უხვად აქვს, მაშინ არ აფასებს მათ, ხოლო როცა მოაკლდება ამ სიკეთეთ, მხოლოდ მაშინ შეიტყობს ხოლმე, შებორკილებული იყო თუ — არა მათი საკრველებით. ძალზე ხშირად, როცა გვაქვს ისინი, ჩვენ გვგონია, რომ არ გვიყვარს ეს სიკეთენი, მაგრამ როგორც კი მოვაკლდებით მათ, უმალ ვგებულობთ, თუ რანი ვყოფილვართ სინამდვილეში. რამეთუ რაც ისე გვტოვებს, რომ მწუხარებას არ გვგვრის, ის ჩვენს ხელთ ყოფნისასაც არ იმონებს

ჩვენს გულს. ამრიგად, მოჩვენებითად იმარჯვებს (სინამდვილეში კი დამარცხებულია) ის, ვინც (ამქვეყნად) ამაღლებით მოიპოვებს იმას, რისი დაკარგვაც ძას მწუხარებას მოჰგვრის; ხოლო სინამდვილეში იმარჯვებს (თუმცა კი გარეგნულად დამარცხებულია) ის, ვინც დათმობითა და უარისყოფით მოიპოვებს იმას, რასაც ხალისით მოაკლდება ხოლმე.

თავი XLVIII

მასზედ, თუ რა არის სრულყოფილი კეთილმსახურება.

ამრიგად, ვისაც თავისუფლება იზიდავს, ის, დაე, იმას ესწრაფვოდეს, რომ გათავისუფლდეს ყოველგვარ წარმავალ სიკეთეთაგან; ხოლო ვისაც მეუფების სურვილი იზიდავს, ის, დაე, მორჩილი იყოს ერთი მეუფისა, ყოველთა მპყრობელი ღმერთისა, და დაე, უყვარდეს იგი უმეტეს საკუთარი თავისა! — სწორედ ეს არის სრულყოფილი კეთილმსახურება, რომლის ძალითაც უდიდესი ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს, კნინი კი — ნაკლებად. ჭეშმარიტი სიბრძნით აღვსილი და სრულყოფილი სული, დაე, ისეთი უყვარდეს, როგორსაც ხედავს, უგნური სული კი, დაე, იმიტომ კი ნუ უყვარს, რომ ის ამგვარია, არამედ იმისთვის უყვარდეს, რომ მასაც შეუძლია ჭეშმარიტი სიბრძნით აღივსოს და სრულყოფილი გახდეს. საკუთარი უგნურება კი, დაე, ნურავის ნუ უყვარს; რამეთუ ვისაც თავისი უგნურება შეჰყვარებია, ის ვერ ამაღლდება ჭეშმარიტ სიბრძნემდე. და ვერც ვერავინ შეიქნება ისეთი, როგორიც სურს გახდეს, თუკი პირველად არ მოიძულებს საკუთარ თავს ისეთს, როგორიც არის. მაგრამ ვიდრე სიბრძნესა და სრულყოფილებას მიაღწევდეს, მანამდე, დაე, ისეთივე გრძნობით დაითმინოს მოყვასის უგნურება, როგორითაც საკუთარ უგუნურებას დაითმენდა, უგნური რომ ყოფილიყო, და დაე, მხოლოდ სიბრძნე უყვარდეს. მაშასადამე, ამპარტავნება მხოლოდ აჩრდილია ჭეშმარიტი მეუფებისა და ჭეშმარიტი თავისუფლებისა; ღვთაებრივი განგებულება მისი მეშვეობით შეგვახსენებს ხოლმე ,თუ რა მანკიერებითა ვართ აღვსილნი და რას უნდა დავუბრუნდეთ — სწორსა და კეთილმსახურს.

თავი XLIX

ცნობისწადილისათვის, ანუ მასზედ, თუ ამ მანკიერებით როგორ აღვიძვრით ჭეშმარიტების შესაცნობად.

დაბოლოს, ყველა სახის სანახაობა თუ ყოველგვარი, ეგრეთ წოდებული, ცნობისმოყვარეობა სხვას რას უნდა ეძებდეს, თუ არ საგანთა ხილვით მიღებულ სიამოვნებას? მაგრამ რა შეიძლება იყოს ჭეშმარიტებაზე უფრო საკვირველი და მშვენიერი, რომელსაც, უეჭველია, ესწრაფვის კიდეც ყოველი მნახველი, ყურადღებით რომ იმზირება, რათა არ მოტყუვდეს, და თავიც მოჰქონდეს, თუკი სანახაობაში რაიმეს სხვებზე უმალ, და ცოცხლად შენიშნავს? კვალად, ყურადღებითა და დიდის სიფრთხილით აკვირდებიან ხოლმე მჩხიბავსაც, რომელიც სხვას არაფერს იქმს, თუ იმას, რომ გვატყუებს; და თუკი ამ ტყუილზე წამოვეგებით ხოლმე, ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ თვით არ შეგვიძლია იმის მოქმედება, რასაც მჩხიბავი აკეთებს, ანდა თავს შევიქცევთ იმ ადამიანის ხელოვნებით, რომელიც გვატყუებს. რამეთუ თვით მან რომ არ იცოდეს, ანდა სხვებს მიაჩნდეთ, რომ მან არ იცის ის, რასაც, საკუთრივ, შეჰყავს კიდეც მნახველნი შეცდომაში, მაშინ ამ მატყუარას არც არავინ დაუკრავდა ტაშს. ხოლო თუკი მაცქერალთაგან ვინმე ამხელს მჩხიბავს და გამოააშკარავებს მის სიცრუეს, მაშინ ესევითარი საკუთარ თავს უფრო მეტი შექების ღირსად მიიჩნევს, ვიდრე მჩხიბავს სწორედ იმის გამო, რომ არ მოტყუვდა და მის ანკესზე არ წამოეგო. ხოლო თუკი მჩხიბავს მრავალნი ამხელენ, უკვე მას კი არ აქებენ, არამედ სხვებზე, მოტყუებულებზე იცინიან, რომელიც არ შეეძლოთ მის მანქანებათა გამოცნობა. ამგვარად, გამირჯვება ცოდნას, ხელოვნებასა და ჭეშმარიტების გამოცნობის ძალს რჩება, იმ ჭეშმარიტებისა, რომელსაც ვერაფრით ვერ მისწვდებიან ის ადამიანები, სადღაც გარეშეში რომ ეძიებენ მას (და არა თვით საკუთარ არსებაში, თავის სულში).

ამრიგად, ასეთ უსაგნო წვრილმანებსა და სისაძაგლეებში ჩვენ იმ ზომამდე ჩავეფლობით ხოლმე, რომ თუმცა კი შეკითხვაზე — რომელია უმჯობესი — ჭეშმარიტება თუ სიც-

რუეო, — ერთხმად გავიძახით, უმჯობესი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ამაო თავშესაქცევთ და თამაშობებს, რომლებშიც ჭეშმარიტით კი არ დავსტკბებით, არამედ მოჩვენებითით, ჩვენ უფრო მეტის ხალისით მივეცემით ხოლმე, ვიდრე თვით ჭეშმარიტების მცნებებს. ამგვარად, ჩვენ განვისჯებით ხოლმე ჩვენივ საკუთარი სამსჯავროთი და ჩვენივ საკუთარი ბაგეებით, რადგან გონებით ერთს რასმე ვიწონებთ, ხოლო ჩვენივ ამაოებით სხვას რასმე შევდგომივართ. თავშესაქცევია ხოლმე და სასაცილო რაიმე მხოლოდ მანამდე, სანამ ჩვენ ვიცით, თუ რომელი ჭეშმარიტების მიბაძვას წარმოადგენს იგი და რა არის მასში დასაცინი. მაგრამ რაკი შევიყვარებთ ამგვარ თავშესაქცევთ, ჩვენ განვეშორებით ჭეშმარიტებას, და უკვე აღარ ძალგვიძს გულისხმის-ყოფა იმისა, თუ რომელ საგნებს ჰბაძავენ ისინი, რომელთაც ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მშვენიერ პირველსახეთ და რომელთაგანაც განშორებით ჩვენ საკუთარ მოჩვენებებსა თუ აჩრდილებში დავინთქმებით. სწორედ ეს აჩრდილები აღმოცენდებიან ხოლმე, როცა ჩვენ ჭეშმარიტების ძიებას შევუდგებით, და ხელს გვიშლიან გზა განვაგრძოთ; ეს აჩრდილები თუ მოჩვენებანი განცხადებული, აშკარა ძალით კი არ უქადიან ძლევას თავის მონებს, არამედ დიდი ფარული ბორკილებით ემუქრებიან იმათ, რომელთაც არ უწყიან, თუ რა ღრმა მნიშვნელობა აქვს მოციქულის სიტყვებს, რომელიც შეგვაგონებს: „დაიცვენით თავნი თვისნი კერპთაგან!"-ო (I იოანე 5, 21).

ყოველივე ამის გამო ერთნი ცარიელი, უსაგნო აზრებით უთავბოლოდ მიმოდიოდნენ უთვალავ სამყაროთა შორის; სხვანი ფიქრობდნენ, რომ, თითქოს, ღმერთს არ ძალუძს სხვა რაიმე იყოს, თუ არ რაღაც ცეცხლოვანი სხეული; მესამენი თავიანთი აჩრდილებისა თუ მოჩვენებების გამო ზღაპარსიტყვაობდნენ, თითქოს ღმერთი არის რაღაც ნათლის ბრწყინვალება, გადაღვრილი ყოველგნით დაუსრულებელი სივრცისა, მაგრამ თავის ერთ წერტილში, თითქოსდა, გახლეჩილი თავისებური შავი სოლით, — ამგვარად ზღაპარსიტყვაობდნენ ისინი, რადგანაც წარმოდგენილი ჰქონდათ ორი მტრული (აბსოლუტური), მეუფება, და ყოველი საგნისათვის დაადგენდნენ ორ მტრულ დასაბამს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს, თითქოს ყოვე-

ლივე არსებული მომდინარეობს რაღაც ორი, ერთმანეთის მოპირისპირე მიზეზიდან. და თუკი მე მათ ვაიძულებდი დაეფიცათ, დანამდვილებით იცით თუ არა-მეთქი, რომ რასაც ამტკიცებთ, ჭეშმარიტებაა, — მათ ეგების ვერც გაებედათ დაფიცვა, მე კი, თავის მხრივ, ალბათ, მეტყოდნენ: „მაშ, შენ გვიჩვენე ის, რაც ჭეშმარიტიაო". პასუხად მხოლოდ ის რომ მიმეგო, — ის ნათელი ეძიეთ, რომლის დახმარებითაც თქვენთვის განცხადებულია და ცნობილია, რომ სხვა საქმეა — რწმენა რამისა, და სულ სხვა რამ — გულისხმის-ყოფა-მეთქი, — ამ შემთხვევაში მათაც შეეძლებოდათ დაეფიცათ — ასეთი ნათლის ხილვა არც გრძნობისმიერი თვალებით შეიძლება, და არც მისი გონებით მოაზრებაა შესაძლებელი განსაზღვრულ სივრცობრივ გრძლიობასთან დაკავშირებითო, რადგან ეს ნათელი ყოველგან ჰგიებს და ყოველგნით მოელის თავის მაძიებელთ, და რომ მასზე უეჭველი და მასზე უცხადესი სხვა არაფერი არ არსებობსო.

ყოველივე ეს, რაც ახლა გონებისმიერი ნათლის შესახებ ვთქვი, ჩვენთვის, ისევ და ისევ, ცხადია სწორედ ამ ნათლისავე წყალობით არა სხვა რამ მიზეზით, რამეთუ მისი საშუალებით ვიგებ, რომ ნათქვამი — ჭეშმარიტია, და ის გარემოებაც, რომ მე მესმის ეს, ასევე ამ ნათლის საშუალებით მესმის. მე მესმის, რომ ეს „ისევ და ისევ" უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს, რამეთუ ყველას ესმის, რომ რაღაც მისთვის გასაგებია, დაე, თუნდ ეს გამოთქმაც — „ისევ და ისევ"; და მე მესმის, რომ ამ უსასრულობაში არავითარი მანძილი არ არის, მისაწვდომი რომელიმე აღძვრისა თუ სისწრაფისათვის; დაბოლოს, ისიც მესმის, რომ შემიძლია რამის გაგება მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუკი ცოცხალი ვიქნები, და ამით, ანუ გაგებით მე კიდევ უფრო ცხოველიშევიქნები. რამეთუ საუკუნო ცხოვრება აღემატება დროსმიერ ცხოვრებას თავისი ცხოველმყოფლობით, ხოლო იმას, თუ რა არის საუკუნოობა, მე შევიმეცნებ მხოლოდ ჩემი უნარით გულისხმის-ყოფისა, ძალით გაგებისა. ჩემი გონებისმიერი მზერით მე გამოვყოფ საუკუნოისაგან ყოველგვარ ცვალებადობას, და თვით საუკუნოობაში არ განვარჩევ არავითარ გრძლიობას დროისა, რადგანაც დროისმიერი გრძლიობანი საგანთა გარდასულ თუ მომავალ

ცვალებათაგან შესდგება. ხოლო საუკუნოებაში არ არსებობს არც წარმავალი და არც მომავალი, რამეთუ რაც წარვალს, ის წყვეტს არსებობას, ხოლო რაც მომავალში უწდა იყოს, იმას ჯერ არ დაუწყია არსებობა. საუკუნო — მხოლოდ არსებობს, — იგი არ ყოფილა, თითქოს უკვე აღარ არსებობდეს, და არც იქნება, თითქოს ჯერ არ არსებობს. ამიტომაც მხოლოდ მას, საუკუნოს, შეეძლო სავსებით სამართლიანად ეთქვა ადამიანური გონებისათვის: „მე ვარ ღმერთი მყოფი, რომელი ვარ", და სწორედ მასზე, საუკუნოზე, შეიძლებოდა სრულის ჭეშმარიტებით ყოფილიყო ნათქვამი ეს სიტყვებიც საღმრთო წერილისა: „რომელ იგი არს, მან მომავლინა მე თქვენდა" (გამოსვლ. 3, 14).

თავი L

მნიშვნელობისათვის საღმრთო წერილისა და მისი განმარტებებისა; ოთხი სახის ალეგორიისათვის (საღმრთო წერილისა).

თუკი ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს საუკუნოება შევიმოსოთ და მარადიულნი შევიქნათ, მაშინ ის მაინც მოვახერხოთ, რომ საკუთარი აჩრდილები და მოჩვენებანი მოვიძულოთ და განვიშოროთ ჩვენი გონებისმიერი მზერისაგან ამგვარი კნინი და მომატყუებელი თავშესაქცევნი. ვისარგებლოთ იმ გზებით, რომელთა დადგენაც ჩვენთვის საუნო-იყო ღვთაებრივმა განგებულებამ. რამეთუ მეტისმეტად დავტკბებოდით რა თავშესაქცევი გამონაგონით, ჩვენ ამაოების მოქმედნი შევიქენით ჩვენს ზრახვათა შორის და მთელი ჩვენი ცხოვრება თითქოსდა რაღაც უსაგნო სიზმრად გადავაქციეთ. ამიტომაც გამოუთქმელმა ღვთაებრივმა მოწყალებამ, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი გონიერი ქმნილება თავის შესაბამის კანონს ემორჩილება, სათნო-იყო ჩვენი სიყრმე, ასე ვთქვათ, იგავებითა და შედარებებით შეექცია, გადმოცემულით ბგერებისა და ასოების მეშვეობით, აგრეთვე ცეცხლის, კვამლის, ღრუბლისა და (ცეცხლოვანი) სვეტის მეშვეობით, — ამ, თავისებურად ხილული სიტყვების მეშვეობით, და ამგვარი წარმავალი საგ-

ნებით ინება განკურნვა ჩვენი შინაგანი თვალების სიბრმავისა.

ამრიგად, რაკი არ ვიცით, მაგრამ გვწამს, რომ ჭეშმარიტება არსებობს, გავარკვიოთ ჩვენთვის შემდეგი: როგორი ნდობით უნდა მოვეკიდოთ ისტორიას, და როგორით — გონიერებას, და რა უნდა აღვიბეჭდოთ მეხსიერებაში? სად არის ჭეშმარიტება, რომელიც არც მოდის და არც წარვალს, არამედ მარადის უცვალებელი ჰგიებს? ალეგორიის განმარტების რომელ სახეს, რომელ ხერხს მივსდიოთ, იმ ალეგორიისა, რომელიც, როგორც ჩვენ გვწამს, სულიწმიდის სიბრძნით არის გამოთქმული? — საკმარისია, თუ არა, რომ ხილულისაგან და უფრო ძველისაგან მას მივაკუთვნებდეთ ასევე ხილულისადმი, მაგრამ უფრო ახლისადმი? თუ სულის ბუნებასა და სულიერ მოძრაობებს უნდა მივაკუთვნოთ იგი? ან იქნებ უცვალებელ საუკუნოებას უნდა მივაკუთვნოთ? როგორი მნიშვნელობა აქვთ ამ ალეგორიებს: ერთთ — ხილულ მოქმედებათა მნიშვნელობა, სხვათ — სულიერ (უხილავ) მოძრაობათა მნიშვნელობა, მესამეთ — საუკუნო სჯულის მნიშვნელობა, თუ არსებობს იმგვარი ალეგორიებიც, რომლებშიც ყოველივე ეს ერთობლივ უნდა ვეძიოთ? რომელი რწმენაა უფრო მტკიცე — ისტორიული და დროისმიერი, თუ სულიერი და საუკუნო? ამ რწმენათაგან რომლისადმი უნდა იყოს მიმართული ყოველგვარი განმარტება ავტორიტეტისა? რა უწყობს ხელს გულისხმის-ყოფას და მიღწევას საუკუნოისა, რაშიც მდგომარეობს კიდეც მიზანი ყოველ ქველის-საქმეთა, და რაც არის კიდეც სარწმუნოობა ყველა დროისმიერი საგნისა? რა განსხვავება არსებობს ისტორიულ, ფაქტიურ ალეგორიასა, სიტყვისმიერ ალეგორიასა და საიდუმლოების ალეგორიას შორის? როგორ უნდა გავიგოთ ხოლმე თვით სიტყვა (ენა) საღმრთო წერილისა იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, ყოველ ცალკეულ ენას რომ ახასიათებს? რამეთუ ყოველ ცალკეულ ენაში არსებობს მხოლოდ ამ ენისათვის დამახასიათებელი ისეთი გამოთქმები, რომელთა პირდაპირი თარგმნა სხვა ენებზე უაზრობად აქცევს მათ. რას ეშსახურება იმგვარი დაკნინება სიტყვათგამოხატვისა, როცა საღმრთო წიგნებში ღმერთთან დაკავშირებით გვხვდება ხოლმე არამხოლოდ ისეთი გამო-

ნათქვამები, რომლებიც გვეუბნებიან მ ი ს რისხვაზე, მწუხარებაზე, ძილისაგან აღდგომაზე, მეხსიერებაზე, დავიწყებაზე, და სხვა ამგვარზე, არამედ ისეთიც, რომლებიც გვაუწყებენ — ჩაფხუტი, საჭურველი, ფარი, სარტყელი და სხვა ამისთანაზე? უნდა მივაკუთვნებდეთ, თუ-არა ადამიანური სხეულის ხილულ ფორმებს საღმრთო წერილში მოხსენიებულ ღმერთის თვალებს, ხელებს, ფერხებ და სხვას მისთანათ? თუ, იქნებ, ეს ყოველივე აღნიშნავს გონიერ და სულიერ ძალებს, მსგავსად საღმრთო წერილისავე ისეთი გამონათქვამებისა, როგორიცაა — ჩაფხუტი, საჭურველი ფარი, სარტყელი და სხვა ამის მსგავსი? და — რაც ყველაზე მეტად იმსახურებს იყოს ჩვენი კვლევა-ძიების საგანი — რა მიმართებით არის კაცთა ძოდგმისათვის სასარგებლო ის გარემოება, რომ ღვთაებრივი განგებულება სწორედ ამგვარად, და არა სხვა სახით გვესიტყვებოდა ჩვენ გონიერი, შობილი და სხეულებრივი ქმნილების საშუალებით, იმ ქმნილებისა, რომელიც მ ი ს ი მსახური იყო?

აი, მხოლოდ ეს, ზემოჩამოთვლილი საკითხები თუ იქნება ძოკვლეულ-მოძიებული ჩვენს მიერ ჯეროვნად, მაშინ ჩვენი სული მთლიანად გათავისუფლდება ყოველგვარი ბავშვური თავქარიანობისა და უგნურებისაგან[1], და მასში, ჩვენს სულში, ჭეშმარიტი, უნათლესი სარწმუნოება დაისადგურებს.

თ ა ვ ი I.I

მასზედ, რომ საღმრთო წერილის კვლევა-ძიება ცნობისწადილის განკურნვას ემსახურება.

ამრიგად, განვაგდოთ ჩვენგან სახიობური თუ პოეტური აბდაუბდანი, და ვასაზრდოოთ და ღავარწყულოთ სული ჩვენი საღმრთო წერილის განხილვითა და განმარტებით, — ის სული, რომელიც მოიწყლვის შიმშილიოა და წყურვილით ცარიელი, უსაგნო ცნობისწადილისაგან, და რომელიც ამაოდ ისწ-

[1] აქაც ნეტარი ავგუსტინე მანიქეველთა შეცთომილებას გულისხმობს, რომელნიც მეტად აგდებულად უყურებდნენ ძველი აღთქმის წიგნებს საღმრთო წერილისა.

რაფვის განიახლოს თავი და ისაზრდოვოს ცარიელი აჩრდილებითა თუ მოჩვენებებით, თითქოსდა სხვადასხვა ნუგბარი სასუსნავითა; მოვიძიოთ საღმრთო წერილი — აი, ჭეშმარიტად, თავისუფალი და კეთილშობილი სკოლა, რომელშიც ჩვენ ჯანსაღ და ჯეროვან აღზრდა-განათლებას მივიღებთ, თუკი ჩვენ გვატკბობს სანახაობათა საკვირველება და ხიბლი, მაშინ ვეცადოთ აღვივსოთ ხოლმე იმ სიბრძნით, ძლიერად რომ განეფინება კიდით კიდემდე ქვეყანისა და ყოველივეს ჩვენდა სასიკეთოდ განაგებს (სიბრნე სოლომ. 8,1). რამეთუ რა შეიძლება იყოს უფრო საკვირველი, ვიდრე უსხეულო ძალაა, რომელმაც შეჰქმნა კიდეც სხეულებრივი სამყარო და რომელიც განაგებს კიდეც მას?! ანდა რა არის იმ ძალაზე უფრო მშვენიერი, რომელიც აწესრიგებს და შეამკობს ამა ქვეყანას?!

თავი LII

მასზედ, რომ ცნობისწადილი და სხვა მანკიერებანი საბაბად შეიქნება ხოლმე სათნოებათა მოსაპოვებლად.

ხოლო თუკი ყოველნი შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ ეს ყოველივე სხეულით შეიგრძნობა, სული კი — სხეულზე უმჯობესია, მაშინ განა სული თავისთავად არაფერს არ ჭვრეტს? ანდა განა მის მიერ დანახული რამ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა გაცილებით აღმატებული და ამაღლებული სხვა ყოველივეზე?! უფრო მეტიც, როცა ჩვენი განსჯის საგანი იმისაკენ გვიბიძგებს, რომ შევიმეცნოთ, თუ რა არის უზენაესი საფუძველთ საფუძველი ჩვენი ყოველი განსჯისა, და როცა ხელოვნების ნაწარმოებთაგან თვით კანონს მივექცევით ყოველი ხელოვნებისა, მაშინ ჩვენ გონებით ვჭვრეტთ იმ სახეს, რომელთან შედარებითაც საძაგელი და უსახური გვეჩვენება ყველაფერი, რაც მხოლოდ ღმერთის სახიერებით არის მშვენიერი, „რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისოჲ ძალი მისი და ღმრთეებაჲ“... (რომ. 1, 20). სწორედ ამაში მდგომარეობს დროებითისაგან საუკუნოისადმი დაბრუნება და ძველი კაცის ცხოვრების გარდასახვა — ახალი

კაცის ცხოვრებად, ანუ საუკუნო ცხოვრებად. და განა შეიძ-
ლება რამე არსებობდეს ისეთი, რაც სათნოებათა მოსაპოვებ-
ლად არ უბიძგებს ადამიანს, თუკი თვით მანკიერებანიც კი
ამისთვისვე აღძრავენ მას?! რამეთუ სხვას რას ეძიებს ცნო-
ბისწადილი, თუ არ შეცნობას იმისას, რაც არ შეიძლება სარ-
წმუნოდ იქნას შეცნობილი, ანუ შეცნობას იმისას, რაც საუკუ-
ნოა და მარადის უცვალებლად ჰგიებს?! ანდა სხვას რას მი-
ესწრაფვის ამპარტავნება, თუ არ ძლიერებას, რაც არის მოქ-
მედების სიმსუბუქე და დაუბრკოლებლობა, — იმ ძლიერე-
ბას, რომელსაც მხოლოდ ღმერთისადმი ყოვლად მორჩილი
სული მოიპოვებს, უზენაესი სიყვარულის ძალით მისი მე-
უფებისაკენ რომ იქნება მიქცეული?! ანდა სხვას რას მიეს-
წრაფვის გულისთქმა ხორცისა, თუ არ სიმშვიდეს და მოსვენე-
ბას, რომელიც მხოლოდ მაშინ დაისადგურებს, როცა აღარ იქ-
ნება არავითარი წაკლულევანება და არავითარი წახდენა?!
აქედან გამომდინარე, ჯერ-არს გვეშინოდეს ჯოჯოხეთის უფსკ-
რულისა, ანუ უმძიმესი სასჯელებისა აწინდელი ცხოვრების
დასრულების შემდგომ, რამეთუ იქ, ჯოჯოხეთის უფსკრულში
არ არის არავითარი განსჯა თუ ფიქრი; და არ არის იმიტომ,
რომ იქ ადამიანს აღარ განანათლებს „ნათელი ჭეშმარიტი, რო-
მელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად"
(იოანე 1, 9). ამიტომაც ნუღარ ვყოვნით, და ვიდოდეთ, ვიდ-
რეღა დღე არს, რათა ბნელს არ ვეწიოთ და არ დავიღუპოთ!
მაშ, ვიჩქაროთ, რათა განვთავისუფლდეთ მეორე სიკვდილისა-
გან (გამოცხ. 20,6; 21,8), რომელშიც აღარავინ მოგვიწოდებს
ღმერთისაკენ, და რათა განვთავისუფლდეთ ჯოჯოხეთისაგან,
რომელშიც უკვე აღარავინ იქნება აღმსარებელი ღმერთისა!
(ფსალმ. 6, 6).

თავი LIII

მასზედ, რომ გონიერ და უგნურ ადამიანთა მიზნები განსხვავებულია.

მაგრამ საწყალობელი ადამიანები, რომელთა შეხედულე-
ბითაც შეცნობილს რასმე ფასი არა აქვს და რომელთაც მეტად
უხარით სიახლე, უფრო მეტის ხალისით სწავლობენ ხოლმე,

ვიდრე შეიმეცნებენ, თუმცა კი ყოველგვარი სწავლის საბოლოო მიზანიც ხომ შემეცნებაა! ხოლო ისინი, რომელთათვისაც მნიშვნელობა არა აქვს ისეთს სიმსუბუქეს მოქმედებისას, არაფრით რომ არ დაბრკოლდება, — ასეთნი უფრო მეტის ხალისიდ იბრძვიან ხოლმე, ვიდრე იმარჯვებენ, თუმცა კი ყოველი ოთაბრძოლის საბოლოო მიზანიც ხომ გამარჯვებაა! და ბოლოს ისინი, რომელთათვისაც ფასი არა აქვს სხეულებრივ სიჯანსაღეს, ამჯობინებენ ჭამონ ხოლმე, ვიდრე დანაყრებულნი იყვნენ, მოიხმარდნენ შვილთა შობის ორგანოებს, ვიდრე არ განიცდიდნენ მსგავს აღძვრას; და ისეთნიც კი მოიპოვებიან, რომელნიც ამჯობინებენ იძინონ ხოლმე, ვიდრე მღვიძარენი იყვნენ, თუმცა კი საბოლოო მიზანი ამ სიამოვნებათა ის არის, რომ მეტად აღარ ვგრძნობდეთ შიმშილსა თუ წყურვილს, მეტად აღარ ვინდომებდეთ ხორციელ შეერთებას და აღარც დაღლას განვიცდიდეთ.

ამიტომაც ის ადამიანები, რომელთაც სწორედ ეს საბოლოო მიზანი აქვთ დასახული სასურველად, პირველ ყოვლისა ცნობისწადილს განიშორებენ თავისაგან და უეჭველად აღიარებენ იმ ცოდნას, თვით მათში რომ ძევს, ამასთან იმ ზომით დატკბებიან ამ ცოდნით, რამდენაღაც ეს ამქვეყნიურ ცხოვრებაშია შესაძლებელი. კვალად, ამგვარი ადამიანები თავისაგან განაგდებენ სიჯიუტესაც, და შეიძულებენ სიადვილეს, დაუბრკოლებლობას მოქმედებისა, რადგან უწყიან, რომ უფრო დიდ და ადვილ გამარჯვებას მაშინ მიაღწევენ, როცა არ შეეწინააღმდეგებიან სხვათა სიფიცხეს. და ბოლოს, რამდენადაც ეს აწინდელ ცხოვრებაშია შესაძლებელი, ისინი სხეულებრივ მოსვენებასაც შეიგრძნობენ, რაკი თავს განიკრძალავენ ყოველივე იმისაგან, რის გარეშეც შესაძლებელია ესე ცხოვრება განვლიოთ. ამგვარად შეიგრძნობენ ისინი, თუ რა სიტკბოების მომნიჭებელია უფალი (მათთვის უკვე აღარ იქნება ეჭვი იმისა, თუ რა იქნება ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდგომ) და ასე ისაზრდოვებენ მხოლოდ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით თავიანთი სრულყოფილებისა. ხოლო აწინდელი ცხოვრების დამთავრების შემდეგ სრულ-იქმნება ჩვენი შეცნებაც, რამეთუ აწ ჩვენ ნაწილობრივ შევიმეცნებთ და გულისხმა-ვჰყოფთ, ხოლო როცა დადგება სუფევა სრულყოფილე-

ხისა, მაშინ ეს ნაწილობრივი შემეცნება განქარდება, და დამყარდება სრული მშვიდობა; რამეიუ როგორც პავლე მოციქული ამბობს, „ვხედავთ სხვასა სჯულსა ასოთა შინა ჩვენსა, რომელი-იგი წინა-განეწყვეტის სჯულსა მას გონებისა ჩვენისასა და წარგვტყუენავს ჩვენ სჯულითა მით ცოდვისაჲთა, რომელი-იგი არს ასოთა შინა ჩვენთა... ვინ გვიხსნნეს ჩვენ ხორცთა ამათგან ამის სიკვდილისაგან? — ხოლო ეჰმადლობთ ღმერთსა ქრისტე იესუის მიერ, უფლისა ჩვენისა“ (რომ. 7, 23—25), რომელიც გვიხსნის ამისაგანაო; და ასე იმიტომაა, რომ ვიდრე გზაში ვართ ამ ჩვენს მოწინააღმდეგესთან ერთად, ჩვენ ბევრ რამეში ვეთანხმებით ხოლმე მას. ხოლო როცა სრულყოფილება დადგება ,მაშინ სხეულში სრული სიმართლე დაისადგურებს, არ ექნება არავითარი საჭიროება და არც არავითარი დაღლილობა შეიპყრობს მას, რამეთუ ეს ჩვენი ხრწნადი ხორცი, შესაბამის დროს და ჯეროვანი წესით შეიძენს უხრწნელებას და უკვდავებით შეიმოსება, როცა ასრულდება მკვდრეთით აღდგომა ყოველთა მკვდარეულთა. და გასაკვირიც არ არის, რომ ყოველივე ეს იმ ადამიანებს მოემადლება, რომელთაც თავიანთი შემეცნებით მხოლოდ ჭეშმარიტება უყვართ, თავიანთი მოქმედებებით — მხოლოდ მშვიდობა, თავიანთ სხეულში კი — მხოლოდ სიმართლე. ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდგომ კი ამ ადამიანთათვის უკვე აღსრულდება და სრულყოფილი შეიქნება ყოველივე ის, რაც მათ ყველაზე მეტად შეჰყვარებიათ აწინდელ ცხოვრებაში.

თავი LIV

მასზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ სასჯელთ განკითხულ ადამიანთა მანკიერებათათვის.

აქედან გამომდინარე, ყველა იმ ადამიანის ხვედრი, ვინც ცუდად მოიხმარს გონების ძალს — ამ დიდ სიკეთეს, რაკი ჭეშმარიტების სანაცვლოდ ხილულს ეძიებს, რაც მხოლოდ შეხსენება უნდა იყოს მათთვის იმისა, რომ ისინი გონიერს უნდა შეიმეცნებდნენ და გონიერი უნდა უყვარდეთ, — ყველა ასეთი ადამიანის ხვედრი უკუნი წყვდიადი იქნება, საუკუნოდ

რომ მოიცავს მათ. რამეთუ დასაბამი ამ წყვდიადისა არის ხორციელი სიბრძნის-მეტყველება და უძლურება სხეულებრივი გრძნობებისა. ის ადამიანები კი, რომელთაც ბრძოლა ატკბობთ, მოკლებული იქნებიან მშვიდობას, და მოიწყვლებიან უდიდესი შეჭირვებით, რამეთუ ყოველგვარი ომი და ორთაბრძოლა და უბედურებათა დასაბამი შეიქნება ხოლმე. სწორედ ამას ნიშნავს, როგორც მე ვჰგონებ, ხელ-ფეხის შეკვრა კაცისათვის და მისი განგდება გარეკნელის ბნელში, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა (მათე 22,13); ანუ ხელ-ფეხის შეკვრა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მოაკლდება ყოველგვარ სიმსუბუქეს და დაუბრკოლებლობას მოქმედებაში. და ბოლოს, იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ ჰშიოდეთ და სწყუროდეთ, აღსთებულნი იყვნენ ხორცის გულისთქმით და დაიღლებოდნენ, რათა სიამოვნებით ჭამდნენ და სვამდნენ, სიამოვნებით უერთდებოდნენ სხვა სხეულებს და სიამოვნებითვე იძინებდნენ, — ასეთ ადამიანებს ის ნაკლოვანება შეჰყვარებიათ, რომელიც დასაბამად შეიქნება მათთვის უდიდესი მწუხარებისა. ამრიგად, მათთვის აღსრულდება და ახდება ის, რაც უყვართ, რათა იქ იყვნენ საუკუნოდ, სადაცა არის ტირილი და კბილთა ღრჭენა.

მრავალი ისეთი ადამიანიც არსებობს, რომელთაც ყველა ეს მანკიერება ერთიანად უყვართ და რომელთა ცხოვრებაც ის არის, რომ ისინი სანახაობებით შეიქცევენ თავს, კამათობენ, ჭამენ, სვამენ, ისიძვიან სხვადასხვა ქალებთან, იძინებენ ხოლმე და თავიანთ აზრს მხოლოდ საკუთარ აჩრდილებზე აჩერებენ, რომელთაც სწორედ ასეთი ცხოვრება აღმოაცენებს, და გამოდიან რა მათი ცრუ ხასიათიდან, ადგენენ ცრუმორწმუნეობით აღსავსე უკეთურ წესებს, რომლებითაც თავს იტყუებენ და რომლებზეც მთლიანად დამოკიდებულნი არიან მაშინაც კი, როცა ხორციელ საკთურთაგან თავის შეკავებას ცდილობენ. ისინი ცუდად მოიხმარენ მათთვის ბოძებულ ნიჭს — გონების სიმახვილეს, რომლითაც, ალბათ, ყველანი არიან დაჯილდოებულნი; ეგრეთ წოდებული მეცნიერები, მახვილგონიერები თუ ხუმარანი; ტილოში შეხვეულსა თუ მიწაში დაფლულს ინახავენ ისინი ამ თავის სიმდიდრეს, ანუ ცარიელ საგნებს ახარჯავენ, მიწიერი ვნებების დასაკმაყოფილებლად იყე-

წებენ, რის გამოც მათი ხელ-ფეხი შეიკვრება და ისიწი განგდებულ იქნებიან გარესკნელის უკუნ წყვდიადში, სადაც იყოს ტირილი და კბილთა ღრჭენა. და ეს იმისთვის კი არ მოხდება, რომ ამგვარ ადამიანებს, თითქოსდა, ტირილი და კბილთა ღრჭენა უყვარდეთ (რამეთუ არის კაცი ვინმე, საღი ჭკუისა, ვისაც ტირილი და კბილთა ღრჭენა, ანუ უკიდურესი უბედურება უყვარს და სურს საკუთარი თავისთვის?!), არამედ იმიტომ, რომ ყოველივე, რაც მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში უყვარდათ, დასაბამი იყო იმ ტირილისა და კბილთა ღრჭენისათვის; და ეს ყოველივე თავის მოყვარულსა და მსურველს უსათუოდ მიიყვანს ბოლოს მხოლოდ გარესკნელის ბნელამდე და ამ უკიდურეს უბედურებამდე. რამეთუ ისინი, რომელთაც უფრო მეტად თვით სიარული უყვარს, ვიდრე (ღმერთთან) დაბრუნება თუ მიღწევა რაიმესი, უნდა წარგზავნილ იქნან უშორეს ადგილებში, იმიტომ, რომ ისინი მოხეტიალე, გზადაბნეული სხეული და სული არიან, და არა — (ღმერთთან) დამბრუნებელი (სხეული და სული).

და პირიქით, ვინც ჯეროვნად მიიხმარს ხუთ გრძნობას სხეულისა, რათა საღმრთო საქმენი თვითონაც სწამდეს და სხვათაც აუწყოს მათს შესახებ, და ასე საზრდოობდეს ღმერთის სახიერებით, ანდა ვინც ჯეროვნად იყენებს თავის ქმედების უნარს და ცოდნას, რათა მშვიდობა შესძინოს თავის ბუნებას და ამგვარად შეიმეცნოს ღმერთი, — ასეთი ადამიანი შეევალს სიხარულად უფლისა თვისისასა. გარდა ამისა, ქანქარი (ანუ ღვთაებრივი ნიჭი), რომელსაც ჯეროვნად ვერ მოიხმარს ადამიანი, წაერთმევა მას და იმას მიეცემა, ვისაც ხუთი ქანქარი აქვს მომადლებული და ჯეროვნად გამოიყენებს მათ (მათე 25, 14—30; ლუკა 19, 16—26); და ასეა იმიტომ კი არა, თითქოს გონებისმიერი სიმახვილე ერთი ადამიანისაგან მეორეს შეიძლება გადაეცეს, არამედ იმისთვის, რომ ამით ჩვენ გულისხმავყოთ მცონარ და უკეთურ ადამიანთა ხვედრი, რომელნიც ბუნებით თუმცა გონებამახვილნი არიან, მაგრამ თავიანთივე მიზეზით შეიძლება მოაკლდნენ ამ ნიჭს; და ასევე გულმოდგინეთა და კეთილმსახურთათვისაც ვიცოდეთ, რომ თუნდაც ისინი გონებამძიმენი იყვნენ, მაინც შეუძლიათ მოიპოვონ ეს ნიჭი. და მართლაც, ის ერთი ქანქარი, მცონარსა და უკეთურს

რომ წაერთვა, იმას კი არ მიეცა, ვისაც ორი ქანქარი ჰქონდა ბოძებული, — რამეთუ ვინც ჯერ-ოვნად ცხოვრობს ქმედების სფეროშიც და ცოდნისაშიც, იმას უკვე ეს ნიჭიც აქვს, — არამედ იმას მიეცა, ვინც ხუთი ქანქარი მიიღო, რამეთუ საუკუნოის შემეცნებისათვის საკმარისი სიმახვილე გონებისა ჯერ არ შეუძენია იმ ადამიანს, ვისაც მხოლოდ ხილულისა სწამს, ანუ წარმავალი საგნებისა; მაგრამ ასეთი სიმახვილე გონებისა იმას აქვს მომადლებული, ვინც ერთ ღმერთს განადიდებს — დამბადებელს და მომწესრიგებელს ყოველივე გრძნობისმიერისა, — ანუ იმ ადამიანს, ვინც რწმენით ერთგულია ღმრთისა, სასოებით მოელის და სიყვარულით ეძიებს მ ა ს.

თ ა ვ ი LV

ეპილოგი, რომელიც ჰეშმარიტ რწმენას შეგვაგონებს; მასზედ, თუ როგორი იყო მანიქეველთა სარწმუნოება; ცრუ შეხედულებათათვის ღმერთებზე; ჰეშმარიტი სარწმუნოებისათვის.

თუკი ყოველივე ეს ასეა, მაშინ, საყვარელნო და მოყვასნო ჩემნო, თქვენც გარწმუნებთ და, თქვენთან ერთად, საკუთარ თავსაც მოვუწოდებ, რომ მთელის ძალისხმევით, როგორც კი შეგვიძლია იმას ვესწრაფვოდეთ, რასაც ღმერთი შეგვაგონებს თავისი ს ი ბ რ ძ ნ ი ს მიერ. ნუ შევიყვარებთ ამა ქვეყანას, „რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმაჲ ხორცთაჲ და გულისთქუმაჲ თვალთაჲ და სილაღე ამის ცხოვრებისაჲ. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს" (I იოანე 2, 16)! ნუ გვეყვარება ის, რომ სხვებსაც და საკუთარ თავსაც ვავნებდეთ ხორციელი სიამოვნებით, რათა მისგან მომდინარე მწუხარებათა და სატანჯველთაგან საშინელ წახდენას არ ვეწიოთ! ნუ გვეყვარება შფოთი და არეულობა, რათა იმ ბოროტ ანგელოზთა ხელთ არ ჩავვარდეთ, რომელთაც უხარით ეს, და ამით დამცირდება, დამარცხება და სასჯელნი არ დავატეხოთ საკუთარ თავს! ნუ გვეყვარება ხილული სანახაობანი, რათა უკუნ წყვდიადში არ ვიქნათ შთაგდებული იმისთვის, რომ განვეშორებით თვით ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს და ბნელს შევიყვარებთ! დაე, ჩვენს სარწმუ-

ნოებას ნუ შეადგენს ჩვენივ საკუთარი აჩრდილები, რამეთუ უმჯობესია თუნდაც რაიმე კნინი და ნამდვილად არსებული, ვიდრე ყველაფერი ის, რისი გამოგონებაც ჩვენს თვითნებობას შეუძლია; და მაინც, ჩვენ არ უნდა ვეთაყვანებოდეთ თვით სულს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნამდვილად არსებული რამაა მაშინაც, როცა ცრუს რასმე გამოიგონებს. სინამდვილეში არსებული ჩალის ერთი ღერი სჯობია რაღაც ნათელს, შექმნილს ცარიელი წარმოსახვით იმ ადამიანისა, რომელსაც ვარაუდის უნარი აქვს; და მაინც, უგნურება იქნება, თუკი იმ ჩალის ღერს, რომელსაც შევიგრძნობთ და შევეხებით, თაყვანისცემის ღირსად მივიჩნევთ.

კვალად, დაე, ნუ შეიქნება ჩვენოვის სარწმუნოებად ნურც ადამიანის ხელით წარმოქმნილი საგნების თაყვანისცემა! თავიანთ ნაწარმოებებზე გაცილებით უკეთესნი თვით ეს მხატვრები არიან, რომელთაც ესოდენ მშვენიერი ნივთები შეუქმნიათ, მაგრამ ჩვენ მათაც არ უნდა ვცეთ თაყვანი. დაე, ნუ შეიქნება ჩვენს სარწმუნოებად ნურც ცხოველთა თაყვანისცემა! მათზე უმჯობესნი არიან სულ უკანასკნელნიც კი ადამიანთაგან, თუმცა ამათაც თაყვანი როდი უნდა ვცეთ! დაე, ნუ შეიქნება ჩვენს სარწმუნოებად ნურც გარდაცვლილ ადამიანთა თაყვანისცემაც! იმიტომ, რომ თუკი ისინი კეთილმსახურად ცხოვრობდნენ ამქვეყნად, აქედან ის როდი უნდა დავასკვნათ, თითქოს ისინი ამგვარ პატივსა და თაყვანისცემას ეძიებდნენ; პირიქით, კეთილმსახურ ადამიანებს ყველთვის მხოლოდ ისა სურთ, რომ ჩვენ ღმერთს ვეთაყვანებოდეთ, რ ო მ ლ ი ს მიერ განათლებულთ, მათ უხარით, თუკი ჩვენც ყოველნი მონაწილენი გავხდებით მათი კეთილმსახურებისა. მაშასადამე, მათ პატივი უნდა მივაგოთ ხოლმე სარწმუნოების გულისათვის. ხოლო თუკი ადამიანებს ამქვეყნად ცუდად უცხოვრიათ, მაშინ არც იმსახურებენ პატივ-მიგებას გარდაცვალების შემდეგ, — სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ.

დაე, ნუ შეიქნება ჩვენთვის სარწმუნოებად ნურც დემონთა თაყვანისცემა, რამეთუ ჩვენი ყოველი ცრუ-რწმენა — პატივი და გამარჯვებაა მათთვის, ჩვენდა კი — უდიდესი სასჯელი და ყველაზე სახიფათო უპატიობა.

დაე, ნუ შეიქნება ჩვენთვის სარწმუნოებად ნურც მიწისა —

და წყლის თაყვანისცემა, რადგან ჰაერი მათზე უფრო სუფთა და ნათელია, თანაც სითბოს წყაროც ის არის; მაგრამ ამისთვის ჰაერს როდი უნდა ვეთაყვანებოდეთ! დაე, ნუ იქნება ჩვენთვის სარწმუნოება ნურც ამ უფრო სუფთა და უფრო ნათელი ჰაერის თაყვანისცემა, რადგან სინათლის მოკლებისას, ისიც ბნელით მოიცვლება ხოლმე; მასზე უფრო სუფთა ცეცხლის ელვარებაც კია, რომელსაც ჩვენ ამისთვის თაყვანს როდი უნდა ვცემდეთ, მით უმეტეს, რომ ჩვენივ ნების კვალობაზე შეგვიძლია, რა თქმა უნდა, მისი ანთებაცა და ჩაქრობაც.

დაე, ნუ შეიქნება ჩვენთვის სარწმუნოებად ნურც ეთერულ თუ ზეციურ სხეულთა თაყვანისცემაც, რომლებიც თუმცა კი აღემატებიან ყველა სხვა სხეულს, მაგრამ ნებისმიერი ცოცხალი არსება მათზე უმჯობესია! ამიტომ, თუკი ეს ცოცხალი არსებანი განსულიერებული სხეულები არიან, მაშინ ნებისმიერი სული, როგორიც არ უნდა იყოს ის, თავისთავად უმჯობესი იქნება ნებისმიერ განსულიერებულ სხეულზე; და მიუხედავად ამისა, არავინ არ დათანხმდებოდა მანკიერი სული თაყვანისცემისა და პატივის-მიგების ღირსად ჩაეთვალა.

დაე, ნუ შეიქნება ჩვენთვის სარწმუნოებად ნურც იმ სიცოცხლის თაყვანისცემა, რომლითაც, როგორც ამტკიცებენ, ხეები ცხოვრობენ, იმიტომ, რომ ამგვარ სიცოცხლეში არავითარი გრძნობა არ არის. ამავე სახეობას სიცოცხლისა განეკუთვნება ისიც, რომლითაც განპირობებულია ჩვენი სხეულის ზოგიერთ შემადგენელ ნაწილთა არსებობაც, — მაგალითად, თმებისა, ფრჩხილებისა თუ ძვლებისა, რომლებშიც არ არის შეგრძნების უნარი. ამ სახის სიცოცხლეზე უმჯობესია გრძნობის უნარით დაჯილდოებული სიცოცხლე, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზისათვის არა ჯერ-არს თაყვანს-ვცემდეთ ცხოველთა სიცოცხლესაც.

დაე, ნუ შეიქნება ჩვენს სარწმუნოებად ნურც ყველაზე სრულყოფილი და ბრძენი სულის თაყვანისცემა, რომელიც დადგენილია სამყაროს სამსახურებლად, ანდა მისი რომელიმე ნაწილისა, ან მოელის თავისი ხვედრის გარდაქმნასა და სახეცვლილებას უმჯობეს ადამიანებში; იმიტომ, რომ ყოველი გონიერი სიცოცხლე, თუკი ის სრულყოფილია, უცვალებელ ჭეშმარიტებას ემსახურება და ემორჩილება, იმ ჭეშმარიტებას,

რომელიც სიტყვების გარეშე, შინაგანად ელაპარაკება მას; ხოლო თუკი გონიერი სიცოცხლე არ ემორჩილება უცვალებელ ჭეშმარიტებას, მაშინ ის მანკიერი შეიქნება ხოლმე. მაგალითადამე, ყოველი გონიერი სიცოცხლე თავისით კი არ აღმაღლდება ხოლმე, არამედ იმ ჭეშმარიტების წყალობით, რომელსაც ხალისით ემორჩილება. აქედან გამომდინარე, რასაც უზენაესი ანგელოზი ეთაყვანება, იმასვე უნდა სცემდეს თაყვანს უდაბლესი ადამიანიც, იმიტომ, რომ თვით ადამიანის ბუნებაც სწორედ იმის გამო დაკნინდა, რომ ჯეროვანი პატივი არ მიაგო იმას, ვისთვისაც ჯერ-იყო პატივის მიგება. რამეთუ ბრძენი ანგელოზიც და ადამიანიც, მართალი ანგელოზიც და ადამიანიც სხვადასხვა დასაბამიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ ერთი უცვალებელი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისაგან.

ჩვენი, ადამიანთა, ხსნის დროისმიერი განგებულებით იმგვარადაც კი იქნა განჩინებული, რომ უცვალებელმა, მ ა მ ი ს ერთარსმა და თანადაუსაბამო ძ ლ ი ე რ ე ბ ა მ და ს ი ბ რ ძ ნ ე მ სათნო-იყო ადამიანური ბუნება მიეღო და განკაცებულიყო, რათა ესწავლებინა ჩვენთვის, რომ ადამიანმაც იმასვე უნდა სცეს თაყვანი, რაც უნდა თაყვანის-იცემებოდეს ყოველი მოაზროვნე და გონიერი ქმნილებისაგან. მაშ, გვწამდეს, რომ ყოველივეზე მაღლა მდგომ ანგელოზებსაც და ღმერთის უაღმატებულეს მსახურთაც სურთ, რომ ჩვენ თაყვანს ვცემდეთ მათთან ერთობაში მყოფ ღმერთს, რ ო მ ლ ი ს ჭვრეტითაც ისინი ნეტარნი არიან. რამეთუ ჩვენც ნეტარნი შევიქნებით არა ანგელოზთა ჭვრეტით, არამედ იმ ჭეშმარიტებისა, რომლის წყალობითაც ჩვენ გვიყვარს კიდეც ეს ანგელოზები და მათთან ერთადვე გვიხარის ჭეშმარიტების ჭვრეტისა. ჩვენ მცირედიც არ გვშურს, რომ ისინი ჩვენზე უმეტეს არიან შემზადებულნი ჭეშმარიტების ჭვრეტისათვის, ანუ ყოველგვარი სამძიმო დაბრკოლების გარეშე დატკბებიან მითი; პირიქით, ჩვენ კიდევ უფრო მეტად გვიყვარს ანგელოზნი სწორედ ამისთვის, იმიტომ, რომ ჩვენმა საერთო-უფალმა აღგვითქვა — ჩვენც იგივეს მოველოდეთ. ამიტომაც ჩვენ სიყვარულით მივაგებთ პატივს ანგელოზებს, და არა — მონური მორჩილებით. ჩვენ არ აღვუგებთ მათ ეკლესია-ტაძრებს, რადგან მათ არ ნებავთ ჩვენგან ამგვარი პატივისა და თაყვანის-ცემის მიღება,

რადგან უწყიან, რომ თვით ჩვენ, ადამიანები, ვართ ტაძარნი უზენაესი ღმერთისა, როცა კეთილმსახურად ვცხოვრობთ და სათნონი ვართ. მაშასადამე, სწორად არის დაწერილი, რომ ანგელოზმა აღუკრძალა ადამიანს თავისი თაყვანისცემა, რადგან მხოლოდ ერთს ჭეშმარიტ ღმერთს შეჰფერის თაყვანისცემა, რომლის ხელმწიფების ქვეშ თვით ანგელოზიც სხვა არა არის რა, თუ არ მსახური ადამიანისა.

ამიტომაც ის ანგელოზნი, რომლებიც გვიბიძგებენ იმისთვის, რომ მათ ვემსახუროთ და თაყვანი-ვცეთ ვითარცა ღმერთებს, ამპარტავან ადამიანებს ემსგავსებიან, რომელთაც სურთ, თუკი შეიძლებენ, რომ ჩვენ ზუსტად ამგვარადვე ვცემდეთ თაყვანს მათაც. მაგრამ ასეთი ადამიანების მოთმენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიდი განსაცდელის წინაშე დგომას, მაშინ როცა იმ, ბოროტ ანგელოზთა თაყვანისცემა გაცილებით სახიფათოა; რამეთუ ერთი ადამიანის ბატონობა სხვა ადამიანზე მხოლოდ სიკვდილამდე გრძელდება ან გაბატონებულისა, ან დამონებულისა; ხოლო ბოროტ ანგელოზთა ამპარტავნებას რომ ვემონებოდეთ — ამისა უფრო მეტად უნდა გვეშინოდეს თვით დროისავე მიზეზით, რადგან ეს მონობა ჩვენი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდება. ამასთანავე, ყველამ იცის, რომ ერთი ადამიანის ბატონობა მეორეზე ამ უკანასკნელს უტოვებს თავისუფლებას გონებრივი მოქმედების სფეროში, ხოლო ბოროტი ანგელოზის ბატონობისა ჩვენ გვეშინია იმიტომ, რომ იგი ჩვენს გონებაზეც ხელმწიფებს, გონებაზე, რომელიც არის ერთადერთი თვალი, ანუ საშუალება ჭეშმარიტების საქვრეტად და აღსაქმელად. ამიტომაც, თუკი ჩვენ, საკუთარი თავის აღვირასხმისათვის, დაქვემდებარებული ვართ ყველა სახის ხელმწიფებას, ადამიანებს რომ ეძლევათ სახელმწიფოს მმართველობისათვის, — ამით ჩვენ კეისარს — კეისრისას მივაგებთ, ღმერთს კი — ღმრთისას (მათე 22, 21), და ამ შემთხვევაში, თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ვინმე სიკვდილის შემდეგაც მოგვთხოვს ასეთ მორჩილებას. გარდა ამისა, სხვა საქმეა — სულის მონობა, და სულ სხვა რამ — სხეულის მონობა. კეთილსახური ადამიანები, მთელს თავის სიხარულს ერთს ჭეშმარიტ ღმერთში ჰგონებენ, თანადასტკბებიან ხოლმე ღვთის მაქებარ ადამიანებთან ერთად,

როცა მათი კეთილი საქმეებით ღმერთი განიდიდება; მაგრამ როდესაც მათ თავად აქებენ, ცდილობენ სწორ გზაზე დააყენონ შეცთომილნი, როგორადაც კი შეუძლიათ, ხოლო ვისი შეგონებაც არ ძალუძთ, იმათთან ერთად არ განიხარებენ, და სურთ მხოლოდ, რომ ესევითართ განაშორონ ეს მანკიერება. და თუკი კეთილი ანგელოზნი და ყველა წმიდა მსახური ღმერთისა მსგავსნი არიან და კეთილმსახური ადამიანებისა, და მათზე უფრო წმინდანნიც და განათლებულნი ღვთაებრივი ნათელით, მაშინ ჩვენ რაღად უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ თუ ცრუმორწმუნენი არ ვიქნებით, ამით რომელიმე მათგანს განვანაწყენებთ? — აკი სწორედ მათი შეწევნით ვთავისუფლდებით ხოლმე ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობისაგან და ერთ ღმერთს მივესწრაფვით, რომელსაც ერთადერთს ვუქვემდებარებთ (religantes) ჩვენს სულებს, — ამ სიტყვიდან მომდინარეობს, როგორც მე ვჰგონებ, თვით სიტყვაც სარწმუნოება (religio).

აი, სწორედ ამ ერთ ღმერთს, ამ ერთიან დასაბამს ყოველივე არსებულისა და უზენაეს სიბრძნეს, რომლის მიერაც სიბრძნით არის აღვსილი ყოველი გონიერი სულიც, როგორი ბრძენიც არ უნდა იყოს იგი, — ამ ნიჭს, რომლითაც ნეტარია ყოველივე, რაც კი არის ნეტარი, — აი, სწორედ ამ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს ვცემ მე თაყვანს. და ყოველ ანგელოზს, რომელსაც ეს ერთი ჭეშმარიტი ღმერთი უყვარს, დარწმუნებული ვარ, მეც ასევე ვუყვარვარ. ყოველი ანგელოზი, რომელიც კი მ ა ს შ ი ჰგიებს და რომელსაც ძალუძს ადამიანთა ლოცვა-ვედრების შესმენა, ჩემსასაც შეისმენს მ ი ს მიერ. ყოველი ანგელოზი, რომელიც კი თავის სიკეთედ მიიჩნევს მ ა ს, მ ი ს მიერ მეც შემეწევა, და მას არ შეუძლია შურდეს ჩემი მონაწილეობისა ჭეშმარიტ ღმერთთან ერთობაში. მაშ, დაე, მითხრან მე სამყაროს ნაწილთა თაყვანისმცემლებმა და განმადიდებლებმა, კეთილ ანგელოზთაგან, რომლის კეთილგანწყობის მოპოვებას არ ისურვებდა თავისთვის ის ადამიანი, ვინც თაყვანს სცემს მხოლოდ ერთს რასმე, რაც ყოველ კეთილ ანგელოზსაც უყვარს და რისი შეცნობაც ადამიანს სიხარულს ანიჭებს, მისწრაფება კი ამისადმი მას კეთილს შექმნის? და პირიქით, ყოველი ანგელოზი, რომელსაც კი თვითნებობა

შეჰყვარებია, არ სურს ჭეშმარიტებას იყოს დაქვემდებარებული და უნდა მხოლოდ საკუთარი სიკეთით ტკბებოდეს, — ასეთი ანგელოზი მოშორებია საერთო სიკეთეს და ჭეშმარიტ ნეტარებას; ყველა მანკიერი ადამიანი მას მიეცა მონობისა და ტანჯვისათვის, კეთილმსახურთაგან კი — არავინ, ხოლო თუ მიეცა ვინმე, ისიც მხოლოდ გამოსაცდელად; ასეთი ანგელოზი, რომლისთვისაც ჩვენი უბედურება — სიხარულია, ჩვენი მოქცევა კი — სასჯელი, — ასეთი ანგელოზი, უეჭველია, არ არის ღირსი ჩვენი თაყვანისცემისა.

ამრიგად, დაე, სარწმუნოებამ ერთ ჭეშმარიტ ყოვლადძლიერ ღმერთთან დაგვაკავშიროს ჩვენ, იმიტომ, რომ ჩვენს გონებასა, რომლითაც მ ა მ ა ს მივსწვდებით, და ჭეშმარიტებას შორის, ანუ შინაგან ნათელს შორის, რომლის დახმარებითაც ჩვენ ღმერთს მივსწვდებით, არ არის არავითარი ქმნილება. ამიტომ მ ა მ ა ს თ ა ნ ერთად თაყვანი ვცეთ თვით ამ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს ა ც, რომელიც არაფრით არ განსხვავდება მ ი ს გ ა ნ და წარმოადგენს ფორმას ყოველივესი, რაც ერთიანია შექმნილი და ერთიანსვე მიესწრაფვის. აქედან, სულიერ ადამიანთათვის ცხადია, რომ ყოველივე ამ ფორმის მიერ არის შექმნილი, რომელიც ერთია თავის თავში შემცველი იმისა, რასაც ყველაფერი მიესწრაფვის. მაგრამ ეს ყოველივე არ შეიქმნებოდა მ ა მ ი ს ა გ ა ნ ძ ი ს მიერ და არც თავის საზღვრებში იქნებოდა შენარჩუნებული, ღმერთი რომ ყოვლადსახიერი არ იყოს, ისე, რომ მ ა ს არც შურს არანაირი ბუნებისა, რომელსაც სწორედ მ ი ს გ ა ნ აქვს ძალი სიკეთისა; ხოლო ამ სიკეთეში ყოფნის უნარი ერთს ქმნილებას იმ ზომით მოჰმადლა, რამდენადაც ძალუძს მას, სხვას კი — იმდენად, რამდენადაც სურვილი აქვს. ამიტომაც ჯერ არს ჩვენთვის პატივს მივაგებდეთ და მამასთან და ძესთან ერთად უცვალებელად ვაღიარებდეთ ამ ნ ი ჭ ს ა ც ღმრთისა, ანუ განვადიდებდეთ ყოვლადწმიდა ერთარს სამებას — ერთიან ღმერთს, რომლისაგანაც, რომლის მიერაც და რომელშიც ჩვენ ყოველნი ვარსებობთ, და რომლისაგანაც ჩვენ ყოველნი წარმოვიშვით, რომლის მსგავსნიც შევიქენით და რომლისაგანაც გვაქვს მიღებული აღთქმა, რომ არ დავილუპებით; ანუ ვაღიარებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ერთ დ ა ს ა ბ ა მ ს, რომელ-

საც მივესწრაფვით, ანუ ფორმას, რომელსაც შევდგომივართ, და მადლს, რომლითაც აღვიდვინებით; თაყვანს ვცემდეთ ერთიან ღმერთს — შემოქმედს, რომელმაც შეგვქმნა ჩვენ — ხატი მისი, და რომლის მიერაც ერთიანობას შევიძენთ, და ერთიან მშვიდობას, რომლის ძალითაც ჩვენ ერთიანობაში ვგიებთ; თაყვანს ვცემდეთ ღმერთს, რომელმა თქვა — იყავნო, და იქმნა კიდეც სიტყვისაებრ მისისა (დაბად. 1); თაყვანს ვცემდეთ მის სიტყვას, რომლის მიერაც შეიქმნა ყოველივე, რაც არსებობს თავისი არსითა და თავისი ბუნებით, და ნიჭს მისი სახიერებისა, რომლის ძლითაც ყველაფერი ეს სათნო-ეყო თავის შემოქმედს და მშვიდობით ჰგიებს მასთან იმისთვის, რომ მისგან სიტყვის მიერ შექმნილისაგან არაფერი არ დაიღუპოს; თაყვანს ვცემდეთ ერთიან ღმერთს, რომლის მიერაც შექმნილნი — ჩვენ ვცხოვრობთ, ხოლო რომლის მიერაც განათლებულნი — ჩვენ სიბრძნით ვჰგიებთ, და რომლის სიყვარულითა და ტკბობითაც — ჩვენ ნეტარნი ვართ; მაშ, ვაღიარებდეთ და თაყვანს ვცემდეთ ერთიან ღმერთს, „რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ ვართ ყოველნი. მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (რომ. 11, 36).

თარგმნა ვასილ ბურკაძემ.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი

შეგონებანი ოლიმპიადას

ასულო ჩემო, მოძღვარი შენი გრიგოლ მოგიძღუანებ ამა სათნოსა საუნჯეს; ხოლო ყოველთა ძღვენთაგან უმჯობესია სულიერ მამის შეგონებანი.

უწყოდე, ოლიმპიადა — ძვირფას ქვათაგან შეჭედილ ოქროთი არ განშვენდებიან დედანი; ხრლო ხატებას ღვთისას ნუ დაიფარავ ფერ-უმარილით — ამ სამარცხვინო საკეკლუცოთი და პირ-სახეს შენსას ნუ წარხოც სხვა რამ მომაკვდინებელ ხატებით. მეწამული და ოქროქსოვილი, ელვარე და ჭრელა-ჭრელა სამოსი მათ დაუტევე, რომელთ ნათელი ცხოვრების არა ჰმოსიათ; ხოლო შენ იღვაწე უბიწოებისათვის, შინაგან თვალის განსაცვიფრებელ, ღირსახეს სილამაზისათვის. დედაკაცში ყოველთა ფერთა მშვენიერია კეთილზნეობა, რომელ მყარია და არა სადა დაუტევებს მას მშვენება ესე.

უწინარესად თაყვანსასცემდე უფალს და მერმედ მეუღლეს შენსას — რომელ თვალია შენის ცხოვრების და წინამძღოლი ზრახვათა შენთა. მას ერთსა ჰყვარობდე, მას ერთსა გულს უხარებდე, და რაც უფრო ნაზი სიყვარული აჭუნდეს შენდამი, მით მეტითა პასუხობდე. ერთსულოვნების საკვრელ-ქვეშ დაიცევ ურყევი ერთგულება. იმგვარ თავისუფლების ნებას ნუ მისცემ შენს თავს, რაგვარსაც გაწვევს ქმრის სიყვარული, არამედ — წესისამებრ იქცეოდე; რამეთუ ნაყროვანება ყველაფერშია შესაძლო.

დედაკაცად შობილი, მამაკაცთათვის ჩვეულ მედიდურობას ნუ მიინიჭებ და ნურცა გვარ-ტომობითა აღიმაღლებ თავს, ნურც შესამოსელით გაყოყოჩდება და ნურცა ჭკუა-გონებით

იამპარტავნებ. გონება შენი მეუღლეობის კანონსა მორჩილებს; რამეთუ საკვრელი ქორწინებისა ქმრისას და ცოლისას ყოველსავე ერთჰყოფს.

როცა გაგულისებულია ქმარი — დაუთმე მას; ხოლო თუ გადაღლილია, თბილი სიტყვითა და კეთილ-რჩევებით შეეწიე. ლომ-ვეფხვის მომთვინიერებელიც არ ხმარობს ძალას გაავებული ცხოველის დასამორჩილებლად, არამედ ფერებითა და საალერსო სიტყვებით შეაგონებს მას.

რაოდენ მწყრალად არ იყო, ნუროდეს უსაყვედურებ მეუღლეს მოწევნილ ზარალისათვის; რამეთუ შენთვის თავად იგია უმჯობესი მონაგები ყოველთა მოსაგებელზე. ნურც მას უსაყვედურებ ქმარს, ოდეს შედეგი მიზნისამებრ ვერ აღსრულდება. უსამართლობა იქნება ეს, რადგან დემონთა მანქანებით, ხშირად კეთილზრახვანიც ვერ აღწევენ მიზანს. ნურც უძლურებისთვის ყვედრი მეუღლეს შენსას, რადგან მახვილში მუდამ არის ძალა.

ვინც შენს ქმარს არ უყვარს, ნურც შენ შეუქებ მას ეშმაკურ ზრახვით-გულისსატკენად. კეთილშობილ ცოლ-ქმარს, და მით უფრო — ცოლს, ყოველგვარ შემთხვევაში მართებს გულწრფელობა.

საზიაროდ მიითვალე ყოველი ჭირი თუ ლხინი ქმრისა შენისა და ზრუნვაც ყოველი ერთგაქვნდეთ; რამეთუ ამაზედ დაეფუძნება ოჯახი.

შენმა რჩევამაც შესაძლოა ივარგოს; მაგრამ თავი ყოველთვის მამაკაცი უნდა იყოს.

ოდეს იურვის ქმარი შენი, შენაც შესწუხდი მისთანა (ეშუნვაში მეგობართა თანადგომ, დარდს განაქარვებს), ხოლო შემდგომ უმალ გახალისდი და განუქარვე მას მჭუნვარება; რამეთუ დარდში ქმრისათვის ყველაზე საიმედო საყუდელი — ცოლია.

საქმიანობა შენი საქსოვ-სართავი და ღვთის სიტყვის სწავლა იყოს, ხოლო გარეშე საქმის ზრუნვა ქმარს მიანდევი.

სახლიდან ხშირად ნუ გახვალ და ნუ შეერთვი საზოგადო ლხენა-გართობას და უწესო კრებულს — საცა კდემამოსილნიც განიძარცვიან კდემისაგან და სადაცა არის თუალთ-მიდგმა; ხოლო სირცხვილის დაკარგვა — ყოველ ვნებათა დასაბამია.

რიგიან კრებულშიაც კეთილგონიერთან სვლას განგიწესებ, რათა გონებაში კეთილი სიტყვა აღგებეჭდოს და მით ვნება რამ აღმოიძირკვო, ანუ სათნოება რამ შეგეძინოს.

შენი სახლია შენთვის ქალაქი. ნუ მისცემ თავს უფლებას გარეშეთ ეჩვენებოდე, ოდენ ხოლო კეთილგონიერნი ნათესავნი, მღვდელნი და ჭაღარასანნი გხედვიდნენ და უმჯობეს ყმაწვილთა იყვნენ შენთვის ესენი. ნურც თავმაღალთა და ურცხვთა დედაკაცთა ეჩვენები; და ნურც კეთილსათნო მამაკაცთან ნუ გამოსჩნდები, მით უფრო თუ ქმარს შენსას არ სურდეს შინ მათი ნახვა. და ვინ ესრეთ გარგებს შენ, ვითარ მეუღლე შენი კეთილი, დაღათუ ის ხოლო გიყვარს.

ზე გაქვნდეს გული, გარნა ნუ იქნები ქედმაღალ.

ნუ დაეშურები ქორწილ-დღეობათ, სადაც არს მთვრალობა, როკვა, სიცილი და თვალშეუდგამი ხიბლები. ესე ყოველი აუძლურებს და უბიწოთ გაალღობს, ვითარცა მზის სხივი ცვილს.

ნურც შენ გამართავ ოჯახში ლხენა-ქეიფებს, ნურც ქმრის შინ ყოფნისას და ნურც უმისოდ. დაღათუ სტომაქს საზღვარს დაუდებ, ეგების ვნებებიც დაიოკო. დაუმჭირვებელი სტომაქი მეც მაშინებს და შენს ქმარსაც.

პირსახეზე არც ვნება უნდა დავთამაშებდეს და არც მრისხანება გითრთოდეს. ყოველი ადამიანისათვის სამარცხვინოა ეს, მით უფრო დედაკაცისათვის.

ყურთა შენთა, არათუ მარგალიტთაგან განაშვენებდე, არამედ სწვრთიდე კეთილსიტყვათა სასმენლად, ხოლო ძვირსიტყვაობისათვის დაიხშე თვალნი გონებისა. ყურნი შენნი განხვნილნიცა და დახშულნიც უბიწოებას ოდენ ისმენდნენ.

ქმრის სიახლოვეს ქალწულებრივი მორცხვობით გეფაკლებოდეს ღაწვნი. უცხოთ ჭვრეტაზე წითლდებოდე, ხოლო ეცადე თავად არვისა სჭვრეტდე, არამედ მიწად დახარე თვალნი.

თუ ენას აღვირს არ ასხამ, მოგიძულებს ქმარი. ენამწარობით ხშირად უდანაშაულოც ბოროტვნებულა. საქმეც რომ ითხოვდეს, მაშინაც დუმილი ჯობია, არამც თუ უადგილოდ სიტყვის წამოსროლა.

მალიად სვლა უბიწოებას არა შვენის. სიარულშიაც გამოსჩანს რაღაცა თავხედური.

ესეც გულისხმაჰყავი: ნუ მიეცემი დაუოკებელ ხორციელ სიყვარულს და ყოველდროს ნუ ეძიებ ცოლ-ქმრული სარეცლის სიამოვნებას; მეუღლესაც შეაგონე წმიდა დღეთა პატივისცემა, რამეთუ დიდებულისა ღმრთისა ხატების მორჩილება ჯერარს კანონით, დაღათუ ძემ ღვთისამ თავადვე მოგვცა კაცთ მოდგმას კანონი ქორწინებისა, რომლის ძლით თაობა გრძელდება; ხოლო ერთნი მიდიან და მეორენი მოდიან და განახლებული თაობა იმ მდინარეს ემსგავსება, რომელიც სიკვდილის მეუფების მიზეზით არცა დგას ერთ ალაგას და მუდამ კი აღვსებულია ახალშობის მიზეზით.

მაგრამ მე რისთვის გითხრა წვრილად ყოველი? რჩევით კი გირჩევ, მაგრამ ამისთვის უკეთეს მრჩევლად გყავს შენ თეოდოსია — გათხოვილ ქალთა შემწედ მოვლენილი იგი ცხოვრების მაგალითია შენთვის სიტყვასა და საქმეში. მან მიგირქვა შენ მამისაგან და ყოველი კეთილიც მანვე განაცხოველა შენში. იგი ღვიძლი დაა უანგარო და ჭეშმარიტების მღაღადებელ არქიეპისკოპოს ამფილოქესი, რომელიც სიქადულია ჩემი და რომელსაცა უმწიკვლო თეკლასთან ერთად ღმრთისა მიმართ წინავუძღოდი.

დაღათუ ჭაღარამ ჩემმა კეთილგონივრული სიტყვა რამ შეგძინა, მაშინ გაკურთხებ დაიცვა იგი გულის საუნჯეს. ამით მოიხვეჭ კეთილგანწყობას მეუღლისას, რომელიც ზღუდეა შენი. და თუ იგი ამაღლდება, უმეტეს მისსა იდიდები შენც.

აჰა, ჩემი ძღვენი! გარნა თუ უკეთესია საჭირო, მაშინ გლოცავ და იქმენ ვით ყანა ხვავრიელ შოდგმათ-მოდგმათა, რაითა მრავალრიცხოვანება კაცთა უგალობდეს დიდებას უფლისას, რომლისათვისცა ვიშვებით ქვეყნად და რომლისკენაც განსვლა იმქვეყნად განგვიჩინა ჩვენ სჯულმა.

თარგმნა მარინა ნიაურმა.

არიანელთა წინააღმდეგ და საკუთარ თავზედ

სადღა არიან ისინი, რომელნიც სიღარიბისთვის გვიცხავენ, თვით კი სიმდიდრით მოაქვთ თავი? — ეკლესიის უმთავრეს ნიშან-თვისებად ისინი ხალხმრავლობას მიიჩნევენ, და ამიტომ სძაგთ მცირერიცხოვანი საწყსო; ისინი განზომავენ ღმრთაებას და ადამიანთაც ასწონ-დასწონიან; მაღლად აყენებენ ქვიშის მარცვალს, და აკნინებენ მნათობებს; საუნჯედ უბრალო ქვებს შეიკრებენ, და ეჯულებელ-ჰყოფენ მარგალიტებს! სად არიან-მეთქი ესევითარნი?! მათ არ უწყიან, რომ იმდენად ქვიშანი და უბრალო ქვები არ არიან ვარსკვლავებსა და პატიოსან ქვებზე მრავალრიცხოვანნი, რამდენადაც ეს უკანასკნელნი აღემატებიან მათ სიწმიდითა და სიძვირფასით. და აი, შენ კვლავაც დრტვინავ, კვლავაც შეიარაღდები და კვლავაც შეურაცხ-ჰყოფ, ახალო სარწმუნოებაო![1] მცირე ხნით დაიმარხე შენი მუქარა, და საშუალება მომეცი ორიოდ სიტყვა გითხრა!

ჩვენ შეურაცხყოფას კი არ მოგაყენებთ, არამედ გამხელთ; კი არ დაგემუქრებით, არამედ გაგაცხავთ; კი არ მოგწყლავთ, არამედ განგკურნავთ! ნუთუ შენ ესეც შეურაცხყოფად მოგეჩვენება?! — რა ქედმაღლობაა! ნუთუ აქაც შენ თანაბარი პატივის მქონეთ მონად აქცევ და ერთმანეთს დაუქვემდებარებ?[2] — ხოლო თუ არა, მაშინ აღგილი უტევე ჩემს კადნიერებასაც, რამეთუ მოტყუებული ძმაც ამხელს ხოლმე თავის ძმას. გინდა, იმასვე გეტყვი ,რასაც თვით ღმერთი ეუბნებოდა

---

[1] იგულისხმება ალექსანდრიელი მღვდელის არიოზის (გარდაიცვალა 336 წ.) მიერ შემოღებული მწვალებლობა, რომელიც უარყოფდა მამისა და ძის თანაარსობას (ერთარსობას).

[2] არაინელთა სწავლებით ქრისტე, როგორც ქმნილება მამა-ღმერთისა, მასზე დაბლა მდგომი არსებაა, დაქვემდებარებული მას.

ჯიუტ და გულგანძვინებულ ისრაელს? — „ერო ჩემო"-ო, — ღმერთიც კი ჰკვირობს! — „რაი გიყავ შენ, ანუ რაითა შეგაწუხე შენ, ანუ რაითა აღგაშფოთე შენ? — მომიგე მე: მით, რამეთუ აღმოგიყვანე შენ ქვეყანისაგან ეგვიპტისა და სახლისაგან მონებისა და განგათავისუფლე შენ? და მით, რამეთუ განვავლინენ წინაშე პირსა შენსა მოსე და აჰრონ და მარიამი?!" (მიქია 6, 3—4). მაშ, უწყოდე, რომ უმეტესადრე შენს მიმართ, ჩვენი და ჭეშმარიტი რწმენის შეურაცხის-მყოფელისა, არის ჩემი სიტყვა.

ეს მართალია, რომ ჩვენ ცუდად დავკვირვებივართ ერთურთის გარემოებათ, და დაგვირღვევია რა ერთსულოვნება რწმენის სხვადასხვაობით, ალბათ უფრო მეტად არაადამიანურნი და სასტიკნი შევქმნილვართ ერთმანეთის მიმართ, ვიდრე თვით მძვინვარე ბარბაროსნი არიან, რომელნიც ამჟამადაც ჩვენ გვეომებიან და რომელნიც აწ (თქვენს მიერ) განწვალებულ სამებას გაუერთიანებია; იმას როდი ვამბობ, რომ უცხონი — უცხოთ მოვსწყლავთ, ანდა სხვა ენაზე მოლაპარაკენი — სხვა ენაზე მოლაპარაკეთ, (რაც თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც ნუგეში იქნებოდა ამ უბედურებაში), არამედ თითქმის ერთი სახლის მკვიდრნი, და თუ გნებავთ, ერთი სხეულის სხვადასხვა ნაწილნი, დავიტაცებთ ერთმანეთს და მოვსრავთ, და ამით თვითვე ვისპობით. და მხოლოდ ეს როდია ჩვენი უბედურება (თუმცა არც ეს არის მცირე გასაჭირი), არამედ ისიც, რომ დაკლებას ჩვენ მომატებად მივიჩნევთ, შემცირებას — ზრდად. მაგრამ რადგანაც ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი და გვწამს ჩვენ-ჩვენი სიმართლისა დროისდა შესაბამისად, მაშინ, მოდით, და ერთმანეთს შევუდაროთ ჩვენი ვითარებანი. შენ შენი მეუფე წარმომიდგინე, მე კი ჩემს მეუფეს წარმოგიდგენ: შენ — აქაბი, მე კი — იოსიას.[1] შენ შენი

---

[1] ისრაელის უკეთური მეფის აქაბის (III მეფეთა 16, 28 და შემდგომი) და კეთილმსახური მეფის იოსიას (IV მეფეთა 21, 24 და შემდგომი) სახით აქ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი გულისხმობს თავის თანადროულ ხელმწიფეთ — მწვალებელთა მფარველს ვალენტეს (328—378), რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთს განაგებდა, და მართლმორწმუნე თეოდოსის (დიდს, 346—395), რომელიც არიანელებსა და წარმართებს სდევნიდა.

სიმშვიდე და უწყინარობა გამომიხატე, მე კი ჩემს კადნიერებას გიჩვენებ! უკეთ რომ ვთქვა, შენი კადნიერი უტიფრობა უკვე მრავალი ბაგეებით არის განმეორებული და მრავალთა წიგნებშიც მოხსენიებული, რომელთაც, ვგონებ, მყოობადიც მიიღებს რგორც უკვდავ ძეგლებს (თქვენი) ქმედებისა მე კი ჩემი კადნიერებისათვის გეტყვი.

რომელი უტიფრად შემართული ხალხი აღვძარი მე შენზე? რომელი მხედრები შევაიარაღე შენს წინააღმდეგ? რომელი მხედართმთავარი დაგიყენე წინ, მდუღარე მრისხანებით, თავისი უტიფრობით აღმატებული თვით მბრძანებლებზეც კი, ამასთან არა ქრისტიანი, არამედ ისეთი, რომელიც თავის უკეთურ, სასტიკ საქციელთ ჩვენს მიმართ ჯეროვან კეთილმსახურებად მიიჩნევდა იმ დემონების წინაშე, რომელთაც იგი ეთაყვანებაზ! ანდა განა ალყით გარემოცული მყოლია რომელიმე მლოცველი, ხელებაპყრობილი ღმრთისა მიმართ? განა საყვირთა ხმით როდისმე შემიწყვეტია ვინმეთა ფსალმუნთგალობა? აღმირღვია განა ვინმესთვის საიდუმლოების სისხლი — მკვლელთაგან დაღვრილ სისხლში? განა ვისმე ვაიძულე სულიერი ღაღადი კბილთა ღრჭენით შეეცვალა წარსაწყმედელისა, ხოლო გულშემუსრვილობის ცრემლნი — ტანჯვის ცრემლებით? განა რომელიმე სამლოცველო სახლი გადამიქცევია დამარხვის ადგილად? მიმიცია განა წმიდა და ხალხისათვის შეხებად აკრძალული ჭურჭელნი უსჯულოთა ხელთ, — (ვინმე მეორე) ნაბუზაიდან მზარეულთმთავრისათვის (IV მეფეთა 25, 12), ანდა ბალთაზარისათვის, რომელიც უკეთურად იკლავდა წყურვილს წმიდა სამღვდელო თასისაგან და ამისათვის თავისი უგნურების შესაფერ სასჯელს ეწია?!

ჰოი, „სამსჯავრონო შეყვარებულნო“, როგორც საღმრთო წერილი ამბობს (ოსე 8, 13), — აწ კი შეგინებულნო! აბუჩად აუგდიხართ კი ჩვენს მიერ ასეთი საქციელისათვის შეგონებულ რომელიმე ურცხვ ჭაბუკს — მმღერალსა თუ მმსახიობელს უჯერო რამისა? განსაკუთრებით კი, განა ვინმე ამგვარის — უკეთურის მეშვეობით შემიგინებია დიდი და ღვთაებრივი საიდუმლო? ჰოი, ღირსად პატივდებულო საყდარო! — ბალალდასაჯდომელო და მოსასვენებელო ღირსადვე პატივდებულ მამათაო! მნახველო და გამომცვლელო მრავალი კეთილ-

ნსახური მღვდელმსახურისა, რომელნიც შეწი სიმაღლიდან, ზეგარდმო შთაგონებულნი ასწავლიდნენ საღმრთო საიდუმლოებებს! განა გადმომდგარა შენგან რომელიმე წარმართი მჭერმეტყველი — ენამზაკვარი და ქრისტიანობის შემარცხვენელი? ჰოი, კდემამოსილებავ და უბიწოებავ ქალწულთა, ვინც მამაკაცთა შემოხედვასაც კი არ დაითმენ, დაე, თუნდ კეთილად კრძალულნი იყვნენ ისინი! განა შეუგინებიხარ რომელიმე ჩვენგანს? განა მიუციხარ წაბილწვად შენ, თვალთაგან დაფარული? და განა რომელიმე ჩვენგანს წარმოუდგენია უკეთურთა სამჭერად უბადრუკი სახილველი, ღირსი სოდომისებრი ცეცხლით დანთქმისა?! მკვლელობათა გამო აღარაფერს ვიტყვი, რადგან მათზე უარესი — წაბილწვა და შერცხვენაა!..

განა მივუტევებდით გარეულ მხეცებს წმინდანთა სხეულებს დასაგლეჯად (რასაც ზოგიერთნი იქმოდნენ), და ამით ვაკნინებდით განა ჩვენს ადამიანურ ბუნებას?! და განა შეიძლება ბრალად დაგვედოს მხოლოდ ის, რომ არ მივეახლეთ იმათს უკეთურებას, არ წავიბილწეთ იმათთან თანაზიარობით, ვისაც გავურბივართ და განვეშორებით როგორც გველის შხამს, რომელიც სხეულს კი არ ვნებს, არამედ სულის სიღრმეებს მოსწყლავს?! ვის შეერაცხებოდა დანაშაულად მიწას მიბარებაც კი მომკვდართა სხეულებისა, რომელთაც თვით გარეული მხეცებიც კი რიდით უვლიდნენ გვერდს, ამასთან, ისეთ დანაშაულად, რომელიც სხვა, ასეთივე სახილველის მოწყობისა და სხვა გარეული მხეცების ღირსად მიიჩნეოდა?! რომელ ეპისკოპოსთა მოხუცი სხეულები იყო ხოლმე დაგლეჯილი რკინის ჭანგებით მათივე მოწაფეების თანდასწრებით, რომელთაც სხვა არაფერი შეეძლოო, გარდა ცხარე ცრემლთა ღვრისა? — სხეულები, ქრისტესთან ერთად რომ ევნენ თითქოს ჯვარზე და თავიანთი ამ ტანჯვით სძლიეს მტერს, თავიანთი პატიოსანი სისხლის პკურებით განწმინდეს რა ერი და ბოლოს მოწამეობრივ სიკვდილს ეწვივნენ, რათა ქრისტესთან ერთად მიწად დაფლულიყვნენ, მ ი ს თანავე განდიდებულიყვნენ, — ჩვენს უფალთან და მხსნელთან, რომელმაც სწორედ ასეთი ტანჯვა-წამებისა და ასეთი მსხვერპლის ფასად სძლია ამა ქვეყანას და იხსნა ადამიანი?! ვისი ეპისკოპოსნი იყვნენ ესენი, — თქვენი განა?! ანდა რომელ პრესვიტერთა სხეუ-

ლებს ეცილებოდნენ ერთმანეთს ურთიერთმოწინააღმდეგე სტიქიები — წყალი და ცეცხლი ,ისე, რომ ზღვის თავზე უჩვეულო კანდელი წარმოსდგა, როცა ისინი იმ ხომალდთან ერთად იწვოდნენ, რომლითაც მიცურავდნენ?! ,ჰქვენი პრესვიტერები იყვნენ ისინი განა?! და ბოლოს, — ამით შევასრულებ უდიდეს ნაწილს ჩვენს თავსდატეხილი უბედურებისა, — ვის სდებდნენ ბრალს არაადამიანურობაში თვით მთავარნიც კი, რომელნიც ამგვარ დავალებებს ასრულებდნენ? — ჩვენ განა?!

თუმცა ეს მთავრები თავიანთ მბრძანებელთა ნებას ემსახურებოდნენ, მაგრამ მაინც სძაგდათ თვითნებური სისასტიკე; ერთს რასმე მათ დროის გარემოება აიძულებდათ, ხოლო სულ სხვას კი — გონიერება შთააგონებდათ; ერთი რამ — ხელმწიფის უსჯულოება იყო, სულ სხვა რამ კი სჯულის შეგნებიდან მომდინარეობდა, იმ სჯულისა, რომლის მიხედვითაც ჯერ-იყო განსჯა. ან იქნებ ჩვენ ძველი ამბებიც მოვიხსენოთ, — იმიტომ, რომ ესეც იმავე თანამოძმეთა ხელების ნაქნარია?! განა ვინმესთვის მომიკვეთია მე ხელნი — ცოცხალისა თუ მომკვდარისათვის? და განა ვეცრუვე მე როდისმე წმინდანებს, რათა ამ ცილისწამებით აღვეურვილიყავი ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ? ვის ექსორია-ყოფას ჩამოვთვლიდი ხოლმე მე როგორც ქველის-საქმეთ? და განა უპატივცემულობას გამოვუხატავდი სამღვდელოთა სიბრძნით შემოსილი მამების წმიდა კრებულს?! და განა მათ შორის დამორჩილებულთ ვეძიებდი?! პირიქით, ისინიც მოწამეებად შევქმენი, რადგან კეთილი საქმეებისათვის ხიფათს ეწვევნენ. რომელ მამებთან, თითქმის უხორცოთა და უსისხლოთათვის, მიმიყვანია მეძავი ქალები, მე, ვისაც ბრალს მდებთ მოურიდებელ და კადნიერ შეტყველებაში?! კეთილმსახურთაგან რომელი განმიდევნია სამშობლოდან და რომელი მიმიცია უსჯულოთა ხელთ, რათა მათ მიერ გარეულ მხეცთა მსგავსად ბნელ სამყოფლოებში გამომწყვდეულები და ერთმანეთსაც დაშორებულნი (რაც ყველაზე სამძიმოა ასეთ ბედკრულ მდგომარეობაში), ისინი შიმშილითა და წყურვილით ვნებულიყვნენ, რადგან ძალზე მწირ საზრდოს მიიღებდნენ, და იმასაც — სატუსაღოს ვიწრო ხვრელებიდან, მალულად გადმოცემულთ, და რათა იმის შესაძლებ-

ლობასაც მოკლებოდნენ, რომ თავისთან ერთად ვნებული ადამიანები დაენახათ?! — და ამას ყოველს დაითმნდნენ ისინი, „რომელთა, ღირსვე არა იყო სოფელი ესე“ (ებრაელთა მიმართ 11, 38). განა მე განმიდევნია ესევითარნი?!

აი, ასე სცემთ თქვენ პატივს სარწმუნოებას! ასე შეიწყნარებთ მწირთ! და აკი არც იტით უდიდესი ნაწილი ამგვარი საქმეებისა! ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საქმეთა რიცხვიც ძალზე დიდია და მათს აღსრულებაშიც ხომ ესოდენი სიამოვნება განგიცდიათ! მაგრამ ვნებული უფრო მეტად არის მეხსიერი. რისთვის ვილაპარაკო რაღაც შორეულზე? ზოგიერთმა თავისი ძალადობით დროის მოსახოვნასაც კი გადაამეტა, მსგავსად ტახებისა, ღობეებს რომ აწყდებიან და არღვევენ. მე მოვითხოვ თქვენს გუშინდელ მსჯელობას, ამ მოხუცსა და აბრაჰამის მსგავს მამას, რომელსაც, განდევნიდან მობრუნებულს, თქვენ ქვებით შეეგებეთ ქალაქში, დღისით, მზისით; ჩვენ კი (თუკი ამაზე საუბარი შეურაცხმყოფელი არ იქნება თქვენთვის!) თვით მკვლელებზეც ვზრუნავდით, რომელთაც საშიშროება ელოდათ. „რომელთა ამათთვის მლხინებელ-გყო შენ?“-ო, — ამბობს ღმერთი ერთს ადგილას საღმრთო წერილისა (იერემ. 5, 7); მეც ასევე რისთვის შეგაქოთ თქვენ? ანდა, უკეთ რომ ვთქვა, ზემოჩამოთვლილ საქმეთაგან, რომლისათვის შეგამკოთ თქვენ დიდების გვირგვინით?!

რამდენადაც ამგვარია შენი საქმენი და შენს ქმედებას ეს ნიშან-თვისება დაჰყვა, მაშ, ჩემი უსამართლობანიც მითხარი, რათა მეც ან შემრცხვეს მათს გამო, ანდა განვეშორო ბოროტს და აღარ ვიყო რისხვით აღსავსე. ჭეშმარიტად, მე ის მსურს, რომ სულ არ ვცოდავდე. ხოლო თუკი ეს შეუძლებელია ამქვეყნად ადამიანისათვის, მაშინ უსამართლობის ქმნისთანავე მსურს ხოლმე ჭეშმარიტ გზას დაუბრუნდე, რაც კეთილგონიერ ადამიანთა ხასიათის სხვა მხარეა. რამეთუ თუმცა კი მე, მსგავსად მართალი და კეთილმსახური კაცისა, არა ვარ „თავისა თვისისა შემასმენელ... პირველსავე სიტყვასა“ (იგავნი სოლომ. 18, 17), მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ის მაინც მიხარის ხოლმე, როცა სხვა ვინმე მკურნავს.

მეუბნებიან: შენი ქალაქი პატარაა, და არც არის ეს — ქალაქი, არამედ ერთი დაცარიელებული, მოსაწყენი და ხალხ-

მცირე დაბა

ბით ნადირობით?! ნუთუ სიკვდილის ღირსნი ვართ მხოლოდ იმისთვის, რომ ბორგნეული ცნება არა გვაქვს ყოველივე ამისადმი და ვერ ვიქადით ახირებული დიდებულებით ჩვენს აბანოთა, სიძვირფასით მარმარილოთა, მშვენიერებით ნახატებისა თუ ოქროთი მბრწყინავი და მრავალფერი ზარნიშებისა, ლამის ბუნებას რომ ეკიშპეებიან?!

ჩვენ კონცხით არ გაგვიპია ზღვა (თქვენი ქალაქის მსგავსად), არ აღგვირევია წელიწადის დრონი, რათა ცხოვრება ყოვლადუხიფათო და ოდენ სიამოვნებებით აღსავსე გვქონოდა. შენ კი, ახალმა „შემოქმედმა“, ეს ყოველივე ნამდვილად მოიმოქმედე! ამას დაუმატე, თუ გნებავს სხვა ბრალდებებიც, — შენ, რომელიც საღმრთო წერილის სიტყვეთით იტყვი მსგავსად ღმრთაებისა — „ჩემი არს ვეცხლი და ჩემი არს ოქროი“-ო (ანგია 2, 9). ჩვენ დიდ რამედ არ მივიჩნევთ სიმდიდრეს, რომელსაც, თუკი ის „გარდაგვერეოდის“, არ უნდა დავამონოთ ჩვენი გულები (ფსალმ. 61, 11). ჩვენ არ გამოვიანგარიშებთ ხოლმე ჩვენს ყოველდღიურ თუ წლიურ მოგებას. თავს არ ვიქებთ ხორაგით მაგალდისა თუ საწელებლებით უგრძნობელი სტომაქისა, რამეთუ არაფრად ვაგდებთ ყველაფერ იმას, რაც ხახაში გადაგვივა და მისივე ღირსების მქონე, ანუ მასავით უპატიო-შექმნილი მერმე გარე განიგდება. არამედ ჩვენ უბრალოდ ვცხოვრობთ, არიფერს არ ვიმარაგებთ ხვალინდელი დღისათვის არა-მზრუნველნი მასზე, და დიდად არ განვსხვავდებით გარეულ მხეცთაგან, რომელთაც არც რამ ბუნჯელი აქვთ და არც რამ მარაგი ხვალინდელი დღისათვის!

აწ იქნებ ის დამდო ბრალად, რომ ფლასები მაქვს შესამოსელად და ბირისახის მოყვანილობითაც ულამაზო ვარ? რამეთუ აკი ცხედავ, რომ ამგვარი რამით მხოლოდ ძალზე კნინი ადამიანები იქადიან. მაგრამ შენ არ შეეხები ჩემს თავს და ყურადღებასაც არ მიაპყრობ იმას, რაც ცრმებმა შენიშნეს თავის დროზე წინასწარმეტყველ ელისეში (შემდგომისათვის ამისა დავიდუმებ). ვერც უსწავლელობისათვის გამკიცხავ, და ვერც იმისთვის, რომ ჩემი წარმოთქმა (მეტყველება) ტლაბწკი და ტხეში გეჩვენება ხოლო რად (რა ცოდვად) შემირაცხავ იმას, რომ შევრი ლაპარაკი არ მიყვარს, არც სხვათა შექცევა შემიძლია სიტყვით, არც თავის მოწონება იმათ წინაშე, ვის-

თან ერთადაც ყოფნა მომიწევს ხოლმე ზოგჯერ? რად მიმითვ-ლი იმას, რომ არ ძალმიძლს მსუბუქი საუბრის წარმართვა და გადალაპარაკება ნებისმიერ შემხვედრთან, ისე, როგორც მო-მიხდება, — ,ასე, რომ ჩემი საუბარი, ალბათ, ძნელი მოსასმე-ნია თქვენთვის?! რად ჩამითვლი იმას, რომ არ დავიარები „ახალ იერუსალიმში", ზევკსიპის აბანოებში[1], არ დავდივარ სახლიდან სახლში ვიღაც-ვიღაცეების საამებლად, და უმეტე-სად წარბშეხრილი და დამწუხრებული ვზივარ, მდუმრიად და-კავებული საკუთარი თავით — ამ წრფელი მსაჯულით საქმე-ებისა და, ვინ იცის, ეგების საკრველთა ღირსითაც იმისთვის, რომ უსარგებლოა? როგორმე იქნებ შემინდო ყოველივე ეს და ბრალად არ შემირაცხო! ოჰ, შენ სწორედაც რომ კეთილ-განწყობილი ხარ ჩემდამო და კაცთმოყვარეც!

მე კი ძველებივით მიჭირავს თავი ფილოსოფიურადაც, ასე, რომ ჩემდა ერთია ზეცა, და იგი ყველასთვისაც — ერთია; ასევე საერთოდვე მივიჩნევ ყველასათვის; მზისა და მთვარის მიმოქცევას, რიგსა და მდებარეობას ვარსკვლავებისას, სითა-ნაბრეს და კეთილმოქმედებას დღე-ღამისა; კვალად ყველასათ-ვის საერთოდ მივიჩნევ მონაცვლეობას წელიწადის დროთა, წვიმებს, ნაყოფთ, ცხოველმყოფელ ძალას ჰაერისა; ვგონებ, ყველასათვის ერთნაირად მიედინებიან მდინარეები — ეს სა-ერთო და უშურველი სიმდიდრე; ვგონებ, დედამიწაც ერთია ყველასთვის — ჩვენი აღმომაცენებელი და ჩვენი მიმღები საფლავად, რამეთუ მისგან გამოვედით, მასვე მივექცევით, და მასში მყოფთ აღარავითარი უპირატესობა არ გვექნება ერთ-მანეთის წინაშე. და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საერ-თოდ ვაღიარებ: გონებას, სჯულს, წინასწარმეტყველთ და თვით ვნებათაც ქრისტესას, რომელთა მიერაც ჩვენ განვახლ-დით. არ ვიტყვი — ერთი განახლებულია, მეორე კი — არა-მეთქი; არამედ ჩვენ ყოველნი, მონაწილენი ვართ იმავე ადა-მისა, გველის მიერაც ცთუნებულნი, და ცოდვითაც მრავალ-

---

[1] „ახალ იერუსალიმს" კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ ელენე დედოფლის მიერ აგებულ დიდებულ ტაძარს, ზევკსიპი კი სახელგანთქმული და ძალზე დიდი აბანოები იყო, სადაც, გადმოცემით, ძირითადად მწვალებ-ლები დაიარებოდნენ. შესაძლოა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი „ახალ იერუსალიმს" სწორედ ამ აბანოებს უწოდებს.

ნებულნი, მაგრამ ცხოვნებულნიც ზეციური ადამის მიერ, და ცხოვრების ხეს ,რომელსაც მოვაკლდით, კვლავაც მიახლოებულნი, უკეთურების ხეს კი — მოშორებულნი.

მე კი შემაცდენდა სამოელის არმათემი (I მეფ. 1, 1) — ეს მცირე სამშობლო დიდისა (ადამიანისა), შემაცდენდა იმით, რომ არ შეურაცხ-ჰყო თავით თვისით წინასწარმეტყველი, და სახელგანთქმულიც თავისით კი არ შეიქნა, არამედ სწორედ მისით, წინასწარმეტყველით, რაკი წინაღობად არ გაუხდა იმაში, რომ ღმერთისადმი მიძღვნილიც ყოფილიყო ჯერ კიდევ თავის შობამდე და წინასწარმეტყველიც ყოფილიყო წინდაწინ მცნობელი მრავალისა (ესაია 41, 26), და არამხოლოდ ამაში არ გაუხდა წინაღობად, არამედ იმაშიც, რომ კურთხევის საცხებლით ცხებულ-ეყო მეფენი თუ პირველსამღვდელონი (ისრაელისა), და მაღალი მსჯავრითაც განესაჯა ისინი, რომელნიც სახელგანთქმულ და დიდებულ ქალაქთაგან იყვნეს წარმოშობით. საულისათვის კი მსმენოდა (I მეფ. თავ. 9 და 10), რომ მან თავისი მამის სახედართა ძებნაში (ისრაელის) მეფობა მოიძია თავისთვის. და აკი თვით დავითიც ცხოვართა ფარის მწყემსობისაგან იქნა მოწოდებული იმისთვის, რომ ისრაელის მწყემსი გამხდარიყო (I მეფეთა 16). ხოლო ამოსი კი — რა? — განა მას მაშინ არ მიენდო საწინასწარმეტყველო მსახურება, როცა „თხათ მეკოლტე“ იყო, „მსხეპელი ლეღუსულელთაი“ (ამოსი 7, 14)?! ან კი ვით არ მოვიხსენე მე იოსები, რომელიც მონაც იყო, პურის მომცემიც მრავალთა ათასთათვის ეგვიპტეში და მამაც იმ სიმრავლისათვის ისრაელისა, აბრაჰამს რომ აღუთქვა ღმერთმა?! და განა აბრაჰამიც (ძალზე მნიშვნელოვანს რასმე ვიტყვი) მსხემი, გადმოსახლებული კაცი არ იყო?! (დაბად. 12) და მოსეც განა თავდაპირველად მდინარეში არ იქნა გადაგდებული?! და მერეც განა თავისი ხალხისაგან შორს არ იყო გადახვეწილი, ხოლო ბოლოს განა სჯულისმდებელი არ შეიქნა თავისი ერისა და მისი წინამძღვარიც აღთქმული ქვეყნისაკენ მრავალწლიან მოგზაურობაში?! და განა მისი სიტყვანი დიდნი და საკვირველნი არ არიან?!.. ასევე შემაცდენდა მე ელია თეზბიტელის კარმელიც, წინ რომ უსწრებდა ცეცხლოვან ეტლს, და ელისეს ხალენიც (ცხვრის ტყავი), რომელსაც უფრო მეტი ძალა

ჰქოწდა, ვიდრე აბრეშუმის ქსოვილ:ს, ოქრომკედით დამშვენებულ შესამოსელსა და ბოლოს, მე შემაცდენდა თვით უდაბნოც იოანესი (ნათლისმცემელისა); ის უდაბნო, რომელიც თავის წიაღში იფარავდა უდიდესს დედათაგან შობილთა შორის, და ასევე შემაცდენდა იოანეს საზრდოც, სარტყელიცა და შესამოსელიც.

მაგრამ მე უფრო მეტისთვისაც ვკადნიერდებოდი: თვით ღმერთსაც კი ვაღიარებდი დამცველად ჩემი სიგლახაკისა! მე ხომ ბეთლემის გვერდით დამადგენენ! მე ხომ ბაგათა თანა უპატიო-მყოფენ! მაშ, რაღა არის გასაკვირი იმაში, თუკი შენ, თვით ღმერთის უპატიო-მყოფელ! და შეურაცხ-მყოფელი ამ ბაგის გამო, რომლის გვერდითაც იშვა უფალი, ამავე მიზეზით მ ი ს მქადაგებელსაც მოიძაგებ?! მაგალითადვე წარმოგიდგენ იმ მესათხევლეთ (მეთევზეებს) და გლახაკთ, რომელნიც უფლის სიტყვას ახარებდნენ, — ესენიც ხომ მრავალთ მდიდართ ამჯობინა ღმერთმა! მაშ, ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ არ შეწყვეტ თავის ქებას ქალაქებით?! ნუთუ როდისმე ჯეროვან პატივს არ მიაგებ შენთვის საძაგელ და უპატიო უდაბნოს?! იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ ოქროც ქვიშაში იშვება და პატიოსანი ქვებიც უბრალო ქვების აღმონაცენი და საბოძვარია. ხოლო თუკი ამათ მე იმას დავუპირისპირებდი, რაც ქალაქებშია უპატიო და უსახურია, მაშინ იქნებ არც თუ კეთილად მესარგებლა სიტყვის თავისუფლებით.

მაგრამ ჩვენაო, — შესაძლოა არ მოიწონოს ვინმემ შეზღუდულ და ხორციელ ადამიანთაგან, — უცხო ქვეყნის, სხვათაგან გადმოხვეწილი მქადაგებელი გვყავსო. თუ ასეა, მაშინ, მოციქულებს რაღა ვუყოთ?! განა ისინი უცხო ქვეყნიდან მოსულნი არ იყვნენ მრავალი ხალხისა და ქალაქისათვის, რომლებთან საქადაგებლადაც ისინი განაწილდნენ უფლის ბრძანებისამებრ, რათა ყოველგნით ეხარებინათ სახარება, და რათა ყოველივე გაცისკროვნებულიყო სამმაგი ნათელით ღმრთაებისა; რათა ყოველივე განათლებულიყო ჭეშმარიტი სარწმუნოებით ისე, რომ წყვდიადით მოცულთათვისაც და სიკვდილის საფარველ-ქვეშ მყოფთათვისაც გაფანტულიყო ბნელი უცნობლობისა?! აკი ნათქვამია: „რაითა ჩვენ წარმართთა შიმართ, ხოლო იგინი წინადაცვეთილებისა მიმართ“-ო (გალატ.

2, 9). გესმის, ამას ხომ პავლე მოციქული ამბობს! დაე, პეტრეს იუდეა შეხვედროდა (საქადაგებლად). მაგრამ რა საერთო უნდა ჰქონოდა პავლეს წარმართებთან, ლუკას — აქაიასთან, ანდრიას — ეპირთან, იოანეს — ეფესოსთან, თომას — ინდოეთთან, მარკოზს — იტალიასთან, — და ყველას ერთად უფლის წმიდა მოციქულთაგან (თუკი თითოეულზე ცალ-ცალკე არ ვილაპარაკებთ) რა საერთო უნდა ჰქონოდა იმათთან, ვისთანაც ისინი სახარების საქადაგებლად გაემართწენ?! ამიტომ ან ისინიც გაიცხე ამისთვის, ანდა მეც ნუ მადანაშაულებ ამგვარ რაიმეში! ანუ ის დამიმტკიცე, რომ შენ, ვითომ-ცდა, ჭეშმარიტი სწავლების მატარებელი, უსამართლოდა ხარ ცილ-შეწამებული! მაგრამ რადგანაც აქამდე უბრალოდ გესაუბრებოდი ყოველივე ამის შესახებ, აწ უფრო ამაღლებული სახითაც ვისიბრძნისმეტყველებ შენს წინაშე.

ყველას, მაღალთ, — ჰოი, ადამიანო! — ერთი სამშობლო აქვს — ზეციური იერუსალემი, რომელშიც დაცულია ჩვენი ცხოვრება. ყოველნი ერთი გვარ-ტომისა და წარმოშობისა ვართ, — თუკი ქვენას, ამაქვეყნიურს მოვხედავთ, ეს მიწაა, მტვერი, ხოლო თუკი უზენაესისაკენ მივაპყრობთ მზერას, — ეს (ღვთაებრივი) სულია, რომლის თანაზიარნიც ჩვენ შევიქენით, რომლის დამარხვაც ჩვენ აღთქმად მოგვეცა და რომლითაც ჩვენ უნდა წარვსდგეთ კიდეც ღმრთის სამსჯავროს წინაშე, რათა პასუხი გავცეთ, თუ როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი ზეციური კეთილ-შობილობა და ხატი, მსგავსება ღმრთისა. ამიტომაც ყოველია კეთილშობილი, ვინაც კი სათნოდ დაიცვა თავის თავში ეს სული, ანუ მოსწრაფედ პირველსახისა და ღმრთის ხატისა. და ასევე ყოველი არ არის კეთილშობილი, ვისაც მაწკიერებით შეუბილწავს და შეუგინებია ეს ღვთაებრივი სული თავის თავში და მის სანაცვლოდ შეუძენია უცხო სახე — ხატი გველისა. ხოლო ეს ქვენა, ამაქვეყნიური სამშობლოწი და გვაროვნობანი კი მხოლოდ ერთგვარი თავშესაქცევია ამ ჩვენი წარმავალი ცხოვრებისა, თავისებური სახითობა. რამეთუ მამულადაც ის იწოდება, რაც თითოეულმა აწ ძალადობით მიიტაცა თავიდანვე, ანდა საკუთარი შეჭირვებით მოიპოვა, და სადაც ყველანი ერთნაირად უცხონი და მსხვენი ვართ, რამდენსაც არ უნდა ვიგონებდეთ და წაღმა-უკუღმა

ვატრიალებდეთ სხვადასხვა სახელ-წოდებებს! და აკი გვაროვ-ნობითაც კეთილშობილად იწოდება ან ძველთაგანვე მდიდარი (ადამიანი), ანდა არცთუ დიდი ხნის წინ გამდიდრებული. და პირიქით, არაკეთილშობილად (მდაბიოდ) ის იწოდება, ვინც იმგვარ მშობელთაგან მომდინარეობს, რომლებიც ან უბედუ-რებისა გამო, ანდა სამართლიანობის სიყვარულით ღარიბნი არიან. და აბა, განა შეიძლება იმთავითვე კეთილშობილი ვუ-წოდოთ იმას, რაც ნაწილობრივად იწყება, ნაწილობრივ კი ირღვევა, და ერთთ არ ეძლევა, სხვებს კი მიეწერება?! — აი, ასე ვმსჯელობ მე ამის შესახებ. ამიტომაც შენთვის დამითმია ამაღლებულად ფიქრი საფლავთა და მოგონილ ამბავ-არაკთა შესახებ! თვით კი ყოველმხრივ ვეცდები გავთავისუფლდე საც-თურისაგან, რათა არ დაგიბრუნო (დაკარგული) კეთილშობი-ლება, ანდა შეგინარჩუნო იგი.

აი, ამ ფიქრებითა და ამ მიზეზთა გამო მოვსულვარ მე თქვენთან — კაცი კნინი, მქონე არაჩინებული მამულისა, და მოვსულვარ არა ჩემი ნებით, არა საკუთარი მოწოდებით, რო-გორც ამჟამად მრავალნი მიისწრაფვიან წინამძღვრობისაკენ, არამედ მოხმობილი და იძულებული ამ მსახურებისათვის სუ-ლიწმიდის მიერ და დაქვემდებარებული ღვთის შიშს. და თუკი ჩემი სიტყვა ცრუა, მაშინ, დაე, დიდხანს მებრძოლოს აქ ამა-ოდ, მაგრამ მაინც ვერაფის ვერ ვიხსნი შეცდომილებისაგან, არამედ, პირიქით, მაშინ, დაე, აღსრულებულიყოს იმათი სურ-ვილი, ვინც ჩემი სულის ბერწობას და უნაყოფობას ნატრუ-ლობს! მაგრამ მას შემდეგ, რაც მე მოველ აქ, და ვინძლო იმ-გვარი ძალაუფლებით აღჭურვილიც, რაღაცას რომ ნიშნავს („მეცა მცირედ რაიმე ვიქადო“ ვითარცა უგუნურმა — 2 კორინთ. 11, 16). განა მიმიბაძავს ვინმესათვის გაუმაძღარ ხარბთაგან? მოშურნე ვყოფილვარ განა რაიმე წარმავალისათ-ვის, თუმცა თვალწინ კი მრავლად მქონდა ასეთი მაგალითი? მით უფრო, რომ უმაგალითოდაც საძნელო და იშვიათი საქ-მეა — არ იყო ბოროტი! განა ჩვენ დაგვიწყია თქვენთან ქიშ-პობა რომელიმე ეკლესიისა თუ რაღაც სიმდიდრის გამო, მი-უხედავად იმისა, რომ თქვენ ერთიცა და მეორეც საკმარისზე მეტი გაქვთ, ჩვენ კი მეტად ღარიბნი ვართ ორივეთი?! განა ჩვენ როდისმე გულსვმოდგინეობდით რომელიმე სამეფო

ბრძანებულების გამო, აღუსრულებელისა და დარღვეულისა?! განა ვაამებდით რომელიმეს მთავაროაგან, რათა თქვენს წინააღმდეგ აგვემხედრებინა? განა გაგვიმხელია ვინმეს კადნიერება თქვენიანთაგან?!.. — არა, აბაში ვერ დაგვადანაშაულებთ!

ხოლო ჩემს საწინააღმდეგოდ რაღა არ იქნა მოქმედებული! „უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას!“ (საქმე მოციქ. 7, 60), — მაშინაც ამას ვამბობდი პირველმოწამე სტეფანე დიაკვნის მსგავსად, და ახლაც ამასვე ვევედრები ღმერთს[1]. „მაგინებელთა ჩვენთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თავსვიდებთ; მგმობართა ჩვენთა ულოცავთ...“ (I კორინთ. 4, 12—13); ხოლო თუკი მე უსამართლო ვარ თქვენს წინაშე იმით, რომ დავითმენ ძალადობას ჩემს მომართ, — მაშინ შემინდეთ მე ეს უსამართლობა! — სხვათაგან მრავალთაგანაც დავითმენდი ამას, როცა იძულებას ხმარობდნენ ჩემს წინააღმდეგ. გმადლობთ ამისთვის, რომ სიმშვიდე და უწყინარობა უგნურებად შემერაცხა! რამეთუ გაცილებით უფრო ამაღლებულად, ვიდრე ეს თქვენი მიბაძვით უნდა მექმნა, მე ამგვარად განვსჯი: განა რასმე წარმოადგენს ეს ყოველივე (ჩემს მიერ დათმენილი) იმ ნერწყვსა და ყვრიმალს-ცემასთან შედარებით, რაც ქრისტემ დაითმინა, რომლისთვისაც და რ ო მ ლ ი ს გამოც ჩვენ ვეწევით კიდეც ხიფათს?! ყველაფერ ამას მე ერთსაც კი არ შევუდარებ — იმ ეკლის გვირგვინს, რომელიც თავს დაადგეს ჩვენს ძლევაშემოსილ უფალს, ვ ი ს გ ა ნ ა ც მე ვსწავლობ კიდეც წუთისოფლის მწუხარებათაგან შეკრული გვირგვინის თავზე დადგმას; არ შევუდარებ ერთ ლერწამსაც კი, რომლითაც შეწყდა დაძველებული მეუფება; არ შევუდარებ ერთ ნაველსაც კი, ერთ ძმარსაც კი, რომლებითაც განიკურნა მწარე გემოისხილვა; არ შევუდარებ ერთსაც კი უფლის სულგრძელებათაგან, წარმოჩენილთ მის ვნებაში. რამეთუ როცა მ ა ს ამბორს-უყოფს (განმცემი), ი გ ი ამხელს მას, მაგრამ არ მოსწყლავს; როცა მ ა ს ანაზდეულად შეიპყრობენ, ჰკიცხავენ მას, მაგრამ მორჩილად მისდევს; თუკი

---

[1] წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი აქ იმას შეახსენებს არიანელ მწვალებლებს, რომ მან ?ალი ?ალელაც კი სურდათ, როცა თავდასხმა მოუწყეს.

მოშურნეობით ყურს მოჰკვეთ მალქას, ი გ ი განგირისხდება, და განკურნავს; თუკი ვინმე „დაუტევებს არდაგს და ივლტის შიშველი“ (მარკოზი 14, 52), ი გ ი შეჰმოსავს; თუკი შესთხოვ სოდომის ცეცხლი დაატეხოს თავს იესუს შემპყრობთ, ი გ ი არ შეისმენს შენსას; თუკი ი გ ი შეიწყნარებს ერთ-ერთს ავაზაკს, მის გვერდით გამოკიდულს ჯვარზე ბოროტ-მოქმედებისათვის, უფალი სამოთხეში შეიყვანს მას თავისი სახიერებისა გამო. კ ა ც თ მ ო ყ ვ ა რ ე ს ყოველივე, დაე, კაცმოყვარეობრივი ჰქონდეს! — და აკი ამასვე ვხედავთ ქრისტეს ვნებაში! მაშ, სხვა რითი უნდა მივუზღათ მ ა ს სამაგიერო ამ ტანჯვათათვის, თუკი ისიც არ ძალგვიძს, რომ შევუნდოთ ჩვენსსავე მსგავსს და ერთს მცირეთაგანს? და ეს მაშინ, როცა თვით ჩვენთვის ღმერთი მოკვდა!

გარდა ამისა, მე ადრეც მიფიქრია, და ახლაც ვფიქრობ იმაზე (იხილეთ, მეტად სამართლიანი ხომ არის ეს!), რის შესახებაც უკვე არაერთგზის მისიბრძნისმეტყველია თქვენთან. იმათ სახლები აქვთ თავისთვის, ჩვენ კი — დამკვიდრებული ყოველ სახლში; იმათ ტაძრები აქვთ, ჩვენ კი — ღმერთი, და ჩვენვე ძალგვიძს ჩვენგან თაყვანისცემული და განდიდებული სამების მიერ ცოცხალ ტაძრებად შეგიქმნათ ცხოველი ღმრთისა, — განსულიერებულ მსხვერპლად, გონიერ ყოვლადდასაწველებად, სრულყოფილ შესაწირავად და განღმრთობის ღირსად! იმათ ერები ჰყავთ, ჩვენ კი — ანგელოზები, იმათ კადნიერება შეუმოსიათ, ჩვენ კი — ჭეშმარიტი სარწმუნოება; ისინი იქადიან და იმუქრებიან, ჩვენ კი ვლოცულობთ; ისინი ქვე დაამხობენ, ჩვენ კი — დავითმენთ; იმათ ოქრო-ვერცხლი აქვთ, ჩვენ კი — განწმედილი მოძღვრება.

შენ შენთვის სახლი აგიშენებია ორ თუ სამ ქორედად (მოიხსენე საღმრთო წერილის სიტყვები: „უშენე თავსა შენსა სახლი ზომითი, ქორები სანიავოები“—ო იერემია 22, 14), მაგრამ იგი ვერ არის ჩემს რწმენასა და იმ ზეცაზე მაღალი, რომლისკენაც მივისწრაფვი! მცირერიცხოვანი მყავს განა სამწყსო? — მაგრამ იგი არ დაიარება ფრიალოებზე. ვიწროა განა ჩემი ზღუდე-გალავანი?—მაგრამ ის მიუდგომელია მგელთათვის, არც ავაზაკებს შემოუშვებს შიგნით და ვერც მპარავნი თუ გარეშენი გადმოევლებიან მას! კარგად ვიცი, რომ ოდესმე მას

უფრო ფართოსაც ვიხილავ; რომ იმათგან, რომელნიც აწ მგელნი არიან, ოდესმე მრავალნი ცხვრებად უნდა მივითვალო, და ვინძლო ზოგნი მწყემსებადაც! — ამას თვით მწყემსი კეთილი მახარებს მე, **რ ო მ ლ ი ს** მიერაც სულს დავდებ ცხოვართათვის! არ მეშინის მე მცირერიცხოვნობისთვისაც სამწყსოსი, იმიტომ, რომ ასე უფრო ადვილია მისი თვალყურის დევნება — მეც ვიცი ჩემნი, და მათაც მიცნიან მე. მათ უწყიან ღმერთი, და ღმერთმაც უწყის ისინი. ჩემნი ცხოვარნი ისმენენ ჩემს ხმას, თვით მეც რომ საღმრთო სიტყვაში მომისმენია და წმიდა მამათაგან მისწავლია; ამ საღმრთო სიტყვას უცვალებლად ვასწავლიდი ყოველთვის, ისე, რომ თანახატ-არ-ვექმნებოდი დროის გარემოებათ, და ყოველთვისაც ასე ვასწავლი; რამეთუ ამ სიტყვით ვიშევი ამქვეყნად და ამ სიტყვითვე განვალ ამა ქვეყანიდან. ჩემს ცხოვართ მე სახელითი-სახელად მოვუხმობ თითოეულს (იმიტომ, რომ ისინი უსახელონი როდი არიან, ისევე, როგორც ვარსკვლავები, რომელთაც რაკი თავისი რიცხვი აქვთ, ამიტომ თავისი სახელებიც უნდა ჰქონდეთ), და ისინიც მომდევენ მე, რამეთუ აღვზრდი მათ „ადვილსა მწვანილსა“ და „წყალთა ზედა განსასვენებელთასა“ (ფსალმ. 22, 2). ისინი ყველა სხვა ამგვარ მწყემსსაც შეუდგებიან (ხომ ხედავთ რა სიამოვნებით ისმენდნენ მის ხმას), მაგრამ არ გაჰყვებიან უცხო მწყემსს, განეცლტიან მას, იმიტომ, რომ უკვე შეუძენიათ ამის უნარი — განარჩიონ ნაცნობი ხმა — უცხოსაგან. ისინი განეშორებიან ვალენტინესეულ განწვალებას ერთიანისა ორად, სწამთ რა, რომ შემოქმედი და სახიერი (ღმერთი) ორი არსება როდია; ასევე (განეშორებიან) სიღრმესა და მღუმარებას, და ზღაპრულ ეონებს, ნამდვილად რომ ღირსნი არიან უფსკრულის სიღრმისა და მდუმარებისა; განეშორებიან მარკიონესეულ — სტიქიათა და რიცხვთაგან შემდგარ, ღმერთს, მონტანესეულ ბოროტ და მდედრ სულს, მანისეულ ნივთიერებასა და წყვდიადს, ნავიტესეულ ქედმაღლობასა და „სიწმიდეს“, მხოლოდ ცარიელ სიტყვებში რომ მდგომარეობს; განეშორებიან საბელიოსის დაშლასა და შერწყმას (საღმრთო ბუნებებისა), ანუ, ასე ვთქვათ, ურთიერთშთანთქმას, რომელშიც სამი — ერთში მოიყრის თავს, მაგრამ ეს ერთი არ არის განსაზღვრული სამ

ჰიპოსტასში; (განეშორებიან) არიოზისა და მის მიმდევართა მიერ შემოღებულ გაუცხოებას (საღმრთო) ბუნებებისა, და ახალ იუდეველობასაც, რომელიც ღმრთაებას ერთით — არა-შობილით შემოფარგლავს; აგრეთვე ფოტინესეულ ქვეას (ამა-ქვეყნიურს) და (მხოლოდ) მარიამისაგან წარმოშობილ ქრისტეს.

ხოლო თაყვანს-სცემენ ჩემნი ცხოვარნი მ ა მ ა ს და ძ ე ს და ს უ ლ ს წ მ ი დ ა ს, — ერთიან ღმრთაებას, — მამა-ღმერთს, ძე — ღმერთს და ღრემთ.სავე (თუკი არ დამწუხრ-დები ამით) სულს წმიდას, ერთიან ბუნებას სამპიროვანს — გონიერს, სრულყოფილს, დამოუკიდებელს, და განყოფილს რიცხვით, მაგრამ არა ღმრთაებით. ეს გამონათქვამები, დაე, დამითმოს აწ ყოველმა, ვინც კი მემუქრება, სხვები კი, დაე, იმან მიითვისოს, ვისაც სურს. მამა არ დაუშვებს, რომ ძე მო-აკლონ, არც ძე დაუშვებს, იმას, რომ სულიწმიდა მოაკლონ; მაგრამ ისინი სწორედაც რომ მოაკლდებიან ერთმანეთს, თუკი (მწვალებლებსავით დავუშვებთ, რომ) ძე, ანდა სული (წმიდა) დროისმიერნი და ქმნილნი არიან; რამეთუ ქმნილი არ არის ღმერთი.

და მეც არ დავუშვებ, რომ სრულყოფილებას (ანუ ნათ-ლის-ღებას) მომაკლებდნენ, რამეთუ „ერთ არს ღმერთი, ერთ — სარწმუნოება, ერთ — ნათლის-ღება“ (ეფეს. 4, 5). ეს ნათლის-ღება რომ წამართვან, ვისგანღა მივიღებ სხვას? თქვენ-გან, ვინც წყალში დამნთქმელნი ხართ, ანდა ხელახლა მომნათ-ლავნი? განა შეიძლება სულიერი იყო სულის გარეშე?! განა შეიძლება სულიწმიდის თანაზიარი იყოს ის, ვინც თაყვანს არა სცემს სულიწმიდას?! და განა სულს (წმიდას) მიაგებს პა-ტივს ის, ვინც ნათელს იღებს ქმნილების და თანა-მონის მი-ერ?! — არა! და ესოდენს შენ კი ვერ იტყვი!...

ვერ გეცრუვები შენ, მამაო დაუსაბამოო! ვერ გეცრუვები შენ, ძეო მხოლოდშობილო! ვერ გეცრუვები შენ, სულო წმი-დაო! ვუწყი მე, თუ ვ ი ნ ვაღიარე (ნათლის-ღებისას), ვ ი ს (წოროტს) განვეშორე, ვ ი ს შევეუღლე, და მას შემდეგ რაც შევიმეცნე სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, უმართ-ლოთაგან სწავლაზე თანახმა არა ვარ; ხოლო მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტება ვაღიარე, თანახმა არა ვარ სიცრუეს შეევერთო,

(ხელმეორედ) შთავხდე ემბაზად ვითომცდა სრულყოფისათვის, და აღმოვხდე მისგან უფრო მეტად არასრულყოფილი; განცხოველებისათვის შევუდგე წყალში ნათლობას, და იმ ყრმის მსგავსი შევიქმნა, რომელიც დედის მუცლით გამოსვლისთანავე კვდება, ასე, რომ მის შობას სიკვდილი ახლავს თან. მაშ რად შემქმნი მე ერთი და იმავეთი ნეტარადაც და უბედურადაც? ახლადგანათლებულადაც და განუნათლებლადაც? ღვთაებრივადაც, და იმავ დროს ულმერთოდაც? იმისთვის ხომ არა, რომ გაცამტვერდეს ჩემი სასოება განახლებისა? მოკლედ ვიტყვი: მოიხსენე შენი აღმსარებლობა! — ვ ი ს ა მიმართ მიგიღია ნათელი? მამისა მიმართ? — კეთილი! მაგრამ მხოლოდ ეს — იუდეველურია. ძისა მიმართ? — კეთილი! ეს უკვე არ არის იუდეველური, მაგრამ არც სრულყოფილია ჯერ. სულიწმიდისა მიმართ? — დიდებულია! ეს კი — სრულყოფილია. მაგრამ უბრალოდ მათ მიმართ მიგიღია შენ ნათელი, თუ მათი ერთი სახელის მიმართ? — დიაღ, მათი საერთო სახელის მიმართ! მაშ, რომელია მათი საერთო სახელი? — უეჭველია ეს სახელია ჭეშმარიტი ღმერთისა, ყოვლადწმიდა სამებისა.

აი, სწორედ ეს ერთი საერთო სახელი გწამდეს კიდეც, „და წარემართე და სუფევდი ჭეშმარიტებისათვის და სიმშვიდისა და სიმართლისა“ (ფსალმ. 44,5), და აქედან, ამაქვეყნიდან, იქაურ (იმა ქვეყნის) ნეტარებად მიიწევი, რაიც, ჩემი გულისხმისყოფით, არის უსრულყოფილესი შემეცნება მ ა მ ი ს ა და ძ ი ს ა და ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა, და რასაც, ნეტამც, ჩვენც მივემთხვიოთ თვით იესუ ქრისტეს — ჩვენი უფლისა და ღმრთისა მიერ. მ ა ს დიდება და ძალი თანადაუსაბამოთ მამით და ცხოველმყოფელით სულიწმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

თარგმნა-ვასილ ბურკაძემ

წმ. ამფილოქე იკონიელი

წმიდისა ბასილისი საკითხავი, თქუმული წმიდისა ამფილოქეს მთავარეპისკოპოსისა იკონიელისაჲ, ცხოვრებისათჳს და საკჳრველთმოქმედებისა წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ, კესარიელ-კაბადუკიელისაჲ.

საყუარელნო, არა უცხო არს ერთგულთა შვილთაგან მამისა თჳსისა წუხილი ცხორებთაგან განსვლასა და ცრემლნი მინიჭებად მათა სამართალ არს, რომელ-იგი ვიდრე აქამომდე ზრუნვით შეგუემთხჳა ხოლო ოდეს გლოვისა იგი სიბნელე, მსგავსად წერილისა, განვიშორეთ და მადლობად და ვედრებად ყოველთა მეუფისა ქრისტეს ჭეშმარიტისა ჩუენისა წარვერმართენით, უფროჲსად შეკჳრაცხეთ მარადის ხსენებულსა მათა ცხორებასა და ჭეშმარიტად დიდთა საკჳრველებათა, ჩუენისა მწყემსისა და მოძღურისა ბასილისთა აღწერით მიცემად, რათა არა ჟამთა თანაწარსლვამან დავიწყებასა სიღრმისასა მისცეს. რამეთუ, სამთა მათ ყოვლად წმინდანთა და ღმრთისმოშიშთა კაცთა, — ვიტყჳ: გრიგოლისსა, რომელი ღმრთისმეტყუელებასა შინა განშუენდა, და გრიგოლისსა მარადის ხსენებულსა ეპისკოპოსისა ნოსელ ქალაქისაჲ და ეფრემისსა ყოვლად ქებულისა, როკელთანი იგი სხუათა კაცთა ბრწყინვალედ აღწერნეს საქმენი, — ჯერმიჩნდა, ვითარცა ნარჩევსა მოციქულისაებრ, გამოჩინებად ხელთა...

კაცთაგან მოთხრობილთაჲ, თქმულთა აღსრულებად, ვითარცა ერთგული შვილი, მამისა ვაღლთა გარდახდად, ზეგარდამო შემდგომითი-შემდგომად, განკრძალულებით აღწერად... ღრუბელმანცა დაფარვად მზე და ჟამთა თანაწარსლვამან კეთილთა მითხრობათა ადვილად შეყჳანე... დავიწყებისაჲ.

ესე უკუე დიდი ჩუენი მწყემს, და განთქმული სოფელსა

ზინა ბასილი, რომელ არს ეკლესიისა მოძღუარი, რომელმან ბუნება იგი ჭეშმარიტი განაცხადა, რომელმან — იგი განდგომილი სამებისაგან ლოცვითა დაამხუა ივლიანე უღმრთოჲ, რომელმან — იგი უვალენტოსს ნგმობარსა დაუყო პირი, რომელმან — იგი არიოზისი დასცა ბოროტადმადიდებლობაჲ. რომელმან — იგი ქრისტეანეთაჲ სიბრძნით დაამყარა მართლმადიდებლობაჲ, მწყემსი მოგებული ერისაჲ, ეკლესიისა სამეუფოჲსა სამღდელოჲ ფერადფერადი ქრისტეს ცხოვართა ვეძი, რომელი საღმრთოჲსა მსახურებისა მოძღუარი არს კეთილი, რომელი — იგი ცხორებასა დიდად გამობრწყინდა საკჳრველებითა, რომელმან — იგი ლოცვითა მისითა ქმნა, ვითარ იგი თქუმულ არს ,ივლიანესი, ღმრთის შემაწუხებელისაჳ, განხრწნაჲ, რომელმან — იგი აღიღო მაღლად რქაჲ და იტყოდა ღმრთისათჳს სიცრუეესაჲ და უვალის, ამისმან მამის ძმამან, დაიპყრა უღირსმან სამეუფოჲ შარავანდი და არიანოზთა თანაშემწე ეყო ბოროტადმადიდებლობასა. მოვიდა ჩუენსა ამას კესარიასა ჩინებულსა ქალაქსა დარღუევად და ვითარ და რაჲსათჳს, არა არს ჟამსა ამას მითხრობად, არამედ წინამდებარესა მას აღვიდეთ შობით მისითგან და ვიდრემდე აღსრულებამდდე სათნოებათა მითხრობად.

ბასილი მხოლოჲ ქუეყანასა ზედა, რომელი-იგი აჩუენა ცხორებამან, სიტყჳთა შუენიერად სიბრძნისაჲთა და ცხორებითა ბრწყინვალითა ყოველივე ქრისტესა მისცა: სული და სორცნი, სიტყუაჲ და ხელნი, რომლისათჳსცა წარმართთა იგი საცთური, ვითარცა ქსელი დედაზარდლისა განფხურა.

ესე შჳდის წლის რაჲ იქმნა, მიეცა მშობელთა მისთაგან სწავლასა წიგნთასა და დაყენა სწავლასა შინა ხუთისა წლისა ჟამნი და არა მოუძლურდა სწავლითა და მოიგო რაჲთურთით ფილოსოფოსთა ხელოვნებაჲ.

და მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანაჲ თჳსი, რამეთუ კაბადუკიელი იყო ნათესავით და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენას, უბიწოებითა და მრავლითა მარხვითა და სიწმინდითა შემკობილი, და დაემოწაფა მოძღუარსა წარმართთა ფილოსოფოსთასა (ევბოლო სახელით), და ესრეთ თავი თჳსი მისცა სწავლასა, ვიდრე გაწკრვეზადმდეცა იგი მოძღუართაგან და მისთანათა მათ მოწაფეთა.

რამეთუ იყვნეს მისთანათა მოწაფენ: გრიგოლი დიდი, რომელი ანძიანძორს იქმნა ეპისკოპოს და სამოციქულოჲ საყდარი ათორმეტისა წლისა ჟამთა აღუაწა, და ივლიანე, რომელი იგი მცირედ პირველ ქრისტეანე იყო, და ლიბანიოს, ხოლო ესე ყოველთა მათგან საკჳრველ იყო შამაკაცი.

და დაიდგა გულსა თჳსსა არა მიღებად პურისა გინა ღჳნისა, ვიდრემდე არა ზეგარდმო ბრძანებული ცნას, — ღმრთეებისა სიბრძენი გამოუთქუმელნი; ხოლო დაყვნა სწავლასა მას შინა ათხუთმეტისა წლისა ჟამნი და ყოველივე წარმართთა სიბრძნე დაისწავა სრულიად, ვარსკულავთა მრიცხუალებაჲ და სხუაჲ მრავალი; და ვერ-ადა პოვნად შემძლებელ იქმნა მათ მიერ ყოველთა შემოქმედსა.

ერთსა უკუე ღამესა, მღჳძარე იყო რაჲ, საღმრთოჲ რაჲმე ბრწყინვალებაჲ იქმნა მისთანა. და განიხილვიდა ყოველთა წერილთა თითოეულისა შჯულისათა და აღდგა და წარვიდა ეგჳპტედ და მოვიდა ერთსა არქიმანდრიტსა თანა, პორფილოს სახელით, და ითხოვნა მისგან წიგსნი საღმრთონი, რათა მიიხუნეს ბრძანებანი საღმრთონი, და ამას რაჲ მიემთხჳა, დაადგრა მუნ და იშუებდა წურთითა საღმრთოთა სიტყუათჲთა? და წელიწდისა ჟამნი დაყვნა მუნ და ჰეშმარიტებისა სიტყუანი სარწმუნოებით განიცადნა.

და ითხოა განტევებაჲ თჳსი იერუსალემდ ლოცვისათჳს და მუნ შინა საკჳრველებათა ხილვად, ხოლო მან ულოცა და განუტევა; და უკმოიქცა, სადა იგი წარმართთა ფილოსოფოსებაჲ ესწავა და იწყო რწმუნებად მრავალთა ფილოსოფოსთა და სიმრავლესა წარმართთასა მოიყვანებდა ქრისტესა; და უჩუენებდა გზასა ცხორებისასა; და ეძიებდა თჳსსაცა მოძღუარსა ევბოლოს, რამეთუ იგი იყო წინამძღვარი სიტყჳსაჲ, რა ჲთამცა მიაგო მას ნაცვალი სწავლისაჲ, რაჲ-იგი შეემთხჳა მის მიერ და მოყვანებად უბიწოსა სარწმუნოებასა, ეგრეცა იგი იყოს; რაჲთა ყოველნი ერჩდენ მას ვითარცა მოძღუარსა და ფილოსოფოსსა პირველითგან.

და ეძიებდა რაჲ მას ყოველთა შინა სამოძღუროთა, პოა იგი აგარაკსა შინა, გამო-რაჲ-ეძიებდა სიტყუასა სხუათა თანა ფილოსოფოსთა, რამეთუ არა იყო მათთანა სხუაჲ სწრაფაჲ, გარნა თუ სიტყუად რასმე და სმენად უახლესსა; და ზრახვი-

დეს რაჲ იგინი, შეურაცყვნა ზრახვანი მათნი, მი-რაჲ-ვიდა მათთანა ბასილი და მათგანმან ვინმე ჰრქუა მას: შეურაცხ-ვინმე-გყო, ჰოჲ, ფილოსოფოს? ხოლო მან ჰრქუა: ანუ ღმერთმან, ანუ ბასილი.

გამო-რაჲ-ეჩემა მას და მისთანათა მათ, წარავლინა სხუანი იგი და იყო ბასილის თანა; და სამი დღე დაყვეს უზმათა და გამოეძიებდეს ურთიერთი ერთას. ჰკითხა უკუე ევბოლოს ბასილის: რაჲ არს საზღვარი სიბრძნისაჲ? ხოლო ბასილი ჰრქუა: პირველი საზღვარი სიბრძნისაჲ წურთაჲ სიკუდილისაჲ არს, ხოლო მას განუკვრდა და ჰრქუა: რაჲ არს სამკაული? და ჰრქუა მას ბასილი, რომელ უფროჲს სამკაულისა არს, რომელსა-იგი აქუნდეს უვნებლად; და სხუაჲ არს გემოჲსმოყუარებაჲ ხორცთაჲ და სხუაჲ არს უხორცოთა ბუნებაჲ, რამეთუ ვერვინ შემძლებელ არს ორთა უფალთა მონებად. უფროჲს რაჲ-იგი ძალ გუედვას, დაუგოთ მშიერთა პური მეცნიერებისაჲ და უმანკონი და უსახლონი სათნობითა შევიყვანნეთ სართულსა ქუეშე; და უკუეთუ შიშუელი ვიხილოთ, შევმოსოთ და თჳსთაგან თესლთა არავინ უხილველ ვყოთ. ესე ჰრქუა ბასილი.

და კუალად გამოუსახა მაცხოვრისა ჩუენდა მომართ სინანულით კაცთმოყუარებაჲ: სამნი ფიცარნი მეცნიერებისანი დაუსხნა წინაშე კართა გონებისათა; ერთი ზედა ბჭეთა სათნოებისათა მომღებელი გონიერებად: სიმხნე, სიმართლე, სიწმინდე. ხოლო მარცხენით კერძო: ცთომაჲ და მისთანა უთმინოებაჲ, სიბილწე, სიმთვრალე, სილაღე, უდბებაჲ, შესმენაჲ, ენოვნებაჲ და სხუანი ესევითარნი ჩუეულებანი ბოროტნი.

ხოლო სინანული შუენიერი, მარხვაჲ, სიწმიდე, სიტკბოებაჲ, ქებულებაჲ, სირცხჳლი, კაცთმოყურებაჲ მრავალთა კეთილთა კრებული. ხოლო ამათი აღმწერელი გონებაჲ მხილველთათჳს განკრძალულებაჲ, ხოლო მსმენელთა შური.

ესე უკუე მეცა ვიხილე და გაჴვნათლდი, ჰოჲ ევბოლე, რამეთუ არა არიან ჩუენთანა არცა ხატნი, არცა სახენი, არამედ იგი თავად სიბრძნე ჭეშმარიტი მიგჳძღუეს ცხორებად საუკუნედ და წარვდგეთ დალიჭსა* ქრისტესსა, ვითარცა-იგი მასწავებენ ჩუენ ხმამაღალნი წინაწარმეტყუელნი: ესაია,

* სამსჯავროსა.

იერემია, ეზეკიელ, დანიელ, დავით მეფე და ღმრთისა მონაი პავლე და ამათ თანა თუთ თავადი იგი, რომელ სინანულისა მომცემელი და მაცხოვარი არს; რომელმან ცხოვარი იგი მოიძია წარწყმედული, რომელმან განდგომილი იგი ყრმაი წიაღთაგან მამისათა სიმდიდრესა თანა ბრავალსა და ესე უძღებებით წარაგო, და მერმე უკმოიქცა შიმშილითა დამყმარი; და სიყუარულით მოიკითხა და სამოსლითა ბრწყინვალითა შეამკო და ბეჭედი მისცა, და პური დიდი ყო; და არწმუნა არა შეცოდებულსა მას ყრმასა არა განრისხებაი, არამედ ვითარცა ძმასა, შენდობისა მიცემაი; ესრეთ უშურველად უფალი უფროის გარდაჰმატებს სახიერებასა და სწორსა სასყიდელსა, რომელნი-იგი მეათერთმეტისა ჟამისანი არიან, მისცემს და შეიწყნარებს, რომელნი წყლითა და სულითა იშვებიან, და მიანიჭებს რომელი თუალნი არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისსა არა მოჴდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა.

ესე რაი ესმა, ცნობასა მოვიდა ევბოლე და თქუა: ბასილი, ზეცისა გამომაცხადებელო სამებისაო! შენ მიერ მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი და შემდგომი, და მოველი აღდგომასა მკუდართასა და ცხორებასა მერმესა საუკუნესა ამინ. ხოლო საქმით, რომელ არს ჩემთანა სარწმუნოებაი, გიჩუენო შენ და ყოველი მონაგები ჩემი ხელთა შენთა მიგცე და ყოველნი ჟამნი ცხორებისა ჩემისანი შენთანა აღვასრულნე; უკეთუ სათნო არს წინაშე ღმრთისა და შეიწყნაროს წმიდითა წყლითა და სულითა შენდობაი ჩემი.

ხოლო ბასილი თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი, ამიერითგან უკუნითი უკუნისამდე. ჰოი, ევბოლე, რომელმან განაბრწყინვა ნათლითა ჭეშმარიტითა გული შენი და მიგცვალა შენ მრავალღმრთეებისა საცთურისაგან, მეცნიერებასა მისისა მოწყალებისსა, ხოლო მისთჳს, ვითარ-იგი სთქუ და გნებავს ჩემთანა ყოფაი, გიჩუენო, შენ რომლითა სახითა ცხორებისა ჩუენისაი წინავე ვცნათ და საკრველთაგან ამის ცხორებისათა განვთავისუფლდეთ, განვყიდოთ ყოველი მონაგები ჩუენი და მივსცეთ გლახაკთა და ესრეთ ქალაქად წმიდად წარვიდეთ და მუნ შინა მხიარულ ვიქმნეთ საკჳრველებათა და ღმრთისა მიერით მოვიგოთ კადნიერებაი და ესრეთ,

ორთავე მონაგები მათი ღმრთისმსახურებით განაგეს და წმიდისა ნათლისღებისა სამოსელი ხოლო მით იყიდეს და იერუსალემად წარემართნეს და მოაქცევდეს უფლისა წარმართთა სიმრავლესა.

ხოლო მი-რაჲ-იწინეს ანტიოქიაჲ ქალაქსა და დაადგრეს უცხოთა სადგურსა შინა ვისსამე (ხოლო ძე უცხოთა სადგურისაჲ მის, სახელით ფილოქსენოს, წიაღ ბჭეთა ზრუნვითა მრავლითა ჯდა, რამეთუ იყო იგი მიწაფე ლიბანისი ფილოსოფოსისაჲ და მიეხუნეს მისგან მუჯლნი უმიროჲსგანნი, რაჲთა გარდააქცინეს იგინი რიტორაკად და ჭირსა შინა მრავალსა და უპოვრებასა იყო), და იხილა ბასილი და ჰრქუა მას: რაჲსათჳს ესრეთ მწუხარე ხარ, ჰოჲ, ჭაბუკო? ხოლო მან ჰრქუა: და რა არს ჩემდა სარგებელ, უკუეთუ შენ გითხრა? ხოლო იგი აღუთქუმიდა სარგებელსა; და ჰრქუა მას ფილოსოფოსისათჳს და მუჯლთა მათთჳს, და გითარმედ: ამისთჳს ვიღუწი და ვზრუნავ.

ხოლო ბასილი მიიხუნა მუჯლნი იგი და იწყო სიტყუა მათსა თარგმანებასა და განკჳრდა ჭაბუკი იგი და მხიარულ იქმნა და ეევედრებოდა მას დაწერით მიცემად მისა ესე. ხოლო მან დაწერა ამათი იგი აჴსნაჲ სამითა სახითა და ყრმამან მან შეიწყნარნა იგინი სიხარულით, და ჴვალისაგან წარვიდა ლიბანისა და მისცა მას მუჴლთა მათ თარგმანებაჲ. ხოლო მი-რაჲ-იღო ლიბანი, განკჳრდა გამოთარგმანებულსა მას ზედა და თქუა: ვფუცავ ღმერთთა წინაჲსწარცნობასა, რამეთუ, არავინ აწინდელთა ბრძენთაგანი ვინ შემძღებელ არს ესევითარსა გამოთარგმანებასა. ვინ არს, რომელმან ესე განაახლა? მიუგო ყრმამან: უცხოჲ ვინმე გუშინ მოვიდა უცხოთა სადგურსა ჩუენსა და განმზადებით გამოთარგმანა ამათი ახსნაჲ.

და არა უდებ-ყო ლიბაწი, არამედ სრბით უცხოთა სადგურსა მას მივიდა და იხილა ბასილი ევბოლის თაწა, და იცნა და მხიარულ იქმნა. მოუგონელსა მას ზედა მათსა მოსლვასა და ჰლოცვიდა მათ, რაჲთა დაადგრეს სახლსა შინა მისსა. და ამას რაჲ მიემთხუა, ეევედრებოდა, რაჲთა სასუმლითა მიიღონ საზრდელი. ხოლო მათ პური და წყალი ზომით მიიღეს და განძღეს მსგავსად ჩვეულებისა, რომელ აქუნდა წესი და ჰმადლობდეს ყოველთა ღმერთსა, მომცემელსა კეთილისასა.

და განმზადებულად ლიბანი იწყო გამოძიებად მათთანა, იწყო სიტყუათა ფილოსოფოსთასა, ხოლო ბასილი ეტყოდა სარწმუნოებისა სიტყუათა; ხოლო ლიბანი გულისხმა-ყენა თქმულნნი იგი და ჰრქუა: არა არს ჟამი ესე ვითარისა ვაჭრობისაჲ ბრძანებაჲ, ხოლო უკუეთუ იყოს, არა ვინ არს წინაალმდგომ, არამედ უდიდესსა სარგებელსა მყავ მე, ჰოჲ, ბასილი და ღირს ყვენ ჩემნიცა მოწაფენი ჩემთანა ზრახვად შენდა.

და შუნთქუესვე შეკრიბნა ყრმანი და მოიყვანნა ბასილისსა და იწყო სწავლად მათთა სულისა სიწმიდესა და უვნებლობასა ჯორცთასა, სლვასა სიმშჳდით, ჴმასა ზომით, სიტყუასა ჯეროვანსა, საზრდელსა და სასუმელსა უწფოთველსა, მოხუცებულთა თანა დუმილი, უბრძნესთა თანა სმენაჲ ,დიდთა მორჩილობაჲ, სწორთა თანა უმრწემესობაჲ, სიყუარული შეუორგულებელი, მცირედ სიტყუაჲ და უფროჲს სმენაჲ, ნუ ფიცხლით სიტყუად, ნუ მოცინარე, დედათა თანა უჯეროთა არა ზრახვად, თუალნი ქუედახედვად, ლესული სივლტოლაჲ ცილობისაგან, ნუ მოძღუერებისასა მიდევნებად პატივსა, ნუცა ძიებად ყოველთაგან პატივსა; ხოლო უკუეთუ ვინმე თქუენგანი შემძლებელ იყოს სარგებელ ყოფად ᲬᲘᲧᲣᲡᲘᲡᲐ, ღმრთისაგან სასყიდელსა მოელოდენ და საუკუნეთა კეთილსა მოცემასა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა. ესე თქუა მოწაფეთა ლიბანისთა ბასილი და საკჳველ იქმნა ყოველთაგან და ვიდოდა გზასა თჳსსა ევბოლოს თანა.

და მი-რაჲ-იწინეს იერუსალემად ქალაქსა, ყოველნი იგი წმიდანი ადგილნი სარწმუნოებით მოიხილნეს და მათ შინა ყოველთა ღმერთსა თაყუანის-სცეს და გამოეცხადნეს, რომელი იგი, მაშინ ეპისკოპოსი იყო, სახელით მაქსიმეანოს. მას შეუეარდეს და ითხოვდეს მიმთხუევასა საღმრთოსა მას ნათლისღებასა იორდანესა შინა მდინარესა, რომელნი იხილნა რაჲ წმიდამან კაცმან სავსენი სარწმუნოებითა, აღასრულა თხოვაჲ მათი და მორწმუნეთა კაცთა თანა მივიდეს იორდანედ.

ხოლო ბასილი მახლობელად კბოდეჲს რაჲ მივიდა, დაიგდო თავი თჳსი ქუეყანასა ცრემლითა და ხმითა დიდითა ითხოვდა სასწაულსა გამოცხადებად მისისა სარწმუნოებისა. და

აღდგა ძრწოლით და განიძარცუა სამოსელი თჳსი და მასთანა ჰეშმარიტად ძუელი იგი კაცი.

მაშინ შთაჴდა წყალსა და ილოცვიდა და მოვიდა მღდელი და ნათელსცა მას და აჰა, ელვაჲ ცეცხლისაჲ მოვიდა მის ზედა და ტრედი მისგან გამოვიდა და შთაჴდა იორდანესა და აღძრა წყალი იგი და აფრინდა ზეცად, ხოლო რომელნი იგი დგეს, შეძრწუნებულ იქმნნეს და ადიდებდეს ღმერთსა და ნათელიღო ბასილი და გამოვიდა წყლით.

ხოლო უკჳრდა მაქსიმიანეს ბასილისი იგი ღმრთისა მიმართ სიყუარული და ულოცა მას და შეჰმოსა მას ქრისტეს აღდგომისა იგი სამოსელი. ნათელსცა ევბოლისცა და სცხო მას წმიდაჲ ნელსაცხებელი და მისცა მათ ცხოველსმყოფელი იგი საჲდუმლოჲ. ხოლო ითხოვა ბასილი ღმრთისა მღდელისაგან ლოცვითა, რათა უბრძანოს მიღებად საზრდელისა, რომელიცა — იგი იყო.

ხოლო ბასილი თქუა: უფალო იესუ ქრისტჱ, ღმერთო ჩუენო, ესრე მრწამს სახარებისა შენისა ხმაჲ და ვესავ შენსა სახიერებასა, ვითარმედ ჰამითა და სუმითა ვსძლო წინააღმდგომსა ჩემსა ეშმაკსა, შეწევნითა წმიდისა სულისა შენისაჲთა. განკჳრდა ღმრთისა მღდელი სარწმუნოებასა მისსა ზედა და უკმოიქცა მათთანა წმიდად ქალაქად და წელიწდისა ჟამნი ძუნ დაყვნა ევბოლოს თანა; და ორთაჱე განზრახვითა მოვიდეს ანტიოქიად.

და ბასილის, მელიტის მიერ, რომელ მუნ ეპისკოპოსი იყო, ხელნი დაესხნეს წესსა დიაკონებისასა და იგავთა სიტყუანი გამოთარგმნნა და საკჳრველ იქმნა.

და შემდგომად არა მრავალთა ჟამთა წარვიდა ევბოლეთურთ კაბადუკიისა სოფელსა და ეგულებოდა რაჲ მათ შესლვად კესარიად ქალაქად, ჩუენებასა შინა ღამისასა გამოეცხადა, რომელ იგი მაშინ ეპისკოპოსი იყო მის ქალაქისაჲ, ლეონტი სახელით, ამათი მოსლვაჲ, ვითარმედ ნებავს ბასილის მსახურად მისა ყოფაჲ. ხოლო განრაჲიღჳძა, მოუწოდა მთავარსა სამღდელოჲსა მსახურებისასა და ვიეთმე ღმრთისმოშიშთა მღდელთა და წარავლინნა იგინი აღმოსავალისა ბჭესა ქალაქისასა და ჰრქუა მათ ჩუენებაჲ იგი. და წარვიდეს ბჭეთა თანა და ემთხჳნეს მათ შემავალნი იგი, რომელნი იხილნეს და იცნნეს

იგინი და ჰლოცვიდეს მათ რაჲთა მიიყვანნენ იგინი ეპისკოპოსისა.

ხოლო შე-რაჲ-ვიდეს და იხილნა იგინი ეპისკოპოსმან, განკჳრდა მსგავსებასა მას ჩუენებისასა და ღმერთსა ჰმადლობდა და ჰკითხა მათ: ვინაჲ მოხუალთ და ვიდრემდე ხუალთ და რაჲ არს სახელი მაგათი. და ისწავა და ჰრქუა დიაკონთა: განსასუენებელი მიეცით მათ. ხოლო მათ წარიყვანნეს იგინი ჩინებულსა ადგილსა და ყოველივე სამსახურებელი მათი მიიღეს.

და მასვე ჟამსა შინა მოუწოდა წმიდამან კაცმან მღდელთა და მყოფთა ქალაქისათა და მიუთხრა მათ, რომელ-იგი იხილა მან. ხოლო მათ ერთითა ჴმითა თქუეს: ჭეშმარიტად ესეცა ცხორებასა შენსა ღირს არს ღმრთისა გამორჩევითა გამოცხადებად ჩუენდა, რომელსა — იგი შემდგომად შენსა ეგულების მღდელმთავრობისა იგი საყდარი განშუენებად, რომლისათჳსცა ნურას დრო-ჰყოფთ, არამედ ყავ რომელი — იგი სათნო არს შენდა.

ხოლო მან მოუწოდა ბასილის და ევბოლეს და იწყო მათთანა გამოძიებად წერილთა, და განკჳრდა სიღრმესა ზედა სიბრძნისასა, რომელი იყო მთათანა და ჰყვეს იგი მარჯუენით მდგომარე.

და ვითარცა განვიდა ამის ცხორებისაგან ეპისკოპოსი და შეკრბეს ეპისკოპოსნი და სულისა წმიდისა შეწევნითა გამოარჩიეს ბასილი საეპისკოპოსოსა საყდარსა და ხელნი დაასხნეს, და იღუწიდა ეკლესიასა განგებულებითა და სიბრძნითა.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა ითხოა ღმრთისაგან, რაჲთა მოჰმადლოს მადლი სიბრძნისაჲ და მეცნიერებისაჲ, რაჲთა თჳსითა თქუმულითა შეწიროს უსისხლოჲ მსხუერპლი ღმრთისა და მოვიდეს მის ზედა სულისა წმიდისა დანერგვაჲ. და შემდგომად ექუსისა დღისა, ვითარცა განკჳრვებულ იქმნა დანერგვითა სულისა წმიდისათა (და ესრეთ მეშჳდესა დღესა), იწყო გამოთქუმად ლოცვათა თითოეულისა ჟამისათა დღისა და ღამისათა.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, სარწმუნოებითა და ლოცვითა მრავალითა იწყო თჳსითა ჴელითა წერად ჟამისწირვისა საჲდუმლოთა. და მას ღამესა დაადგრა მას უფალი ჩუენებით მოციქულთა თანა და წინადადებაჲ იგი პურისაჲ და

სასუმლისაჲ ყო ზედა წმიდასა საკურთხეველსა. და აღადგინა ბასილი და ჰრქუა მას: მსგავსად ცხოვისა შენისა აღივსენ პირი შენი ქებითა, რაჲთა შენითა თქუმულითა შესწირო უსისხლოჲ მსუერპლი.

ხოლო ვერ დაითმენდა იგი თუალითა მიხედვად. ადდგა ძრწოლით და მოუხდა წმიდასა საკურთხეველსა და იწყო სიტ-ყუად და წერად ქარტასა ესრეთ: „აღავსჱ პირი ჩუენი ქებითა, რაჲთა უგალობდეთ დიდებასა შენსა, უფალო ჩუენო, რომელმან დაგუბადენ ჩუენ და მოგჳყვანენ ცხორებასა ამას"; და სხუათა ლოცვათა წმიდისა ეამისწირვისათა. და შემდგო-მად აღსრულებისა ლოცვისა აღიპყრა პური და ვედრებით ილოცვიდა და იტყოდა:

„მოიხილჱ უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, წმი-დით სამჴდრებელითა შენითა და მოვედ გაწმედად ჩუენდა, რომელი ზჱ მამისა თანა მჴდომარე ხარ და აქა ჩუენთანა უხი-ლავად ხარ, ღირს-ყავ მტკიცე ჴელი შენი მოცემად ჩუენდა და ჩუენ მიერ ყოველსა ერსა შენსა. წმიდაჲ წმიდათა. ერმანი ერთ არს წმიდაჲ, ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, სადიდებე-ლად ღმრთისა მამისა ამინ. და განტეხა პური იგი სამ ნაწი-ლად: ერთი იგი მოიღო და ეზიარა შიშითა მრავლითა, და ერთი იგი დაჰმარხა რაჲთა მისთანა დაეფლას, ხოლო სხუაჲ იგი შთადცა ტრედსა შინა ოქროჲსასა და დაჰკიდა ზედა წმიდა, საკურთხეველსა.

ხოლო ეგბოლე და მღდელნი და მთავარნი დგეს წიწაშე ბჴეთა ტაძრისათა და ჰხედვიდეს წაიელსა საცნაურსა* ტაძარ-სა შინა და კაცთა დიდებულთა ბრწყინვალითა და ხმაჲ ერისაჲ, რომელნი ადიდებდეს უფალსა და ბასილის საკურთ-ხეველსა წინაშე მდგომარეთა. და დაუკჳრდა ხილვაჲ იგი და დაეცნეს პირსა ზედა თჳსსა, ცრემლოოდეს და ადიდებდეს უფალსა.

ხოლო გამო-რაჲ-ვიდა ბასილი, დაეცნეს პირსა ზედა თჳსსა და თაყუანის-სცეს და ჰკითხა მათ მიზეზი იგი მოსლვისა მა-თისაჲ, ხოლო მათ ჰრქუეს მას დიდებული იგი ხილვაჲ, რომელ იხილეს ტაძარსა შინა. მაშინ ბასილი ჰმადლობდა ვედრებით

---

* საცნაური — ბერძნ. „ნოეტოს" — სულიერი.

უფალსა და მიუთხრა მათ დიდებულებაჲ იგი და მოუწოდა ოქროჲს მჭედელსა და შექმნა ტრედი ოქროჲსაგან წმიდისა და მას შიგან დადვა ნაწილი იგი და ჩამოჰკიდა წმიდასა ზედა ტრაპეზსა მსგავსად და ნაცვლად წმიდისა მის ტრედისა, რომელი გამოჩნდა იორდანესა ზედა უფლისა ნათლისღებასა.

ხოლო ესე-რაჲ იქმნა და მიუოხრნა მან სიტყუანი ნუგეშიწისცემისნი ერსა მას, შეკრბა სიმრავლჱ ურიცხჳ ეკლესიასა, რომელთა თანაცა იყო დიდი მოღუაწე ეფრემ, რომლისაჲ უკუანაჲსკნელ მიგითხრა, თუ ვითარ ღმრთისა გამოცხადებითა თჳთმხილველ იქმნა მარადის ხსენებულისა მამისა ჩუენისა ბასილისა.

ხოლო საღმრთოსა რაჲ ჟამი'სწირვასა აღასრულებდა, ჰურიამან ვინმე თავი თჳსი ვითარცა ქრისტეანემან ერსა თანა შეჰრთო წესსა ჟამისწირვისასა და ძღუნისა მის და ზიარებისა განმსტრობაჲ ინება; და ჰხედვიდა ყრმასა ჩჩჳლსა გან-რაჲ-იყოფჳოდა ხელთა შინა ბასილისითა. და ეზიარნეს რაჲ ყოველნი, მოვიდა იგიცა და მიეცა მას ჭეშმარიტად ხორცი და მერმე მოვიდა ბარძიმსა სისხლითა სავსესა, და ვითარ მისაცა იქმნა ზიარ და ორთაგანვე დაჰმარხა ნაწილი და წარვიდა სახედ თჳსა და უჩუენა მეუღლესა თჳსსა დასამტკიცებლად თქმულთა მათ და მიუთხრა იგი, რომელი თუალითა თჳსითა იხილა, ჰრწმენა უკუე ,ვითარცა ჭეშმარიტად შესაძრწუნებელი და დიდებული არს ქრისტეანეთა საიდუმლოჲ.

ხვალისაგან მოვიდა ბასილისა, ეევედრებოდა მას თჳნიერ დროჲსა მიღებად ქრისტჱს ბეჭედი. ხოლო მან არა უდებ-ყო, არამედ ჩუელებისამებრ მადლობაჲ შეწირა ღმრთისა, რომელსა ჰნებავს ყოველთა ცხორებაჲ, და ნათელსცა, და ყოველსა სახლსა მისსა ჰრწმენა უფალი.

და გამო-რაჲ-ვიდოდა წმიდაჲ იგი, მოუხდა მას დედაკაცი და შეწევნასა ითხოვდა მისგან, ვითარცა შემძლებელისაგან, მთავრისა თანა მის სოფლისა. ხოლო მან მოიღო ქარტაჲ და მცირედ მიუწერა მთავარსა მას ესრეთ: დედაკაცი გლახაკი მოვიდა ჩემდა და მრქუა, თუ შემძლებელ ვარ შენთანა თხოვისა მისისა აღსრულებად. აწ უკეთუ შემძლებელ ვარ, აჩუენე. და მისცა დედაკაცსა მას ქარტაჲ იგი, ხოლო იგი წარვიდა

და მისცა ებისტილე მთავარსა, ხოლო მან წარიკითხა და მიუწერა ნაცვლად ესრეთ:

„თქუენთჳს, ჰოი, მამაო წმიდაო, ვინებე შენდობაჲ დედაკაცისაჲ ამის, არამედ ვერ შეუძლე, რამეთუ ხარკი მისთანა აც“.

ხოლო მან კუალად მიუწერა მას: „უკუეთუ ინებებ და ვერ შეუძლე, კეთილ; უკუეთუ კულა შეუძლებდი და არა ინებე, მიგიყვანენ შენ ღმერთმან კრებულსა მას მთხოველთასა, რაჲთა ოდეს ინებო, ვერ შეუძლო“. და ექმნა მას საქმით წერილი იგი.

რამეთუ არა მრავლისა ჟამისა შემდგომად, მეფისა რისხვასა მიეცა და მიმოიყვანებდეს შეკრულსა და გარდაიხდიდა ყოველსა, რომელთადა ევნო მას. მაშინ ითხოვდა საწყალობელი იგი ბასილისგან, რაჲთა ლოცვითა მისითა დაუტკბეს მას მეფე, რომელ-იგი იქმნა, რამეთუ შემდგომად ექუსისა დღისა, გარდამოხდა სახე განთავისუფლებისა მისისაჲ მიმოყვანებისა მისგან.

ხოლო რომელ-იგი იქმნა მის ზედა კაცთმოყუარებაჲ, არა უმეცარ ყო. მოვიდა ბასილისა, ჰმადლობდა მას და მოუწოდა დედაკაცსა მას და მისცა მას, რაჲ იგი თანა-ედვა, მრჩობლ.

მათ ჟამთა შინა ივლიანე განდგომილი, — მეფე, წარემართა სპარსეთად და მოვიდა კერძოთა კესარია ქალაქისათა.

ხოლო ბასილი მისთანათა მათთანა მიეგება მას. და იხილა იგი მეფემან და ჰრქუა: გძლე შენ ბასილი, ხოლო მან მიუგო მას: რაჲთა მძლე და წინ მიართუნა მას სამნი პურნი, რომლისაგან ჭამდა. ხოლო მეფემან გინებად შეჰრაცხა სიმცირე იგი ძღუენისაჲ და უბრძანა მსახურთა თჳსთა მიხუმაჲ პურთაჲ მათ და ნაცვალად მიცემად მისა ითვაჲ. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას: ჩუენ, ჰოი მეფეო, რომელსა ვჭამთ, მიგართჳთ შენ, ხოლო შენ რომლისაგან შჭამ, ნაცვალად მომეც ჩვენ.

ხოლო ივლიანეს ესმა რაჲ ესე, განრისხნა და ჰრქუა მას: საძოვარი ეგე თითვის სათიბისაჲ, ჩუენისა მეფობისაგან მინიჭებულ არს შენდა, ხოლო რაჟამს სპარსნი დავიმორჩილე და უკმოვიქცე, დავარღჳ ქალაქი შენი, რამეთუ არა უმეცარ ვარ განდგომილებასა, რომელნი შენ მიერ ცთომით არიან, რაჲთა რომელსა იგი მე თაყუანის-ვცემ ღმერთთა და უზორავ, არა

შეურაცხჰყოფდნენ და დააწულილებდენ სრულიად. და ესე იქუა და წარვიდა სპარსთა სოფელსა.

ხოლო შევიდა კუალად ქალაქად ბასილი და მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა და მიუთხრნა მათ მეფისა თქუძულნი იგი და განმზრახ მათა კეთილისა იქმნა და ჰრქუა:

„სახუმარნი ძმანო, არად შერაცხილ არიან. ცხორებისა თქუენისა განგებულებაჲ ყავთ, რაჲთა უკუეთუ ეცეს ქამი მძლავრსა მეფესა, ძღუნითა დავამშუდოთ, ხოლო იგინი წარვიდეს სახიდ თჳსა და რაჲ იგი ედვა თითოეულსა მათსა სახლსა შინა, მოაქუნდა მისა: ოქროჲ და ვერცხლი და თუალი მრავალფასისაჲ, ურიცხჳ სიმრავლე.

ხოლო მან, იხილა რა გულსმოდგინებაჲ იგი და მორჩილებაჲ მათი, და დადვა იგი საჭურჭლესა საცავსა შინა და დაწერა თითოეულსა ზედა სახელი და ჰრქუა მათ, ვითარმედ გულსმოდგინებისა თქუენისაებრ უფალი შემძლებელ არს მისდა მოსრვად და თქუენდა მიცემად თჳსი იგი საფასე.

და მუნთქუესვე უბრძანა მღვდელთა და ყოველსა ერსა ქალაქისასა დედებითურთ და ყრმებით აღსლვაჲ მთასა დიდჳმოსა, სადა იგი პატივცემულ არს და თაყუანის-იცემების ღმრთისმშობლისაჲ ყოვლად ქებული ტაძარი. და სამსა დღესა ლოცვითა მარხვად დაადგრეს და ითხოვდეს, რაჲთა განაქარიოს ურჯულოჲსა მეფისა განზრახვაჲ. ხოლო იგინი ეევედრებოდეს რაჲ და იღუძებდეს, შემუსრვილითა გულითა ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ.

იხილა ბასილი ჩუენებით სიმრავლე მპეტრობისა ზეცათაჲსა იმიერ და ამიერ მთასა მას და შორის მათსა საყდართა ზედა დიდებულთა მჯდომარესა ვისმე დედაკაცსა ხატითა და ესრეთ ჰრქუა, რომელნი იგი მახლობელად მისა დგეს დიდდიდნი კაცნი: მოუწოდეთ ჩემდა მერკურიოსს და წარვიდეს და შოკლას ივლიანე, რომელმან იგი ძისა ჩემისა და ღმრთისა და უფლისაი იესუ ქრისტესა ურჯულოებაჲ ქმნა.

ხოლო წმინდაჲ იგი საჭურველით თჳსითურთ მოვიდა და ბრძანებაჲ მიიღო მისგან და მსწრაფლ წარვიდა. და მოუწოდა ბასილის და მისცა მას წიგნი, რომელსა შიდა იყო წერილ ყოველი დაბადებული და მერმე კაცისა შექმნაჲ ღმრთისა მიერ

და თავსა წიგნისასა წერილ იყო: „თქუ და სადა იგი დაეზადებოდა კაცი ჰრიდე".

და მეყსეულად გაწლეკებულ იქმნა შიშისაგან და სიხარულითა შეპყრობილი. და ამისივე მსგავსი ჩუენებაი იხილა მასვე ლამესა ლიბაწი ფილოსოფოსმან, იყო რაი ივლიანეს თანა სპარსეთს და კუსტორებისა პატივითა შემკობილი იყო.

განუკჳრდა ჩუენებაი ესე ბასილსა და ევბოლე ოდენ განაღჳძა და ვითნიმე მისთანანი ქალაქისანი და მიგიდა სამარტჳლესა წმინდისა მოწამისა მერკჳლესსა, სადა — იგი თჳთ დადებულ არს, და საჴურველი მისი მისზედა იდვა, რომელ იგი ითხოვა და არა პოა. და მოუწოდა მლოცველსა და ჰკითხვიდა მისთჳს თუ სადა არს, რომელსა-იჳი ფიციით აღუთქუმიდა: „მწუხრსა მუნ იყვნენ, სადა იგი ყოვლადვე დაცულ არს".

ჰრწმენა ხოლო შეუორგულებელად ბასილის, ვითარმედ ჰეშმარიტ არს ჩუენებაი იგი და ადიდებდა ღმერთსა, რომელი არა უგულებელსჰყოფს მოსავთა მისთა:

და მისწრაფებითა მრავლითა და სიხარულითა გამოუთქმელითა აღვიდა მთადვე, ვიდრემდე ეძინაღ ყოველთა, რომელნი-იგი აღადგინნა ლოცვად, უბრძანა ხმითა სიხარულისაჲთა, ახარებდა ღმრთისა მიერ ქმნულსა გამოცხადებასა და რამეთუ ღამესა მას მოიკლა მძლავრი იგი და ყოველთა მათთანა ჰმადლობდა ღმერთსა.

და უკმოიქცა ქალაქად და უბრძანა ყოველთა, რაჲთა იპოვნენ დიდსა ეკლესიასა და მოღებად ღმრთისა საიდუმლოსა.

ხოლო ესე რაჲ იქმნა და სიწმიდე აღიპყრა მან, სასწაული არა იქმნა; ვითარცა იგი ჩუეულებაი იყო, ძრავაი ტრედისაი მის, და განიზრახვიდა თავით თჳსით და იხილა ერთი მომწერობელთაგანი დიაკონი თუალ-უყოფდა რაჲ დედაკაცსა, რომელი გარდამოიხედვიდა ზეით და განაშორა იგი საკურთხეველისაგან და შინა ეკლესიასა დაცვაი მისი უბრძანა. და ესრეთ იხილა წმიდისა სულისა დანერგვა.

და უბრძანა ყოველსა ერსა შჳდ დღე დადგომაი ეკლესიასა შინა, ხოლო დიაკონი იგი მარხვასა და მღჳძარებასა შეიგდო და მისისაგან წამეტნავისა გლახაკთა წაკლულევანებასა მიცემაი ბრძანა და ესრეთ ღმერთი მოწყალე ყოფად მისდა და მერმეღა კადწიერებად მისსა მღდელობასა.

და ეზოებისაჲ მუნთქუესვე ბრძანა დამოკიდებაჲ პატრონიკეთა და ამცნო დედათა, რომელი გარეშე ეზოსა იხილოს შთამხედველი საღმრთოსა ჟამისწირვასა, განვარდეს ეკლესიისაგან და უზიარებლად დაადგრეს; ხოლო ერმან მან დიდი დღესასწაული აღასრულეს შჯდთა მათ დღეთა და ყოველნი ეკლესიას შეკრებულ იყვნეს.

და აჰა, ლიბანი ივლიანეს კუსტორმან, სივლტოლაჲ იხმია დილისაგან მიხსნნა ჩუენ, და აჰა ესერა, ხელთა შენთა შისა და მივიდა მუნ და მიუთხრა განდგომილისა მის სიკუდილი ივლიანე მძლავრისაჲ და შეუვრდა მუხლთა მღდელთმოძღურისათა და ევედრებოდა მიღებად ქრისტეს ბეჭედსა. და აძას რაჲ მიემთხჳა, თანამოსახე იქმნა ევბოლეს და ბასილისსა.

და ხვალისაგან უბრძანა ყოველთა, მიღებად თჳსი იგი ხუასტაგი, ხოლო ერთითა ხმითა ჰრქუეს მას: უკუეთუ მოკუდავისა მეფისა ამისი მინიჭებაჲ განვიზრახეთ, რაჲთა არა აღოხროს ქალაქი ჩუენი, უფროჲს-ღა ჩუენი ჯერ არს უკუდავისა მეუფისა შეწირვად ესე, რომელმან ესევითარისა სიკუდილისაგან მიხსნნა ჩუენ, და აჰა ესერა, ხელთა შენთა შინა არის ყოველი, ვითარცა იგი უფალმან გიბრძანოს, ყავ.

ხოლო განუკჳრდა მორწმუნისა მის ერისაჲ დიდი იგი გულსმოდგინებაჲ და ნაწილი მისცა მათ და რომელი-იგი დაშთა, შემოსა ყოველი ეკლესიაჲ და კუბაჲ, ხოლო საკურთხეველი ოქროჲთა წმიდითა და ქვითა პატიოსნითა შეამკო და მოუწოდა სიმრავლესა ერისასა და განწმიდა სამღვდელოჲ იგი ტრაპეზი და სამსა დღესა ბრძანა დღესასწაულობა.

ხოლო ესე რაჲ ესრეთ აღესრულა, ვიეთნიმე იყვნეს-ღა საცთურს მას შინა წარმართობისაჲა, მოვიდეს და ეტყოდის მას: აჰა ესერა, ლოცვითა შენითა ქალაქი ჩუენი, რომლისაჲ წარტყუენვაჲ ეგულებოდა, განერა და ტაძარი ღმრთისა შენისა უზეშთაეს შეამკვე, ხოლო მაკლს-ღა ჩუენ რწმუნებად მადლსა ღმრთისასა, და მან მცირედითა სიტყჳთა უჩუენა მათ გზაჲ იგი ცხორებისაჲ, არწმუნა და ასწავა, და ნათელსცა.

ხოლო შე-რაჲ-ვიდა წმიდათა მარხვათა, საღმრთოჲ იგი ექუსთა, დღეთა თარგმანებაჲ ერსა მოუთხრა და მრავალი სიმრავლე ჰურიათაჲ და წარმართთაჲ მოიყვანნა ქრისტესსა.

და ვიეთმე დაშთომილთაგან წარმართა, არა ოდენ მათ,

არამედ არიანოზთაცა, შეასმინეს უვალენტის თანა მეფისა, ვითარმედ ერთარსებისა სარწმუნოებასა ადიდებს და სძაგს და განაგდებს არიონოზთა წვალებასა.

ამათი ჰრწმენა დაყროლებულსა ცნობითა უვალის და წარავლინა მოყვანებად მისა ანტიოქია ქალაქად. ხოლო ანასტასი პროტიკტორი მიიწია კესარია ქალაქად და აუწყა ბასილის, რაი უბრძანა მეფემან.

და ჰრქუა მას ბასილი: მეცა შვილო, ვცან, წინა მცირეთა დღეთა, ვითარმედ მეფე მიერჩდა უცნობელთა კაცთა და სამნი კალამნი შემუსრნა ეგულებოდა რაი ექსორიობისა ჩემისა დაწერაი, ჭეშმარიტებისა დაბნელებასა ეძიებს.

და მი-რაი-ვიდა ანტიოქიად მთავრისა მის, მიიყვანეს სამშჯავროსა და ჰკითხა მას: რაისათჳს მეფისასა არა შეიწყნარებ სარწმუნოებასა?

ხოლო ღმრთისა მღვდელთმოძღუარმან მრავლითა კადნიერებითა მიუგო: ნუ იყოფინ დატევებად ჩემდა გზაი იგი ჭეშმარიტისაი და შეცთომილსა არიანოზთასა მოკითხვად ბოროტად მადიდებლობასა, რამეთუ ერთარსებისა სარწმუნოებაი მამათაგან მოკითხვად და დიდებაი მისწავიეს. ხოლო მსაჯულმან მან სიკუდილი უქადა კადნიერებითა დიდითა.

ჰრქუა ბასილი: მეყავნ მე ჭეშმარიტებისათჳს განსვლაი საკრველთაგან ჴორცთაისა, რამეთუ ამას მრავლით ჟამითგან ვეძიებ, თქუენ ხოლო ნუ მოუძლურდებით აღთქმულისა აღსრულებად.

ხოლო მსაჯულმან კადნიერებაი იგი მამაკაცისაი და შეუძვრელი გონებაი აუწყა მეფესა და ჰრქუა: ვიძლევით მეფე, უმაღლეს ქადაგებისა არის კაცი ესე და მოუდრეკელი და ფიცხელი მოუგია გონებაი. მაშინ მეფე რისხვითა განხურდა და განიზრახვიდა, რომლითა სიკუდილითა მოაკუდინოს იგი.

და შეემთხჳა ძესა მეფისასა ღმრთისა მიერ სენსა შევრდომაი, ვიდრე განწირვადმდე მკურნალთაგან. ხოლო დედაი მისი მეფესა ეშჯოდა და ეტყოდა, ვითარმედ ბოროტად ადიდებს ღმერთსა, აჰა, ესერა ყრმაი მოკუდების, რამეთუ ბასილი ღმრთისა მღდელისაი ჰქმენ გინებაი.

ესმა რაი ესე მეფესა, მოუწოღა ბასილის და ჰრქუა მას:

უკუეთუ ჰეშმარიტ არს მოძღურებაჲ შენი და ღმერთი მას შინა იხარებს, ძისა ჩემისა სენი ლოცვითა განდევნე.

ხოლო მან ჰრქუა: „უკუეთუ გრწმენეს, ჰოჲ, მეფე, მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაჲ და შეერთო ღმრთისა ეკლესიასა, ცხონდეს ძე შენი". ხოლო მან აღუთქუა და არა უდებ-ყო დიდმან ბასილი, არამედ მუნთქუესვე წიწაშე მისა სენი იგი განაშორა.

ხოლო რომელნი-იგი მისთანა იყვნეს ბოროტად მადიდებელნი ეპისკოპოსნი, სირცხჳლსა მას ძლევისასა ვერ დაუთმეს, არწმუნეს მეფესა, რაჲთა არა გარდაჰხდეს თჳსისა რჯულისაგან, არამედ მასვე რბოდის და მის გამო ყრმისა კურნებაჲ მოირეწოს. ესე რაჲ იქმნა, მეყსეულად ყრმაჲ იგი ხელთა მისთა მოკუდა.

ესე რაჲ ისილა პროტიკტორიმ, შემდგომად აღსრულებისა უვალისსა, მოუთხრა მეფესა უვალინტოსს სათნოებანი ამის კაცისანი. ხოლო მას დაუკჳრდა ღა ადიდებდა ღმერთსა და მისცა მრავალი სახმარი პროდიკტორსა მას და წარავლინა ბასილისა სახმარად გლახაკთათჳს.

ხოლო მან დიდი იგი ნიჳი მეფისაჲ მიიღო და აღაშენა სახლები სასნეულოჲ ქალაქსა შინა და თითოეულისა გარემოჲს სამთავროსა, განსასუენებლად სნეულთა და მიწვეებოდეს სიმრავლე მამათაჲ და დედათაჲ და ყრმათაჲ, და მრავალსა საღუაწსა და განსუენებასა მათსა ჰყოფდა.

ესე რაჲ ესმა მეფესა, სახმარსა მრავალსა მიანიჭებდა საზრდელად მათა და პატივსა მამობისასა· მიუძღუანებდა მღდელთმოძღუარსა ქრისტჱსსა.

ელადიოს ღირსად მოხსენებული თჳთმხილველი და მსახურქმნული, მის მიერ აღსრულებულთა საკჳრველებათა, რომელ-იგი მსახურთა საყდრისა მისისა იქმნა შემდგომად განსლვისა მისისა ცხორებისაგან, რომელი-იგი პატივითა სამოციქულოჲთა იყო ბასილი, კაცმან საკჳრველმან და მადლითა შემკულმან მითხრა ჩუენ, ვითარმედ: მთავარი ვინმე მორწმუნე, სახელით პროტერიოს, მოვიდა თჳსისა ასულისა თანა წმიდათა და პატიოსანთა ადგილთა. და მუნ ასულისა თჳსისა მოკუეცაჲ მონასტერსა შინა დიდსა ეგულებოდა და მსხუერპლად ღმრთისა შეწირვად.

ხოლო დასაბამითგან კაცისმკვლელმან ეშმაკმან, შეიშურ-
ვა საღმრთოჲ იგი მისი განზრახვაჲ და წარჰმართა ერთი მის-
ცა მონათაგანი და აღაგზნა ტრფიალებითა ქალისა მის სიყუა-
რულსა ზედა. ხოლო იგი არა ღირს იყო ხელყოფად ესევი-
თარსა და ვერ იკადრებდა მიახლებად წინამდებარესა.

და ეზრახა ერთსა უკეთურსა გრძნეულსა და აღუთქუა მას
ძრავალი მიცემად ოქროჲ, უკუეთუ რაჲთ ეუფლოს მას. ხო-
ლო მწამლველმან მან ჰრქუა მას: ჰოჲ კაცო, მე ამას ვერ
ვეუძლებ, არამედ უკუეთუ გნებავს წარგავლინო ჩემსა თანა-
წინაჲსწარმცნობელსა მოძღუარსა ეშმაკისა და მან ყოს შენი
ნებაჲ, უკუეთუ ხოლო შენ ჰყო პირველად მისი ნებაჲ.

ხოლო მან ჰრქუა: ვყო ყოველივე, რომელიცა მრქუას მე.
ჰრქუა მას: იჴმნეა ქრისტესგან წერით? ხოლო მან ჰრქუა: ჰე,
ხოლო ურჩულოებისა მუშაკმან ჰრქუა მას: უკუეთუ ამას მზა
ხარ, შემწე გეყო შენ. ხოლო მან ჰრქუა მას: მზა ვარ, ხოლო
თუ მივემთხჳო გულისთქუმასა. და შეჴმნა ბოროტისა მსახურ-
მან წიგნი ეშმაკსა თანა და განუტევა იგი, რომელსა წერილ
იყო ესრეთ: ვითარცა ჩემი უფალი და წინამცნობელი და კე-
თილისმყოფელი ხარ, ჯერ არს ჩემდა სწრაფით ქრისტეანთა
შჯულისაგან აღმოფხურაჲ და შენსა მოღებად მორჩილებასა,
რაჲთა განმრავლდეს ნაწილი შენი. მოვავლინე შენდა, რო-
მელსა ჩემი აქუს წიგნი, ტრფიალებულ არს ქალისა და გე-
ვედრები, რაჲთა საქმითა ესე მიემთხჳოს, რაჲთა ამითცა ვიქა-
დო და მრავლითა გულსმოდგინებითაჲ შევჰკრებდე შენთა სათ-
ნოთა. და მისცა მას წიგნი იგი და ჰრქუა: წარვედ რომელსამე
ჟამსა ღამისასა და დადეგ ზედა სიფლავსა საწარმართოსა და
აღიპყარ ქარტაჲ ესე ჰაერთა ზე და წარმოგიდგენ შენ, რო-
მელთა ეგულების მოყვანებაჲ შენი ეშმაკისა. ხოლო მან გულს-
მოდგინედ ესე ყო და განუტევა საწყალობელი იგი ხმაჲ,
ჰხადოდა ეშმაკთა შეწევნასა. და მუნთქუესვე წარმოუდგეს მას
მთავარნი ხელმწიფებისა ბნელისანი, სულნი ბოროტნი და წა-
რიყვანეს შეცთომილი იგი ყრმაჲ სიხარულითა დიდითა, და
მიიყვანეს ეშმაკისა და უჩუენეს მას მჯდომარე საყდართა ზე-
და მაღალთა და გარემოჲს მისსა ბოროტნი სულნი მდგომარე-
ნი და მიიღო მწამლველისა იგი წიგნი და ჰრქუა უბადრუკსა
მას:

/ გრწამსა ჩემდამო? ხოლო მან ჰრქუა: ჰე, მრწამს. ჰრქუა მას: უვარჰყოფ ქრისტეს შენსა? ხოლო მან ჰრქუა: უვარ-ჰყოფ. ჰრქუა მას ეშმაკმან: უგუნურნი ხართ, ოდეს გეხმა-რები მე, მოხუალთ ჩემდა. ხოლო რაჟამს მიემთხუნეთ გუ-ლისთქუმასა, უვარმყოფთ მე. და მიხუალთ თქუენისა ქრის-ტესა, და იგი არს სახიერ და კაცთმოყვარე, და შეგიწყნარებს, არამედ შემიქმენ მე წერილ ქრისტეს შენისა და ნათლისღე-ბისაჲ ნეფსით ჯმნაჲ და ჩემთანა ყოფაჲ უკუე დღესა მას სარ-ჩელისასა. ჩემთანა შუებად ჩემთჳს განმზადებულთა მათ სა-ტანჯველთა, და მე მეყსეულად გულისთქუმაჲ შენი აღვას-რულო. ხოლო ზან დაწერა თჳსითა ხელითა წიგნი, ვითარცა სთხოა მას.

მუნთქუესვე, სულისა განხრწნელმან ვეშაპმან წარავლინნა სიძვისა ეშმაკნი და განახურვეს ქალი იგი სიყუარულითა მის ყრმისაჲთა, დაიგდო თავი თჳსი ქუეყანად, იწყო ხმობად მა-მისა თჳსისა:

შემიწყალე მე უბადრუკი ესე, რომელი ბოროტად ვიტან-ჯები რომელისამე ყრმისათჳს, თანა მზრუნველ იქმენ ნაწ-ლევთა შენთა, აჩუენე ჩემდამო მამური სიყუარული, მხო-ლოდშობილსა შენსა და შემაუღლე მე ყრმასა, რომელი მთნავს. ხოლო უკუეთუ არა ინებო, ყოფად მიხილო მე მცი-რედ შემდგომად მომკუდარი მწარითა სიკუდილითა და სიტ-ყუაჲ მისცე ჩემთჳს დღესა მას სარჩელისსა.

ხოლო მამაჲ მისი ცრემლით ეტყოდა: ვაჲმე ცოდვილსა ამას. რაჲ შეემთხჳა საწყალსა შვილსა ჩემსა? ვინ ჩემი საუნ-ჯე განიჯარა? ვინ ჩემსა ავნო შვილსა? ვინ ტკბილი იგი ნათე-ლი ჩემთა თუალთაჲ დაშრიტა?

მე ზეცისა სიძისა ქრისტესა მეგულებოდა შენი მითხოვაჲ და ანგელოზთა საყოფელსა დადგინებაჲ, ფსალმუნითა და გა-ლობითა და შესხმითა სულიერითა გალობად ღმრთისა ვის-წრაფლ და შენ მიერ ცხორებასა ვესევდი და შენ არაწმიდე-ბასა და სიძვასა აღჰბორგდი, მაცადე მე და მიგათხოო ღმერთ-სა, ვითარ-იგი მნებავს და ნუ შოაიყვანებ სიბერესა ჩემსა, მწუხარებით ჯოჯოხეთად, ნუცა აზნაურებასა შენთა მშობელ-თასა სირცხჳლითა დაჰფარავ. ხოლო ქალმან არად შეჰრაცხა ზრახვაჲ იგი მამისა თჳსისა და დაადგრა იგი თჳსსავე გულის-

სიტყუასა და ხმობდა: მამაო ჩემო ყავ, ნებაჲ გულისა ჩემისა, უკუეთუ არა, მცირედ შემდგომად მიხილო მე მომკუდარი.

ხოლო მამაჲ მისი, დიდად გულკლებულ იქმნა და მეგობართა განზრახვასა ერჩდა, რომელნი ეტყოდეს: უმჯობეს არს, რაჲთა ნებაჲ მისი იქმნეს. ვიდრეღა არა თავისა მოკლვასა, და მიერჩდა მამაჲ მისი და ბრძანა ყოფად გულისთქუმაჲ ქალისაჲ, ვიდრეღა არა მოსასრველსა მიცემაჲ.

და მოიყვანა, რომელსა ითხოვდა ყრმასა, თჳსი შვილი და მისცა მათ, ყოველი მონაგები თჳსი და ჰრქუა: მშვიდობით, შვილნო ჩემნო, წარვედით და ღმერთი იყავნ თქუენთანა; ჴეშმარიტად უბადრუკი, ფრიად სტიროდი და ინანდე უკანაჲსკნელ, ოდეს არად სარგებელ გეყოს. ხოლო უჯეროჲ იგი შეერთებაჲ იქმნა და საეშმაკოჲ საქმე აღესრულა.

და, მცირედნი რაჲ ჟამნი წარჴდეს, ეუწყა ვიეთგანძე, ვითარმედ მონაჲ იგი არა შევალს ეკლესიად, არცა მიეახლების წმიდათა ადგილთა, არცა უკუდაკსა და ცხოველსმყოფელსა ეზიარების საიდუმლოსა და ჰრქუეს საწყალსა მას მეუღლესა მისსა: ესე უწყია, ვითარმედ ქმარი შენი, რომელი გთნდა, არა არს ქრისტიანე, არამედ უცხო არს სარწმუნოებისაგან და განდგომილ არს ქრისტესგან?

ესმა რაჲ, ბნელითა და ტკივილითა აღივსო და დაიგდო თავი თჳსი ქუეყანასა ზედა და იწყო ბძარვად თავსა თჳსსა ფრჩხილითა და იცემდა მკერდსა და იტყოდა: აწ უწყი, რამეთუ არავინ, ურჩი მშობელთაჲ, ცხონდეს, რასა მოველოდე, ვინმე უთხრას მამასა ჩემსა ჩემი ესე სირცხჳლი! ვაჲ მე, უბადრუკსა ამას, ვითარსა სიღრმესა წარსაწყმედელისასა შთავხედ, რაჲსათჳსმე ვიშევ? რად არა მუნთქუესვე აღტაცებულ ვიქმენ! ესევითარსა გოდებასა შინა იყო.

ცნა შეცთომილმან მან ქმარმან მისმან, მოვიდა მისთანა და არწმუნებდა, ვითარმედ, ნუ გაქუს ესე იჰვ ჴეშმარიტად. ხოლო იგი განსუენებად მოვიდა მაცთურთა მისთა სიტყუათაგან და ჰრქუა მას: უკუეთუ გნებავს დაჯერებად ჩემდა, საწყალი სული ჩემი, ხვალე მე და შენ ერთად წარვიდეთ წმიდასა ეკლესიასა და ჩემთანა მოიღ უხრწნელი საიდუმლოჲ და მაშინ დავიჯერო. მაშინ იძულებით თქუა: საქმისა მის თავი ყოველი.

მაშინ, მუნთქუესვე, დაუტევა დედათა იგი უძლური ბუ-

ნებაჲ და ზრახვაჲ კეთილი განიზრახა და რბიოდა მწყემსისა მის ჩუენისა თანა და მოწაფისა უფლისა, ბასილისა და ყო იგი ზედამდგომელ და შემწე, უღმრთოებისა მისთჳს და ხმობდა: შემიწყალე მე, წმიდაო ღმრთისაო, საწყალობელი! შემიწყალე მე, მოწაფეო ქრისტესო, რომელი ესე ეშმაკთა შევემზახე!* შემიწყალე მე, რომელმან მამასა არა უსმინე და ეშმაკთა უსმინე! და მოუთხრა მას საქმე იგი, რომელი შეემთხჳა.

ხოლო წმინდამან ღმრთისამან მოუხოდა ყრმასა მას და გამოიკითხვიდა მისგან: „უკუეთუ ესე ესრეთ არსა სახე, მითხარ მე". ხოლო მან ცრემლით ჰრქჳა: „ჰე, წმიდაო ღმრთისაო, დაღაცათუ მე ვდუმდე, საქმენი ღალადებენ". და მიუთხრა მანცა პირველითგან და ვიდრე დასასრულამდე შემდგომითი — შემდგომად ეშმაკისა იგი ბოროტის — ყოფაჲ. მაშინ ჰრქუა მას წმინდამან ბასილი მოქცევად უფლისი ღმრთისა ჩუენისა და მან ჰრქუა მას: მნებავს, არამედ ვერ შეუძლებ. ჰრქუა მას წმინდანმან, რაჲსათჳს? მიუგო ყრმამან: დაწერით ვიჯმენ ქრისტესგან და შეუდეგ ეშმაკსა.

ჰრქუა მას წმინდამან: ნუ გეურვების, სახიერ არს ღმერთი ჩუენი და შეგიწყნარებს შენ სინანულითა, რამეთუ შეინანებს ბოროტთა ჩუენთა ზედა. და დაიგდო თავი თჳსი ქალმან მან ფერხთა თანა მისთა, სახარებისაებრ ევედრებოდა მას და ეტყოდა: მოწაფეო ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაო, რაჲ ძალგიც, შემეწიენ ჩუენ.

ჰრქუა წმინდამან ყრმასა მას: „გრწამსა ცხორებად?" ხოლო მან ჰრქვა: „მრწამს უფალო, შემეწიე მე ურმუნოებასა ჩემსა". და მეყსეულად უპყრა მას ხელი მისი და დასწერა მას ქრისტეს ბეჭედი და ულოცა, და შეაყენა იგი ერთსა ადგილსა შინა ეკლესიისა ეზოსა და მისცა მას კანონი, და თანა-შეეწეოდა მას სამ დღე. და მივიდა ხილვად მისა და ჰრქუა: ვითარ ხარ შვილო?

ხოლო მან ჰრქუა: დიდსა ჭირსა შინა ვარ წმიდაო და მონაო ღმრთისაო, ვერ დავითმენ ხმათა მათგან და შინებასა და ისრის ტყორცნებასა და ქვათა დაცხმასა, რამეთუ აქუს ხელითწერილი იგი ჩემი, მერჩიან და მეტყჳვან: „შენ მოხუედ ჩუენდა და არა თუ ჩუენ შენდა".

* დავუმოყვრდი — შეევემზახე.

ჰრქუა მას წმინდამან: „ნუ გეშინინ შვილო, არამედ ვრწმენინ ხოლო“. და მისცა მცირედ საზრდელი და დასწერა მას ქრისტეს ბეჭედი და ულოცა და კუალად შეაყენა.

და შემდგომად მცირეთა დღეთ: მივიდა მისა და ჰრქუა: ვითარ ხარ შვილო? და მან ჰრქუა. მამაო წმინდაო, შორით ხმაჲ მათი და ქადებაჲ მესმის, ხოლო არა ვხედავ მათ. კუალად მისცა მას საზრდელი, ულოცა და დაჰხშა კარი და წარვიდა.

მეორმოცესა დღესა მივიდა მისა და ჰრქუა მას: ვითარ ხარ, შვილო? მიუგო მას: კეთილ ვარ, წმინდაო ღმრთისო, რამეთუ გიხილე შენ დღეს ჩუენებით, ჰბრძოდე რა ჩემთჳს და სძლე ეშმაკსა. მეყსეულად უკუე წმინდამან, მსგავსად ჩუეულებისა, ყო ლოცვაჲ და გამოიყვანა და მოიყვანა იგი სასუენებელსა თჳსსა.

ხოლო გან-რაჲ-თენა, მოუწოდა ყოველთა მღდელთა და მონასტერთა და ყოველსა ქრისტეს მოყუარესა ერსა და ჰრქუა მათ: შვილნო ჩემნო, საყუარელნო, ყოველნი ვჰმადლობდეთ ღმერთსა, რამეთუ აჰა ესერა, ცხოვრისა მის წარწყმედულისაჲ ეგულების მწყემსსა კეთილსა მხართა ზედა დადებაჲ და მოყვანებად ეკლესიად და ჯერ არს ჩუენდაცა ღამისთევაჲ და ვედრებაჲ ამას ღამესა სახიერებასა მისსა, რაჲთა არა სძლოს განმხრწნელმან სულთამან.

და ესე რაჲ იქმნა, გულმოდგინედ ერი იგი შეკრბა და ღამე ყოველ ევედრებოდეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, კეთილსა მას მწყემსსა თანა, ცრემლით ხმობდეს მისთჳს კჳრიელეისონსა. და განთიად ყოველსა მისთანა სიმრავლესა ერისასა წარიყვანა იგი წმინდამან და უპყრა მარჯუენე ჴელი მისი და მოიყვანა წმიდასა ეკლესიასა ფსალმუნითა და გალობითა.

და აჰა ეშმაკი, რომელსა ჩუენ ყოველთაჲ შურს უზრუნველი ცხორებაჲ, ყოველთა მისთანა მომსრველთა ძალთა, მოვიდა და უხილავად შეიპყრა ყრმაჲ იგი და ეგულებოდა აღტაცებაჲ მისი ხელთაგან წმინდისა ბასილისთა.

იწყო ხმობად ყრმამან მან: წმიდაო ღმრთისაო, შემეწიე მე და ესოდენ ურცხჳნოებასა მოვიდა, ვიდრეცა წმიდისა მისცა, მონისა ღმრთისა ბასილისსა ჴენებად და გარეშექცევად.

მიექცა წმიდაჲ იგი ეშმაკსა და ჰრქუა: „ურცხჳნოო და სულისა განმხრწნელო, მამაო ბნელისაო და წარსაწყმედელისაო, არა კმა არსა შენდა შენი წარწყმედაჲ, რომელი თავსა თჳსსა და რომელნი შენდა არიან, უყავ მათ? არა დასცხრები დაბადებულთა ღმრთისათა ბრძოლად". ხოლო ეშმაკმან ჰრქუა მას: „მავნებ ბასილი". ვიდრემდის მრავალთა ჩუენგანთა ესმოდა ხმაჲ მისი. ხოლო წმიდამან ღმრთისამან ჰრქუა მას: „შეგრისხენინ შენ უფალმან ეშმაკო!" ხოლო ეშმაკმან ჰრქუა: ბასილო, მავნებ მე. არა მივედ მე მისა ,არამედ იგი ჩემსა მოვიდა და იჯმნა ქრისტეს შენისაგან და შემომიდგა მე. და აჰა, ხელითწერილი მისი ხელთა მაქუს და დღესა მას საშჯელისასა, ყოველთა მსაჯულისა მოვიღო ესე.

ხოლო წმიდამან ბასილი ჰრქუა მას: „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, არა შთამოიღოს ერმან ამან ხელი თჳსი სიმაღლისაგან ცათაჲსა, ვიდრემდის მოგუცე ხელითწერილი". და მოიქცა და ჰრქუა ერსა: აღიპყრენით ხელნი თქუენნი სიმაღლესა ცისასა და ყოველნი ხმობდით ცრემლით კჳრიელსონსა.

და დაადგრა ერი იგი ჟამსა მრავალსა და განეპყრნეს ხელნი ზეცად. და აჰა, ხელითწერილი იგი აერთა ზედა მოაქუნდა და ყოველთაგან იხილვებოდა. მოვიდა და დაიდვა ხელთა შინა მის წმიდისა მონისა ღმრთისათა და ჩუენისა მწყემსისა ბასილისთა.

და მო-რაჲ-იღო, ჰმადლობდა ღმერთსა და მხიარულ იქმნა ყოველსა მას ერსა თანა და ჰრქუა ყრმასა მას: იცნობა წერილსა შენსა ძმაო? ხოლო მან ჰრქუა: „ჰე, წმიდაო ღმრთისაო, ხელითწერილი ჩემი არს. და განხეთქა ხელითწერილი იგი და შეიყვანა ეკლესიად და ღირს-ყო წმიდასა ჟამისწირვასა და ზიარებასა წმიდათა ნიჭსა ქრისტესსა და ყო პური დიდი და განუსუენა ყოველსა ერსა.

და მოიყვანა ყრმაჲ იგი და ასწავა მას და მისცა მას კანონი, რომელი შეჰგვანდა და მისცა იგი ცოლსა თჳსსა და დაუდუმებელითა პირითა ადიდებდა და აქებდა ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

ხელნაწერიდან გადმოიტანა ალექსანდრე კამლაძემ

წმ. ნილოს სინელი

ცალკეული თავები, ანუ აზრები მონაზვნისა

შიში გქონდეს და სიყვარული ღმრთისა, და კეთილსინდისიერი იყავ ყველას მიმართ.

გწამდეს, რომ ყოველს შენს საქმეს ხედავს უფალი.

ქებას განერიდე, მაგრამ საყვედურისა გრცხვენოდეს.

გიხაროდეს, ოდეს სათნოებას რასმე აღასრულებდე, გარნა ნუ განდიდდები, რათა არა დაეცე.

რაოდენ წარემატებოდე მცნებათა აღსრულებაში, მით შორს იგულვე თავი სრულყოფისაგან.

ყოველი საქციელის ბოლო თავშივე გამოიძიე.

დღემუდამ თვალწინ გედგას აღსასრულის დღე და ამცხოვრებისეულის ნურაფრის სიყვარული ნუ მიგიზიდავს მიწასთან.

ნუ შეხვალ ურთიერთობაში მასთან, ვისაც პატიოსანი ადამიანები თაკილობენ.

საქმობდე, საუბრობდე თუ სჯიდე, ეცადე არავისა ვნებდე.

ცხოვრების ფერადოვნება ნუ წარგიტაცებს, რამეთუ ყვავილთა ფერთა მსგავსია იგი — შეუხები და უმალ დაჭკნება.

მწუხარებაში მადლობდე და შეგიმსუბუქდება ცოდვის უღელი.

განსაცდელებში ფრთხილობდე, რამეთუ მათგან მრავალი შენზე აღმატებული მხილებულა.

ღვთის სულგრძელებას ნუ გაჭიცხავ, რამეთუ ყოველთა საკურნებელია იგი.

ამქვეყნიური შეუგვანებლობანი გძაგდეს, გარნა ნუ ჰყვედრი ამაში უფალს.

ჩვენი თავისად მივიქცეთ და სხვათ აღარ დავცინებთ; რამეთუ საქციელი იგი ჩვენშივ მრავლადაა.

ფსალმუნთაგალობას ნუ დასცხრებიან ბაგენი შენნი; რამეთუ ღვთის სახელის ხმობა განასხვეს დემონთ.

გულისხმისყოფით ჯერ-არს ლოცვა, რათა იგი არ ვითხოვოთ ღვთისაგან, რაიც სათნო არ ეყოფა.

გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი, და გონება ზეცად შეგექმნება.

თვალნი დაიცევ, რამეთუ არ უწყი თავად, საით მიმოვალს იგი.

აღვირი ასხი ენას; რომელიც ხშირად წამოისვრის მას, რისი დამარხვაც უმჯობესი იქნებოდა.

გასწვრთენი გონება მცნებათა სწავლებით; რამეთუ მით წარიხოცება გონებიდან მზაკვრული ფიქრები.

სათნოებანი დაჰფარე; გარნა ეცადე მრავალნი მოწმობდნენ შენზე ცხოვრებაში.

ხორციელი სიამენი მოიძულე, რადგან უწმინდურ ხორცთან ერთად სულიც უწმინდურდება

ხორცს ის მიეცი, რაც ჭირდება, და ნუ მისცემ — რისი მიღებაცა სურს.

ნუ გიყვარს ფუფუნება; რამეთუ ამქვეყნიურ ცხოვრებას მიგაჯაჭვებს, ხოლო ეს კი ღვთის წინააღმდგომადა გყოფს.

ცხოვრებისეულ შვება-ლხენათაგან ივლტოდე, რამეთუ ავხორც წადილთ აღგიძრავენ და ცხოვნების გზაზე დაგაბრკოლებენ.

უკეთუ გაქვნდეს სიმდიდრე — განაბნიე, უკეთუ არა — ნუ შეიკრებ.

მარხვა საჭურველად შერაცხე, ლოცვა — ზღუდედ, ცრემლნი — საბანელად.

სულთქმით მოიხსენიე ყოველი, რაოდენიცა რა სცოდე და ამით მოიღებ სულის შემუსვრილებას.

გლახაკთა შეეწეოდე, რამეთუ ისინი მოწყალეჰყოფენ ჩვენდა უფალს.

გაიზიარე წმიდათა გაჭირვება და მით მიემთხვევი ღმერთს.

ტაძრად ხვიდოდე — ვითარცა ზეცად, და ნურცა რას იქ იტყვი ამქვეყნიურს და ნურცა რას ზრახავ.

საცხოვრებლად საჭირო სარჩო სავალდებულოდ მიიჩნიე, ხოლო მისთვის ზრუნვა კი ღმერთს მიანდე.

სათნო საქმეებით მოაუძლურე ხორცი, მაგრამ მიხედე — სრულად არ დასცე იგი.

რაც შეიძლება მცირედ მიიღე ღვინო; რაოდენ წაკლებს შესვამ ღვინოს, იმდენადვე სასარგებლოა იგი.

დაიცხვრე გულისწყრომა, რამეთუ წრეგადასული გულისწყრომა სიშმაგესა შობს.

ავადმყოფობისას უწიწარეს ექიმისა და წამლებისა ლოცვას მიმართე.

სამღვდელო წესთაგანს ყველას ბატივსაცემდი, ხოლო სათნოსთან მირბიოდე.

ღვთის სახლი გიყვარდეს, ხოლო თავი შენიცა ჰქმენ სახლად ღმრთისად.

ხშირად ხვიდოდე ტაძრად, რამეთუ იგი განგვარიდებს გარეშე ღელვათა და ძრწოლათაგან.

რაც ამქვეყნად წუთიერია, განშორებით ნუ დაგაღონებს აწ იგი.

ოდეს ავხორცობის ფიქრი აღიძვრება შენში, წინაღუდექი მას კაცთაგან სირცხვილისა და ღვთის შეურაცხების მოხსენიებით.

დაიცავ თვალნი და ყურნი, რამეთუ მათგან შემოვლენ ბოროტის ყველა ისრები.

ლოცვისას გულისყური ღმრთისადმი აღმართე, და თუ წარიტაცები, მაშინ კუალად აღმართე გონება.

გონება ზრახვათაგან აროდეს დასცხრება; გარნა შენ ბოროტნი განიშორე, ხოლო კეთილნი აღასრულე.

გიყვარდეს მორჩილება, რომელიც აღამაღლებს და არასადა დასცემს.

იმდენი იღვაწე, რაოდენიც ჯერ არს ხორციელ აღძვრათა დასაცხრომად; ხოლო თუ მოაუძლურებ ხორცს, ჰკურნებდი მას ჯანმრთელობისათვი და არა ცხოვრებისეულ ფუფუნებისათვის.

მზაკვრული ფიქრები სხვა ფიქრებით აღმოფხვერი.

ზეციურ ნეტარებათა სუფევაზე იფიქრე და არასოდეს შემოვა შენში სიყვარული ამქვეყნიურისა და მისით ტკბობისა.

როდესაც რასმე იზრახავებ ღმერთზე და ზრახვა იგი უჯერია — ზე გაქვნდეს გული და აღიმაღლე გონება; გარნა თუ

უფლისად დიდებისმეტყველებდეს გონება შენი — ზომიერ ჰყავი თავი შენი, რამეთუ დაუტევნელის დატევნა სახიფათოა ჩვენთვის.

ირწმუნე, რომ უჯერი ფიქრებს ეშმაკი თესავს და ამ რწმენით განიშორებ უჯერო ზრახვებს, ხოლო მთესველს მისას შეარცხვენ.

მომეტებულ სიცილს ერიდე; რადგან იგი სულს აუძლურებს, ხოლო მოუძლურებელი სული ადვილად იხსნის კანონისის უღელს.

სულიერი ძალები ლოცვასა და საქმეზე უნდა განაწილდეს და მაშინ მცირედა ჰპოვებს ეშმაკი ჩვენში შემოსავალ გზებს.

კანონის კითხვა საქმედ შერაცხე, როცა გონებას სასარგებლო რამის მოხეჭა სწადია და პირი კი წიგნებზე იღწვის.

ხელსაქმისას პირით შენით გალობდი, ხოლო გონებით ილოცევდი; რამეთუ ღმერთს სათნოუჩანს ჩვენგან დაუცადებლად მოვიხსენიებდეთ.

ლოცვით აღბეჭდე ყოველი საქმე შენი, ხოლო უფრო კი ისინი, რომლის-დროსაც მერყეევი აზრები გიჩნდება.

თუ გსურს ხელთა შენთა ნაღვაწი საღმრთოდ გეყოს და მტვრად არ გაგებნას; მაშინ რაიცა მით საქმით მოიგო გაჭირვებულებს გაუყავი.

გიხაროდეს წმიდა მამებთან შეხვედრა, რამეთუ მათის მეოხებით გვეცხადება ღმერთი.

ჭეშმარიტად წმიდანი საქმით ცანი, რამეთუ ყოველი ხე ნაყოფით იცნობა.

წმინდანს თუ პირისპირა სჭვრეტდე, ისარგებლე ამით, რათა სარგებელი რამ გეყოს შენ მისგან; დააკვირდი მის შეხედულებებსა და გარეგნობას, რამეთუ ერთიცა და მეორეც მეტად სასარგებლოა.

გული ურისხველობით განსწავლე, ხოლო სხეული — სიწმიდით; ესე ორივე ტაძრად ღვთისად გყოფს შენ.

იმგვარად დაიცევ ტაძარი შენის თავისა, ვითარცა ტაძარი დამბადებლისა, აღმაშენებლისა და მსაჯულისა შენისა, რათა შენ — ხატი მისი წმიდა იყო.

ერის ადამიანებთან საუბარი ღმერთზე ფიქრს განაშო-

რებს; ამისთვის ნუ ისაუბრებ მათთან და მოსაუბრეთაც განეშორე.

ძვირს თუ ვინმე გეტყვის, დაფიქრდი, ხომ არაფერი ჩაგიდენია რა ღირსი ძვირისსიტყვისა, თუ არა — მაშინ ის ბოროტი სიტყვა განქარვებად კვამლად შერაცხე.

გულისშემუსვრილების გარეშე ვნებათაგან გათავისუფლება შეუძლებელია; ხოლო გული სამი რამის დათმენით შეიმუსრება: ძილის, საჭმლისა და სხეულის განსვენების მოკლებით.

თუ განაწყენდი რითიმე, დაითმინე და ვნება შეურაცხმყოფელზე გადავა.

სიმდიდრის, დიდებისა და ქვეყნიურ მეუფების ხილვაზე, იფიქრე რომ ესე ყოველი ხრწნადია და აღარ მოიხიბლები.

მწუხარებანი დაითმინე; რამეთუ ვითარცა ვარდი ეკალში, იმგვარად აღმოცენდებიან მათში სათნოებანი.

სათნოებათა ტოლფას ღირსებად ნურაფერს მიიჩნევ; რამეთუ იგი — ღვთის ხატებაა და უცვალებელია მსგავსად უფლისა.

სტიროდე ცოდვილზე, ოდეს ყოველში ხელი ემართებოდეს, რამეთუ მახვილი მართლმსაჯულებისა აღმართულია მასზე.

ვნებათა დედად სიზარმაცე შერაცხე, რადგან ყოველივეს კარგს, რაიც გაგაჩნია ის წარიტაცებს; ხოლო რაც არა გაქვს მის შეძენაში გაბრკოლებს.

როცა ცუდის მომქმედს არა სცხვენია ამის, მაშინ იარაჯ უფრო ღრმავდება და დაცემა სასოწარკვეთამდე მიდის.

თუ უცებ სულით დაეცი, მოიხსენე, რაოდენი ნეტარება ელით მართალთ და მარჯვედ მოიგებ მაშინ სულიერ ნაყოფს.

მართალს ყველას წინაშე მარადებს მორჩილება. რამეთუ მხოლოდ ცალკეულთა მორჩილება ცრუმორჩილებასა ნიშნავს.

მოყვასის სიყვარულს არაფერი არჩიო, გარდა იმ შემოხვევისა, თუ ამ სიყვარულით ღვთის სიყვარული მოიძულება.

ღვთის სჯულის საწინააღმდეგოს ნურაფერს მიეჯაჭვები და ნურც ნურაფერს შეიყვარებ, რადგან ამით უღირსს რასმე უპირატესჰყოფ წინაშე ღვთისა.

ცუდი ადამიანების ქომაგი ნუ იქნები, რადგან ამით წა-

აქეზებ მათ ცუდზე, ხოლო შენ მათთან ურთიერთობით შეიბ-ღალები.

ცოდვილს შეაგონე, გარნა ნუ განიკითხავ დაცემულს; რად-გან პირველი — ცოდვილის მოქცევის სურვილია, ხოლო უკა-ნასკნელი — ძვირისმეტყველებაა.

ეცადე ყოველთვის წმინდანებისათვის დამახასიათებელ რასმე ისმენდე, ან საუბრობდე მასზედ; რადგანაც ეს შენში კეთილმოშურნეობას აღძრავს.

დაღათუ ყოველ ჩვენთაგანს გონება ტაძრად უყოფია, მა-შინ საეკლესიო კანონნიც უნდა აღვასრულოთ მასში.

თუ ეკლესიაში მსახურება აღესრულება, დაესწარი; უკე-თუ — არა, სამოციქულო წაიკითხე და შინ წადი.

სათნოებათა დიდება წმიდათა შორის მოიხელე, რადგან დიდება მათი სიკვდილის შემდგომაც უკვდავია.

ვნებას მაშინ მოიძულებ, როცა მიხვდები, რომ იგი ჩვენს თავზე აღმართული ეშმაკის მახვილია.

დაცემულს თუ შეაგონებდე, სიტყვა შენი თანაგრძნობით განაზავე, მაშინ სმენაც მოულბება და გულიც გაუნათლდება.

წმიდანებთან საუბარში სულიერზე გამოიძიე; ხოლო სხვებ-თან ამაზე ნუ ისაუბრებ.

კეთილ საქმეში ყოველთვის მოსწრაფე იყავი, რათა რაიმე მიზეზით დაუმთავრებელი არ დაგრჩეს, და შენც არასრულ-ყოფილი არ გახვიდე ამქვეყნით.

„ესრეთ რბიოდეთ, რაითა ეწინეთ“ (I კორ. 9,24) ე. ი. შეუსვენებლად უნდა იარო; რადგან სიკეთეს ფეხდა-ფეხ უნდა მისდიო, ვინემ ცხოვრების სარბიელიდან არ გახვალ.

მცნებათა აღსრულებაში დაუდევარი ნუ იქნები, რადგან დაუდევარს ერთ ჯაფაზე მეორე — ფუჭი ჯაფაც დაერთვის.

მოთმინებაში გაჭირვებამდე გაიწვრთნები, რათა გაჭირვე-ბის ჟამს მოთმინების საჭურველი მზად გქონდეს.

მზაკვრულ ფიქრებს წინააღუღექი და მიუგე მათ რასაცა იტყვის მცნება.

დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყანას, რამე-თუ მისგან ამომავალი მავნე კვამლი აღამღვრევს სულს.

დაღათუ მავნე რამ ჩვევა გეუფლა, თანდათან მოიკვეთე იგი და დიდი ჯაფის გარეშე აღმოიგდებ სულიდან ამ ეკალს.

წმიდა არს უფალი და წმიდად გიყვარდეს, და რამეთუ იგი აღმატებულია ყოველთა ზედა, ყოველი უმდაბლეს მისდა შერაცხე.

ღვთის ტაძრად ყოფა თუ გსურს, მაშინ განუწყვეტლივ შესწირე მსხვერპლი დაუცადებელის ლოცვისა.

დაუდევრად მცხოვრებს ნუ გაიხდი მრჩევლად, რადგან ავისმოყვარეს არ შეუძლია იმავ ღროს კარგიც უყვარდეს და კეთილს რასმე გირჩევდეს.

ხორციელი ვნებანი დაიოკე და ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას; ამგვარად შეიქმნება ქრისტეს სხეულად ჩვენი სხეული.

ღვთისაგან სასჯელის დათმენისას ნუ დრტვინავ; თუმცაღა სჯის უფალი, მაგრამ ვითარცა მამას მოწყალეს — უნდა ვმადლობდეთ ამისთვის.

თუ შეურაცხგყვეს, გიხარობდეს; რადგან თუ უსამართლოდ გყვედრეს, მაშინ დიდია სასყიდელი შენი; ხოლო თუ სამართლად — მაშინ მსწარფლ გონსმოვიბული სასჯელს განერიბი.

ცხოვრებისეული მწუხარებანი და სიხარულნი აჩრდილთა და ბორბალთ ამგსავსე, რამეთუ ესინი მბრუნავია და ცვალებადი.

ეცადე მუდამ წარემატებოდე ღვთისად. მცირედ-მცირედით მალე შეიკრებ დიდ საუნჯეს, რომელსაც ყოველნი ეშურებიან.

თუ გინდა მწარე სატანჯველი აიცილო, არასდროს არვის არ უთხრა ბოროტი; რადგან ეს ღმერთს განარისხებს.

თუ გინდა შენს ოჯახს ყოველგვარი სატანჯველი ააშორო, მონათესავე ადამიანზე ნუ იტყვი ცუდს, რამეთუ სამართლად განრისხდება ამისთვის უფალი.

თუ ყოველგვარ ცოდვაზე გინდა ამაღლდე, მაშინ სხვის ცოდვებს ნუ გამოეძიებ, შენშივ მრავლადაა იგივ რასაც სხვებში ეძიებ.

ამპარტავნებისაგან ივლტოდე, კაცო, დაღათუ იყო მდიდარი, რაითა ჟამ-ერთს ღმერთი არ გეყოს წინააღმდგომად.

აღმატებულიც რომ იყო, დამდაბლდი, რათა აძაღლდე განკითხვის დღეს.

ნურავის დასცინებ და შენი ცხოვრების მანძილზეც არავინ დაგცინებს.

ეკლესიაში გონებით ნუ იდავებ. რამეთუ მეუფის წინაშე წარდგომილნი არც იცინიან და არც გონებაგანიფანტებიან.

ნუ უგულებელყოფ შენს ცხოვრებას და წინააღმდეგ სჯულისა ნურაფრის გულისათვის ნუ წახვალ, რათა უსჯულოდ არ აღესრულო.

სრულის უეჭველობით დაიხსოს ესე ყოფელი, რათა გადიდონ შენ ამათ ყოველთა.

კეთილსინდისიერ ცხოვრების მოშურნე იყავი, რათა ცოდვილთ შეწევნას ესწრაფებოდე.

ქედმაღლობისაგან თავი მოიზღუდე და ნურც ნურავისთან იჩხუბებ, რომ მედიდურობისათვის არ განიკითხო.

სხვისი დაცემა ნუ გაგაცინებს, რათა იმან არ დაგცინოს, ვისგანაც არ გინდა რომ დაიცინო.

დაიმარხე ეს რჩევები, რომ მით დიდების გვირგვინი მოიღო.

ამათ მცნებათა აღასრულებდე, რათა იდიდო მათგან წინაშე კაცთა და სათნოგყონ წინაშე უფლისა.

ეცადე მუდამ წარემატებოდე კეთილ საქმეებში.

და მხედარიც არ განითქმება თუ უწინარესად დიდხანს არ გაიწვრთნა და გამოიცადა შრომასა და ბრძოლაში და მერმედ არ გამოსჩნდა მძლეველად.

და მით უფრო ვერავინ შეიქნება ღირს ზეციურ და ჭეშმარიტ მეუფისაგან სული წმიდის ზეციურ მადლის მიღებისა, თუ უწინარეს არ გაიწვრთნა წმიდა მცნებათა სწავლებით. და ამდენად ვერც თვით მადლის ზეციურ საჭურველს მიიღებს და ვერც გავა ბოროტ სულებთან ბრძოლაში.

რამდენადაც წარემატება კაცი სულიერ ღვაწლში, იმდენად აღვა სულის საიდუმლოთა სიმაღლეზე და სიბრძნის საიდუმლო საგანძურში.

რაოდენ კაცი აღივსება მადლით, იმოდენად წარემატება იგი ბოროტის ზრახვათა შეცნობაში უფლის შემწეობით.

რომლისა არს ძალი და დიდება უკუნისამდე!

ამინ.

თარგმნა მარინა ნიაურმა

წმ. იოანე დამასკელი

მწვალებლობათა შესახებ

(მოკლედ)

სადაა მათი დასაბამი და რისთვის აღმოცენდნენ

სულ დედა-მწვალებლობა და პირველსახე ყველა მწვალებლობისა — ოთხია, კერძოდ: I. ბარბაროსობა, II. სკვითობა, III. ელინობა და IV. იუდეველობა. ამათგან აღმოცენდა ყველა სხვა მწვალებლობა.

I ბარბაროსობა: ეს ის მწვალებლობაა, რომელიც თავისთავად გრძელდებოდა ადამის დღეთაგან მის მეათე მუხლამდე, ანუ ნოეს დრომდე; ბარბაროსობად კი იმიტომ იწოდებოდა, რომ იმ დროს მცხოვრებ ადამიანებს არ ჰყოლიათ არავითარი წინამძღოლი და არც რამ თანხმობა ჰქონიათ ურთიერთ შორის, არამედ თითოეული ბატონ-პატრონი იყო საკუთარი თავისა, და, ამასთანავე, მონაც საკუთარი ნებისა, რომელიც მისთვის კანონს წარმოადგენდა. ასე, რომ ის, თუ როგორ განაგებდა თითოეული ადამიანი თავის თავს საკუთარი ნებისდა მიხედვით, — აი, ეს იყო კიდეც მისთვის სჯულისა და კანონის მაგიერი.

II. სკვითობა: იგი იყო ნოეს დღეთაგან და შემდგომ დროში ბაბილონის გოდლის აღშენებამდე, აგრეთვე შემდეგშიც მცირე ხანს, არამრავალი წლის განმავლობაში, ანუ ფალეგისა და რაგავის დროებამდე (დაბ. 11, 18—21). ზოგნი განეშორნენ ევროპის მხარეს, სკვითეთის ქვეყანას მიმართეს, იქ დასახლდნენ და შეუერთდნენ იქაურ ტომებს თირასის (იგივე

თარშის, იაფეთის ძის — დაბად. 10,2) დროიდან, რომლიდანაც თრაკიელები მომდინარეობენ, და შემდგომ, მოგვიანებითაც.

III. ელინიზმი: იგი დაიწყო სერუქის (რაგავის ძის — დაბ. 11, 20—22) დროს კერპთმსახურებით, და რადგანაც მაშინ ყველა ცრუმორწმუნეობით ცხოვრობდა, ამიტომ გაცილებით მეტი საზოგადოობისა და ჩამოყალიბებულ წეს-ჩვეულებათა პირობებში ადამიანთა ტომებმა კერპებთან დაკავშირებითაც დაიწყეს რაღაც კანონების დაწესება, და ისინი, ვისაც მანამდე უკან მისდევდნენ, ანუ თავიანთი წინამძღოლნი, გააღმერთეს. თავდაპირველად ისინი საღებავით ხატავდნენ მსგავსებას მათს მიერ პატივცემული ტირანებისა თუ გრძნეულებისა, ანდა იმ გამორჩეული ადამიანებისა, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში რაიმე ღირსეული და დასამახსოვრებელი საქმე ჰქონდათ ჩადენილი, ან სხვათაგან გამოკვეთილნი ყოფილან უჩვეულო ძალითა თუ სხეულის სიმაგრით. შემდეგ კი აბრაჰამის მამის, თარრას დროიდან როყოლებული, რომელმაც კერპთთაყვანისმცემლობა შემოიღო, ადამიანებმა თავიანთ წინაპრებს პატივი მიაგეს ქანდაკია ქმნით, ჯერ სამეთუნეო ხელოვნებით, შემდგომ კი სხვიგვარადაც, ყოველგვარი ხელობის მეშვეობით: კირითხურონი ამის ქვების გამოთლით აკეთებდნენ, ვერცხლისა და ოქროს მჭედელნი — ძვირფას ლითონთა დამუშავებით, დურგლები — თავიანთი ხელობით, ანუ ხის გამოთლით და ასე სხვანიც. ხოლო პირველშემოქმედნი და დამამკვიდრებელნი ამგვარი თაყვანისცემისა, ანუ ქანდაკთქმნისა და კერპთსაიდუმლოთა აღსრულებისა, ეგვიპტელები იყვნენ, მათთან ერთად კი ბაბილონელნი, ფრიგიელნი და ფინიკიელნი. მათგან ამ დადგინებათა დიდი ნაწილი კეკრონსის დროს და მის შემდგომაც გადატანილ იქნა ელინებთან. შემდეგში, და გაცილებით გვიან დროშიც, ღმერთებად გამოაცხადეს კრონოსი, და რეა, ზევსი და აპოლონი, და სხვანი. ხოლო ელინები ასე იწოდებენ ვინმე ელენისაგან, რომელიც ელადაში ცხოვრობდა. სხვანი კი ამტკიცებენ, რომ ელინთა სახელწოდება ზეთისხილის მცენარისაგან მომდინარეობს, რომელიც კარგად ხარობდა ათენში (ზეთისხილი ბერძნულად „ელაია"-დ იწოდება).

ელინთა ბელადები, როგორც ზუსტი ისტორია გვიდასტურებს, იონიელები იყვნენ, რომელნიც იაფეთის ძისაგან ავანისაგან მომდინარეობენ (დაბ. 10,2), ბაბილონის გოდოლის ერთი მაშენებლისაგან, როცა ენათა გაყოფა მოხდა. ამ მიზეზით ყველანი იწოდებიან კიდეც „მეროპეს"-ებად. შემდგომში, უფრო მოგვიანებით, ელინიზმი სხვადასხვა მწვალებლობებში განმრავლდა, — ვგულისხმობ პითაგორელთა, სტოიკოსთა, პლატონიკოსებისა და ეპიკურელთა მწვალებლობებს. მაგრამ სახეც ჭეშმარიტი კეთილმსახურებისა, მასთან ერთად კი ცბოვრების ბუნებითი სჯულიც, მოაკლდნენ რა ხსენებულ ხალხებს, მაინც შენარჩუნებულ იქნენ ბარბაროსობასა და ელინობაში დასაბამიდან სოფლისა ვიდრე უკანასკნელ დროებამდე, სანამ არ შეუერთდნენ აბრაჰამისეულ კეთილმსახურებას და თაყვანისცემას ღმრთისა.

IV. **იუდეველობა:** მან აბრაჰამის დროიდან მიიღო ნიშანი წინადაცვეთისა და ჩაწერილ იქნა კაცთაგან ღვთის მიერ მოცემული სჯულის მეშვეობით. ეს მოსემ გააკეთა, მეშვიდემ აბრაჰამის შემდგომ. სახელწოდება — იუდეველობა — მიიღო ისრაელად წოდებული იაკობის მეოთხე ძისაგან, იუდასაგან, მისი შთამომავლობის პირველი მეფის დავითის მეშვეობით, და მისით დაიმკვიდრა ბოლოს ეს სახელი.

ამ ოთხი მწვალებლობის შესახებ ნათლად ლაპარაკობს პავლე მოციქული, როცა გვასწავლის: „...განიძარცვეთ ძველი იგი კაცი საქმითურთ მისით და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა, სადა — იგი არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცვეთილება და წინადაუცვეთილება, ბარბაროზ, სკვითელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე არს" (კოლას. 3, 9—11) და „...არს ქრისტეს მიერ ახალი დაბადებული" (II კორინ. 5,17).

სხვადასხვა მწვალებლობები ელინებისა

5. **პითაგორელნი, ანუ პერიპათეტიკოსები.** პითაგორა ასწავლიდა მონადისა და განგებულებათა შესახებ, შეაგონებდა ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვის აკრძალვას და ღვინის

სმისაგან თავის შეკავებას. იგი ამტკიცებდა, რომ მთვარეზე და მასზე მაღლად ზეცაში ყოველივე უკვდავია, ხოლო მთვარის ქვემოთ კი — ყოველივე მოკვდავი; პითაგორა უშვებდა სულების გადასახლებას ერთი სხეულიდან სხვაში, ანუ ერთი ადამიანისას სხვა ადამიანის სხეულში, და უფრო მეტიც, თვით პირუტყვებსა და გარეულ მხეცებშიც კი! იგი ასწავლიდა, აგრეთვე, სხეულის გაწვრთნა-გაკაჟებას ხუთი წლის განმავლობაში, მდუმარების დამარხვით. ბოლოს კი იქამდეც მივიდა, რომ საკუთარი თავი ღმერთად გამოაცხადა.

6. **პლატონიკოსები:** მათი ვარაუდით, არსებობს ღმერთი, მატერია, ფორმა და ქმნილი სამყარო; გარდა ამისა, ისინი ფიქრობდნენ, რომ სული არ არის შექმნილი, უკვდავია და ღვთაებრივი. ყოველ სულშიო, ამბობენ პლატონიკოსები, სამი ნაწილია: გონიერი, გრძნობადი და მსურველი. თვითონ პლატონი ასწავლიდა, რომ ცოლები ყველას საერთო ჰყოლოდათ, ანუ საკუთრად მხოლოდ თავისთვის არავის უნდა ჰყავდესო ცოლი, არამედ მსურველმა მსურველთან იცხოვროსო. იგიც ასევე უშვებდა სულთა გადასახლებას ერთი სხეულიდან მეორეში, თვით გარეულ მხეცებშიც კი. ამასთანავე პლატონი იმასაც ასწავლიდა, რომ სიმრავლე ღმერთებისა ერთი ღმერთისაგან მომდინარეობს.

7. **სტოიკოსები:** ესენი ასწავლიან, რომ ყოველივე — სხეულია, მატერიალური სამყარო, და ამ გრძნობად სამყაროს ღმერთად აღიარებენ. ზოგიერთი კი სტოიკოსთაგან ამტკიცებდა, რომ ღმერთს თავისი ბუნება ცეცხლის არსისაგან აქვს მიღებული; ისინი ასე განსაზღვრავენ, რომ ღმერთი არის გონება და რაღაც სული ყოველივე არსებულისა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; ყოველივე არსებული კი, მაშასადამე, მისი სხეულია, როგორც უკვე ვთქვი. მნათობნი ზეცისა, მათი აზრით, თვალებია ღმერთისა. სხეული იღუპება, სული კი ყოველისა გადასახლდება ხოლმე ერთი სხეულიდან მეორე სხეულში.

8. **ეპიკურელნი:** ისინი ამტკიცებდნენ, რომ ატომები და განუყოფელი სხეულები, რომლებიც ამგვარ ნაწილთაგან შესდგებიან და რიცხვით უსასრულონი არიან, წარმოადგენენ დასაბამს ყოველი საგნისა. ეპიკურელნი ასწავლიდნენ, რომ ნე-

ტარების მიზანი — სიამოვნების მიღებაა, და რომ არც ღმერთი და არც რამ განგება არ წარმართავენ სამყაროს თუ საქმეებს.

9. სამარიტობა, და მისგან **სამარიტელნი.** ეს მწვალებლობა იუდეველთაგან წარმოიშვა მანამდე, სანამ ელინებში მწვალებლობანი აღმოცენდებოდა და იმაზე ადრეც, ვიდრე მათი მოძღვრებები ჩამოყალიბდა. მაგრამ ეს მწვალებლობა გავრცელდა მხოლოდ მას შემდგომ, რაც ელინებში ღვთისმსახურება შემოიღეს. სამარიტელობა იუდეველებშიც დამკვიდრდა ნაბუქოდონოსორისა და იუდეველთა ტყვეობის დროიდან. იუდეაში ჩასახლებულ ასირიელებს, რომელთაც ბაბილონის მეფის მიერ ეზრა მღვდელითურთ გამოგზავნილი მოსეს ხუთწიგნეული მიიღეს, ყოველივე საერთო ჰქონდათ იუდეველებთან, გარდა იმისა, რომ სძაგდათ წარმართები და არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ მათთან. ამასთან, ისინი უარყოფდნენ მკვდრეთით აღდგომას და სხვა წინასწარმეტყველებათ, მოსეს შემდგომ ყოფილთ.

დანაყოფი სამარიტელთა მწვალებლური მოძღვრებისა ოთხია:

10. ჰოროინები: ესენი, სებუელებისაგან განსხვავებით, დღესასწაულებს სხვა დღეებში აღასრულებენ.

11. სებუელნი: როგორც ითქვა, ესენი დღესასწაულებთან დაკავშირებით განირჩევიან ჰოროინებისაგან.

12. ესინები: არ ეწინააღმდეგებიან არც პირველთ (ჰოროინებს) და არც მეორეთ (სებუელთ), მაგრამ ვისთანაც კი არ მოუხდებათ, ყველასთან ერთად, განურჩევლად, დღესასწაულობენ.

13. დოსითეველნი: ესენიც სამარიტელთა ჩვეულებებით ხელმძღვანელობენ, იცავენ წინადაცვეთილებას და სხვა დადგინებებს, მისდევენ ხუთწიგნეულს, სხვებზე მკაცრად იცავენ წესს საზრდოდ განსულიერებულის მიღებისაგან თავშეკავებისა და ცხოვრებას განუწყვეტელ მარხვაში ატარებენ. არიან უქორწინებელნი, უმანკონი, სხვანი კრძალულად იმარხავენ თავს. არიან ისეთნიც, ვისაც სწამს მკვდრეთით აღდგომა, რაც, საერთოდ, უცხოა სამარიტელთათვის.

14. მწიგნობარი: ესენი სჯულისმეცნიერნი იყვნენ და, აგრეთვე, განმმარტებელნი თავიანთი წინამძღვრების, ანუ მოხუცებულთა ფადმოცემებისა; ყოველთვის უაღრესი ყვეთებითა და მოშურნეობით აღასრულებდნენ წეს-ჩვეულებებს, რომელნიც სჯულისაგან კი არ დაესწავლათ, არამედ თვით ეღიარებინათ თავისთვის პატივისცემის საგნად და იმად, რაც გაამართლებდა მათს საქმეებს სჯულის გარეშე.

15. ფარისეველნი: თვით ეს სიტყვა განდგომილთ ნიშნავს. ესენი ყველაზე ამაღლებულ ცხოვრებას ეწევიან გარეგნულად და სხვებზე მეტად არიან პატივცემულნი; მწიგნობართა მსგავსად, ფარისეველნიც აღიარებენ მკვდრეთით აღდგომას, ანგელოზთა და სულიწმიდის არსებობას, მაგრამ ცხოვრებით ფარისეველნი მწიგნობრებისაგან განსხვავებულად ცხოვრობენ; დრომდე იცავენ თავშეკავებისა და უმანკოების აღთქმას, იმარხავენ შაბათს, აღასრულებენ განწმენდას დოქებისა, სინებისა და თასებისას; მწიგნობართა მსგავსად აღასრულებენ წესებს მეათედისა, პირველი ნაყოფისა, განუწყვეტელი ლოცვა-ვედრებისა, გარეგან სახეს შესამოსელისა; აცვიათ გამორჩეულად, უსახელო მოსასხამები ქოწისფერი ზოლებით, კალთებითა და ბოლოებში მიკერებული ღილებით, რაც მიანიშნებდა ამგვარი შესამოსელით მოარული ფარისეველის თავშეკავებულობას. ფარისეველებმა შემოიღეს სწავლება შობის, ბედისწერისა და განგებულებისა შესახებ.

16. სადუკეველნი: თვით ეს სიტყვა ნიშნავს — „უმართლესნი, ყველაზე მართალნი". მომდინარეობენ სამარიტელთაგან და, კერძოდ, ერთი მღვდელმსახურისაგან, რომელსაც სადოკი ერქვა. სადუკეველნი უარყოფდნენ მკვდრეთით აღდგომას, არ მიიღებდნენ არც ანგელოზს, არც სულს (ღმრთისა), ყოველივე სხვათი კი მთლიანად იუდეველნი იყვნენ.

17. ჰემერობაპტისტები: ესენი ყოველივეთი იუდეველნი იყვნენ, ოღონდ, სხვათაგან განსხვავებით, ამტკიცებდნენ, რომ ადამიანთაგან ვერავინ ვერ დაიმკვიდრებს საუკუნო ცხოვრებას, თუკი ყოველდღიურად არ მიიღებს ნათელს, ანუ თუკი ყოველდღე არ მოინათლებაო.

18. ოსსიენები: თვით სიტყვა ნიშნავს „ყველაზე კადნიერთ". ესენი ყოველივეს იუდეველთა სჯულის მიხედვით აღასრულებდნენ, მაგრამ მის შემდგომ სხვა წიგნებითაც ხელმძღვანელობდნენ, ამასთანავე, გვიანდელ წინასწარმეტყველთა უმრავლესობას უარყოფდნენ.

19. ნაზარეველნი: თვით სიტყვა ნიშნავს „აულაგმავთ", ესენი კრძალავენ ხორცის მიღებას საზრდოდ, და, საერთოდაც, არაფერს არ ჭამენ ცოცხალი არსებისაგან. გამოსულს; ხუთწიგნეულის მამამთავართა წმიდა სახელებისა, მოსემდე და ისუ ნავემდე, სწამთ და ხელმძღვანელობენ მათით, ვგულისხმობ აბრაჰამს, ისაკს, იაკობს და სხვა უხუცესთ, აგრეთვე თვით მოსეს, აარონს და ისუ ნავეს. ნაზარეველნი ასწავლიან, რომ ხუწთიგნეული არ არის მოსეს მიერ დაწერილი, და ამტკიცებენ, ჩვენ სხვა წმიდა წიგნებიც გვაქვსო.

20. ჰეროდიანნი: ესენი ყოველივეთი იუდეველნი იყვნენ, მაგრამ ქრისტეს, მესიას — ჰეროდეს პიროვნების სახით მოელოდნენ და სწორედ მას მიაგებდნენ პატივსა და სახელს ქრისტესას.

21. სიმონიანნი: ეს სახელწოდება მათ სიმონ მოგვისაგან მიიღეს, პეტრე მოციქულის თანამედროვისაგან. იგი სამარიის სოფელ ჰითონიდან იყო წარმოშობილი, შემდეგში გამოეყო სამარიტელებს და მიიღო მხოლოდ სახელი ქრისტიანისა, საქმით კი ყველაზე მწვალებელი დარჩა. სიმონ მოგვი ასწავლიდა სამარცხვინო და ბილწ აღრევას, სხეულთა განურჩევლობას, უარყოფდა მკვდრეთით აღდგომას და ამტკიცებდა, რომ ქვეყანა ესე არ არის ღმრთისაგან დაბადებული. სიმონ მოგვმა თავის მოწაფეებს გადასცა თავისი გამოსახულება ზევსის სახით, რათა მათ ღმერთის საფერი თაყვანი ეცათ მისთვის; ასეთივე გამოსახულება დაუტოვა მათ თავისი თანამემრუშისაც — ათინას სახით, სახელად ელენესი, რათა მისთვისაც ასეთივე პატივი მიეგოთ. თავის თავს სიმონ მოგვი სამარიტელებთან მამად უწოდდა, იუდეველებთან კი — ქრისტედ. მის ბილწ საქმეთა და წმიდა მოციქულებთან დამოკიდებულების შესახებ მოთხრობილია საქმე მოციქულთაში (8, 9—25), სადაც ისიცაა წათქვამი, რომ სიმონ მოგვმა უფლის მოციქულებს

სულიწმიდის მადლი სთხოვა ვერცხლის საფასურად, რისთვისაც პეტრე მოციქულის შეჩვენება მიიღო.

22. მენანდრეველნი: მათ დასაბამი სიმონ მოგვისაგან მიიღეს ვინმე მენანდრეს მეშვეობით; გარკვეულწილად ისინი განსხვავდებოდნენ სიმონიანთაგან. მაგალითად, მენანდრეველნი ამტკიცებდნენ, რომ ეს ქვეყანა ანგელოზებმა შექმნეს.

23. სატურნილელნი: ამათ მეტად გააძლიერეს სირიაში სიმონიანთა ურცხვი მწვალებლობა, მაგრამ მათგან განსხვავებულ რაიმესაც აღიარებენ. დასაბამი სატურნილელებმა ვინმე სატურნილესაგან მიიღეს, რომელიც მენანდრეს მსგავსად ფიქრობდა, რომ ეს ქვეყანა ანგელოზებმა შექმნეს, ოღონდ არა ყველამ, არამედ მხოლოდ შვიდმა მათგან, და შექმნეს იმგვარად, როგორც ეს მამამ იაზრა და როგორც მას სურდაო.

24. ბასილიდეანნი: ესენი ვინმე ბასილიდემ იმავე ურცხვინო საქმეებს აზიარა, რომელნიც, ვარდა სატურნილელებისა, სიმონიანებთანაც ისწავლება და მენადრეველებთანაც. ბასილიდე ყოველივეს მათს მსგავსად ფიქრობდა, მაგრამ რაღაცით მაინც განსხვავდებოდა მათგან და, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ ცანი რიცხვით 365-ია, და ყოველ მათგანს ანგელოზთა სახელს ანიჭებდა. ამიტომაცაა, ამბობდა იგი, რომ წელიწადიც ამდენიმე დღისაგან შესდგება, და სიტყვაც „აბრასაქს“-ი თავისი რიცხვითი მნიშვნელობის ჯამით, ანუ იზოფსეფიით 365-ს აღნიშნავს, დაამიტომ არისო კიდეც წმიდა სახელი.

25. ნიკოლაელნი: ეს მწვალებელნი ვინმე ნიკოლაოსისაგან მომდინარეობენ, რომელიც მოციქულებმა ქვრივ-ობოლთა ზედა მსახურებისთვის დაადგინეს, ის კი, თავისი მეუღლესადმი ბილწი ეჭვიანობის გამო, ყველას ასწავლიდა ყოვლად ურცხვინო საქმეთა ქმნას, ამასთან ლაპარაკობდა კავლაკაქოსზე, პრუნიქეზე და სხვა ბარბაროსულ სახელებზე, რომელნიც ამ ნიკოლაოსმა სათაყვანებლად შემოიღო.

26. გნოსტიკოსები: ამათაც იგივე, ზემოჩამოთვლილი, მწვალებლობანი მიიღეს, მაგრამ ყოველ მათგანზე უფრო მეტის განძვინებით აღასრულებენ ურცხვინო საქმეთ. ეგვიპტეში ისინი სტრატიოკოსებად და ფიბიოპიტოსებად იწოდებიან,

ეგვიპტის ზემო მხარეში — სოკრატიკოსებად, სხვაგან ყველგან კი — ზაქეველებად. თუმცა მათ სხვაგვარად უწოდებენ, მაგალითად ზოგნი მათ კოდდიანებად უხმობენ, სხვანი კი — ბორბორიტებად. გნოსტიკოსები ამპარტავნებით ასწავლიან ბარბელოსა და ბეროსათვის.

27. **კარპოკრატიოსელნი:** ესენი მომდინარეობენ ვინმე კარპოკრატოსისაგან, რომელიც აზიიდან იყო. იგი ასწავლიდა ყოველგვარი ურცხვინო და ცოდვის საქმის აღსრულებას. კარპოკრატოსი ასწავლიდა: თუკი ადამიანი ყოველივეს არ გამოსცდის თავის თავზე, თუკი ის ყველა ანგელოზისა და დემონის ნებას არ აღასრულებს, ისე ვერ შეძლებს უზენაეს ზეცად აღსვლას და დასაბამთა და უფლებათა მაღლა დადგომასო. იგი ამტკიცებდა, რომ იესომ (მხოლოდ) გონიერი სული მიიღო ზეგარდმო, მაგრამ ძალი შესწევდა აქ, ამქვეყნად, ზენაარის შესახებ ქადაგებისა, და თუ ვინმე ადამიანთაგან იესოს მსგავს საქმეებს აღასრულებს, იგი მ ა ს ზ ე ნაკლები და დაბლა მდგომი არ იქნებაო. სჯულს, და მასთან ერთად, მკვდრეთით აღდგომასაც კარპოკრატოსი უარყოფდა მსგავსად სიმონიანთა და სხვა მწვალებელთა, რომელთა გამოც ზემოთ გვქონდა საუბარი. მისი მიმდევარი იყო რომაელი დიდგვაროვანი ქალი მარკელინა. კარპოკრატოსმა ფარულად გააკეთა იესოს, პავლეს, ჰომეროსისა და პითაგორას გამოსახულებანი (ქანდაკნი) და თაყვანს სცემდა მაო და საკმეველსაც უკმევდა.

28. **კვირინთეანნი, იგინივე მირინთეანნი:** ეს მწვალებლები მოწაფეები არიან ვიღაც იუდეველების — კვირინთესი და მირინთესი, რომელნიც თავიანთი წინადაცვეთილებით იქადოდენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს ქვეყანა ანგელოზთა მიერ არის შექმნილი, და რომ იესო სიბრძნესა და სხვა ქველ საქმეებში დიდი წარმატებულობისათვის იწოდა ქრისტედ, ანუ ღვთის ცხებულად.

29. **ნაზორეველნი:** ესენი თუმცა კი აღიარებენ იესო ქრისტეს ძედ ღმრთისა, მაგრამ ყოველივე დანარჩენით იუდეველნი არიან და მათი სჯულის მიხედვით ცხოვრობენ.

30. **ებიონელნი:** ესენი ახლოს დგანან ზემოდასახელებულ კვირინთეანებთან და ნაზორეველებთან; გარკვეულწილად მათვე უახლოვდება რაღაცით სამპსეველთა და ელკესეველთა

მწვალებლობაც. ებიონელნი ამბობენ, რომ ქრისტე და სულიწმიდა შექმნილნი არიან ცათა შინა, და რომ ქრისტე ადამში იყო დამკვიდრებული, დროღადრო გამოვიდოდა მისგან, ანუ განიძარცვავდა ხას, შემდეგ კი კვლავ შეიმოსავდა, როცა მასში დამკვიდრდებოდაო. იგივე აღასრულაო ქრისტემ, ამბობენ ისინი, როცა ამქვეყნად კვლავ მოვიდა განხორციელებული მარიამ ქალწულის მეშვეობით. ებიონელები თუმცა კი ებრაელთა სჯულის მიმდევარნი, ანუ იუდეველები არიან, ისინი მაინც სარგებლობენ სახარებებით. ისინი აღიკვეთენ ხორცის მიღებას საზრდელად, წყალს ღმერთის საფერ პატივს მიაგებენ, ანუ განაღმერთებენ წყალს, ქრისტესთვის კი, როგორც ვთქვი, ამბობენ, რომ თავის ხორციელ მოსვლაში ამქვეყნად მ ა ნ ადამიანი შეიმოსა. ებიონელნი განუწყვეტლივ მიიღებენ ნათელს წყალში, ზამთარშიც და ზაფხულშიც, და სამარიტელთა მსგავსად, ამას სწორედ გაწმენდისათვის აღასრულებენ, ამგვარად იშორებენ ცოდვებს.

31. ვალენტინეანნი: ეს მწვალებელნი უარყოფენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას, არ მიიღებენ ძველ აღთქმას საღმრთო წერილისა, მაგრამ მის წინასწარმეტყველებს კი კითხულობენ. სხვასაც ყოველივეს, რაც კი შეიძლება, მათი აზრით, მათი მწვალებლობის თანახმიერად განიმარტოს, ვალენტინეანნი შეიწყნარებენ. გარდა ამისა, ისინი ბევრ ზღაპარსიტყვაობასაც გვთავაზობენ, რომავენ რაღაცას მდედრი და მამრი ეონებისათვის, რომელნიც ვითომცდა ოცდაათი დასახელების არიან და ერთდროულად აღმოცენდნენ მამისაგან, და სწორედ ამ მდედრ და მამრ ეონებს, რიცხვით ოცდაათს, ისინი უხმობენ ღმერთად და თაყვანსაც სცემენ. ქრისტესთვის კი უმართლოდ ამტკიცებენ, რომ თითქოსდა მ ა ნ ცათაგან მოიტანა თავისი სხეული და მარიამ ქალწულის საშუალებით მხოლოდ მოევლინა ქვეყანას.

32. სეკუნდეველნი: ამ მწვალებლებთან კავშირი აქვთ ეპიფანესა და ისიდორეს, და ისინიც იმავე სიზიგიებით სარგებლობენ, რითაც ეს უკანასკნელნი. სეკუნდეველნი ვალენტინეს მსგავსად სიბრძნისმეტყველებენ, თუმცა ზოგიერთ რამეს მისგან განსხვავებულადაც განმარტავენ. ისინიც ასევე

უარყოფენ სხეულის (ხორცის) არსებობას ამქვეყნად მოვლენილ ქრისტეში.

33. **პტოლემეანნი:** ესენიც ვალენტინეს მოწაფენი �. გარდა ამისა, მათთან კავშირი აქვს ვინმე ფლორას. სახარებათა გამო პტოლემეანნიც იგივეს ამბობენ, რასაც ვალენტინეანი და სეკუნდეველნი, მაგრამ ზოგიერთი რამით განსხვავდებიან კიდეც მათგან.

34. **მარკოზიანნი:** ვინმე მარკოზი იყო თანამოწაფე კოლორვასისა. მასაც ასევე ორი დასაბამი შემოჰქონდა ყოველივეს საწყისად. მარკოზი უარყოფდა სხეულის მკვდრეთით აღდგომას. რაღაც წარმოდგენათა საშუალებით და შელოცვათა თუ სხვა რამ მანქანებით იგი სისხლიარღვთა ფერს ცვლიდა ხოლმე ლურჯად და მეწამულად და ფარულად გრძნეულებდა მის მიერ შეცდენილ ქალებზე. ვალენტინეს მსგავსად მასაც სურდა ყოველივე ქმნილი ოცდაოთხ სტიქიათაგან გამოეყვანა.

35. **კოლორვასეანნი:** ეს კოლორვასიც მარკოზის მსგავსადვე ხსნიდა ყოველივეს, მაგრამ ზოგიერთი რამით განსხვავდებოდა კიდეც სხვა მწვალებელთაგან, — ვგულისხმობ მარკოზისა და ვალენტინეს მწვალებლობებს, — კერძოდ კი კოლორვასი სხვაგვარად ასწავლიდა წარმონაქმნთათვის და ოგდოადებისათვის.

36. **ირაკლეონიტები:** ეს მწვალებელნიც, ვგონებ, ზღაპარსიტყვაობენ ოგდოადებისათვის, თუმცა ცოტაოდნად განსხვავებულად მარკოზისაგან, პტოლემენ, ვალენტინესა და სხვათაგან. გარდა ამისა, ისინი თავიანთ მომაკვდავებს აღსასრულის ჟამს, მარკოზისავე მსგავსად, განბანენ ხოლმე ზეთით, ნელსაცხებლებითა და წყალით, და ასეთი განბანვის შემდეგ მომაკვდავის თავთით რაღაც მოწოდებებს წარმოთქვამენ, შედგენილთ ებრაული გამონათქვამებისაგან.

37. **ოფიტები:** ესენი გველს განადიდებენ და სწორედ მას მიიჩნევენ ქრისტედ, ამასთან აქვთ რაღაც ლუსკუმა, რომელშიც ინახავენ კიდეც ბუნებრივ გველს, ქვემძრომს, როგორც რაღაც სიწმინდეს.

38. **კაინიტები:** ეს მწვალებელნი, სხვა მწვალებლობათა დარად, უარყოფენ სჯულს და სჯულის მიერ მეტყველს; გარდა ამისა, არა სწამთ მკვდრეთით აღდგომა, განადიდებენ

ძმის მკვლელ კაენს და ამბობენ, რომ სწორედ იგია უზენაესი ძალის შთამომავალი. ამასთანავე, თაყვანს სცემენ იუდასაც, აგრეთვე იმათაც, ვინც იყო კორესთან, დათანთან და აბირონთან, და სოდომელთაც.

30. სეითიანნი: ესენი, პირიქით, თაყვანს სცემენ სეითს და ამტკიცებენ, რომ იგი წარმოშობილია უზენაესი დედისაგან, რომელმაც შეინანა კაენის შობა. მას შემდეგ, რაც კაენი უარყოფილ იქმნა ღმრთისაგან და აბელი მოიკლა მის მიერ, იგი, ეს უზენაესი დედა, შეეყო უზენაეს მამას და შვა წმიდა თესლი — სეითიო, რომლისაგანაც შემდგომ მომდინარეობს კიდეც მთელი მოდგმა ადამიანებისა. სეითიანნიც, სხვა მწვალებელთა მსგავსად, ასევე ასწავლიან დასაბამთა და უფლებათათვის, და კიდევ სხვა რამესაც მისთანათ.

40. არხონტეველნი: ესენი, კვალად, ყოველივეს შექმნას მიაკუთვნებენ სხვადასხვა (არხუნტს) და ამბობენ, რომ სწორედ მათგან შექმნილ-დაბადებულმა მიიღო არსებობა. არხონტეველნიც ამხილეს რაღაც ურცხვინობაში. ისინი უარყოფენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას და უკუაგდებენ ძველ აღთქმას, თუმცა კი მაინც სარგებლობენ ზოგიერთი მისი გამონათქვამით, რომელთაც თავისებურად განმარტავენ, და ახალი აღთქმითაც, მაგრამ მისგანაც ყოველივეს თავისი მწვალებლობისმიერ გაგებას მიუსადაგებენ.

41. კერდონეანნი: ესენი ვინმე კერდონესაგან მომდინარეობენ, რომელიც თანაზიარი იყო ირაკლეონეს შეცთომილებისა და, ამასთან, მიუმატა კიდეც რაღაც მის სიცრუეს. სირიიდან რომს გადასული კერდონე თავის ცრუ-სწავლებას გადმოსცემდა ეპისკოპოს იგინიოსის მწყემსთმთავრობის ბოლო ხანებში. იგი ქადაგებდა ორ დასაბამს, რომლებიც ერთმანეთისადმი მტრულ დამოკიდებულებაში არიან; ამტკიცებდა, რომ ქრისტე არ არის შობილი. გარდა ამისა, კერდონეც უარყოფდა სხეულის მკვდრეთით აღდგომას და უკუაგდებდა ძველ აღთქმას.

42. მარკიონეანნი: ეს მარკიონე, ტომით პონტოელი, ეპისკოპოსის ძე იყო, მაგრამ შემდგომში ქალწული შეაცდინა და იძულებული გახდა გაქცეულიყო, რადგან საკუთარმა მამამ წმიდა ეკლესიისაგან განკვეთა იგი. მარკიონე რომს ჩამოვიდა

და მალე მონანიების ნება ითხოვა ეკლესიის მაშინდელ წინამძღვართაგან, მაგრამ რაკი ვერ წარემატა ამ საქმეში და არ იქნა შეწყნარებული, აღდგა რწმენის წინააღმდეგ, ქედი აღიმაღლა და იწყო სწავლება სამი დასაბამისთვის: კეთილისა, სამართლიანისა და ბოროტისა; მარკიონე, გარდა ამისა, იმასაც ამტკიცებდა, რომ, თითქოს, ახალი აღთქმა უცხოა ძველი აღთქმისა და მასში მეტყველისა. იგი და მისი მიმდევარნი, ანუ მარკიონეანნი, უარყოფენ მკვდრეთით აღდგომას, დაუშვებენ არა მხოლოდ ერთ ნათლისღებას მისატევებლად ცოდვათა, არამედ ორსაც, სამსაც და კიდევ მრავალსაც ყოველი დაცემის შემდგომ. ამასთან, მათში ესეცაა მიღებული, რომ თუ კათაკმეველი, ანუ ნათლისღებად განმზადებული გარდაიცვლება, მის ნაცვლად და მის ცოდვათა მისატევებლად სხვას შეუძლია მოინათლოს გარდა ამისა, მათთან ქალებსაც აქვთ ნებადართული დაუბრკოლებლად აღასრულონ ხოლმე ნათლისღების საიდუმლო.

43. ლუკიანეველნი: ვინმე ლუკიანე, ის კი არა, ჩვენს დროში, კონსტანტინეს ზეობის ჟამს რომ ცხოვრობდა, არამედ სხვა, გაცილებით ადრე მყოფი, ყოველივეს მარკიონეს შეცთომილების მსგავსად ასწავლიდა, თუმცა, რა თქმა უნდა, მის ცრუ სწავლებაში ისეთი რამეც იყო, რითაც ის განსხვავდებოდა კიდეც ამ უკანასკნელის მწვალებლობისაგან.

44. აპელისეანნი: ეს აპელისიც ზემოთ ნახსენებ მარკიონესა და ლუკიანეს მსგავსად ასწავლიდა: — განიკითხავდა, გმობდა მთელს ქმნილებას და შემოქმედს ყოველივესი. მაგრამ მან თავისი სწავლებით შემოიღო არა სამი დასაბამი, არამედ ერთი, და აღიარებდა კიდეც ერთ ღმერთს, უზენაესსა და გამოუთქმელს, მაგრამ, ამასთანავე, ამტკიცებდა, რომ ამ ერთმა ღმერთმა შეჰქმნა სხვა ღმერთი, ხოლო ეს ქმნილი ღმერთიო, ამბობდა აპელისი, როცა არსებობა დაიწყო, ბოროტი შეიქნა და ამ თავისი სიბოროტით შეჰქმნა კიდეც სამყარო და ყოველივეც, რაც კი ჰგიებს მასში.

45. სევერიანელნი: ვინმე სევერი, რომელიც აპელისის მიმდევარი იყო, უარყოფდა ღვინოსა და ყურძენს, რადგან ზღაპარსიტყვაობდა, თითქოს იგი ეღმოცენდა ურჩხულისდარი სატანისა და მიწისაგან, როცა ისინი შეეყვნენ ერთმანეთს.

გარდა ამისა, იგი უარს ამბობდა ქალზეც, რადგან ამტკიცებდა, თითქოს ქალმაც დასაბამი ბოროტი ძალისაგან მიიღოო. მან შემოიღო, აგრეთვე, მთავართა რაღაც სახელწოდებანი და საეკუმლო წიგნები. მსგავსად სხვა ბწვალებლობებისა სევერის მიმდევარნი უარყოფენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას და, ამასთან, უარს ამბობენ ძველი აღთქმით სარგებლობაზეც.

46. ტატიანელნი: ეს ტატიანე თანამედროვე იყო უწმიდესი მოწამისა და ფილოსოფოსის იუსტინესი, რომლის სიცოცხლეშიც იგი ეკლესიის წევრი იყო. მაგრამ წმიდა იუსტინეს აღსრულების შემდგომ ტატიანე განიხრწნა მარკიონეს ცრუდოგმატებით და მის მსგავსადვე ასწავლიდა. გარდა ამისა, იგი თავის მხრივაც დაუმატებდა ამ მწვალებლობას რაღაც განსხვავებულსაც. გადმოცემით, ტატიანე წარმოშობით მესოპოტამიიდან იყო.

47. ენკრატიტები: ესენი ტატიანეს მწვალებლობის განაყოფნი არიან, და სხვასთან ერთად უარყოფენ ქორწინებასაც, რადგან ამბობენ, ეს სატანის საქმეაო. ენკრატიტები კრძალავენ საზრდოდ ყოველივე იმის მიღებას, რაც ცოცხალი არსებისაგან მომდინარეობს.

48. კატაფრიგასტები: ამ მწვალებლებს კიდევ მონტანისტებსაც უწოდებენ, ანდა ასკოდრუგიტებს. ისინი შეიწყნარებენ ძველსა და ახალ აღთქმას, მაგრამ სხვა წინასწარმეტყველნიც შემოჰყავთ საღმრთო წერილის წინასწარმეტყველთა თანად. თავს იქებენ ვინმე მონტანეთი და პრისკილათი.

40. პეპუზიანნი: მათვე უწოდებენ კვინტილიანებადაც. მათთან კავშირი აქვთ ავტორიტეტებს (ეს ორი სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მწვალებლობაა). ზოგნი ამათგან კატაფრიგასტების მწვალებლობის მიმდევარნი არიან, მაგრამ მათგან განსხვავებით სხვა რამესაც ასწავლიან. განალმერთებენ რომელიღაც ქალაქ პეპუზას, გალატეას, კაპადოკიასა და ფრიგიას შორის მდებარეს, და სწორედ მას მიიჩევენ იერუსალიმად. თუმცა არსებობს კიდევ სხვა ქალაქიც ამავე სახელწოდებისა. ქალებს ანიჭებენ მმართველობისა და მღვდელმსახურების უფლებას; ვინძეს ჯურთხევის ჟამს, ანუ ხელდასხმისას, სპილენძის ნემსებით დაჩხვლეტენ ჩვილი ბავშვის სხეულს, გამონადენი სისხლის შერევით მოზელენ ცომს,

გამოაცხობენ პურს და მიიღებენ როგორც შესაწირავ ძღვენს. გარდა ამისა, ბეპუზიანნი იმასაც ზღაპარსიტყვაობენ, რომ სწორედ მათს წმიდა ქალაქ ბეპუზაში ქრისტე, თითქოსდა, გამოეცხადა დედაკაცის სახით ქვინტილიანა თუ ბრისკილას. ამასთან, ესენიც სარგებლობენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით, თუმცა საკუთარი შეხედულებისამებრ განმარტავენ და გადაკეთებენ მათს გამონათქვამებს, რათა თავიანთ შეცთომილებას მიუსადაგონ.

50. მეათოთხმეტიანნი: ესენი ყოველთვის წელიწადის ერთსა და იმავე დღეს აღასრულებენ პასექს, და რომელ დღესაც არ უნდა მოუწიოს მთვარის მეთოთხმეტე დღემ, გინდ შაბათი იყოს, გინდაც საუფლო დღე, სწორედ მაშინ დღესასწაულობენ მარხვითა და ღამისთევით.

51. ალოგოსები: ამ მწვალებლებს ამგვარად ეწოდებათ იმის გამო, რომ ისინი უარყოფენ წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახარებასა და გამოცხადებას, რადგან არ მიიღებენ მამაღმერთისაგან მოსულს სიტყუას, მარად არსებულს.

52. ადამეველნი: ესენი ამგვარად იწოდებიან ვინმე ადამისაგან, რომლის სწავლება ისეა მოშორებული ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ დაცინვასღა იმსახურებს. ამ მწვალებლებს ერთი ასეთი, ყოვლად უსახური ჩვეულება აქვთ: სრულიად შიშველნი, როგორც დედის მუცლით გამოსულნი, შეიკრიბებიან ხოლმე ერთს რომელიმე ადგილას და ასე აღასრულებენ კითხვას, ლოცვებს და სხვას მისთანათ. ვითომცდა მონაზონურ და კრძალულ ცხოვრებას ეწევიან და არ მიიღებენ ქორწინებას; თავიანთ შესაკრებელს, რომელსაც ეკლესიას ეძახიან, სამოთხედ მიიჩნევენ.

53. სამპსეანნი და ელკესეანნი: ეს მწვალებელნი დღესამომდე მკვიდრობენ არაბეთის იმ ნაწილში, რომელიც მკვდარი ზღვის ზემო მხარეში მდებარეობს. ისინი შეცთომილებაში შთავარდნენ ცრუ-წინასწარმეტყველის ვინმე ელკესეს მიერ; ამ ცრუწინასწარმეტყველის მოდგმიდან აქამომდე არიან ვიღაც ქალები — მართუსა და მარფინა, რომელთაც ეს მწვალებლობა თაყვანს სცემს როგორც ქალღმერთებს. მრავალი რამ მათი სწავლებიდან ახლოს დგას ევბიონელთა მწვალებლობასთან (იხ. 30-ე მწვალებლობის აღწერა).

54. თეოდოტეანნი: ეს მწვალებლები მიმდევრები არიან ცინმე თეოდოტეს სწავლებისა, ბიზანტიელი დაბადებისა... იგი საკმაოდ მაღლა იდგა ელინურ განათლებულობაში, მაგრამ როცა ქრისტიანთა დევნულების დროს სხვებთან ერთად დატყვევებულ იქნა, ტანჯვა-წამების შიშით მხოლოდ ის ერთი განუდგა ჭეშმარიტ რწმენას, სხვა მორწმუნეებმა კი მოწამეობრივი აღსასრული დაითმინეს ღმერთისთვის. ხოლო რადგანაც ამის შემდეგ თეოდოტეს ჰკიცხავდნენ ხოლმე განდგომისათვის და გაქცევისათვის, მან ამის საპასუხოდ, რათა თავი გაემართლებინა სულმდაბლობისთვის, მოიგონა კიდეც თავისი წვალება და ამტკიცებდა, რომ ქრისტე ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანი იყო.

55. მელქისედეკიანნი: ეს მწვალებლები თაყვანს სცემენ ძველ აღთქმაში მოხსენიებულ მელქისედეკს (დაბ. 14, 18—20 და ფს. 109,4) და ამტკიცებენ, ვითომცდა იგი რაღაც ძალას წარმოადგენდეს და არ იყოს მხოლოდღა ჩვეულებრივი ადამიანი, ამასთან ისინი იქამდეც კი გაკადნიერდნენ, რომ ყოველივეს მის სახელს უკავშირებენ.

56. ბარსესიანეველნი: ეს ბარსესიანე წარმოშობით მესოპოტამიიდან იყო, თავდაპირველად, თითქოსდა, ჭეშმარიტ რწმენას ადგა და ბრწყინავდა სიბრძნისმეტყველებაში, მაგრამ შემდეგში მოშორდა ჭეშმარიტებას, ასწავლიდა რა ვალენტინეს მწვალებლობის მსგავსად (იხ. 31-ე მწვალებლობა) და მისგან მხოლოდ ზოგიერთი თავისებურებით განსხვავდებოდა.

57. ნოიტიანნი: ეს ნოიტე წარმოშობით ასიის სმირნიდან იყო. აღიმაღლა რა თავი სხვებთან ერთად ეტლზე ამპარტავნებისა, მან ცრუდ დაიწყო მტკიცება იმისა, რომ ქრისტე არის — ძე და მამა; გარდა ამისა, ნოიტე ასწავლიდა, რომ ერთი და იგივე არიან მამაც, ძეც და სულიწმიდაც. თავის თავს კი იგი მოსეს უწოდებდა, ხოლო ძმას — აარონს.

58. ბალისიელნი: ესენი, როგორც გვსმენია, დასახლებულნი არიან ბაკათში, არაბეთის ფილადელფიის მთავარ დაბაში. მათთან სტუმრად მოსულთ ისინი ასაჭურისებენ, და თვით ბალისიელთა შორისაც მრავლად არიან საჭურისნი, წინადაცვეთილნი. სხვა რაიმესაც ასწავლიან, აღსავსეს მწვალებლური

სულით: უარყოფენ საღმრთო სჯულსა და წინასწარმეტყველთ, შემოღებული აქვთ ზოგიერთი სხვა ურცხვინობაც.

59. კათარები: ეს მწვალებლები ახლოს დგანან რომაელი ნოვატიანეს მწვალებლობასთან, რომელიც უარყოფდა სჯულისაგან განდგომილთა მონანიების მიღებას და მათს დაბრუნებას ეკლესიის წიაღში. კათარებიც უარყოფენ სრულიად მეორედ დაქორწინებულთ და არ ნეიწყნარებენ მათს მონანიებას.

60. ანგელოსიანნი: ეს მწვალებელნი ამჟამად სრულიად გამქრალნი არიან პირისაგან მიწისა. ამგვარად, ისინი ან იმის გამო იწოდებოდნენ, რომ იქადოდნენ, ანგელოსებრი ხარისხი გვაქვსო მოპოვებული, ანდა იმიტომ, რომ სულაც ანგელოსებად უხმობდნენ ერთმანეთს.

61. აპოსტოლიკები: მათ აპოტაქტიკოსებსაც უწოდებენ და ისინი მხოლოდ პისიდიაში არიან. შეიწყნარებენ მხოლოდ აპოტაქტიკოსებს და ძალზე ახლოს დგანან ენკრატიტებთან (იხ. 47-ე მწვალებლობა), მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით კიდევ ასწავლიან რაღაც თავისებურს, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელს.

62. საბელეველნი: ეს მწვალებელნი ყოველივეს ნოიტელების (იხ. 57-ე მწვალებლობა) მსგავსად ფიქრობენ, გარდა იმისა, რომ არ ამტკიცებენ, მამაღმერთიც ევნოო; სიტყვისთვის (ქრისტესთვის) კი ასწავლიან, რომ ი გ ი წარმოითქმება და შემდეგ კვლავ უკან ბრუნდება.

63. ორიგენელნი: ეს მწვალებელნი ვინმე ორიგენესაგან მომდინარეობენ, და იმდენად ურცხვინონი არიან თავიანთ ცხოვრებაში, ისეთს რასმე მოიმოქმედებენ, რომ თქმადაც კი ჭირს; ამით თავიანთ სხეულებს ხრწნილებას სწევენ.

64. სხვა ორიგენელნი: ესენი მომდინარეობენ მწერალ ორიგენესაგან, რომელიც სხვაგვარად მტკიცედაც (ანდამატისებრადაც) იწოდება, ესენი უარყოფენ მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომას, ასწავლიან, რომ ქრისტე და სულიწმიდა — ქმნილებანი არიან; სამოთხეს, ცათ, და ყოველივე სხვასაც იგავურად განმარტავენ; ფუჭსიტყვაობენ, თითქოს ქრისტეს მეუფება ოდესმე შეწყდება, დასრულდება ანგელოზებთანვე ერთად. გარდა ამისა, სხვა ორიგენელნი ცრუდ ამ-

ბობენ, თითქოს ქრისტე და ეშმაკი ბოლოს ერთი ძალაუფ-
ლების ქვეშ იქნებიან, და ამტკიცებენ, ვითომცდა ქრისტე
ეშმაკებმა აცვეს ჯვარს.

65. პავლეანნი: ეს მწვალებელნი ასე იწოდნენ პავლე სა-
მოსატელისაგან, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ქრისტე თითქ-
მის არ არსებობს, რადგან მისი, პავლე სამოსატელის წარ-
მოდგენით, ი გ ი არის წარმოთქმადი სიტყვა, მაგრამ, ამას-
თან, იმასაც ამბობს, რომ აქ, ამქვეყნად და მარიამისაგან —
ქრისტე არსებობსო. მისი აზრით, ქრისტესთვის საღმრთო წე-
რილი ჯერ კიდევ იმ დროს წინასწარმეტყველებდა, მომავალ-
ში იარსებებსო, როცა ი გ ი არ არსებობდაო. ასე რომ, ამ
მწვალებელთა აზრით, ქრისტე მხოლოდ მას შემდეგ არსებობს,
რაც ამქვეყნად იშვა მარიამისაგან და განხორციელდა.

66. მანიქეველნი: მათვე, ამის გარდა, აკნონიტებსაც უწო-
დებენ. ეს მწვალებელნი მიმდევრები არიან ვინმე სპარსის მა-
ნესისა, რომელიც ქრისტეს აჩრდილს უწოდებდა და ასწავ-
ლიდა თაყვანი ეცათ მზისათვის, მთვარისათვის, ელოცათ
ვარსკვლავთა, ძალთა და დემონთა წინაშე. მანიქეველებს ორი
დასაბამი, საწყისი შემოაქვთ ყოველივესთვის — კეთილი და
ბოროტი, რომლებიც, მათი აზრით, მარად არსებობენ. ისინი
ამტკიცებენ, რომ ქრისტეს მოსვლა ამქვეყნად მოჩვენებითი
იყო, და ასევე მოჩვენებითად ევნოო ი გ ი ჯვარზე. გარდა
ამისა, მანიქეველნი უარყოფენ და გმობენ ძველ აღთქმას და
მასში მ ე ტ ყ ვ ე ლ ს. მათი ცრუ სწავლების მიხედვით, მთე-
ლი სამყარო კი არ შეიქმნა ღმერთისაგან, არამედ მისი მხო-
ლოდ რაღაც ნაწილი.

67. იერაქეველნი: ეს მწვალებელნი იერაქესაგან მომდინა-
რეობენ, ვინმე მოძღვრისაგან ეგვიპტის ქალაქ ლეონტოპოლი-
სიდან. იერაქეველნი, მრავალ სხვა მწვალებელთა მსგავსად,
უარყოფენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას, მაგრამ მაინც
სარგებლობენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით; სრულიად
უკუაგდებენ ქორწინებას, მონაზონური ღვაწლით მცხოვრებ-
თა და უმანკოთ კი შეიწყნარებენ, აგრეთვე კრძალულთ და
ქვრივთაც მიიღებენ თავისთან. ისინი ცრუდ ამტკიცებენ, რომ
ის ყრმანი, რომელთაც სრული ასაკისათვის არ მიუღწევიათ
და ისე წასულან ამა ქვეყნიდან, ვერ ეზიარებიან ცათა სასუ-

ფეველს, რადგანო, ამბობენ, მათ არ უსაგრიათ სულის ხსნისათვის და არ დაუმსახურებიათ ამქვეყნიური ღვაწლით საუკუნო ნეტარება.

68. მელეტიანნი (მელიტიანნი): ესენი ეგვიპტეში განწვალების, განხეთქილების შემომღებნი იყვნენ, და არა მწვალებლობისა. ისინი არ ლოცულობდნენ ხოლმე ქრისტიანთა დევნულების დროს დაცემულებთან, რომელთაც უარეყოთ ჭეშმარიტი რწმენა, შემდეგ კი სინანულის გზას დასდგომოდნენ. ამჟამად კი მელეტიანნი არიოზის მწვალებლობის მიმდევარნი შეიქნენ.

69. არიოზიანნი (არიანელნი), იგივე არიომანიტები და დიატომიტები. ძეს ღვთისას ეს მწვალებლები ქმნილებად მიიჩნევენ, სულიწმიდას კი — ქმნილების ქმნილებად. გარდა ამისა, არიოზის მიმდევრები იმასაც ამტკიცებენ, თითქოს ქრისტემ მარიამისაგან მხოლოდ ხორცი (სხეული) მიიღო და არა სულიც.

70. აბდეანნი: ესენი შემომღებნი არიან განხეთქილებისა და არა მწვალებლობისა. ქცევა და ცხოვრება აბდეანელებისა სავსებით კეთილსახიერია და ყოველივეში იმავე რწმენაზე დგანან, რაზეც მსოფლიო ეკლესიაა დაფუძნებული, მაგრამ მათი უმრავლესობა მონასტრებში ცხოვრობს და ყველა მორწმუნე ქრისტიანთან ერთად არ ლოცულობს. უფრო მეტიც, ისინი ყველაზე მეტად აპოკრიფებით სარგებლობენ, მეტისმეტად კიცხავენ და აძაგებენ ჩვენს მღიდარ ეპისკოპოსებს, თუმცა მათს გარდა სხვებსაც ხშირად აძაგებენ სხვადასხვა საქმის გამო. პასექს განკერძოებით სხვა ქრისტიანთაგან დღესასწაულობენ, იუდეველებთან ერთად (ერთ დღეს). აქვთ კიდევ რაღაც თავისი, მხოლოდ აბდეანთათვის დამახასიათებელი, ძალზე უყვართ კამათი თავიანთი სწავლების დასაცავად; მეტად უხეშად განმარტავენ საღმრთო წერილის გამოთქმას „სახედ თვისად და ხატად ღმრთისა“ შექმნა ღმერთმა ადამიანიაო (დაბად. 1,27).

71. ფოტინეანნი: ეს ფოტინე, შემომღები ამ მწვალებლობისა, წარმოშობით სირმიიდან იყო და პაველ სამოსატელის მსგავსად სიბრძნისმეტყველებდა (იხ. 65-ე მწვალებლობა), მაგრამ რაღაცით განსხვავდებოდა კიდეც მისგან. იგი, ჭავა-

ლითად, ცრუდ ამტკიცებდა, რომ ქრისტემ დასაბამი მარიამისაგან მიიღო და მხოლოდ აქ, ამქვეყნადო.

72. მარკელიანნი: ეს მწვალებელნი მარკელისაგან მომდინარეობენ, რომელიც წარმოშობით გალატიის ანკვირიდან იყო. ცნობილია, რომ თავდაპირველად იგი საბელიოსის (იხ. 62-ე მწვალებლობა) მსგავსად სიბრძნისმეტყველებდა. თუმცა ეს მარკელი ხშირად იცავდა თავს ბრალდებებისაგან, და წერილობითაც იცავდა, მაინც მას სხვებიც, ხშირად არც თუ უსაფუძვლოდ, სდებდნენ ბრალს იმაში, რომ იგი უწინდელ შეხედულებებზე დარჩა. შესაძლოა შემდეგში თვით მარკელიან მისი მოწაფეები გამოსწორდნენ, შეიცვალეს შეხედულება და სწორ გზას დაადგნენ, რადგან ისიც ცნობილია, რომ მის წიგნთა დასაცავად ზოგიერთი მართლმადიდებელი ქრისტიანიც გამოდიოდა.

73. ნახევრადარიანელნი: ეს მწკალებელნიც ქრისტეს-ქმნილებად მიიჩნევენ, მაგრამ ასეთად (ანუ ქმნილებად) მას პირდაპირი მნიშვნელობით არ უწოდებენ. ისინი ასე ამბობენ: „ჩვენ მას (ანუ ქრისტეს) ძეს ვუწოდებთ, მაგრამ რათა ძის შობის გამო მამას ვნებანი არ მივაწეროთ, ამიტომ მას (ქრისტეს) შექმნილად მივიჩნევთ“-ო. ამგვარადვე სულიწმიდისთვისაც ნახევრადარიანელნი სავსებით გარკვეულად ასწავლიან, რომ იგიც — ქმნილებაა. უარყოფენ რა ერთარსობას ძისა, მათ სურთ ქრისტეს თანაარსი უწოდონ. ზოგნი კი ამ მწვალებლობის მიმდევართაგან უარყოფდნენ ამ უკანასკნელსაც, ანუ თანაარსობასაც ქრისტესი.

74. სულისბრძოლნი: ესენი ქრისტესთვის ყოველივეს მშვენიერად იტყვიან, გარდა ზოგიერთი რამისა; მაგრამ გმობენ სულიწმიდას, როცა ქმნილებას უწოდებენ მას და ცრუდ ასწავლიან, რომ იგი, სულიწმიდა, არ არის ღვთაებისაგან და უფრო გადატანითი მნიშვნელობით, და არა პირდაპირი აზრით, მხოლოდ თავისი მოქმედებისათვის იწოდაო სულად ღმრთისა, სინამდვილეში კი იგიც ქმნილებაოო. ამ მწვალებლობის მიმდევარნი, გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ სულიწმიდა არის მხოლოდღა განმანათლებელი ძალა.

75. აერიუსეველნი: ეს მწვალებელნი ვინმე აერიუსიდან მომდინარეობენ, რომელიც წარმოშობით პონტოდან იყო.

დღესამომდე, მთელი თავისი ცხოვრებით იგი კელავაც საკ-
თურს წარმოადგენს მორწმუნეთათვის. იგი პრესვიტერი იყო
ეპისკოპოს ევსტათის მწყემსთმთავრობის დროს, რომელსაც
არიოზის მწვალებლობის მიმდევრებმა ცილი დასწამეს. როცა
აერიუსი არ იქნა ხელდასხმული ეპისკოპოსად, მაშინ მან, ამ
ამბით განაწყენებულმა, ეკლესიის წინააღმდეგ მრავალი რა-
მის სწავლება დაიწყო. თავისი შეხედულებებით აერიუსი პირ-
წმინდა არიანელია, მაგრამ, არიოზთან შედარებით, ბევრ სხვა
რაიმესაც ასწავლის. იგი, მაგალითად, ამბობს, რომ არ უნდა
შესწირავდნენ მსხვერპლს შესვენებულთათვის; გარდა ამისა
კრძალავს მარხვის შენახვას ოთხშაბათობით, პარასკეობით და
დიდმარხვის დღეებში; კრძალავს აღდგომის დღესასწაულის
აღსრულებას, ქადაგებს ამა ქვეყნისგან სრულ განდგომას.
ამასთან, მოუწოდებს, ყოველგვარი შიშის გარეშე მიიღონ საზ-
რდოდ ყველანაირი ხორცი და არც შვება-სიამენი მოიკლონ.
თუკი ვინმესო, ამბობს აერიუსი, ჩემი სწავლების მიმდევარს
მარხვის შენახვა მოსურვებია, მან, დაე, იმარხულოს, ოღონდ
არა ეკლესიის მიერ დადგენილ დღეებში, არამედ მაშინ, რო-
ცა თვითონ მოესურვებათ, რამეთუ შენ, ადამიანო, სჯულის
გავლენის ქვეშ აღარ ხარო. ამას გარდა, აერიუსი ამტკიცებს,
რომ პრესვიტერნი (ხუცესნი) არაფრით არ განსხვავდებიან
ეპისკოპოსებისაგან.

76. აეტიანნი: ეს მწვალებელნი ასე იწოდნენ კილიკიელი
აეტისაგან, რომელიც დიაკვნობდა ალექსანდრიის არიანელი
ეპისკოპოსის გიორგის დროს. კიდევ ისინი ანომეველებადაც
იწოდებიან; ზოგნი მათ ევნომეველებსაც ეძახიან, ვინმე ევნო-
მესაგან, რომელიც აეტის მოწაფე იყო. ამათვე მიეკუთვნებო-
და ევდოქსეც, მაგრამ ეს უკანასკნელი კონსტანტინე მეფის
წინაშე შიშის გამო გამოეყო მათ და ეკლესიიდან განკვეთა
კიდეც აეტი. მიუხედავად ამისა, ევდოქსე მაინც არიოზის
მწვალებლობის მიმდევრად დარჩა. თუმცა არა აეტის მოძღვ-
რების თანახმიერად. ეს ანომეველნი და აეტიანნი სრულიად
განაუცხოებენ ქრისტესა და სულიწმიდას მამა ღმერთისაგან,
როცა ცრუდ ამტკიცებენ, რომ ძე ღმრთისა — ქმნილებაა, და
ამბობენ, რომ მ ა ს არა აქვს არავითარი მსგავსება მამას-
თან. მათ სურთ ღმრთაება, არსი ღმრთისა არისტოტელესეული

და გეომეტრიული სილოგიზმებით გადმოსცენ და ამ გზით დაამტკიცონ, რომ ქრისტეს არ შეეძლო ღმერთისაგან წარმოშობილიყო და ი გ ი მხოლოდ ქმნილება უნდა იყოს ღმერთისაო. ამათგან, აეტიანთაგან აღმოცენებული ევნომეველნი ხელახლა წათლავენ ყველას მათთან მოსულთ, და არამხოლოდ მართლმადიდებელთ, არამედ არიოზის მწვალებლობის მიმდევრებსაც, ამასთან ნათლობის დროს მოსანათლს თავდაყირა აყენებენ ხოლმე. რაიმე ცოდვაში ჩავარდნა, სიძვა-მრუშობა ან სხვა რამ დაცემა არაფერს საშინელს არ წარმოადგენსო, ამბობენ ისინი, რადგან ღმერთი ჩვენგან სხვას არაფერს მოითხოვს, თუ არ მხოლოდ ჩვენს რწმენაში (ანუ ზემოაღწერილ მწვალებლობაში) მტკიცედ დადგომასო.

77. დიმირიტები, რომლებიც **აპოლინარისტებადაც** იწოდებიან: ეს მწვალებელნი აღიარებენ არასრულყოფილ მოვლინებას, ანუ განკაცებას ქრისტესი. ამათგან ზოგმა კადნიერად იწყო მტკიცება იმისა, რომ სხეული ერთარსია ღვთაებისა, სხვები კი იმასაც უარყოფდნენ, რომ ამქვეყნად შობისას ქრისტემ (ადამიანის) სულიც მიიღო; ხოლო მესამენი, რაკი ეფუძნებოდნენ სახარებისეულ გამოთქმას — „სიტყუაᲲ იგი ხორციელ იქმნა"-ო (იოანე 1,14), — უარყოფდნენ, რომ **მ ა ხ** სხეული (ხორცი) ქმნილი სხეულისაგან მიიღო, ანუ მარიამისაგან, მაგრამ, ამასთანავე, ჯიუტად ამტკიცებდნენ — სიტყვა ხორციელ იქმნაო. და ბოლოს, არ ვიცი, რა მოსაზრებით, დიმირიტებმა იმის მტკიცებაც დაიწყეს, რომ მან, ანუ იესო ქრისტემ, თავისი განხორციელების ჟამს მიიღო (კაცობრივი) გონება.

78. ანტიდიკომარიანიტები: ეს მწვალებელნი ცრუდ ამტკიცებენ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, მარადის ქალწული მარიამი, თითქოსდა, ცოლიანად ცხოვრობდა მართალ იოსებთან მაცხოვრის შობის შემდგომ.

79. კოლურიდიანნი: ამ მწვალებელთ ასევე ყოვლადწმიდა მარიამის სახელზე ყოველწლიურად ერთ განსაზღვრულ დღეს მოაქვთ ხოლმე შესაწირად რაღაც პურნი, რომლის მიხედვითაც ვუწოდეთ კიდეც მათ ეს სახელწოდება.

80. მასალიანნი: თვით ეს სიტყვა ნიშნავს „მლოცველთ"; ამათ უერთდებიან აგრეთვე მანამდე არსებულ ელინურ მწვა-

ლებლობათაგან ეგრეთ წოდებული ექვთიმეანნი, მარტვირიანნი და სატანიანნი.

აი, დასათაურება მასალიანთა უკეთური სწავლებისა, აღებული მათივე წიგნიდან:

„1. სატანა ჰიპოსტასურად თანაარკვიდრობს ადამიანში და ყოველივეში ბატონობს მასზე.

2. სატანას და დემონებს ადამიანის გონება აქვთ, და ადამიანის ბუნებაც თანაზიარია ბორიტ სულთა ბუნებისა.

3. სატანა და სულიწმიდა, მასალიელთა აზრით, თანამკვიდრობენ ადამიანის სულში, და თვით მოციქულნიც უფლისა არ იყვნენ წმიდანი, როცა ეს ძალა მოქმედებდა მათში.

4. მასალიელთა სწავლებით, ლოცვა კი არ შეიქმს ადამიანს სრულყოფილად და არც საღმრთო საიდუმლოებებში მონაწილეობა განწმენდს მის სულს, არამედ მხოლოდ მოშურნეობითა და გულმოდგინებით აღსავსე ლოცვა-ვედრება, ჩვენს მიერ აღსრულებულია.

5. ადამიანი ნათლობის შემდგომაც შებილწულია ცოდვით.

6. ნათლობის გზით კი არ მიიღებს მართალი მორწმუნე უხწნელ და ღვთაებრივ შესამოსელს, არამედ ლოცვა-ვედრების გზითო.

7. ჯერ არს დაცვა-აღსრულებაი უვნებლობისა, ამბობენ მასალიელნი, და ზიარება სულიწმიდასთან ყოველს გრძნობაში მთელის სისრულით გვექნება მოპოვებულია.

8. აუცილებელია, ამბობენ მასალიელნი, სული ადამიანისა იმგვარსავე თანაზიარობას შეიგრძნობდეს ზეციურ სიძესთან, როგორსაც ცოლი გრძნობს ქმართან შეერთებისასო.

9. სულიერნი ცოდვას შიგნითაც ხედავენ და გარეთაც (ადამიანის სულისა), ასევე მადლსაც სრულყოფილად ხედავენ — მოქმედსა და ნაყოფის გამომღებს.

10. გამოცხადება გრძნობის მიერ აღესრულება და ღვთაებრივი იპოსტასით, როგორც ეს სწავლებაშია.

11. ცეცხლი — აი, რა არის სამყაროს შემოქმედი.

12. სული, რომელსაც არა ჰყავს ყოველს გრძნობასა და ქმედებაში შეზოსილი ქრისტე, არის სამკვიდრებელი გველე-

ბისა და მძვინვარე გარეული მხეცებისა, ანუ მტრული ძალებისაო.

13. ბოროტება — ბუნებით არსებობსო (ანუ ბოროტების არსებობა ბუნებრივიაო).

14. მასალიელნი ამბობენ, რომ ოავის შეცოდებამდე ადამი უვნებლად შეეყოფოდა ევას.

15. თესლი და ლოგოსი მარიამ[illegible] შთავარდნენო.

16 კიდევ, მასალიელნი ამბობენ ,რომ ყოველმა ადამიანმა ორი სული უნდა შეიძინოს: ერთი — საერთო ყველა სხვა ადამიანთან, მეორე კი — ზეციური.

17. კვლავაც ამბობენ, რომ ადამიანს ძალუძს მიიღოს იპოსტასი სულიწმიდისა მთელი მისი სისრულით და მთელი მისი ქმედებით.

18. მასალიელთა მწვალებლობის მიხედვით, მლოცველ ადამიანს ნათელში შეიძლება მოეევლინოს მაცხოვარი. ერთ დროს მათ უნახავთ კაცი, მდგომარე სამსხვერპლო საკურთხეველთან, და მის წინაშე მოიტანეს შესაწირად სამი პური, ზეთით მოზელილი ცომისაგან გამომცხვარი".

გარდა ამისა, მასალიელნი შრომასაც უარყოფენ თავიანთი ხელებისათვის, როგორც შეუფერებელს ნამდვილი ქრისტიანისათვის. კერძოდ კი, მათ შემოიღეს შეუწყნარებლობაც გლახაკებისა, როცა ამტკიცებდნენ, რომ ამა ქვეყნისაგან განდგომილნი ანდა ისინი, ვისაც თავი მოლიანად ქველის საქმეთათვის მიუძღვნიათ (ანუ თვით მასალიელნი) არ უნდა დაკმაყოფილდნენ სახალხოდ მთხოვართაა თუ ქვრივ-ობოლთა შეწევნით, არც უბედურებაში ჩავარდნილების, სხეულმოწყლულებისა თუ სნეულებით შეპყრობილთა დახმარებით, არც მოვალეთაგან შეიწრებულისა, ავაზაკთა თუ ბარბაროსთა თავდასხმებით შეჭირვებულთა თუ სხვათა, ამის მსგავს უბედურებათაგან ვნებულთა ხვედრის შემსუბუქებით, — არა ჯერ არს ჩვენთვის ყოველივე ამის სხვათათვის აღსრულებაო, ამბობენ მასალიელნი, რადგან სწორედ ჩვენ ვართო ჭეშმარიტად გლახაკნი სულით, და ამიტომაც ყოველნი ჩვენ უნდა გვემსახურებოდნენ და ყველა ამ ქველის საქმეთ ჩვენ მოგვიძღვნიდნენო.

ყოველივე ამას მასალიელთა მწვალებლობის მიმდევრებმა

მიუსართეს უგულვებელყოფაც ეკლესიებისა და საკურთხევ-
ლებისა (უსისხლო მსხვერპლის შესაწირად). ისინი იმასაც ას-
წავლიდნენ, რომ განდეგილნი არ უნდა დარჩნენ ხოლმე საეკ-
ლესიო შესაკრებლებში საერთო ლოცვა-ვედრებათა აღსასრუ-
ლებლად, არამედ მხოლოდ თავიანთი განმხოლოებული ლოც-
ვებით დაკმაყოფილდნენო სენაკში. მასალიელნი ამბობდნენ,
რომ მარტოდ ლოცვას ისეთი ძალა აქვს, ჩვენ და ჩვენს მო-
წაფეებს სულიწმიდა გრძნობის მიერ ეცხადება ამგვარი ლოც-
ვების ჟამსაო. ისინი ამბობენ იმასაც, თითქოს ხსნის მოსურ-
ნეთათვის მხოლოდ ლოცვა იყოს საკმარისი საცხოვნებლად,
და სხვა არავითარი ქველის საქმის აღსრულება საჭირო არ
იყოს, არამედ ლოცვის გზითაო, ამბობენ, უნდა იგრძნოს ადა-
მიანმა, რომ მისი სულიდან ცოდვა განიდევნება როგორც
კვამლი თუ ცეცხლი, როგორც ურჩხული თუ რაღაც ამის
მსგავსი გარეული მხეცი; ხოლო როცა სულიწმიდაც, თავის
მხრივ, გრძნობისმიერ შემოდის ჩვენში, მაშინ ჩვენ გვაქვს
ცხადი შეგრძნება სულიწმიდის ჩვენში შემოსვლისაო, და
სწორედ ეს არისო ქრისტიანთა ჭეშმარიტი ზიარება ღვთაე-
ბასთან.

გარდა ამისა, მასალიელნი ამტკიცებენ, რომ საეკლესიო
ნათლისღების თუ სამღვდელოთა ხელდასხმა-კურთხევის
დროს არ გადმოდის სულიწმიდის მადლი, თუკი მოსანათლი
თუ სამღვდელო მანამდე ჩვენს, მასალიელთა, ლოცვა-ვედრე-
ებებში არ იღებდა მონაწილეობასო; ამასთან ზოგიერთს ადამი-
ანთაგან ძალუძს ნათლისღების გარეშეც შეიძინოს თანაზია-
რება სულიწმიდასთან, თუკი მოისურვებს ჩვენთან, მასალიე-
ლებთან, დარჩეს და ჩვენი დოგმატები ისწავლოსო. როცა
პრესვიტერები ეუბნებოდნენ მასალიელთ: ვაღიარებთ, რომ
შეგვიძენია სულიწმიდა და აღსებულვართ მისით რწმენის
მიერ და არა გრძნობისმიერი აღქმიოო, მაშინ ეს უკანასკნელ-
ნი არწმუნებდნენ მათ, ჩვენთან ერთად ლოცვის გზით თქვენც
შეიქნებით თანაზიარნი სულიწმიდისა გრძნობისმიერ აღქმა-
შიო. თავიანთი ქადილით ისინი იმ ზომამდე გაამპარტავნებუ-
ლან, რომ გამორჩეულთ თავიანთ შორის, ვისაც გრძნობის-
მიერი აღქმით, ვითომცდა, სულიწმიდა შეუძენია, ისინი ისე
ეთაყვანებიან, როგორც სრულყოფილთ და თავისუფალთ ყო-

ველგვარი ცოდვისაგან, და დიდად პატივდებულნი ჰყავთ, როგორც საუკეთესონი და მიუწვენელნი ცოდვის ყოველგვარ ხიფათს.

მაგრამ, მაინც, მათ შორის გარყვნილება და საზრდოს მიღებაში სრული თავისუფლება ბატონობს; ჰყავთ, აგრეთვე, ათასი ჯურის პირადი მცველები, უყვართ პატივი და ფუფუნება, — ასე რომ, მრავალნი მასალიელთაგან, „სრულყოფილების" ამგვარი მოწმობის შემდგომაც, გარეშეთათვის მაინც ყოვლად უღირსნი არიან თვით წოდებისაც კი ქრისტიანებად, რადგანაც სხვადასხვა ურცხვინო საქმეებში არიან შთაცვენილნი, ქონების პარვა-დაგროვებასა და სიძვა-მრუშებას მისცემიან.

გარდა ზემოხსენებულისა, მასალიელნი სხვა მრავალსაც უკეთურჰყოფენ და ცრუიან, კერძოდ კი ყოვლად აუღელვებლად დაარღვევენ ხოლმე სჯულიერ ქორწინებებს; ქორწინებაზე უარისმთქმელთ შეიწყნარებენ და პატივს-სცემენ როგორც ასკეტებს; მამებს და დედებს არწმუნებენ არ იზრუნონ შვილთა აღზრდაზე და მოტყუებულთ აიძულებენ მთელი მათი მონაგები მასალიელთ მიუტანონ. ბატონთაგან გაქცეულ მონებსაც ხალისით შეიწყნარებენ, და ყველა ცოდვილს, ვინც მათთან სინანულის ნაყოფთა გარეშე მოსულა, უმალ აცხადებენ ყოველგვარი ცოდვისაგან გათავისუფლებულად, წინააღმდეგ სამღვდელო პირთა ზემოქმედებისა და ეკლესიის კანონთა შესაბამისად დადგენილ საფეხურთა უგულებელყოფით, ოღონდ კი ყველამ დაისწავლოს მათში ესოდენ ცნობილი ლოცვა და ამით მათს სიცრუეს ეზიაროს. ზოგიერთი ამგვარ ცოდვილთაგან მასალიელებს ცოდვათაგან ნამდვილ განთავისუფლებამდე მიჰყავთ ხოლმე მღვდლად ხელდასხმისათვის, ამასთან მზაკვრულად არწმუნებენ ეპისკოპოსებს სამღვდელო ხარისხში აკურთხონ ისინი, ანდა იმათი მოწმობებით შეაცდენენ ხოლმე მღვდელმთავრებს, ვინც მასალიელთა შორის განდეგილ მოსაგრედ მიიჩნევა. ამ საქმეში ისინი იმის გამო როდი გულსმოდგინებენ, რომ სამღვდელო ხარისხს საპატიოდ მიიჩნევდნენ, — როცა მოესურვებათ, მასალიელნი ეპისკოპოსებსაც კი უგულებელჰყოფენ, — არამედ იმიტომ, რომ ამ გზით

ბატონობისა და ძალაუფლების მოპოვებას ცდილობენ თავისთვის.

ზოგნი მასალიელთაგან ამბობენ, ჩვენ არ ვეზიარებიო საიდუმლოებებს, თუკი გრძნობისმიერ არ განვიცდით სულიწმიდის გამოცხადებას, რაც ამ დროს, ანუ საიდუმლოთა აღსრულებისას ხდებაო. სხვანი ამ მწვალებელთაგან ნებას აძლევენ მსურველთ მოიკვეთონ ხოლმე ბუნებრივი ასონი. ადვილად უგულებელჰყოფენ ისინი, ავრეთვე, განკვეთასაც (წმიდა ეკლესიისაგან), უშიშად იფიცავენ და შეაჩვენებენ, ფარულად კი საკუთარ მწვალებლობასაც სწყევლიან.

და კიდევ მასალიელთა ხსენებული მწვალებლობის შესახებ, უფრო კი იმათ გამო, ვინც ძონასტრებში განმარტოებულა, — თეოდორიტეს მიერ შედგენილი ეკლესიის ისტორიიდან შემდეგს ვგებულობთ:

იმპერატორების ვალენტინესა და ვალენტის დროს გაჩნდა მწვალებლობა მასალიელებისა. ამ სიტყვის ბერძნულ ენაზე გადმომღებნი ამ მწვალებლობის მომდევართ ევქიტებად ხმობენ. თუმცა მათ სხვა სახელწოდებაც აქვთ, მიღებული თავიანთი საქმიანობის შესატყვისად, რაგვეთუ მასალიელნი კიდევ ენთუზიასტებადაც იწოდებიან, იმიტომ, რომ ისინი სარგებლობენ თანაშეწევნით რომელიღაც დემონისა, და ბოროტი სულის ამ დახმარების სულიწმიდის ზემოქმედებად მიიჩნევენ. ერთიანად მოწყლულნი ამ მწვალებლობით, მასალიელნი გაურბიან ხელით შრომას (ფიზიკურ საქმიანობას) როგორც ბოროტებას, და ,გარდა ამისა, ძილში ნახულ სიზმრებსაც ზეგარდმო მიღებულ შთაგონებად შეიწყნარებენ.

მასალიელთა მწვალებლობის ბელადნი იყვნენ: დიდიო, საბა, ადელფოსი, ერმა, სვიმეონი, და ამათ გარდა კიდევ სხვანიც. ისინი არ განეშორებოდნენ ეკლესიასთან ურთიერთობას, რადგან ამტკიცებდნენ, რომ საღმრთო საზრდო, რომლის შესახებაც თვით ქრისტე ლაპარაკობს წმიდა სახარებაში — „...რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკანაჲსკნელსა მას დღესა“ (იოანე 6,54), — აი, ეს საზრდო, რომელსაც ეკლესია გვაძლევს, არ ვნებს ადამიანს, მაგრამ არც არავითარი სარგებლობა მოაქვსო.

ძაგრამ ცდილობენ რა დამალონ თავიანთი სნეულება, მასალიელნი მხილების შემდგომაც ურცხვად უარყოფენ თავიანთ კუთვნილებას ამ უკეთური მწვალებლობისადმი, და თავს მოიზღუდავენ იმათგან, ვინც მათს მსგავსად ფიქრობს. ვინმე ღვთისმიერმა ლიტოიმ, მელიტინის ეკლესიის წინამძღვარმა, დამშვენებულმა საღმრთო მოშურნეობით, როცა დარწმუნდა, რომ ამ სენით შეპყრობილი ყოფილა მისი სამწყსოს მრავალი მონასტერი, უფრო სწორად კი — ავაზაკთა ბუნაგი, გადააწვევინა ისინი, მგლები კი (ანუ მასალიელნი) განდევნა ფარიდან. ასევე, ყოვლადძეებულმა მწყემსმთავარმა ამფილოქემაც, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ლიკაონიის სამიტროპოლიტო და მთელს აქაურ მოსახლეობასაც განაგებდა, როცა შეიტყო — ეს მძიმე სენი აქაც გაჩენილაო, მტკიცედ გაილაშქრა მის წინააღმდეგ და თაგისი სამწყსო მალე გაათავისუფლა ამ ჭირისაგან. სახელგამთქმულმა ფლაბიანემ კი, ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავარმა, როცა გაიგო, მასალიელთა მწვალებლობის მიმდევარნი ედესაში ცხოვრობენ და თავიანთი საწამლავით მეზობლებსაც მოსწყლავენო, შეკრიბა დიდი სიმრავლე მართლმადიდებელი მონაზონებისა, მოიყვანა ანტიოქიაში და ეს მასალიანნი, რომელნიც თავიანთ შეცთომილებას უარყოფდნენ, შემდეგნაირად ამხილა: მან განუცხადა მათ, რომ ბრალმდებელნი ცილს გწამებენ თქვენ, ხოლო მოწმენი სტყუიანო (როცა მასალიელთა მწვალებლობის მიმდევრობას გწამებენო). შემდეგ ალერსიანი სიტყვებით მოუხმო ადელფიოსს, უკვე ღრმად მოხუცებულ მასალიელს, გვერდით მოისვა და ასე უთხრა: „ჩვენ, მოხუცო, დიდი ცხოვრება განგვიცლია უკვე, ზედმიწევნით შეგვისწავლია ადამიანის ბუნებაც და კარგად შეგვიცვნია ჩვენს წინააღმდეგ გააფთრებით დემონთა მზაკვარება-მანქანებანიც! ასე რომ, თვით გამოცდილებით გულისხმაგვიყვია მადლიანი შეწევნის მიღება ღმრთისაგან. ესენი კი, ახალგაზრდები, რაკი არაფერი ამის მსგავსი არ უწყიან, უხალისოდ ისმენენ ხოლმე ჩვენს სულიერ სიტყვას. ჰოდა, მითხარი ერთი, რა აზრით ამბობთ თქვენ, მტრული ძალა გვშორდება და მადლი ყოვლადწმიდა სულისა შემოსახლდებაო ჩვენში?“ ამგვარი მოპყრობითა და ალერსიანი სიტყვებით ნაამებმა მოხუცმა მწვალებელმა უშიშრად გადმოანთ-

ნია მთელი თავისი დაფარული გესლი და უთხრა მღვდელმთავარ ფლაბიანეს, რომ ნათლობისაგან მის მიმღებ ადამიანს არაკითარი სარგებლობა არა აქვს, და რომ მხოლოდ გულმოდგინე ლოცვა-ვედრება განდევნის ადამიანისაგან მის სულში შესახლებულ დემონს; ყოველმა დაბადებულმაო, ამბობდა ეს მწვალებელი მოხუცი, პირველმშობლისაგან, ანუ ადამისაგან, მიიღო როგორც ბუნება, ასევე მონებაც დემონებისა; მაგრამ როცა ბოროტი სულნი განიდევნებიან ადამიანის სულისაგან გულმოდგინე ლოცვა-ვედრების მეოხებით, მაშინ მასში შემოსახლდებაო ყოვლადწმიდა სული ღვთისა, რომელიც შეგრძნებით და ხილვადი სახითაც ადასტურებს თავის მუნმყოფობასო, კერძოდ კი, ათავისუფლებს სხეულს ვნებათა ღელვისაგან და სრულიად განაშორებს ადამიანის სულს ბოროტებისაკენ მიდრეკილებისაგან, ისე, რომ აღარავითარი საჭიროება აღარ არისო მისთვის არც მარხვისა, არც თავშეკავებისა სხეულის აღვირასასხმელად და არც დამოძღვრათა მიღებისა ცოდვათაგან მოსაზღუდად და კეთილკრძალული ქცევის ჩასაგონებლად. ვისაც არ მიუღწევია ამგვარი მდგომარეობისთვის სულისა, ამბობდა მწვალებელი, მხოლოდ ლოცვათა გზით უნდა ისწრაფდეს ამას, და თუ მიაღწევს, არათუ გათავისუფლდება ყოველგვარ ხორციელ გულისთქმათაგან, არამედ მომავალსაც ნათლად წინათგანჭვრეტს და თავისი (ხორციელი) თვალითაც ჭვრეტსო ღვთაებრივ სამებას.

როცა ღვთივსულიერმა მღვდელმთავარმა ფლაბიანემ ამგვარად გამოააშკარავა ეს მყრალი წყარო მწვალებლური გესლისა და ასე გამოაჩინა უკეთურების ნაკადი, მაშინ ხმა აღიმაღლა და ასე უთხრა იმ საწყალობელ მწვალებელ ბერიკაცს: „ჰოი, შენ, სიბოროტეში გათეთრებულო თავო! აწ ჩემს მიერ კი არა ხარ მხილებული, არამედ საკუთარ ბაგეთაგან! შენს წინააღმდეგ თვით შენნი ბაგენი მოწმობენ და შენივ სიტყვები გამხილებენ!“

მასალიელთა მწვალებლობის ასეთი გამოაშკარავების შემდგომ ისინი განდევნილ იქნენ სირიიდან, და განეშორნენ რა პამფილიის მხარეში, იქ მოიკიდეს ფეხი და გაავრცელეს კიდეც ადგილობრივ მოსახლეობაში თავიანთი უკეთური სეხი.

აი, ესაა იმ მწვალებლობათა აღწერა, რომლებიც მარკია-

ნემდე იყო გავრცელებული. ხოლო მარკიანეს შემდგომ და უფრო გვიანაც, ლევ ისავრიელის ჭეობამდე (დაახლ. 675—741) აღმოცენდა შემდეგი მწვალებლობანი:

81. ნესტორიანები: ეს მწვალებელნი ცრუდ ასწავლიან, თითქოს განცალკევებით და ერთმანეთისაგან გამოყოფილად არსებობდნენ სიტყვა ღმერთი და მ ი ს ი ადამიანი (კაცი). ამის გამო ნესტორიანელნი თვლიან, რომ უფლის მიერ ამ-ქვეყნად, ჩვენს შორის მოქმედებულ საქმეთაგან შედარებით მდაბალი და უმნიშვნელო საქმენი მხოლოდ მ ი ს ადამიანს (კაცს) მიეწერება, ხოლო უფრო ამაღლებული და ღვთის საფერი საქმეები — მხოლოდ ერთს ს ი ტ ყ ვ ა ღ მ ე რ თ ს, და არ მიაკუთვნებენ მაცხოვრის ყველა საქმეთ ერთსა და იმავე პირს.

82. ევტიხიანნი: სახელწოდება ამ მწვალებლობის მიმ-დევრებმა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ევტიხისაგან მიი-ღეს. ისინი არ ამბობენ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ხორცი შეისხა მარადისქალწულის წმიდა მარიამისაგან, არა-მედ ამტკიცებენ, რომ მაცხოვრის განკაცება რაღაც უფრო ღვთაებრივი სახით აღესრულა. ევტიხიანებმა ვერ გულისხმა-ყვეს, რომ ადამის ცოდვას დაქვემდებარებული ადამიანი, ქალწულ მარიამისაგან შობით ,,ა ვ ი ს თ ა ვ ს შეუერთა სიტყვამ (ძემ ღვთისა), რომელმაც ,,განძარცვნა მთავრობანი იგი და ხელმწიფებანი და საჩვენებელ ქმნნა იგინი კადნიერე-ბით და განაქიქნა იგინი მას შინა" (კოლას. 2,15), ის მთავ-რობანი და ხელმწიფებანი, რომელნიც ამქვეყნად შემოვიდ-ნენ პირველადქმნილი ადამიანის, ადამის შეცოდების გამო.

83. ეგვიპტელნი, ანუ იგივე **სქიზმატიკოსები** და **მონო-ფიზიტები:** ეს მწვალებელნი ქალკიდონის მსოფლიო საეკ-ლესიო კრების (451 წ.) განსაზღვრების საბაბით გამოეყვნენ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას, ეგვიპტელებად კი იმის გამო იწოდებიან, რომ ამ ქვეყანაში პირველნი შეუდგნენ ამ მწვალებლობას იმპერატორების მარკიანესა და ვალენტი-ნიანეს ზეობისას. ყოველივე დანარჩენით ისინი მართლმადი-დებლები არიან. ერთგულებისა გამო დიოსკურე ალექსანდრი-ელისადმი, რომელმაც არ მიიღო ქალკიდონის საეკლესიო კრე-ბის განსაზღვრება და ამის გამო ღალმობილ იქნა კრების მიერ

როგორც ევტიხის სწავლების დამცველი, ისინი წინაუღდგნენ ქალკიდონის კრების მონაწილე წმიდა მამებს და ათასობით შეადგინეს ბრალდება-კიცხევანი მათ წინააღმდეგ. ეს ბრალდებანი, წინდაწინ ვიტყვი, ამ ჩვენს წიგნში საკუთარ იქნებიან უკუგდებულნი, როცა წარმოვაჩენთ, რომ მონოფიზიტები უმეცარნი, უგულისხმონი და თავქარიანნი არიან. მონოფიზიტთა მწვალებლობის ბელადნი არიან: თეოდოსი ალექსანდრიელი, რომლისაგანაც თეოდოსიანნი აღმოცენდნენ; იაკობ ასური, რომლისაგანაც იაკობიტები მომდინარეობენ; ამათი შეცთომილების დამადასტურებელნი, თავდებნი და დამცველნი არიან: სევერი, ანტიოქიელ მწვალებელთა დამღუპველი, და ასევე ამაოდ დამაშვრალი იოანე ტრიტეველი, რომელნიც უარყოფდნენ საიდუმლოს საყოველთაო-საერთო ცხოვრებისა.

მრავალი რამ ქალკიდონის საეკლესიო კრების 630 ღვთივსულიერი მამის სწავლებიდან მონოფიზიტებმა მიიღეს, მაგრამ თავის მხრივაც მიუმატეს თავიანთი დამღუპველი მწვალებლობის შეხედულებანი და ამით, როგორც იტყვიან ხოლმე, საფრთხე დაუგეს დასაღუპთ და წინააღმდეგობაც აღმართეს მორწმუნის გზაზე. ხოლო როცა მონოფიზიტები კერძო სუბსტანციებისთვის ასწავლიან, ამით სრულიად დაარღვევენ და სპობენ საიდუმლოს საეკლესიო აღმშენებლობისა. ჩვენ ვფიქრობთ მოკლედ მიმოვიხილოთ მონოფიზიტთა მწვალებლობა, ამასთან დავურთოთ მცირე რამ შენიშვნები და განმარტებანი მათი უღმერთო და ყოვლად უკეთური სწავლებისათვის. ამ მიზნით აქ მე გადმოვცემ მონოფიზიტთა დამცველის იოანეს სწავლებას, უფრო ზუსტად კი მის ცარიელ, ამაო ლაყბობას, რომლითაც ამ მწვალებლობის მიმდევარნი განსაკუთრებულად იქებენ თავს და რომელსაც მონოფიზიტები ყველაზე მეტად ეყრდნობიან.

ბუნებისა და იპოსტასისთვის, — როგორ ფიქრობენ ამის შესახებ სევერიანნი და როგორ ასწავლიან ისინი კერძო სუბსტანციათათვის, — მეოთხე სიტყვიდან „მსაჯულნი“

იოანე გრამატიკოსისა,

ტრიტეისტისა, ფილოპონელად წოდებულისა

„საზოგადო და საყოველთაო აზრი ადამიანის ბუნებისა, თუმცა ის თავისთავად ერთია, მაგრამ რაკი მრავალ სუბსტრატში არსებობს, წარმოადგენს მრავალს, და მთლიანად მუნმყოფობს თითოეულში და არა ნაწილობრივ. როგორადაც ხომალდის გეგმაა ერთი გემთმშენებლის ხელში, შემდეგ კი მრავლდება და მრავალ სუბსტრატში არსებობს, ამგვარადვეა მოძღვრის სწავლებაც: მის გონებაში — ერთია, მაგრამ როცა გადადის იმ ადამიანთა გონებაში, ვისაც მოძღვარი ასწავლის, მათთან ერთადვე მრავლდება და მთლიანად არსებობს თითოეულში. გარდა ამისა, ვთქვათ, ადამიანის თითის ხატიც ერთია, მაგრამ არსებობს რა მრავალ ანაბეჭდში — და თითოეულში მთლიანად, იგი არის კიდეც და იწოდება კიდეც მრავლად. ამრიგად, სიმრავლე ხომალდებისა, ადამიანებისა, თითთა ანაბეჭდებისა და მოწაფეთა ინდივიდუუმებში არსებული შემეცნებებისა რიცხობრივად მრავალნი არიან, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებულნიც არიან და მათი შეერთება-შერწყმა ერთში — შეუძლებელია. საერთო, ზოგადი სახით მრავალი ადამიანი — ერთია, და სიმრავლე ხომალდთა ასევე ერთია, ასევე მოწაფეთა გონებაში არსებული შემეცნებანი და თითთა ანაბეჭდებიც ვამოსახულების იგივეობის მიხედვით — ერთს წარმოადგენენ. ამრიგად, ყოველივე ეს ერთთან მიმართებაში მრავალს წარმოადგენს და დაყოფილია, ერთმანეთისაგან განცალკევებულია, ხოლო სხვასთან მიმართებაში — შეერთებულია, შერწყმულია, და ერთს წარმოადგენს.

თუმცა მუდმივ, უცვლელ სიდიდეებთან დაკავშირებითაც ჩვენ ხშირად მოვიმარჯვებთ ზოლმე რიცხვით მნიშვნელობას, როცა, მაგალითად, ვამბობთ — ეს ხე სისქით ორი წყრთაია, მაგრამ როცა ამ ერთ ხესთან დაკავშირებით ვამბობთ — ორიაო, მხოლოდ პოტენციურად ვგულისხმობთ ამ ორ სიდიდეს, და არა ქმედითად, რადგანაც სინამდვილეში მხოლოდ ერთი ხე დგას ჩვენს წინაშე და არა — ორი; ხოლო ყოველივე იმისთვის, რაც დანაწევრებით ორი შეიძლება გახდეს, ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება“.

„ეს მეშვიდე სიტყვა ამკვიდრებს საკუთარ, განსხვავებულ ჭეშმარიტებას იმის საფუძველზე, რასაც სხვაგვარად, ჩვენს საწინააღმდეგოდ მოაზროვნენი გვთავაზობენ. მაღიარებელნი იმისა, რომ ქრისტეში ორი ბუნებაა, ამტკიცებენ, მ ა ს შ ი მხოლოდ ერთი ჰიპოსტასი, ანუ პირიაო; ამგვარადვე ისინი (ანუ ქრისტეში ორი ბუნების მაღიარებელნი) უარყოფენ იმათაც, ვინც ფიქრობს, რომ ქრისტეში ერთი ბუნებაა შეერთების შემდგომ (ღვთაებისა და კაცისა), ანუ რომ მ ა ს ორი იპოსტასი აქვს. მაგრამ ვიდრე ამ ორეულების უარყოფაზე გადავიდოდე, მე აუცილებლად მიმაჩნია წინდაწინ განისაზღვროს, თუ რას გულისხმობს ეკლესიის სწავლება „ბუნების“ ქვეშ, რას — სიტყვა „პირის,“ და რას — სიტყვა ჰიპოსტასის ქვეშ. ფიქრობენ, რომ ბუნება არის ერთი და იგივე არსობის მქონე საგანთა ყოფიერების ზოგადი განსაზღვრება, — მაგალითად, ასეთია განსაზღვრება ყოველი ადამიანისა როგორც გონიერი ცხოველისა, მოკვდავი არსებისა, ჭკუისა და მიხვედრილობის გამომვლენელისა, რადგანაც არც ერთი ადამიანი ამ განსაზღვრებათა მხრივ არ განსხვავდება სხვა ადამიანისაგან.

არსსა და ბუნებას ერთსა და იმავე რამედ მიიჩნევენ, ხოლო იპოსტასს, ანუ პირს უწოდებენ დამოუკიდებელ, თვითმყოფად არსებობას თითოეული ბუნებისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღწერას, შედგენილს იმგვარ თავისებურებათაგან, რომლებითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ერთი და იგივე ბუნების (არსის) საგნები, ანუ თუ მოკლედ ვიტყვით, იმას, რასაც პერიპათეტიკოსები, ჩვეულებრივ, ინდივიდუუმს უწოდებენ. ინდივიდუუმებით დასრულდება სწორედ ზოგად სახეობათა (გვართა) და სახეთა დაყოფა.

ამას ეკლესიის მოძღვრებმა უწოდეს ჰიპოსტასები, ანუ პირები. როცა ცოცხალი არსებანი იყოფიან გონიერებად და არაგონიერებად, და გონიერები, თავის მხრივ, იყოფიან ადამიანებად და ანგელოზებად თუ დემონებად, მაშინ ინდივიდუუმად იწოდება ის, რადაც იყოფა თითოეული დასახელებულ სახეობათაგან, ასე მაგალითად, ადამიანთა სახეობა (გვა-

რი) იყოფა კონკრეტულ პეტრედ და პავლედ, ანგელოზთა სახეობა — ვთქვათ, გაბრიელად, მიქაელად და ასე შემდეგ ყოველ ცალკეულ ანგელოზად. და თითოეულ ამ არსებას უკვე აღარ ძალუძს დაიყოს სხვად რამედ ისე, რომ ამ დაყოფა-დანაწევრების შემდგომაც შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისი ბუნება მთლიანად. ამიტომ პერიპათეტიკოსები ამგვარ არსებებს, რომელთა დაყოფა უკვე აღარ შეიძლება, ინდივიდუმებს უწოდებენ.

საეკლესიო მოძღვრებამ კი მათ ჰიპოსტასები უწოდა, იმიტომ, რომ მათში და მათს მიერ სახეობა (გვარი) და სახე თავის არსებობას შეიძენს, რადგანაც თუმცა კი, მაგალითად ცოცხალ არსებასა და ადამიანს (ამათგან პირველი ცნება გვარობრივი ცნებაა, მეორე კი სახეობრივი) აქვთ თავ-თავისი განსაზღვრება ყოფიერებისა, მაგრამ თავის არსებობას ისინი შეიძენენ მხოლოდ ინდივიდუუმებში, ანუ პეტრესა და პავლეში: ინდივიდუუმების გარეშე გვარი და სახეობა არ არსებობს. ამრიგად, ჩვენ, ვგონებ, საკმაოდ ნათლად ვთქვით, თუ რა არის საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, იპოსტასი, ანუ პირი, და რა არის — ბუნება.

მაშასადამე, ეს ზოგადი (საერთო) ბუნება, მაგალითად, ადამიანის ბუნებაა, რომლითაც არც ერთი ადამიანი არ განსხვავდება სხვა ადამიანისაგან, რაკი თითოეულ ინდივიდუუმში არსებობს მხოლოდ და თითოეული ინდივიდუუმის მიერ შეიძენს თავის არსებობას, — ეს ზოგადი ბუნება წარმოადგენს მის (ინდივიდუუმის) საკუთარ ბუნებას და საერთო არც ერთ სხვა საგანთან არა აქვს, როგორც ეს ჩვენ დავადგინეთ მეოთხე კარში ჩვენი წიგნისა. აი, ხომ ჩემშიც და ჩემს მიერ არსებულ გონიერ, მოკვდავ ცოცხალ არსებას არა აქვს საერთო (ბუნება) არც ერთ სხვა ცოცხალ არსებასთან. როცა, მაგალითად, ევნება რომელიღაც ცალკეული ადამიანი, ანდა ხარი, ანუ ცხენი, ამავე დროს სრულიად შესაძლებელია მათი სახეობის (გვარის) სხვა ინდივიდუუმები უვნებელნი იყვნენ, და როცა, ვთქვათ, პავლე კვდებოდა, მაშინ სავსებით შესაძლებელია ისეც ყოფილიყო, რომ არც ერთი სხვა ადამიანი არ სწევია იმავე ხვედრს. და როცა, მაგალითად, პეტრე დაიბადა და ამქვეყნად არსებობა დაიწყო, მის შემდგომ არსებული ადამიანები მაშინ ჯერ კიდევ არ დაბადებულიყვნენ და ამქვეყნად თავიანთი არსებობა არ შეეძინათ. ამრიგად, ყოველ

ბუნება ერთი და იგივე (მსგავსი) აზრით არ განისაზღვრება, როგორც ისეთი რამ, რაც არის, არსებობს, არამედ — ორმაგი აზრით. ერთი — ის აზრია, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ თითოეული ბუნების ზოგადი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც თავისთავად შეიმეცნება: მაგალითად, ბუნება ადამიანისა, ბუნება ცხენისა, და რომელიც არ არსებობს არც ერთ ინდივიდუუმში; მეორე კი — ის აზრია, როცა ჩვენ ვსედავთ ამ ზოგად ბუნებას, რომელიც მხოლოდ ინდივიდუუმებში და მათს მიერ (მათი სახით) არსებობს, ანუ თითოეულ მათგანში შეიძენს უფრო კერძოობითს არსებობას, შესაბამისს არა რომელიმე სხვა, არამედ სწორედ ამ ინდივიდუუმისათვის და მხოლოდ მისთვის. აი, მაგალითად, ჩემში არსებული გონიერი, მოკვდავი ცოცხალი არსება არ არის საერთო არც ერთი ცოცხალი არსებისა, რომელიც სხვა ადამიანში არსებობს; ბუნება ცოცხალი არსებისა, რომელიც აი, ამ კონკრეტულ ცხენში და მის მიერ (მისი სახით) არსებობს, არ შეიძლება არსებობდეს რომელიმე სხვა ცხენში, როგორც ეს ჩვენ წეღან დავამტკიცეთ.

ბუნებასა და ადამიანთა ჰიპოსტასზე რომ სწორედ ამგვარ აზრებს შეიცავს საეკლესიო სწავლება — ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენ, საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, ვაღიარებთ ერთ ბუნებას მ ა მ ი ს ა და ძ ი ს ა და ს უ ლ ი წ მ ი დ ი ს ა, მაგრამ ვაღიარებთ აგრეთვე სამ იპოსტასს, ანუ პირს, რომელთაგან თითოეული განსხვავდება სხვათაგან რაღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებით. ჩამ, სხვა რა არის ერთიანი ბუნება ღვთაებისა, თუ არ ზოგადი აზრი ღვთაების ბუნებისა, რომელიც (ეს ზოგადი აზრი, ანუ მნიშვნელობა) თავისთავად შეიმეცნება და განიყოფა (დანაწევრდება) თითოეული იპოსტასის, ანუ პირის თავისებურებით?!

რომ ჩვენ, თავის მხრივ, ვაღიარებთ ბუნების უფრო კერძოობითს განსაზღვრებასაც, როცა ბუნების ზოგად მნიშვნელობას შევიმეცნებთ როგორც თითოეული ინდივიდუუმის მიერ შეძენილს, ანუ თითოეული იპოსტასის მიერ შეძენილს, — ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ ჩვენ ქრისტეში ვაღიარებთ ორ ბუნებას — ვგულისხმობ ღვთაებრივ ბუნებას და

კაცობრივ ბუნებას. ჩვენ არ ვამბობთ ხოლმე, რომ განხორციელდა (განკაცდა) წმიდა სამებისათვის საერთო (ზოგადი) ბუნება ღვთაებისა, რომელიც ადამიანის გონებისათვის მისაწვდომია; არა, არ ვამბობთ ასე რადგან ამ შემთხვევაში, თუკი ასე ვიტყოდით, ჩვენ ვაღიარებდით სულიწმიდის განხორციელებასაც (განკაცებასაც). ანგვარადვე, ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ სიტყვა ღმერთს შეუერთდა (მისი განხორციელებისას) ზოგადი კაცობრივი ბუნება, რადგანაც ამ შემთხვევაში სამართლიანად შეიძლებოდა თქმულიყო, რომ სიტყვა ღმერთი თავისი განხორციელებით შეუერთდა იმ ადამიანებსაც, ვინც მის ამქვეყნად მოვლინებამდე ყოფილა, და ყველა სხვასაც, ვინც ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის შემდგომ მოვიდა და კვლავაც მოვლენ. ცხადია, რომ ღვთაების ბუნებას ჩვენ აქ ვუწოდებთ ზოგადი ღვთაების ბუნებას სიტყვის იპოსტასში, და ამიტომაც ვაღიარებთ კიდეც სიტყვა ღმერთის ერთიან ბუნებას განხორციელებულს (განკაცებულს). გამოთქმით „სიტყვა ღმრთისა" — ჩვენ გამოკვეთილად განვასხვავებთ ბუნებას სიტყვისა ბუნებისაგან მამისა და ბუნებისაგან სულიწმიდისა.

ამრიგად, ვგულისხმობთ რა ზოგად ბუნებას ღვთაებისა, რომელიც (ეს ბუნება) სიტყვა ღმერთის საკუთარ ბუნებად შექმნილა, ჩვენ აქ ვამბობთ, რომ ბუნება სიტყვა ღმერთისა განხორციელდა (განკაცდა); და კვალად ჩვენ ვამბობთ, რომ ბუნება ადამიანისა (კაცობრივი ბუნება) სიტყვის განხორციელებისას შეუერთდა ლოგოსს, ანუ ის კერძოობითი ყოფიერება, რომელიც ერთადერთი მიიღო ლოგოსმა (სიტყვა ღმერთმა).

სიტყვა „ბუნების" ასეთი გაგებისას ბუნება და იპოსტასი (ანუ პირი) ერთსა და იმავეს აღნიშნავენ, გარდა იმისა, რომ სიტყვა „იპოსტასი" თავის თავში შეიცავს, ზოგად ბუნებასთან ერთად, კიდევ არსებულ თავისებურებებს თითოეული იპოსტასისა, რომელთა მიხედვითაც იპოსტასები განირჩევიან ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე გახდა შესაძლებელი, რომ მრავალნი ჩვენიანთაგან განურჩევლად ამბობენ, რომ აღსრულდა გაერთიანება ბუნებისა ანუ იპოსტასებისა.

ჰიპოსტასი, როგორც ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მოასწა-

ვებს ცალკეულ და ინდივიდუალურ ყოფიერებას; მაგრამ რადგანაც ისინი (ანუ მრავალნი ჩვენიანთაგან) უხვად სარგებლობდნენ ამ სიტყვებით, ცხადია ისიც, რომ ამით მათ სურდათ ჩვენთვის მიენიშნებინათ ხოლოდ ინდივიდუალური, და არა ზოგადი ბუნება.

როგორც ეს ჩვენი მსჯელობა, ასევე მრავალთა სიტყვებიც, ვინც მსგავს საგნებზე მსჯელობს, გვიჩვენებენ, რომ ყველა ჩვენგანს ჩვეულად გვაქვს სიტყვა „ადამიანით" აღვნიშნოთ ხოლმე ბუნების ზოგადი მნიშვნელობაც. მაგალითად, ამბობენ ხოლმე, რომ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ არის სახეობა ცოცხალი არსებისა, თუმცა კი არც ერთი ინდივიდუუმი (ადამიანი) არ არის გვარს დაქვემდებარებული სახეობა და არც იწოდება ასეთად. ჩვენ ხშირად ვამბობთ ხოლმე იმასაც, რომ ადამიანი, ვთქვათ, განსხვავდება ცხენისაგან, და როცა ამას ვამბობთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მათი (ადამიანისა და ცხენის) საერთო ბუნებაც. მაგრამ მეორეს მხრივ კი ჩვენ ვამბობთ, რომ პეტრე, პავლე თუ იოანე — ადამიანები არიან, და იბადება ადამიანი და კვდება — ერთი, ინდივიდუუმი, და რა თქმა უნდა, ასე იმიტომ ვამბობთ, რომ ყოველი ცალკეული ადამიანი თავის თავში მოიცავს ზოგად მნიშვნელობასაც ადამიანური ბუნებისა. კვალად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიტყვებს — „პირსა" და „იპოსტასს" ჩვენთვის ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, მსგავსად იმისა, თუკი ვინმე ერთსა და იმავე საგანს ხანჯალსაც უწოდებდა და მახვილსაც. ამის მსგავსადვე ჩვენ წმიდა სამებასთან დაკავშირებითაც ხშირად განურჩევლად ვამბობთ ხოლმე — მასში სამი პირიაო, ანთუ სამი იპოსტასიაო, და ამ გამოთქმებით თანაბრად აღვნიშნავთ ერთსა და იმავეს. მაგრამ ხშირად პირს განასხვავებენ იპოსტასისაგან, როცა პირად ჰმობენ რაიმე საგანთა დამოკიდებულებას სხვა საგნებთან, რადგან ჩვეულებრივი სიტყვათხმარება იცნობს ასეთ მნიშვნელობასაც ტერმინისა „პირი". მაგალითად, ჩვენ ვამბობთ ხოლმე, რომ ვიღაცა წარმოადგენს ჩემს პირს (პიროვნებას, ᲕᲪᲪᲚᲘᲡ მე რაღაც საქმეში, ანუ ჩემი პიროვნების წარმომადგენელია) და მას, ამ პირს ვიღაც დაუპირისპირდაო. ამის მსგავსადვე, ჩვენ ხშირად ვიტყვით ხოლმე, პრეფექტი ცვლისო მეფეს. ამიტომაც არის, რომ

ნესტორის დოგმატების დამორჩილებული ადამიანები თავს იკავებენ ლაპარაკისაგან ქრისტეში ერთი ბუნების შესახებაც და ერთი იპოსტასისაც, რადგანაც არ აღიარებენ იპოსტასების შერწყმა-შეერთებას თავისთავად, და ფიქრობენ, რომ მარიამისაგან იშვა უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი, რომელმაც შემდეგ მიიღო ღვთაებრივი გაცისკროვნება და ამგვარად შეიქნა განსხვავებული სხვა ადამიანთაგან, რადგან თითოეულ მათგანში, ანუ ამ სხვა ადამიანებში, ეს ღვთაებრივი გაცისკროვნება მნიშვნელოვანწილად ნაკლები იყოო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი, ნესტორის დოგმატთა მიმღებნი, უკიდურესი კადნიერებით ამტკიცებენ, რომ პირი ქრისტესი ერთია, და სიტყვა ღმერთის დამოკიდებულებას მარიამისაგან შობილი ადამიანისადმი (კაცისადმი) ერთი პირით აღნიშნავენ, რადგან, მათი აზრით, სწორედ ეს ადამიანი აღასრულებდა ამქვეყნად ყოველ საღმრთო საქმეს, და არა ღვთაებრივობა სიტყვა ღმერთისა; ამიტომაც, ამბობენ ისინი, სამართლიანია ადამიანის გაკიცხვა-ყვედრება ღმერთზეც გადავიტანოთო, რადგან აკი (მეფის წარმომადგენელი) პრეფექტის გაკიცხვა-ყვედრება ქვეშევრდომთაგან მეფეზეც გადადის და მეფესაც ეკუთვნისო. და თვით სახელწოდებაც ქრისტესი იმიტომაა ამგვარი, რომ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება გამოხატოსო. ამიტომან ნესტორის დოგმატების მიმღებნი სულაც არ ეკუმანობენ ქრისტესაც უწოდონ ერთიანი, რადგანაც ურთიერთდამოკიდებულება, ასე ვთქვათ, ერთიანია (ერთსახაა), თუმცა კი მასში მრავალნი მონაწილეობენ.

ამრიგად, ვგონებ, ყველასთვის, ვინც კეთილმსახურად ფიქრობს ქრისტეს განხორციელების შესახებ, ნათელი უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობით ვხმარობთ ჩვენ სიტყვა „პირს", როცა ვამბობთ, პირი ქრისტესი ერთიანიაო, და ამ გამოთქმას იმ მნიშვნელობით როდი ვიყენებთ, როგორც ამას ნესტორის მეგობრები ჰგონებენ, ანუ არა ღმერთის მარტივი დამოკიდებულების აღსანიშნავად ადამიანთან.

სხვასთან ერთად, ჩვენ გვმართებს ეს საკითხიც განვიხილოთ: ადამიანობა (კაცობა) ქრისტესი არასდროს, სულ მცირე დროის მანძილზეც კი არ არსებობდა ლოგოსთან ერთიანობის გარეშე, არამედ ერთდროულად შეიძინა არსებობის დასაწყი-

სიც და ლოგოსთან ერთიანობაც; მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ ხოლმე, რომ ეს ბუნება არ არის ჰიპოსტასური: მას (ქრისტეს ამ ადამიანურ ბუნებას), სხვა ადამიანებთან შედარებით, დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდა და მათი საერთო ბუნებისაგან ზოგიერთი თავისებურებანი განირჩეოდა. წეღან ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ სიტყვა „ჰიპოსტასი" სწორედ ამას აღნიშნავს.

ამრიგად, როგორადაც ქრისტეს ღვთაებრივობასთან დაკავშირებით ჩვენ ვაღიარებთ მ ი ს ბუნებასაც და ჰიპოსტასსაც, ასევე ქრისტეს ადამიანობასთან დაკავშირებითაც აუცილებელია ვაღიაროთ როგორც მისი ბუნება, ასევე მისი საკუთარი იპოსტასიც. და როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ იძულებული ვართ ასე ვთქვათ ხოლმე იმისთვის, რომ ეს ადამანური ბუნება ქრისტესი არ ვაღიაროთ არაჰიპოსტასურად, რადგანაც ესეც ცხადზე ცხადია, რომ მაცხოვრის ადამიანობაც იმ ინდივიდუუმთა შორისაა, რომელნიც განეკუთვნებიან ადამიანების ერთ ზოგად ბუნებას.

მას შემდეგ, რაც ჩვენ ამგვარად — სავსებით ნათლად და, ვფიქრობ, ყოველივესთან შეთანხმებულად ვიმსჯელეთ ამ საკითხზე, დაე, იმათ, ვინც ამტკიცებს — ქრისტეში ორი ბუნებაა, მაგრამ ასევე ორი იპოსტასიაო, შემდეგი აგვიხსნან და განგვიმარტონ: რადგან თითოეულს ქრისტეში შეერთებულ ბუნებათაგან, როგორც ეს ჩვენმა სიტყვამ წარმოაჩინა, უსათუოდ ჰქონდა ბუნება იპოსტასთან ერთად, მაშინ აღიარებენ თუ არა ისინი, რომ შეერთება მოხდა ერთნაირად ბუნებათათვის და იპოსტატთათვის, თუ ისინი ფიქრობენ, რომ უფრო მეტად იპოსტასები შეერთდნენ, რადგანაც ორიდან ერთი იპოსტასი აღმოცენდა, ხოლო უფრო ნაკლებ კი ბუნებანი შეერთდნენ, რადგანაც შეერთების შემდგომაც კვლავ ორი ბუნება დარჩენილა?

სხვა შენიშვნათა შემდგომ, რომლებშიც იოანე ფილოპონელი დაადგენს, რომ (ცნება) არსი (ანუ ბუნება) არ დაუშვებს ზემოხსენებულ გამოთქმებს „უფრო მეტად" და „უფრო ნაკლებად", იგი გაწაგრძობს საუბარს. მე ვფიქრობ, რომ ერთი ბუნება, მრავალ იპოსტასში არსებული, ყველაში ხილულია. ამრიგად, რაკი ვადიარებთ, რომ ღვთაების ბუნება ერ-

თიანია, ჩვენ ვადასტურებთ, რომ მას ს ა მ ი იპოსტასი აქვს. ადამიანებსაც ერთი საერთო ბუნება აქვთ, თუმცა კი ამ ბუნების იპოსტასთა რიცხვით თითქმის უსასრულობამდე არიან გამრავლებული, და იგივე შეგვიძლია ვთქვათ სხვა ბუნებათა შემთხვევაშიც. შეუძლებელია, რომ ორ ბუნებას ერთი იპოსტასი ჰქონდეს, თუკი ეს ორი ბუნება მართლაც ორია. და ეს უნდა გვჯეროდეს არამხოლოდ ცალკეული საგნების მაგალითის საფუძველზე (რადგან, აბა, ვახა შესაძლებელია ერთი იპოსტასის, ანუ ინდივიდუუმის არსებობა, ვთქვათ, ქვისა, ხისა, ანდა ხარისა თუ ცხენისა?!), არამედ თვით ჩვენი გონების მოქმედებითაც. ამიტომ თუკი ყოველი ბუნება თავის არსებობას იპოსტასთა მიერ (ანუ ინდივიდუუმებში) შეიძენს, მაშინ აუცილებელია, სადაც ორი ბუნებაა, იყოს სულ ცოტა ორი იპოსტასიცა, რომლებშიც ეს ბუნებანი თავიანთ არსებობას შეიძენდნენ. შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ბუნება, რომელიც ინდივიდუუმების სახით არ შეიმეცნებოდეს, ინდივიდუუმი კი იგივეა, რაც იპოსტასი, როგორც ჩვენ ეს უკვე დავადგინეთო.

ამრიგად, ყველა ის, ვინც ამტკიცებს, რომ არამხოლოდ ჰიპოსტასი, არამედ ერთიანი ბუნებაც აღმოცენდა შეერთების გზით, თანახმიერია ერთმანეთშიც და ჭეშმარიტებასთანაც. ხოლო ვინც ამბობს, — იპოსტასი ერთია, ბუნება კი — ორიო, ესენი არც ერთმანეთს შორის არიან შეთანხმებულნი და ჭეშმარიტებასაც ეწინააღმდეგებიანო.

მაგრამ რადგანაცა, ამბობენ ისინი, ქრისტეს ადამიანობასაც (კაცობრივ ბუნებასაც) ჰქონდაო ჰიპოსტასი ლოგოსში და არ არსებობდა ლოგოსთან შეერთებამდე, ამდენად ვამბობთ კიდეც, რომ ქრისტეს ჰიპოსტასი ერთიაო. ამრიგად, მივმართოთ მათ და ასე ვუთხრათ: თვლით თუ არა თქვენ, რომ ბუნება და ჰიპოსტასი ერთსა და იმავე რასმე აღნიშნავენ და ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ერთი და იგივე საგნის აღმნიშვნელი სახელები (როგორც, ვთქვათ, ხანჯალი და მახვილი), — თუ, თქვენი აზრით, ბუნება — ერთს რასმე აღნიშნავს, იპოსტასი კი — სრულიად სხვას? თუკი ერთსა და იმავე რამედ თვლით, მაშინ რადგანაც იპოსტასი, თქვენი შეხედულებით, ერთია, მაშინ ბუნებაც თქვენთვის ერთი უნდა

იყოს, მსგავსად იმისა, რომ თუ ხანჯალი ერთია, მახვილიც ერთი უნდა იყოს. ანდა: თუკი ორი საწყისია (ბუნებაა), მაშინ აუცილებელი იქნება ჰიპოსტასიც ორი იყოს. ხოლო თუკი სახელი საწყისისა (ბუნებისა) ერთს რასმე აღნიშნავს, იპოსტასის სახელი კი — სრულიად სხვას, მაშინ მიზეზად ქრისტეში ერთი იპოსტასის არსებობისა ისინი თვლიან იმას, რომ (მ ა ს შ ი) ადამიანური იპოსტასი, ანუ პირი არ არსებობდა ლოგოსთან შეერთებამდე. თუკი ქრისტეში ორი ბუნებაა, მაშინ აუცილებელია ისიც, რომ ადამიანური ბუნებაც არსებულიყო მის შეერთებამდე ლოგოსთან. მაგრამ თუკი ასეთი კერძოობითი ბუნება, ლოგოსთან შეერთებული, მანამდეც არსებობდა, მაშინ აუცილებელია ადამიანური იპოსტასიც (ქრისტესი) მანამდე არსებულიყო, — რადგანაც შეუძლებელია არსებულიყო ერთი მათგანი, როცა მეორე ჯერ არ არსებობდა, ვგულისხმობ: კერძო ბუნებას მისი საკუთარი ჰიპოსტასის გარეშე. იმიტომ, რომ სუბიექტში ორივე ესენი — ბუნება და ჰიპოსტასი, — ერთს შეადგენენ, რისი მიზეზითაც ხსენებულ სიტყვათა მომმარჯვებელნი ხშირად აერევებენ ხოლმე მათ, როგორც ჩვენ ეს ზემორე ვაჩვენეთ. თუკი როგორც ჰიპოსტასი, ასევე ლოგოსთან შეერთებული ბუნებაც არ არსებობდნენ მ ა ს თ ა ნ შეერთებამდე (თუკი ამას აღიარებენ), ამით ისინი (ანუ ნესტორის დოგმატთა გამზიარებელნი), იძულებული იქნებიან აღიარონ ისიც, რომ ქრისტეს ჰიპოსტასიც ერთია და ამის გამო მ ი ს ი ბუნებაც ერთია, რადგანაც თუკი ჰიპოსტასებს ვერ განარჩევენ შეერთების შემდგომ, მაშინ, დაე, ბუნებათაც (ღვთაებრივსა და ადამიანურს) ნუ განასხვავებენ".

ესაა მონოფიზიტების (იგივე ეგვიპტელთა, ანუ სქიზმატიკოსთა) მწვალებლობის აღწერა.

84. ავთარტოდოკეტები: ეს მწვალებლები იულიანე ჰალიკარნასელისაგან და გაიანე ალექსანდრიელისაგან მომდინარეობენ, და ამიტომ სხვაგვარად გაიანიტებადაც იწოდებიან. ყოველივეთი ისინი თანახმიერნი არიან სევერიანთა შეცთომილებისა (იხ. 45-ე მწვალებლობა). ხოლო განსხვავდებიან მათგან იმით, რომ სევერიანნი ამბობენ, — საწყისთა (ბუნებათა) განსხვავება ქრისტეში მათი შეერთების დროს (ანუ ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებებისა) მოჩვენებითი იყოო, იულია-

ნიტები და გაიანიტები კი არამხოლოდ უარყოფენ ორი ბუნების განსხვავებას ქრისტეში, არამედ იმასაც ასწავლიან, რომ სხეული (ხორცი) ქრისტესი თავისი წარმოშობისთანავე უხრწნელი იყოო. ამასთან, ავთარტოდოკეტები თუმცა კი ამბობენ, რომ უფალმა ამქვეყნად ვნებანი დაითმინა, ვგულისხმობ — შიმშილს, წყურვილს თუ დაღლილობას, მაგრამ არ იძახიან, რომ ყოველივე ეს მ ა ნ იმგვარადვე დაითმინა, როგორც ყველა ადამიანი ითმენს. რადგანაცო, ამბობენ ისინი, ჩვენ ყოველივე ამას ჩვენი ბუნებრივი აუცილებლობით დავითმენთ, ქრისტე კი ამ ვნებათ თავისი ნებით დაითმენდა და ჩვენსავით არ იყო დაქვემდებარებული ბუნებრივ კანონთა ზემოქმედებას.

86. აგნოიტები, იგივე თემისტეანნი: ეს მწვალებელნი ყოველად უღმერთოდ ამტკიცებენ, რომ უფალმა იესო ქრისტემ არ იცოდა თავისი სამსჯავროსა და ჯვარცმის დღე, და კიდევ შიშის განცდასაც მიაწერენ მაცხოვარს. აგნოიტები შეადგენენ თეოდოსიანთა სექტას. თემისტე, რომელიც მათში ერესიარხი (ანუ მწვალებლობის შემოქმედი იყო), ქრისტეში ერთიან რთულ (შერწყმულ და შეზავებულ) ბუნებას აღიარებდა (ანუ ქრისტეს ერთი ბუნება ჰქონდა, ოღონდ ეს ერთი ბუნება ბუნებათა შეერთება-შეზავების გზით იყო მიღებული).

86. ბარსანოფიტები, იგივე სემიდალიტები: ამ მწვალებლობის მიმდევარნი თანახმიერნი არიან გაიანიტებისა და თეოდოსიანელებისა, მაგრამ აქვთ კიდევ რაღაც მათგან განსხვავებით. ისინი საუფლო ძღვენს ხორბლის ფქვილსაც გაურევენ ხოლმე, რაც, თითქოსდა, დიოსკორემ შემოიღო ჩვეულებად, და შეეხებიან რა თითის წვერით ამგვარ შესაწირს, ცოტა-ოდენს მიიღებენ ხოლმე ამ ფქვილისაგან ზიარების საიდუმლოს ნაწილთა ნაცვლად (ევქარისტიის ნაცვლად), რადგანაც ევქარისტიის საიდუმლოს ბარსანოფიტები საერთოდ არ აღასრულებენ. ამრიგად, აიღებენ რა, როგორც ვთქვით, დიოსკორეს ზიარების ნაწილთ, ეს მწვალებელნი პურის ფქვილს გაურევენ ხოლმე მას, რათა ცოტ-ცოტა გაიხარჯონ, და სწორედ ეს ემსახურება მათ წმიდა ზიარების სანაცვლოდ.

87. იკეტეველნი: ეს მწვალებლები მონაზონთა მსგავს ცხოვრებას ეწევიან. ყოველივეში თითქოს მართლმადიდებელ-

ნი არიან, მაგრამ მონასტრებში ღედაკაცებთან ერთად ცხოვრობენ (ანუ მონაზონ ქალებთან ერთად იღწვიან სულის ხსნისათვის), ფერხულითა და როკვით აღუვლენენ ღმერთს საგალობლებს, რითაც, ვითომცდა, ბაძავენ ჯერ კიდევ მოსეს დროს შედგენილ მგალობელთა გუნდს ,რომელიც, თითქოსდა, ამგვარად განადიდებდა უფალს, და ეს, მათი აზრით, მდევარი ეგვიპტელების დაღუპვის ჟამს ხდებოდა, რაც ღვთის ნებით მეწამულ ზღვაში აღსრულდა.

88. გნოსიმახები: ამ მწვალებლობის ბიძგევარსი უარყოფენ ქრისტიანი მორწმუნისათვის ყოველგვარი ცოდნის აუცილებლობას. ისინი ამბობენ, რომ, თითქოსდა, ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ცდილობს საღმრთო წერილში რაღაც ცოდნა შეიძინოს, რადგან ღმერთია, ამტკიცებენ გნოსიმახები, სხვას არაფერს მოითხოვს ყოველი ქრისტიანისაგან, გარდა კეთილი საქმეებისა და ლოცვა-ვედრების აღსრულებისაო. ამრიგად, მათი აზრით, ძალზე კარგი ის იქნება, თუკი კაცი ვინმე, მორწმუნე ღმრთისა, ძალზე უბრალოდ იცხოვრებს და არ იზრუნებს არავითარი დოგმატების შემეცნებისთვის, რადგან ასეთი მცდელობა ცოდნის სფეროს განეკუთვნება და სულაც არ არის აუცილებელია.

89. ილიოტროპიტები: ეს მწვალებელნი ამტკიცებენ, რომ ეგრეთ წოდებული ილიოტროპული მცენარეები, რომლებიც ყოველთვის მზისკენ მიიქცევენ ბირს, თავის თავში შეიცავენ რაღაც ღვთაებრივ ძალას, რომელიც მოქმედებს მათში და აღასრულებინებს კიდეც ამგვარ მოძრაობებს; ამის გამო ილიოტროპიტები თაყვანს სცემდნენ ამგვარ მცენარეებს, რაკი თავიანთი უმეცრებით არ ესმოდათ, რომ ამ მცენარეებში შემჩნეული მოძრაობა მზის სხივებისაკენ მხოლოდ ბუნების კანონთა გამოა.

90. თნიტოფსიქიტები: ეს მწვალებლები აღიარებენ, რომ ადამიანის სამშვინველი შინაური ცხოველების სამშვინველის მსგავსია და არაფრით არ განსხვავდება მათგან. გარდა ამისა, თნიტოფსიქიტები ცრუდ ამტკიცებენ, რომ სული ადამიანისა მისი სხეულის სიკვდილთან ერთად სრულიად განქარდებაო.

91. აგონიკლიტოხები: ეს მწვალებლები სხვათაგან იმით განსხვავდებიან, რომ ლოცვა-ვედრების აღსრულების ჟამს

საერთოდ არ სურთ მუხლის მოყრა და მთელი დროის მანძილზე ფეხზე მდგომარენი ლოცულობენ, და ამას იქმნან არამარტო განმხოლოებული ლოცვისას, არამედ ეკლესიაში საერთო ლოცვის აღსრულების დროსაც.

92. თეოკატოგნოსტიკოსები, იგივე ღვთისმგმობები: ამ მწვალებლობის მომდევარნი, რაკი უაღრესი ღვთისმგმობნი და კადნიერნი არიან, ცდილობენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ზოგიერთ სიტყვასა და მოქმედებაში გმობა-გაკიცხვა დაინახონ როგორც მის თანამსხდომარე წმიდა ადამიანებისა (მოციქულთა და სხვათა), აგრეთვე საღმრთო წერილის სხვადასხვა ადგილებისაც.

93. ქრისტელიტოსები: ეს მწვალებელნი ამბობენ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ამქვეყნად დატოვა თავისი გასულიერებული სხეული და მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნებით (თავისი ღვთაებრივობით) ამაღლდა ზეცად (ანუ ადამიანური ბუნება მოიცილა და ისე ამაღლდაო).

94. ეთნოფრონები: ამ მწვალებელთა დამახასიათებელი თვისება ის არის,, რომ ისინი წარმართთა ზნე-ჩვეულებებს მისდევენ და ძველი ცრუ წარმოდგენებით ხელმძღვანელობენ. რაღაცით ისინიც ჰგვანან ქრისტიან მორწმუნეებს, მაგრამ ამასთანავე შემოაქვთ რაღაც შობა, იღბალ და ბედისწერა, მიიღებენ ყოველგვარ ასტრონომიასა და ასტროლოგიას, ყოველგვარ მანტიკასა და ფრინველებით მკითხაობას, ეძლევიან ამგვარ აუსპიკიებს, სურთ რა ამ გზით განჭვრიტონ თავიანთი მომავალი ცხოვრება, სწამთ რაღაც ნიშები, შელოცვები, და კიდევ სხვა მრავალი უკეთური ზღაპარი. ეთნოფრონები ასევე სხვა წეს-ჩვეულებებსაც იცავენ წარმართებისა, პატივს სცემენ აგრეთვე ზოგიერთ მათს ღღესასწაულსაც და მათს მსგავსადვე იმარხავენ ღღეებსა და თვეებს, ჟამთ და წელიწადთ.

95. დონატისტები: ესენი მომდინარეობენ ვინმე დონატისაგან, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკიდან იყო. ამ დონატმა თავისი მწვალებლობის მიმდევართ გადასცა რაღაც ძვალი, რომელსაც ისინი, აიღებენ რა ხელში, ეამბორებიან ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ წმიდა საიდუმლოთა შეწირვას, თუკი ამ დროს საუფლო ძვენი იწირება.

96. **ითიკოპროსკოპტები:** ეს მწვალებლები სხვათაგან იმით განირჩევიან, რომ უფლებათა აღიარების მხრივ, ანუ თავიანთ პრაქტიკულ ცხოვრებაში ბევრს სცოდავენ და ბევრ, ქების ღირს, სწავლებას გმობენ; ამასთანავე ეს ითოკოპროსკოპტები ბევრ ისეთ სწავლებასაც აღიარებენ ჭეშმარიტად და მისდევენ კიდეც მათ, რომლებსაც მართლმადიდებელი ეკლესია გმობს და არ მიიღებს.

97. **პარერმინეველნი:** ისინი განსხვავებულად განმარტავენ ხოლმე ზოგიერთ ადგილს ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წიგნებისა და ისე ესმით, როგორც სჭირდებათ თავიანთი მწვალებლობის გასამართლებლად. პარერმინეველნი მტრულად არიან განწყობილი მრავალი ზუსტი და უხინჯო განმარტებისა, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის, ამით ისინი, თავიანთი განურჩევლობის გამო, უწყობენ ხელს ზოგიერთი მწვალებლური დოგმატის განმტკიცებას, რითიც მრავალთ აცთუნებენ.

98. **ლამპეტიანნი:** ეს მწვალებელნი ასე იწოდებიან ვინმე ლამპეტისაგან. ისინი ერთნაირად ნებას აძლევენ ყველა მსურველთ თავიანთი სამწყსოსაგან განდეგილად იცხოვრონ თუ საერთო საცხოვრებელ მონასტრებში იღვაწონ სულის ხსნისათვის, — ანუ თვით გამოირჩიონ წესი ცხოვრებისა, ამასთან სამოსიც ისეთი ჩაიცვან, როგორიც თვით მოესურვებათ, რადგანაცო, ამბობენ ლამპეტიანნი, ქრისტიანი მორწმუნე არაფერს არ უნდა აკეთებდეს სხვისი იძულებით, ვითარცა წერილ არსო: „და მე ნებითა ჩემითა მსხვერპლი შევწირო შენდა, აუვარო სახელსა შენსა, უფალო, რამეთუ კეთილ“ (ფსალ. 53,8), და კვლავაც ფსალმუნი გვასწავლისო: „უფალი შემწე ჩემდა და მფარველ ჩემდა, მას ესვიდა გული ჩემი და შეწევნულ იქმნა, და მხიარულ იქმნეს ხორცნი ჩემნი, და მე ნებითა ჩემითა აუვარო მას“ (27,7). გარდა ამისა, ეს მწვალებელნი, როგორც ამას ზოგიერთნი გვაუწყებენ, დაუთმობენ ბუნებრივ ვნებათ, ნებდებიან მათ და წინ არ აღუდგებიან, როგორც ამას თვით ბუნებაც მოითხოვს. კიდევ იმასაც ამბობენ, რომ ლამპეტიანნი რაღაც სხვასაც აღიარებენ, რაც ახლოს დგას არიოზის მწვალებლობასთან. ლამპეტიანთაგან გამოვიდა ვინმე ევსტათი, რომლისაგანაც ევსტათიელნი აღმოცენდნენ.

99. მონოთელიტები: ამ მწვალებლებმა დასაბამი კვიროს ალექსანდრიელისაგან ძიერეს, ხოლო სერგი კონსტანტინეპოლელის წყალობით კი განმტკიცდნენ და ფეხიც მოიკიდეს. მონოთელიტები ქრისტეში ორ ბუნებას და ერთ იპოსტასს (პირს) აღიარებენ, ასწავლიან ერთი ნებისა და ერთი ქმედების შესახებ (ქრისტეში), და ამით უარყოფენ ორადობას მისი ბუნებისა. შეიძლება ითქვას, რომ მონოთელიტების სწავლება ძალზე ახლოს დგას აპოლინარიუსის მწვალებლობასთან.

100. ავტოპროსკოპტები: ესენი ყოველივეთი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, მაგრამ თვითვე კადნიერად განიკვეთენ თავს მსოფლიო ეკლესიისაგან და სხვებთან ურთიერთობისაგან გარეგნულად თითქოს კეთილსახიერი მიზეზით, ვითომცდა იმიტომ, რომ ესწრაფვიან კანონიკურ (სჯულიერ) წეს-ჩვეულებათა დამარხვას. ავტოპროსკოპტებს არა ჰყავთ ეპისკოპოსები და წინამძღვარნი, და ამის სანაცვლოდ ჰყავთ ვიღაც უბირნი, რომელთაც ემორჩილებიან. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ისინი თვითვე შთავარდებიან იმაში, რაშიც სხვებს სღებენ ბრალს. გარდა ამისა, ავტოპროსკოპტები დაუფარავად ცხოვრობენ ცოლებთან, სხვათა ცოლებსაც აკავებენ თავისთან, ეწევიან ვაჭრობასაც, — აღებ-მიცემობაში სხვათა მოტყუებაც სჩვევიათ და კიდევ სხვა მრავალი ცხოვრებისეული ამაო საქმეებით არიან სავსენი. ასე რომ, ეს მწვალებელნი უგნურებით ცხოვრობენ, რაკი საქმით დაარღვევენ ყოველივე იმას, რის განმტკიცებასა და დამკვიდრებას სიტყვით მიესწრაფვიან, რადგან, როგორც მოციქულიც ამბობს ესევითართათვის, ცრდვილნი არიან. ბევრნი მათგან მონაზვნები და სამღვდელო მოდასენი არიან, მაგრამ მხოლოდ სიტყვით სცემენ თაყვანს ღმერთს, საქმით კი ჰგმობენ. ზოგიერთი ადამიანი თავისი უბრალოების გამო იხიბლება ავტოპროსკოპტებით და მოკადოებულივით მიჰყვება კიდეც მათ. ნამდვილი მორწმუნენი კი, წმიდა ეკლესიის მიერ ჭეშმარიტებით გამოზრდილნი, პატივს სცემენ საღმრთო კანონებს და ყოველივე იმასაც, რაც დაკავშირებულია სჯულთან, ისინი, კეთილი სამწყსო, ყოველივეში ემორჩილებიან ეპისკოპოსებსა და წინამძღვრებს, და მართლაც ბევრს ზრუნავენ მათთვისაც და ეკლესიისთვისაც, რითაც ჯეროვან პატივს მიაგებენ მათ.

101. არის კიდევ დღესამომდე გაბატონებული ხალხი, ეს გზააბნეული ნათესავი და აჩრდილი ისმაილიტებისა, რომელიც წინამორბედია ანტიქრისტესი. ეს ხალხი ისმაილისაგან მომდინარეობს, რომელიც აბრაჰამს აგარმა უშვა, რის გამო ისინი იწოდებიან კიდეც აგარიანებად და ისმაილიტებად. სარაკინებად კი (ანუ სარკინოზებად) ისინი იწოდებიან ბერნძული გამოთქმისაგან — „სარას კენუს", იმიტომ, რომ აგარმა ასე შესჩივლა ანგელოზს: „სარრა კენინ მი არელისენ" (ანუ სარამ მე ცარიელი გამიშვა, განმიტევაო). უწინ ეს ხალხი კერპებს ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა ცისკრის ვარსკვლავს და აფროდიტეს, რომელსაც თავიანთ ენაზე (ანუ არაბულად) ხაბარს უწოდებდნენ, რაც დიდს ნიშნავს.

ამრიგად, ირაკლიოსის ზეობამდე სარკინოზები დაუფარავად ემსახურებოდნენ კერპებს, ხოლო ამ დროიდან მოყოლებული და დღესამომდე კი მათ ცრუ-წინასწარმეტყველი გამოუჩნდათ, რომელსაც სახელად მუჰამედი ერქვა. ეს კაცი შემთხვევით გაეცნო შინაარსს ძველი და ახალი აღთქმების წიგნებისა და, ასევე შემთხვევით, თითქოს არიოზის მწვალებლობის მიმდევარ მონაზონსაც გასაუბრებია და ამ ცრუ-სწავლებასთან მისადაგებით, აგრეთვე ძველი და ახალი აღთქმების თვითნებური გამოყენებით შეუდგენია კიდეც თავისი საკუთარი მწვალებლობა. მუჰამედმა ყალბი ღვთისმოშიშებისა და მოჩვენებითი კეთილმსახურების წყალობით ადამიანთა კეთილგანწყობა მოიპოვა და ცრუე დაიწყო იმის მტკიცება, თითქოს მას ზეგარდმო ღვთისაგან მოენიჭა წერილი. დაწერა რა თავის წიგნში რაღაც ამბები და აზრები, რომლებიც ჩვენთვის სასაცილო თუა, მან თავის ხალხს გადასცა იგი როგორც დიდი სიწმიდე, ღირსი თაყვანისცემისა და ყოველივეში სახელმძღვანელოდ გამოყენებისა.

ეს მუჰამედი თავის ამ წიგნში, რომელსაც არაბულად ყურანი ეწოდება, ამბობს, რომ ერთი ღმერთია შემოქმედი ყოველივესი, რაც კი არსებობს, და რომ ი გ ი არ არის შობილი არც თვითონ და არც სხვა ვინმე უშვია. კიდევ ეს ცრუწინასწარმეტყველი ამბობს, რომ ქრისტე არის ს ი ტ ყ ვ ა ღმრთისა და მისი ს ულ ი ც, ქმნილება და მონა ღმრთისა; რომ იგი, ქრიხტე, უთესლოდ იშვა ქალწულ მარიამისაგან,

რომელიც მოსესა და აარონის და იყოო, რადგანაც, ამბობს მუჰამედი, სიტყვა ღმერთისა და სული მისი შევიდა მარიამში და მისი საშუალებით შვა იესუ, წინასწარმეტყველი და მონა ღმერთისაო; უსჯულო იუდეველებმა მისი ჯვარცმა მოისურვეს და როცა შეიპყრეს, მხოლოდ მისი აჩრდილი აცვეს ჯვარსაო; თვით ქრისტე კი იმ დროს, ამტკიცებს მუჰამედი, არ ყოფილა ჯვარცმული და არც მომკვდარაო — ღმერთმა თავისთან, ზეცად წაიყვანა იგი, იმიტომ, რომ უყვარდა ქრისტე — თავისი წინასწარმეტყველი და მონაო.

და კიდევ ამასაც ამბობს მუჰამედი: როცა ქრისტე ზეცად აღმაღლდა, ღმერთმა ჰკითხაო მას: „იესუ, იძახდი შენ — მე ძე ღმრთისა და თვით ღმერთი ვარო?“, რაზეც იესუმ უპასუხაო: „მოწყალე იყავ ჩემდამი, უფალო! შენ თვით უწყი, რომ მე არ ვიძახდი ამას, და არც მრცხვენის ვიყო შენი მორჩილი მონა! მაგრამ ცოდვილმა ადამიანებმა დაწერეს, რომ თითქოს მე ვიძახდი ამ სიტყვებს, და ამიტომ იცრუეს ჩემს გამო და წარწყმდნენო“. და ამის შემდეგ უთხრა მას ღმერთმაო: „ვუწყი მეც, რომ შენ არ იძახდი ამ სიტყვებს!“ — აი, ამგვარად ფუჭ-სიტყვაობს მუჰამედი ქრისტესთვის, და კიდევ მრავალს სხვასაც ცრუდ ამტკიცებს იგი ამ თავის სასაცილო წიგნში და დიდად იქადის კიდეც, რომ იგი (ანუ ეს წიგნი — ყურანი) ღვთის მიერ ზეგარდმო შთაგონებით მოეცა მას, წინასწარმეტყველს ღმრთისა.

ჩვენ კი ასე ვეტყვით მუჰამედს მიმდევართ: „მაგრამ ვინ არის მოწმე იმისა, რომ ღმერთმა ზეგარდმო შთაგონებით მისცა მას წერილი, ანუ წინასწარმეტყველთაგან რომელმა იწინასწარმეტყველა მისთვის, რომ აღდგება ასეთი წინასწარმეტყველი (ანუ მუჰამედი)?“ და როცა მათ გაუძნელდებათ პასუხის მოცემა ამ კითხვაზე, ჩვენ კვლავაც ვეტყვით, რომ მოსემ იმ დროს მიიღო სული ღმრთისაგან, როცა სინაის მთაზე მთელი ერის წინაშე, ღრუბლებსა და ცეცხლში, წყვდიადსა და ქვამლში, ყველას დასანახად და ღვთაებრივი დიდებით გამოეცხადა ღმერთი; და იმასაც დაამტკიცა, რომ ყველა წინასწარმეტყველი, დაწყებული თვით მოსეთი და შემდგომნიც, თითქმის ყველანი წინასწარმეტყველებდნენ ქრისტეს ამქვეყნად მოსვლისათვის, ანუ იმისთვის, რომ ქრისტე ღმერთი — ძე

ღმრთისა ხორციელად მოვა და ჯვარს-ეცმება, მოკვდება და აკვდრეთით აღდგება, და რომ სწორედ ი გ ი იქნება მსაჯული ცოცხალთა და მკვდართა. გარდა ამისა, ასეც ვეტყვით მუჰამედის მიმდევრებს: „მაშ, რატომ არ მოვიდა თქვენი წინასწარმეტყველი ისე, რომ მისი ღვთიურობა სხვებსაც დაუდასტურებინათ? რატომ არ უწინასწარმეტყველებიათ მისთვისაც? ანდა რატომ თქვენი თანდასწრებითაც არ მისცა ღმერთმა ზეგარდმო წერილი მუჰამედს, ის წერილი, რომლისთვისაც თქვენ გაიძახით, ღმერთმა მისცაო, რათა თქვენვე ყოფილიყავით ამაში დარწმუნებული? რატომ იმის მსგავსად არ მისცა ღმერთმა წერილი მუჰამედს, როგორც მოსეს მისცა სჯული კვამლოვან მთაზე, მთელი ხალხის თვალწინ?“ ისინი გვპასუხობენ, რომ ღმერთი ყოველივეს ისე იქმს, როგორც თვით ნებავს. ეს, დავუშვათ, ჩვენც ვუწყით, მაგრამ კვლავაც ვიკითხავთ: „როგორ, რა სახით გადმოეცა თქვენს წინასწარმეტყველს წერილი ზეგარდმო?“ ისინი გვპასუხობენ, რომ მუჰამედმა წერილი ღმერთისაგან იმ დროს მიიღო, როცა ეძინა. ამის გამო ჩვენ გავიხუმრეთ: „რადგან წერილი მუჰამედმა მძინარემ მიიღო და არ შეუგრძვნია ღვთაებრივი ზემოქმედება, მაშინ სწორედ მასზე აღსრულებულა ხალხური ანდაზა, რომელიც გვასწავლის — სიზმარში ნაცად-ნახული ცხადად რა მოსახმარიაო“... მაგრამ ხუმრობა იქით იყოს, და ჩვენ კვლავაც შევეკითხებით მათ: „თუკი მუჰამედი თქვენს წერილში გიბრძანებთ არაფერი შეიწყნაროთ და არც გააკეთოთ მოწმეთა დასტურის გარეშე, რატომ თქვენც არ ეტყვით თქვენს წინასწარმეტყველს — პირველ ყოვლისა, შენ დაგვიდასტურე მოწმეთა საშუალებით, რომ ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი ხარ, ღვთის მიერ ხარ გამოგზავნილი ჩვენთან და ისიც გვაუწყე, თუ რომელი წინასწარმეტყველი საღმრთო წერილისა მოწმობს და წინასწარმეტყველებს შენი მოსვლისთვის? ამ შეკითხვაზე სირცხვილეულნი სდუმან ამ ცრუ-წინასწარმეტყველის — მუჰამედის მიმდევრები.

„მაშ, რადგანაც თქვენთვის ნება არ მოუციათ მოწმეთა დასტურის გარეშე არც დაქორწინებისა, არც ყიდვა-გაყიდვისა, და არც სხვა რამის მოქმედებისა, იქამდეც კი, რომ მოწმეთა გარეშე თქვენ არ მიიღებთ არც ვირს და არც სხვა პი-

რუტყვს, არამედ ცოლებსაც, ყოველგვარ ქონებასაც და ვირებსაც ყოველივეთი მოწმეთა თანდასწრებით მიიღებთ, და მოწმეთა გარეშე ძხოლოდ თქვენს რწმენას და წიგნს (მუჰამედისა) შეიწყნარებთ, რამეთუ აკი თქვენდა გადმომცემი ამ წერილისა არაფრით არ ადასტურებს, რომ ნამდვილად ღმერთისაგან ზეგარდმო მიიღო იგი, და არც თქვენ უწყით ვინმე (საღმრთო წერილის წინასწარმეტყველთაგან), ვინც დაადასტურებდა მის ჭეშმარიტებას, და გაიძახით, მუჰამედმა წერილი ძილში მიიღოო, — რადგანაც ყოველივე მართლაც ასეა, ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ამაში ყვავლა უნდა დაგვეთანხმოს, რომ თქვენი წინასწარმეტყველი მუჰამედი — ცრუ-წინასწარმეტყველია, ხოლო მისი წერილი — უკეთური სიცრუე, გაკიცხვისა და დაცინვის ღირსი.

მუჰამედის მიმდევრები ჩვენ, ნათლმადიდებელ ქრისტიანებს ეთერიასტებს გვიწოდებენ, რადგანაც ჰგონიათ, რომ ჩვენ ღმერთს ვუერთებთ სხვა ღმერთს, როცა ვამბობთ, რომ იესო ქრისტე არის ძე ღმრთისა ღა თავადაც ღმერთია. ამაზე ჩვენ ვეტყვით მათ, რომ ამის შესახებ ჩვენ გვაუწყეს საღმრთო წერილის წინასწარმეტყველებმა, თქვენ კი, როგორც თვით ამტკიცებთ, აღიარებთ წინასწარმეტყველებს და გწამთ მათი. თუკი ჩვენ ცრუდ ვამბობთ — ქრისტე ღმერთის ძეაო, მაშ, გამოდის, რომ წმიდა წინასწარმეტყველებსაც საღმრთო წერილისა არ უთქვამთ მართალი, რადგან სწორედ მათ გვიწინასწარმეტყველეს ღმერთის ძის ადამიანად მოსვლა, — ამას კი, რომ წმიდა წინასწარმეტყველთა სიტყვები ჭეშმარიტი არ იყოს, თქვენც არ დაუშვებთ. მაგრამ ზოგიერთი თქვენგანი ბრალს გვდებს, რომ ჩვენ, ქრისტიანები, ცრუდ მივაწერთ ამას წინასწარმეტყველებს, და ამასთან ცდილობს იგავურად, სხვა გზებით განმარტოს საღმრთო წერილის შესაბამისი ადგილები. სხვები კი თქვენიანთაგან ამბობენ, რომ ებრაელებმა (იუდეველებმა) ჩვენდამი დიდი სიძულვილის გამო შეცდომაში შეგვიყვანეს და ყოველივე ეს ქრისტესთვის თითქოსდა თვით ჩაწერეს საღმრთო წერილში წინასწარმეტყველთა სახელით, და ეს მათი ნაყალბევი, ვითომ, ჩვენს, ქრისტიანთა დაღუპვას ემსახურება.

კვლავაც ჩვენ ასე ვეტყვით მუჰამედის მწვალებლობის

მიმდევართ: აკი თქვენვე აცხადებთ, რომ, ქრისტე არის სიტ-
ყვა ღმერთისა და მისი სული, — მაშ, რად გვაგინებთ
ჩვენ და რატომ გვეძახით ეთერიანტებს — სიტყვა და სული
ხომ განუყოფელნი არიან იმისგან, ვისშიც ჰგიებენ.
ამრიგად, თუკი ღმერთში არსებობს მისი სიტყვა, ცხადია,
რომ თვით იგიც, ანუ ეს სიტყვა, არის ღმერთი; ხოლო თუკი
იგი ღმერთის გარეთ იმყოფება, მაშინ ღმერთი, თქვენი შეხე-
დულებით, უსიტყველი და უსული ყოფილა! ამრიგად, იმის
შიშით, ღმერთს სხვა ღმერთი არ ჰყავდესო გვერდით, თქვენ
მოჰკალით იგი! და რამდენად უკეთესი იქნებოდა თქვენთ-
გის გეთქვათ, რომ მას ჰყავს გვერდით სხვა ღმერთი, ვიდ-
რე ის, რაც მოიმოქმედეთ, ანუ ვიდრე მოგეკლათ ღმერთი!
ანდა ვიდრე ქვად გექციათ იგი ,ანდა სხვა რაიმე უგრძნობელ
საგნად. ასე, რომ თქვენ ცრუდ ეგიწოდებთ ეთერიანტებს,
ჩვენ კი სრულიად სამართლიანად ვეძახით ღმერთის მკვლე-
ლებს!

გარდა ამისა მუჰამედის მიმდეკრები ჩვენ კერპთთაყვანის-
მცემლობაშიც გვდებენ ბრალს, რადგანაც ჩვენ ჯვარს ვეთაყ-
ვანებით, იმ წმიდა სალოცავს, რომელსაც ისინი უგულებელ-
ჰყოფენ და რომელიც სძაგთ, ჩვენ კი ასე ვეტყვით ამ ბრალ-
დებაზე; თქვენ რატომღა შეეხებით ხოლმე მოწიწებით თქვენს
გავათში მდებარე ქვას, რომელსაც ეხვევით და ეამბორებით?
ზოგნი თქვენგან იძახიან, რომ სწორედ მასზე შეეყო აბრაჰამი
აგარს, სხვები კი ამტკიცებენ, აქ ბიაბაო აბრაჰამმა აქლემი,
როცა ისააკი ღმერთისთვის მსხვერპლად უნდა შეეწირა. ამა-
ზე მივუგებთ: საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ის მთა ტყით
იყო მოსილი და იმ ადგილასაც ხეები იდგა, რომელთა ფიჩხის
კონაც აბრაჰამმა ისააკს აჰკიდაო, და კიდევ იმასაც გვეუბნება
წერილი, რომ აბრაჰამმა სახედრები მსახურებთან დასტოვაო.
მაშ, საიდანღა გაიძახით ასეთ უაზრობას?!

იმ ადგილას ხომ ხშირი ეკლნარია, და სახედრები ვერც კი
გაივლიან! სარკინოზები სირცხვილეულნი არიან, მაგრამ მაინც
ამბობენ, ეს ქვა აბრაჰამისაოო. მაგრამ ჩვენ კვლავაც მივმარ-
თავთ მათ: იყოს ეგ ქვა, რომლისთვისაც რაღაც სისულელეებს
რატავთ, აბრაჰამის ქვა! მაშ, გამოდის, რომ მხოლოდ იმიტომ
ეხვევ-ეამბორებით და ეთაყვანებით მას, რომ ამ ქვაზე შეეყო

აბრაჰამი თავის ხარჭას, ანდა იმის გამო, რომ მასზე მიაბა მან თავისი აქლემი, და ამის გაკეთებას სულაც არა თაკილობთ, ჩვენ კი უტიფრად ბრალს გვდებთ იმაში, რომ ქრისტეს წმიდა ჯვარს ვცემთ თაყვანს, რომლითაც ძალა დემონებისა და შეცთომილება ეშმაკისა შემუსვრილ იქნა! ჰოდა, იმასაც გეტყვით, რომ ეგ, რასაც თქვენ აბრაჰამის ქვას უწოდებთ, სინამდვილეში აფროდიტეს (კერპის) თავია, რომელსაც თქვენ თაყვანს სცემთ და ჰავეთს უწოდებთ! ვინც მას გულმოდგინედ დააკვირდება, დღესაც შეამჩნევს მასზე გამოკვეთილი თავის კვალს, ნაშთს ამ წარმარდული ქალღმერთის უკეთური ქანდაკისა.

ამ მუჰამედმა, ცრუ-წინასწარმეტყველმა, შეადგინა მრავალი სულელური ზღაპარი და ყოველ მათგანს თავ-თავისი სახელწოდება მისცა, როგორიცაა, მაგალითად, თქმულება ცოლზე. ამ თქმულებაში მუჰამედი წესად უდგენს თავის მიმდევრებს, რომ ნებადართულია დაუფარავად მოყვანა ორმოცი ცოლისა, ხარჭა კი თუგინდ ათასიც გყავდეთო (იმ ორმოცი კანონიერი ცოლის გარდა), არც იმდენი, რამდენიც მოგესურვებათ და რამდენის რჩენა-შენახვასაც შეიძლებთო! მაგრამ მუჰამედი იმასაც ამბობს თავის წიგნში (ყურანში), რომ ნებადართულია, თუკი მოგესურვება, ერთი ცოლი განუტევო, სხვა კი, სურვილისამებრ, მოიყვანოო. ეს თავისი განწესება მუჰამედმა შემდეგი შემთხვევისა გამო დაადგინა: მას ერთი ერთგული თანამუშაკი ჰყავდა, სახელით ზაიდი, რომლის მეტად ლამაზი ცოლი თვითონ მას შეჰყვარებოდა; ერთხელაც, როცა ისინი ერთად ისხდნენ, მუჰამედმა უთხრა ზაიდს: „ღმერთმა მიბრძანა შენი ცოლი მოვიყვანო ჩემადო!“ ზაიდმაც მიუგო: „მოციქული შენა ხარ, ისე ჰქენი, როგორადაც ღმერთს უბრძანებიაო, აიღე, და წაიყვანე ჩემი ცოლიო!“ უფრო სწორად, ყოველივე იმის ნაცვლად, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, მუჰამედმა ასე უთხრა ზაიდს: „ღმერთმა მიბრძანა, რომ შენ განუტევო შენი ცოლი!“ იმანაც ადგა და განუტევა. რამდენიმე დღის შემდეგ მუჰამედმა კვლავ უთხრა თავის ამხანაგს: „შენ კი განუტევე, მაგრამ ღმერთმა მე მიბრძანა შენი ცოლის ჩემად მოყვანა“. მერმე რაკი მოიყვანა და შეირთო ზაიდის პირმშვენიერი ცოლი, მუჰამედმა იმრუშა მასთან და

ასეთი კანონი დაუწესა შთამომავალთ: ვისაც მოესურვება, დაე, განუტევოს თავისი კანონიერი ცოლი. მაგრამ თუკი განტევების შემდეგ კვლავაც მოისურვებს მის შერთვას, მაშინ მანამდე ჯერ სხვა დაქორწინდეს მასზე, რადგან არ შეიძლება განტევებული ცოლის კვლავ შერთვა, თუკი მასზე ჯერ სხვა არ იქორწინებს. თუკი, ვთქვათ ძმა განუტევებს ცოლს, მასზე დაქორწინება მის ძმასაც შეუძლიაო. ამასთანავე, იმავე წიგნში მუჰამედი შემდეგსაც განუწესებს თავის მიმდევართ: „დაამუშავე მიწა, რომელიც ღმერთმა მოგცა, დი ჰქმენი ესა და ესაო“, და ამას ამბობს იგი იმისთვის, რომ სულ სამარცხვინო საქმეებზე არ ელაპარაკნა, და ცოტაოდენი ჯეროვანიც ეთქვა.

კვალად, მის წიგნში არის თქმულება საღმრთო დედა აქლემის შესახებ, რომელზეც წერია, რომ იყო საღმრთო დედა აქლემი, სვამდა მთელს მდინარეს და იმხელა იყო, რომ ვერ ეტეოდა ორ მთას შორის. ამრიგად, იმ ადგილასო, ამბობს მუჰამედი, ხალხიც იყო: ერთ დღეს წყალს ეს ხალხი სვამდა, მეორე დღეს კი — ეს დედა აქლემი. როცა აქლემი შესვამდა მდინარეს, მერე იგი ასმევდა ხალხს წყალის ნაცვლად თავის რძეს. ამ ხალხისაგან კი აღდგნენო ბოროტი კაცნი და მოკლეს საღმრთო დედა აქლემი, მაგრამ იმის კოზაკი დარჩა, რომელმაც, როცა დედა მოუკლეს, ღმერთს შეჰლაღადაო, და ღმერთმა იგი თავისთან წაიყვანაო, — აი, ასე იტყვის მუჰამედი საღმრთო აქლემისათვის.

ამაზე ჩვენ ასე ვეტყვით მუჰამედის მიმდევრებს: საიდანაა ეს დედა აქლემი? ისინი გვპასუხობენ, რომ იგი ღმერთისაგანაა. ჩვენ შევეკითხებით: თუ შეეყო მას სხვა აქლემი? გვეუბნებიან, — არაო. მაშ, საიდანღა იშვა კოზაკი, ვკითხავთ ჩვენ, რადგან ვხედავთ, რომ თქვენი საღმრთო კოზაკი წარმომავლობის გარეშეა. მისი მშობელი ბოროტება ევნო, მაგრამ არ ჩანს არც ის, ვინც, შეეყოფოდა დედა აქლემს, და კოზაკიც (პატარა დედა აქლემი) ზეცად იქნა აღტაცებული. მაშ, რატომ არ გაიგო თქვენმა წინასწარმეტყველმა, რომელსაც როგორც თქვენ ამბობთ, ღმერთი ესიტყვებოდა, ამ აქლემის ამბავიც, — თუ სად ძოვს იგი, ანუ ვის მიერ იქნა გამოზრდილი რძით (მოკლული დედა აქლემის ნაცვლად). თუ, იქნებ, იგიც მისი დედა აქლემივით, მოკლულ იქნა, ანდა სამოთხედ შევიდა

თქვენს უწინარეს და წინამორბედად გექმნათ თქვენი „ნეტარი" ცხოვრებისა? და ალბათ მისგან გამოედინება სამოთხეში ის რძის მდინარეც, რომლის შესახებაც თქვენ ლაპარაკობთ. აკი თქვენი სიტყვით, სამი მდინარე მოედინება თქვენთვის სამოთხეში: მდინარე წყლისა, მდინარე ღვინისა და მდინარე რძისა. თუკი თქვენი წინამორბედი აქლემი სამოთხის გარეთაა, მაშინ ცხადია, იგი ჩამომდნარი უნდა იყოს შიმშილისა და წყურვილისაგან, ანუ სხვები ისარგებლებენ მისი რძით. ტყუილად გაიძახის თქვენი წინასწარმეტყველი, ღმერთს ვესიტყვებოდიო, რადგანაც თვით ეს საიდუმლოც დედა აქლემისა არ გაემხილა მას... და თუ ეს აქლემი სამოთხეში იმყოფება, მაშინ იგი კვლავაც მთელს წყალს სვამს, და თქვენ კვლავ ევნებით უწყლობისაგან სამოთხის სხვა სიამ-ტკბილობათა შორის. სოლო თუკი ღვინოს მოისურვებთ, იძულებული იქნებით შეუზავებლად დალიოთ ღვინის მდინარისაგან, რადგან წყლის მდინარე უკვე აქლემს შეუსვამს მთლიანად; მაშასადამე, თქვენ სვამთ ღვინოს, აღენთებით, თრობა გერევათ და იძინებთ.

ასე, რომ დამძიმებულნი თრობამორეული ძილისაგან, მძიმე გუნებაზე იღვიძებთ და ევნებით ნაბახუსევზე, რის გამოც გაიწყდებათ სამოთხის შვება-სიამენი. მაშ, როგორლა იზრუნა თქვენმა წინასწარმეტყველმა, რომ ასეთი ვნება არ გწეოდათ უკვე სამოთხეში მოხვედრილებს, სადაც მხოლოდ ნეტარება უნდა განგეცადათ?! რატომ არ იუიქრა მან ამ დედა აქლემისათვის, — თუ სად იმყოფება იგი ამჟამად? მაგრამ თქვენ არც გიკითხავთ მუჰამედისთვის ყოველივე ამის შესახებ მაშინ, როცა იგი, თითქოსდა სიზმარშიაო, გითხრობდათ სამოთხის ამ სამი მდინარისათვის. სოლო ჩვენ სრულიად აშკარად გიცხადებთ თქვენ, რომ ეს თქვენი საოცარი დედა აქლემი თქვენს უწინარეს და თქვენს წინამორბედად შესულა სახედართა სამშვინველში, სადაც თქვენც მოგიწევთ შესვლა და ცხოვრება პირუტყვთა მსგავსად; სწორედ იქაა უკიდურესი წყვდიადი და დაუსრულებელი ტანჯვა, ცეცხლი მოტყინარე და მატლი დაუძინებელი ჯოჯოხეთის დემონებითურთ.

და კიდევ, ერთ ასეთ თქმულებაში ტრაპეზის შესახებ მუჰამედი ამბობს, რომ ქრისტემ ღმერთს ტრაპეზი სთხოვა, და ეს ტრაპეზი მიეცაო მას. ღმერთმაო, ნათქვამია თქმულებაში,

უთხრა ქრისტეს: მე გაძლევ შენ და იმათაც, ვინც შენთანაა, უკვდავ ტრაპეზს!

გარდა ამისა, მუჰამედს შეუთხზავს თქმულებაც მოზვერის შესახებ და კიდევ მრავალი სხვა ზონაჩმახიც, სწორედ რომ სიცილის ღირსი, რომელნიც მათი სიმრავლის გამო, უპრიანია გამოვტოვოთ. მან ისიც დაუწესა სარკინოზებს, რომ წინადაიცვეთდნენ, არ დაიმარხავდნენ შაბათს და არც მოინათლებოდნენ; ერთი რამ სჯულით ნებადართულისაგან — მიეღოთ საზრდოდ, ხოლო სხვა რამისაგან, რაც ასევე ნებადართულია სჯულით, თავი შეეკავებინათ, ღვინის მიღება კი, როგორც ვიცით, ამქვეყნად საერთოდ აღუკრძალა თავის მიმდევრებს.

102. ქრისტიანთა მგმობნი, ანუ ქრისტიანობის შემაჩვენებელნი: ეს მწვალებელნი ასე იმის გამო იწოდნენ, რომ ბრალს გვდებენ ჩვენ, ჭეშმარიტ ქრისტიანებს ელინთა მსგავს კერპთმსახურებაში, მაშინ, როცა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა ერთს ცხოველ და ჭეშმარიტ ღმერთს ემსახურება და თაყვანს სცემს პატიოსან ხატებს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, ჩვენი უბიწო და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა, წმიდა ანგელოზთა და უფლის წმიდა აღმსარებელთა. ასე, რომ სწორედ წმიდა ხატების თაყვანისცემაში დაგვდეს ბრალი ამ მწვალებლებმა და ისინი კიდევ ხატთმბრძოლებადაც იწოდებიან იმის გამო, რომ, აღივსნენ რა უკეთურებით, უაღრესი მკრეხელობის მაგალითი უჩვენეს ყველას და დაწვეს და გაანადგურეს პატიოსანი ხატები, და ეკლესიის კედლებზე გამოსახული სხვა სიწმინდეებიც მოსპეს, — ზოგი ჩამოფხიკეს, სხვანი კი საღებავებითა თუ საგოზავებით დაჰფარეს, სადაც კი ხელი მიუწვდათ. და ეს საშინელი გმობა საღმრთო სიწმიდეებისა და ბრძოლა მართლმადიდებელი ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ კვლავაც, ჩვენს დღეებშიც გრძელდება.

გარდა ამისა ეს მწვალებელნი თ ი მ ო ლ ე ო ნ ტ ე ბ ა დ ა ც იწოდებიან, რადგანაც როცა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, თავიანთი მწვალებლობა ჭეშვინვარე რისხვით „თიმო“ აღავსეს და ცემითა და ტანჯვა-წამებით უზომოდ მოსწყლავდნენ ყველა იმათ, ვინც აღიარებდა და თაყვანს სცემდა წმიდა პატიოსან ხატებს. ამასთანავე, ეს სახელწოდება მათ ხატთმბრძოლი მწვალებლობის შემომღებისაგან (ერესიარხი-

საგან) უკეთური იმპერატორის ლეონ ისავრიელისაგან (717—741) მიიღეს.

108. აპოსქისტები: ეს მწვალებელნი კიდევ დოქსარიებადაც იწოდებიან. მათი მწვალებლობა იმაში მდგომარეობს, რომ რაკი საკუთარ დიდებას ეძიებდნენ, ისინი არ ემორჩილებოდნენ საღმრთო სიმართლეს და არად აგდებდნენ მ ი ს მღვდელმსახურებს. აპოსქისტები თანაუგრძნობენ ავტოპროსკოპტების მწვალებლობას (იხ. მე-100-ე მწვალებლობის აღწერა) და თითქოსდა მიესწრაფვიან დაიცვან სჯულისმიერი დადგინებანი, მაგრამ რაკი არა ჰყავთ არც ეპისკოპოსები, არც წინამძღვარნი, არამედ ემორჩილებიან რა ვიღაც საეროთ, ისინი განეშორებიან კათოლიკე ეკლესიას. ევტიქელთა თუ მასალიანთა მიბაძვით აპოსქისტები ამბობენ, რომ განდეგილნი (ასკეტები) არ უნდა დარჩნენ ხოლმე საეკლესიო მსახურებაზე (საეკლესიო ერთობაში) და მხოლოდ განმხოლოებული ლოცვა-ვედრების აღსრულებით დაკმაყოფილდნენ თავიანთ სენაკებში. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წვალების მიმდევარნი ზოგიერთი რამით ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან, რადგანაც, როგორც ვიცით, სიცრუე მრავალსახა და მრავალფეროვანია.

განიშორებენ რა თავს წმიდა ეკლესიასთან ერთობისაგან, აპოსქისტები თავს ისე მოაჩვენებენ ყველას, თითქოსდა უცთომლად აღასრულებდნენ სჯულისმიერ წესებს, და ცდილობენ ერთმანეთის წინაშეც უკეთესად გამოჩნდენ. ზოგნი მათგან არ მიიღებენ საღმრთო ნათლობას და არც წმიდა ზიარებას, სხვანი პატივს არ სცემენ და არ ეთაყვანებიან. მცირე ხნის წინ გაკეთებულ პატიოსან ჯვრებსა და ასევე ახალ დროში შექმნილ წმიდა ხატებს. და რადგანაც საკუთარ თავს სხვა ადამიანებზე აღმატებულად მიიჩნევენ, ისინი არ შეიწყნარებენ მღვდელმსახურებს და არად აგდებენ მათ, ეს კი ყველა სხვა ბოროტებაზე უფრო დიდი უკეთურებაა. და ამის სანაცვლოდ, როგორც ეს ცრუ ადამიანებს სჩვევიათ, რაკი სინდისი დამწვარ-დანაცრებული აქვთ, პირფოთნედ ეჯიბრებიან ერთმანეთს სიტყვისმიგებაში ყოველივე ამაოის გამო და არა სულისთვის რაიმე სასარგებლოსთვის. ამით ისინი შეშას, თივასა და ლერწამს იგროვებენ თავიანთი საუკუნო ცეცხლისთვის,

როგორც ამას წმიდა პავლე მოციქული ბრძანებს (I კორინთ. 3,12). მაშ, დაე, ერთნაირად განქარდებოდნენ ხატთმბრძოლთა კადნიერება-სითავხედეც და სიცოფეც აპოსქისტი მწვალებლებისა, რომელნიც განსხვავებულად ბოროტნი არიან, მაგრამ ერთნი არიან თავიანთი უკეთურებით!

ეს აღწერანი მწვალებლებისა ბოკლედაა გადმოცემული იმიტომ, რომ ისინი წარმომშობნი არიან ყველა სხვა მწვალებლობისა. სულ კი მათი რაოდენობა, როგორც ვნახეთ, ასზე მეტია.

ხოლო ქრისტეს წმიდა მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესია, რომელიც ყველა ამ მწვალებლობას ერიდება ვითარცა მგლის ორმოებსა და საფრთხეთ, განბრძნობილი წმიდა სამების მადლით, პირდაპირ, კეთილმსახურად გვასწავლის და მოგვიწოდებს შემდეგს:

გვწამს, მ ა მ ა, ძ ე და ს უ ლ ი წ მ ი დ ა — ერთი ღმრთაება სამპიროვანი (სამ ჰიპოსტასში), ერთი ნებელობა, ერთი ქმედება, მაგრამ თანაბრად სამივე პირში, უხორცო (განუსხეულებელი) სიბრძნე — არაქმნილი, უკვდავი, მიუწვდომელი (ადამიანის გონებისათვის), დაუსაბამო, უძრავი, უცვალებელი, დაურღვეველი, აღუწერელი თანაბარი დიდებისა, თანაბარი ყოვლადძლიერებისა, თანაბარი სიდიდისა, თანაბარი ძალისა, ერთი ბუნებისა, ყოვლად არსმყოფი, ყოვლად სახიერი, სამგზის ნათელი, სამგზის მზიანი, სამგზის ბრწყინვალე. მ ა მ ა — ნათელია, ძ ე — ნათელია, ს უ ლ ი წ მ ი დ ა — ნათელია. მ ა მ ა — სიბრძნეა, ძ ე — სიბრძნეა, ს უ ლ ი წ მ ი დ ა — სიბრძნეა. ერთია ღმერთი, და არ არის სამი ღმერთი. ერთია უ ფ ა ლ ი — წმიდა სამება, შეცნობადი სამი ჰიპოსტასში. მ ა მ ა — მამაა და არ არის ქმნილი; ძ ე — შვილია (ძეა), შობილია, მაგრამ არ არის ქმნილი რამეთუ ი გ ი — მამისაგანაა; ს უ ლ ი წ მ ი დ ა — არ არის შობილი და არ არის ქმნილი, არამედ იგი გამოვალს, რამეთუ მამისაგანაა. აქ არაფერია ქმნილი, არავინაა პირველ-მეორე, არაფერია ბატონურ-მონური, არამედ ერთია ს ა მ ე ბ ა, ერთი იყო და არის და იქნება უკუნითი უკუნისამდე, — რწმენით შეცნობადი და რწმენითვე თაყვანის-საცემი, და

არა — კვლევა-ძიებით, გამოწვლილვითა თუ სხვადასხვა დასაბუთებით, რამეთუ რაც უფრო პატად გამოიკვლევენ წმიდა სამებას, მით უფრო შეუცნობადი ხდება ი გ ი, და რაც უფრო მეტად განაღვიძებს ადამიანში ცნობისწადილს, მით უფრო დაფარული შეიქნება.

გწამდეს, ქრისტეს მორწმუნეო, რომ ღმერთი სამპიროვანია (სამი ჰიპოსტასითაა), მაგრამ როგორ — ეს ყოველგვარ სახეზე, მაგალითსა და შედარებაზე მაღლად დგას, რამეთუ ღმერთი მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის. ამრიგად, დაე ყოველი მართალი მორწმუნე უბრალო გონებით სცემდეს თაყვანს და განადიდებდეს ღმერთს!

ნუ იტყვი, კაცო, სამებისთვის, თუ როგორ არსებობს იგი სამობით! რამეთუ ღმერთი გამოუკვლეველია. ხოლო თუკი ცნობისწადილი გიპყრობს ღმერთისთვის, პირველად თვით შენივ თავისთვის მითხარი და ის ამიხსენი, რაც შენ შეგეხება! როგორ აღიძვრის და მოქმედებს შენი გონება? როგორ დაჰბადებ შენ სიტყვას? როგორ არსებობ შენ — მოკვდავიცა და უკვდავიც ერთსა და იმავ დროს? მარქვი, თუ ძალგიძს, ყოველივე ეს!.. მაგრამ თუკი შენ არ უწყი, რა არის შენს შიგნით, მაშინ რად არ შეძრწუნდები ი ს გამოიკვლიო, ვ ი ნ ც ცათა მაღლად ჰგიებს?!

ჰოდა, მაშ, იაზრე და შეიმეცნე მ ა მ ა, როგორც წყარო ცხოვრებისა; ძ ე — როგორც მდინარე დამბადებელი; ს უ ლ ი წ მ ი დ ა — როგორც ზღვა, რამეთუ წყაროც, მდინარეც და ზღვაც — ერთი ბუნებისაა. იაზრე მამა, როგორც ფესვი, ძე — როგორც რტო, სულიწმიდა — როგორც ნაყოფი, რამეთუ სამივეში — ერთი ბუნებაა. მამა — მზეა, მქონე სხივებისა — ძისა, და სითბოსი — სულიწმიდისა. ყოვლად წმიდა სამება ბევრად აღემატება ყოველგვარ სახესა და მოხაზულობას. როცა გესმის სიტყვა მამისაგან შობაზე (ძისა), ნუ იფიქრებ ხორციელ (სხეულებრივ) შობაზე. როცა გაიგებ რაიმეს ს ი ტ ყ ვ ა ზ ე, ნუ იაზრებ მ ა ს სხეულებრივი სიტყვის მნიშვნელობით. როცა გესმის რაჰ ღმერთის ს ულ ი ს შესახებ, ნუ იგულისხმებ რაღაც ქარსა თუ სუნთქვას. შემოქმედი — მ ი ს ქმნილებებთან ანალოგიით შეიმეცნება. როცა იწამებ, რომ ღმერთის ძის შობა ქალწულისაგან უთესლოდ და

უხრწნელად აღსრულდა და რომ ი გ ი შეურევნელად და უცვალებელად არის ღმერთი და კაცი, იფიქრე იმაზეც, რომ ყოველივე ეს, მ ა ნ შენთვის აღასრულა, თაყვანი ეცი მ ა ს და ემსახურე კეთილი საქმეებით! თაყვანი ეცი და ჯეროვანი პატივი მიაგე ყოვლად სახიერ ღმრთისმშობელსა და მარადის ქალწულს მარიამს, როგორც ღმრთის ჭეშმარიტ დედას, და ყველა მ ი ს წმიდანს, როგორც მსახურებს ღმერთისა, თუკი ამას აღასრულებ, შეიქნები მართალი პატივისმცემელი წმიდა შეურევნელი სამებისა, მ ა მ ი ს, ძ ი ს ა და ს უ ლ ი წ მ ი- დ ი ს ა, ერთი ღმრთაებისა, რომელსა შვენის დიდება და პა- ტივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნი- სამდე! ამინ!

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა

წიგნი მეოთხე

თავი I

საღმრთო აღმშენებლობისათვის და ადამიანთა ხსნისათვის ზრუნვის შესახებ

ამრიგად, ბოროტების მიზეზის — ეშმაკის ამ თავდასხმით ადამიანი საცთურს ეწია, არ დაიმარხა შემოქმედის მცნებანი, მოაკლდა მადლს, დაკარგა სასოება ღმრთისა და უბადრუკი ცხოვრება ერგო, — რამეთუ ამას მოასწავებენ ლეღვის ფოთლნი (დაბად. 3,7), — შეიმოსა მოკვდავობა, ანუ მოკვდავი და უხეში ხორცი, — რამეთუ ამას ნიშნავს ტყავის შესამოსელით შემოსვა (დაბად. 3,21), — ღმერთის მართალი მსჯავრით განგდებულ იქნა სამოთხისაგან, სასჯელად სიკვდილი მიიღო და ხრწნილებას დაექვემდებარა[1] მაგრამ მოწყალე ღმერთმა, რომელმაც არსებობა და ნეტარი ცხოვრება მიანიჭა ადამიანს, არც ამ ყოფაში ჩავარდნილი მოიძაგა იგი, და ჯერ მრავალი ღონით შეაგონებდა და თავისკენ მოქცევად მოუწოდებდა მწუხარებითა და „ოფლითა პირისაითა“ (დაბად. 3,17,19), მერმე წარღვნითა და კაცთა თითქმის მთელი მოდგმის წარწყმედით (დაბად. 6,19), ენათა შერევნითა და განყოფით (11,4), ანგელოზთა წინამძღვრობით (18,2 და შემდგ.), ქალაქთა მოსპობით (19,24 და შემდგ.), წინათ მომასწავებელი საღმრთო გამოცხადებებით, ომებით, ძლევით, მარცხით, ნიშებითა და სასწაულებით, სხვადასხვა ძალთა მოვლინებით, სჯულისდებითა და წინასწარმეტყველთა მსახურებით. ყოველივე

ამით განზრახული იყო ცოდვის აღმოფხვრა, მრავალი სხვადასხვაგვარი ნაკადით რომ გადაღვრილიყო მთელს ქვეყნიერებაზე, დაემონებინა ადამიანი და ერთიანად აღევსო მისი ცხოვრება ყოველგვარი ბიწიერებით; და ამითვე განზრახული იყო ადამიანის დაბრუნება ნეტარ ცხოვრებად. მაგრამ რადგანაც ცოდვის მიზეზით სიკვდილიც შემოვიდა ამქვეყნად, გარეული და მძვინვარე მხეცის მსგავსად რომ შესჭამს ადამიანის სიცოცხლეს, ამიტომ მომავალი მხსნელი (მაცხოვარი) უცოდველი და სიკვდილს დაუქვემდებარებელი უნდა ყოფილიყო, სიკვდილისა, ცოდვის მიზეზით რომ აღმოცენდება; რამეთუ, ამასთანავე, აუცილებელი იყო ადამიანის ბუნების განმტკიცება და განახლება, მისი საქმით შეგონება და სათნოების მისაღწევად მისთვის გზის ჩვენება, რაც განაშორებდა ადამიანს ხრწნას და საუკუნო ცხოვრებად ეიყვანდა, სადაც, ბოლოს, მის წინაშე გადაიშლებოდა უსამანო ზღვა საღმრთო კაცთმოყვარებისა. თვით შ ე მ ო ქ მ ე დ ი და უ ფ ა ლ ი იწყებს ბრძოლას თავისი ქმნილებისათვის და საქმით შეიქნება მ ო ძ ღ ვ რ ა დ. და რადგანაც ეშმაკმა ადამიანი იმით მოინადირა, რომ საღმრთო ღირსების მიღწევას დაჰპირდა, ამიტომ თვით ეშმაკიც იმით იქნება მონადირებული, რომ ღმერთი ხორცქმნილი (სხეულით შემოსილი) ჭოკალს ამქვეყნად. და ამით ცხადდება ერთსა და იმავ დროს სიხიერებაც და სიბრძნეც, სიმართლეცა და ყოვლადძლიერობაც ღმრთისა: სახიერება იმიტომ, რომ შემოქმედმა ღმერთმა არ მოიძაგა თავისი ქმნილება მისი უძლურებისა გამო, არამედ შეიწყალა იგი, დაცემული, და შეწევნის ხელი გაუწოდა; სიმართლე იმიტომ, რომ როცა ადამიანი ძლეულ იქმნა (ეშმაკის მიერ), ღმერთი სხვას ვინმეს კი არ შეიქმს მძლეველად ნეტარვალისა და არც ძალით გამოსტაცებს ადამიანს სიკვდილის კლანჭებს, არამედ ი გ ი, სახიერი და მართალი, სწორედ იმას შეიქმნს მძლეველად, ვინც ოდესღაც შეცოდების გამო სიკვდილმა დაიმონა, და — რაც შეუძლებელი ჩანდა, — მსგავსით იხსნის მსგავსს; სიბრძნე კი იმიტომ, რომ ღმერთმა ყველაზე ჯეროვანი და კეთილადსაფერი გადაწყვეტა მოგვმადლა გამოუვალი, უიმედო მდგომარეობისა. რამეთუ ღმრთისა და მამის სათნოებისაებრ, შემოქმედის კეთილი ნებით, მხოლდოშობილი ძე ღმრთისა

ღა თავად ღმერთი, „რომელი იყო წიაღთა მამისათა“ (იოანე 1,18); ერთარსი მამისა და სულიწმიდისა, მყოფი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, დაუსაბამო, რომელიც დასაბამად იყო ღმრთისა და მამისა თანა, თვით იყო ღმერთი და „ხატი „ღმრთისაჲ იყო“ (ფილიპ. 2,6), ს ი ტ ყ ვ ა ღმრთისა მისდრეკს ცათ, და ქვეყნად გარდამოხდება, ანუ თავის დაუმდაბლებელ სიმაღლეს დაუმდაბლებლად დაიმდაბლებს, თავის შონებთან ქვე-გარდამოვალს — გამოუთქმელი და მიუწვდომელი გარდამოვლენით; რამეთუ სწორედ ესაა გარდამოსვლა და დამდაბლება; და სრულყოფილი ღმერთი შეიქნება სრულყოფილ კაცად, რითაც აღსრულდება ყველაზე ახალი საქმე, ერთადერთი და უახლესი ყოველივე იმისაგან, რაც კი არსებობს „მზესა ამას ქვეშე“ (ეკლეს. 1,10) და რაშიც გაცხადდება უსაზღვრო ძლიერება ღმრთისა. რა უნდა იყოს ამაზე აღმატებული, რამეთუ ღმერთი ადამიანი შეიქნა! ს ი ტ ყ ვ ა ხორციელ იქმნა დაურღვევლად — სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან წმიდისა, მარადის ქალწულისა და ღმრთისმშობელისა. ისახება რა ქალწულის უმანკო საშოში არა ქინისა თუ წადილისაგან, ან თუ მამაკაცთან შეერთების შედეგად, არამედ სულისაგან წმიდისა და მსგავსად პირველი ადამიანის გაჩენისა, — სიტყვა — ღმერთი, რომელი ერთია ჭეშმარიტად კაცთმოყვარე, გვევლინება შუამავალად ღმერთსა და ადამიანებს შორის, შეიქნება მორჩილად მამისა და განჭკურნავს ჩვენს ურჩებას იმის მიღებით, რაც ჩვენი, ადამიანთა, მსგავსია, და რაც ჩვენგანაა, რითაც მისაბაძ მაგალითად შეიქნება ჩვენთვის სიმდაბლისა და მორჩილებისა, უერომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი ხსნა და ცხოვნება.[2]

თ ა ვ ი II

მასზედ, თუ როგორ ჩაისახა ს ი ტ ყ ვ ა — ღმერთი; და მ ი ს ი ღვთაებრივი განხორციელებისათვის.

ანგელოზი უფლისა მოეცალინა წმიდა ქალწულთან, რომელიც წარმოშობით დავითის ტომისაგან იყო. „წინაასწარ ნათესავისაგან აღმოგვიბრწყინდა უფალი ჩვენი...“ (ებრ. 7,14), „...რომლისაგანი არასადა საკურთხეველსა წარდგომილ იყო“ (7,13), რაზეც ჩვენ უფრო დაწვრილებით შემდგომ ვისაუბრებთ. ანგელოზმა ახარა მას და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!“ (ლუკა 1,28). „ესოლო შან, რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყვასა მას მისსა ზედა... და ჰრქუა მას ანგელოზმან: ნუ გეშინინ, მარიამ! რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“ (1.29—31). „რამეთუ მან იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან“ (მათე 1,21). ამიტომაც სახელი იესუ ნიშნავს მხსნელს.[3] ხოლო როცა ქალწულმა მარიამმა გაკვირვებით უთხრა ანგელოზს — „ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვიცი?“ (ლუკა 1,34), — ანგელოზმა მიუგო: „სულიწმიდაჲ ნეფოდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“ (1,35).[4] მაშინ კი ქალწულმა მარიამმა უთხრა ანგელოზს: „აჰა მხევალ უფლისაჲ, მიყოფენ მე სიტყვისაებრ შენისა“ (ლუკა 1,38).

და მართლაც, მას შემდეგ, რაც წმიდა ქალწულმა თანხმობა გამოუცხადა ანგელოზს, მასზე, უფლის სიტყვისაებრ, ანგელოზის მიერ უწყებულისა, სულიწმიდა გარდამოვიდა, განწმიდა იგი და მიანიჭა ძალა იმისა, თუ როგორ მოეღო თავის არსებაში ღმრთაება ს ი ტ ყ ვ ი ს ა და როგორ ეშვა კიდეც ი გ ი. და მაშინ გააცისკროვნა იგი თითეოსდა საღმრთო თესლმა — ძემ ღმრთისა, ჰიპოსტასურმა სიბრძნემ და ძალმა მაღალი ღმერთისა, ერთარსმა მამისა, და წმიდა ქალწულის უბიწო და წმიდა სისხლთაგან აღმოაცენა ჩანასახი თავისა — ჩვენი მსგავსი ხორცი, განცოცხლებული მოაზროვნე და გო-

ნიერი სულით, — და ეს ქმნა არა თესლის განაყოფიერების გზით, არამედ ღვთაებრივი შემოქმედებით — სულიწმიდის მეშვეობით. ამასთან ადამიანური ხატი (სიტყვისა) თანდათანობითი თანაშეზრდით კი არ წარმოქმნებოდა, არამედ ერთბაშადვე აღსრულდა. თვით სიტყვა ღმრთისა შეიქნა ჰიპოსტასად ხორცისა. რამეთუ ღმერთის სიტყვა იმგვარ ხორცს როდი შეუერთდა, რომელიც მანამდე უკვე არსებობდა თავისი პიროვნული თავისთავადობით (ჰიპოსტასურად), არამედ შესახლდა რა საშოში წმიდა ქალწულისა, მან თავის ჰიპოსტასში მიიღო ხორცი (სხეული) მარადის ქალწულის წმიდა სისხლთაგან, — მოაზროვნე და გონიერი სულით განცოცხლებული ხორცი. მაშასადამე, მიიღო რა დასაბამი ადამიანური შედგენილობისა, თვით სიტყვა შეიქნა ჰიპოსტასად ადამიანური სხეულისა, და ხორცის წარმოქმნისთანავე იგი უნდა ვაღიაროთ ხორცად (სხეულად) სიტყვა-ღმერთისა და, ამასთან, მოაზროვნე და გონიერი ადამიანური სულით განცოცხლებულ ხორცად (სხეულად). აქიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ არა განღმერთებული კაცის შესახებ, არამედ განკაცებული ღმერთის შესახებ.[5]

თვით იგი, რომელი ბუნებით არის სრულყოფილი ღმერთი, შეიქნა ბუნებით სრულყოფილ ადამიანად. ამასთან ბუნებას მისას არ განუცდია ცვალება, და არც მოჩვენებითად განხორციელებულა; არამედ წმიდა ქალწულისაგან მიღებული ხორცით, რომელიც განცოცხლებული იყო მოაზროვნე და გონიერი სულით, და თვით მასში (სიტყვა-ღმერთში) შეიძინა არსებობა, — იგი ჰიპოსტასურად შეუერთდა, — შეურევნელად, უცვალებელად და განუყოფლად, — თავის ადამიანურ სხეულს, ისე, რომ მისი ღვთაებრივი ბუნება არ გარდაქმნილა ხორცის ბუნებად, და ამით არ შეუდგენია რაღაც ერთი ბუნება, შემდგარი მისი ღვთაებრივი ბუნებისა და ადამიანური ბუნებისაგან, რომელიც განკაცებით მიიღო.[8]

თ ა ვ ი III

ორი ბუნებისათვის (ქრისტეში), — მონოფიზიტთა წინააღმდეგ.

ორი ბუნება (ქრისტეში) ერთმანეთს შეუერთდა გარდაქმნისა და ცვალების გარეშე, ისე, რომ არც საღმრთო ბუნება მოჰკლებია თავის არსს, და არც ადამიანური ბუნება ქცეულა ღვთაებრივ ბუნებად და არც არსებობა შეუწყვეტია, და ასევე ამ ორი ბუნებისაგან ერთი რამ შედგენილი ბუნება არ წარმოქმნილა. რამეთუ შედგენილ ბუნებას, რაკი ის სხვად ქცეულა, როგორც სხვადასხვა ბუნებისაგან წარმოქმნილი რამ, უკვე აღარ ძალუძს ერთარსი იყოს არც ერთისა იმ ბუნებათაგან, რომლებისგანაც შესდგება. მაგალითად, ოთხი სტიქიისაგან შემდგარი სხეული არ იწოლება ერთარსად ცეცხლისა, არც ცეცხლად, არც ჰაერად, არც წყლად თუ მიწად, და არ არის ერთარსი არც ერთისა ამ სტიქიათაგან. ამიტომ, თუკი ქრისტე ბუნებათა შეერთების შემდგომ ერთი შედგენილი ბუნებისა შეიქნა, როგორც ამას მწვალებელნი ჰგონებენ, მაშინ ი გ ი მარტივი ბუნებისაგან რთული (შედგენილ) ბუნებად ქცეულა და აღარც მ ა მ ი ს ერთარსია, რ ო მ ლ ი ს ბუნებაც მარტივია, და აღარც — დედისა, რადგან წმიდა ქალწული არ იყო ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების მქონე; და იმ შემთხვევაში არც ქრისტეს არ ექნებოდა ღვთაებრიობა და ადამიანობა, ვერ იწოდებოდა ვერც ღმერთად და ვერც ადამიანად, არამედ მხოლოდ ქრისტეს იწოდებოდა, თუმცა კი თვით ეს სახელიც — ქრისტე — მათი (მწვალებელთა) შეხედულების თანახმად, პირის სახელი კი არ იქნებოდა, არამედ მხოლოდ ბუნებისა.[7]

ჩვენ კი ვასწავლით, რომ ქრისტე არ არის შედგენილი ბუნების მქონე, და არც იმგვარია, თითქოს ორი სხვადასხვა ბუნებისაგან რაღაც სხვა რამ წარმოქმნილიყოს, როგორც, მაგალითად, სულისა და სხეულისაგან ადამიანია წარმოქმნილი, ანდა ოთხ სტიქიათაგან — სხეული; ქრისტე შედგება ორი სხვადასხვა ბუნებისაგან, რომლებიც იგივენი არიან მ ა ს შ ი შეერთების შემდგომ, რაც შეერთებამდე იყვნენ. ჩვენ ვ	r-

რებთ, რომ ერთი და იგივე (ქრისტე) შედგება ორი ბუნებისაგან — ღმრთაებისა და ადამიანობისაგან, და ი გ ი ორ ბუნებოვანია, ანუ არის და იწოდება სრულყოფილ ღმერთად და სრულყოფილ კაცად. ხოლო სახელს — ქრისტე — ჩვენ ვაღიარებთ პირის (ჰიპოსტასის) სახელად და იგი ცალსახოვნად კი არ გვესმის, არამედ როგორც აღმნიშვნელი ორი ბუნებისა; რამეთუ ქრისტემ თვით შექმნა თავი ცხებულად: როგორც ღმერთი იგი იყო სხეულის მცხებელი თავისი ღმრთაებით, როგორც ადამიანი კი — ცხებული იყო, — ასე, რომ ი გ ი არის მცხებელიც და ცხებულიც. მისი ადამიანური ბუნების ცხება კი მისივე ღმრთაებითაა განპირობებული. მაშასადამე, თუკი დავუშვებთ, რომ ქრისტე ერთი შედგენილი ბუნებისაა და ერთარსია მამისა, მაშინ მამაც შედგენილი იქნება და ერთარსი ხორცისა, რაც სრული უაზრობაა და აღსავსეა ყოველგვარი გმობით ღმერთისა.[8]

ან კი როგორ შეეძლო ერთ ბუნებას თავის თავში დაეტია ურთიერთსაწინააღმდეგო არსებითი თვისებანი?! როგორ შეიძლება ერთი და იგივე ბუნება ერთსა და იმავ დროს ქმნილიც იყოს და არაქმნილიც, მოკვდავიც და უკვდავიც, მისაწვდომიც და მიუწვდომელიც, გარეშემოწერადიც და გარეშემოუწერელიც?!

ხოლო თუკი ისინი, ვინც ქრისტეს ერთბუნებოვნებას მიაწერს, ამ ერთ ბუნებას მარტივს უწოდებენ, მაშინ მათ ქრისტე ან მხოლოდ ღმერთად უნდა აღიარონ და მისი განკაცება კი არ დაუშვან, არამედ მხოლოდ აჩრდილი (მოჩვენებითი) განკაცებისა, ანდა ნესტორის ცრუწავლების თანახმად, იძულებულნი იქნებიან ქრისტე უბრალო ადამიანად აღიარონ. და მაშინ სადღა იქნება ის ჭეშმარიტება, რომ ქრისტე სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანია? კვალად როდისღა ჰქონდა, მათი აზრით, ქრისტეს ორი ბუნება, თუკი (ბუნებათა) შეერთების შემდგომ, — მათივე სიტყვისაებრ, — მ ა ს ერთი შედგენილი ბუნება ჰქონდა? ის კი, რომ (ბუნებათა) შეერთებამდე ქრისტეს ერთი (ღვთაებრივი) ბუნება ჰქონდა, — ეს ყველასთვის ცხადია.[9]

მაგრამ მწვალებელნი შეცდომას უშვებენ იმ გარემოების გამო, რომ ბუნებასა და ჰიპოსტასს ისინი ერთსა და იმავე

რამედ მიიჩნევენ; ჩვენ თუმცა კი ვამბობთ ხოლმე, რომ ადამიანში ერთი ბუნებაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამის თქმისას არ ვითვალისწინებთ განსაზღვრებას (ადამიანის) სულისა და სხეულისა, რადგან თუკი ერთმანეთს შევუდარებთ სულსა და სხეულს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ არ შეიძლება მტკიცება — ისინი ერთი ბუნებისა არიანო.[10] მაგრამ რადგანაც ადამიანის ჰიპოსტასი მრავალია და ყველას ერთი განსაზღვრება აქვს ბუნებისა, რამეთუ თითოეული ერთნაირად შედგება სულისა და სხეულისაგან, ანუ ყოველმა მათგანმა მიიღო ბუნება სულისა და ბუნება სხეულისა ერთნაირ გარეგნობასთან ერთად, — ამიტომ ჩვენ ვამბობთ კიდეც, რომ ბუნება ადამიანებისა, — ძალზე მრავალი და ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნებისა (ჰიპოსტასისა), — ერთია, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ პიროვნებას საკუთრივ აქვს ორი ბუნება, ანუ ყოველი ადამიანი ორი ბუნებისაგან შემდგარი გონიერი არსებაა, — მე ვგულისხმობ ბუნებას სულისა და ბუნებას სხეულისა.[11]

ხოლო ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მიმართ შეუძლებელია საერთო სახეობის პოვნა, რამეთუ არასდროს ყოფილა, არ არის და არ იქნება სხვა ქრისტე, ანუ ისეთი ჰიპოსტასი, რ ო მ ე ლ შ ი ც ღმრთაებაც იქნებოდა და ადამიანობაც, და რ ო მ ე ლ ი ც თავისი ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებით ერთი და იგივე პიროვნება იქნებოდა — სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. ამიტომ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს გამო არ შეიძლება იმის თქმა, რომ მ ა ს ერთი ბუნება აქვს, ანუ არ შეიძლება თქმა იმისა, რომ როგორც ყოველი ცალკეული ადამიანი (პიროვნება) შედგება სულისა და სხეულისაგან, ასევე ქრისტეც ღმრთაებისა და ადამიანობისაგან შედგებაო, რადგან პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს პიროვნებასთან, რომელიც ზოგადი სახეობის თუ გვარის ერთ-ერთი წევრია, ქრისტე კი არ არის ამგვარი პიროვნება, რადგანაც მისთვის არ არსებობს არანაირი სახეობა და გვარი, რისი ერთ-ერთი წევრი იგი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც ვამბობთ, რომ ქრისტეს პიროვნებაში შეერთდა ორი სრულყოფილი ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური, — არა შერევნის, შერწყმის, შეზავებისა თუ აღრევის სახით, როგორც

ბმას ამტკიცებდნენ ღმრთისაგან მოშორებული დიოსკორე, ევტიხი თუ სევერი და მათი ღმრთისაგან უარყოფილნი მიმდევარნი; ასევე ეს არ იყო შეერთება ორი სხვადასხვა პირისა, და არც პირობითი შეერთება: ღირსების, ნების იგივეობის, პატივის თანაფარდობის, ერთსახელიანობისა თუ სათნოების მხრივ, — როგორც ამბობდნენ ღმერთის მოძულე ნესტორი, დიოდორე, თეოდორე მოპსუეტელი და მათი დემონური საკრებულო; არამედ, პირიქით, ეს შეერთება აღსრულდა შეუღლების სახედ, ანუ ერთ ჰიპოსტასში დაურღვევლად, შეურევნელად, უცვალებელად, განუყრელად და განუყოფლად შეერთდა ორი ბუნება— ღვთაებრივი და ადამიანური. და ამ ორ ბუნებაში, რომელნიც სრულყოფილნი არიან, ჩვენ ვაღიარებთ ერთ ჰიპოსტასს ღმერთის ძისა, განკაცებულისა, ანუ ერთსა და იმავე ჰიპოსტასად ვთვლით მ ი ს ღმრთაებასა და მ ი ს ადამიანობას, და ვაღიარებთ, რომ ორივე ეს ბუნება მასში მრთელია შეერთების შემდგომაც. ჩვენ არ ვგონებთ, რომ თითოეული ეს ბუნება ცალკე და თავისთვისაა, არამედ ვცნობთ მათ ურთიერთშეერთებულთ ერთ შედგენილ ჰიპოსტასში. ამ შეერთებას ჩვენ არსებითად მივიჩნევთ, ანუ ჭეშმარიტ შეერთებად, და არა — მოჩვენებითად. არსებითად იმ აზრით კი არ მივიჩნევთ, თითქოს ორმა ბუნებამ ერთი რთული ბუნება შეადგინა, არამედ იმ აზრით, რომ ესინი ერთმანეთს შეუერთდნენ ერთ შედგენილ ჰიპოსტასში ღმერთის ძისა და, ამასთან, თითოეულმა შეინარჩუნა თავისი არსებითი განსხვავება. რამეთუ ქმნილი — ქმნილადვე დარჩა (ანუ ადამიანური ბუნება); მოკვდავი — მოკვდავად დარჩა, უკვდავი კი — უკვდავად; გარეშემოწერადი — გარეშემოწერადვე დარჩა, გარეშემოუწერელი კი—გარეშემოუწერელადვე; ხილული—ხილულად, არახილული კი — არახილულად. „ერთი (ბუნება) სასწაულთა ქმნით ბრწყინავს, მეორე კი შეურაცხყოფას ეწია“.[12]

ს ი ტ ყ ვ ა მ გაითავისა ადამიანური თვისებანი, რამეთუ მ ა ს ვ ე ეკუთვნის ყოველივე ის, რაც მ ი ს ი წმიდა ხორცის კუთვნილებაა. ასევე თვით ს ი ტ ყ ვ ა ც აძლევს ხორცს უნარს მონაწილე იყოს მ ი ს ი თვისებებისა, რადგან ორი ბუნება ქრისტესი ურთიერთთანაზიარი შეიქნა და შეერთების

შემდგომ ისინი განმსჭვალავენ ერთმანეთს და ერთი ჰიპოსტასი არიან; ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმა და იმავე პირმა აღასრულა ისიც, რაც ღმერთისთვისაა დამახასიათებელი, და ისიც, რაც ადამიანს ახასიათებს, და ეს მოხდა ორივე ბუნების — ღვთაებრივისა და ადამიანურის — ურთიერთთანაზიარობით, და ორივე ბუნებისათვის დამახასიათებელ სახედ არსებობისა.[13] ამიტომაც არის ნათქვამი, რომ „...უფალი იგი დიდებისაჲ ჯვარს-ეცვა" (I კორინთ. 2, 8), თუმცა კი ვუწყით, რომ მ ი ს ი საღმრთო ბუნება ამით არა ვნებულა; კვალად იმასაც ვაღიარებთ ძისა კაცისათვის, რომ იგი (ამქვეყნად) ვნებამდეც იყო ცათა შინა, — როგორც ამას თვით უფალი ამბობს (იოანე 3, 13); რამეთუ თვით ი გ ი, უფალი დიდებისაჲ, ბუნებით და ჭეშმარიტად შეიქნა ძედ კაცისა, ანუ ადამიანად, და ჩვენ ვაღიარებთ, რომ მას ეკუთვნის როგორც სასწაულთმოქმედებანი, ასევე ვნებაც, თუმცა სასწაულებს ი გ ი ღვთაებრივი ბუნებით იქმოდა, ვნებათ კი ადამიანური ბუნებით დაითმენდა. აკი ვიცით, რომ როგორადაც ერთია მ ა ს შ ი ჰიპოსტასი, ასევე არსებითი განსხვავებაც მ ი ს ი ბუნებისა (ღვთაებრივისა და ადამიანურისა) შენარჩუნებულია. მაგრამ განა შეიძლებოდა შენარჩუნებული ყოფილიყო ეს განსხვავება, თუკი არ იქნებოდა შენარჩუნებული თვით ის, რაც არის ამ სხვაობის მატარებელი? — განსხვავება იმათ შორის შეიძლება არსებობდეს, რაც ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენ ვამბობთ, რომ იმის მიხედვით, რითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებანი ქრისტეს არსებაში, ანუ არსის მიხედვით, ქრისტე თანაზიარია ორი უკიდურესობისა: თავისი ღვთაებრივი ბუნებით ი გ ი თანაზიარია მ ა მ ი ს ა და ს უ ლ ი წ მ ი დ ი ს ა, თავისი ადამიანური ბუნებით კი — თავისი დ ე დ ი ს ა და სხვა ადამიანებისაც. ხოლო იმის მიხედვით, თუ როგორ არის მ ა ს შ ი შეერთებული ეს ბუნებანი (ღვთაებრივი და ადამიანური), ქრისტე განსხვავდება როგორც მ ა მ ი ს ა და ს უ ლ ი წ მ ი დ ი ს ა გ ა ნ, ასევე თავისი დ ე დ ი ს ა გ ა ნ ა ც და ყველა სხვა ადამიანისაგანაც, რამეთუ ბუნებანი ქრისტეს არსებაში შეერთებულია ჰიპოსტასურად (ანუ პიროვნულად), და ჩვენ ვამბობთ, რომ მ ა ს აქვს ერთი შედგენილი (რთუ-

ლი) ჰიპოსტასი, რომლითაც იგი განსხვავდება როგორც მამისა და სულიწმიდისაგან, ასევე თავისი დედისაგანაც და ყოველი ჩვენგანისაგანაც.

თავი IV

თვისებათა თანაზიარობისა და ურთიერთმიმართებისათვის

ჩვენ უკვე მრავალგზის ვთქვით, რომ ერთი რამაა — არსი, და სულ სხვა რამ — ჰიპოსტასი, აგრეთვე ისიც ვთქვით, რომ არსი აღნიშნავს ზოგად სახეობას, რომელიც ერთგვაროვან ჰიპოსტასებს მოიცავს. ასეთი არსია, მაგალითად, ღმერთი, ადამიანი; ჰიპოსტასი კი განუყოფელს აღნიშნავს, როგორიცაა, მაგალითად, მამა, ძე, სულიწმიდა, პეტრე, პავლე... ამიტომაც უნდა ვიცოდეთ, რომ საღმრთო და ადამიანური სახელები მიუთითებენ არსთ, ანუ ბუნებათ, ხოლო სახელები „ღმერთი" და „ადამიანი" გამოიყენება არსის (ბუნების) აღსანიშნავადაც, როცა, მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი არის მიუწვდომელი არსება და იგი ერთია, და ჰიპოსტასის აღსანიშნავადაც, როდესაც კერძოობითი ზოგადის სახელს იღებს, მაგალითად საღმრთო წერილი გვეუბნება: „...შეიყვარე სიმართლე და მოიძულე უსჯულოებაჲ, — ამისთვის გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყვასთა შენთა" (ფსალმ. 44,8); ამ შემთხვევაში სიტყვით „ღმერთი" საღმრთო წერილმა აღნიშნა მამა და ძე. მაგრამ როცა საღმრთო წერილი ამბობს — „კაცი ვინმე იყო სოფელსა მას შინა ავსიტისასა, რომელსა სახელი ერქვა იობ"-ო (იობი 1, 1), აქ ამ სიტყვით „კაცი" აღნიშნულია მხოლოდ ერთი ადამიანი — მართალი იობი.

ამიტომ, ვაღიარებთ რა ჩვენს უფალ იესუ ქრისტეში ორ ბუნებას და ერთ ჰიპოსტასს, შედგენილს ამ ორი ბუნებისაგან, — როდესაც მხედველობაში ბუნებანი გვაქვს, მაშინ მათ ვუწოდებთ ღმრთაებას და ადამიანობას, ხოლო როცა ჰიპოსტასს ვგულისხმობთ, შედგენილს ამ ორი ბუნებისაგან, მაშინ მას ან ქრისტედ ვხმობთ, — ორივე ბუნების შესაფერი სა-

ხელნით, და აგრეთვე ღმერთკაცად და განხორციელებულ (განკაცებულ) ღმერთად, ანდა, მის შემადგენელ ბუნებათაგან ერთ-ერთის მიხედვით, ეუწოდებთ მ ა ს ხან მხოლოდ ღმერთს და ღმერთის ძეს, ხან კი მხოლოდ კაცს (ადამიანს) და ძეს კაცისას; ერთს შემთხვევაში მხოლოდ უზენაეს თვისებათა მიხედვით, მეორე შემთხვევაში კი — მ ი ს უდაბლეს თვისებათა. შესაბამისად, რამეთუ ერთი და იგივე პირი (ჰიპოსტასი) ერთნაირად არის ღმერთის ძეც და ადამიანის ძეც („ძე კაცისაჲ"); ღმერთის ძე მარადის ჰგიებს მამისაგან უმიზეზოდ, ძედ კაცისა კი ი გ ი შემდგომ შეიქნა, უკანასკნელს ჟამს, თავისი უზომო კაცთმოყვარეობისა გამო.[14]

მაგრამ როცა მ ი ს ი ღმრთაების შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ არ მივაწერთ ქრისტეს ამ ბუნებას ადამიანობის თვისებებს. ასე, მაგალითად, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ღმრთაება ვნებას არის დაქვემდებარებული, ანდა რომ ის ქმნილია. ამგვარადვე, როცა მ ი ს ი ხორცის (სხეულის) შესახებ, ანუ მ ი ს ი ადამიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ არ მივაწერთ მას ღმრთაების თვისებებს, და არ ვამბობთ ხოლმე, მაგალითად, რომ მ ი ს ი სხეული, ანუ ადამიანობა არ არის შექმნილი. ხოლო ქრისტეს ჰიპოსტასთან დაკავშირებით, — სულერთია, მის შემადგენელ ორივე ბუნების მიხედვით ვაძლევთ ჰიპოსტასს სახელს, თუ მხოლოდ ერთ-ერთი ბუნების მიხედვით, — ყველა შემთხვევაში ორივე ბუნებას თვისებებს მივაწერთ. ასე, ქრისტე არის ის სახელი, რომელიც ერთობლივ ორივე ბუნებას აღნიშნავს, და ამ სახელით იწოდება ღმერთიც და ადამიანიც, ქმნილიც და არაქმნილიც, ტანჯვას დაქვემდებარებულიცა და ტანჯვას დაუქვემდებარებელიც. ასევე, როცა ი გ ი ერთ-ერთი შემადგენელი ბუნების (ანუ ღვთაებრიობის) მიხედვით იწოდება ძედ ღმრთისა და ღმერთად, მაშინ იგი იღებს იმ ბუნების თვისებებსაც, რომელიც ღმრთაების დარადვე ახასიათებს, ანუ ხორცის (სხეულის) თვისებებსაც მიიღებს. ასე, რომ ქრისტე იწოდება ტანჯულ ღმერთად, ჯვარცმულ უფლად დიდებისა იმიტომ კი არა, რომ ი გ ი ღმერთია, არამედ იმდენად, რამდენადაც თავადი ი გ ი არის აგრეთვე ადამიანი. ასევე როცა ქრისტე იწოდება ადამიანად და ძედ ადამიანისა (კაცისა), იგი იღებს თვისებებსა და თავისებურებებს

საღმრთო ბუნებისა და იწოდება წინადსაუკუნო ყრმად, დაუსაბამო ადამიანად, — იმიტომ კი არა, რომ იგი ყრმა და ადამიანია; არამედ იმიტომ, რომ, არის რა წინადსაუკუნო ღმერთი, შემდგომ იგი ყრმად შეიქნა. აი, ასეთია თვისებათა თანაზიარობისა და ურთიერთმიმართების სახე (ქრისტეს ჰიპოსტასში), როცა თითოეული მ ი ს ორ ბუნებათაგან ერთმანეთს გადასცემს თავის თვისებებს ჰიპოსტასის იგივეობისა (ერთობისა) და ბუნებათა ურთიერთგარშემოქმედების გამო. ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ქრისტეს თვის მსგავსად წინასწარმეტყველისა, რომ „ესე არს ღმერთი ჩვენი, არა შეიერაცხოს მის თანა სხვაი, ამის შემდგომად ქვეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა იქცეოდა“ (ბარუქ. 3,36, 38). და აგრეთვე იმის თქმაც, რომ იგი არ არის ქმნილი, არ არის ტანჯვა-ვნებას დაქვემდებარებული და გარეშემოუწერელია.

თ ა ვ ი V

ბუნებათა რიცხვის შესახებ

ღმრთაებაში ჩვენ ვაღიარებთ ერთ ბუნებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვამბობთ, რომ მ ა ს შ ი ჭეშმარიტად არის სამი ჰიპოსტასი. ყოველივეს თვის, რაც კი ღმერთის ბუნებასა და არსებას განეკუთვნება ,ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი მარტივია (არაშედგენილია); ჰიპოსტასთა შორის განსხვავებას კი ვაღიარებთ მხოლოდდამხოლოდ სამი თვისების მიხედვით: ერთ ჰიპოსტასს არა აქვს თავისი არსებობის მიზეზი და არის მამა; მეორეს აქვს მიზეზი თავისი არსებობისა და არის ძე; მესამესაც აქვს თავისი არსებობის მიზეზი და გამოვალს. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ ღმრთაების ეს სამი ჰიპოსტასი განუშორებელია ერთმანეთისაგან, განუყოფელი და განუცალკევებელია, ისინი შეერთებულნი არიან ერთმანეთთან და შეურევნელად განმსჭვალავენ ერთურთს. შეერთებულნიც ისინი შეურევნელად არიან, რადგან შეერთების შემდგომაც სამი ჰიპოსტასი არიან და, ამასთან, განსხვავებულნიც ერთმანეთისაგან ისე, რომ არ ექვემდებარებიან განყოფას;[15] რამეთუ

თუმცა კი თითოეული ჰიპოსტასი თავისთავად დამოუკიდებელია, ანუ არის სრულყოფილი ჰიპოსტასი და აქვს თავისი საკუთარი თვისება, ანუ თავისი, სხვა ჰიპოსტასთაგან განსხვავებული სახე არსებობისა, მაგრამ მაინც სამი ღვთაებრივი ჰიპოსტასი შეერთებულნი არიან არსისმიერი შეერთებით და ბუნებისმიერი თვისებებით, და რადგანაც არ განეშორებიან და არ გამოეყოფიან მ ა მ ის ჰიპოსტასს, ამიტომ არიან კიდეც — ერთი ღმერთი და იწოდებიან კიდეც ერთ ღმერთად. ამგვარსახედვე ჩვენი, ადამიანთა, ხსნის ღვთაებრივ, გამოუთქმელ და ყოველგვარ გონებასა თუ გაგებაზე აღმატებულ განგებულებაში (განკაცებაში) ჩვენ ვაღიარებთ ორ ბუნებას — ღვთაებრივსა და ადამიანურს — წმიდა სამების ერთ-ერთი პირისა, უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესი, ურთიერთმიახლებულთ და ჰიპოსტასურად შეერთებულთ შერევნის გარეშე, და ვაღიარებთ ერთ ჰიპოსტასს, რთულს, შედგენილს ამ ორი ბუნებისაგან. კვალად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს ორი ბუნება ერთ შედგენილ ბუნებაში შეერთების შემდგომაც, ანუ ქრისტეს პიროვნებაში შეერთების შემდგომაც, ინარჩუნებს მთლიანობას, და არსებობს ჭეშმარიტად, ისევე, როგორც ჭეშმარიტად არსებობენ თითოეული ამ ბუნების (ღვთაებრივისა და ადამიანურის) არსისმიერი თვისებანი; და იმასაც ვამბობთ, რომ როგორადაც შეერთებულნი არიან ისინი შეურევნელად, ამგვარადვე განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან და აღირაცხებიან კიდეც ერთმანეთისაგან განუცალკევებლად. როგორც წმიდა სამების სამი ღვთაებრივი პირი არის შეერთებული შერევნის გარეშე და განსხვავებულია ერთმანეთისაგან, და აღირიცხება განყოფისა და გარცალკევებისა გარეშე, ანუ მათი აღრაცხვა არ განაპირობებს ძათში არც გაყოფას, არც დაშორებას, არც გაუცხოვებასა ღა არც დანაწევრებას, რამეთუ მ ა მ ას და ძ ეს და ს უ ლ ს წ მ ი დ ა ს ჩვენ ვაღიარებთ ერთ ღმერთად, — ამის მსგავსადვე ბუნებანიც ქრისტეს ჰიპოსტასში თუმცა კი შეერთებულნი არიან, მაგრამ ეს შეერთება შეურევნელია და არც მოასწავებს ბუნებათა გაყოფას; და თუმცა მ ი ს ი ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებანი ერთურთს განმსჭვალავენ, მაგრამ ამით არ ხდება მათი არსისმიერი ცვლილება და არც რომელიმე მათგანის გარ-

დაქმნა მეორე ბუნებად; რამეთუ თითოეული ბუნება ქრისტეში შეერთების შემდგომაც უცვალებელად ინარჩუნებს თავის არსისმიერ თვისებებს. ამიტომ თუმცა ბუნებანი აღირაცხებიან კიდეც, მაგრამ ეს არ მოასწავებს მათს გაყოფას, რამეთუ ერთია ქრისტე — სრულყოფილი თავისი ღმრთაებითაც და სრულყოფილი თავისი ადამიანობითაც. აღრაცხვა ხომ თავისთავად არ არის ხოლმე მიზეზი განყოფისა თუ შეერთებისა, არამედ მხოლოდ აღნიშნავს რაოდენობას იმისას, რისი აღრაცხვაც ხდება, სულ ერთია — შეერთებულია თუ განყოფილია ეს აღსარიცხი რამ. შეერთებულია, როცა მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ აი, ეს კედელი ორმოცდაათი ქვისაგან არის აშენებული; და განყოფილია, როცა მაგალითად, ვიტყვით, ამა და ამ მოსწორებულ ადგილას ორმოცდაათი ქვა დევსო; ასევე შეერთებულნი არიან, როცა, მაგალითად ვიტყვით, ნაკვერცხალში ორი ბუნებაა შეერთებული — ცეცხლისა და ხისაო; და მეორე მხრივ, განყოფილნი არიან, როცა იგივეზე ვიტყვით, ახვა რამ არის ცეცხლის ბუნება, და სულ სხვა რამ — ხის ბუნება. ამასთან შეაერთებს თუ განყოფს მათ სხვა რამ, და არამც და არამც რიცხვი. ამიტომაც როგორც ღმრთაების სამი ჰიპოსტასი არ შეგვიძლია ჩვენ მივიჩნიოთ ერთ ჰიპოსტასად (თუმცა კი ისინი შეერთებულნი არიან), რადგან ამ შემთხვევაში მათს შერევნას და ჰიპოსტასთა შორის განსხვავებათა გაქრობას დავუშვებდით, — ასევე არ შეგვიძლია ქრისტეს არსებაში ჰიპოსტასურად შეერთებულ ორ ბუნებას ვუწოდოთ ერთი ბუნება, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ დავუშვებდით ამ ორი ბუნების შერევნას, თითოეულის თავისებურებათა გაქრობას და მათ შორის განსხვავებათა არარსებობას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.[16]

მასზედ, რომ მთლიანად სრული ღვთაებრივი ბუნება ღმრთაების ჰიპოსტასთაგან ერთ-ერთში შეუერთდა მთლიანად სრულს ადამიანურ ბუნებას, და არა — ნაწილი — ნაწილს.

ყოველივე, რაც საერთო და ზოგადია, ამგვარი აღმოჩნდება ხოლმე იმ კერძოობითთან და ცალკეულთან მიმართებაში, რომელიც მის მომცველობაში შედის. ამიტომ არსი, როგორც გვარი, არის საზოგადო, ხოლო პირი (ჰიპოსტასი) არის კერძოობითი. მაგრამ იგი კერძოობითი იმის გამო კი არ არის, რომ ერთი ნაწილი ბუნებისა — აქვს, მეორე კი — არა აქვს, არამედ კერძოობითია რიცხვის (ოდენობის) მიხედვით, როგორც მხოლოდ ერთი განუყოფელთაგან, რომელნიც მთელი გვარის მომცველობაში შედიან... პირთათვის იტყვიან, რომ ისინი რიცხვით (ოდენობით) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და არა — ბუნებით. ხოლო არსი (ბუნება) პიროვნებას იმის გამო მიეწერება, რომ თითოეულში,ერთგვაროვან პიროვნებათაგან, მდგომარეობს ერთიანი არსი. ამიტომაც პიროვნებანი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არსისმიერი ბუნებით, ხოლო განსხვავდებიან იმ შემთხვევაში კუთვნილებების მიხედვით, განმასხვავებელ ნიშანთვისებებს რომ შეადგენენ, და ამასთან პიროვნების განმასხვავებელს, და არა — ბუნებისა; რამეთუ ჰიპოსტასს განსაზღვრავენ როგორც არსს, შემთხვევითი თავისებურებანიც რომ ახასიათებს. მაშასადამე, პიროვნებას აქვს საერთო-საზოგადო (გვაროვნული) ნიშანთვისებანი განმასხვავებელ თავისებურებებთან ერთად, აგრეთვე — დამოუკიდებელი არსებობაც; არსს კი არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა, და იგი ცალკეულ პიროვნებებში ისილვება. ამიტომ როცა ერთ-ერთი პიროვნება ევნება, მაშინ მთელი არსის გაგონ, რომელიც იმდენადაა ვნებული, რამდენადაც ეს ერთი პიროვნება ევნო, იტყვიან, რომ იგი ევნო ერთ-ერთი თავისი პიროვნების სახით; ამასთან სულაც არ არის აუცილებელი, რომ ამ ვნებულ პიროვნებასთან ერთად ამავე გვარის ყველა სხვა პიროვნებაც ასევე ევნებოდეს.

ამრიგად, ჩვენ ვაღიარებთ, რომ მთლიანად საღმრთო ბუ-

ნება სრულყოფილი სახით ჰგიებს წმიდა სამების თითოეულ პირში: სრულყოფილად — მ ა მ ა შ ი, სრულყოფილად — ძ ე შ ი, სრულყოფილად — .ს უ ლ ი წ მ ი დ ა შ ი. ამიტომ მამაც სრულყოფილი ღმერთია და ძეც სრულყოფილი ღმერთია. კვალად ვამტკიცებთ, რომ წმიდა სამების ერთ-ერთი პირის — სიტყვა-ღმერთის განხორციელების დროს საღმრთო ბუნება თავის ერთ-ერთ პირში მთლიანად და სრულყოფილად შეუერთდა მთლიანსავე ადამიანურ ბუნებას, და არა — ნაწილი ნაწილს.[17] და მართლაც ღვთაებრივი (პავლე) მოციქული ამბობს: „...მ ა ს (ქრისტეს) შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე სამებაჲ ღმრთეებისაჲ ხორციელად“ (კოლას. 2,9), ანუ მის სხეულშია დამკვიდრებული. ასევე პავლე მოციქულის ღმერთშემოსილი მოწაფეც — ღვთაებრივ საგანთა ღრმად მცოდნე დიონისე (არეოპაგელი) ამბობს, რომ ღმრთაება თავისი ერთ-ერთი პირის მიერ მთლიანად შეიქნა ჩვენი (ადამიანთა) თანაზიარი. თუმცა ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, თითქოს ყველა, ანუ სამივე პირი წმიდა ღმრთაებისა ჰიპოსტასურად შეუერთდა კაცობრიობის ყველა ცალკეულ პიროვნებას; რამეთუ მამა (ღმერთი) და სულიწმიდა სხვა არანაირი სახით არ მონაწილეობდნენ სიტყვა-ღმერთის განხორციელებაში, თუ არ მხოლოდ სათნო-ყოფით და მოსურვებით. ხოლო ვამტკიცებთ იმას, რომ მთელი არსი ღმრთაებისა (სიტყვა-ღმერთის განხორციელებით) მთელს ადამიანურ ბუნებას შეუერთდა. სიტყვა-ღმერთმა, რომელმაც ჩვენ დასაბამად შეგვქმნა, არაფერი არ მოიძაგა ყოველივე იმაში, რაც ჩვენი ბუნებისათვის მოუნიჭებია, და მიიღო ყველაფერი — სხეული, სული გონიერი და მოაზროვნე, და მათი ყველა თვისება, რამეთუ თუნდაც ერთს ამ თვისებათაგან მოკლებული ცოცხალი არსება უკვე აღარ არის ადამიანი. მაშასადამე, სიტყვა-ღმერთმა მთლიანად მიიღო ჩემი ბუნება და მთელი თავისი ღმრთაებით შემიერთდა, რათა ხსნა მოენიჭებინა ყოველი ადამიანისათვის. სხვაგვარად ის, რაც არ იქნებოდა მიღებული (სიტყვა-ღმერთის მიერ), განუკურნავი დარჩებოდა.[18]

ამრიგად, ღმერთის სიტყვა შეუერთდა ხორცს გონების მეშვეობით, რომელსაც საშუალო აღგილი უკავია ღმრთაების სიწმიდესა და ხორცის სიტლანქეს შორის.[19] გონება უფლებს

(ადამიანის) სამშვინველსა და სხეულზე, და ყველაზე წმიდა რამ გონებაა (ადამიანის) სულში, ხოლო თვით გონებაზე ღმერთი უფლებს. და ქრისტეს გონებაც თავის მეუფებას განაცხადებს, როცა ამის უფლებას უზენაესისაგან იღებს; ბაგრამ (საერთოდ კი) იგი ემორჩილება და მისდევს უზენაესის ნებას, და იმას აღასრულებს ხოლმე, რაც სურს საღმრთო ნებას.[20]

კვალად, გონებაც, მსგავსად სხეულისა (ხორცისა), გახდა ადგილი მასთან ჰიპოსტასურად შეერთებული ღმრთაებისა, და არა თანამკვიდრი, როგორც ამას ცრუდ მიიჩნევს მწვალებელთა წყეული აზრი; ესენი უნივთოს შესახებ გრძნობისმიერი აზრით მსჯელობენ და ამბობენ: განა შეიძლება ერთმა საწყაომ ორი დაიტიოსო. ამათ ჩვენ ასე შეგვიძლია მივუგოთ: თუ ასეა, მაშინ როგორღა უნდა ვუწოდოთ ქრისტეს სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი, ერთარსი ბამისა და ერთარსი ჩვენი (ადამიანებისა), რადგან, თქვენი შეხედულებით, მხოლოდ ნაწილი საღმრთო ბუნებისა შეერთებია ნაწილსვე ადამიანური ბუნებისა?!

ხოლო ვამბობთ, რომ ჩვენი ბუნება (მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს მიერ) აღდგა მკვდრეთით, ამაღლდა (ზეცად) და მჯდომარე არს მარჯვენით მ ა მ ი ს ა — იმ აზრით კი არა, თითქოს ყოველი ადამიანური პიროვნება მკვდრეთით აღმდგარიყოს და მამის მარჯვენით დამჯდარიყოს, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ მთელი ჩვენი ბუნება აღდგა და ზის მარჯვენით მამისა ქრისტეს ჰიპოსტასის სახით. და მართლაც ღვთაებრივი მოციქულიც ხომ ასე ამბობს: „და თანა-აღმადგინნა და თანა-დამსხნა ზეცათა შინა ქრისტე იესუჲს მიერ“-ო (ეფეს. 2, 6).

ხოლო ამას იმის გამო ვამტკიცებთ, რომ შეერთება აღსრულდა ზოგად არსთა მიერ, რამეთუ ყოველგვარი არსი საერთოა, ზოგადია პირთათვის, რომელთაც მოიცავს არსი, და შეუძლებელია პოვნა მხოლოდ ერთი ცალკეული პირისთვის დამახასიათებელი არსისა თუ ბუნებისა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ იძულებული ვიქნებოდით ერთი და იგივე პირნი ერთარსადაც მიგვეჩნია და სხვადასხვა არსის მქონედაც, და წმიდა სამებისთვისაც ღმრთაების მხრივ ერთარსიც გვეწოდებინა და არაერთარსიც. ამრიგად, ღმრთაების ყოველ

ჰიპოსტასში შეიმეცნება ერთი და იგივე არსი. და როცა ვამბობთ, სიტყვა განხორციელდაო, მაშინ, თანახმად ნეტარი ათანასეს და კირილეს სწავლებისა, ვგულისხმობთ იმას, რომ ხორცს ღმრთაება შეუერთდა.[21] ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, სიტყვის ბუნება ევნოო, რადგანაც მასში ღმრთაება როდი ევნო. ხოლო ვამტკიცებთ იმას, რომ ქრისტეში ევნო მისი ადამიანური ბუნება, და, ამასთან, სულაც არ ვგულისხმობთ იმას, თითქოს მასთან ერთად ევნო ყველა ადამიანური პიროვნება, არამედ ვაღიარებთ, რომ ადამიანური ბუნებით ქრისტე ევნო. ამიტომ როცა ვამბობთ — სიტყვის ბუნებაო, — მაშინ ვგულისხმობთ და აღვნიშნავთ თვით სიტყვას. სიტყვას კი საერთო არსი აქვს როგორც ღმრთაების სხვა პირებთან, ასევე ჩვენთან, და ახასიათებს თავისი განსაკუთრებული თვისებანი.

თავი VII

სიტყვა-ღმერთის ერთი შედგენილი (რთული) ჰიპოსტასის შესახებ

ამრიგად, ჩვენ ვამბობთ, რომ სიტყვა-ღმერთის ღვთაებრივი ჰიპოსტასი არსებობდა უწინარეს ყოველთა დროთა და მარადიულად, — არსებობდა როგორც მარტივი, არაშედგენილი, არაქმნილი, უხორცო (უსხეულო), არახილული, არაგრძნობისმიერი, გარეშემოუწერელი ჰიპოსტასი, რომელსაც ყოველივე აქვს, რაც მამას აქვს, რადგან ერთარსია მამისა და განსხვავდება მამის ჰიპოსტასისაგან მხოლოდ შობის სახით და პიროვნული თვისებით, ამასთან არის სრულყოფილი ღმერთი და არასდროს არ განეშორება მამის ჰიპოსტასს. უკანასკნელ კი სიტყვა, ისე, რომ არ განშორებია მამის წიაღს, აღუწერელად, უთესლოდ და მიუწვდომლად, ანუ იმგვარად, როგორც ეს მხოლოდ თვით უწყის, შესახლდა წმიდა ქალწულის საშოში და თავის წინადასაუკუნო ჰიპოსტასში შეისხა ხორცი წმიდა ქალწულისაგან.

და მაშინაც, როცა იგი წმიდა ღვთისმშობლის საშოში

იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, ყოველივეში იყო და ყოველივეზე აღმატებული, მაგრამ მასში (წმიდა ქალწულში) — უპირატესად, განხორციელების მოქმედებით. ამრიგად, ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი განხორციელდა, მიიღო რა ღვთისმშობელისაგან დასაბამი ჩვენი (ადამიანთა) შედგენილობისა, — ანუ ხორცი (სხეული), განცოცხლებული გონიერი და მოაზროვნე სულით, ასე, რომ თვით ჰიპოსტასი სიტყვა-ღმერთისა შეიქნა ჰიპოსტასად ხორცისათვის, და თუ განხორციელებამდე მარტივი იყო, აწ სიტყვის ჰიპოსტასი რთული გახდა, ანუ შედგენილი ორი სრულყოფილი ბუნებისაგან — ღმრთაებისა და ადამიანობისაგან. და ამ შედგენილ ჰიპოსტასს თავის თავში აქვს დამახასიათებელი და განმასხვავებელი თვისება როგორც ძეობისა სიტყვა-ღმერთისა, რითაც ის განსხვავდეა მამისა და სულიწმიდისაგან, ასევე დამახასიათებელი და განმაახვავებელი თვისებანი ხორცისა, რითაც ის განსხვავდება თავისი დედისაგან და ყველა სხვა ადამიანისაგან. განხორციელებული სიტყვა-ღმერთი თავის თავში შეიკრებს ღვთაებრივი ბუნების იმ თვისებებსაც, რომლებითაც ი გ ი შეერთებულია მამასთან და სულიწმიდასთან, და იმ ნიშან-თვისებებსაც, რომლებითაც შეერთებულია თავის დედასთან და ჩვენთან. და ბოლოს, განხორციელებული სიტყვა განსხვავდება როგორც მამისა და სულიწმიდისაგან, ასევე თავისი დედისა და ჩვენგანაც იმით, რომ იგი თავადი არის ერთდროულად ღმერთიც და ადამიანიც. და ამას ჩვენ ვაღიარებთ ყველაზე დიდ განმასხვავებელ თვისებად ქრისტეს ჰიპოსტასისა, რითაც ის განსხვავდება საღმრთო პირთაგანაც და ყველა სხვა ადამიანისაგანაც.

ამიტომ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ქრისტე არის ერთადერთი ძე ღმრთისა განხორციელების შემდეგაც; ი გ ი თავადი არის აგრეთვე ძეც კაცისა (ადამიანისა), ერთი ქრისტე, ერთი უფალი, ერთადერთი მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, იესუ — უფალი ჩვენი. და ჩვენ აღვრაცხავთ და თაყვანს ვცემთ მ ი ს ორ შობას: ერთს — მამისაგან, დაუსაბამოს, წინადასაუკუნოს, რომელიც აღმატებულია ყოველგვარ მიზეზზე, სიტყვაზე, დროსა და ბუნებაზე; და მეორეს — აღსრულებულს უკანასკნელ ჟამს ჩვენი, ადამიანთა ხსნისათვის, მსგავსს ჩვენი შობისა და აღმატებულს ჩვენსაზე. ეს შობა

ჩვენთვის აღსრულდა, რადგან ჩვენს ხსნას ემსახურება; ჩვენი ზიბის მსგავსად აღსრულდა, რადგან სიტყვა-ღმერთი ადამიანად შეიქნა დედაკაცისაგან და იშვა დადგენილ ჟამს ჩასახვის შემდგომ; და იგი აღმატებულია ჩვენს შობაზე იმით, რომ უფესლოდ იშვა, სულისაგან წმიდისა და წმიდა ქალწულისაგან — მარიამისაგან ჩასახვის კანონზე აღმატებული სახით. და არ ვქადაგებთ მ ი ს თ ვ ი ს, როგორც მხოლოდ ღმერთისთვის, რომელიც მოკლებულია ჩვენს ადამიანურ ბუნებას, და არც როგორც მხოლოდ ადამიანისათვის, რომელიც მოკლებულია ღმრთაებას, ანუ არ ვქადაგებთ მისთვის, როგორც მხოლოდ ღმერთზე თუ მხოლოდ ადამიანზე; არამედ ვქადაგებთ, რომ ი გ ი თავადი არის ერთდროულად ღმერთი და ადამიანი, სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი, სრული ღმერთი და სრული ადამიანი, ერთი და იგივე — იგი არის მთლიანად ღმერთი, შემოსილი ხორცით (სხეულით) და, ამავე დროს, მთლიანად ადამიანი, შემოსილი ყოვლადღვთაებრივი ბუნებით. როცა ქრისტეს ვუწოდებთ სრულყოფილ ღმერთს და სრულყოფილ ადამიანს, ამით ჩვენ გამოვხატავთ სისრულეს მისი ორივე ბუნებისა, რომლებიც არაფრით არ არიან ნაკლულევანი; ხოლო როცა ვამბობთ, რომ იგი მთლიანად ღმერთია და მთლიანად ადამიანია, ამით აღვნიშნავთ მ ი ს ი ჰიპოსტასის ერთიანობასა და განუყოფლობას.

ვაღიარებთ აგრეთვე ერთიან ბუნებას სიტყვა-ღმერთისა, — განხორციელებულს. და როცა ვამბობთ განხორციელებული ბუნებაო, ამით, თანახმად ნეტარი კირილეს სწავლებისა, აღვნიშნავთ ხორცის არსს. ამიტომაცაა, რომ ს ი ტ ყ ვ ა იმგვარად განხორციელდა, რომ არ მოკლებია თავის უნივთობას; ამასთან, მთლიანად განხორციელდა და მთლიანადვე რჩება გარეშემოუწერელად (უსაზღვრო). ხორცით (სხეულის მიერ) ი გ ი კნინდება და შემოისაზღვრება, ღმრთაებით კი შემოუსაზღვრავი რჩება, რადგან ხორცი არ განივრცო მ ი ს ი გარეშემოუწერელი ღმრთაებისა თანა და არ არის მისი მსგავსი.

ქრისტე მთლიანად არის სრულყოფილი ღმერთი, მაგრამ მის არსებაში ყოველივე როდია ღმერთი; რამეთუ იგი მხო-

ლოდ ღმერთი კი არ არის, არამედ — ადამიანიცაა. აშგვარადვე ქრისტე არის სრულყოფილი ადამიანი, მაგრამ ყოველივე მის არსებაში როდია ადამიანი; რამეთუ ი გ ი მხოლოდ ადამიანი კი არ არის, არამედ — ღმერთიცაა. სიტყვა — „ყოველივე“ აღნიშნავს ბუნებას, ხოლო სიტყვა „მთლიანად“ — ჰიპოსტასს, ამის მსგავსადვე, სიტყვა „სხვა რამ“, მიუთითებს ბუნებაზე, ხოლო სიტყვა „სხვა“ — ჰიპოსტასზე.[22]

უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რომ ჩვენ თუმცა კი ვამბობთ, რომ უფალ იესუ ქრისტეს ორივე ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური — ერთურთს განმსჭვალავენ, მაგრამ ამავე დროს ეგულისხმობთ, რომ ეს განმსჭვალვის უნარი ეკუთვნის საკუთრივ მხოლოდ მ ი ს ღვთაებრივ ბუნებას, რამეთუ სწორედ იგი განვალს ყოველივეში და ყველაფერს განმსჭვალავს თავისი სურვილისამებრ, თვით მას კი ვერაფერი ვერ განმსჭვალავს. ღმრთაება ხორცს ანიჭებს თავის სრულყოფილებათ, თვით კი უვნებო რჩება და არ ეზიარება ხორცის მიდრეკილებებს. რამეთუ თუკი მზეც, გვანიჭებს რა თავის მოქმედებათ — სითბოსა და სინათლეს, თვითონ არ ეზიარება ჩვენს თვისებებს, მაშ, მით უფრო ასეთია შემოქმედი და უფალი მზისა, და სხვა ყოველივესი.[23]

თ ა ვ ი VIII

(პასუხი) იმათ, ვინც გამოიძიებს — რას უნდა მივაკუთვნოთ უფლის ბუნებანი: განუწყვეტელ ოდენობას თუ დაცალკევებულს.

თუკი ვინმე შეგვეკითხება უფლის ბუნებათათვის — უწყვეტ ოდენობას უნდა მივაკუთვნოთ ისინი თუ დაცალკევებულ ოდენობასო, — ჩვენ მივუგებთ, რომ უფლის ბუნებანი არ წარმოადგენენ არც სხეულს, არც რამ ზედაპირთ, არც ხაზებს, არც დროსა და არც ადგილს, რათა შეიძლებოდეს მათი მიკუთვნება უწყვეტი ოდენობისადმი; რამეთუ ეს ყოველივე ის არის, რაც უწყვეტად აღირაცხება. უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რომ აღრაცხვა შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთისაგან

განსხვავებული საგნებისა, და შეუძლებელია დათვლა ისეთი საგნებისა, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რა მხრივაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საგნები, სწორედ იმის მიხედვით ხდება მათი აღრაცხვა. მაგალითად, პეტრე და პავლე არ აღირაცხებიან იმის მიხედვით, რითაც ისინი ერთს წარმოადგენენ; ანუ რადგანაც თავიანთი არსით და ბუნებით ერთს რასმე წარმოადგენენ, ისინი არ შეიძლება იწოდნენ ორ (სხვადასხვა) ბუნებად; ხოლო რაკი ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან ჰიპოსტასით, ამიტომ იწოდებიან კიდეც ორ პიროვნებად. მაშასადამე, აღრაცხვა შესაძლებელია იმ საგნებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან. და რა მხრივაც განსხვავდებიან საგნები ერთმანეთისაგან, სწორედ იმ მხრივ ხდება მათი აღრაცხვა.[21]

ამრიგად ჰიპოსტასის მხრივ ბუნებანი უფალ იესუ ქრისტეში შეურევნელად არიან შეერთებულნი, ხოლო ბუნებათა განსხვავების სახითა და წესით ერთმანეთისაგან განუცალკევებლად არიან განყოფილნი. და რა მხრივაც ისინი შეერთებულნი არიან, იმის მიხედვით არ აღირაცხებიან, რამეთუ ჰიპოსტასთან დაკავშირებით როდი ვამბობთ ხოლმე, რომ ქრისტეში — ორი ბუნებაა. ხოლო რა მხრივაც ბუნებანი ერთმანეთისაგან განუცალკევებლად არიან გაყოფილნი და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სწორედ იმის მიხედვით აღირაცხებიან კიდეც, რამეთუ ქრისტეში ჩვენ ვითვლით ორ ბუნებას, მათ შორის არსებული განსხვავების წესისა და სახის (რაგვარობის) მიხედვით. ეს ბუნებანი (ღვთაებრივი და ადამიანური) ჰიპოსტასურად არიან შეერთებულნი, ერთურთს განმსჭვალავენ და შეურევნელად არიან ერთიანი, ამასთან, თითოეული მათგანი სრულად ინარჩუნებს თავის არსისმიერ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს. ამიტომ, მათი განსხვავების რაგვარობის მიხედვით, ანუ რაკი აღრაცხვადნი არიან მხოლოდ ამ მხრივ, ბუნებანი ქრისტეში შეიძლება მივაკუთვნოთ დაცალკევებულ ოდენობას.

ამრიგად, ერთია ქრისტე — სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. მ ა ს ვცემთ თაყვანს მამისა თანა და სულიწმიდისა თანა ერთი თაყვანისცემით, მ ი ს ყოვლადწმიდა სხეულთანვე ერთად. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ქრისტეს

სხეული ღირსი არ არის თაყვანისცემისა, რამეთუ თაყვანი მას სიტყვა-ღმერთის ერთიანი ჰიპოსტასის სახით მიეგება, რომელიც სხეულისთვისაც ჰიპოსტასი შეიქნა. და ამით ჩვენ ქმნილებას როდი ვემსახურებით, რამეთუ თაყვანს ვცემთ უფლის სხეულს არა როგორც უბრალო (ჩვეულებრივ ადამიანურ) სხეულს, არამედ ისეთს, რომელიც შეუერთდა მ ი ს ღმრთაებას, და ამიტომ სიტყვის ორი ბუნება ქრისტეს პიროვნებაში — მის ღვთაებრივ ჰიპოსტასში გაერთიანდა.[25] ქმნილებაშიც ხომ ასეა: მაგალითად, მე მეშინია ხელით შევეხო მოგიზგიზე ნაკვერცხალს, რადგან მასში ხის ბუნებას ცეცხლის ბუნება შეერთებია, და ეს ორი ბუნება ახლა ერთს რასმე წარმოადგენს. ასევე მე თაყვანს ვცემ ერთობლივ ორივე ბუნებას ჩვენი უფლის იესუ ქრისტესი, რადგანაც მ ი ს სხეულს მ ი ს ი ღმრთაება შეერთებია. ამით მე სულაც არ მივუშატებ წმიდა ღვთაებრივ სამებას მეოთხე პირს, — ნუ იყოფინ! — ჯარნა ვაღიარებ ერთ პირს (ჰიპოსტასს) ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი ს ა და მ ი ს ი სხეულისა (ხორცისა). ასე, რომ სამება — სამებადვე დარჩა სიტყვა-ღმერთის განხორციელების (განკაცების) შემდგომაც.[26]

თ ა ვ ი IX

პასუხი შეკითხვაზე: ხომ არ არის (ქრისტეში) ჰიპოსტასს მოკლებული ბუნება

თუმცა კი არ არის ჰიპოსტასის გარეშე არსებული ბუნება, და არც რამ არსი შეიძლება იყოს პირის გარეშე, რამეთუ არსი და ბუნებაც მხოლოდ ჰიპოსტასებსა და პირებში იხილვება, მაგრამ აქედან უსათუოდ არ გამომდინარეობს ისიც, რომ ერთმანეთთან ჰიპოსტასურად შეერთებულ ბუნებებს უნდა ჰქონდეთ თავ-თავისი ჰიპოსტასი — თითოეულს საკუთრივ თავისი. რამეთუ ერთ ჰიპოსტასში შეერთებული ბუნებანი არც არაჰიპოსტასურნი შეიძლება იყვნენ და არც — თითოეული თავისი საკუთარი ჰიპოსტასის მქონე, არამედ ორივე ბუნებას მხოლოდ ერთი, ორივესათვის საერთო ჰი-

პოსტასი შეიძლება ჰქონდეს. და მართლაც, ერთი და იგივე ჰიპოსტასი ს ი ტ ყ ვ ი ს ა, შეიქნა რა ჰიპოსტასად ორივე — ღვთაებრივი და ადამიანური — ბუნებისათვის, არ დაუშვებს არც ერთი მათგანისათვის არც იმას, რომ არაჰიპოსტასურნი იყვნენ, და არც იმას, რომ თითოეულს თავისი საკუთარი ჰიპოსტასი ჰქონდეს, განსხვავებული ერთმანეთისაგან. და იგი არ არის ხოლმე ხან ერთი ბუნების ჰიპოსტასი, ხან კი — მეორე ბუნებისა, არამედ მარადის ორივე ბუნების ჰიპოსტასია განუყოფლად და განუცალკევებლად. ჰიპოსტასი არ იყოფა და არ ქუცმაცდება ნაწილებად, და არ აკუთვნებს ერთ ბუნებას — თავის ერთ ნაწილს, მეორე ბუნებას კი — თავის სხვა ნაწილს, არამედ ყოველთვის ორივე ბუნების ჰიპოსტასია განუყოფლად და მთლიანად. ამიტომაც ხორცს (სხეულს) სიტყვა-ღმერთისა არ შეუძენია არსებობა თავისი საკუთარი ჰიპოსტასით და არ შექმნილა რაღაც სხვა ჰიპოსტასად სიტყვა-ღმერთის ჰიპოსტასთან შედარებით; ხოლო მიიღო რა ჰიპოსტასი სიტყვა-ღმერთისა, იგი (სხეული ქრისტესი) დამოუკიდებლად, თავისი საკუთარი ჰიპოსტასით არსებული როდია, არამედ სიტყვა-ღმერთის ჰიპოსტასში არსებობს. ამიტომაც იგი (სხეული) არც უჰიპოსტასოდ არსებობს და მას არც სამებაში შემოჰყავს სხვა ჰიპოსტასი.[27]

თ ა ვ ი X

სამობით წმიდა ლოცვის შესახებ („წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“).

აქედან გამომდინარე ჩვენ ღვთისგმობად მივიჩნევთ იმ დამატებას, რომელიც სამწმიდაობით ლოცვაში შემოიღო უგულისხმო და ამაოდ მბრძნობმა პეტრე კნაფევსმა, რადგან ამ დამატებას („რომელი ჩვენთვის ჯვარს-ეცვი“) მეოთხე პირი შემოჰყავს (წმიდა სამებაში) და ცალკე აყენებს ღმერთის ძ ე ს — ჰიპოსტასურ ძალას მ ა მ ი ს ა, და ცალკე — ჯვარცმულს (ჩვენთვის), თითქოსდა სხვა ვინმეს იმასთან შედარებით, ვ ი ნ ც ძ ლ ი ე რ ა დ („წმიდაო ძლიერო“) იწოდება, —

ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუშვებს წმიდა სამების ვნებას (ტანჯვას), და ძესთან ერთად მამა-ღმერთსაც და სულიწმიდასაც, თითქოსდა, ჯვარცმულად მიიჩნევს.[28] შორს ჩვენგან ეს ღვთისმგმობი და მკრეხელური, თვითნებურად შემოტანილი ამაო მეტყველება! რამეთუ სიტყვებში — „წმიდაო ღმერთო“ ჩვენ ვგულისხმობთ მამაღმერთს, თუმცა მხოლოდ მას ერთს არ მივაკუთვნებთ სახელს ღმრთაებისა, არამედ ღმერთად ვაღიარებთ ძესაც და სულიწმიდასაც. კვალად სიტყვებს — „წმიდაო ძლიერო“ — ჩვენ მივაკუთვნებთ ძეს, ამასთან არ მოვაკლებთ ამ თვისებას — სიძლიერეს არც მამას და არც სულიწმიდას; აგრეთვე სიტყვებს — „წმიდაო უკვდავო“ — ჩვენ მივაწერთ სულიწმიდას, მაგრამ, ამასთან, უკვდავების გარეშე როდი ვაყენებთ მამასა და ძეს; მაშასადამე, ყველა ამ ღვთაებრივი სახელწოდების ქვეშ ჩვენ უბრალოდ ვგულისხმობთ უსათუოდ თითოეულ ჰიპოსტასს წმიდა სამებისა, და ამაში ღვთაებრივ (პავლე) მოციქულს ვბაძავთ, რომელიც ამბობს: „არაქედ ჩვენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი და ჩვენ — მისა მიმართ; და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი, და ჩვენ — მის მიერ“ (I კორინთ. 8,6), და კვალად ერთია სულიწმიდა, რომელშიც ყოველივეა, და ჩვენც — მასში ვართ. აკი წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველიც ერთ ადგილას ასე ამბობს: საღმრთო წერილის ამ ადგილის („ჩვენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი..., და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი“, და ერთია სულიწმიდა, რომელშიც არის ყოველივე) — ეს გამოთქმები — რომლისაგან, რომლისა მიერ და რომელშიც — არ განკვეთენ და არ აცალკევებენ ბუნებათ, რამეთუ საწინააღმდეგო შემთხვევაში ეს თანდებულები (-გან, მიერ, -ში) და ეს რიგი სახელებისა არ შეიცვლებოდა; არამედ ეს გამოთქმები გვიხასიათებენ ერთიანი და შეურევნელი ბუნების თავისებურებებს. და ეს ნათელი ხდება იქიდან, რომ ხსენებული გამოთქმები სხვა ადგილას გაერთიანებულია, ანუ ერთს ღმრთაებას მიეკუთვნება; ამაში დავრწმუნდებით, თუკი ყურადღებით წავიკითხავთ ამავე მოციქულის სიტყვებს — „რამეთუ მისგან (უფალი ღმერთისაგან) და მის მიერ და მისა

მიმართ არს ყოველი. მისა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამღე. ამინ.“ (რომ. 11,36).

და ამას, — რომ მხოლოდ ძის მიმართ არ არის გამოთქმული სამწმიდაობითი ლოცვა-გალობა, არამედ წმიდა სამების მიმართ, — ღვთივსულიერად მოწმობენ ღვთაებრივნი და წმინდანნი — ათანასე, ბასილი, გრიგოლი და მთელი კრებული ღმერთშემოსილთა მამათა; კერძოდ კი იმას, რომ წმიდა სერაბიმნი ამ სამგზისი „წმიდაო“-თი გვამცნებენ სამ ჰიპოსტასს ყოვლად არსი ღმრთაებისა; ხოლო საერთო სიტყვით — „უფალი“ გვაძლევენ გულისხმისყოფას ღმრთივდასაბამიერი სამების ერთიანი არსისა და მეუფებისა. და მართლაც, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, რომ წმიდათა წმიდა ამგვარადაა გარშემორტყმული სერაბიმებით, რომლებიც მას სამგზისი „წმიდაო“-თი განადიდებენ და შეკრბებიან ერთი მეუფისა და ღმრთაების მიერ... — რის შესახებაც ყველაზე მშვენიერი და აღმატებული სახით სიბრძნისმეტყველებდა ჩვენს უწინარეს სხვა ვინმეო (ანუ პავლე მოციქული).

საეკლესიო ისტორიის შემდგენელნი მოგვითხრობენ, რომ მთავარეპისკოპოს პროკლეს დროს კონსტანტინეპოლს რაღაც დიდი უბედურება დაატყდა თავს (ქარიშხალნი და ხანძრები), და როცა ერთხელ მრავალრიცხოვანი ხალხი ერთად ლოცულობდა ღვთის წინაშე და ამ უბედურების დასრულებას ევედრებოდა ღმერთს, მოხდა ისე, რომ ყრმა ვინმე ზეაღტაცებულ იქნა ხალხისაგან და ცაში ანგელოზთაგან დამოძღვრილ იქნა სამწმიდაობითი გალობით: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ! და როგორც კი ეს ყრმა უკანვე დააბრუნეს ანგელოზებმა და მან აუწყა ხალხს ის, რაც ანგელოზებმა ასწავლეს, ყველამ ერთხმად იგალობა ეს სადიდებელი და ის უბედურებანიც ამით დასრულდა. კვალად გადმოგვცემენ, რომ მეოთხე წმიდა და დიდ საეკლესიო კრებაზე, — ვგულისხმობ ქალკიდონში მოწვეულ კრებას, — ეს სამწმიდაობითი ლოცვა სწორედ ამ სახით იგალობეს, რაც ამავე წმიდა კრების საქმეებშია გადმოცემული. ასე, რომ ნამდვილად მხოლოდ სასაცილო და სასეიროა ის გარემოება, რომ ეს სამწმიდაობითი საგალობელი, ჩვენდა მოცემული უფლის ანგელოზთა მიერ, განმტკიცებული უბედურე-

ბის საკვირველი დასრულებით კონსტანტინეპოლში, დადასტურებული და დამკვიდრებული ესოდენ მრავალი წმიდა ძამის ღვთივსულიერი კრების მიერ, ხოლო უწინარეს ამისა გალობად აღვლენილი თვით სერაბიმთა მიერ ღმრთაების სამპიროვნების აღსანიშნავად და განსადიდებლად, — ეს სამწმიდაობითი ლოცვა-საგალობელი ახლა თავისი განუსჯელი, უგნური შეხედულებით გადათელა და შერყვნა ვიღაც კნაფევსმა თავისი უკეთური „შესწორებით", თითქოსდა იგი სერაბიმებზე აღმატებული ყოფილიყოს! გარნა ჰოი, კადნიერებავ და უგნურებავ კაცისაო!.. ჩვენ კი, — დაე თუნდ შუაზე გასკდნენ დემონები ჯავრისაგან, — ასე გამოვთქვამთ სამწმიდაობით საგალობელს და ასე განვადიდებთ ყოვლადწმიდა სამებას: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!

თავი XI

ბუნების შესახებ, რომელიც იხილვება მთელს გვარში (სახეობაში) არსებებისა და განუყოფელში (ანუ გარკვეული გვარის ყოველ ცალკეულ არსებაში); კვალად განსხვავების შესახებ შეერთებასა და განხორციელებას შორის; და თუ როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა — „ერთი(ანი) ბუნება სიტყვა-ღმერთისა განხორციელებული".

ბუნება (არსი) მოიხილვება ან წმიდა გონებრივი ჭვრეტით, რადგან თავისთავად არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა, ანდა ერთობლივ ყველა ერთგვაროვან ჰიპოსტასში როგორც მათი გამაერთიანებელი რამ, და ამ შემთხვევაში იგი იწოდება იმ ბუნებად, რომელიც შეიმეცნება არსებათა მოცემულ ჯვარსა თუ სახეობაში; ანდა სრულიად იგივე (ბუნება), შემთხვევითი კუთვნილებებითურთ ცალკეული (ერთპიროვნული) არსებისა იწოდება კიდეც ბუნებად (არსად), რომელიც განუყოფელში შეიმეცნება, და იგივეა იმისა, რაც მთელს გვარში შეიმეცნება. ამრიგად, სიტყვა-ღმერთმა თავისი განხორციელებით ის ბუნება როდი მიიღო, გონებრივი ჭვრეტით რომ

იხილვება, — რამეთუ მაშინ ეს განხორციელება კი არ იქნებოდა, არამედ მოტყუება და აჩრდილი განხორციელებისა ასევე არ მიუღია მ ა ს არც ის ბუნება, მთელს გვარში რომ შეიმეცნება, რადგან ქრისტეს თავის თავში არ მიუღია ადამიანური ბუნების ყველა პიროვნება; მაშასადამე, სიტყვა-ღმერთმა განხორციელებით მიიღო ის, რაც — განუყოფელშია, და იგივეა იმისა, რაც გვარშია, რამეთუ მ ა ნ მიიღო საწყისი ჩვენი შედგენილობისა (ანუ ხორცი); ის ბუნება კი არა, რომელიც თავისთავად იარსებებდა და მანამდე განუყოფლად იწოდებოდა, და სწორედ ამგვარი იქნებოდა მიღებული მ ი ს მიერ, არამედ ჩვენი (ადამიანური) ბუნება, რომელმაც ქრისტეს ჰიპოსტასში შეიძინა არსებობა. რამეთუ თვით სიტყვა-ღმერთის ჰიპოსტასი შეიქნა ჰიპოსტასად ხორცისა, და ამ აზრით „სიტყვაᲲ იგი ხორციელ იქმნა" (იოანე 1, 14), იგულისხმება, რომ გარდაქმნის გარეშე, და ხორციც ს ი ტ ყ ვ ა დ შეიქნა — ცვალების გარეშე. ღმერთი ადამიანი შეიქნა, რადგან სიტყვა — ღმერთია, და ადამიანიც (ქრისტეს არსებაში) — ღმერთია ჰიპოსტასური შეერთების გამო. ამრიგად, ერთი და იგივე იქნება, თუკი ვიტყვით — „(ადამიანური) ბუნება ს ი ტ ყ ვ ი ს ა ო" თუ „ს ი ტ ყ ვ ი ს ბუნება განუყოფელშიო", რადგანაც ეს გამოთქმა საკუთრივი და ერთადერთი მნიშვნელობით არ აღნიშნავს არც განუყოფელს, ანუ პირს, და არც ერთობლიობას პირთა, არამედ აღნიშნავს საერთო ბუნებას, რომელიც იხილვება და შეიმეცნება ერთ პირში (ცალკეულ ჰიპოსტასში).

და მართლაც, ერთი რამაა შეერთება, და სულ სხვა რამ — განხორციელება. შეერთება კერძოდ აღნიშნავს მხოლოდ შეუღლებას (კავშირს), ხოლო რისთვის მოხდა ეს შეკავშირება, ამას ჯერ კიდევ არ გვიჩვენებს. განხორციელება კი, ანუ — განკაცება, აღნიშნავს შეერთებას (ს ი ტ ყ ვ ი ს ა) ხორცთან, ანუ ადამიანთან, მსგავსად იმისა, როგორც რკინის გავარვარება ნიშნავს მის შეერთებას ცეცხლთან. ამიტომაცაა, რომ თვით ნეტარი კირილე, როცა განმარტავს (მეორე ეპისტოლეში სუკენსისადმი) გამოთქმას — „ერთი(ანი) ბუნება სიტყვა-ღმერთისა — განხორციელებული", — ასე მსჯელობს: „თუკი ჩვენ ვიტყვით: „ერთი(ანი) ბუნება სიტყვა-ღმერთი-

საო“ და აქ გავჩერდებით, ისე, რომ არ დავსძენთ—„განხორციელებული“-ო, რითაც თითქოსდა გამოვაკლებთ განხორციელების საქმეს, მაშინ, შესაძლოა, არც იყოს უმართებული იმათი სიტყვები, რომელნიც თვალთმაქცურად კითხულობენ: თუკა ქრისტეში ერთი ბუნებაა, მაშ სადღაა სისრულე მისი ადამიანობისაო; ანდა როგორღა მყოფობს მასში ჩვენი (ადამიანთა) არსის შესატყვისი არსიო. მაგრამ რადგანაც სიტყვით — „განხორციელებული“ — აღნიშნულია სისრულეც მისი ადამიანობისა და მითითებულია ჩვენი არსის შესატყვის არსზე, ამიტომ, დაე, ნულარ დაეყრდნობიან ლერწმის კვერთხს!“ ამრიგად, აქ (გამოთქმა) „ბუნება სიტყვისა“ მან (ნეტარმა კირილემ), გამოიყენა ნაცვლად „ბუნებისა“, რამეთუ მას ბუნება ჰიპოსტასად რომ მიეჩნია, მაშინ უადგილო არ იქნებოდა ამის თქმა სიტყვა „განხორციელებულის“ გარეშეც, რადგან როცა სხვასთან დაუკავშირებლად ვლაპარაკობთ სიტყვა-ღმერთის ერთი(ანი) ჰიპოსტასის შესახებ, ჩვენ სულაც არ ვცოდავთ. ამგვარადვე გაიგო ეს გამოთქმა ბუნების შესახებ ლეონტი ბიზანტიელმაც, და არ იგულისხმება აქ ჰიპოსტასი. თვით ნეტარი კირილე კი თავის აპოლოგიაში თეოდორიტეს საყვედურთა წინააღმდეგ მისი მეორე ანათემატიზმისათვის ამბობს — „ბუნება სიტყვისა, ანუ ჰიპოსტასი, რაც არის კიდეც თვით სიტყვა“-ო. ამიტომაც გამოთქმა — „ბუნება სიტყვისა“ — არ აღნიშნავს არც მხოლოდ ერთს ჰიპოსტასს და არც ერთობლიობას ჰიპოსტასებისას, არამედ აღნიშნავს საერთო ბუნებას, რომელიც მთლიანად იხილვება ჰიპოსტასში სიტყვა-ღმერთისა.

ამრიგად, ის, რომ სიტყვა განხორციელდა, ანუ ხორცს (სხეულს) შეუერთდა, — ნამდვილად არის ნათქვამი; მაგრამ ის, რომ ხორცით ევნო ბუნება სიტყვისა, — ჩვენ დღესამომდე არ გვსმენია, გარნა გვისწავლია, რომ ქრისტე ხორცით ევნო; ასე, რომ გამოთქმა — „ბუნება სიტყვისა“ არ აღნიშნავს პირს (ჰიპოსტასს). ამიტომ ისღა გვრჩება, რომ ვთქვათ: განხორციელება („ხორციელ-ქმნა“) ნიშნავს ხორცთან (სხეულთან) შეერთებას, ხოლო გამოთქმა — „სიტყვა იგი ხორციელ-იქმნა“ (იოანე 1,14) — აღნიშნავს, რომ თვით

ჰიპოსტასი სიტყვისა დაურღვეველად და უცვალებლად შეიქნა ჰიპოსტასად ხორცისა. და ისიც ნამდვილად ნათქვამია, რომ ღმერთი განკაცდა (ადამიანი შეიქნა), ხოლო ადამიანი — ღმერთი გახდა, რამეთუ სიტყვა, არის რა ჭეშმარიტი ღმერთი, უცვალებლად შეიქნა ადამიანად. ხოლო ის, რომ ღმრთაებას სახე ეცვალოს და ისე განკაცებულიყოს, ანუ განხორციელებულიყოს, ანუ ადამიანი შექმნილიყოს, — ასეთი რამ ჩვენ არასდროს არ გვსმენია. გარნა ჩვენ გვისწავლია, რომ ღმრთაება ადამიანობას შეუერთდა თავის ერთ-ერთ ჰიპოსტასში; და რომ ღმერთი მიიღებს ხატს, ანუ უცხო არსს, კერძოდ კი ჩვენი (ადამიანური) არსის შესატყვისს, — ეს ნამდვილად არის ნათქვამი. რამეთუ სიტყვა „ღმერთი" შეეფერება თითოეულს (სამი წმიდა) ჰიპოსტასთაგან, ხოლო სიტყვა „ღმრთაება" ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ ჰიპოსტასის შესახებ. ასე, რომ ჩვენ არ გვსმენია, თითქოს მხოლოდ ერთი მამა, ან მხოლოდ ერთი ძე, ანდა მხოლოდ ერთი სულიწმიდა ყოფილიყოს ღმრთაება, რადგანაც სიტყვა „ღმრთაება" აღნიშნავს ბუნებას (არსს), ხოლო სიტყვა „მამა" (ისევე, როგორც სიტყვები „ძე" და „სულიწმიდა") აღნიშნავს ჰიპოსტასს, მსგავსად იმისა, როგორც სიტყვა „ადამიანობა" აღნიშნავს ბუნებას, ხოლო სახელი პეტრე — ჰიპოსტასს. მაშასადამე, სიტყვა „ღმერთი" აღნიშნავს ერთიანობასაც ბუნებისა, და იგი ერთნაირად გამოიყენება თითოეული ჰიპოსტასის მიმართ (წმიდა სამებისა), მსგავსად იმისა, როგორც სიტყვა „ადამიანიც" გამოხატავს ბუნების ერთიანობას და თანაბრად გამოიყენება ყოველი ადამიანური ჰიპოსტასის მიმართ. საღმრთო ბუნების მქონე (ჰიპოსტასი) — ღმერთია, ხოლო ადამიანური ბუნების მქონე — ადამიანია.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, უნდა გიცოდეთ, რომ მამა-ღმერთი და სულიწმიდა არ მონაწილეობდნენ სიტყვის განხორციელებაში სხვა არაფრით, თუ არა მხოლოდ ღვთაებრივი ნიშებით, სათნო-ყოფით და მოსურვებით (ამ საქმისა).

თავი XII

მასზედ, რომ წმიდა ქალწული — ღვთისმშობელია; ნესტორიანთა წინააღმდეგ.

წმიდა ქალწულს ჩვენ განვადიდებთ როგორც ღვთისმშობელს ამ სიტყვის საკუთრივი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით, რამეთუ როგორც მისგან შობილი არის ჭეშმარიტი ღმერთი, ასევე ჭეშმარიტი ღმერთის მშობელიც, რომლისაგანაც ი გ ი განხორციელდა, ჭეშმარიტი ღვთისმშობელია. ჩვენ ვამბობთ, ღმერთი იშვა წმიდა ქალწულისაგანო იმ აზრით კი არა, თითქოს ღმრთაებას ს ი ტ ყ ვ ი ს ა მისგან მიეღოს დასაბამი, არამედ იმ აზრით, რომ თვით ს ი ტ ყ ვ ა ღმრთისა, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა უჟამოდ შობილი მამისაგან, დაუსაბამოდ და საუკუნოდ მამისა თანა და სულიწმიდისა თანა მყოფი, „უკანასკნელთა ამათ დღეთა (ებრ. 1,1) ჩვენი ხსნისათვის შესახლდა წმიდა ქალწულის საშოში და მისგან უცვალებლად ხორციელ-იქმნა და იშვა. მაშასადამე, წმიდა ქალწულმა უბრალო ადამიანი კი არ შვა, არამედ — ჭეშმარიტი ღმერთი, და არა უბრალოდ ღმერთი, არამედ განხორციელებული ღმერთი, არა ზეცით მომღებელი ხორცისა (სხეულისა) და ამქვეყნად მოსული მისი (ქალწულის) გზით, როგორც რამ არხით, არამედ ღმერთი, რომელმაც მისგან მიიღო ჩვენი (ადამიანთა) ერთარსი ხორცი და მიანიჭა მას თავის თავში ღვთაებრივი ჰიპოსტასი, ანუ მიიღო ადამიანური სხეული თავის ერთიან ღვთაებრივ ჰიპოსტასში.[29] რამეთუ ზეცით რომ ჰქონოდა ხორცი მიღებული და არა ჩვენი მსგავსი ბუნებიდან, მაშინ რაღა აუცილებლობა იქნებოდა განხორციელებისა?! განკაცება ს ი ტ ყ ვ ა — ღ მ ე რ თ ი ს ა იმისთვის აღსრულდა, რომ თვით ცოდვილ, დაცემულ და განხრწნილ ბუნებას (ადამიანისა) დაემარცხებინა თავისი შემაცდენელი მძლეავარი და ამ გზით განთავისუფლებულიყო ხრწნისა და სიკვდილისაგან, როგორც ბრძანებს ღვთაებრივი (პავლე) მოციქული: „...კაცისა მიერ იყო სიკვდილი და კაცისა მიერ — აღდგომაჲ მკუდართაჲ-ო (I კორინთ. 15,21). თუკი პირველი ჭეშმარიტია (აწუ ადამიანის მიერ — სიკვდილი),

მაშინ მეორეც ასევე ჭეშმარიტია (ანუ ადამიანის მიერ — მკვდრეთით აღდგომა).[30]

ხოლო თუკი ამბობს კიდეც (მოციქული), „პირველი-იგი კაცი უფალი ზეცით"-ო (I კორინთ. 15, 47), ამით იგი სულაც არ ამტკიცებს, რომ სხეული (უფლისა — ზეცისაგანაა, არამედ მხოლოდ ცხადყოფს, რომ ი გ ი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი. აი, ხომ უწოდა მოციქულმა მ ა ს (ქრისტეს) ადამიც და უფალიც, ერთსა და იმავ დროს აღნიშნა რა ერთიცა და მეორეც; რამეთუ სიტყვა „ადამი" განიმარტება როგორც „მიწისაგან შობილი" („მიწისა"), მიწისაგან შობილი კი აშკარად აღნიშნავს ბუნებას ადამიანისა, რომელიც მტვერისაგან შეიქნმნა, ხოლო სიტყვა „უფალი" მიგვანიშნებს ღვთაებრივ არსზე.[31]

კვალად მოციქული ამბობს: „...მოავლინა ღმერთმან ძე თვისი მხოლოდ-შობილი, შობილი დედაკაცისაგან"-ო (გალატ. 4, 4). მას არ უთქვამს — დედაკაცის მეშვეობითო, არამედ თქვა — დედაკაცისაგან შობილიო. ამით ღვთაებრივმა მოციქულმა მიგვითითა იმაზე, რომ სწორედ მხოლოდშობილი ძე ღმრთისა და თავად ღმერთი არის ი ს, ვ ი ნ ც იშვა წმიდა ქალწულისაგან როგორც ადამიანი, და რომ სწორედ ქალწულისაგან შობილი არის ძე ღმრთისა და თავად ღმერთი. ხოლო იშვა ი გ ი სხეულებრივად, რადგანაც ადამიანად შეიქნა, ისე კი არა, თითქოს მანამდე შექმნილ ადამიანში შესახლებულიყოს როგორც წინასწარმეტყველში, არამედ თვით ღმერთი არსისმიერად და ჭეშმარიტად იქცა ადამიანად, ანუ თავის ღვთაებრივ ჰიპოსტასში არსებობა მიანიჭა ხორცს, განსულიერებულს გონიერი და მეტყველი სულით, ასე, რომ თვით გახდა ჰიპოსტასად მისთვის. სწორედ-მას აღნიშნავს მოციქულის სიტყვები — „შობილი დედაკაცისაგან"; რამეთუ სხვაგვარად როგორ დაექვემდებარებოდა თვით ს ი ტ ყ ვ ა ღმრთისა სჯულს („და იქმნა იგი შჯულსა ქვეშე" (გალატ. 4, 4), თუკი ჩვენს მსგავს და ჩვენი ბუნების ერთარს ადამიანად არ შეიქნებოდა?!

აქედან გამომდინარე, წმიდა ქალწულ მარიამს სამართლიანად და ჭეშმარიტებით ვუწოდებთ ღვთისმშობელს, რამეთუ ეს სიტყვა თავის თავში მოიცავს სრულს საიდუმლოს საღმრთო

განგებულებისა უფლის განკაცებისათვის. მაშასადამე, თუკი მშობელი მ ი ს ი — ღვთისმშობელია, მაშინ მისგან შ ო ბ ი ლ ი ც უსათუოდ ღმერთი უნდა იყოს; რამეთუ როგორ იშვებოდა ღმერთი დედაკაცისაგან, ანუ ი ს, ვ ი ნ ც არსებულია უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, თუკი ადამიანად არ შეიქნებოდა?! ხოლო თუკი სწორედ „დედაკაცისაგან შობილი" ღმერთია, მაშინ, ცხადია, ერთი და იგივე ყოფილა მამა-ღმერთისაგან ღვთაებრივი და დაუსაბამო არსით შობილიც და „უკანასკნელთა მათ ჟამთა" ქალწულისაგან შობილიც იმ არსით, რომელსაც დასაბამი მიუღია და დროს არის დაქვემდებარებული, ანუ ადამიანური ბუნებით (არსით) შობილიც. ამითვე არის აღნიშნული ერთი(ანი) ჰიპოსტასი და ორი ბუნება, ანუ ორი შობა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.

ქრისტეს მშობლად კი სულაც არ ვხმობთ წმიდა ქალწულს, იმიტომ, რომ ეს უჯერო და შეურაცხმყოფელი სახელწოდება მოიგონა უწმიდურმა და საძაგელმა, იუდეველთა მსგავსად მბრძნობელმა ნესტორიმ, ამ ბილწმა ჭურჭელმა საძაგლობათა, რათა ამით მოესპო სიტყვა „ღვთისმშობელი" და საფერი პატივის-მიგებისაგან მოეკლო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც ერთადერთია ჭეშმარიტად აღმატებული პატივით ყოველგვარ ქმნილებაზე, — დაე თუნდ ნესტორი თავისი მამით — სატანითურთ გულზე სკდებოდეს ჯავრისაგან. რამეთუ ქრისტედ, ანუ ცხებულად, შეიძლება იწოდნენ დავით მეფეც და აარონ პირველსამღვდელოც, რადგანაც ორივე ამ მსახურებას — სამეფოსაც და სამღვდელოსაც — თან ახლდა ცხება იმისა, ვინც შეუდგებოდა მათ. და საერთოდაც, ყოველი ღმრთივშემოსილი და კეთილმსახური ადამიანიც შეიძლება ცხებულად იწოდოს, ოღონდ არამც და არამც ბუნებით (არსისმიერ) ღმერთად, — რა მნიშვნელობითაც ღმერთისაგან მოშორებულმა ნესტორიმ უტიფრად იკადრა ქალწულისაგან შ ო ბ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ეწოდებინა „ღმერთშემოსილი". ჩვენდა კი ნუ იყოფინ, რომ გვეწოდებინოს მ ი ს თ ვ ი ს ასე, ანდა გვეაზროს ი გ ი ღმერთშემოსილი, რამეთუ ქრისტე არის განხორციელებული ღმერთი, და ჩვენც მარადის ასე ვუწოდებთ და ასე ვიაზრებთ მ ა ს! თვით სიტ ყ ვ ა (ღმრთისა) ხორციელ-იქმნა, როცა ი გ ი წმიდა ქალწულმა თავისი სხე-

ულით ატარა, ხოლო იშვა ქალწულისაგან ჭეშმარიტი ღმერთი ადამიანური ბუნებითურთ, რომელიც მან მიიღო, და ამით ეს ადამიანური ბუნებაც განღმრთოებულ იქნა სიტყვის მიერ შობისთანავე, ასე, რომ ერთდროულად აღსრულდა სამი მოვლენა: მიღება (ხორცის ბუნებისა), არსებობის დაწყება და სიტყვის მიერ ადამიანური ბუნების განღმრთოება. და ამგვარად, წმიდა ქალწული იაზრება და იწოდება ღვთისმშობელად არამხოლოდ სიტყვის ღვთაებრივი ბუნების გამო, არამედ ადამიანური ბუნების განღმრთოების მიზეზითაც, რომელთა ერთდროული აღსრულებაც — მიღებაც და არსებობის დაწყებაც სასწაულებრივი იყო: მიღება, რა თქმა უნდა, სიტყვისა, და არსებობის დაწყება თვით სიტყვაში — ხორცისა. თვით დედა ღმრთისა ზებუნებრივად ემსახურა იმას, რომ შემოქმედი ხორციელ-იქმნა და თავად ღმერთი და დამბადებელი ყოველივესი ქმნილების მსგავსი შეიქნა, განაღმრთო რა მიღებული ადამიანური ბუნება; ამასთან, ეს შეერთება, ამავე დროს, ისე აღსრულდა, რომ შეერთებული ბუნებანი იმგვარადვე იქნენ შენარჩუნებულნი, როგორნიც იყვნენ შეერთებამდე, — ვგულისხმობ არამხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას, არამედ ადამიანურსაც, შეერთებულთ ქრისტეს ჰიპოსტასში; იმასაც, რაც ჩვენზე აღმატებულია, და იმასაც, რაც ჩვენი მსგავსია და რაც ჩვენს ბუნებას შეესაბამება. ისე კი არ მოხდა ეს, თითქოს ადამიანური ბუნება, მანამდე არსებული და ჩვენი მსგავსი, შემდგომ ჩვენზე აღმატებული შექმნილიყოს, არამედ ერთიცა და მეორეც ყოველთვის — ანუ არსებობის დაწყებისთანავე, — არსებობდა, იმიტომ, რომ ჩასახვის მომენტიდან ადამიანურმა ბუნებამ თვით სიტყვაში მიიღო არსებობა. ადამიანური (ქრისტეს ადამიანურ ბუნებაში) ამგვარია თავისი არსით, ხოლო ღმერთისთვის დამახასიათებელი და ღვთაებრივი ამგვარია — ზებუნებრივად. მას (ქრისტეს) ჰქონდა აგრეთვე განსულიერებული ხორცის თვისებანიც, რამეთუ ეს თვისებანი სიტყვამ მიიღო განხორციელების გამო, აღმოცენებულნი სრულიად ბუნებრივად, ბუნებრივი მოძრაობის შედეგად.[32]

თავი XIII

ორი ბუნების ნიშანთვისებათა შესახებ

ვაღიარებთ რა ერთსა და იმავე უფალს ჩვენსას იესუ ქრისტეს როგორც სრულყოფილ ღმერთად, ასევე სრულყოფილ ადამიანად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სწორედ მას აქვს ყოველივე ის, რაც აქვს მამა-ღმერთს, გარდა არაშობილობისა, და აქვს ყოველივე ისიც, რაც ჰქონდა პირველ ადამიანს — ადამს, გარდა ცოდვისა, ანუ სხეული და სული — მეტყველი და გონიერი. გარდა ამისა, ჩვენ იმასაც ვამტკიცებთ, რომ შესაბამისად ამ ორი ბუნებისა — ღვთაებრივისა და ადამიანურისა, ქრისტეს აქვს ორადი ხასიათის ნიშანთვისებანი, დამახასიათებელი ამ ორი ბუნებისათვის: აქვს ორი ბუნებისმიერი ნება — ღვთაებრივი და ადამიანური; აქვს ორი ბუნების მიერი ქმედება—ღვთაებრივი და ადამიანური, და ანუ აქვს ორი ბუნებისმიერი თავისუფლებაც — ღვთაებრივი და ადამიანური, აგრეთვე აქვს სიბრძნეც და მცნობელობაც ასევე ორი — ღვთაებრივი და ადამიანური. არის რა ერთარსი მამისა და ღმერთისა, ქრისტეს თავისუფალი ნებით სურს და მოქმედებს, მაგრამ, ამავე დროს არის რა ჩვენი (ადამიანთა ერთარსიც) იმავე ქრისტეს თავისუფალი ნებითვე სურს და მოქმედებს როგორც ადამიანი. რამეთუ მას ეკუთვნის სასწაულთმოქმედებანიც, და მანვე მიიღო — ვნებატანჯვაც.

თავი XIV

შესახებ ორი ნებისა და ორი თავისუფალი ქმედებისა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.

რადგანაც ქრისტეში ორი ბუნებაა, ამიტომ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მასში არის ორი ბუნებისმიერი ნება და ორი ბუნებისმიერი ქმედება. ხოლო რადგანაც მისი ორი ბუნების ჰიპოსტასი ერთია, ამიტომ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ერთსა და იმავეს სურს კიდეც და ერთი და იგივე (პი-

რი) მოქმედებს კიდეც ბუნებრივად — ორივე ბუნების შესაბამისად, რომელთაგანაც, რომლებშიც და რომელნიც არის კიდეც ქრისტე — ღმერთი ჩვენი; მაგრამ სურს მ ა ს და მოქმედებს ი გ ი არა განცალკევებულად (ბუნებათა მიხედვით), არამედ მ ა ს სურს და ი გ ი მოქმედებს თითოეულში ამ ბუნებათაგან, ისე, რომ ამაში მონაწილეობს მეორე ბუნებაც, რამეთუ ვ ი ს ა ც არსი ერთი და იგივე აქვს, მ ა ს სურვილიცა და მოქმედებაც — ერთი აქვს; ხოლო ვისაც არსი ერთი და იგივე არა აქვს, მას სხვადასხვა აქვს სურვილიცა და მოქმედებაც. და პირიქით: ვისაც სურვილი და მოქმედებანი ერთი აქვს, მისი არსიც — ერთია, ხოლო ვისაც განსხვავებული აქვს სურვილიცა და მოქმედებაც, იმას არსიც განსხვავებული უნდა ჰქონდეს.[33]

ამიტომაც მამაში და ძეში და სულიწმიდაში ქმედებისა და ნების იგივეობის შედეგად ჩვენ შევიცნობთ იგივეობას არსისა. ხოლო ღვთაებრივ განკაცებაში ქმედებათა და ნებათა სხვადასხვაობისაგან ჩვენ შევიცნობთ ბუნებათა განსხვავებასაც, და რაკი ვიცით ბუნებათა სხვადასხვაობა, ჩვენ ვაღიარებთ განსხვავებას ნებათა და ქმედებათა. რამეთუ როგორც ბუნებათა რიცხვი ერთი და იგივე, ერთიანი ქრისტესი, — თუკი ამას კეთილმსახურად ვიაზრებთ და ვიტყვით, — არ განყოფს ერთიან ქრისტეს, არამედ გვიჩვენებს თვით შეერთებაში შენარჩუნებულ სხვადასხვაობას ბუნებათა, ასევე რიცხვსაც მ ი ს ბუნებათათვის არსებითად დამახასიათებელი ნებელობებისა და ქმედებებისა არ შემოაქვს განყოფა (მ ა ს ხომ სურდა და ი გ ი ხომ მოქმედებდა ჩვენი ხსნისათვის თავისი ორივე ბუნებით — ღვთაებრივით და ადამიანურით), — ნუ იყოფინ! — არამედ გვიჩვენებს შენარჩუნებას (ამ ბუნებათათვის არსებითად დამახასიათებელი ნებელობებისა და ქმედებებისა), და მეტს არაფერს. რამეთუ ნებათა და მოქმედებათ ჩვენ არსისმიერთ (ბუნებისმიერთ) ვუწოდებთ, და არა — ჰიპოსტასისმიერთ. ხოლო მე ვლაპარაკობ საკუთრივ ძალაზე სურვილისა და ქმედებისა, რომლითაც სურს და მოქმედებს მსურველი და მომქმედი. თუკი ჩვენ ნებელობებს და ქმედებებს პიროვნულ (ჰიპოსტასურ) თვისებებად ვაღიარებთ, მაშინ იძულებულნი გიქნებით ვთქვათ, რომ სამი პირი წმიდა

სამებისა განსხვავდება ერთმანეთისაგან ნებითა და ქმედებით (რაც მკრეხელობაა).

უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი და იგივე რამ არ არის — ნდომა და ნდომა რაღაც გარკვეული სახით. ნდომა ზოგადად, ისევე, როგორც დანახვა ზოგადად — არის კუთვნილება ბუნებისა (არსისა), რადგან ეს ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. ხოლო ნდომა რაღაც განსაზღვრული სახით — არის კუთვნილება უკვე არა ბუნებისა, არამედ ჩვენი თავისუფალი არჩევანისა, ისევე, როგორც დანახვა ასე თუ იმგვარად, — კარგად თუ ცუდად. მართლაც, ყველა ადამიანსაც ხომ ერთნაირად არ სურს, და არც ხედავს ყველა — ერთნაირად, რამეთუ ნდომა, დანახვა თუ მოქმედება რაღაც განსაზღვრული სახით არის საშუალება ნების, მხედველობის და ქმედების გამოყენებისა, რაც დამახასიათებელია მხოლოდ გამომყენებელისთვის (ამ უნართა) და რაც გამოჰყოფს მას (საშუალებას) სხვათაგან, შესაბამისად ამა თუ იმ განსხვავებისა.[34]

ამრიგად, ნდომა ზოგადად იწოდება ნებად, ანუ უნარად მოსურვეებისა; და ეს არის გონიერი მისწრაფება და ბუნებისმიერი ნება. ხოლო ნდომა რაღაცნაირად (განსაზღვრული სახით), ანდა ის, რაც ნდომას ექვემდებარება, — გულისხმობს საგანს ნდომისა და ნდომას თავისუფალი არჩევანის მიხედვით. რასაც ბუნებით უნარი აქვს მოსურვეებისა, ის იწოდება ნდომის თვისების მქონედ. მაგალითად, საღმრთო ბუნებას, ისევე როგორც ადამიანურ ბუნებას, აქვს უნარი ნდომისა. მნდომი კი არის ის, ვინც იყენებს თავის ნებას, ანუ მნდომია განსაზღვრული პირი, — მაგალითად, პეტრე.

ამიტომ, რადგანაც ქრისტე — ერთია, და მ ი ს ი ჰიპოსტასიც — ერთია, ამის გამო ერთი და იგივეა მნდომი ისეც, როგორც ეს ღმერთისთვის არის დამახასიათებელი, და მნდომი ისეც, როგორც ეს ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ხოლო რადგანაც მ ა ს ორი ბუნება აქვს, — ორივე ნდომის უნარის მქონე, რამეთუ ეს ბუნებანი გონიერნი არიან, ყოველივე გონიერს კი აქვს უნარი ნდომისა საერთოდ და თავისუფალი არჩევანისაც ამ უნარის გამოყენებისას, — ამიტომ ჩვენ ვიტყვით, რომ ქრისტეს აქვს ორი ნება და ორი ბუნებისმიერი ნდომა.[35] მ ა ს — ერთსა და იმავეს — უნარი აქვს ნდო-

მისა თავისი ორივე ბუნებით, რადგან მიიღო ჩვენთვის ბუნებით დამახასიათებელი ძალა ნდომისა. და რადგანაც ერთია ქრისტე და ერთი და იგივეა მნდომიც, შესაბამისად თითოეული ბუნებისა, ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ნდომის საგანიც მ ა ს შ ი — ერთია. და ეს იმიტომ კი არაა ასე, რომ თითქოს მ ა ს სურდა მხოლოდ ის, რაც ნებავდა როგორც ბუნებით ღმერთს, — რამეთუ ღმრთაებისათვის დამახასიათებელი არ არის ნდომა ჭამისა, სმისა თუ სხვა რამ აწგვარისა, — არამედ იმიტომ, რომ ქრისტეს ჰქონდა იმგვარი სურვილებიც, რომლებიც განეკუთვნება ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, — ჰქონდა ასეთი სურვილები არა საწინააღმდეგოდ თავისუფალი არჩევანისა, არამედ ბუნებათა ნიშანთვისებათა შესაბამისად. რამეთუ მ ა ს ბუნებისმიერად მაშინ სურდა ხოლმე ყოველივე ეს, როცა მ ი ს ღვთაებრივ ნებასაც იგივე ჰნებავდა, და მიუშვებდა სხეულს ენებულიყო და მოემოქმედებინა ის, რაც მისთვის (ხორცისთვის) არის დამახასიათებელი.

ხოლო ის, რომ ნდომა ბუნებითვეა დამახასიათებელი ადამიანისათვის, შემდეგი გარემოებიდან ცხადდება: გარდა ღვთაებრივი სიცოცხლისა, არსებობს კიდევ სამი სახის სიცოცხლე — მცენარეული სიცოცხლე, გრძნობისმიერი სიცოცხლე და გონიერი სიცოცხლე. მცენარეული სიცოცხლისათვის, რა თქმა უნდა, დამახასიათებელია ისეთი მოძრაობა, რომელიც განაპირობებს მცენარეთა კვებას, ზრდას და განმრავლებას; გრძნობისმიერი სიცოცხლისათვის დამახასიათებელია ისეთი მოძრაობა, რომელიც შეესაბამება ბუნებრივ მიდრეკილებებს, ხოლო გონიერი და განმსჯელი სიცოცხლისათვის დამახასიათებელია თავისუფალი მოძრაობა. ამრიგად, თუკი ზრდისეულ (მცენარეულ) სიცოცხლეს ბუნებით განეკუთვნება საზრდოობის ხელშემწყობი მოძრაობა, ხოლო მგრძნობელ სიცოცხლეს — ბუნებრივ მიდრეკილებათა შესაბამისი მოძრაობა, მაშინ, აქედან გამომდინარე, გონიერსა და განმსჯელ სიცოცხლეს ბუნებითვე უნდა ეკუთვნოდეს თავისუფალი მოძრაობა. თავისუფალი მოძრაობა კი სხვა არაფერია, თუ არ ნდომა-სურვილი. ამიტომაც ს ი ტ ყ ვ ა, როცა ი ს შეიქნა განსულიერებულ და განმსჯელ სხეულად (ხორცად), რომელსაც

თავისუფალი მოქმედების უნარი ჰქონდა, შეიქნა ავრეთვე ნდომა-სურვილის უნარის მქონედაც.[36]

კვალად, უნდა ვიცოდეთ, რომ რაც ბუნებას განეკუთვნება, ის სწავლით არ შეიძინება (ბუნებრივს სწავლა არ სჭირდება): აკი არავინ არ სწავლობს აზროვნებასა თუ სიცოცხლეს, განცდას შიმშილისა თუ წყურვილისა, არც ძილს. მაგრამ ჩვენ ასევე არ ვსწავლობთ ნდომა-სურვილსაც. მაშასადამე, მოსურვება — ბუნებისათვის ყოფილა დამახასიათებელი. და კიდევ: თუკი უტყვ არსებებში ბუნებაა წარმმართველი ძალა, ადამიანში, რომელიც თავისუფალი ნებით მოქმედებს შესაბამისად თავისი ნდომა-სურვილისა, თვით იგია (ბუნებაა) მართული დასაბამი. მაშასადამე, ადამიანს ბუნებითვე აქვს ნდომის უნარი. კვალად, თუკი ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ყოვლადნეტარი და ყოვლადარსი (ზეარსებული) ღმრთაებისა, ხოლო ღვთაებრივ არსს ბუნებითვე აქვს უნარი თავისუფალი არჩევანისა და ნდომისა, მაშინ, აქედან გამომდინარე, ადამიანსაც, ვითარცა სახეს და ხატს ღმრთისა, უნდა ჰქონდეს უნარი თავისუფალი არჩევანისა და ნდომა სურვილისა, წმიდა მამებმა ხომ ისე განსაზღვრეს უნარი თავისუფალი არჩევანისა, როგორც უნარი ნდომა-სურვილისა.

ამასთანავე, თუკი უნარი ნდომისა ყველა ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, და თუკი ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, — ერთს ეს უნარი ახასიათებს, სხვას კი — არაო, არამედ (უნდა ვთქვათ, რომ) რაც საერთოდ ყველაში იხილვება, ის ამავე გვარ-სახეობის განუყოფელთა ბუნებასაც ახასიათებს, — მაშინ, აქედან გამომდინარე, ადამიანს ბუნებითვე ჰქონია უნარი ნდომა-სურვილისა.

და კიდევ: თუკი ბუნება არც მიმატებას და არც დაკლებას არ დაუშვებს, ხოლო ნდომის უნარი თანაბრად ეკუთვნის ყველა ადამიანს, და არა ისე, თითქოს ერთს მეტის ხარისხით ჰქონდეს იგი, სხვას კი — ნაკლებით, — მაშინ, აქედან გამომდინარე, ადამიანს ბუნებითვე აქვს უნარი ნდომა-სურვილისა. მაშასადამე, თუკი ადამიანს ბუნებით აქვს ნდომის უნარი, მაშინ უფალ იესუ ქრისტესაც, არამხოლოდ როგორც ღმერთს, არამედ როგორც ადამიანსაც, რადგან ი გ ი ადა-

მიანი შეიქნა, ასევე ბუნებითვე აქვს ნდომის უნარი, რამეთუ როგორც ჩვენი, ადამიანური, ბუნება მიიღო მ ა ნ, ასევე ბუნებით მიიღო ჩვენი ნებაც. სწორედ ამის გამო იყო, რომ წმიდა მამებს უთქვამთ — ქრისტემ თავის თავში ჩვენი (ადამიანური) ნება აღიბეჭდაო.

თუკი ნება არ არის ბუნების (არსის) კუთვნილება, მაშინ იგი ან პიროვნების კუთვნილება ყოფილა, ანდა საწინააღმდეგო რამ ბუნებისათვის. მაგრამ ნება (მართლაც) პიროვნების კუთვნილება რომ ყოფილიყო, მაშინ ძ ე ს მ ა მ ი ს ა გ ა ნ განსხვავებული ნება ექნებოდა, რადგან პიროვნული თვისება მხოლოდ ერთ პირს ახასიათებს. ხოლო ბუნების საწინააღმდეგო რამ რომ ყოფილიყო ნება, მაშინ იგი ამოვარდნილი იქნებოდა ბუნებისაგან, რადგან ის, რაც საწინააღმდეგოა ბუნებისა, დამარღვეველიცაა იმისთვის, რაც ბუნებას შეესატყვისება.[37]

ღმერთსა და მამას ყოველივესი აქვს ნდომა-სურვილი ან როგორც მამას, ანდა როგორც ღმერთს. მაგრამ მ ა ს ნდომა მხოლოდ როგორც მამას რომ ჰქონდეს, მაშინ ეს ნდომა განსხვავებული იქნებოდა ძ ი ს ნდომისაგან, რადგანაც ძ ე — არ არის მ ა მ ა. ხოლო რადგანაც მ ა ს აქვს ნდომა-სურვილი როგორც ღმერთს, ძე კი ასევე არის ღმერთი, და სულიწმიდაც — ღმერთია, — მაშინ, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნდომა-სურვილი ბუნების (არსის) კუთვნილებაა, ანუ ბუნებრივია, ბუნებისმიერია.

კვალად, თუკი რაიმეში, — როგორც ამას წმიდა მამები ამბობენ. — ერთი ნებაა, იმაში — არსიც ერთია, და ამასთან ქრისტეში ერთი ნება რომ ყოფილიყო, — საერთო როგორც მ ი ს ი ღმრთაებისათვის, ასევე ადამიანობისათვისაც, მაშინ ორივე ამ ბუნების არსი ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.[38]

და პირიქით: ბუნებრივ განსხვავებას ერთ ნდომა-სურვილში რომ არ შეეძლოს გამოვლენაო, — ამბობენ წმიდა მამები, — მაშინ აუცილებელი იქნება (ორიდან — ერთი) — ან ის, რომ ერთიან ნებაზე მოსაუბრენი არ აღიარებდნენ ქრისტეში ბუნებათა განსხვავებას, ანდა ის, რომ ისინი საერთოდ არ ლაპარაკობდნენ ერთი ნდომა-სურვილის შესახებ.

და შემდეგ, როგორც ღვთაებრივი სახარება გადმოგვცემს,

უფალს, როცა ი გ ი ტვიროსის და სიდონის საზღვართ მივიდა, „და შევიდა სახლსა და არა უნდა, რათამცა აგრძნა ვინმე, ... ვ ე რ ხ ე ლ-ე წ ი ფ ე ბ ა დაფარვად“-ო (მარკოზი, 7, 24). მაშასადამე, თუკი მ ი ს ი ღვთაებრივი ნდომა-სურვილი ყოვლისშემძლეა, ხოლო მოცემულ შემთხვევაში კი ქრისტეს არ შეეძლო დაფარულიყო ხალხისაგან, თუმცა კი სურდა ეს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მას არ შეეძლო თავისი სურვილის აღსრულება იმიტომ, რომ სურდა როგორც ადამიანს, და საერთოდაც, მ ა ს როგორც ადამიანს ჰქონდა უნარი ნდომა-სურვილისა.[39]

კვალად, წმიდა სახარება ამბობს: „და ვითარცა მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვიან გოლგოთა“..., უფალმა თქვა, ძწყურისო, „და მისცეს მას ძმარი, ნავღლითა აღზავებული და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის“ (მათე 27, 33 ,34). ამრიგად, თუკი მ ა ს მოსწყურდა ვითარცა ღმერთს, და „გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის“, მაშინ ტანჯვასაც ი გ ი როგორც ღმერთი დაქვემდებარებულა და ვნებულა, რამეთუ წყურვილიცა და ჭამა-სმაც — ვნებებია; ხოლო თუკი მ ა ს მოსწყურდა არა როგორც ღმერთს (რაც მოხდა კიდეც), მაშინ, უეჭველია, ქრისტეს მოსწყურებია როგორც ადამიანს, და საერთოდაც, მ ა ს ეს უნარი ნდომა-მოსურვებისა ჰქონდა როგორც ადამიანს.

და ნეტარი პავლე მოციქულიც ხომ ამბობს — „დაიმდაბლა თავი თვისი, და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკვდილადმე და სიკვდილითა მით ჯვარისაჲთა“-ო (ფილიპ. 2,8). მორჩილება ნიშნავს — დაექვემდებარო ნებას, რომელიც ნამდვილად არსებობს, და არა ისეთ ნებას, სინამდვილეში რომ არ არის, რამეთუ უტყვ და არაგონიერ ცხოველს ჩვენ არ ვუწოდებთ არც მორჩილს და არც ურჩს. და შეიქნა რა მორჩილი თავისი მ ა მ ი ს ა, ქრისტე ასეთი გახდა არა როგორც ღმერთი, არამედ როგორც ადამიანი, რადგანაც როგორც ღმერთი ი გ ი არც მორჩილია და არც ურჩი, იმიტომ, რომ მორჩილება თუ ურჩება დამახასიათებელია დაქვემდებარებულ არსებათათვის, როგორც ამბობს ღმერთშემოსილი გრიგოლი. მაშასადამე, აქედანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტეს როგორც ადამიანს ჰქონდა უნარი ნდომა-მოსურვებისა.

როცა ნდომას ბუნებისმიერს ვუწოდებთ, ჩვენ ვგულისხმობთ არა იძულებით ნდომა-სურვილს, არამედ თავისუფალი ნებიდან გამომდინარეს, რადგანაც ის რაც გონიერია, აუცილებლად თავისუფალიცაა. იძულებას ვერ გუობს არამხოლოდ ღვთაებრივი და არაქმნილი ბუნება, არამედ გონიერი ქმნილებაც. ეს კი იქიდან ცხადდება, რომ ღმერთი, ბუნებით სახიერი, ბუნებით — შემოქმედი და ბუნებითვე — ღმერთი, ასეთი რაიმე იძულებისა თუ აუცილებლობის გამო როდია. რამეთუ ვის ძალუძს აიძულოს იგი?!

უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლებაზე სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება ლაპარაკი: სხვაგვარად — ღმერთან დაკავშირებით, სხვანაირად — ანგელოზებთან დაკავშირებით და სულ სხვაგვარად — ადამიანთან დაკავშირებით. ღმერთთან დაკავშირებით ეს სიტყვა (თავისუფლება) უნდა გავიგოთ ზებუნებრივი მნიშვნელობით, ანგელოზებთან დაკავშირებით ისე, რომ აღსრულება უშუალოდ მოსდევს სწრაფვა-მიდრეკილებას და სრულებით არ დაუშვებს დროის რაიმე შუალედს; რამეთუ მართლაც აქვს რა თავისუფლება ბუნებისმიერ, ანგელოზი დაუბრკოლებლად სარგებლობს მითი და, ამასთან, არ განიცდის წინააღმდეგობას არც სხეულისაგან და არც რაიმე სახის თავდასხმას გარედან. ხოლო ადამიანებთან დაკავშირებით თავისუფლება ითქმება იმ მნიშვნელობით, რომ დროის მხრივ სწრაფვა-მიდრეკილება იაზრება აღსრულებამდე, რადგან თუმცა კი ადამიანი თავისუფალია და ეს თავისუფლება მას ბუნებითვე აქვს მინიჭებული, მაინც მას სხეულის საწინააღმდეგო მოძრაობაც ეღობება წინ და ეშმაკის თავდასხმაც. ამრიგად, ამ წინააღმდეგობისა და სხეულის სიმძიმის გამო ადამიანს დაგვიანებული აქვს აღსრულება სწრაფვა-მიდრეკილებასთან შედარებით. ასე, რომ თუკი ადამმა დაუჯერა მაცთურს და იმის გამო შეჭამა აკრძალული ნაყოფი, რომ ასე ისურვა, ანუ ნებაყოფლობით მოიმოქმედა ეს, — მაშინ, გამოდის, რომ ცოდვისაგან ჩვენში, პირველ ყოვლისა, ნება დაზარალებულა. ხოლო თუკი პირველ ყოვლისა ჩვენში ნება ვნებულა, ხოლო განხორციელებულ სიტყვას არ მიუღია ეს (ადამიანური) ნება ბუნებასთან ერთად, — მაშინ არც ჩვენ არ განვთავისუფლებულვართ ცოდვისაგან.[10]

კვალად, თუკი თავისუფალი ნდომა-სურვილის უნარი, რომელიც ჩვენი ბუნებისათვის არის დამახასიათებელი, მ ი ს ი განგებულების საქმეა, ხოლო განხორციელებულ ს ი ტ ყ ვ ა ს არ მიუღია იგი, მაშინ ეს ან იმის გამო მომხდარა, რომ მას (სიტყვას) უგულებელუყვია თავისივე ქმნილება როგორც ცუდი რამ, ანდა იმიტომ, რომ ჩვენდამი შურის გამო არ სურდა განეკურნა ჩვენში ეს უნარი, რითაც მოგვაკლო სრულყოფილ აღდგინებას, თავისი თავი კი წარმოაჩინა როგორც უძლურებას მიწევნული, რადგანაც ან არ შეეძლო, ანდა არ სურდა ჩვენი (ადამიანთა) სრულყოფილი ხსნა.

მეორეს მხრივ, შეუძლებელია ისევე ვისაუბროთ ერთ რაიმეზე, რომელიც ორი ნებისაგან იქნებოდა შედგენილი, როგორც ვსაუბრობთ ერთი ჰიპოსტასის შესახებ (ს ი ტ ყ ვ ი ს ა), რომელიც ორი ბუნებისაგან შედგება. ჯერ-ერთი იმიტომ, რომ შედგენა გულისხმობს დამოუკიდებლად (ჰიპოსტასურად) არსებულ საგნებს, რომელნიც საკუთრივი მნიშვნელობით შეიმეცნებიან, და არა — სხვა რამ აზრით; მეორეც, თუკი დავუშვებთ შედგენას ნებათა და ქმედებათა, მაშინ იძულებულნი ვიქნებით ვილაპარაკოთ სხვა ბუნებისმიერ ნიშან-თვისებათა შედგენის შესახებაც — როგორიცაა, მაგალითად, შექმნილობა და არაშექმნილობა, ხილულობა და არახილულობა და სხვა მისთანანი. ან კი როგორ შეიძლება წება ვუწოდოთ ისეთ ნებას, რომელიც ორი ნებისაგანაა შედგენილი?! რამეთუ არ შეიძლება შედგენილს რასმე ვუწოდოთ იმის სახელი, რისგანაც იგი არის შემდგარი, რადგან სხვა შემთხვევაში ორი ბუნებისაგან შედგენილსაც უნდა ბუნება ვუწოდოთ, და არა — ჰიპოსტასი. უფრო მეტიც, თუკი ქრისტეში ვაღიარებთ ერთ შედგენილს ნებას, მაშინ ნების მიხედვით განსხვავებულად ვაღიარებთ მ ა ს მ ა მ ი ს ა გ ა ნ, რამეთუ წება მ ა ზ ი ს ა — არ არის შედგენილი. ამრიგად, ისდა გვრჩება, რომ შედგენილად ვაღიაროთ მხოლოდ ჰიპოსტასი ქრისტესი, რომელიც საერთოა როგორც მისი ორი ბუნებისათვის, ასევე მისი ბუნებისმიერი ნიშან-თვისებებისათვის.[41]

თავისუფალი არჩევანისა და თავისუფალი გადაწყვეტილების შესახებ საკუთრივი მნიშვნელობით შეუძლებელია საუბარი უფალთან დაკავშირებით, რამეთუ თავისუფალი არჩე-

ვანი არის კეთილგანწყობა თუ მიდრეკილება იმისადმი, რაც განსჯილ და გონებით აწონ-დაწონილ იქნა, ანუ რაიმე უცნობი საგნის გამო ფიქრით აღმოცენდება; ამას კი მოსდევს თავისუფალი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ რასმე ირჩევს და მას ანიჭებს უპირატესობას მეორისა თუ სხვათა წინაშე. ხოლო ჩვენს უფალს იესუ ქრისტეს, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანი კი არ იყო, არამედ იმავ დროს — ღმერთიც, და რომელმაც ამის გამო ყოველივე წინდაწინ უწყის, არავითარი საჭიროება არ ჰქონდა არც განსჯისა, არც მოფიქრებისა თუ გონებით რაიმეს აწონ-დაწონისა. მას ბუნებითვე ჰქონდა მიდრეკილება სიკეთისაკენ და სიძულვილი ბოროტისადმი. ამასვე ამბობს წმიდა ესაია წინასწარმეტყველიც: „...თვით უფალმან მოგცეს სასწაული თქვენ: აჰა, ქალწულმან მუცლადიღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ. ერბოსა და თაფლსა ჭამდეს პირველ, ანუ ცნობადმდე მისსა, ანუ წინააღრჩევად ბოროტისა გამოირჩიოს კეთილი; **რამეთუ ვიდრე ცნობადმდე ყრმისა მის კეთილისა გინა ბოროტისა, შეურაცხ-ჰყოს ბოროტი და გამოირჩიოს კეთილი**, და დაშთომილ იქმნეს...“ (ესაია 7, 14—16).

ს ი ტ ყ ვ ა თავიდანვე გვიჩვენებს, რომ ი გ ი ჩვენსავით — განსჯითა და გონებით აწონ-დაწონის შედეგად კი არ აღირჩევს კეთილსა და უმჯობესს, არამედ არის რა ღმერთი და ღვთაებრივად იწყო რა არსებობა ხორციელად, ანუ ჰიპოსტასურად შეუერთდა რა სხეულს, თვით თავისი არსებობისა და ყოვლის მცნობელობის ძლით, ანუ თავისი ღვთაებრივი ბუნებით იყო სახიერი და „გამოირჩია კეთილი“. რამეთუ სათნოებანი ბუნებისმიერია და ყველაში ბუნებრივად და თანაბრადაა, თუმცა ჩვენ ყველანი თანაბარივე ხარისხით როდი ვიქმთ იმას, რაც ჩვენი ბუნების თანახმიერია. აკი შეცოდების გამო დავეცით ჩვენ და ბუნებრივი მდგომარეობიდან ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. უფალმა კი კვლავ დაგვაბრუნა ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობიდან ბუნების თანახმიერ მდგომარეობაში, რამეთუ სწორედ ასეთ მდგომარეობას ნიშნავს სიტყვები ხატად და სახედ (მსგავსად) ღმრთისაო. ასევე მოსაგრეობაც და მოსაგრის ღვაწლიც სათნოებათა მოსაპოვებლად კი არ არის დადგენილი, რომელთაც

თითქოს გარედან უნდა შევიძენდეთ, არამედ იმისთვის, რომ გარდავიგდოთ და მოვიშოროთ ჩვენი ბუნებისათვის უცხო და საძაგელი მანკიერება. ამის მსგავსია, მაგალითად, ის, როცა ჩვენ რკინას, ჟანგით დაფარულს, უწინდელ ბუნებრივ მდგომარეობას — ელვარებას ვუბრუნებთ იმით, რომ დიდის ძალისხმევით ვაცილებთ ჟანგს, რაც რკინისთვის ბუნებისმიერი რამ კი არ არის, არამედ უქმად გდებისაგან შეძენილი ნაკლია, მანკიერებაა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სიტყვას „გნომი" მრავალგვარი ელფერი და მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ იგი აღნიშნავს დარწმუნებას, შეგონებას, დამოძღვრას, რჩევას, როგორც ამბობს ღვთაებრივი (პავლე) მოციქული — „ხოლო ქალწულთათვის ბრძანებაი უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო გაზრახებ (ანუ რჩევას — „გნომინ" — გაძლევთ), ვითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო ყოფილ"-ო (I კორინთ. 7,25). ზოგჯერაც ეს სიტყვა ნიშნავს თათბირს, „ზრახვას", როგორც ეს ნათქვამია ფსალმუნში: „ერსა შენსა ზედა ძმაცუვიდეს ზაკვით და განიზრახეს წმიდათა შენთათვის" (ფს. 82,4), ზოგჯერ კი იგივე სიტყვა განაჩენს („ჯერ—ჩინება"-ს) აღნიშნავს, როგორც ეს დანიელ წინასწარმეტყველის წიგნშია ნათქვამი: „რაჲსათვის გამოვიდა ჯერ-ჩინებაჲ ესე უსახური პირისაგან მეფისა?" (დან. 2,15). სხვა შემთხვევაში კი იგი აღნიშნავს რწმენას, აზრს, შეხედულებას, — საერთოდაც, ეს სიტყვა — „გნომი" ოცდარვა მნიშვნელობით იხმარება.[42]

თ ა ვ ი XV

ქმედებათათვის ჩვენს უფალ იესუ ქრისტეში

ჩვენ გამტკიცებთ, რომ ჩვენს უფალ იესუ ქრისტეში ქმედებანიც ასევე ორია. როგორც ჰეშმარიტ ღმერთს და ერთარსს მამისა მ ა ს ჰქონდა მამის მსგავსი ღვთაებრივი ქმედება, მაგრამ როგორც ადამიანად შექმნილს (განკაცებულს) და ჩვენს (ადამიანთა) ერთარსს, ქრისტეს ჰქონდა ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი ქმედება.

ᲘᲐ მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთია — მოქმედება, და

სხვა რამაა, ის, რასაც აქვს უნარი მოქმედებისა; კვალად სულ სხვაა ის, რაც მოქმედებით არის აღმონაცენი და სხვა — თვით მომქმედი. მოქმედება არის ქმედითი და დამოუკიდებელი მოძრაობა ბუნებისა (არსისა). ხოლო ის, რასაც უნარი აქვს მოქმედებისა, არის თვით ბუნება (არსი), რომლისაგანაც მოქმედება მომდინარეობს; რაც მოქმედებითაა აღმოცენებული, ის არის შედეგი მოქმედებისა, მომქმედი კი არის ის, ვინც სარგებლობს მოქმედებით, ანუ პირი. თუმცა, მოქმედებაც იწოდება ხოლმე იმად, რაც აღმოცენებულია მოქმედებით, აგრეთვე ისიც, რაც აღმოცენებულია მოქმედებით, მოქმედებადვე იწოდება, მსგავსად იმისა, როგორც ქმნილი იწოდება ქმნილებად. ასე მაგალითად, ჩვენ ვამბობთ ხოლმე — „მთელი ქმნილება"-ო, აღვნიშნავთ რა ამით შექმნილ საგნებს.

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ მოქმედება — მოძრაობაა, და იგი უფრო აღმონაცენია, ვიდრე თვით აღმოაცენებს, როგორც ამბობს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი სიტყვაში სულიწმიდის შესახებ; „...თუკი არის მოქმედება, ცხადია, იგი აღმოცენებული უნდა იყოს, და არა — აღმოაცენებდეს, და როგორც კი აღსრულდება, (მოქმედება) შეწყდება". [43]

უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ თვით სიცოცხლე არის მოქმედება, და ამასთან — თავდაპირველი მოქმედება (ყოველი) ცოცხალი არსებისა; ასევე მოქმედებაა ყოველგვარი ქმედება ცოცხალი არსებისა, როგორც ის, კვებასა და ზრდას რომ განაპირობებს, ასევე მოძრაობაც, რომელიც სწრაფვამიდრეკილებას შეესაბამება, ანუ გრძნობისმიერი ფუნქციის გამოვლინებაა; დაბოლოს, მოქმედებაა გონიერი და თავისუფალი მოძრაობაც. მოქმედება არის შედეგი ძალის გამოყენებისა. ამრიგად, თუკი ყოველივე ამას ქრისტეშიც ვხედავთ, მაშინ მასში ადამიანური ქმედებაც უნდა ვაღიაროთ.

მოქმედებად იწოდება აგრეთვე ის ფიქრიც, რომელიც პირველ ყოვლისა წარმოიშვება ხოლმე ჩვენში. და ეს არის მარტივი მოქმედება, გარეგნულად არაფრით რომ არ მეღავნდება, რადგანაც გონება თავისით წარმოქმნის, უხილავად, თავის ფიქრებს, რომელთა გარეშეც იგი არც შეიძლება საკუთრივ გონებად იწოდებოდეს. თავის მხრივ, მოქმედებად იწოდება ასევე სიტყვის წარმოთქმით აღსრულებული გამოვლენა

და გაცხადება იმისა, რაც ფიქრითაა მოპოვებული. მაგრამ ამ-
გვარი მოქმედება უკვე არ არის გარეგნულად გაუმჟღავნებე-
ლი და მარტივი, რადგან გარეგანი გამოვლენით იხილვება რო-
გორც შემდგარი აზრისა და სიტყვისაგან. და მოქმედებავე
არის თვით ის დამოკიდებულებაც, რომელიც მომქმედს აქვს
იმისადმი, რაც ხდება. და თვით შედეგიც მოქმედებისა ზოგ-
ჯერ მოქმედებადვე იწოდება. პირველი განეკუთვნება მხო-
ლოდდამხოლოდ სულს, მეორე — ისეთ სულს, სხეულით
რომ სარგებლობს, მესამე — სხეულს, განცოცხლებულს გო-
ნიერი სულით, მეოთხე კი — შედეგია. რამეთუ გონება, წინ-
დაწინ განსჯის რა იმას, რაც უნდა აღსრულდეს, ასეც მოქმე-
დებს სხეულის მეშვეობით. ამიტომაც პირველობა (მთავრობა)
ეკუთვნის სულს, რადგანაც იგი ისე სარგებლობს სხეულით,
როგორც რამ იარაღით, ხელმღძვანელობს მას და წარმართავს.
სხვა რამაა მოქმედება სხეულისა, რომელსაც სული ხელმძღვა-
ნელობს და ამოძრავებს. სხეულის მიერ აღსრულებულ მოქ-
მედებათ კი განეკუთვნება — შეხება, შეკავება-დაჭერა და
თითქოსდა მოცვა იმისა, რაც ხდება. სულის მიერ აღსრულე-
ბულ მოქმედებას კი განეკუთვნება თითქოსდა ხატის შედგენა
და მოხაზვა იმისა, რაც ხდება. აქედან გამომდინარე, ჩვენს
უფალ იესუ ქრისტესთან დაკავშირებითაც, სასწაულთმოქმე-
დების ძალა იყო ქმედება მ ი ს ი ღმრთაებისა. ხოლო მ ი ს
ხელთა საქმე და ის, რაც მ ა ნ ინება, როგორც წმიდა სახა-
რება გვეუბნება — „და მიყო ხელი თვისი იესუ, შეახო და
ჰრქუა: „მნებავს, განწმიდენ!“ (მათე 8, 3) — იყო ქმედება
მ ი ს ი ადამიანობისა. განტეხა პურისა და ისიც ,რომ მ ა ნ
ისმინა კეთროვანისა და უთხრა — „მნებავსო“ — იყო შედე-
გი მისი ადამიანური ბუნების მოქმედებისა; ხოლო ხელში
(საკვირველი) განმრავლება პურისა და განწმედა კეთრო-
ვანისა — იყო შედეგი მისი ღვთაებრივი ბუნების მოქმედე-
ბისა; რამეთუ ორივე ამ მოქმედებით — სულისმიერითაც და
სხეულისმიერითაც — ქრისტე განაცხადებდა ერთსა და იმავე
ქმედებას — თ ა ვ ი ს ღვთაებრივ მოქმედებას — თანასწორსა
და მსგავსს. როგორადაც ჩვენ ვაღიარებთ ქრისტეში შეერ-
თებულ და ურთიერთგანმსჭვალავ ბუნებათ (ღვთაებრივისა და
ადამიანურს), მაგრამ, ამასთან, კი არ უარვყოფთ მათს ურთი-

ერთგანსხვავებას, არამედ ერთად აღვრაცხავთ მათ და მივიჩნევთ კიდეც განუყოფლად, — ამგვარადვე ვაღიარებთ შეერთებას ქრისტეში ნებათა და მოქმედებათა (ღვთაებრივსავე და ადამიანურს), ამასთან განვარჩევთ მათს განსხვავებასაც, თუმცა კი ერთადვე აღვრაცხავთ და განყოფა არ შემოგვაქვს. როგორადაც ხორცი (სხეული ქრისტესი) განღმრთოებულიც არის და თავისი ბუნების ცვალებაც არ განუცდია, — ასევე (მ ი ს ი) ნება და ქმედებაც განღმრთოებულნიც არიან და, ამასთან, არც თავ-თავის საზღვართ არ გადასულან. რამეთუ ერთია ი ს, რ ო მ ე ლ ი ც ერთსა და იმავ დროს არის (ჭეშმარიტი) ღმერთი და (ჭეშმარიტი) ადამიანი, და რ ო მ ე ლ ს ა ც ორივეგვარად, ანუ ღმერთისთვისაც და ადამიანისთვისაც დამახასიათებელი სახით ნებავს (სურს) და მოქმედებს.[44]

ამიტომ, რადგან ქრისტეში ორი ბუნებაა, უნდა აუცილებლად ვილაპარაკოთ მ ა ს შ ი ორი ქმედების შესახებაც, რამეთუ ვისშიც ბუნებანი განსხვავებულია, მასში განსხვავებული უნდა იყოს ქმედებანიც; და (პირიქით) ვისშიც ქმედებანია განსხვავებული, მასში განსხვავებული უნდა იყოს ბუნებანიც. ხოლო ვისშიც ბუნება ერთია, მასში ქმედებაც — ერთია; და ვისშიც ქმედებაა — ერთი, მასში არსიც ერთია, — როგორც ეს შეგვიძლია დავასკვნათ ღმრთისმეტყველ მამათა სწავლების მიხედვით. ამიტომ აუცილებელია ორიდან—ერთი: ან ის, რომ იმათ, ვინც ქრისტეში ერთი ქმედების შესახებ ლაპარაკობს, აღიარონ მ ა ს შ ი ერთი არსი (ბუნება), ანდა თუკი ჩვენ ნამდვილად ჭეშმარიტ რწმენას ვადგავართ და, წმიდა საეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, ვაღიარებთ ქრისტეში ორ არსს (ბუნებას), — ამასთან ერთადვე უნდა ვაღიაროთ მ ა ს შ ი ორი ქმედებაც, თან რომ უნდა ახლავდნენ შესაბამისად ამ ორ ბუნებას. რამეთუ ერთარსია რა ღმრთაებით მ ა მ ა-ღ მ ე რ თ ი ს ა, ქრისტე მ ი ს ი თანასწორი უნდა იყოს ქმედების მხრივაც. და იგივე ქრისტე, ერთარსია რა ჩვენი ადამიანობით, ჩვენი თანასწორიც უნდა იყოს ქმედებით. ნეტარი გრიგოლი, ნოსელი ეპისკოპოსი, ამბობს — ვისშიც ერთი ქმედებაა, იმათ, უეჭველია, ძალაც თანაბარი აქვთო. რამეთუ ყოველგვარი მოქმედება ძალის წარმონაშობია. ბაგრამ შეუძლებელია, რომ ერთი ბუნება (არსი) ჰქონდეთ,

ანდა ერთი ძალა თუ ერთი მოქმედება — არაქმნილ და ქმნილ ბუნებათ. ხოლო თუკი ვიტყვით, ქრისტეში ერთი ქმედება იყოო, ამით ს ი ტ ყ ვ ი ს ღმრთაებას მივაწერთ ენებით (ტანჯვით) მდგომარეობებს, დამახასიათებელთ გონიერი სულისათვის, — ვგულისხმობ შიშს, მწუხარებას, სიკვდილისწინა ტანჯვას...[45]

ხოლო თუკი გვეტყვიან, რომ წმიდა მამები, ყოვლადწმიდა სამებაზე საუბრისას ამტკიცებდნენ — ვისშიც ერთი არსია, იმათ ქმედებაც ერთი აქვთო, და ვისშიც განსხვავებულია (სხვადასხვაა) არსი, იმათი ქმედებანიც განსხვავებულიაო, და რომ არ უნდა გადავიტანოთ განკაცებაზე (სიტყვის ხორციელქმნაზე) ის, რაც ღმერთზე ითქმება თუ ისწავლება, — თუკი ასე გვეტყვიან, ჩვენ მივუგებთ: თუკი დავუშვებთ, რომ წმიდა მამებს ეს უთქვამთ მხოლოდ ღმერთთან დაკავშირებით, და თუკი ძ ე ს (ღმრთისა) განხორციელების შემდეგ არა აქვს მ ა მ ი ს მსგავსი ქმედება, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ მ ა ს არც არსი ჰქონია მსგავსი და იგივე მ ა მ ი ს ა. მაგრამ თუკი ასე ვიტყვით, მაშინ ვისღა უნდა მივაკუთვნოთ სიტყვები: „მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ“ (იოანე 5,17)? ანდა კიდევ: „...არა ხელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თვისით არცა ერთი რაჲ, უკუეთუ არა იხილოს რაჲმე მამისაგან საქმე, რამეთუ რავდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს“ (იოანე 5,19)? ანდა ესეც: „უკუეთუ ვიქმ, დაღაცათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენედ, რაჲთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს და მე — მამისა თანა“ (იოანე 10,38)? ანდა ეს სიტყვები ვისღა მივაკუთვნოთ: „...საქმეთა, რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთვის“ (იოანე 10,25)? და კიდევ ეს სიტყვებიც: „...ვითარცა-იგი მამაჲ აღადგინებს მკვდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაჲ ჰნებავს, აცხოვნებს“ (იოანე 5,21)? ყველა ეს გამონათქვამი გვიდასტურებს, რომ ძ ე განკაცება-განხორციელების შემდეგაც არამხოლოდ ერთარსია მ ა მ ი ს ა, არამედ ქმედებაც ერთი და იგივე აქვს მ ა მ ი ს ა.

და კიდევ: თუკი განგებულება ყოველივე არსებულის შესახებ ეკუთვნით არამხოლოდ მ ა მ ა ს და ს უ ლ ს წ მ ი-

დან, არამედ ძესაც განკაცების შემდგომაც, ხოლო განგებულება ესე არის მოქმედება, — მაშინ, აქედანაც უნდა დავასკვნათ, რომ ძეს განკაცება-განხორციელების შემდეგაც ერთი და იგივე ქმედება აქვს მამისა და სულიწმიდისა.

თუკი ქრისტეს სასწაულთმოქმედებათაგან ჩვენ შევიტყვეთ, რომ მას ერთი ბუნება აქვს მამასთან, ანუ ერთარსია მისი, სასწაულები კი — ღმერთის მოქმედებანია, — მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მას (ქრისტეს) განკაცების შემდგომაც ერთი და იგივე ქმედება აქვს მამისა.

თუკი მოქმედება ღმრთაებისა და ადამიანობისა ქრისტეში — ერთია, მაშინ ის შედგენილი უნდა ყოფილიყო, და ამ შემთხვევაში უნდა გვეთქვა, რომ ან ქრისტეს აქვს მამისაგან განსხვავებული ქმედებაო, ანდა თვით მამის ქმედება არის შედგენილიო; ხოლო თუკი დავუშვებთ, რომ ქმედება მამისა შედგენილია (და არა — მარტივი), მაშინ, ცხადია, იძულებულნი ვიქნებით ვთქვათ, რომ ბუნებაც (არსიც) მამისა — შედგენილია.

შესაძლოა, ისიც თქვან, რომ მოქმედებასთან ერთად შემოიყვანება (ცალკე) პირიც. მაშინ ჩვენ მივუგებთ, რომ თუკი მოქმედებასთან ერთად პირიც შემოიყვანება, მაშინ სავსებით უკუთქმითი დასკვნით, პირთან ერთად — მოქმედებაც შემოდის. მაგრამ ამ შემთხვევაში წმიდა სამების სამი პირის, ანუ სამი ჰიპოსტასის შესაბამისად, მათ უნდა დაუშვან აგრეთვე სამი მოქმედება, ანდა ერთი მოქმედების შესატყვისად, აღიარონ აგრეთვე ერთი პირი, ანუ ერთი ჰიპოსტასი. მაგრამ წმიდა მამები ხომ შეთანხმებულად გვასწავლიან, რომ ერთი და იგივე არსის მქონეთათვის დამახასიათებელია ასევე ერთი და იგივე მოქმედებაც.[47]

მეტიც, თუკი მოქმედებასთან ერთად პირიც შემოდის, მაშინ იმათ, ვინც მოითხოვს არ ვილაპარაკოთ ქრისტეში არც ერთი და არც ორი ქმედების შესახებ, უნდა დაგვიდგინონ აგრეთვე ის, რომ არ ვილაპარაკოთ მისი არც ერთი პირის და არც — ორი პირის შესახებ.

გავარვარებულ მახვილში ხომ შენარჩუნებულია როგორც ორი ბუნება — რკინისა და ცეცხლისა, ასევე ორი ქმედებაც

მათს შედეგებთანვე ერთად: რკინას აქვს ძალა განკვეთისა, ცეცხლს კი — ძალა დაწვისა, და განკვეთის ძალაც არის ცეცხლის მოქმედების შედეგი. ამასთანავე, განსხვავება ერთისაც და მეორისაც შენარჩუნებულია როგორც განკვეთის ძალაში, რომელსაც თან ახლავს წვის ძალა, ასევე წვის ძალაში, რომელსაც თან ახლავს განკვეთის ძალა, თუმცა კი რკინისა და ცეცხლის ბუნებათა შეერთების შემდეგ არც წვის ძალას შეუძლია განკვეთის ძალის გარეშე არსებობა, და არც განკვეთის ძალას — წვის ძალის გარეშე. მაგრამ გავარვარებული მახვილის ბუნებისმიერი მოქმედების ორადობის გამო ჩვენ არ ვლაპარაკობთ ორი გავარვარებული მახვილის შესახებ; ამგვარადვე იმის გამო, რომ გავარვარებული მახვილი (სინამდვილეში) ერთია, ჩვენთვის ერთმანეთში შერეულნული როდია მის მიერ აღსრულებული მოქმედების არსებითი განსხვავებანი. იგივე უნდა ითქვას ქრისტეს შესახებაც: მ ი ს ი ღმრთაებისათვის დამახასიათებელია ღვთაებრივი, ყოვლისშემძე ქმედება, მ ი ს ი ადამიანობისათვის (ადამიანური ბუნებისათვის) კი — ისეთი მოქმედება, რომელიც ჩვენი (ადამიანთა) მოქმედების შესატყვისია.

უფლის ადამიანური მოქმედების შედეგი იყო ის, რომ მ ა ნ ხელი მოჰკიდა ყრმა ქალს და წამოაყენა იგი, ხოლო ღვთაებრივი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ უფალმა (მკვდრეთით) აღადგინა იგი (ლუკა 8, 49—56). ეს მოქმედებანი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, თუმცა ღმერთკაცის ქმედებაში ისინი განუცალკევებელნი არიან ერთმანეთისაგან. ხოლო თუკი იმის გამო, რომ უფალ იესუ ქრისტეში — ერთი პირია (ჰიპოსტასია), ჩვენ დავუშვებთ ასევე ერთი ქმედების არსებობას, მაშინ იძულებულნი გავხდებით ვთქვათ, რომ მ ა ს შ ი არსიც ასევე ერთია (და არა ორი — ღვთაებრივი და ადამიანური), კვალად, თუკი ვილაპარაკებთ უფალში ერთი მოქმედების შესახებ, მაშინ ამ მოქმედებას ჩვენ უნდა ვუწოდოთ ან ღვთაებრივი მოქმედება, ანდა ადამიანური მოქმედება, ან არც ერთი, და არც მეორე (არამედ რაღაც სხვაგვარი მოქმედება). მაგრამ თუკი მას ღვთაებრივ მოქმედებას ვუწოდებთ, მაშინ მ ა ს ზ ე უნდა ვილაპარაკოთ როგორც მხოლოდ ღმერთზე, რ ო მ ე ლ ს ა ც არ ეკუთვნოდა ჩვენი, ადამიანური ბუნება; ხო-

ლო თუ ადამიანურს ვუწოდებთ ამ მოქმედებას, მაშინ მკრეხელურად ვაღიარებთ ქრისტეს მხოლოდ ადამიანად; და ბოლოს თუკი ამ მოქმედებას ჩვენ არ ვუწოდებთ არც ღვთაებრივს და არც ადამიანურს, მაშინ არ შეგვეძლება უფალი ვაღიაროთ ი გ ი ერთარსად არც მ ა მ ი ს ა და არც ადამიანთა. რამეთუ ჰიპოსტასური იგივეობა (ქრისტეს ღმრთაებისა და ადამიანობისა) წარმოიშვა (ბუნებათა) შეერთების შედეგად, მაგრამ ისე როდი, თითქოს ამ შეერთებით განქარვებულიყოს ბუნებათა განსხვავება. ხოლო თუკი შენარჩუნებულია ბუნებათა სხვადასხვაობა, მაშინ, ცხადია, შენარჩუნებული უნდა იყოს მათი ქმედებანიც, რადგან არ არსებობს ისეთი ბუნება, რომელიც მოკლებული იქნება მოქმედებას.[84]

უფალ იესუ ქრისტეს ქმედება რომ ერთი ყოფილიყო, მაშინ იგი ან ქმნილი უნდა ყოფილიყო, ან — არაქმნილი. საშუალო მოქმედება ამათ შორის არ არსებობს, როგორადაც არ არსებობს საშუალივე არსი (ბუნება). ქმნილი რომ ყოფილიყო, მაშინ (ქრისტეში) წარმოაჩენდა მხოლოდ ერთ-ქმნილ ბუნებას, ხოლო არაქმნილი რომ ყოფილიყო, მაშინ დამახასიათებელი იქნებოდა მხოლოდ არაქმნილი არსისათვის. რამეთუ ის, რაც ბუნებას (არსს) განეკუთვნება, აუცილებლად სრულად უნდა შეესაბამებოდეს თავის ბუნებას, რადგანაც შეუძლებელია არსებობა ისეთი ბუნებისა, რომელიც მოკლებული იქნებოდა ბუნებისმიერ თვისებებს. ბუნების შესაბამისი მოქმედება კი არსებობას გარედან როდი იღებს; ასევე ისიც ცხადია, რომ თავისი შესაბამისი მოქმედების გარეშე ბუნებას არ შეუძლია არც არსებობა და არც ის, რომ შეცნობადი იყოს; ყოველი არსება თავის საკუთარ ბუნებას ადასტურებს და წარმოაჩენს იმით, თუ როგორ მოქმედებს, ანუ მოქმედებით გვიჩვენებს იმას, რაც მასში უცვალებელია.

ქრისტეს ქმედება ერთი რომ ყოფილიყო, მაშინ ერთსა და იმავე მოქმედებას უნდა აღმოეცენებინა საღმრთო საქმენიც და ადამიანური (ბაცობრივი) საქმენიც. მაგრამ ყოველივე არსებულისაგან არაფერს არ ძალუძს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებანი აღმოაცენოს და, ამავ დროს, იმ საზღვრებში დარჩეს, რაც (მისი) ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ცეცხლს არ შეუძლია გაგვათბოს კიდეც და გაგ-

ვაგრილოს კიდეც; წყალსაც არ შეუძლია — დაასველოს კიდეც და გააშროს კიდეც. მაშ, როგორღა არის შესაძლებელი, რომ მ ა ს, ვ ი ნ ც ბუნებით ღმერთია და ბუნებითვე ადამიანი შეიქნა, ერთი და იმავე მოქმედებით აღესრულებინა სასწაულები და ტანჯვაც დაეთმინა?!

ამრიგად, თუკი ქრისტემ მიიღო ადამიანური გონება, ანუ გონიერი და მოაზროვნე სული, მაშინ ი გ ი, უეჭველია, აზროვნებს, და ყოველთვისაც იაზროვნებს. აზროვნება კი გონების მოქმედებაა. მაშასადამე, ქრისტეს აქვს და ყოველთვის ექნება ქმედება როგორც ადამიანსაც (ღვთაებრივ ქმედებასთან ერთად).[49]

ყოვლადბრძენი და დიდი წმიდანი იოანე ოქროპირი „საქმე მოციქულთა"-ს განმარტების, მეორე სიტყვაში ასე ამბობს: „არ შესცოდავს, თუკი ვინმე თქვენგან მ ი ს ტანჯვასაც მოქმედებას უწოდებს, რამეთუ სწორედ იმით, რომ ყოველივე დაითმინა, (ქრისტემ) აღასრულა ეს დიდი და საკვირველი საქმე — სძლია სიკვდილს და ქმნა სხვა ყოველივეც".[50] თუკი ყოველგვარი მოქმედება განისაზღვრება როგორც დამოუკიდებელი მოძრაობა რაიმე ბუნებისა (არსისა), — როგორც ეს განმარტეს ამ მხრივ გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა, — მაშინ უნდა ვიკითხოთ: ცნობილია კი ვინმესთვის უძრავი, ანდა სრულიად უმოქმედო ბუნება? ან შეიძლება კი ვიპოვოთ ისეთი მოქმედება, რომელიც არ იქნება დამოუკიდებელი მოძრაობა ბუნებისმიერი ძალისა? ხოლო ის, რომ, თითქოსდა, ერთია ბუნებისმიერი მოძრაობა ღმერთისა და ქმნილებისა, — ამის დაშვება, როგორც უთქვამს ნეტარ კირილეს, არ ძალუძს არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს. ადამიანური ბუნება როდი აღადგინებს (მკვდრეთით) ლაზარეს, და საღმრთო ძალა როდი ჰღვრის ცრემლს: ცრემლისღვრა ადამიანს ახასიათებს, სიცოცხლის მინიჭება კი — ჰიპოსტასური ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა თ ვ ი ს (ცხოვრებისათვის) არის დამახასიათებელი. მაგრამ, ამასთან, ერთიცა და მეორეც საერთოა ორივესათვის (ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებისათვის) ჰიპოსტასის იგივეობის გამო, რამეთუ ქრისტეს ერთი ჰიპოსტასი აქვს. ერთია ქრისტე, და ერთია მ ი ს ი პირი, ანუ ჰიპოსტასი, მაგრამ მ ა ს აქვს ორი ბუნება — ღვთაებრივი

და ადამიანური, ამიტომაც, ერთის მხრივ, ღმრთაებისაგან ბუ-ნებისმიერად მომდინარე დიდება, ჰიპოსტასის იგივეობისა და ერთობის მიზეზით, ზიარი შეიქნა ორივე ბუნებისათვის; მეორეს მხრივ კი, დამდაბლება-შეურაცხყოფაც, დათმენილი ქრისტეს მიერ, რაც ხორცისაგან, ანუ მისი ადამიანური ბუ-ნებისაგან მომდინარეობს, ასევე ზიარი შეიქნა ორივე ბუნე-ბისათვის. რამეთუ ი გ ი, ვ ი ნ ც ერთიცაა და მეორეც, ანუ ღმერთიცაა და ადამიანიც, — ერთია მხოლოდ, და მ ა ს, ერთს, ეკუთვნის საღმრთო თვისებებიც და — ადამიანურიც. ღვთაებრივ ნიშებს ღმრთაება იქმოდა, მაგრამ არა — სხეუ-ლის გარეშე; დამდაბლებულს კი სხეული აღმოაცენებდა, მაგრამ არა განცალკევებულად ღმრთაებისაგან. რამეთუ ვნე-ბულ სხეულს (ხორცს) ღმრთაება შეუერთდა ისე, რომ თვით უვნებო დარჩა, ხოლო ვნებათ მაცხოვნებელი ძალა მიანიჭა; და ს ი ტ ყ ვ ი ს მოქმედ ღმრთაებას შეუერთდა წმიდა გო-ნება, რომელიც გულისხმაჰყოფდა და შეიმეცნებდა ყოველი-ვე იმას, რაც ხდებოდა.[51]

თუმცა კი ღმრთაება ანიჭებს ხორცს თ ა ვ ი ს სრულყო-ფილებათ, მაგრამ თვით კი არ არის ნაზიარები სხეულის ვნე-ბებს (ტანჯვას), რადგანაც შეუძლებელია თქმა, როგორც სხეულის საშუალებით მოქმედებდა ქრისტეში ღმრთაება, მსგავსად ამისა და ზუსტად ასევე მ ი ს ი სხეულიც ტანჯვა-ვნებას ღმრთაების შუალობით განიცდიდაო. რამეთუ მ ი ს მ ა სხეულმა მიიღო სახელწოდება ღმრთაების საშუალებისა (იარაღისა). ამრიგად, თუმცა კი ჩასახვის თავდაპირველი მო-მომენტიდანვე არ იყო არავითარი გაყოფა-გაცალკევება ამ ორი ბუნებისა (ქრისტეში), და ამქვეყნიური არსებობის მთე-ლი დროის მანძილზე ორივე ბუნების (ღვთაებრივისა და ადამიანურის) მოქმედება ეკუთვნოდა ერთ პირს, — მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში შერევნულად არ მივიჩნევთ იმას, რაც განუყოფლად იქნა შეერთებული და განუცალკევებლად აღსრულდა, არამედ მოქმედებულ საქმეთა თვისებითა და რაგვარობით შევიტყობთ, თუ ქრისტეს რომელ ბუნებას ეკუთ-ვნის მისი ესა თუ ის საქმე — ღვთაებრივსა თუ ადამიანურს.

ამრიგად, ქრისტე თავისი ორივე ბუნების მიხედვით მოქ-მედებს, და თითოეული ამ ბუნებათაგან მოქმედებს მ ა ს შ ი

მეორის მონაწილეობით: ს ი ტ ყ ვ ა, თავისი უსაზღვროებითა და ყოვლადძლიერებით, აღასრულებს იმას, რაც სწორედ ს ი ტ ყ ვ ი ს თ ვ ი ს (ანუ საღმრთო ბუნებისათვის) არის დამახასიათებელი — სამეუფოსა და საუფლოს; სხეული კი აღასრულებს მისთვის დამახასიათებელს, შესაბამისად მასთან შეერთებული ს ი ტ ყ ვ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს კუთვნილებაც იგი გამხდარა; რამეთუ თავისთავად კი არ ისწრაფვოდა იგი (სხეული) ბუნებისმიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და თავისით როდი განეშორებოდა სიმძიმილთ, ანდა თავისით როდი დაითმენდა იმას, რაც გარედან შეემთხვეოდა, არამედ თავისი ბუნების შესაბამისად ამოძრავდებოდა ხოლმე მაშინ და იმგვარად, როცა და როგორც ეს ს ი ტ ყ ვ ა ს სურდა, რ ო მ ე ლ ი ც საღრმთო განგებულებით დაუშვებდა სხეულის ტანჯვას და ყოველივე იმის აღსრულებას, რაც დამახასიათებელია ხორცისთვის, რათა სწორედ საქმით დადასტურებულიყო ჭეშმარიტება (ქრისტეს) ადამიანური ბუნებისა (რომ ი გ ი ჭეშმარიტი ღმერთიც იყო და ჭეშმარიტი ადამიანიც).[52] ჩასახულ იქნა რა ქალწულის სხეულში სულიწმიდის მიერ, ქრისტემ ზებუნებრივად (ბუნებაზე აღმატებული სახით) მიიღო არსებობა. ზუსტად ასევე ადამიანთათვის დამახასიათებელ საქმეებს ი გ ი ისე აღასრულებდა, რომ აღემატებოდა ჩვეულებრივ ადამიანს: მაგალითად, დაუბრკოლებლად ვიდოდა მდინარი წყლის ზედაპირზე, და იმიტომ კი არა, თითქოს წყალი მიწად იქცეოდა ხოლმე, არამედ იმის გამო, რომ ყოველგვარ ბუნებაზე აღმატებული ძალით ღმრთაებისა წყალი მკვრივდებოდა, არ იღვრებოდა და არ უთმობდა ადგილს ნივთიერ ფერხთა სიმძიმეს. მაშასადამე, იმასაც, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის, ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად კი არ იქმოდა, არამედ მასზე აღმატებულად, რადგანაც ადამიანი კი არ იყო მხოლოდ, არმედ ღმერთიც. ამიტომაც მ ი ს ი ტანჯვა ცხოველმყოფელი და მხსნელი იყო. ღმრთაების კუთვნილი საქმენიც ქრისტემ იმსახედ როდი აღასრულა, როგორც ეს ღმერთისთვის არის დამახასიათებელი, რადგანაც ი გ ი მხოლოდ ღმერთი კი არ იყო, არამედ ადამიანიც, — ამიტომაც ღვთაებრივ სასწაულთმოქმედებათ

ბგი აღასრულებდა ხელის შეხებით და სიტყვის წარმოთქმით, და სხვა მისთანა სახით.[53]

ხოლო თუკი ვინმე გვეტყვის — ჩვენ ქრისტეში ერთ მოქმედებას იმიტომ კი არ ვაღიარებთ, რომ მოვაშოროთ მას ადამიანური მოქმედება, არამედე იმიტომ, რომ ადამიანური მოქმედება, თუკი მას ღვთაებრივ მოქმედებას დავუპირისპირებთ როგორც განსაკუთრებულს (თავისთავადს), უნდა იწოდებოდეს ვნებად, — აი, რატომაც ვლაპარაკობთ ქრისტეში ერთი მოქმედების შესახებო, — თუკი ასე გვეტყვიან, ჩვენ მივუგებთ: ქრისტეში ერთი ბუნების მაღიარებელნიც ამავე საფუძველზე განმარტავენ, — ასე (ქრისტესაგან) ადამიანური ბუნების მოცილების მიზნით კი არ ვიქცევითო, არამედ იმიტომ, რომ ადამიანური ბუნება, თუკი მას ღვთაებრივ ბუნებას დავუპირისპირებთ როგორც საწინააღმდეგოს მ ი ს თ ვ ი ს, უნდა აღიარებულ იქნას ვნებას დაქვემდებარებულადო. ჩვენ კი თავს ნებას ვერ მივცემთ ადამიანურ მოძრაობას ვნება (ტანჯვა) ვუწოდოთ იმისთვის, რომ განვასხვავოთ იგი ღვთაებრივი მოქმედებისაგან. რამეთუ, საერთოდაც, არც ერთი საგნის არსებობა — მდგომარეობა არ შეიცნობა და არ განისაზღვრება შეპირისპირებითა თუ შედარებით (სხვასთან), რადგან ამ შემთხვევაში არსებული საგნები აღმოჩნდებოდნენ ურთიერთმბრალდებლები და ერთმანეთის ნაკლოვანებათა მამხილებელნი. თუკი ადამიანური მოძრაობა ვნებაა მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთაებრივი მოძრაობა — მოქმედებაა, მაშინ, უეჭველია, ადამიანური ბუნება ბოროტი უნდა იყოს, რადგანაც ღვთაებრივი ბუნება კეთილია. და პირიქით, შესაბამისად ურთიერთდაპირისპირებულთა მიმართებისა, ღვთაებრივი ვი მოძრაობა მოქმედებად იწოდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანური მოძრაობა ვნებად იწოდება, და ღვთაებრივი ბუნება, კერძოდ, იმიტომ იქნებოდა კეთილი (სახიერი), რომ ადამიანური ბუნებაა — ბოროტი. და ამ შემთხვევაში ყოველი ქმნილებაც ბოროტი აღმოჩნდებოდა, და მტყუვრად უნდა მიგვეჩნია მთქმელიც ამისა: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა, და აჰა, კეთილ ფრიად“ (დაბად. 1,31). ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ წმიდა მამები სხვადასხვანაირად აღნიშნავდნენ ადამიანურ მოძრაობას, შესაბამისად იმ შეხედუ-

ლებისა, საფუძვლად რომ ედო მათს მსჯელობას. ისინი ადამიანურ მოძრაობას უწოდებენ ძალასაც, მოქმედებასაც, განსხვავებასაც, მოძრაობასაც, თვისებასაც, ხარისხსაც და ვნება-ტანჯვასაც, — მაგრამ ასე უწოდებდნენ არა იმისთვის, რომ განესხვავებინათ იგი ღვთაებრივი მოძრაობისაგან. გარნა ძალას უწოდებდნენ როგორც განუწყვეტელსა და უცვალებელს; მოქმედებას კი — როგორც დამახასიათებელს არსისა და მის წარმომჩენელს იმ მხრივ, რომელიც უცვალებელია ერთი გვარის (სახეობის) ყველა არსებაში; განსხვავებას — როგორც ისეთს რასმე, რაც ხელს უწყობს განრჩევას ერთი არსებისას მეორისაგან; კვალად, მოძრაობას უწოდებენ როგორც გამომჟღავნებელს თავისა გარეშეში, და თვისებას კი — როგორც მკვიდრ კუთვნილებას (სახეობისა), დამახასიათებელს მხოლოდ ამ სახეობისათვის, დაბოლოს, ხარისხს უწოდებენ როგორც განსაზღვრულობის მიმნიჭებელს სახეობისადმი, ხოლო ვნებას — ამოძრავებულს (სხვის მიერ). რამეთუ ყოველივე, რაც ღმერთისაგანაა და ღმერთის შემდეგაა, არის რა მოძრავი, ევნება, რადგანაც არ არის თავისთავადი მოძრაობა, ანდა თავისთავადი ძალა. ამრიგად, წმიდა მამები ადამიანურ მოძრაობას ვნებას უწოდებენ არა ღვთაებრივ მოძრაობასთან დაპირისპირების თვალსაზრისით, როგორც უკვე ვთქვით, — არამედ იმ მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც მას მიანიჭა უზენაესმა მ ი ზ ე ზ მ ა, ყოვლის განმგებელმა და წარმმართველმა. ამიტომაც როცა ადამიანურ მოძრაობაზე ლაპარაკობდნენ ღვთაებრივ მოძრაობასთან ერთად, წმიდა მამები მას მოქმედებას უწოდებდნენ. რამეთუ ვინც თქვა — თითოეული (ქრისტეს) ბუნებათაგან მოქმედებს მეორის მონაწილეობითო, — სხვას არაფერს გულისხმობდა, თუ არ იმასვე, რასაც წმიდა სახარება ამბობს: „და იმარხა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე, და მერმე შეეშია" (მათე 4,2), რადგანაც ქრისტე, როცა ეს სურდა ნებას აძლევდა (ადამიანურ) ბუნებას ისე ემოქმედა როგორც ეს მისთვის დამახასიათებელი იყო. ამასვე გულისხმობენ ისინიც, ვინც ქრისტეში განსხვავებულ ქმედებათა შესახებ, ანუ ორადი ხასიათის მოქმედების შესახებ, ანდა ამგვარი თუ სხვაგვარი მოქმედების შესახებ ლაპარაკობს. რამეთუ ეს გამოთქმები მხოლოდ სხვადასხვა სიტ-

ყვებით გამოხატავენ ორ მოქმედებას (ქრისტეში). და მართლაც, სახელწოდებათა შეცვლის მეშვეობით ხშირად ხომ რიცხვიც (ოდენობაც) გამომჟღვანდება ხოლმე, — მოცემულ შემთხვევაში ორი ქმედება ქრისტეში — ღვთაებრივი და ადამიანური. რამეთუ განსხვავების არსებობა (რაიმეს შორის) გულისხმობს განსხვავებას სინამდვილეში არსებულთა შორის; იმიტომ, რომ რაც არ არსებობს, განა შეიძლება განსხვავებული იყოს?! — განსხვავება მხოლოდ არსებულ საგანთა თუ მოვლენათა შორისაა შესაძლებელი. ქრისტეშიც მოქმედებანი ბუნებათა შესაბამისად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რის გამოც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მ ა ს შ ი იყო ორი ქმედება — ღვთაებრივი და ადამიანური.[54]

თ ა ვ ი XVI

იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ამბობს: თუკი ადამიანში ორი ბუნება და ორი მოქმედებაა, მაშინ ქრისტეში უსათუოდ სამი ბუნება და ამდენივე მოქმედება უნდა ვივარაუდოთო.[55]

ყოველი ცალკეული ადამიანი, რაკი ის ორი ბუნებისაგან შედგება — ანუ სულისა და სხეულისაგან, და აქვს რა ეს ორი ბუნება თავის არსებაში უცვალებელი სახით, სამართლიანად შეიძლება იწოდოს ორბუნებოვანად (ორი ბუნებისაგან შემდგარად), რადგანაც შეერთების შემდგომაც ინარჩუნებს თითოეული მათგანის ბუნებისმიერ თვისებებს. რამეთუ სხეული (უკვდავ სულთან შეერთების შემდგომაც) არ არის უკვდავი, არამედ გახრწნადია; ასევე სულიც (სხეულთან შეერთების შემდგომაც) არ არის მოკვდავი, არამედ უკვდავია; და სხეულიც უხილავი არ ხდება (სულთან შეერთებით), ისევე, როგორც სულიც არ შეიქნება ხილული ხორციელი თვალებით. სულს აქვს უნარი გულისხმის-ყოფისა, დაჯილდოებულია გონიერებით, უსხეულოა; სხეული კი უხეშია, ხილული და არაგონიერი. ხოლო რაც არსისმიერ ურთიერთდაპირისპირებულია, ის არ შეიძლება ერთი ბუნებისა იყოს. ამრიგად, სული და სხეული არ არიან ერთარსნი.

და პირუკუ: თუკი ადამიანი არის გონიერი ცოცხალი არსება, ამასთან, მოკვდავი, ხოლო ყოველი განსაზღვრება გულისხმობს იმის ახსნას, რაც ბუნებით არის ესა თუ ის საგანი, და, ასეთი განსაზღვრებით ბუნებისა, თვისება გონიერებისა არ არის იმავე ბუნების დამახასიათებელი, რაც თვისება მოკვდავობისა, — მაშინ, აქედან გამომდინარე, ადამიანიც არ შეიძლება ერთი ბუნებისაგან შედგებოდეს.

ხოლო თუკი ზოგჯერ იტყვიან, ადამიანი ერთბუნებოვანიაო, ამ დროს სიტყვა „ბუნება" იხმარება სიტყვა „სახეობის" („გვარის") ნაცვლად. მაგალითად, როცა ვამბობთ ხოლზე, რომ ადამიანი არ განსხვავდება სხვა ადამიანისაგან არანაირი ბუნებისმიერი (არსისმიერი) განსხვავებით; მაგრამ რადგანაც ადამიანებს სრულიად მსგავსი შედგენილობა აქვთ და არიან სულისა და სხეულისაგან შემდგარი არსებანი, ამიტომ ყოველი ადამიანი ორბუნებოვანია და ყველას ერთი განსაზღვრება მიესადაგება. და ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან წმიდა და ყოვლადსამღვდელო ათანასე ყოველს ქმნილებას, როგორც შექმნილთ, ბუნებისმიერ ერთარსად მიიჩნევდა. თავის სიტყვაში იმათ წინააღმდეგ, ვინც გმობდა სულიწმიდას, იგი ამბობს: სულიწმიდა რომ ყოველ ქმნილებაზე აღმატებულია, რომ იგი განსხვავებულია ქმნილი ბუნების არსებობისაგან და განეკუთვნება ღვთაებრივ ბუნებას, — ეს ჩვენ შემდეგიდან შეგვიძლია შევიტყოთ: ყოველივე, რაც იხილვება კიდეც ერთდროულად მრავალ საგანში, და რაც არის რომელიმე მათგანში ნაკლებად, სხვაში კი — მეტად, — ყოველივე ეს იწოდება არსად; ამიტომაც, რაკი ყოველი ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება, სწორედ ამ მნიშვნელობით ამბობენ, რომ ადამიანთა ბუნება — ერთია. უფლის ჰიპოსტასთან დაკავშირებით კი ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ერთი ბუნების შესახებ, რამეთუ შეერთების შემდგომაც თითოეული მ ი ს ბუნებათაგან (ღვთაებრივი და ადამიანური) ინარჩუნებს თავის ბუნებისმიერ თვისებას; და არ არსებობს გვარობრივი ცნება — ქრისტე, რადგან არ არსებულა სხვა ქრისტე, (შემდგარი) ღმრთაებისა და ადამიანობისაგან, არამედ არის ერთი ქრისტე — ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანიო.[56]

კვალად, გამოთქმა — „ერთიანი“ ადამიანის გვარობრივ ცნებასთან დაკავშირებით მთლად იმასვე არ აღნიშნავს, რასაც სულისა და სხეულის არსთან დაკავშირებით. მართლაც, ადამიანის გვარობრივ ცნებასთან დაკავშირებით სიტყვა — „ერთი(ანი)“ იმაზე მიუთითებს, რაც ყველა ადამიანში სავსებით მსგავსია. ხოლო სულისა და სხეულის არსთან დაკავშირებით, ეს გამოთქმა — „ერთი(ანი)“ არღვევს თვით მათს არსებობას, მიჰყავს რა ისინი სრულ მოსპობამდე, რადგანაც ან ერთი გარდაისახება მეორის არსში, ანდა ორივესაგან წარმოიშვება რაღაც სულ სხვა და ამით ორივეს არსი შეიცვლება, — ანდა დარჩებიან რა თავთავის საზღვრებში ისინი კვლავაც ორი ბუნება იქნებიან, რადგანაც არსის მხრივ სხეული არ არის ერთი და იგივე იმისა, რაც უსხეულოა. ხოლო ამიტომ, თუმცა ჩვენ ვლაპარაკობთ კიდეც ადამიანის ერთი ბუნების შესახებ, ოღონდ არა სულისა და სხეულის არსისმიერი თვისების იგივეობის მნიშვნელობით, არამედ იმ აზრით, რომ განუყოფელთ, შემადგენელთ ერთი გვარისა (სახეობისა), თავის თავში აქვთ რაღაც უცვალებელიც (საერთო ყველასთვის), — მაგრამ მიუხედავად ამისა, სულაც არ არის აუცილებელი ქრისტეშიც ერთი ბუნების შესახებ ვილაპარაკოთ, რადგანაც ქრისტესთან დაკავშირებით არ არსებობს გვარობრივი (სახეობრივი) ცნება, ანუ ისეთი რამ, რაც თავის თავში მრავალი განუყოფლის მომცველი იქნებოდა.

მეტიც, — ყოველგვარ შედგენილ საგანზე იტყვიან, რომ ის ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებულ ელემენტთაგან შედგება. ასე, მაგალითად, ჩვენ არ ვიტყვით, სახლი მიწისა და წყლისაგან შედგებაო არამედ ვამბობთ, — აგურებისა და ძელებისაგანო. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ იძულებული ვიქნებოდით ადამიანის შესახებაც გვეთქვა, რომ იგი, სულ ცოტა, ხუთი არსისაგან შდეგება, კერძოდ კი — ოთხი სტიქიისა და სულისაგან. ამგვარადვე, ჩვენს უფალ იესუ ქრისტეშიც მისი არსების შემადგენელ ბუნებათა ნაწილებს კი არ განვიხილავთ, არამედ მხოლოდ იმას, რაც უმჭიდროესად არის შეერთებული მ ი ს პიროვნებაში — ანუ ქრისტეს ღმრთაებასა და ადამიანობას.

ასე რომ, თუკი ვიტყოდით, ადამიანში ორი ბუნებაა, მა-

შინ იძულებულნი გავხდებოდით ქრისტეში სამი ბუნება გვეღიარებინა, და თქვენც, რომ ამტკიცებთ, ადამიანი ორი ბუნებისაგან შედგებაო, უნდა ისიც ასწავლოთ, რომ ქრისტე სამი ბუნებისაგან (არსისაგან) შედგება. ამგვარადვე უნდა ითქვას ქმედებათა შესახებაც, იმიტომ, რომ აუცილებელია იყოს ბუნების შესატყვისი ქმედებაც. ხოლო ადამიანი რომ ორბუნებოვნად იწოდება და არის კიდეც შემდგარი ორი ბუნებისაგან (სულისა და სხეულისაგან), — ამას გრიგოლ ღვთისმეტყველიც გვიდასტურებს, როცა ამბობს: „ღმერთი და კაცი — ეს ორი ბუნებაა (არსია), ისევე, როგორც — სული და სხეული". კვალად თავის სიტყვაში ნათლისღებისათვის იგი ამბობს: „რადგანაც ჩვენ ორადნი ვართ, — ანუ სულისა და სხეულისაგან შევდგებით, ამასთან, ერთი ბუნება ხილულია, მეორე კი — არახილული, ამიტომ განწმედაც ორადია — წყალისმიერი და სულისმიერი" (ანუ ნათლობა წყლით და ნათლობა სულით).[57]

თ ა ვ ი XVII

მასზედ, რომ ხორცის ბუნება და ნებელობა უფალში განღმრთობილია

უნდა ვიცოდეთ, რომ უფლის სხეულისათვის ნათქვამია — განღმრთობილია, შეიქნა ერთიანი ღმერთისადმი და თავადაც ღმერთიო, — იმ მნიშვნელობით როდი, თითქოს ეს აღსრულდა მისი (უფლის სხეულის) სხვად ქცევით, თუ გარდაქმნით, ანდა მისი ცვალებით თუ შერევნით (ღვთაებრივ და ადამიანურ) ბუნებათა, — ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი.[58] „ბუნებათაგან ერთმა განაღმრთო, მეორე კი განღმრთოებულ იქნა და, გავბედავ თქმას, შეიქნა ერთიანი ღმერთის მიმართ; მ ც ხ ე ბ ე ლ ი — განკაცდა (ადამიანი შეიქნა), ცხებული კი — ღმერთი გახდა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი). და ეს აღსრულდა არა ბუნების შეცვლით, არამედ ბუნებათა შეერთებით, რაც ჩვენი ხსნისათვის მოხდა, — ვგულისხმობ ჰიპოსტასურ შეერთებას, რომლის შედეგადაც სხეული განუყოფლად შეუერთდა ღმერთს, მსგავსად იმისა, რაც ჩვენ ვთქვით რკინის (მახვი-

ლის) ბუნების შეერთებაზე ცეცხლის ბუნებასთან; რამეთუ როგორც განკაცებას ვაღიარებთ (აღსრულებულს ბუნების) ცვალებისა და გარდაქმნის გარეშე, ასევე ვაღიარებთ სხეულის (ხორცის) განღმრთობასაც, აღსრულებულს, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, ცვალებისა და გარდაქმნის გარეშე, რადგანაც ს ი ტ ყ ვ ა ს, თავისი განხორციელებისათვის, არ დაუტოვებია ღვთაებრივი არსებობის საზღვრები და არ მოკლებია მ ი ს თ ვ ი ს დამახასიათებელ საღმრთო სრულყოფილებას; ამის თანადვე არც ხორცს (სხეულს) თავისი განღმრთოებით არ განუცდია გარდაქმნა-ცვალება ბუნებისა, ანუ თავისი ბუნებისმიერი თვისებებისა. შეერთების შემდგომ როგორც ბუნებანი დარჩნენ შეურეველნი, ასევე მათი თვისებანიც არ შეცვლილან და არ დაზიანებულან. უფლის სხეული კი, ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ თ ა ნ უმჭიდროესი, ანუ ჰიპოსტასური შეერთების შედეგად, განმდიდრდა ღვთაებრივი ძალებით, ამასთან სულ არაფერი დაუკარგავს თავის ბუნებისმიერ თვისებათაგან, რამეთუ იგი საღმრთო ქმედებათ თავისი საკუთარი ძალით კი არ აღასრულებდა, არამედ მასთან სიტყვა-ღმერთის შეერთების ძალით, რადგან (განკაცებული) ს ი ტ ყ ვ ა სხეულის მეშვეობით გამოავლენდა მ ი ს თ ვ ი ს დამახასიათებელ ქმედებებს. აკი გავარვარებულ რკინასაც იმის გამო კი არ აქვს დაწვის უნარი, რომ, თითქოს, ბუნებისმიერ აქვს ეს ძალა, არამედ იმიტომ, რომ ცეცხლის ბუნებასთან შეერთების შედეგად შეიძენს ასეთ უნარს.[59]

ამრიგად, ერთი და იგივე სხეული (ხორცი უფლისა) თავისთავად მოკვდავიც იყო, და სიტყვა-ღმერთთან ჰიპოსტასური შეერთების გამო — ცხოველმყოფელიც. ამგვარადვე ვლაპარაკობთ ჩვენ ნების განღმრთოების შესახებაც, იმ მნიშვნელობით კი არა, თითქოს ბუნებისმიერი მოძრაობა შეცვლილიყოს, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ იგი (ადამიანური ნებელობა) შეუერთდა სიტყვა-ღმერთის ღვთაებრივ და ყოვლადძლიერ ნებას და შეიქნა ნებად განკაცებული ღმერთისა. ამიტომაც როცა უფალს ხალხისაგან დაფარვა სურდა და „ვერ ხელ-ეწიფა დაფარვად“ (მარკ. 7,24), მაშინ ეს თავისი ადამიანური ნებით „ვერ-ხელ-ეწიფა“, რადგანაც ამით სიტყვა-ღმერთს იმის ჩვენება ნებავდა, რომ მ ა ს შ ი (ღვთაებრივ

ყოვლადძლიერ ნებასთან ერთად) ნამდვილად იყო უძლური ადამიანური ნებაც. მაგრამ თავისი ღვთაებრივი ნებით მან აღასრულა კეთროვანის (სასწაულებრივი) განწმედა, და ეს მოხდა მისი ადამიანური ნების ღვთაებრივ ნებასთან შეერთების შედეგად.[60]

კვალად, უნდა ვიცოდეთ, რომ განღმრთობა ბუნებისა და ნებისა არის უცხადესი და ყველაზე სარწმუნო დამადასტურებელი როგორც ორი ბუნების (არსებობისა ქრისტეში), ასევე ორი ნებისაც; რამეთუ მსგავსად იმისა, როგორც გავარვარება არ გადააქცევს გავარვარებულ საგნის ბუნებას ცეცხლის ბუნებად, და გვიჩვენებს იმასაც, რაც გავარვარებულა და იმასაც, რამაც გაავარვარა, რითაც წარმოჩინდება არა ერთი, არამედ ორი ბუნება, ასევე განღმრთობაც ერთ შედგენილ ბუნებას კი არ აღმოაცენებს, არამედ ადასტურებს ორი ბუნების არსებობას და მათს ჰიპოსტასურ შეერთებას. მართლაც, გრიგოლ ღვთისმეტყველიც, როცა ამბობს — „მათგან ერთმა განღმრთო, მეორე კი განღმრთობილ იქნა"-ო, ამ სიტყვებით — „მათგან", „ერთმა" და „მეორე" მიგვითითებს სწორედ ორ ბუნებაზე.

თავი XVIII

მასზედვე, რომ უფალში ორი წება და თავისუფლებაა, ასევე (ორი) მცნობელობა და (ორი) სიბრძნე.[61]

როცა ქრისტეს სრულყოფილ ღმერთსა და სრულყოფილ ადამიანს ვუწოდებთ, ჩვენ მას უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ყველა ბუნებისმიერი თვისება როგორც მამისა, ასევე დედისა, რამეთუ იგი იმისთვის შეიქნა ადამიანად, რომ ძლეული (ადამიანური ბუნება) ძლევამოსილი გამხდარიყო. ყოვლადძლიერ ღმერთს შეეძლო გამოეტაცა ადამიანი მტარვალის (ეშმაკის) ხელიდან თავისი ყოვლისშემძლე ხელმწიფებით და ძლიერებით, მაგრამ ამ შემთხვევაში მტარვალს საბაბი ექნებოდა დაეჩივლა — მე ვძლიე ადამიანს, ღმერთისაგან კი ძალადობა ვიწვნიეო. ამიტომაც ყოვლადმოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთმა ინება თვით დაცემული (ადამიანი)

ექცია მძლევარად, რისთვისაც თ ვ ი თ შეიქნა ადამიანად (გაიკაცდა), და მსგავსი — მსგავსით იხსნა.

ხოლო ადამიანი რომ აზროვნებითა და გონიერებით დაჯილდოებული ცოცხალი არსებაა, — ამას არავინ უარყოფს. მართლაცდა, როგორ განკაცდებოდა ღმერთი, თუკი ი გ ი უსულო სხეულსა და არაგონიერ სულს მიიღებდა? — ეს ხომ ადამიანი არ იქნებოდა! ან კი რა სარგებლობა გვექნებოდა ჩვენ (ღმერთის) განკაცებაში, თუკი არ განიკურნებოდა ის (გონება), პირველ ყოვლისა რომ ევნო ადამიანში, და თუკი ადამიანი არ განახლდებოდა და არ განძლიერდებოდა ღმერთთან შეერთების გზით?! — რამეთუ რასაც ღმერთი არ მიიღებდა, ის არც განიკურნებოდა. ამიტომაც ღმერთი მიიღებს სრულს ადამიანს, და ამასთანავე — მის უკეთეს ნაწილს, რომელიც სნეულებამ შეიპყრო, და სრულსავე ადამიანს ანიჭებს ხსნას. მაგრამ არასდროს არ შეიძლება არსებობდეს გონება შემეცნებას მოკლებული სიბრძნის გარეშე, რადგანაც ის (გონება) უმოქმედო და უძრავი რომ ყოფილიყო, მაშინ საერთოდაც არ იარსებებდა.[62]

ამრიგად, ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი, სურდა რა განახლება იმისა, რაც მ ი ს სახედ და ხატად შეიქმნა, განკაცდა. ხოლო რა არის სახედ და ხატად შექმნილი, თუ არ გონება? ნუთუ მ ა ნ უგულებელჰყო უკეთესი და უარესი მიიღო?! — რამეთუ გონებას საშუალო ადგილი უკავია ღმერთსა და სხეულს (ხორცს) შორის: შორის სხეულისა, როგორც მასთან შეერთებულისა, და შორის ღმერთისა, როგორც მ ი ს ი სახისა და ხატისა. ამრიგად, გონება — გონებას უერთდება, და არის საშუალი ღმრთაების სიწმიდესა და სხეულის სიტლანქეს შორის. რამეთუ უფალს რომ გონიერებას მოკლებული სული მიეღო (განკაცებისას), მაშინ ი გ ი უგნური ცხოველის სამფვინველს მიიღებდა.[63]

ხოლო თუ მახარებელი ამბობს, „სიტყვაჲ-იგი ხორციელ ქმნა“-ო (იოანე 1,14), ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საღმრთო წერილში ადამიანი ზოგჯერ სულადაც იწოდება; მაგალითად, „ყოველი სული, რომელი შევიდა ეგვიპტედ იაკობის თანა სამეოცდაათხუთმეტ“ (დაბად. 46,27; საქმე მოც. 7,14); ზოგჯერ კი ადამიანი ხორცად იწოდება: „და გამოჩნდეს დიდებაჲ უფ-

ლისაგ და იხილოს ყოველმან ხორცმან მაცხოვარებაგ ღმრთისაგ (ესაია 40,5; შდრ. აგრეთვე ლუკა 3,6: „და იხილოს ყოველმან ხორციელმან მაცხოვარებაგ ღმრთისაგ“). ამრიგად, მ ა ნ მიიღო სხეული (ხორცი), განცოცხლებული იმ მოაზროვნე და გონიერი სულით, რომელიც წარმართავდა სხეულს, თვით კი ს ი ტ ყ ვ ი ს ღმრთაებით წარიმართებოდა. მაშასადამე, უფალი განუსულიერებელ და გონიერებას მოკლებულ სხეულად (ხორცად) კი არ იქმნა, არამედ განკაცდა. მართლაც, ი გ ი ხომ თვით გვეუბნება: „...მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყვი თქვენ...“ (იოანე 9,40).

ამრიგად, მ ა ს ბუნებისმიერ ჰქონდა უნარი ნდომისა როგორც ღმერთსაც და როგორც ადამიანსაც; თუმცა მ ი ს ი ადამიანური ნდომა მოსდევდა და ექვემდებარებოდა მ ი ს ღვთაებრივ ნდომას, აღიძვრებოდა რა არა საკუთარი განკარგულებით, არამედ ყოველთვის სურდა ის, რაც მ ი ს ღვთაებრივ ნებას უნდოდა. როცა მიუშვებდა (ნებას რთავდა) ღვთაებრივი ნება, მაშინ (ქრისტეს ადამიანური ნება) ბუნებისმიერად განიცდიდა იმას, რაც დამახასიათებელი იყო მისთვის. ასე, მაგალითად, როცა მ ი ს ი ადამიანური ნება უარყოფდა სიკვდილს, ხოლო მ ი ს ი ღვთაებრივი ნება იწყნარებდა ამას და მიუშვებდა (ადამიანურ ნებას), მაშინ უფალი ბუნებისმიერად ეევედრებოდა ღმერთს, სიკვდილს ამაცილეო, და ერთიანად შეპყრობილი იყო შინაგანი ბრძოლით და ‘ძიშით. ხოლო როცა მ ი ს ღვთაებრივ ნებას სურდა, რომ ადამიანურ ნებას სიკვდილი აღერჩია, მაშინ ტანჯვა მისთვის (ქრისტეს ადამიანური ნებისთვის) ნებაყოფლობითი შეიქნა, რამეთუ მან თავისი ნებით მისცა თავი სიკვდილად არა მხოლოდ როგორც ღმერთმა, არამედ როგორც ადამიანმაც.[64] ამით მ ა ნ ჩვენც მოგვანიჭა სიმხნეევ სიკვდილის წინაშე. თავისი მაცხოვნებელი ვნების წინ ი გ ი ამბობს: „მამაო, უკეთუ შესაძლებელ არს, განმარინე ჩემგან სასუმელი ესე!“ (მათე 26,39). ცხადია, ეს „სასუმელი“ მ ა ს უნდა შეესვა როგორც ადამიანს, რადგან ვერ მიიღებდა სიკვდილს როგორც ღმერთი. ეს სიტყვები ბუნებისმიერი შიშის გამომხატველია. „ნუ ნებაგ ჩემი“ იყოსო, რადგან მე, როგორც ადამიანი სხვა ბუნებისა ვარ შენთან შედარებით, „არამედ ნებაგ

შენი იყავნ!“ (ლუკა 22, 42), ე. ი. შენი და ჩემი ნება იყოსო, რადგანაც მე (როგორც ღმერთი) ბუნებით შ ე ნ ი ერთარსი ვარო. ეს სიტყვები კი, პირიქით, სიმხნეევის გამომხატველია, რამეთუ სული უფლისა, სათნოებისაებრ თავისა ჭეშმარიტ ადამიანად რომ შეიქნა, თავდაპირველად განიცდის ბუნებისმიერ უძლურებას, რაც ყოველი ადამიანის ხვედრია ამქვეყნიურ სიცოცხლესთან განმორების ჟამს, შემდგომ კი მხნედ და უშიშრად ეგებება სიკვდილს, ამასთან ბუნებისმიერსავე თანალმობას განიცდის თავისი სხეულისადმი, განმტკიცებული ღვთაებრივი ნებით. მაშასადამე, რადგანაც უფალი — ერთი და იგივე პირი — იყო სრულყოფილი ღმერთი თავის ადამიანობასთან ერთად, და იყო ამავე დროს სრულყოფილი ადამიანიც თავის ღმრთაებასთან ერთად, — ამიტომ მ ა ნ როგორც ადამიანმა თ ა ვ ი ს თ ა ვ შ ი და თ ა ვ ი ს ი ვ ე თ ა ვ ი ს ძეშვეობით ყოველივე ადამიანური (თავის არსებაში) მამაღმერთს დაუმორჩილა და შეიქნა მორჩილი მამისა, რითაც ჩვენ საუკეთესო ნიმუში დაგვიდო და უმჯობესი მაგალითი მოგვცა საკუთარი თ ა ვ ი ს სახით.

მაგრამ ღვთაებრივი და ადამიანური ნებით მ ა ს თავისუფლად სურდა, რადგან თავისუფალი ნება, უეჭველია, თანდაყოლილი აქვს ყოველ გონიერ ბუნებას. ან კი რისთვის უნდა ჰქონდეს მას ეს უნარი აზროვნებისა, თუკი თავისუფლად (ნებისმიერად) არ იაზროვნებს და განსჯის? შემოქმედმა უტყვ ცხოველებსაც შთაუნერგა ბუნებისმიერი სწრაფვა-მიდრეკილებანი, საკუთარი ბუნების კეთილდღეობაზე ზრუნვას რომ აიძულებს მათ. პირუტყვებს არა აქვთ გონიერება, და ამიტომ არც შეუძლიათ წარმართონ თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილებანი, პირიქით, თვით წარიმართებიან ამ მიდრეკილებებით. ამიტომაცაა, რომ მიდრეკილების აღმოცენებასთან ერთად უმალვე ჩნდება მისწრაფებაც შესატყვისი მოქმედებისაკენ, რადგანაც ცხოველებს არ სჭირდებათ არც განსჯა, არც საუბარი, არც განხილვა თავიანთი მოქმედებისა. ამის გამოა, რომ ცხოველებს არც ვაქებთ და ვაამებთ როგორც კეთილის მოქმედთ, და არც ვსჯით როგორც ბოროტის მომქმედთ. გონიერ ბუნებას კი, რა თქმა უნდა, ასევე აქვს ბუნებისმიერი მიდრეკილება, მაგრამ ეს მიდრეკილება წარმართულია და მოწეს-

რიგებულია გონებისმიერი განსჯით, ამასთან ყოველ გონიერ არსებაში შენარჩუნებულია ყოველივე ის, რაც თანახმიერია ბუნებისა. რამეთუ თავისუფალი ნება არის კიდეც უპირატესობა გონიერებისა, და სწორედ თავისუფალ ნებას ვუწოდებთ ჩვენ ბუნებისმიერ მოძრაობას მოაზროვნე (გონიერ) არსებაში. ამიტომაც, როცა გონიერი არსება სათნოა და ქვეყლის საქმეს შეუდგება, მას აქებენ და ახალისებენ, ხოლო როცა ის მანკიერების გზას ადგება — ჰკიცხავენ და სჯიან.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფლის სულს თავისუფლად სურდა, მ ი ს ი ნდომა თავისუფალი ნებით იყო განპირობებული, მაგრამ მ ა ს თავისუფალი ნებით სურდა ხოლმე სწორედ, ის, რაც მ ი ს ღვთაებრივ ნებას უნდოდა; მხოლოდ ს ი ტ ყ ვ ი ს ბრძანებით როდი ამოძრავდებოდა ხოლმე (უფლის) სხეული. აკი მოსეცა და სხვა წმიდანებიც ხომ ღმერთის ბრძანებით მოქმედებდნენ (თუმცა კი თავისუფალი ნებით იყვნენ შემოსილნი და ნებისმიერადაც მოქმედებდნენ). მაგრამ ერთსა და იმავე უფალს, რომელიც ღმერთიც იყო და ადამიანიც, სურდა თ ა ვ ი ს ი ღვთაებრივი ნებითაც და ადამიანური ნებითაც. ამიტომაც, უფლის ორი ნება (ღვთაებრივი და ადამიანური) ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არა აზრითა თუ განწყობილებით, არამედ უფრო ბუნებისმიერი ძალით, რამეთუ მ ი ს ი ღვთაებრივი ნება დაუსაბამოც იყო და ძალიც შესწევდა ყოველივეს აღსრულებისა, რასაც კი ინებებდა, რადგან შემოსილი იყო ყოვლადძლიერებით; ამასთან უვნებოც იყო; ხოლო ადამიანურმა ნებამ უფლისა, თავისი დასაბამიც გარკვეული დროიდან მიიღო და თვითონაც განიცდიდა უბიწო და ბუნებისმიერ ვნებებს, ამასთან არც ბუნებითვე ყოფილა შემოსილი ყოვლადძლიერებით, მაგრამ რაკი ჭეშმარიტად და ბუნებით შეიქნა ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი ს ნებად, ყოვლადძლიერებითაც შეიმოსა.[63]

თ ა ვ ი XIX

ქმედებისათვის ღმერთკაცისა

ნეტარი დიონისე (არეოპაგელი), რომელიც ამბობს — ქრისტემ თავისი (ამქვეყნიური) ცხოვრებით წარმოგვიჩინა რაღაც ახალი ღმერთკაცობრივი ქმედებაო, ლაპარაკობს (უფლის) ერთი ქმედების შესახებ, ღვთაებრივი და ადამიანური ქმედებებისაგან რომ შესდგება; ამასთან, იგი არ უარყოფს მ ა ს შ ი ორი ბუნებისმიერი ქმედების არსებობას. რამეთუ ამ შემთხვევაში (ანუ ორი ბუნებისმიერი მოქმედების უარყოფისას) ჩვენ შეგვეძლებოდა საუბარი ერთი ახალი ბუნების შესახებაც, რომელიც შემდგარი იქნებოდა ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებებისაგან, რადგან რაშიც ერთი ქმედებაა, მასში არსიც ერთია, თანახმად წმიდა მამათა სწავლებისა. მაგრამ დიონისე ასე იმისთვის ამბობს, რომ სურს გვიჩვენოს ახალი და აუხსნელი სახე ქრისტეს ბუნებისმიერ ქმედებათა გამოვლენისა, და აგრეთვე ეს უჩვეულო, საკვირველი და (ყოველგვარ) არსებათა ბუნებისათვის უცნობი რაგვარობა მ ი ს ი ადამიანური ცხოვრებისა, და ასევე თვისებათა ურთიერთზიარებისა შესაბამისად ბუნებათა ენითუთქმელი შეერთებისა და ურთიერთგანმსჭვალვისა.[66]

ჩვენ არ ვამბობთ, რომ (ქრისტეში) ქმედებანი განცალკევებულია, და არც იმას ვამტკიცებთ, რომ მ ი ს ი ბუნებანი ერთმანეთისაგან განცალკევებულად მოქმედებენ, არამედ ვამტკიცებთ, რომ თითოეული მათგანი, მეორესთან ერთად და მეორის მონაწილეობით აღასრულებს ხოლმე ყოველივე იმას, რაც მისთვის არის დამახასიათებელი. რამეთუ იმასაც კი, რაც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, იესუ ქრისტე იმგვარადვე როდი აღასრულებდა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან ი გ ი არც იყო ჩვეულებრივი ადამიანი; ასევე ღმერთისთვის დამახასიათებელსაც ი გ ი ისე როდი აღასრულებდა, როგორც მხოლოდ ღმერთი, იმიტომ, რომ მხოლოდ ღმერთი კი არ იყო, არამედ ადამიანიც. მაშასადამე, როგორც (ქრისტეს) ბუნებათა მხრივ ჩვენ ვაღიარებთ მათს შეერთებასაც და ბუნებისმიერ განსხვავებასაც, ასევე უნდა ვაღიაროთ (შეერთება

და ბუნებისმიერი განსხვავება) ბუნებისმიერ ნებათა და ქმედებათა მხრივ.[67]

ამრიგად, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მიმართ ჩვენ ზოგჯერ ვლაპარაკობთ როგორც ორბუნებოვანზე, ზოგჯერ კი — როგორც ერთპიროვანზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთს რასმე ვგულისხმობთ, რამეთუ ორი ბუნება (ღვთაებრივი და ადამიანური) — ერთი ქრისტეა, და ერთი ქრისტე — ორი ბუნებაა. ამიტომაც, სულ ერთია როგორ ვიტყვით: ქრისტე თითოეული თავისი ბუნების შესაბამისად მოქმედებსო, თუ თითოეული ბუნება ქრისტეში მეორე ბუნების მონაწილეობით მოქმედებსო, — ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტებით ვიტყვით.

ამრიგად, ღვთაებრივი ბუნება მონაწილეობს სხეულის (ხორცის) ქმედებაში იმიტომ, რომ ღვთაებრივი ნების ჯერჩინებით (ქრისტეს) სხეულს ნება ეძლეოდა ეტანჯა და ყოველივე ის აღესრულებინა, რაც სხეულს ახასიათებს; აგრეთვე იმიტომაც, რომ (ქრისტეს) სხეულის მოქმედება უეჭველად მხსნელი იყო, რაც დამახასიათებელია არა ადამიანური მოქმედებისათვის, არამედ — ღვთაებრივისათვის. სხეული კი იმიტომ მონაწილეობს ს ი ტ ყ ვ ი ს ღმრთაების მოქმედებაში, რომ ღვთაებრივი ქმედებანი სხეულის მეშვეობით აღესრულებოდა, როგორც რამ იარაღის მეშვეობით, და კვალად იმიტომაც, რომ ე რ თ ი იყო ის, ვ ი ნ ც მოქმედებდა იმგვარადაც, როგორც ეს ღმერთს ახასიათებს, და იმგვარადვე, როგორც ეს ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რომ ქრისტეს წმიდა გონება თავის ბუნებისმიერ ქმედებებსაც აღასრულებს იმის განსჯითა და შეგნებით, რომ იგი არის ღმერთის გონება და მას სცემს თაყვანს ყოველი ქმნილება, ამასთანავე ახსოვს თავისი ყოფნა და ვნება ამქვეყნად. ს ი ტ ყ ვ ი ს ღვთაებრივ ქმედებაში, ს ი ს მიერ ყოველივეს განგებულებასა და წარმართვაში ქრისტეს გონება მონაწილეობს აზროვნებით — იგი განსჯის ყოველივეს, განაგებს არა როგორც ჩვეულებრივი ადამიანის გონება, არამედ როგორც ჰიპოსტასურად შეერთებული ღმერთთან და წოდებული ღმერთის გონებად.

ამრიგად, ღმერთკაცობრივი მოქმედება იმას აღნიშნავს, რომ

რადგანაც ღმერთი ადამიანი შეიქნა, ანუ განკაცდა, ამიტომ მისი ადამიანური მოქმედებაც ღვთაებრივი იყო, ანუ განღმრთობილი იყო, და ეს ადამიანური ქმედება მონაწილეობდა (ქრისტეს — ღმერთკაცის) ღვთაებრივ ქმედებაში. ამგვარადვე, მისი ღვთაებრივი ქმედებაც მონაწილეობდა (ქრისტეს) ადამიანურ მოქმედებაში; მაშასადამე, თითოეული ამ ქმედებათაგან იხილვება და შეიმეცნება მეორესთან ერთად. ეს სახე მეტყველებისა -იწოდება „პერიფრასის"-ად (ანუ აღწერად), როცა ერთი სიტყვით ან ერთი გამოთქმით ორ ცნებას მოვიცავთ ხოლმე. მართლაც, როგორც გავარვარებულ მახვილში წვას (უნარს დაწვისა) ახლავს კვეთა (გაკვეთის უნარი), ხოლო კვეთას — წვა, და მიუხედავად ამისა, გავარვარებულ მახვილს ჩვენ ერთ მოქმედებას ვუწოდებთ, თუმცა კი ვამტკიცებთ, კვეთა ერთი მოქმედებაა, წვა კი სხვა მოქმედებაა, ანუ პირველი რკინის ბუნებას განეკუთვნება, მეორე კი — ცეცხლისასო, — აი, ამის მსგავსადვე როცა ქრისტეს ღმერთკაცობრივ მოქმედებას ერთ მოქმედებას ვუწოდებთ, ამაში ჩვენ ვგულისხმობთ მისი ორი ბუნების ორ ქმედებას: ერთი ქმედება ღვთაებრივია, რომელიც მის ღმრთაებას ეკუთვნის, მეორე კი — ადამიანური ქმედებაა, რომელიც მის ადამიანობას განეკუთვნება.

თავი XX

ბუნებისმიერ და უბიწო ვნებათა შესახებ

ჩვენ ვაღიარებთ აგრეთვე, რომ ქრისტემ მიიღო ყველა ბუნებისმიერი და უბიწო თვისებანი ადამიანისა, რამეთუ მან მიიღო სრული ადამიანი და ყოველივეც, რაც დამახასიათებელია ადამიანისათვის, გარდა ცოდვისა. ცოდვა არ მიუღია მას, რადგანაც ცოდვა არ არის ბუნებისმიერი თვისება ადამიანისა და შემოქმედს კი არ შთაუნერგია იგი ჩვენთვის, არამედ მხოლოდ შემდგომი აღმონაცენია — ეშმაკისაგან შთანერგული ჩვენში ჩვენივ თავისუფალი ნების თანხმობით, და მას შემდეგ იძულებით კი არ მთავრობს ჩვენზე, არამედ ჩვენივ მი-

ტევებით. ხოლო ბუნებისმიერი და უბიწო ვნებანი არ არიან ჩვენი ხელმწიფების ქვეშ, ანუ ის ვნებანი, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში სასჯელად შემოვიდნენ შეცოდებისათვის. ეს ვნებანია: შიმშილი, წყურვილი, დაღლა, შრომა, ცრემლი, გახრწნა, მოლოდინი სიკვდილისა, შიში, სიკვდილისწინა ტანჯვა, რომელსაც ახლავს ოფლი, სისხლის წვეთები, შეწევნა ანგელოზთაგან ჩვენი ბუნების უძლურებისა გამო, და სხვა ამის მსგავსი, რაც ბუნებისმიერ ყოველი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, ქრისტემ ყოველივე (ადამიანური) მიიღო, რათა ყოველივე განენათლებინა. იგი საცთურს ეწია (გამოიცადა) და სძლია მაცთურს, რათა ჩვენთვისაც განემზადებინა ძლევა და ძალი მოენიჭებინა ჩვენი ბუნებისათვის მტერზე გამარჯვებისა, იმისთვის, რომ ოდესღაც ძლეულ ბუნებას დაემარცხებინა თავისი მძლეველი, ანუ ის, ვინც ოდესღაც სძლია მას ზემოხდომით.[68]

მზაკვარი გარედან მოუხდა ქრისტეს, და არა შიგნიდან — ზრახვათა გზით, მსგავსად იმისა, როგორც გარედანვე მიუხდა ადამსაც, რამეთუ მასაც ეშმაკი ზრახვათა მეშვეობით კი არ ეუფლა, არამედ გარედან დაესხა თავს გველის მეშვეობით. უფალმა უკუაგდო თავდასხმა და კვამლივით განაქარა თავდამსხმელიცა და საცთურიც, რათა იგიც და მისმიერი ვნებანიც ჩვენთვისაც ადვილად დასაძლევი შექნილიყო, და რათა ამგვარად ახალ ადამს განეკურნა ძველი (ადამი).[69]

რა თქმა უნდა, ჩვენი ბუნებისმიერი ვნებანი ქრისტეში არსებობდა ბუნების შესაბამისადაც და ბუნებაზე აღმატებულადაც. ბუნების შესაბამისად ეს ვნებანი მაშინ აღიძვრებოდნენ ხოლმე მ ა ს შ ი, როცა ქრისტე მიუშვებდა (ნებას აძლევდა) სხეულს ყოველივე იმის დათმენად, რაც დამახასიათებელია სხეულისათვის; ხოლო ბუნებაზე აღმატებული სახით ვნებანი იმიტომ იყო ქრისტეში, რომ ბუნებისმიერი წინ არ უსწრებდა და არ განაპირობებდა მ ი ს ნდომა-სურვილს. და მართლაც, ცხადია, რომ ქრისტეში არაფერი არ იხილვება იძულებითი, არამედ ყოველივე მ ა ს შ ი მხოლოდ ნებაყოფლობითია (თავისუფალი ნებიდან გამომდინარეა). რამეთუ

უფალს მისივ ნებით ჰშიოდა თუ სწყუროდა, შიშიც მისი ნებაყოფლობითი იყო და სიკვდილიც მან თავისივე ნებით მიიღო.

თავი XXI

უცნობელობისა და მონობისათვის

უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტემ (ადამიანური ბუნების საზით) მიიღო ისეთი ბუნება, რომელსაც არ ჰქონდა მცნობელობა და მონური (დაქვემდებარებული) იყო, რამეთუ თავის შემქმნელ ღმერთთან მიმართებით ადამიანური ბუნება მონურია (დაქვემდებარებულია) და მას არა აქვს მომავლის მცნობელობა. სწორედ ამიტომ, გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლების მიხედვით, თუკი ხილულს გამოვაცალკევებთ იმისაგან, რაც გონებით შეიცნობა, მაშინ სხეულს (ხორცს) მონურიც (დაქვემდებარებულიც) უნდა ვუწოდოთ და უქონელიც მცნობელობისა. მაგრამ ჰიპოსტასის იგივეობისა და (ბუნებათა) განუყოფელი შეერთების გამო უფლის სული განმდიდრდა მომავლის მცნობელობით, ისევე, როგორც სხვა ღვთაებრივი ნიშებით. როგორადაც ადამიანური სხეული (ხორცი) თავისი ბუნებით არ არის ცხოველმყოფელი, უფლის სხეული კი, ჰიპოსტასურად შეერთებული თვით სიტყვა-ღმერთთან ცხოველმყოფელი შეიქნა, თუმცა კი, ამავე დროს, არ დაუკარგავს მისთვის ბუნებით დამახასიათებელი მოკვდავობა, — და ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არ იყო ცხოველმყოფელი და არ არის მარადის ცხოველმყოფელი, — ამგვარადვე ადამიანურ ბუნებასაც თავისი არსით არა აქვს მომავლის მცნობელობა, (ადამიანური) სული კი უფლისა, თვით სიტყვა-ღმერთთან შეერთებისა და ჰიპოსტასური იგივეობის მიზეზით, — როგორც უკვე ვთქვი, — განმდიდრდა მომავლის მცნობელობითაც და სხვა ღვთაებრივი ნიშებითაც.[70]

კვალად უნდა ვიცოდეთ შემდეგი: ჩვენ არ შეგვიძლია ისიც, რომ იესუ ქრისტეს მონა ვუწოდოთ, რადგანაც ცნებე-

ბი — „მონობა“ და „მეუფება“ ბუნებას კი არ ახასიათებენ, არამედ ურთიერთმიმართებას გამოხატავენ, ისევე, როგორც ცნებანი — „მამობა“ და „შვილება“ თვით არსს კი არ გამოხატავენ, არამედ ურთიერთმიმართებას. ამიტომაც, — როგორც ეს ჩვენ (მომავლის) უცნობლობასთან დაკავშირებითაც ვთქვით, — თუკი განყენებული გონებისმიერი განსჯით თუ განმჭვრეტი წარმოდგენით განვაცალკევებთ ქმნილს არაქმნილისაგან (იესუ ქრისტეში), ე. ი. თუკი (მ ი ს) სხეულს წარმოვიდგენთ ჰიპოსტასურად არა შეერთებულად სიტყვა-ღმერთთან, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი მონურია (დაქვემდებარებულია). მაგრამ განა შეუძლია მონური იყოს იმას, რაც ერთხელ და სამართლიანად ჰიპოსტასურად შეუერთდა თვით სიტყვა — ღმერთს?! ქრისტეს, რადგან ის ერთია, არ შეუძლია ერთსა და იმავ დროს მონაც იყოს და მეუფეც საკუთარი თავისა, რამეთუ ეს ცნებები იმას კი არ განეკუთვნება, რაც სხვისაგან დამოუკიდებლადაა, არამედ იმას, რაც რაღაც მიმართებაშია სხვასთან. ან კი ვისი მონა შეიძლებოდა ი გ ი ყოფილიყო?! მამა-ღმერთისა? მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი როდი ექნებოდა ძეს იმისაგან, რაც მამას აქვს, — და მამის მონა რომ ყოფილიყო, საკუთარი თავის მონა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა. თუკი მონაა თვით ი გ ი, მაშინ როგორღა იტყვის მოციქული ჩვენზე, ვისაც მ ი ს (ქრისტეს) მიერ შვილება მიგვიღია: „ამიერითგან არღარა ხართ მონა, არამედ შვილ, ხოლო უკეთუ შვილ, მკვიდრცა ღმრთისა ქრისტეს მიერ“ (გალატ. 4,7)?

ამრიგად, ქრისტე მონად იწოდება არასაკუთრივი მნიშვნელობით, — იმიტომ კი არა, თითქოსდა ნამდვილად ასეთი (მონა) იყოს, არამედ იმიტომ, რომ მ ა ნ ჩვენი გულისთვის მიიღო მონის ხატი და ჩვენთან ერთადვე შეიქნა წოდებული მონად, რამეთუ იყო რა უვნებო, ქრისტემ ჩვენი ხსნისათვის დაუქვემდებარა თავი ვნებებს, იტანჯა და ამით ჩვენს ცხოვრებას ემსახურა. მაშასადამე, ისინი, რომლებიც, ნესტორის მსგავსად, ქრისტეს მონას უწოდებენ, ორად აცალკევებენ ერთიან ქრისტეს. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ი გ ი არის მეუფე და უფალი ყოველი ქმნილებისა, ერთი ქრისტე — ღმერთი და ადამიანი ერთსა და იმავ დროს, და მ ა ნ ყოველივე უწყის,

ჭეშმარიტმა ღმერთმა, „რომელსა შინა არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“ (კოლას. 2,3).[71]

თავი XXII

წარმატებულობის შესახებ (უფლისა)

იესუ ქრისტესთვის (წმიდა წერილში) ნათქვამია, რომ იგი „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა“ (ლუკ. II, 52), და ეს ნათქვამია იმ მნიშვნელობით, რომ წლითი წლად ზრდასთან ერთად იგი გამოავლენდა მასში არსებულ სიბრძნეს. გარდა ამისა, ეს იმ აზრითაცაა ნათქვამი, რომ ადამიანთა წარმატებულობას სიბრძნესა და მადლში, და მამის ნების აღსრულებას, ანუ ადამინათა მიერ ღვთისშემეცნებას და მათს ხსნას იგი (ქრისტე) აქცევდა თავის საკუთარ წარმატებულობად, რადგან ყოველივეში მიიღებდა ჩვენს წარმატებულობას. ისინი კი, რომელნიც ამბობენ — ქრისტე ისე წარემატებოდა სიბრძნესა და მადლში, თითქოს თანდათან ემატებოდა (ასაკის ზრდის კვალად) სიბრძნე და მადლი, — ესენი ამით ფიქრობენ, რომ (ბუნებათა) შეერთება (ქრისტეს ჰიპოსტასში) მისი სხეულის წარმოშობისთანავე კი არ აღსრულებულა, არამედ მხოლოდ შემდეგში; ისინი არ აღიარებენ ჰიპოსტასურ შეერთებას და, მისდევენ რა უგნურ ნესტორის, იგონებენ რაღაც გარეგან შეერთებას (ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებებისას), ანუ მოჩვენებითს და მარტივ შესახლებას (სიტყვის ღმრთაებისა ადამიანში), რადგანაც „უნდა მათ, რაჲთამცა იყვნეს შჯულის მოძღვარ, და არა იცოდეს, რასა-იგი იტყვიან, არცა ვიეთთვის დაამტკიცებენ“ (I ტიმოთ. 1,7). რამეთუ თუკი იესუ ქრისტეს სხეული თავისი არსებობის დასაწყისიდანვე ჭეშმარიტად შეუერთდა სიტყვა-ღმერთს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მასში მიიღო არსებობა და ჰიპოსტასური იგივეობაც შეიძინა მასთან, — მაშინ, რადგან ეს ასეა, განა შეიძლებოდა, რომ იგი (ქრისტეს სხეული) მთელის სრულყოფილებით არ განმდიდრებულიყო (ღვთაებრივი) სიბ-

რძნითა და მადლით?! ისე კი არა, თითქოს ის მხოლოდ მონაწილეობდა მადლში, და არც ისე, თითქოს მხოლოდ მადლის მიერ მონაწილეობდა ყოველივე იმაში, რაც სიტყვას განეკუთვნება, არამედ, უმჯობესად თუ ვიტყვით, — ჰიპოსტასური შეერთების მიზეზით, რადგანაც ყოველივე ადამიანური და ყოველივე ღვთაებრივი ერთი ქრისტეს კუთვნილება შეიქნა, რამეთუ ერთი და იგივე (პირი) ერთდროულად ღმერთიც იყო და ადამიანიც, — და სწორედ იგი, სხეული ქრისტესი გამოუვლენს ქვეყანას მადლს, სიბრძნეს და სისრულეს ყოველგვარი სიკეთისა.[72]

თავი XXIII

შესახებ შიშისა

სიტყვას „შიში" ორმაგი მნიშვნელობა აქვს. არსებობს ბუნებისმიერი შიში, როცა სულს არ უნდა სხეულს განშორდეს ბუნებისმიერი თანალმობისა და ნათესაობის გამო, რაც შემოქმედმა თავიდანვე შთაუნერგა (ადამიანის) სულს, და ამის გამო სული ბუნებისმიერად განიცდის შიშს, იტანჯება და გარემოიქცევა სიკვდილისაგან. ამგვარი შიშის განსაზღვრება შემდეგია: ბუნებისმიერი შიში არის მცდელობა საკუთარი არსებობის დაცვისა სიკვდილისაგან, რათა სულმა აიცილოს თავიდან დაღუპვა; რამეთუ თუკი შემოქმედმა ყოველივეს არარადან მიანიჭა არსებობა, მაშინ ბუნებრივია, რომ ყოველივე არსებული ყოფნას ესწრაფვის, და არა — გაქრობას; ამიტომაც ყოველი ქმნილებისათვის ბუნებისმიერად არის დამახასიათებელი სწრაფვა — მიდრეკილება ყოველივე იმისკენ, რაც ხელს უწყობს მის არსებობას. ამიტომ სიტყვა-ღმერთსაც, რადგან ადამიანი შეიქნა, ჭონდა ასეთივე მისწრაფება, გამოაელენდა მიდრეკილებას ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უწყობდა მისი ადამიანური ბუნების არსებობას. — სურდა საზრდო, ძილი, და ბუნებრივადვე სარგებლობდა ამით. ხოლო იმისაგან, რაც დამღუპველია სიცოცხლისათვის, იგი გარე-მიიქცეოდა, როგორც ეს, მაგალითად, უფლის ჯვარზე

ვნებისას მოხდა, როცა მ ა ნ თავისი ნებით შეიგრძნო და გამოხატა ძრწოლა სიკვდილის წინაშე. რამეთუ თუმც კი ეს ბუნების კანონისამებრ აღესრულებოდა, მაგრამ არა — აუცილებლობით, როგორც ეს ჩვენს (ადამიანთა) თავს ხდება ხოლმე, რადგანაც ბუნებისმიერს (ანუ სიკვდილს) ი გ ი თავისი ნებით მიიღებდა, თავისი სურვილის შესაბამისად. ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ (უფლის) ძრწოლა, შიში და სიკვდილისწინა გაბრძოლება — ბუნებისმიერ ვნებებს განეკუთვნება, რომელნიც უბიწონი არიან და არ ექვემდებარებიან ცოდვას.[73]

არსებობს აგრეთვე შიში, აღმოცენებული მცდარი განსჯისაგან, ურწმუნოებისა და სიკვდილის ჟამის უცნობელობისაგან, როცა ჩვენ, მაგალითად, ღამით შეგვაძრწუნებს ხოლმე რაღაც მოულოდნელი ხმაური. ამგვარი შიში — ბუნების საწინააღმდეგოა და მისი განსაზღვრებისაოვის ჩვენ ვამბობთ, რომ არაბუნებისმიერი შიში არის შეკრთომა, ელდის დაცემა რაღაც მოულოდნელისა და უჩვეულოსაგან. ასეთი შიში არ შეიძლება ჰქონოდა უფალს. ამიტომაც მ ა ს არც არასდროს შეშინებია რამის. ამიტომაც, გარდა ერთადერთი შემთხვევისა — ჯვარზე ვნებისა, — უფალს არასდროს არაფრის არ შეშინებია, თუმცა კი ცნობილია, რომ საღმრთო განგებულებით ი გ ი არაერთგზის დაფარვია ხიფათს, — რადგან იცოდა თ ა ვ ი ს ი ჟამი. ხოლო იმას, რომ უფალი ნამდვილად შეიპყრო შიშმა, კარგად ამბობს წმიდა ათანასე (ალექსანდრიელი) აპოლინარიუსის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში: „...უფალი ამბობს: „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს"-ო (იოანე 12,27); სიტყვა—„აწ" აქ ნიშნავს—როცა ვინებე შეძრწუნებაო (ანუ ეს მისი თავისუფალი ნებით იყო განპირობებული); და მაინც იგი იმას გვიჩვენებს, რაც სინამდვილეში იყო; რამეთუ უფალი არ აღიარებდა თ ა ვ ი ს თ ვ ი ს დამახასიათებლად იმას, რაც მ ა ს შ ი არ იყო, და არ ამბობდა ამას ისე, თითქოს საქმე ეხებოდა მოჩვენებითს რასმე, სინამდვილეში არარსებულს; რადგან ყოველივე ეს ჟეშმარიტად მოხდა სინამდვილეში". და სხვა ადგილასაც (წმიდა ათანასე) ამბობს: „ღმრთაება არაფრით არ დაუშვებს თავისთვის ვნებებს, თუ არ ვნებული სხეულით, არ გვიჩვენებს შეძრწუნე-

ბასა და მწუხარებას სხვაფრივ, თუ არ მჭმუნვარე და შეშფოთებული (ადამიანური) სულით, სხვაგვარად არ სწუხს და არ ილოცავს, თუ არ დამწუხრებული და მლოცველი გონებით; თუმცა ყოველივე ეს იმის გამო როდი აღესრულებოდა, რომ ბუნება დამარცხებული იყო, არამედ იმიტომ, რომ დადასტურებულიყო ადამიანური ბუნების არსებობა ქრისტეში". წმიდა მამის ეს გამოთქმაც — „ყოველივე ეს იმის გამო როდი აღესრულებოდა, რომ ბუნება დამარცხებული იყო"-ო ასევე გვიჩვენებს, რომ ყველაფერ ამას ქრისტე თ ა ვ ი ს ი ნების საწინააღმდეგოდ როდი დაითმენდა.[74]

თ ა ვ ი XXIV

უფლის მიერ ლოცვის აღვლენის შესახებ

ლოცვა არის გონების ზემისწრაფება ღმრთისაკენ, ანდა იმის თხოვა ღმრთისადმი, რისი თხოვნაც ჯერ-არს. მაშ, როგორღა ლოცულობდა უფალი ლაზარესათვის და (შემდგომაც) ჯვარზე ვნების ჟამს? მისი წმიდა გონება ხომ — ერთხელ ჰიპოსტასურად შეერთებული სიტყვა-ღმერთთან (რამეთუ ქრისტე — ერთია) — არ საჭიროებდა არც ღმერთისაკენ ზემისწრაფებას, და არც რაიმეს თხოვნა სჭირდებოდა ღმრთისათვის; მაგრამ ი გ ი მაინც ილოცვიდა იმის გამო, რომ გაითავისა ჩვენი სახე, თავის თავში გამოხატავდა ჩვენთვის დამახასიათებელს, მაგალითი შეიქნა ჩვენთვის, გვასწავლიდა იმას, თუ როგორ უნდა მიგვემართა ღმერთისთვის ლოცვა-ვედრებით, როგორ უნდა ზევისწრაფვოდეთ ღმერთისაკენ, და თ ა ვ ი ს ი წმიდა გონებით გზას გვიკვალავდა ღმერთთან აღსამაღლებლად. როგორადაც ვნებანი დაითმინა მ ა ნ, როცა გვწინამძღვრობდა ვნებებზე გასამარჯვებლად, ამგვარადვე ილოცვიდა კიდეც, — როგორც უკვე ვთქვი, — იმისთვის, რომ გზა გაეკვლია ჩვენთვის ღმერთთან ასამაღლებლად, და იმისთვის, რომ აღესრულებინა ჩვენთვის ყოველი სიმართლე, როგორც ეს თვით უთხრა იოანეს (მათე 3,15), და ამით შეერიგებინა ჩვენთან თ ა ვ ი ს ი მ ა მ ა; კეალად იმისთვის,

რომ პატივი მიეგო მ ა მ ი ს თ ვ ი ს როგორც (ყველაფრის) დასაბამისა და მიზეზისათვის, და რომ ეჩვენებინა — ღმერთის წინააღმდგომი არ ვარო. რამეთუ როცა ქრისტემ თქვა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების ჟამს — „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი! და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა, არამედ ერისა ამისთვის, რომელი გარე მომადგს მე, ვთქუ, რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“-ო (იოანე 11, 41—42), მაშინ ყველასთვის განა ცხადზე უცხადესი არ იყო, რომ ეს სიტყვები უფალმა იმისთვის თქვა, რათა პატივი მიეგო თ ა ვ ი ს ი მ ა მ ი ს თ ვ ი ს როგორც თ ა ვ ი ს ი დასაბამისა და მიზეზისათვის, და კვალად ეჩვენებინა, რომ ი გ ი ღმერთის წინააღმდგომი არ არის?![75]

ხოლო თუკი ქრისტემ თქვა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე! ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ!“-ო (მათე 26, 39), — მაშინ განა ყველასთვის ნათელი არ არის, რომ ამით უფალი გვასწავლის ყოველი განსაცდელის ჟამს მხოლოდ ერთს — ღმერთს შევვედროთ ხოლმე შეწევნისათვის და უპირატესობა ღმერთის ნებისთვის მიგვენიჭებინოს ჩვენს საკუთარ ნებასთან შედარებით?! და ამასთანავე განა ისიც ნათელი არ არის, რომ ამით უფალი გვიჩვენებდა: მ ა ნ ჭეშმარიტად შეითვისა ჩვენი ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისებები და მ ა ს ნამდვილად ჰქონდა ორი ნება, რა თქმა უნდა, მ ი ს ი ორივ ბუნების შესაბამისი, მაგრამ არა მტრული და დაპირისპირებული ერთმანეთისადმი?! ი გ ი ამბობს — „მ ა მ ა ო“-ო როგორც ერთარსი მამისა, და ამბობს — „უკუეთუ შესაძლებელ არს“-ო, იმიტომ კი არა, თითქოს არ იცოდეს, შესაძლებელია თუ არა მომავალი ტანჯვის თავიდან აცილება, — რამეთუ რა შეიძლება შეუძლებელი იყოს ღმერთისათვის?! — არამედ იმიტომ, რომ ამით ჩვენ გვასწავლოს—მარადის ღმერთის ნებას ვანიჭებდეთ უპირატესობას საკუთარი ნების წინაშე; რადგან შეუძლებელი მხოლოდ ის არის, რაც ღმერთს არ ჰნებავს და რის უფლებასაც ი გ ი არ გვაძლევს. „გარნა არა ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“-ო, — როგორც ღმერთს, ქრისტეს ერთი და იგივე ნება აქვს მამა ღმერთთან, მაგრამ როგორც

ადამიანი ი გ ი ბუნებისმიერად გამოავლენს თავის ადამიანურ ნებას, და ეს ადამიანური ნება ბუნებრივად გარე-ფიიქცევა სიკვდილისაგან, ეშინის მისი.[76]

ხოლო სიტყვები — „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲ-სათვის დამიტევებ მე?!“ (მათე 27,46), — ქრისტემ წარმო-თქვა როგორც ჩვენი (ადამიანური) სახის მიმღებმა, რადგან მ ა მ ა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა წოდებულიყო მ ი ს ღმერთად, თუკი ქრისტე თავის თავს ჩვენს გვერდით დააყენებდა, ამასთანავე გონების განყენებული წარმოდგენით (აქ, ამ შემთხვევაში) ხილული განცალკევდება იმისაგან, რაც (მხოლოდ) გონებით შეიმეცნება;[77] ასევე ქრისტეც არასდროს არ ყოფილა მიტოვებული საკუთარი ღმრთაების მიერ, მაგრამ ჩვენ კი ვიყავით მიტოვებულნი და უგულვებელყოფილნი; ამიტომაც ილოცვიდა ი გ ი ისე, როგორც მიმღები ჩვენი სახისა.

თ ა ვ ი XXV

უფლის მიერ ჩვენი ბუნების მიღებისათვის (გათავისებისათვის).

უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რომ მიღება-გათავისება (რაი-მესი) ორი სახის არსებობს: ერთი — ბუნებისმიერი და არ-სებითია, მეორე კი — პიროვნული და შეფარდებითი.[78] ბუ-ნებისმიერი და არსებითია ის გათავისება, რომლის შესაბამი-სადაც უფალმა თავისი კაცთმოყვარეობისა გამო ჩვენი ბუნება და ჩვენი ყველა ბუნებისმიერი თვისება მიიღო, როცა ნამდ-ვილად და ჭეშმარიტად შეიქნა ადამიანად და გამოსცადა ყო-ველივე ის, რაც ჩვენს ბუნებას განეკუთვნება. პიროვნული და შეფარდებითი გათავისება კი მაშინ არის ხოლმე, როცა ვინმე გარკვეული დამოკიდებულებისა გამო, მაგალითად, თანალმობისა თუ სიყვარულისათვის, თავის თავში მიიღებს სხვის სახეს და მის ნაცვლად ლაპარაკობს მისსავე სარგებლ-ობისათვის, ლაპარაკობს იმას, რაც თვით მას არაფრით არ შეე-ხება. ამის შესაბამისად უფალმა გაითავისა შეჩვენებაცა და მიტოვებაც ჩვენი, და სხვაც მისთანა, რაც არ განეკუთვნება

ბუნებას, ხოლო გაითავისა იმიტომ კი არა, თითქოს ი გ ი მარ-ოლაც ამგვარი შექნილიყოს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენი სახე მიიღო და ჩვენს გვერდით დააყენა თ ა ვ ი. აი, სწორედ ამას ნიშნავს საღმრთო წერილის გამოთქმა: „ქრისტემან ჩვენ მოგვიყიდნა წყევისაგან მისა შჯულისა, და იქმნა ჩვენთვის წყევასა ქვეშე, რამეთუ წერილ არს: წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა“ (გალატ. 3,13).[79]

თ ა ვ ი XXVI

უფლის სხეულის ვნებისა და მ ი ს ი ღმრთაების უვნებლობისათვის.

ამრიგად, ღმრთის ს ი ტ ყ ვ ა მ თვით დაითმინა ყოველივე თავისი სხეულით, მაშინ, როცა მ ი ს ი ღვთაებრივი და უვნებო ბუნება, რომელიც ერთადერთია ესევითარი (ანუ უვნებო), უვნებელი რჩებოდა. რამეთუ როცა ევნებოდა ქრისტე, შემდგარი ღმრთაებისა და ადამიანობისაგან, არსებული ღმრთაებითაც და ადამიანობითაც, — მაშინ მ ა ს შ ი ევნებოდა მხოლოდ ის, რაც თავისი ბუნებით ვნებებს იყო დაქვემდებარებული; ის კი, რაც უვნებო იყო, არ ევნებოდა. რამეთუ სული (ადამიანისა), აქვს რა უნარი ვნებისა, თუმცა თვით არ განიკვეთება, როცა სხეულს ჰკვეთენ მახვილით, მაგრამ მაინც დაითმენს ტანჯვას და სხეულთან ერთად ევნება; ღმრთაება კი, არის რა ბუნებით უვნებო, არ ევნებოდა და სხეულთან ერთად ტანჯვას არ განიცდიდა.

კვალად უნდა ვიცოდეთ შემდეგი: ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი სხეულით ევნო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვით, რომ ღმრთაება ევნო სხეულით, ანთუ — ღმერთი სხეულის მიერ (მეშვეობით) ევნოო. თუკი იმ დროს, როცა ხეს მზის სხივები ეფინება და ამ ხეს ნაჯახით სჭრიან, მაშინ მზე არ იჭრება და არც რაიმე ვნებას განიცდის; და რამდენგზის უფრო აღმატებულია ამ მაგალითზე უვნებო ღმრთაება სიტყვისა, ჰიპოსტასურად რომ შეერთებია სხეულს, — ამიტომ იგი არ ევნებოდა, როცა სხეული ტანჯვას განიცდიდა.

ქვალად, თუკი წყლის დასხმით გავარვარებულ რკინაზე ევნება ის, რაც უნდა ბუნებისმიერად ევნებოდეს წყლისაგან, ანუ ცეცხლი, რომელიც უმალვე ჰქრება, ხოლო რკინა უვნებელი რჩება, რადგან ბუნებით მას არა აქვს უნარი წყლისაგან რღვევისა, მაშ, რამდენგზის უფრო ერთიანი და უვნებო ღმრთაება (ქრისტესი) არ დაითმენდა ტანჯვას იმ დროს, როცა სხეული ევნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც განუყრელი იყო მისგან. აკი სულაც არ არის აუცილებელი, რომ მოხმობილი მაგალითი სრულყოფილად და ყოველგვარი ნაკლის გარეშე უთანაბრდებოდეს (თვით შესადარ) საგანს. რამეთუ აუცილებელია, მაგალითში იხილვებოდეს ისიც, რაც მსგავსია (თვით საგნისა), და ისიც, რაც განსხვავებულია, რადგან სხვაგვარად ეს უკვე მაგალითი არ იქნება. მართლაც, ყოველივეთი მსგავსება სრული იგივეობის მიმანიშნებელი იქნებოდა, და არა — მაგალითი, განსაკუთრებით კი იმაში, რაც ღმერთს განეკუთვნება. რამეთუ შეუძლებელია ისეთი მაგალითის მოძიება, რომელიც ყოველივეთი (თვით ნათელსაყოფი საგნის) მსგავსი იქნებოდა, — და ეს ეხება როგორც სწავლებას თვით ღმერთის შესახებ, ასევე სწავლებას საღმრთო განგებულებისათვის ადამიანთა ხსნისა.[80]

თავი XXVII

მასზედ, რომ უფლის სიკვდილის ჟამსაც ღმრთაება სიტყვისა განუყრელად ჰგიებდა (მის ადამიანურ) სულთან და სხეულთან ერთად, და რომ შენარჩუნებული იყო ერთი ჰიპოსტასი.

უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, იყო რა უცოდველი, რადგან „...ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა“ (I პეტრე 2,22) და „აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“ (იოანე 1,29) და კვალად, რადგან „...უშჯულოებაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა შინა მისსა“ (ესაია 53, 9), — ამიტომ იგი არ ექვემდებარებოდა სიკვდილს, რამეთუ სიკვდილი ამა ქვეყნად ცოდვის მიზეზით შემოვიდა (რომ. 5,12). ამრიგად, ქრისტე კვდება, და სიკვდილს ჩვენი გულისთვის დაითმენს, ანუ

ჩვენთვის სწირავს მსხვრეპლად მამას თავის თავს. რამეთუ ჩვენ ვცოდეთ მამის წინაშე, და ჯერ-იყო, როდ მას გამოსასყიდი მიეღო, ჩვენთვის წინა-დადებული და, ამგვარად, ჩვენ განვთავისუფლებულიყავით წყევისა და სასჯელისაგან. მაშასადამე, უფლის სისხლი მტარვალ ტირანს როდი მიუტანეს მსხვერპლად. ამრიგად, სიკვდილი მოუხდება და შთანთქავს უფლის სხეულს, მსგავსად სატყუარასი, რითაც განიგმირება ღმრთაების მიერ როგორც (თევზი) ანკესის კავით, და იგემებს რა უცოდველსა და ცხოველმყოფელ სხეულს, თვით იღუპება, უკანვე გამოსცემს რა ყველას, ვინც კი მანამდე შთაუნთქავს. როგორადაც ნათლის შემოსვლით ისპობა და განქარდება ბნელი, ასევე გახრწნაც განიდევნება სიცოცხლის ძალუმი კვეთებით, რის შედეგადაც ყოველთათვის (საუკუნო) ცხოვრება მკვიდრდება, ბოროტისათვის კი საუკუნო დაღუპვა დგება.

ამრიგად, თუმცა ქრისტე მოკვდა როგორც ადამიანი, და მისი წმიდა სული განეშორა მის ყოვლადწმიდა სხეულს, მაგრამ მისი ღმრთაება განუყრელად ჰგიებდა ორივეში, — ვგულისხმობ როგორც სულს, ასევე სხეულსაც ქრისტესას. და ამგვარად, ერთი ჰიპოსტასი უფლისა არ გაყოფილა ორ ჰიპოსტასად, რამეთუ სხეულსაც და სულსაც (სიკვდილის) დადგომისთანავე თანაბრად ჰქონდათ არსებობა სიტყვის ჰიპოსტასში. თუმცა კი სიკვდილის ჟამს სული და სხეული განეყარნენ ერთმანეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი შენარჩუნებულ იქნა ისე, რომ ორივეს ერთიანი ჰიპოსტასი ჰქონდა სიტყვისა. ამიტომაც, ერთიანი ჰიპოსტასი სიტყვისა იყო როგორც ჰიპოსტასი სიტყვისა, ასევე ჰიპოსტასი სულისა და სხეულისა. რამეთუ არასდროს არც სულს და არც სხეულს (ქრისტესას) არ შეუძენიათ საკუთარი ჰიპოსტასი თვინიერ სიტყვის ჰიპოსტასისა. ხოლო სიტყვის ჰიპოსტასი მარადის ერთია; და არასდროს არ არსებულა სიტყვის ორი ჰიპოსტასი. მაშასადამე, ქრისტეს ჰიპოსტასი ყოველთვის ერთია. და თუმცა სული (ქრისტესი) განეშორა სხეულს ადგილის მხრივ, მაგრამ მაინც ყოველთვის შეერთებული იყო მასთან სიტყვის მეშვეობით.[81]

თავი XXVIII

ხრწნადობისა და გახრწნის (დაღუპვის) შესახებ.

სიტყვას — „ხრწნადობა“ — ორი მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა იგი აღნიშნავს ადამიანის ვნებით მდგომარეობას, როგორიცაა შიმშილი, წყურვილი, დაღლა, ლურსმნებით განმსჭვალვა, სიკვდილი, ანუ სულის გაყრა სხეულისაგან, და სხვა მსგავსი ამისა. სიტყვის ამ მნიშვნელობის შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია უფლის სხეულს გახრწნადი ვუწოდოთ, რამეთუ ყოველივე ეს მ ა ნ ნებაყოფლობით (თავისი ნებით) მიიღო. მაგრამ მეორეს მხრივ ხრწნადობა აღნიშნავს აგრეთვე სხეულის სრულ რღვევას და დაშლას იმ სტიქიებად, რომელთაგანაც იგი შედგება, რაც მის სრულ მოსპობას მოასწავებს და მრავალთა მიერ უმეტესწილად გახრწნად (დაღუპვად) იწოდება. ამგვარი გახრწნა კი არ განუცდია უფლის წმიდა სხეულს, ვითარცა ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა“ (ფსალმუნი 15, 10).

ამრიგად, უკეთურება იქნებოდა მტკიცება იმისა, რომ უფლის სხეული მკვდრეთით აღდგომამდეც უხრწნელი იყო — ამ სიტყვის (გახრწნის) პირველი მნიშვნელობით, — თანახმად უგნური იულიანესა და გაიანეს ცრუ შეხედულებისა. რამეთუ მართლაც უხრწნელი რომ ყოფილიყო (ანუ დაუქვემდებარებელი ვნებებს), მაშინ არ იქნებოდა მსგავსი ჩვენი ბუნებისა, და ამ შემთხვევაში ყოველივე ის, რის შესახებაც სახარება გადმოგვცემს როგორც ნამდვილად მომხდარ მოვლენებზე ,— შიმშილი, წყურვილი, ლურსმნებით განმსჭვალვა, გვერდის მოწყვლა შუბით, ჯვარზე სიკვდილი (უფლისა), — ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებითად აღსრულებულა, და არა — სინამდვილეში. ხოლო თუკი ყოველივე ეს მოჩვენებითად აღსრულებულა და არა ჭეშმარიტად, მაშინ ღვთაებრივი საიდუმლოც ჩვენი ხსნის განგებულებისა ოდენ სიცრუე და ფიცარნაგზე წარმოდგენილი სახიობის მსგავსი რამ ყოფილა! და უფალიც ოდენ მოჩვენებითად, და არა — ჭეშმარიტად შექ-

ნილა ადამიანად, მოჩვენებითად განკაცებულა, და ჩვენც (ადამიანები) მოჩვენებითადვე ვცხოვნებულვართ, და არა — სინამდვილეში. გარნა თუ იყოფინ ესე! — და ისინიც, რომელნიც ამას გაიძახიან, დაე, მოაკლდნენ ხსნას და ღმერთთან ზიარებას! ხოლო ჩვენ, უფალ იესუ ქრისტეს მორწმუნეთ ჭეშმარიტებით მიგვიღია ხსნა და ვცხოვნდებით!

სიტყვა — „ხრწნადობის“ — მეორე მნიშვნელობის შესაბამისად კი ჩვენ, თანახმად წმიდა ღმერთშემოსილ მამათა სწავლებისა, ვაღიარებთ, რომ უფლის სხეული უხრწნელია, ანუ გაუხრწნადია, — ანუ არ ექვემდებარება რღვევასა და დაშლას. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდგომ მ ი ს ი სხეული უხრწნელია (სიტყვა „ხრწნადობის“) პირველი მნიშვნელობითაც და უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ ჩვენს (გახრწნად) სხეულსაც, თ ა ვ ი ს ი სხეულის მეშვეობით, მკვდრეთით აღდგომა და შემდგომ უხრწნელება მოჰმადლა, რამეთუ თვით ი გ ი შეიქნა ჩვენთვის დასაბამად (წინდად) მკვდრეთით აღდგომისა, უხრწნელებისა და ვნებობისა. აკი ღვთაებრივი (პავლე) მოციქულიც ბრძანებს, რომ „...ჯერ-არს ხრწნადისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკუდავისა ამის შემოსად უკვდავებაჲ“ (I კორინთ. 15, 53).[82]

თ ა ვ ი XXIX

ჯოჯოხეთად შთახდომისათვის

განღმრთოებული სული ქრისტესი ჯოჯოხეთად შთახდება (I პეტრე 3, 19) იმ მიზნით, რომ ამქვეყნად ცხოვრებულთათვის სიმართლის მზე ამობრწყინდეს (მაქალია 4,2), ასევე მიწის ქვეშ მყოფთათვისაც ნათელი გაბრწყინდეს და „ერმან მავალმან ბნელსა შინა იხილოს ნათელი დიდი“ (ესაია 9,2), რათა როგორადაც ამქვეყნად მავალი უფალი ახარებდა მშვიდობას, ტყვეთა განტევებას და ბრმათა აღხილვას (ლუკა 4, 18; ესაია 61, 1) და მართალ მორწმუნეთათვის შეიქნა მიზეზი საუკუნო ხსნისა, იმათთვის კი, ვისაც არა ჰრწმენა მ ი ს ი, —

შეიქნა მამხილებლად მათი ურწმუნოებისა, — აი, ამგვარადვე ეხარებინა ჯოჯოხეთს დამკვიდრებულთათვის, „რაჲთა სახელისა მიმართ იესუ ქრისტესი ყოველი მუხლი მოდრკეს ზეცისათანი და ქვეყანისათანი და ქვესკნელთანი, და ყოველმან ენამან აღუაროს, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღმრთისა მამისა" (ფილიპ. 2, 10—11). ამრიგად, განხსნა რა საკრველთაგან და გაათავისუფლა რა ისინი, რომლებიც საუკუნითგან კრულნი იყვნენ ჯოჯოხეთს, ქრისტე დაბრუნდა შესვენებულთა სამკვიდრებელიდან, და ჩვენც გაგვიკვალა გზა მკვდრეთით აღდგომისაკენ.[83]

შენიშვნები III წიგნისთვის

1. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს (38-ე და 42-ე სიტყვები), რომ ტყავის სამოსი — ეს, შესაძლოა, უფრო უხეში და მოკვდავი სხეულია (ხორცია), და უფრო ხისტიც. წმიდა მეთოდე სიტყვა „ტყავის" (-ტყავის შესამოსელს) ქვეშ გულისხმობს არა თვით სხეულს, არამედ მოკვდავობას, დაქვემდებარებას სიკვდილისადმი. წმიდა იოანე დამასკელი, სხვა წმიდა მამათა მსგავსად, გვასწავლის, — მაცხოვარი, ჩვენი გამომსყიდველი ცოდვათაგან, ცოდვას ნაზიარები არ იყო იმიტომ, რომ ი გ ი ჩვენს მსგასად მამაკაცისა და დედაკაცისაგან კი არ იყო შობილი, არამედ სულიწმიდისაგან და წმიდა ქალწულისაგან, და თითქმის იმგვარადვე, როგორც პირველი ადამიანი — ადამი შეიქმნაო ღმერთის მიერ. წმიდა გრიგოლ ნოსელი („კათაკმეველთა დასამოძღვრავად", თ. 16) ამბობს, რომ ადამიანთა შობა მანკიერებით არის შეზავებული, რადგან ყოველი ადამიანის ჩასახვა არ ხდება სხვაგვარად, თუ არ ავხორცობის, ბილწი გულისთქმის მონაწილეობით, რაც იწოდება კიდეც ვნებად საკუთრივი მნიშვნელობით და არის კიდეც მანკიერება (ცოდვა).

2. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მე-6-ე და 38-ე სიტყვები; წმ. გრიგოლ ნოსელი. „კათაკმეველთა დასამოძღვრავად", თ. 20.

3. აქ, იესუ ქრისტეს ქალწულისაგან ჩასახვის გამო საუბრისას, წმიდა იოანე დამასკელი უმთავრესად წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მსჯელობას ეყრდნობა, რომელიც თავის 38-ე სიტყვაში ამბობს: (უფალი) ქალწულისაგან იშვა, რომლის სულიცა და ხორციც (სხეულიც) წინასწარ იყო განწმენდილი სულიწმიდის მიერო... იგივეს ამტკიცებს ბევრი სხვა წმიდა მამაც.

4. წმიდაᲗ ქალწულისადმი მიცემულ პასუხს ანგელოზისა — „სული წმიდაᲐ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაᲐ გფარვიდეს შენ“ (ლუკა 1, 35) — ძველი მამები ისევე განმარტავენ, როგორც წმ. იოანე დამასკელი განმარტავს, ანუ ისინიც აქ სულის ქვეშ გულისხმობენ მესამე პირს ყოვლადწმიდა სამებისა, ხოლო „მაღლის ძალის“ ქვეშ — მეორე პირს, ანუ ძეს ღმერთისა. ასე ასწავლიან, მაგალითად, წმიდა ათანასე დიდი (ეპისტოლე სერაპიონისადმი — „სულიწმიდის შესახებ“), წმ. გრიგოლ ნოსელი („აპოლინარიუსის წინააღმდეგ“, თ. 6 და 25) და სხვა წმიდა მამები.

5. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი აპოლინარიუსის წინააღმდეგ ამბობს (I ეპისტოლე კლედონიუსისადმი): თუკი ვინმე იტყვის, (უფლის შობისას) ჯერ ადამიანი შეიქმნა და მხოლოდ შემდეგ შევიდა მასში ღმერთიო, — ესევითარი დაიგმოს! რამეთუ ღმერთის შობა (განკაცება) არავითარ შემთხვევაში არ იყო ასეთი... ამიტომაც, წმ. კირილე (I ეპისტოლე ნესტორისადმი) ამბობს: „ჯერ ჩვეულებრივი ადამიანი კი არ იშვა წმიდა ქალწულისაგან და შემდეგ კი არ გარდამოხდა მასზე ს ი ტ ყ ვ ა, არამედ შეერთება ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი ს ა ადამიანთან აღსრულდა მისი ჩასახვისთანავე ქალწულის საშოში სულიწმიდისაგან“. ნეტარი თეოდორიტეც (მე-2-ე სიტყვა) აღიარებს, რომ ხორციელ-ქმნასა და მის შეერთებას ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ არ ჰყოფს ერთმანეთისაგან დროის თუნდაც სულ უმნიშვნელო მონაკვეთი.

6. წმიდა ბასილი დიდი. „სიტყვა ქრისტეს შობაზე“.

7. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი. „ეპისტოლე იოანესადმი“, Migne, s. gr. t, XCI. — „შედგენილი ბუნება (არსი) არ შეიძლება ერთარსი იყოს რომელიმესი იმ ორისაგან, რომელთაგანაც იგი არის შემდგარი“... (წმ. იოანე დამასკელი). ეცლოგეც ამგვარად მსჯელობს („სევერიანთა წინააღმდეგ“): შედგენილს ჩვენ მაშინ ვუწოდებთ ერთიან ბუნებას (არსს), როცა მასთან მიმართებაში ვერ გამოვიყენებთ (მის შემადგენელ) მარტივ ნაწილთა სახელებს. მაგალითად, ადამიანის სხეული, როგორც ცნობილია, ოთხი ელემენტისაგან შედგება — წყლის, მიწის, ჰაერისა და ცეცხლისაგან, მაგრამ ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მას (ადამიანის სხეულს) საკუთრივი მნიშვნელო-

ბით ვუწოდოთ წყალი თუ მიწა, ცეცხლი თუ ჰაერი, არამედ ვუწოდებთ მას ერთიან ბუნებას — ადამიანსო. გარდა ამისა, ევლოგეს სახლის მაგალითიც მოჰყავს, რომელიც არ შეიძლება იწოდოს მის შემადგენელ ნაწილთა (მაგალითად, ქვისა თუ ძელის) სახელით. ასევე თვით ადამიანის არსებაც სულისა და ხორცისაგან (სხეულისაგან) შედგება, მაგრამ ჩვენ არ ვუწოდებთ მას საკუთრივი მნიშვნელობით სულსა და ხორცს, თუმცა ამის მაგალითი საღმრთო წერილშიც გვაქვს, სადაც ადამიანი სულად ან ხორცად (ხორციელად) არასაკუთრივი, გადატანითი მნიშვნელობით იწოდება.

8. ქრისტე განსხვავებულ ნაწილთაგან შემდგარი რაღაც განსხვავებული არსება კი არ არის, როგორც, მაგალითად, ადამიანია შემდგარი სულისა და სხეულისაგან, ანდა როგორც სხეული შედგება ოთხი სხვადასხვა ელემენტისაგან (სამყაროისა), არამედ ი გ ი არის ერთი და იგივე, შემდგარი განსხვავებულთაგან (წმ. იოანე დამასკელი). აქ იგი, ალბათ, წმ. მაქსიმე აღმსარებელს ეყრდნობა, რომლის მსგავს აზრს ევლოგეც გამოთქვამს.

9. „აღიარებთ ქრისტეს ორბუნებოვანს...“ (წმ. იოანე დამასკელი). — მწვალებელი ევტიხი ცრუდ ასწავლიდა, რომ ორი განსხვავებული ბუნებისაგან — ერთი ბუნება წარმოიქმნა. მაგრამ შემდეგში თვითვე სწერდა ლეონ დიდს და ფლაბიანე კონსტანტინეპოლელს, რომ ქრისტე არსებობს ორი ბუნებით, რაც ქალკიდონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების მამებმა საბოლოოდ დაადასტურეს კიდეც (451 წ.) ამ კრების მიერ მიღებულ დადგინებაში, სადაც სწერია, რომ ქრისტე — ორბუნებოვანია. მონოფიზიტები, რომელთაც ეშინოდათ ამ გამოთქმისა, ამბობდნენ, ასეთი გამოთქმა არ გვხვდება არც წმიდა კირილესთან და არც ადრეული საუკუნეების სხვა მამებთანო. ეს ასე არ არის, რადგან წმიდა კირილე თავის ეპისტოლეში სუკცესისადმი სწერდა, რომ ქრისტე სრულყოფილია თავისი ღმრთაების მიერ და სრულყოფილია თავისი ადამიანობის მიერ. მაშასადამე, ამით იგი პირდაპირ გვეუბნება, რომ ქრისტე არსებობს ორი სრულყოფილი ბუნებით.

10. ბუნებისა ჰიპოსტასის განსხვავებისათვის წმ. იოანე

დამასკელი უფრო დაწვრილებით წერს თავის „დიალექტიკა-ში“ (ანუ პირველ ნაწილში „ცოდნის წყაროსი“). წმიდა მამები სამებაზე მსჯელობისას განასხვავებდნენ პირსა და ჰიპოსტასს — ბუნებისაგან (არსისაგან). მიუხედავად ამისა, მონოფიზიტები გარდაქცეულად იყენებდნენ მათს გამონათქვამებს და ცრუდ ამტკიცებდნენ, რომ სახელწოდებებით — „ბუნება“ თუ „ჰიპოსტასი“ სხვა რამაა გამოხატული, როცა სამებაზეა საუბარი, და სულ სხვა რამ — როცა ს ი ტ ყ ვ ი ს ხორციელ-ქმნაზეა (განკაცებაზეა) საუბარიო.

11. ანასტასი სინაელი. „წინამძღვარი“, 6; ლეონტი ბიზანტიელი. „ნესტორიანთა და ევტიხიანთა წინააღმდეგ“.

12. ლეონტი ბიზანტიელი, იქვე; ლევ დიდი. მე-17-ე ეპისტოლე ფლაბიანესადმი, თ. IV, Migne, s. lat., t,, LIV, გვ. 765—771; ბუნება, არსი და საერთო (ზოგადი) სახეობა — ერთი და იგივეა წმიდა მამათათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ (451 წ.) მოღვაწეობდა. ასევე სიტყვები — „პირი“ და „ჰიპოსტასი“ — ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავენ, ანუ ინდივიდუალურს, ერთპიროვნულს. მონოფიზიტები ყურადღებას ამახვილებდნენ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 1 ეპისტოლეზე კლედონიუსისადმი, სადაც ნათქვამია — „რადგან ეს ორი ბუნებაა — ღმერთი და ადამიანი, ისევე, როგორც სული და სხეულიო. წმიდა კირილესა და სხვებსაც, ევტიხიმდე რომ მოღვაწეობდნენ, იგივე მაგალითი მოჰყავთ ადამიანისა, რომელიც სულისა და სხეულისაგან შესდგება. წმ. იოანე დამასკელი (ლეონტი ბიზანტიელის, ევლოგე ალექსანდრიელისა და ანასტასი სინაელის მსგავსად) უარყოფს, რომ ნებისმიერი ადამიანის ბუნება, „სხეულისა და სულისაგან შემდგარი — ერთია, თუმცა ადამიანურ ბუნებად ცალკეული ადამიანის ბუნება იწოდება ინდივიდუუმთა სიმრავლის გამო, რომელნიც ორი ბუნებისაგან (არსისაგან), ანუ სხეულისა და სულისაგან შესდგებიან. წმ. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, რომ „სახელი — ქრისტე არ შეიცავს განსაზღვრებას და არა აქვს ძალი განსაზღვრებისა, ამასთან არც ვის-მე არსს გამოხატავს, არამედ პ ი რ ი ა (ჰიპოსტასია) ს ი ტ ყ ვ ი ს ა, და ე ს პ ი რ ი გაიგება ისე, რომ ს ი ტ ყ ვ ა ხორციელ-იქმნა, ანუ

მიიღო მოაზროვნე და გონიერი სულით დაჯილდოებული სხეული". ევლოგე და ლეონტიც ასე მსჯელობენ ამ მაგალითის (ადამიანის — სულისა და სხეულისაგან შემდგარი არსების) გამო: ადამიანი არ იწოდება სხეულად ან სულად იმიტომ, რომ სული და სხეული მისი ბუნების შემადგენელი ნაწილები არიან; ქრისტე კი სამართლიანად იწოდება ადამიანად, ისევე, როგორც ღმერთად არის სამართლიანად წოდებული, და მ ი ს თ ვ ი ს კარგად ითქმის — ადამიანი ღმერთია, და ღმერთი კი — ადამიანიაო.

წმ. მაქსიმე (ეპისტოლე იოანე კუბიკისადმი) ღმრთაებასა და ადამიანობას (ქრისტეს ჰიპოსტასის) ნაწილებს უწოდებს (წმ. იოანე დამასკელიც მის მსგავსად სწორედ ამ სიტყვას იყენებს). ჩვენ ვამბობთო, — ეკითხულობთ ამ ეპისტოლეში. — რომ მოხდა ორი ბუნების შეერთება, და მათ შეადგინეს ერთი რთული (შედგენილი) პირი (ჰიპოსტასი), რომელშიც დაუზიანებლადაა შენარჩუნებული ეს ორი ბუნება, — ერთ მთელში — ნაწილები. ჩვენ ვამბობთ, რომ ქრისტე ორბუნებოვანია. იმას კი არ ვამბობთ, რომ ი გ ი ორი პირია, არამედ იმას, რომ ი გ ი — ერთია, შედგენილი, შემცველი თავის თავში ამ ბუნებებისა, მისი შემადგენელი ნაწილნი რომ შექმნილან... ლეონტი ბიზანტიელიც ამასვე ამბობს (ნესტორიისა და ევტიხის წინააღმდეგ, წგ. I), რომ ორი ბუნება (ქრისტესი) იმის გამო კი არ იწოდება ნაწილებად, თითქოს ისინი არასრულყოფილნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ს ი ტ ყ ვ ა, ცალკე, განყენებულად შემეცნებული, თუმცა კი არის სრულყოფილი ღმერთი, მაგრამ არ არის სრულყოფილი ქრისტე, თუკი მ ი ს გ ა ნ გამოვრიცხავთ ადამიანურ ბუნებას. — სიტყვით განმსჭვალვა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (51-ე სიტყვა) აღნიშნავს ქრისტეს ბუნებათა უშინაგანეს შეერთებას, რაკი ეს ბუნებანი ერთურთს განმსჭალავენ ისე, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღმერთს მიეწერება, და — პირიქით. ამასვე ამტკიცებს წმ. მაქსიმე აღმსარებელიც (სიტყვა პიროსის წინააღმდეგ, გვ. 191): ორივე ეს ბუნება მოქმედებს ურთიერთთანაზიარობით, რადგან საიდუმლო სახით განმსჭვალავს ერთმანეთსო. თუმცა წმ. იოანე დამასკელი იმასაც ამბობს, რომ ღ მრთაება არ განიმსჭვალება ადამია-

ნობით, რადგან მხოლოდ მისთვის — დაუსრულებელი ბუნებისათვის არის დამახასიათებელი განმსჭვალოს უფრო უხეში და სასრული ბუნება; ღმრთაება ისევე არ შეიძლება ადამიანობით განიმსჭვალებოდეს, როგორც სული — სხეულის მიერ... ამიტომაც ამავე წიგნის მეცხრამეტე თავში იგი ამბობს, რომ ღვთაებრივმა ბუნებამ ხორცს (სხეულს, ადამიანურ ბუნებას) მიანიჭა უნარი იმისა, რომ იგი აუხსნელი სახით შესულიყო ღვთაებრივ ბუნებაში, — და სწორედ ეს არის ის, რასაც ჩვენ (ბუნებათა) შეერთებას ვუწოდებთ.

13. თვისებათა ურთიერთთანაზიარობას უწოდებენ იმას, როცა ღმერთისათვის დამახასიათებელი ადამიანს მიეწერება, ხოლო ადამიანისათვის დამახასიათებელი — ღმერთს. რადგანაც „სიტყვაᲲ-იგი ხორციელ-იქმნა“, ამიტომ საღმრთო ღირსება ადამიანის ღირსებად იქცაო, — ამბობს წმ. ათანასე ალექსანდრიელი („მაცხოვარებისათვის ქრისტეს მოსვლისა“). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც (38-ე სიტყვა) ამბობს: „მწვალებელნი შეცდომაში შეჰყავს ამას, — ანუ სახელთა შეერთებას, რადგანაც ბუნებათა ურთიერთგანმსჭვალვის გამო სახელები ერთურთის ნაცვლად იხმარება... ჰოი, ახალო შეერთება!.. მარადის არსმყოფი (ღმერთი) იშვება, არაქმნილი — შეიქმნება, დაუტევნელი — დატევნული ხდება (სხეულში თავსდება)...“ ამგვარადვე ასწავლის წმიდა გრიგოლ ნოსელიც („აპოლინარიუსის წინააღმდეგ“).

14. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. 29-ე სიტყვა.

15. „სამი ჰიპოსტასი წმიდა სამებისა შეურევნელადაა შეერთებული და განუცალკევებლადაა გაყოფილი, ისინი აღირაცხებიან, და მათი რიცხვი არ მოასწავებს მათს გაყოფას“ (წმ. იოანე დამასკელი). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ქრისტეს ბუნებათა შესახებ ამბობს, რომ ერთიცა და მეორეც (ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებანი) — ერთიანია, და ეს ერთიანობა ბუნებისმიერი კი არ არის, არამედ შეერთებისმიერია. სევერის საწინააღმდეგოდ ლეონტი ბიზანტიელი ამბობს — რიცხვის ბუნება ისეთია, რომ იგი არც აერთიანებს და არც განაყოფსო, რადგან რიცხვით სხვა არაფერია გამოხატული, თუ არ მხოლოდ ოდენობა; აქედან გამომდინარე, ღმრთაების სამი პირი განყოფის გარეშე (განუცალკევებლად)

აღირაცხებაო. ამგვარადვე მსჯელობს წმიდა მაქსიმე აღმსარებელიც (I ეპისტოლე იოანე კუბიკისადმი).

16. ბასილი დიდი. 38-ე სიტყვა, და „სწავლა სულიწმიდისათვის, თ. 17, Migne, s. gr. t, XXXVII, გვ. 323—340, 143—148; თარგმანი რუსულ ენაზე — ნაწ. IV (1892 წ.), გვ. 85— 97; ნაწ. III (1891 წ.), გვ. 239—243.

17. „მთელი (სრული) და სრულყოფილი ბუნება ღმრთაებისა თავის ერთ-ერთ ჰიპოსტასში შეუერთდა მთელსა და სრულყოფილ ბუნებას ადამიანობისა, და არა — ნაწილი — ნაწილს“... — აქ წმ. იოანე დამასკელს მხედველობაში სევერიანნი ჰყავს, რომელნიც, ასწავლიდნენ რა — ყოველი ბუნების ცალკეული პირები ერთი საერთო არსის კერძოობითი არსნი არიანო და მხოლოდ რიცხვით განსხვავდებიანო, ამავე დროს ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეშიც ღვთაებრივი ბუნების რაღაც ერთი ნაწილი შეუერთდა ასევე რაღაც ერთ ნაწილს ადამიანური ბუნებისა, და არა სრული ღმრთაება — სრულსავე ადამიანობას... სევერიანთა ამ ცრუ-შეხედულებას უკუაგდებს ევლოგი ალექსანდრიელი. წმ. იოანე დამასკელი კი, მათს გარდა, არიოზსაც უკუაგდებს, რომელიც ამბობდა — ქრისტეს (ადამიანური) სული არ აქვსო, და აპოლინარიუსსაც, რომელიც ასევე ცრუდ ამტკიცებდა ქრისტეს ადამიანური გონება არ აქვსო... ორივე ამ მწვალებლობას წმ. იოანე დამასკელი აცამტვერებს წმ. დიონისე არეოპაგელის, წმიდა მამების — ათანასე დიდის, გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის საფუძველზე, რომელთა შეხედულებანი მან გააერთიანა.

18. წმიდა დიონისე არეოპაგელი. „საღმრთოთა სახელთათვის“, 2; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

19. „ს ი ტ ყ ვ ა ღმერთისა შეერთებულია ხორცთან (სხეულთან) გონების მეშვეობით, რომელსაც საშუალო ადგილი უკავია ღმერთის სიწმინდესა და ხორცის სიტლანქეს შორის“... (წმ. იოანე დამასკელი). — ამ სიტყვებს ზოგნი არასწორადაც განმარტავენ, ჩვენ კი ეს იმ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომ გონება, ანუ გონიერი სული — არის რაღაც საშუალო და შემაკავშირებელი, რომელიც ამ ორ უკიდურეს

სობას — ღმერთსა და სხეულს აერთიანებს. ეს დებულება წმ. იოანე დამასკელს აღებული აქვს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისაგან, რომელიც ამბობს (I სიტყვა): ღმერთი სხეულს სულის შუალობით შეუერთდა, და ეს ერთმანეთისაგან დაშორებული საგნები შეერთებული არიან ერთმანეთთან იმ შუალობითი დასაბამით, რომელსაც ორივესთან აკავშირებს ნათესობა". 51-ე სიტყვაში კი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს; რომ გონება არის საშუალი რამ ღმერთსა და სხეულს შორის: გონება უერთდება გონებას როგორც უფრო ახლომყოფს და ნათესაურს, ხოლო მისი მეშვეობით — სხეულსაც, ამდენად, გონება საშუალია ღმრთაებასა და (ხორცის) სიტლანქეს შორისო. ამასვე მრავალგზის იმეორებენ სხვა მამებიც, როგორც ბერძენნი — აღმოსავლეთის ეკლესიათა მღვდელმთავარნი, ასევე დასავლეთისანიც — ლათინები.

20. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მე-3-ე და 38-ე სიტყვები, I და II ეპისტოლეები კლედონიუსისადმი.

21. „როცა ვამბობთ, სიტყვის ბუნება ხორციელიქმნაო, ...მაშინ ვგულისხმობთ, რომ ღმრთაება ხორცს (სხეულს) შეუერთდა..." (წმ. იოანე დამასკელი). — მონოფიზიტები მიუთითებდნენ, რომ არა მხოლოდ წმ. კირილეს, არამედ, ვითომცდა, წმ. ათანასესაც სიტყვის განკაცებისთვის უთქვამთ — ხორციელ-იქმნა ერთი ბუნება სიტყვა-ღმერთისაო. მაგრამ მართალ მორწმუნეთ მრავალგზის დაუმტკიცებიათ, რომ ეს სიტყვები, ევტიხისაგან მოხმობილი და ეგზომ ქებული, სინამდვილეში ამ წმიდა მამებს კი არ ეკუთვნით, არამედ მწვალებელ აპოლინარიუსს... წმ. იოანე დამასკელი განსაკუთრებით სწორედ წმ. კირილეს ავტორიტეტს ეყრდნობა.

22. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

23. „სიტყვა-ღმერთის ჰიპოსტასი, აქამდე მარტივი, შედგენილი (რთული) შეიქნა"... (წმ. იოანე დამასკელი). „უფალი თავისი ბუნებით არის ღმერთი და ძე ღმერთისა, მარტივი, უხორცო (უსხეულო), თანად საუკუნო მამისა; თავისი კაცთმოყვარებისა გამო იგი ადამიანი შეიქნა, და ჩვენი ხსნისათვის ის, ვინც მარტივი და უხორცო

იყო, შედგენილი და ხორციელი შეიქნა“... (წმ. მაქსიმე აღმსარებელი. ეპისტოლე პეტრესადმი). ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანობას არ ზეუმოქმედია ღმრთაებაზე; ადამიანურმა ბუნებამ თვით მიიღო ს ი ტ ყ ვ ი ს ა გ ა ნ უნარი იმისა, რომ მ ა ს შ ი (ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ შ ი) ეარსება. ასე, რომ აქ საუბარი ისეთ შეერთებაზე კი არ არის, სადაც ნაწილნი ერთმანეთზე ზემოქმედებენ (როგორც ეს ხდება, მაგალითად) ადამიანის არსებაში სულისა და სხეულის შეერთებისას), არამედ უფრო იმგვარ შეერთებაზეა, როცა ერთი იღებს თავის თავში რაღაც სხვას, სრულყოფს მას, ჰკრავს და შემოსაზღრავს. წმ. დიონისე არეოპაგელი, წმ. მაქსიმე აღმსარებლის გადმოცემით, ამბობს, რომ მარტივი იესუ საიდუმლო და მიუწვდომელი სახით შედგენილი შეიქნა ადამიანური არარაობისაგან...

24. ლეონტი ბიზანტიელი. „სექტათა შესახებ“, ნაკვეთი III.

25. აპოლინარისტები მართლმადიდებელ მორწმუნეებს უწოდებდნენ ადამიანის თაყვანისმცემლებს, რადგანაც ისინი ჰატივს მიაგებენ ქრისტეს ორივე ბუნებას, რომლებიც ნაკლულევანების გარეშე შეერთებულან უფლის ჰიპოსტასში; ამის გამო მწვალებელთ მიაჩნდათ, რომ მართმადიდებელნი, ქრისტეს ღმრთაების თანად, თაყვანს სცემდნენ მის ადამიანობასაც, რითაც, მათი ცრუ-შეხედულებით, ოთხპიროვანი ღმრთაება შემოჰყავდათ სამპიროვანის ნაცვლად. წმიდა ათანასე ალექსანდრიელი შემდეგი მაგალითით უკუაგდებს აპოლინარისტების ამ ცრუ-შეხედულებას (იხ. მისი „ქმედების შესახებ“): წარმოვიდგინოთო, — ამბობს წმიდა ათანასე — სპილენძის სამი ქანდაკი, რომელთაგან ერთი ძალზე გავარვარებულია ცეცხლით და ხელში კვერთხი უჭირავს; რადგანაც ორ სხვა ქანდაკს არავითარი ზიანი არ მოაქვს იმათთვის, ვინც მათ ხელით ეხება, ამიტომ განა ოთხ ქანდაკთან გვექნება საქმე, და არა — სამთან?!-ო. აღსანიშნავია, რომ წმიდა კირილე თვით ნესტორის ამხელს ადამიანის თაყვანისცემაში, იმ მწვალებელ ნესტორის, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანებს უწოდებდა ადამიანის თაყვანისმცემლებს (იხ. მისი „ნესტორის წინააღმდეგ“, წგ. I), — აკი ნესტორი, ფიქრობდა რა, რომ

ქრისტე ნამდვილი ადამიანია, ამავე დროს არ უარყოფდა იმას, რომ ჯერ-არს მისი თაყვანისცემა.

26. წმ. კირილე ალექსანდრიელი. „აპოლოგია თეოდორიტეს წინააღმდეგ“.

27. ლეონტი ბიზანტიელი. „სექტების შესახებ“, ნაკვ. VII; ლეონტის მოწმობით, სევერი ამბობდა: „თუ თქვენ ორი ბუნების შესახებ ლაპარაკობთ, მაშინ მათ (ამ ორ ბუნებას) ან უნდა ჰქონდეთ ჰიპოსტასები, ანდა მოკლებულნი უნდა იყვნენ ჰიპოსტასებს. თუკი მათ აქვთ ჰიპოსტასები, მაშინ თქვენ შემოგყავთ ორი ქრისტე, ორი ძე (ღმერთისა); ხოლო თუკი ისინი მოკლებულნი არიან ჰიპოსტასებს, მაშინ არც არსებულან საგანთა ბუნებაშიო“... სწორედ ამ ცრუ-სიბრძნისმეტყველებას უკუაგდებს წმიდა იოანე დამასკელი IX თავში (III წიგნისა). ევლოგეც, სხვათა შორის, ამბობს: როცა ამტკიცებენ, ყოველ ბუნებას თავისი საკუთარი სახე აქვსო, — ეს, ჩემის აზრით, ჭეშმარიტებაა იმ ბუნებათა თუ არსთა მიმართ, რომელნიც ჰიპოსტასურად არ არიან შეეთბებულნი; მაგრამ ასეთი მტკიცება შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როცა საუბარია იმ ბუნებათათვის, ჰიპოსტასურად რომ შეერთებულანო.

28. გადმოგვცემენ, რომ ფულონმა (კნაფევსმა), რომელსაც ანტიოქიის სამღვდელმთავრო კათედრა ეპყრა, ვითომცდა ნესტორის შეცთომილების აღმოსაფხვრელად, შემდეგი სიტყვები დაუმატა სამწმიდაობით ლოცვას — „რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი“-ო, და მოითხოვდა ეს ლოცა ასე ეგალობათ ხოლმე — „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი, შეგვიწყალენ ჩვენ!“. ასეთი შერყვნა-დამახინჯება ამ წმიდა ლოცისა მიიღეს სირიელმა იაკობისტებმა და სომეხმა მონოფიზიტებმა, და რადგან ისინი ამით ქრისტეს ღმრთაებას მიაწერდნენ ჯვარზე დათმენილ ვნებებსა და სიკვდილს, ამიტომ ცნობილი გახდნენ თეოპაქსიტების სახელით. ამასთან, მრავალნი დაასკვნიდნენ (ამ დამატებიდან გამომდინარე), რომ ფულონის შეხედულებით ან თვით ყოვლადწმიდა სამება ცხადდებოდა ჯვარზე მიმსჭვალულად, ანდა ვიღაც სხვა, და არა — განკაცებული ძე ღმერთისა, და ამრიგად, ამ დამატებამ მწვალებლურ შეხედუ-

ლებათა აღმოცენებას შეუწყო ხელი. სამწმიდაობითი ლოცვის შესახებ წმ. იოანე დამასკელი ლაპარაკობს აგრეთვე თავის ეპისტოლეშიც იორდანესადმი.

29. ნესტორი, გნოსტიკოსები და სხვანი ცრუდ ამტკიცებდნენ, რომ უფლის სხეულმა ან ზეცით ჩამოსულმა ანდა ელემენტებისაგან შედგენილმა, როგორც რაღაც არხი განვლო ქალწული მარიამი, ოღონდ როდი იწვა მისგან, და ამიტომ ქალწული მარიამი, არც შეიძლება იწოდებოდეს ღვთისმშობლადო... უარყოფს რა ცრუ-მოძღვართა და მწვალებელთა შეხედულებებს წმ. იოანე დამასკელი აქ ეყრდნობა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის I ეპისტოლეს კლედონიუსისადმი... ნეტარი თეოდორიტე ამბობს, რომ სახელწოდება — „ღვთისმშობელი" — აღებულია წმიდა მოციქულთა გადმოცემიდან („მწვალებლობათათვის", წგ. V, თ. 18).

30. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

31. კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეში (15, 47—48) წმ. პავლე მოციქული ამბობს: „პირველი იგი კაცი — ქვეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორე იგი კაცი — უფალი ზეცით; ვითარცა — იგი მიწისაგანი, ეგრეთცა — მიწისაგანნი, და ვითარცა — იგი ზეცისაჲ, ეგრეთცა — ზეცისაგანნი — იგი". არასწორად განმარტავდა რა ამ სიტყვებს, აპოლინარიუსი ცრუდ — ამტკიცებდა, ქრისტე იმავე ბუნებისა არ იყო, რაც ადამიო. ამ მწვალებლურ შეხედულებას ადვილად აცამტვერებს წმ. გრიგოლ ნოსელი, ამასთან იშველიებს ამავე თავის შემდგომ სიტყვებს. იგივე შეხედულებას უარსაყოფად დაუწერიათ აგრეთვე წმ. ათანასე ალექსანდრიელს („აპოლინარიუსის წინააღმდეგ") და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს (I ეპისტოლე კლედონიუსისადმი).

32. წმიდა კირილე ალექსანდრიელი. „ნესტორის წინააღმდეგ", წიგნი I.

33. ლევ დიდი. 28-ე ეპისტოლე ფლაბიანესადმი, თ. IV, Migne, s. gr. t. LIV, col, 768; ბასილი დიდი, 189-ე ეპისტოლე, Migne, s. gr. t. XXXIII, coll, 692—696, რუს. თარგმ. მოსკოვის სასულიერო აკადემიისა, ნაწ. VII (1892 წ.), გვ. 24—27).

34. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან“, Migne, s. gr. t. XCI, coll. 289—292.

35. წმ. იოანე დამასკელი აღიარებს ქრისტეში ორად უნარს ნდომა-მოსურვებისა: ღვთაებრივი ნებით მ ა ს სურდა ის, რაც ღმრთაების კუთვნილებაა, ადამიანური ნებით კი ის უნდოდა, რაც ადამიანური ბუნებისთვისაა დამახასიათებელი. წმ. მაქსიმე აღმსარებლის საფუძველზე („დიალოგი პიროსსთან“) იგი, ამასთან, დასძენს, რომ ქრისტეში იყო ერთი გონიერი ნება, ანუ ჰიპოსტასისმიერი ნება, რადგან თუმც კი მ ა ს სურდა ხოლმე რაიმე ადამიანური ნებით მაგრამ ეს მხოლოდ ღვთაებრივი ნების თანხმობა-მოწონებით ხდებოდა; სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ აზრთა სხვადასხვაობის დროს ამ ორ ნებას შორის წინააღმდეგობა იქნებოდა და საქმე ორ პირთან გვექნებოდა. ნესტორი და ევტიხი ვერ განარჩევდნენ ბუნებას პირისაგან (ჰიპოსტასისაგან), რის გამოც ასევე ვერ განარჩევდნენ ბუნებისმიერ ნებას ჰიპოსტასისმიერი ნებისაგან.

36. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან“.

37. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. იქვე.

38 წმ. გრიგოლ ნოსელი. „აპოლინარიუსის წინააღმდეგ“.

39. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან“, გვ. 321.

40. იქვე, გვ. 325.

41. იქვე, გვ. 296.

42. იქვე, გვ. 312.

43. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 31-ე სიტყვა.

44. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, მე-2-ე ეპისტოლე მარინისადმი; წმ. კირილე (იოანეს სახარების განმარტებაში) წერს: „როცა იესუ ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა შესაკრებელის მთავრის ასული, მაშინ მ ა ნ ხელზე მოჰკიდა ხელი ქალიშვილს და უთხრა — „ასულო, აღდეგ“-ო, რითაც სიცოცხლე დაუბრუნა მას თავისი ნებისაებრ, ანუ იმ ნებით, რომლითაც, საერთოდ, ყოველივე შეჰქმნა, რამეთუ ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია, და ამ შემთხვევაში ორივე ბუნების მეშვეობით განგვიცხადა ერთი, შეთანხმებული ქმედება“. სხვა ადგილას წმ. კირილე ამბობს: „კეთილგონიერებით ვერავინ ვერ უწო-

დებს შემოქმედის ქმედებასა და ქმნილების მოქმედებას — ერთ ქმედებას; განსხვავებულ ბუნებებს ქმედებანიც სხვადასხვა აქვთ, ხოლო რასაც ერთი და იგივე ქმედება აქვს, იმას ბუნებაც (არსიც) ერთი აქვს". მაშასადამე, წმ. კირილე პირველ შემთხვევაში განგვიმარტავს, რომ ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი, ხორციელ-იქმნა და განკაცდა რა, სასწაულებს (ღვთაებრივი ნების) ბრძანებით კი არ აღასრულებდა, არამედ შეხებითაც, რათა ეჩვენებინა, რომ მ ი ს ი სხეულიც — განღმრთოებული და ცხოველმყოფელი იყო. ამის ნათელსაყოფად კარგი მაგალითია გავარვარებული რკინა, რომელშიც ცეცხლის ბუნება შეერთებულია რკინის ბუნებასთან, და ამ შეერთების ხასიათი იმგვარია, რომ წვის უნარი მხოლოდ ცეცხლის ბუნებისმიერი თვისება კი აღარ არის, არამედ — რკინისაც (ამ მაგალითს ხშირად იშველიებენ წმიდა მამები).

45. წმ. ბასილი დიდი. 38-ე წერილი.

46. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან", გვ. 348—349.

47. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან", გვ. 336—337.

48. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, იქვე, გვ. 337—340, 341.

49. იქვე და გვ. 344.

50. წმ. იოანე ოქროპირი. I საუბარი საქმე მოციქულთაზე, რუს. ენაზე თარგმანი პეტერბურგის სასულიერო აკადემიისა, ტ. IX, წგ. I, გვ. 10.

51. ლევ დიდი. 28-ე წერილი ფლაბიანესადმი, Migne,, s. lat., t. LIV, გვ. 765—772.

52. იქვე.

53. წმ. დიონისე არეოპაგელი. „საღმრთოთა სახელთათვის", 2.

54. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. დიალოგი პიროსსთან, გვ. 349—352; ლევ დიდი. 28-ე წერილი ფლაბიანესადმი; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. „აპოლინარიუსის წინააღმდეგ"; როგორც წმ. მაქსიმე აღმსარებლის ამ დიალოგიდან ჩანს, მწვალებელთა აზრით, ადამიანური ბუნება ქრისტეში მხოლოდ იარაღი იყო ღვთაებრივი ბუნებისათვის, და როგორც ერთი და იგივეა მოქმედება მამოძრავებელისა და იარაღისა, ასევე

ერთი და იგივეა მოქმედება ღმრთაებისა და ადამიანობისაო... ამ ცრუ-შეხედულებას წმ. მაქსიმე შემდეგნაირად უკუაგდებს: იარაღი (საშუალება) ან ბუნებრივია ხოლმე, ანდა — ხელოვნური; მაგრამ ადამიანური ბუნება არ არის ბუნებრივი იარაღი ღმრთაებისა, რომლის თანად — საუკუნოც იგი არ არის (როგორც სული და სხეულია თანად-ყამიერი). ხელოვნური იარაღი კი უსულოა და არსებობს მამოძრავებელისაგან დამოუკიდებლად; ხოლო ქრისტეს ადამიანობა არც უსულოა და არც გამოცალკევებული არ არის ქრისტეს ღმრთაებისაგან, რომ მისგან დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდეს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტეს ღმრთაება და ადამიანობა ჰიპოსტასურად არიან შეერთებულნი და ყოველთვის ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებენო... მაშასადამე, მწვალებელთა შეხედულება — ქრისტეში ერთი ნება და ერთი მოქმედებაარ, ყოვლად მიუღებელია.

55. ეს თავი მიმართულია სეევერიანთა წინააღმდეგ. წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ თუმცა ადამიანი ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნებათაგან შედგება, ი. ე. სულისა და სხეულისაგან, მაგრამ მისი ბუნება მაინც ერთია; ამიტომ ქრისტეც ორი ბუნებისაგან შედგება (ღმრთაებისა და ადამიანობისაგან), და არა — სამი ბუნებისაგან, როგორც ამას მწვალებელნი ამტკიცებდნენ იმის გამო, რომ მ ი ს ადამიანობასაც ორ ბუნებად — სულიერ და ხორციელ ბუნებად ჰყოფდნენ.

56. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. II-ე ეპისტოლე სერაპიონისადმი.

57. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი და მე-40-ე სიტყვა.

58. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 45-ე სიტყვა.

59. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 39-ე სიტყვა; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამ და სხვა (38-ე, 42-ე და 51-ე), სიტყვებში ამბობს, რომ სუბსტანციალური შეერთების მიზეზით, როცა ქრისტეს ადამიანობა განიმსჭვალება მ ი ს ი ღმრთაებით, ხორცი (სხეული) ქრისტესი განღმრთოებულია, აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მიმართვაში კი პეტრე სამოსატელისადმი ამ ცნების აღსანიშნავად გამოყენებულია სხვა სიტყვა. ამ განღმრთოების ნათელყოფას წმიდა მამები სხვადასხვა

მაგალითების მოშველიებით ცდილობდნენ ქმნილი სამყაროდან: თეოდოტე ანკვირელს მაგალითად მოჰყავდა გავარვარებული რკინა, სპილენძი, ვერცხლი; წმ. კირილეს — ნაკვერცხალი და სხვ.

60. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 29-ე და 30-ე სიტყვები; „ნების განღმრთოების შესახებ იმის გამო კი არ ვლაპარაკობთ, თითქოს შეცვლილი ყოფილიყოს ბუნებისმიერი მოძრაობა, არამედ იმის გამო, რომ იგი (ანუ ეს ბუნებისმიერი მოძრაობა) შეუერთდა მ ი ს (ქრისტეს) ღვთაებრივ და ყოვლადძლიერ ნდომა-მოსურვებას“... (წმ. იოანე დამასკელი). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (36-ე სიტყვა) ამბობს: „მ ი ს ი (ქრისტეს) ნება, რომელიც მთლიანად განღმრთოებულია, არ ეწინააღმდეგება ღმერთს“. მაგრამ ის, რაც უზენაესი შეერთებით არის განღმრთოებული, ამავე დროს, არ ჰკარგავს თავის არსებობითს (ბუნებისმიერ) განმასხვავებელ თვისებებს. ამასთან, როგორც პროკლე ამბობს („წმიდა ქალწულის შესახებ“) — განღმრთოებულ ადამიანს კი არ ვქადაგებთ, არამედ ვაღიარებთ ხორციელ-ქმნილ (განკაცებულ) ღმერთს.

61. მთელი ეს თავი მიმართულია აპოლინარისტებისა და მონოთელიტების წინააღმდეგ, რომელნიც ქრისტეში ვერ ხედავდნენ გონიერ (ადამიანურ) სულს და მ ა ს შ ი მხოლოდ ღვთაებრივ ნებას აღიარებდნენ. ისინი უარყოფდნენ ქრისტეში ადამიანურ ნებასა და ქმედებას, რითაც სრულიად უარყოფდნენ მ ა ს შ ი (ადამიანური) სულის არსებობას... ჩვენ კი, მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა, წმიდა მამათაგან ვიცით, რომ არ არსებობს ისეთი ბუნება, რომელიც მოკლებული იქნებოდა ქმედებას, ხოლო სადაც არავითარი ქმედება არ არის, იქ არც არავითარი ბუნებაც არ არსებობს.

62. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

63. იქვე.

64. ვნება (ტანჯვა) ქრისტესი ნებაყოფლობითი იყო... (წმ. იოანე დამასკელი), რამეთუ ი გ ი თვით ამბობს წმიდა სახარებაში: „ამისთვის უყუარ მ ე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კვალად მოვიღო იგი. არავინ მიმიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ხელ-მეწი-

ფების დადებად მისა და ხელმეწიფების კვალად მოღებად მისა. ესე მცსებაჲ მოძღებიეს მამისა ჩემისაგან“ (იოანე, 10, 17—18); და კიდევ: „მე ვარ მწყემსი კეთილი... და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათვის“ (იქვე, 14—15).

65. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან“.

66. წმ. გრიგოლ ღთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

67. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან“; ლევ. დიდი. 28-ე წერილი ფლაბიანესადმი.

68. თუ რას გულისხმობს ამ ბუნებისმიერ და უბიწო ვნებებში, წმ. იოანე დამასკელი ნათლად გვიჩვენებს ამ თავში. ამავე საკითხს ეხებიან წმ. გრიგოლ ნოსელი („აპოლინარიუსის წინააღმდეგ“) და VI საუკუნის მამები ე. წ. ავთარდოკეტების მწვალებლობის წინააღმდეგ (ავთარდოკეცები — ანუ ქრისტეს ადამიანობის არახრწნადობის სწავლების მქადაგებელნი). ნეტარი ლეონტი ბიზანტიელი („სექტათათვის“), ეყრდნობა რა წმიდა მამების — ათანასე ალექსანდრიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და კირილე ალექსანდრიელის ავტორიტეტს, ამბობს, რომ ქრისტემ ნებაყოფლობით (და არა რაღაც იძულებისა გამო) მიიღო ზოგიერთი მოქმედება და უბიწო ვნებანი ადამიანური ბუნებისა, როგორიცაა, მაგალითად, შიმშილი, წყურვილი, გვემა, სიკვდილი...

69. წმ. ათანასე ალექსანდრიელი („ქრისტეს მხსნელი მოსვლისათვის“), პასუხობს რა აპოლინარიუსის მწვალებლობის მიმდევრებს, ამტკიცებს, რომ ქრისტემ მიიღო ბოროტ ზრახვათა თუ გულისთქმის კარნახისაგან თავისუფალი (ადამიანური) ბუნება, ანუ ისეთივე ბუნება, როგორიც თავდაპირველად ჰქონდა ადამს, სანამ აღთქმას დაარღვევდა და მანკიერ ზრახვებს დაემორჩილებოდა. მაშასადამე, ბოროტი ზრახვები და გულისთქმა (ავხორცი წადილი) თან არ დაჰყოლია ჩვენს ბუნებას, როცა ის ღმერთმა შეჰქმნა, არამედ უკვე შემდგომ იქნა დათესილი მასში კაცთა მოდგმის მტრის — ეშმაკის მიერ.

70. წმ გრიგოლ ღვთისმეტყველი. 30-ე სიტყვა.

71. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 34-ე სიტყვა; არიოზის მწვალებლობის მიმდევრები წმ. მარკოზის სახარების სიტყ-

ვების („ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ახგელოზთა ცათა შინა, არცა ძეშან, არამედ მამამან“ — მარკ. 13, 32) საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ, თითქოს, ძე სხვა ბუნებისაა, მამა კი — სხვა ბუნებისა. მართლმადიდებელ ეკ-ლესიას კი ეს ადგილი სხვაგვარად ესმის, კერძოდ კი, ჩვენ ვა-ღიარებთ: ქრისტემ არ იცოდა (ეს დღე და ჟამი) არა იმიტომ, რომ ძე იყო ღმერთისა, არამედ იმიტომ, რომ (ამავე დროს) ძე იყო კაცისა... მ ა ნ არ იცოდაო, შეგვიძლია ვთქვათ მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მხედველობაში გექნება მ ი ს ი ადამიანური ბუნება. მაშასადამე, უცნობელობა სრულიად არ შეეხება მ ი ს ღთაებრივ ბუნებას... აღსანიშნავია ლეონტი ბიზანტიელის („სექტათათვის“) შემდეგი სიტყვებიც: მამათა უმრავლესობაო, ამბობს იგი. — უფრო სწორად კი ყველა მოძღვარი ეკლესიისა, ამბობდა, რომ ქრისტეს ჰქონდა უც-ნობელობა, რადგან ი გ ი იმავე არსისა და ბუნებისაც იყო, რა ბუნებისაც ჩვენ, ადამიანები, ვართ; ჩვენ კი, როგორც ვიცით, გვაქვს ეს უცნობელობა მომავალისა.

72. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 30-ე და 43-ე სიტყვები; წმ. ათანასე ალექსანდრიელი („არიანელთა წინააღმდეგ“, წგ. IV) ამბობს, რომ ქრისტე სიბრძნითა და ჰასაკით წარემატებო-დაო, შემდეგი მნიშვნელობით არის სათქვამი: დროის გასვ-ლასთან ერთად ი გ ი უფრო მნიშვნელოვანი ძალით გამო-ავლენდა თ ა ვ ი ს ღმრთაებას, რომლითაც მ ი ს ი ადამია-ნური ბუნება ჩასახვისთანავე იყო შემოსილი. ამას წმ. გრი-გოლ ღვთისმეტყველიც ეთანხმება (I ეპიტს. კლედონიუსი-სადმი), რომელიც ამასთან დაკავშირებით აპოლინარიუსის ცრუ-სწავლებას უკუაგდებს. ასევე, თავის მე-20-ე სიტყვაში იგი ამბობს, რომ უფალი ასაკითაც და სიბრძნითაც იმგვარად კი არ წარემატებოდა, თითქოს ეს მასში მზარდი ყოფილიყოს (რამეთუ დასაბამითვე სრულყოფილისათვის განა შეიძლება რაიმე მზარდი და „უფრო მეტად სრულყოფილი“ იყოს?!), არამედ ისე, რომ მ ი ს ი სრულყოფილება სულ უფრო ცხად-დებოდა და საჩინო ხდებოდა (ადამიანთათვის). წმ. მაქსიმე აღმსარებელი („დიალოგი პიროსსთან“) ამტკიცებს — ნეს-ტორიანთა მხარეს იხრება ყველა ის, ვინც ამბობს, რომ უფა-ლი სწავლა-განათლების შეძენით წარემატებოდაო. იგივეს

აცხადებს წმიდა კირილეც („ნესტორის წინააღმდეგ", წგ. I).

73. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. „დიალოგი პიროსსთან".

74. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „ქრისტეს მაცხოვნებელი მოსვლის შესახებ".

75. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 30-ე და 45-ე სიტყვები; წმიდა იოანე ოქროპირი. 63-ე საუბარი იოანეს სახარებაზე.

76. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 30-ე სიტყვა.

77. „ხოლო სიტყვები: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევებ მე?" — მ ა ნ თქვა იმიტომ, რომ ჩვენი სახე ჰქონდა მიღებული" (წმ. იოანე დამასკელი). ასე ამბობდა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც, რომელიც XV თავის 28-ე მუხლს კორინთელთა მიმართ I ეპისტოლესი („ხოლო რაჟამს დაემორჩილოს მ ა ს ყოველი, მაშინ თავადიცა ძ ე დაემორჩილოს მ ა ს, რ ო მ ე ლ მ ა ნ — ი გ ი დაამორჩილა მ ა ს, ყოველი, რაჲთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა") იმ აზრით განმარტავდა, რომ დადგება დრო, როცა ადამიანები — მ ი ს ი (ქრისტეს) წაწილნი — ღმერთს დაემორჩილებიან, რადგან ქრისტემ თავისად გაიხადა ის, რაც ჩვენი კუთვნილებაა (ანუ თავისად გაიხადა ადამიანური ბუნება)... თვით ი გ ი არ ყოფილა მიტოვებული მ ა მ ი ს მიერ, ანდა თ ა ვ ი ს ი ღმრთაების მიერ, რათა ამ მიზეზით ეთქვა — „რაჲსათვის დამიტევებ მე"-ო, როგორც ამას მწვალებელნი ფიქრობდნენ; არამედ მხოლოდ იმის გამო შეჰდაღადებდა ასე ღმერთს, რომ თავში იმას გამოავლენდა, რაც ჩვენს ადამიანურ ბუნებას განეკუთვნება, რამეთუ ოდესდაც ჩვენ მიტოვებულ და უგულვებელყოფილ ვიქმენით, აწ კი მ ი ს ი აწუ უვნებო ქრისტეს ჯვარზე ვნებით კვლავ შეწყნარებულ და გამოხსნილ ვიქმენით.

78. არსებობს ორგვარი სახის გათავისება: ერთია — ბუნებისმიერი და არსებითი, მეორე კი — პიროვნული და შეფარდებითია. წმ. მაქსიმე აღმსარებელიც განარჩევს ამ ორ სახეს გათავისებისას. პირველს — ბუნებისმიერსა და არსებითს — მეტად განადიდებდნენ წმიდა მამები. ღმერთმაო, ამბობს წმ. ათანასე („ქრისტეს მაცხოვნებელი მოსვლისათვის"), თავისად გაიხადა ის, რაც ადამიანისათვის არის დამახასიათე-

ბელი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ შესახებ ს ი ტ ყ ვ ი ს ხორცისა (სხეულისა), სულისა, ვნებისა და სხვა მისთანა საგნებისა ისევე, როგორც ვლაპარაკობთ ხოლმე, მაგალითად, პეტრეს სულსა და სხეულზე; რამეთუ თვისებათა თანაზიარობა და ერთობა აღმოცენებულიაო სწორედ ამ გათავისების შედეგად.

79. წმ. მაქსიმე აღმსარებელი. ეპისტოლე მარინისადმი; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 31-ე სიტყვა; წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „ქრისტეს მაცხოვნებელი მოსვლისათვის“.

80. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. იქვე; წმ. იოანე დამასკელი ამბობს, რომ ერთი და იგივე არ არის თქმა — ღმერთი ხორცით (სხეულით) ევნოო, და მტკიცება — ღმერთი სხეულის მეშვეობით ევნოო. წმ. ათანასეც ზემოხსენებულ შრომაში ამბობს: საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ ღმერთის ნებით მ ი ს (ქრისტეს) სხეულს ვნება ეწია, მაგრამ თვით ღმერთი როდი ევნო სხეულით. ქალკიდონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდგომ ძალზე იგმობოდნენ სკიტის მონაზვნები, რომლებიც იცავდნენ პირველად პეტრე ფულონის მიერ შემოღებულ მტკიცებას, რომ ჯვარზე ევნო ყოვლადწმიდა სამების ერთ-ერთი პირი.

81. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „სიტყვის განხორციელებისათვის“; წმ. გრიგოლ ნოსელი. „ევნომეს წინააღმდეგ“, წგ. I; წმ. ათანასე თავის ამ შრომაში წერს, რომ განხორციელება (ხორციელ-ქმნა) ს ი ტ ყ ვ ი ს ა წარმოჩინდა ჯვარზე (ვნებით უფლისა) და დადასტურდა სისხლის გამოდენით სხეულიდან, და რომ უფლის მიერ ამ დროს წარმოთქმული სიტყვები („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევებ მე?!) ქრისტეს ადამიანური სულისა და სხეულისაგან ღმრთაების განშორებას კი არ გვიჩვენებს, არამედ მხოლოდ მოკვდომას სხეულისას, რამეთუ ღმრთაებას არ მიუტოვებია არც (ქრისტეს) სხეული საფლავში და არც (მ ი ს ი) სული ჯოჯოხეთად მისი შთახდომისას... წმიდა გრიგოლ ნოსელიც („ევნომეს წინააღმდეგ“), წგ. I) ამბობს, რომ რაც სიტყვა-ღმერთმა ერთხელ მიიღო (ანუ ადამიანური ბუნება — სული და სხეული), იმას იგი არასდროს არ განშორებია. ეპისტოლეში ევსტათისადმი წმ. გრიგოლ ნოსელი (წმ. იოანე დამასკელის

მსგავსად) ამბობს, რომ თუმცა სიკვდილის მიზეზით ქრისტეს სული განეშორა სხეულს, მაგრამ ჰიპოსტასი კვლავაც ერთი იყო, რადგან ს ი ტ ყ ვ ი ს ღმრთაებას არ მიუტოვებია არც სული და არც სხეული.

32. ე. წ. ავთარდოკეტები (ანუ ქრისტეში უხრწნელი ადამიანური ბუნების მქადაგებელნი) ორგვარი ხასიათის შეხედულებას აყენებდნენ იმის თაობაზე, რომ უფლის სხეული ყოველთვის თავისუფალი იყო ყოველგვარი სახის ხრწნადობისაგან; კერძოდ კი, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ხრწნადი ყოფილიყო ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ თ ა ნ შეერთებული სხეული; გარდა ამისა, ახალი და ზეციური ადამიც ხომ მოკლებულ უნდა იქნას გახრწნასო, რაც არც ძველ ადამს ახასიათებდა ცოდვით დაცემამდე. პირველ მოსაზრებას უკუაგდებს წმ. ანასტასი სინაელი („წინამძღვარნი"), როცა ამბობს, რომ ღვთაებრივ ს ი ტ ყ ვ ა ს — ზეციურ, ყოვლის დამწველ ცეცხლს, — მხოლოდ ადამიანურ ვნებათა მიზეზით აქვს მიღებული ადამიანური ბუნება, და არა სხვა რამ მიზნით, რათა შეუერთებდა რა მათ თ ა ვ ი ს ი ბუნების სულიერ ცეცხლს, ანუ ღმრთაებას, განეწმიდა და ეხსნა ადამიანი, მსგავსად იმისა, როგორც ლითონი (ოქრო) განიწმინდება ცეცხლში გამოხურვებისაგან; ამით ი გ ი აღადგენს ადამიანს უვნებო მდგომარეობაში, როცა ის უკვდავი იყო, ანუ ისეთს ღირსებებს დაუბრუნებს ადამიანს, როგორიც მას თავდაპირველად — პირველშექმნილს — ჰქონდა... მეორე მოსაზრების გამო ნეტარი ლეონტი ბიზანტიელი, თავის დიალოგში ავთარდოკეტების წინააღმდეგ ამბობს, რომ უფალმა მიიღო ისეთი სხეული, როგორიც არამხოლოდ (პირველქმნილს) ადამს ჰქონდა, არამედ როგორიც ჩვენც გვაქვს, რამეთუ ი გ ი ამქვეყნად მხოლოდ მისი (ადამის) ხსნისთვის როდი მოვიდა, არამედ — ჩვენს სახსნელადაც. რაკი ადამისა და ჩვენი სნეულება — საერთოა, ამიტომ ძალზე შეუსაბამო იქნებოდა, თუკი უფალი, ამქვეყნად მოსული, მხოლოდ ერთის მსგავსი იქნებოდა, სხვა დანარჩენისა კი — არა; ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ადამს არც ცოდვით დაცემამდე ჰქონია ისეთი ღირსება, რომ მთლიანად უკვდავი ყოფილიყო, რადგან სხვაფრივ მას არც დასჭირდებოდა სიცოცხლის ხის ნაყოფით ესარგებლა, რო-

მელსაც მხოლოდ ცოდვით დაცემის გამო მოაკლდა და უკვდავობა მთლიანად დაკარგა... უფალი იმისთვის კი არ მოვიდა ამქვეყნად, იმისთვის კი არ განკაცდა, რომ უმანკო ადამი განეკურნა სნეულებისაგან, არამედ იმისთვის, რომ განეკურნა და საბოლოო დაღუპვისაგან ეხსნა უკვე ცოდვით დაცემული თავისი ქმნილება, რათა მასთან ერთად ვნებულიყო და თავისთან ერთად აღედგინა ადამიანი... წმიდა ლეონტიც, წმ. იოანე დამასკელის მსგავსად განასხვავებს ხრწნადობის ორ სახეობას, და თავის მსჯელობას უმთავრესად იმათ წინააღმდეგ მიმართავს, ვინც ცრუდ ამტკიცებდა — ქრისტეს სხეული თავისუფალი იყო ყოველგვარი გახრწნისაგანო.

83. წმიდა მამების საერთო შეხედულებით, ქრისტე სულით შთახდა ჯოჯოხეთად. რუთინე ამბობს რომ ქრისტე გამარჯვებული ძლევით დაბრუნდა შესვენებულთაგან, თან მოჰყავდა რა ჯოჯოხეთიდან ნადავლი — მართალთა სულნი. წმ. კირილეც ასევე მშვენივრად აღწერს მაცხოვრის შთახდომას ჯოჯოხეთად („კათაკმეველთა დასამოძღვრავად", 14).

...(უფლის სული) ქადაგებდა და იმყოფებოდა ჯოჯოხეთში"... (წმ. იოანე დამასკელი), — ეს ადგილი ეფუძნება წმ. პეტრე მოციქულის I ეპისტოლეს, სადაც (თავი 3, მუხლები — 18—20) ნათქვამია: „რამეთუ ქრისტემანცა ერთგზის ცოდვათა ჩვენთათვის ივნო, მართალმან მან — ცრუთათვის, რაჲთა ჩვენ წარგვადგინნეს ღმრთისა; მოკვდა ხორცითა და ცხოველ იქმნა სულითა, რომლითაცა საპყრობილესა მას სულთა მივიდა და ქადაგა, რომელნი იგი ურჩ ოდესმე იყვნეს, რაჟამს ერთ-გზის თავს ედვა სულ-გრძელებასა მას ღმრთისასა დღეთა მათ ნოვესთა..." ამ ადგილის გამო წმ. ირინეოსი (წგ. IV, თ. 45) ამბობს, რომ ქრისტე იმ მხარეში შთახდა, მიწის ქვეშ რომ მდებარეობს, და იმათ ახარებდა იქ ცოდვათა მიტევებას, ვინც შემძლე იქნებოდა მისი რწმუნებისა. ხოლო მისი რწმუნება ყველას შეეძლო, ვინც კი თავისი ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს მას სასოებდა; ანუ ესენი არიან: წინასწარმეტყველნი, წინასწარ რომ გვამცნებდნენ ქრისტეს ამქვეყნად მოსვლას და სიმართლით ემსახურებოდნენ მის ბრძანებებს, აგრეთვე ყოველნი მართალნი და კეთილის მოქმედნი, მამამთავარნი, მღვდელმთავარნი თუ წინასწარმეტყ-

ველნი, — ყველას უფალმა ჩვენს, მსგავსად, ანუ ამქვეყნად ქრისტეს შემდგომ მცხოვრებთა მსგავსად შეუნდო ცოდვანი და იხსნა ჯოჯოხეთისა და სიკვდილის მიმძლავრებისაგან (წგ. IV, თ. 50). — წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც ამბობს (42-ე სიტყვა): თუკი ი გ ი ჯოჯოხეთად შთახდება, შენც შთავედ და შეიმეცნე გონების თვალით ის საიდუმლონი, რომელნიც ქრისტემ იქ აღასრულა: ყოველნი განკურნა თავისი ჯოჯოხეთად შთახდომით, თუ მხოლოდ ისინი, რომელთაც წყვდიადშიც კი სწამდათ მ ი ს ი?... ეკუმენიოსი, განმარტავს რა პეტრე მოციქულის I ეპისტოლეს ზემომოყვანილ ადგილს, ამბობს, რომ ჯოჯოხეთში მხოლოდ ისინი მოიქცნენ ქრისტეს მიმართ, ვინც ჯერ კიდევ თავისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ისე იყვნენ შემზადებულნი, იმდენად მართალნი და სათნონი იყვნენ, რომ უეჭველად ირწმუნებდნენ ქრისტესას და ჭეშმარიტ ღმერთად აღიარებდნენ მ ა ს, ი გ ი რომ მაშინ, მათს დროს, მოსულიყო ამქვეყნად და ხსნის საიდუმლო მათთვისაც ექადაგა.

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

ზუსტი გადმოცემა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა

წიგნი მეოთხე

თავი I

მასზედ, თუ რა იყო (ქრისტეს მკვდრეთით) აღდგომის შემდეგ

მკვდრეთით აღდგომის შემდგომ ქრისტემ განაგდო თავისაგან ყველა უძლურება — ვგულისხმობ ხრწნადობას: შიმშილსა და წყურვილს, ძილსა და დაღლას და მისთანათ; რამეთუ თუკი მიიღებდა კიდეც იგი საზრდოს მკვდრეთით აღდგომის შემდგომ, ამას ბუნებისმიერი მოთხოვნილების ძლით კი არ იქმოდა, — რადგან მას უკვე აღარ შიოდა ხოლმე, — არამედ საღმრთო აღმშენებლობის მიზნით, რათა დაედასტურებინა ჭეშმარიტობა თვისი მკვდრეთით აღდგომისა და ცხადეყო, რომ ერთი და იგივე სხეული ევნო (ჯვარზე) და აღდგა მკვდრეთით.[1] ადამიანური ბუნების ნაწილთაგან კი მას არ განუგდია თავისაგან არც ერთი — არც სხეული და არც სული, და აქვს როგორც სხეული, ასევე სული — გონიერი და მოაზროვნე, მსურველი და მომქმედი, და ამ სახით არის იგი მჯდომარე მარჯვენით მამისა, როგორც ღმერთი და როგორც ადამიანი, და ნებავს ჩვენი (ადამიანთა) ხსნა, — როგორც ღმერთი აღასრულებს საღმრთო განგებულებას ყოველივეს გამო, იცავს და წარმართავს რა ყოველს, და როგორც ადამიანს ახსოვს თავისი მოღვაწეობა ამქვეყნად, ხედავს და უწყის, რომ მას ეთაყვანება ყოველი გონიერი ქმნილება. რამეთუ ქრისტეს წმინდა სულმა უწყის, რომ ჰიპოსტასურადაა შეერთებული სიტყვა ღმერთთან და მასთან ერთად მიიღებს თაყვანისცემას ყოველი ქმნილებისაგან როგორც

სული ღმრთისა, და არა — როგორც უბრალოდ სული. რო-
გორც ამა ქვეყნიდან ზეცად ამაღლება (ქრისტესი), ასევე (მი-
ს ი) კვლავ ამქვეყნად მოსვლა არის მოქმედება შემოფარგლუ-
ლი (გარეშემოწერადი) სხეულისა, რამეთუ როგორც წმინდა
წერილი გვასწავლის „...რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად,
ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქ-
მე მოციქულთა I, II)[2].

თ ა ვ ი II

მ ა მ ი ს მარჯვენით ჯდომისათვის

როცა ვამბობთ, ქრისტე სხეულებრივად დაჯდა ღმრთისა
და მამის მარჯვენითო, ჩვენ სივრცობრივი (ადგილის) მნიშვ-
ნელობით როდი გვესმის მარჯვენა მხარე. რამეთუ როგორ
შეიძლება შემოუსაზღვრავს (გარეშემოუწერელ ღმერთს) სი-
ვრცობრივად ჰქონდეს მარჯვენა თუ მარცხენა მხარე?! მარჯ-
ვენა და მარცხენა მხარე (სივრცობრივი ადგილის მნიშვნე-
ლობით) იმისი კუთვნილებაა, რაც შემოსაზღვრულია. მ ა-
მ ი ს მარჯვენა მხარის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ღვთაებრივ
დიდებას და პატივს, რომელთა შორის ძ ე ღმრთისა ჰგიეს
უწინარეს ყოველთა საუკუნეთა როგორც ჰეშმარიტი ღმერთი
და როგორც ერთარსი მ ა მ ი ს ა, და რომელთა შორისაც
ი გ ი — ხორციელ-ქმნილი და განკაცებული უკანასკნელთა მათ
ჟამთა ჩვენი ხსნისათვის, — სხეულებრივად ჰგიებს, არის რა
მჯდომარე მარჯვენით მამისა თავისი სხეულის განდიდების
შემდგომ, რამეთუ მკვდრეთით აღმდგარი და ზეცად ამაღლე-
ბული უფალი ჩვენი იესუ ქრისტე თავის სხეულთან ერთად
არის პატივ-დებული ყოველი ქმნილებისაგან ერთი ჰეშმარიტი
თაყვანისცემით.

თავი III

იმათ წინააღმდეგ, ვინც ამბობს: თუკი ქრისტეს ორი ბუნება აქვს, მაშინ თქვენ ან ქმნილებას ემსახურებით, რაკი ქმნილ ბუნებასაც ეთაყვანებითო (მასში), ანდა (მის) ერთ ბუნებას თაყვანისცემის ღირსად მიიჩნევთ, მეორე ბუნებას კი არაო[1].

ჩვენ თაყვანს ვცემთ ძეს ღმრთისა მამითურთ და სულიწმინდითურთ: უხორცოს (უსხეულოს) — განკაცებამდე, აწ კი — მ ა ს ვ ე, ხორციელ-ქმნილსა და განკაცებულს, რ ო მ ე ლ ი ც კვლავაც ჭეშმარიტი ღმერთია. ამიტომაც, მ ი ს ი ხორცი, თუკი განყენებული ფიქრით ხილულს განვაცალკევებთ გონებით მისაწვდომისაგან, თავისი ბუნებითვე ულირსია თაყვანისცემისა როგორც ქმნილი; მაგრამ რადგანაც შეერთებულია სიტყვა-ღმერთთან, იგი (ხორცი) მ ი ს ი თ და მ ი ს მიერ მიიღებს თაყვანისცემას. როგორადაც მეფე მიიღებს თაყვანისცემას სამეფო შესამოსელითაც და შეუმოსავადაც, და ძოწეულიც, როგორც ქსოვილი, ფეხითაც შეიძლება გათელონ და გადააგდონ, მაგრამ რაკი სამეფო შესამოსელი შეიქნება, პატივის-ცემა და მოწიწებას ჰბადებს, იქამდეც კი, რომ თუკი ვინმე უჯეროდ შეეხება მას, უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილით დაისჯება; ასევე როგორადაც ჩვეულებრივ ხეს ყველა შეიძლება ხელით შეეხოს, მაგრამ როცა ცეცხლს შეუერთდება და მოგიზგიზე ნაკვერცხლად იქცევა, მიუწვდომელი შეიქნება შეხებისათვის არა თვით თავის გამო, არამედ მასთან შეერთებული ცეცხლის ბუნების მიზეზით, რადგან თავისთავად თვით ხის ბუნება კი არ არის მიუწვდომელი შეხებისათვის, არამედ ნაკვერცხალი, ანუ ანთებული ხე, — აი, ზუსტად ასევე ხორციც თავისი არსით ულირსია თაყვანისცემისა, მაგრამ შეიქნება თაყვანისცემის საგ-

ნად განხორციელებულ სიტყვა-ღმერთში, და პატივი მიეგება როგორც ღმერთს არა თავისი ბუნების გამო, არამედ მასთან ჰიპოსტასურად შეერთებული სიტყვა — ღმერთის გამო; და ჩვენ არ ვამბობთ, რომ თაყვანს ვცემთ უბრალო ხორცს, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ ვეთაყვანებით ღმერთის ხორცს (სხეულს), ანუ ხორციელ-ქმნილ და განკაცებულ ღმერთს[8].

თავი IV

მასზედ, თუ რატომ განკაცდა ძე ღმრთისა, და არა მამა ან სული (წმიდა), და რას მიაღწია მან თავისი განკაცებით

მამა არის მამა, და არა — ძე; ძე არის ძე, და არა — მამა; სულიწმინდა არის სული, და არა — მამა, და არა — ძე, რამეთუ პიროვნული თვისება — უცვლელია. სხვაგვარად განა შეიძლება თვისება კვლავაც არსებობდეს, თუკი ის ცვალებას დაექვემდებარება?! ამიტომაც ძე ღმრთისა — კაცის ძედ შეიქნება, რათა (მისი პიროვნული) თვისება უცვლელი დარჩეს. რამეთუ არის რა ძე ღმრთისა, იგი შეიქნა ძედ კაცისა, როცა ხორციელ-იქმნა წმიდა ქალწულისაგან და, ამასთან, არ მოჰკლებია თავის პიროვნულ თვისებას (ღმერთის) ძეობისა[9].

ხოლო განკაცდა ძე ღმრთისა იმისთვის, რომ კვლავ მოეწიჭებინა ადამიანისათვის ის, რისთვისაც მან შეჰქმნა კიდეც ადამიანი. რამეთუ ადამიანი მან ხატად და მსგავსად თვისა შეჰქმნა, — ხატად, ანუ გონიერი და თავისუფალი ნებით შემოსილი, ხოლო მსგავსად, ე.ი. ქველის-საქმეში (სათნოებაში) სრულყოფილი იმდენად, რამდენადაც ეს მისაწვდომია ადამიაწური ბუნებისათვის. აკი იმგვარი სრულყოფლებანი, როგორიცაა უზრუნველობა და უშფოთველობა, სიწმიდე, სახიერება, სიბრძნე, სამართლიანობა, უმანკოება, — ყოველივე ეს როგორღაც ღვთაებრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისებანია ამრიგად, მიანიჭა რა ადამიანს თანაზიარობა თავისთან, — რამეთუ ადამიანი ღმერთმა უხრწნელობისთვის შეჰქმნა, — მან თავისთან ერთობისა და ზიარების გზით უხრწნელობამდე აღი-

ყვანა იგი. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენ მცნებას გარდავხდით, ცოდვით დავეცით და ამით ბნელი გავხადეთ და დავამახინჯეთ ღვთაებრივი ხატის თვისებანი ჩვენი არსებისა, მაშინ ჩვენ მოვაკლდით ღმერთთან ზიარებას, „რამეთუ რაჲ მოყურება არს სიმართლისა და უსჯულოებისა, ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისაჲ?“ (II კორინთ. 6, 14), და დავკარგეთ რა (საუკუნო) ცხოვრება, სიკვდილის ხრწნადობას დავექვემდებარეთ. მაგრამ რადგანაც ძ ე მ ღმრთისა უმჯობესი მოგვმადლა, ჩვენ კი ვერ შევინარჩუნეთ იგი, ამიტომ (ახლა) ი გ ი უდარესს მიიღებს, — მე ჩვენს, ადამიანურ ბუნებას, ვგულისხმობ, — რათა თავისით და თავის მიერ განაახლოს (პირვანდელი) ხატი და სახე (მსგავსება), და რათა სათნოდ ცხოვრება გვასწავლოს, შექმნის რა ასეთ ცხოვრებას ადვილად მისაწვდომად ჩვენთვის სწორედ საკუთარი თავის გზით; ასევე იმისთვის, რომ განკაცთავისუფლოს ჩვენ ხრწნილებისაგან (ჭეშმარიტ) ცხოვრებასთან ზიარებით, შეიქმნას დასაბამად (წინდად) ჩვენი (მკვდრეთით) აღდგომისა, და განაახლოს ის ჭურჭელი, რომელიც დამსხვრეულა და უხმარი შექნილა, რითაც ეშმაკის მძლავრებისაგან გვიხსნის და ღმერთის შეცნობას მიგვაახლებს, განგვამტკიცებს და გვასწავლის, თუ როგორ დავამარცხოთ მტარვალი მოთმინებითა და სიმდაბლით[7].

ამრიგად, დემონთა მსახურება შეწყდა; ღმერთის საფერი თაყვანისცემა აღარ მიეგება მათ; ქმნილება იკურთხა და განიწმინდა ღვთაებრივი სისხლით; კერპთა სამსხვერპლონი და ტაძრები დანგრეულ იქნა; დამკვიდრებულ იქნა ჭეშმარიტი ღვთისმცნობელობა; თაყვანის-იცემება ყოვლადწმიდა სამება, არაქმნილი ღმრთაება, ერთი მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი, შემოქმედი და უფალი ყოველივესი; სათნოებანი განაგებენ; ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით მოგვემადლა სასოება (ჩვენი) მკვდრეთით აღდგომისა; დემონები ძრწიან ადამიანთა წინაშე, რომელნიც ოდესმე მათი ხელმწიფების ქვეშ იყვნენ, და რაც ყოველივეზე საკვირველია, ყველაფერი ეს აღსრულდა ჯვარის, ტანჯვისა და სიკვდილის გზით. მთელს ქვეყნიერებაზე ქადაგებულია სახარება ღმრთის მცნობელობისა, რომელიც მოწინააღმდეგეს ოშით კი არ აოტებს, არც იარაღითა თუ ლაშქრით, არამედ მცირერიცხოვანმა უიარაღო ადამიანებმა, უქონელებმა, განუსწავ-

ლელებმა დევნილებმა, წამებულებმა, სიკვდილად მიცემულებ-
მა გამარჯვება იზეიმეს ამა ქვეყნის ბრძენთა და ძლიერთა ზედა
იმით, რომ ქადაგებდნენ სხეულით ჯვარცმულს და მო-
მკვდარს, რამეთუ მათ თანა-შეეწეოდა ყოვლისშემძლე
ძლიერება ჯვარცმულისა.

სიკვდილი, ოდესღაც მეტად საშინელი, დამარცხებულია, და
მას, უწინ ესოდენ შესაზარსა და საძულველს აწ სიცოცხლის
სანაცვლოდ აღირჩევენ (ჭეშმარიტი რწმენისათვის). აი, ესაა
ნაყოფნი ქრისტეს ამქვეყნად მოსვლისა! აი, ესაა დადასტურე-
ბა მისი ყოვლადძლიერობისა რამეთუ აქ ისე როდია, როგორ-
ოდესმე იყო, როცა (ღმერთმა) მოსეს მეშვეობით იხსნა ერი
ხალხი ეგვიპტისა და ფარაონის მონობისაგან, განაპო რა ზღვა
შუაზე,—არა, აქ გაცილებით დიდი რამ აღსრულდა, რამეთუ მ ა ნ
ძთელი კაცობრიობა იხსნა სიკვდილის ხრწნადობისაგან და ცოდ-
ვის მძვინვარე ბატონობისაგან, რაკი იძულებით კი არა, არა-
მედ ნებაყოფლობით მიიყვანს ადამიანებს სათნო ცხოვრებად,—
მიწისა თუ ზღვის განუპობლად, ყოვლისდამწველი ცეცხლის
მოუვლენელად და არც ბრძანებით იმისა, რომ ქვები დაჰკრი-
ბონ ცოდვილთ; არამედ ამას იქმს სიმდაბლითა და მოთმინე-
ბით, ადამიანთა დამოძღვრება-შეგონებით, მათი დარწმუნე-
ბით სათნოება აღირჩიონ, მისთვის იღვაწონ და ქველის-საქ-
მეში პოულობდნენ სიტკბოებას. აკი ოდესმე შემცოდენი სას-
ტიკად ისჯებოდნენ ხოლმე და, მიუხედავად ამისა, მაინც უბ
რუნდებოდნენ ცოდვილ ცხოვრებას, რადგან ცოდვას სასო-
ებდნენ და, როგორღაც, სწორედ ცოდვა იყო მათთვის ერთ-
გვარი ღმერთი; აწ კი (მორწმუნე) ადამიანები კეთილმსახუ-
რებისა და სათნოებისათვის ირჩევენ წყევლა-გინება დაითმი-
ნონ, ტანჯვა-წამებას ეწიონ და თვით სიკვდილიც კი მიიღონ.

ჰოი, ქრისტეო, სიტყვაო ღმრთისაო, სიბრძნეო და ძალო,
ღმერთო ყოვლისა მპყრობელო! რაი მოგაგოთ შ ე ნ ყოვ-
ლისავესთვის, რაი მოგიზღათ ჩვენ, უპოვარებმა?! რამეთუ ყო-
ველივე — შენი არს, და შენც სხვას არაფერს მოითხოვ ჩვენ-
გან, თუ არ ჩვენსავ ხსნას, რომელსაც აგრეთვე შენ მოგვმად-
ლი; და შენი გამოუთქმელი სახიერებით შეიწყნარებ ყველა
იმას, ვინც კი მიიღებს შენმიერ ხსნას. გმადლობთ შენ, უფა-
ლო, მომნიჭებელო არსებობისა, მომმადლებელო ჩვენდა ნე-

ტარებისა, და შენი გამოუთქმელი მოწყალებით ნეტარების კვალად დამაბრუნებელო ყოველთათვის, ვინც კი განშორებია მას!

თ ა ვ ი V

(პასუხად) იმათ, ვინც იკითხავს: (შე)ქმნილია ქრისტეს ჰიპოსტასი, თუ არ არის შექმნილი.

ს ი ტ ყ ვ ა-ღ მ ე რ თ ი ს ჰიპოსტასი განხორციელებამდე მარტივი არაშედგენილი იყო, უხორცო და არაქმნილი; ხოლო ხორციელიქმნა რა, ი გ ი შეიქნა ჰიპოსტასად ხორცისათვისაც (სხეულისათვისაც) და გახდა შედგენილი ღმრთაებისაგან, რომელიც ყოველთვის ჰქონდა, და ხორცისაგან, რომელიც მიიღო (განხორციელებისას), და ამის გამო მატარებელია ორი ბუნების ნიშან-თვისებებისა, რაკი შეიმეცნება ორბუნებოვნებით (ღვთაებრივი ბუნებით და ადამიანური ბუნებით). ამრიგად, ერთი და იგივე ჰიპოსტასი არაქმნილიც არის თავისი ღმრთაებით (ღვთაებრივი ბუნების მიერ) და ქმნილიც არის — თავისი ადამიანობით (ადამიანური ბუნების მიერ), არახილულიც არის და ხილულიც. სხვაგვარად რომ იყოს, მაშინ ჩვენ იძულებული შევიქნებოდით ან გაგვეყო, დაგვენაწევრებინა ერთიანი ქრისტე, ვაღიარებდით რა მ ა ს შ ი ორ ჰიპოსტასს (ცალკე ღმრთაებისა და ცალკე ადამიანობისათვის), ანდა უარგვეყო ბუნებათა სხვადასხვაობა და, ამით, შემოგვეღო, ცვალება (სიტყვა-ღმერთისა) და შერევნა (ბუნებებისა).

თ ა ვ ი VI

მასზედ, თუ როდის იწოდა (უფალი) ქრისტედ.

(ქრისტეს) გონება შეუერთდა სიტყვა-ღმერთს და ქრისტედ იწოდა არა ქალწულისაგან განხორციელებამდე, როგორც ამას ცრულ ამტკიცებენ ზოგიერთნი, არამედ სწორედ

განხორციელებისას. ეს არის უაზრობა ორიგენეს უცნაური შეხედულებებისა, რომელიც ასწავლიდა სულთა წინარე არსებობისთვის. ჩვენ კი ვასწავლით, რომ ძე და სიტყვა ღმრთისა ქრისტედ იმ დროიდან შეიქნა, რა დროსაც წმიდა მარადის ქალწულის საშოში შესახლდა და ხორციელ იქმნა უცვალებლად თავისი ღმრთაებისა, და ხორცი ცხებულ იქნა ღმრთაების მიერ[8]. ეს ცხება — არის (მთელი) კაცობრიობის ცხება, როგორც ბრძანებს გრიგოლ ღვთისმეტყველი. და ყოვლადსამღვდელო კირილე ალექსანდრიელიც, თავის ეპისტოლეში იმპერატორ თეოდოსისადმი ასე ამბობს: „მე ვამტკიცებ, რომ არც სიტყვა, ღმერთისაგან შობილი ადამიანობის გარეშე, არც ტაძარი, დედაკაცისაგან შობილი, მაგრამ შეუერთებელი სიტყვასთან — არ უნდა იწოდებოდნენ სახელით იესუ ქრისტესი; რამეთუ ქრისტეს სახელწოდებით აღინიშნება სიტყვა ღმრთისა, გამოუთქმელად შეუღლებული და შეერთებული ადამიანობასთან საღმრთო განგებულების გეგმით დასახული შეერთებით“. და დედოფალსაც იგი ასევე სწერს: „ზოგნი ამბობენ, — სახელი „ქრისტე“ მამა-ღმერთისაგან შობილ ერთს — ს ი ტ ყ ვ ა ს ა ც შეჰფერისო, ცალკე და თავისთავად მოაზრებულსა და არსებულს. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეს ასე არ არის, და არც გვისწავლია ასე, რამეთუ როცა ს ი ტ ყ ვ ა ხორციელ-იქმნა, აი, სწორედ მაშინ იწოდა კიდეც ი გ ი იესუ ქრისტედ, რადგანაც ი გ ი ღმერთისა და მამისაგან სიხარულის ზეთით, ანუ სულიწმინდით იქნა ცხებული, ამიტომ იწოდება კიდეც ქრისტედ. ხოლო ცხება რომ მთელს კაცობრიობაზეც აღსრულდა, — ამაში ვერ დაეჭვდება ვერავინ, ვინც კი მართლიად ფიქრსა და განსჯას ჩვეულა“. და ყოვლადქებული ათანასეც (ალექსანდრიელი) თავის სიტყვაში ქრისტეს მაცხოვნებელი მოსვლის შესახებ ასე ამბობს: „წინადასაუკუნო ღმერთი ხორციელად მოსვლამდე (ამქვეყნად) არ ყოფილა ადამიანი, არამედ იყო ღმერთი ღმრთისა თანა არახილული და უვნებო. ხოლო როცა ი გ ი ხორციელ-იქმნა და განკაცდა, მაშინ მ ა ს ხორცის გამო მიეკუთვნა კიდეც სახელი — „ქრისტე“, — იმიტომ, რომ ამ სახელს თან ახლავს ტანჯვა და (ჯვარზე) სიკვდილი“.

ხოლო თუკი საღმრთო წერილი ამბობს — „ამისთვის გცხო

შ ე ნ ღმერთმან, შენმან საცხებელი სიხარულისაჲ“-ო, ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რომ საღმრთო წერილი ხშირად იყენებს ხოლმე ნამყო დროს მყოობადის ნაცვლად, როგორც ეს არის, მაგალითად, ამ ადგილას ბარუქის წინასწარმეტყველებისა: „ამისა შემდგომად ქვეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა იქცეოდა“ (3, 38); რამეთუ როცა ეს სიტყვები ითქვა, მაშინ ღმერთი ჯერ კიდევ არ მოსულიყო ამქვეყნად და ჯერ არ იქცეოდა ადამიანებს შორის. და აი, კიდევ ერთი მაგალითი საღმრთო წერილიდან: „წარიკითხნა ბარუქმან სიტყვანი წიგნისანი ყურთა მიმართ... ყოვლისა ერისათა კნინითგან ვიდრე დიდამდე მათდა, ყოველთა დამკვიდრებულთა ბაბილონს შინა, მდინარესა ზედა სუდსა, და რომელთა ესმათ, ტიროდეს და იმარხვიდეს და ილოცვიდეს ლოცვათა წინაშე უფლისა“ (ბარუქ. 1, 3 — 5); და აქაც მაშინ, ამ სიტყვების წარმოთქმის ჟამს, ეს ყოველივე ჯერ არ აღსრულებულიყო.

თ ა ვ ი VII

იმათ (პასუხად), ვინც იკითხავს — ორი ბუნება ხვა თუ არა ღვთისმშობელმაო, და ორი ბუნება იყო გამოკიდული ჯვარზე, თუ — არაო.

სიტყვები „აღენიტონ“ და „ღენიტონ“, თუკი ერთი „ნ“-თია დაწერილი განეკუთვნება ბუნებას და, კერძოდ, აღნიშნავს კიდეც ცნებებს — „არაქმნილი“ და „ქმნილი“. ხოლო იგივე სიტყვები, წარმოთქმული (თუ დაწერილი) ორი „ნ“-თი აღენნიტონ და ღენნიტონ ანუ „არაშობილი“ და „შობილი“ განეკუთვნება არა ბუნებას, არამედ ჰიპოსტასს. ამრიგად, ღვთაებრივი ბუნება არის არაქმნილი, ყველაფერი სხვა კი, გარდა საღმრთო ბუნებისა, შექმნილია, ამიტომ ღვთაებრივ და არაქმნილ ბუნებაში იხილვება: არაშობილობა — მ ა მ ა შ ი, რამეთუ ი გ ი არავისაგან არ არის შობილი; შობილობა — ძ ე შ ი, რამეთუ ი გ ი საუკუნითგან იშვა მამისაგან, და გამომავლობა — სულიწმიდაში. ხოლო რაც შეეხება თითოეულ სახეობას ცოცხალი არსებებისა, ერთნი მათგან დროის მხრივ არ არიან შო-

ბილნი, მაგრამ არც არაქმნილნი არიან, რადგანაც ისინი შემოქმედმა შექმნა და არ ყოფილან შობილნი თავიანთ მსგავსთაგან. რამეთუ სიტყვა „ღენესის“ ქმნას აღნიშნავს, მაგრამ სიტყვა „ღენნისის“ ღმერთთან მიმართებაში აღნიშნავს წარმოშობას ერთარსი ძისა ერთი მხოლოდ მამისაგან; ხოლო სხეულებთან მიმართებაში იგი აღნიშნავს ერთარსი ჰიპოსტასის წარმოშობას მამრობითი სქესის შეერთებით მდედრობითთან, აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიცნობთ, რომ შობა ბუნების თვისება კი არ არის, არამედ ჰიპოსტასისაა, რამეთუ ეს (ანუ შობა) რომ ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისება ყოფილიყო, მაშინ ერთსა და იმავე ბუნებაში არ მოიხილვებოდა შობილიც და არაშობილიც. ამრიგად, წმიდა ღვთისმშობალმა შვა ის ჰიპოსტასი, რომელიც ორი ბუნებით იხილვება, უეამოდ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შობილია მამისაგან, უკანასკნელ დღეებში კი, განსაზღვრულ დროს, ხორციელ-იქმნა წმიდა ქალწულისაგან და იშვა ხორციელად.

ხოლო თუკი შემკითხველნი იმას მიგვანიშნებენ, რომ წმიდა ქალწულისაგან შობილს (თავის არსებაში) აქვს ორი ბუნება, ჩვენ ვეტყვით: დიახ, ქრისტეს აქვს ორი ბუნება, რამეთუ იგი არის ღმერთი და კაცი (ადამიანი). ასევე, ამ სახედვე უნდა ვთქვათ ჯვარცმის შესახებაც მკვდრეთით აღდგომისა თუ ზეცად ამაღლების შესახებაც, რამეთუ ყოველივე ეს ჰიპოსტასს განეკუთვნება, და არა — ბუნებას. მაშასადამე, ქრისტე, არის ორბუნებოვანი, ევნება და ჯვარსეცმება იმ ბუნებით, რომელსაც უნარი ჰქონდა ტანჯვა-ვნებისა (ანუ იგი მხოლოდ ადამიანური ბუნებით ევნო), რამეთუ ჯვარზე ხორცით იყო გამოკიდული, და არა ღმრთაებით. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ რას გვიპასუხებდნენ ჩვენი სიტყვის-მგებელნი, თუკი ვკითხავდით: განა ორი ბუნება მოკვდა ჯვარზე? — არაო, ორი ბუნება ქრისტესი არ მომკვდარაო ჯვარზე, გვეტყვიან ისინი. მაშასადამე, ვეტყვით ჩვენ, არც ჯვარცმული ყოფილა ორი ბუნება, არამედ იშვა ქრისტე, ე. ი. განკაცებული სიტყვა ღმრთისა, — იშვა ხორცით, ჯვარს ეცვა ხორცით, ევნო ხორცით, მოკვდა ხორცით, მაშინ, როცა მისი ღმრთაება უვნებო რჩებოდა».

მასზედ თუ რა მნიშვნელობით იწოდება მხოლოდ შობილი ძე ღმერთისა პირმშოდ.

პირმშო (პირველშობილი) არის ის ვინც პირველი დაიბადა: იგი შეიძლება მხოლოდშობილიც იყოს და უფროსიც სხვა ძმათა შორის. ამრიგად, ძე ღმერთისა რომ მხოლოდ პირმშოდ იწოდოს, ხოლო მხოლოდშობილად — არა, მაშინ ჩვენ შეიძლებოდა გვეფიქრა, — ი გ ი პირველშობილია სხვა ქმნილებათა შორის და ამიტომ, თვითონაც თითქოს ქმნილებაა. მაშასადამე, რაკი ი გ ი პრმშოდაც (პირველშობილადაც) იწოდება და მხოლოდშობილადაც, ამის გამო ქრისტესთან მიმართებაში ორივე ეს ცნება უნდა შენარჩუნებულ იქნას.

ჩვენ ვუწოდებთ მ ა ს პირველშობილს მთელს ქმნილებათაგან, რადგან ქრისტე — ღმერთისაგანაა; ქმნილებაც ღმერთისაგანაა, მაგრამ მხოლოდ ძ ე ა უჟამოდ შობილი ღმრთისა და მამის არსისაგან, რის გამოც ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ ᲛᲐᲡ მხოლოდშობილ ძეს, პირველშობილს, მაგრამ არა — პირველქმნილს. რამეთუ ქმნილება არ არის მ ა მ ი ს არსისაგან, და არარსებობიდან (არარადან) აქვს მინიჭებული არსებობა მამის ნებით. „პირმშოდ მრავალთა შორის ძმათა“ (რომ. 8, 29) იგი იწოდება იმიტომ, რომ იყო რა დედითაც პირველშობილი, — რამეთუ ი გ ი ჩვენს მსგავსად ეზიარა ხორცსა და სისხლს, — ძ ე ღმრთისა ადამიანი შეიქნა, მ ი ს მიერ კი ჩვენ შევიქენით ღვთის შვილებად რაკი ნათლის მიღებით შვილება მივიღეთ. ი გ ი თავადი ბუნებით — ძე ღმრთისა, პირველშობილი შეიქნა ჩვენს შორის, რომელნიც ღმერთის ძენი შევიქენით შვილებითა და მადლით, და ვიწოდებით მ ი ს ძმებად. ამიტომაც ამბობდა ი გ ი: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა“-ო (იოანე 20, 17); მას არ უთქვამს — აღვალ ჩვენს მამასთან და ღმერთთანო, არამედ თქვა — „მამისა ჩემისა თანა“-ო, თავისი ბუნების შესაბამისად, და თქვა — „მამისა თქვენისა თანა“-ო მადლის მიერ. და ასევე თქვა: „ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქვენისა“-ო (იქვე), არ უთქვამს „ღმერთისა ჩვენისაო“, არამედ თქვა — „ღმრთისა ჩემისაო“, — თუკი

შენ განყენებული განსჯით გაწაცალკავებ ხილულს იმისაგან, რაც მხოლოდ გონებისათვისაა მისაწვდომი, — ესეც თავისი ბუნების შესაბამისად; და ასევე თქვა — „ღმრთისა თქვენისა“-ო, რადგანაც ღმერთი არის ჩვენი შემოქმედი და უფალი, — ესეც — მადლის მიერ.[10]

თავი IX

რწმენისა და ნათლობისათვის

ჩვენ ვაღიარებთ „ერთსა ნათლის-ღებასა მოსატევებლად ცოდვათა“ (მრწამსი) და საუკუნო ცხოვრების დასამკვიდრებლად, რამეთუ ნათლისღება უფლის სიკვდილის აღმნიშვნელია („არა უწყითა, რამეთუ რომელთა — ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუის მიერ, სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ? “ — რომ. 6, 3). ნათლის-ღებით „თანა-დაევეუფლებით“ უფალს, როგორც ამბობს ღვთაებრივი პავლე მოციქული (იქვე, მუხლი 4 კოლას. 2, 12). მაშასადამე, როგორადაც ერთხელ აღსრულდა სიკვდილი უფლისა, ასევე, ამის მსგავსად, ერთხელვე ჯერ-არს ნათლის მიღებაც: ნათლის-ღება, თვით უფლის სიტყვისაებრ, „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28, 19), და ამით შეგონებულ ვიქნებით, თუ როგორ ვაღიარებდეთ ჭეშმარიტებით მამას, და ძეს და სულს წმიდას. ამიტომაც ისინი, ვინც ერთხელ მოინათლნენ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმდისა და შეგონებულ იქნენ აღიარებად ერთი ღვთაებრივი ბუნებისა სამ ჰიპოსტასში, ხოლო შემდეგში ხელახლა მოინათლებიან, — ესევიითარნი ამით ხელმეორედ ჯვარს-აცვამენ ქრისტეს, როგორც ბრძანებს ღვთაებრივი მოციქული: „...შეეუძლებელ არს ერთგზის განათლებულთა მათ, რომელთა გემოჲ ეხილვოს ნიჭთა მათ ზეცისათაჲ და ზიარქმნულ იყვნენ სულისა წმიდისა, და კეთილი გემოჲ ეხილვოს სიტყვისა ღმრთისაჲ და ძალი იგი მერმისა მის საუკუნოჲსაჲ, და დაცემულთა კვალად განახლებაჲ სინანულად, თანა-ჯვარ-ცუმად თავთა მათთა ძესა ღმრთისასა და განქიქებად“. (ებრ. 6, 4 — 6). ხოლო რომელთაც არ მიუღიათ წმიდა ნათელი ყოვლადწმიდა სამების სახელით, ესე-

ვითარნი ხელახლა უნდა მოინათლონ[11], რამეთუ ღვთაებრივი მოციქული თუმცა კი ამბობს, რომ ჩვენ „იესუჲს მიერ, სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“-ო (რომ. 6, 3), მაგრამ აქ იმას კი არ გულისხმობს, თითქოს სწორედ ამგვარი უნდა იყოს მოწოდება ნათლობისას, არამედ იმას, რომ ნათლის-ღება არის სახე ქრისტეს სიკვდილისა. რამეთუ სამგზისი შთაფლვით წყალში ნათლობა აღნიშნავს სამ დღეს უფლის საფლავში დებისა. ამრიგად, ქრისტეს ნათლის-ღებით მონათვლა ნიშნავს ირწმუნო მ ი ს ი. მაგრამ რწმენა ქრისტესი შეუძლებელია, თუკი შეგოწებული არ ვიქნებით მართლიად აღირებას მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რამეთუ ქრისტე არის „ძე ღმრთისა ცხოველისა“ (მათე 16, 16), და ი გ ი ცხებულია მამის მიერ სულიწმიდით, როგორც ბრძანებს ღვთაებრივი დავითი: „შეიყვარე სიმართლე და მოიძულე უშჯულოებაჲ; ამისთვის გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყვასთა შენთა“ (ფსალმ. 44, 8). და ესაია წინასწარმეტყველიც უფლის სახელით ამბობს: „სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისა ძლით მცხო მე, მახარებლად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსვრილთა გულითა, ქადაგებად ტყვეთა განტევებასა და ბრმათა ახილვასა“ (ესაია 61, 1).

თვით უფალიც, ასწავლიდა რა თავის მოწაფეებს მოწოდებას ჭეშმარიტ სარწმუნოებად, აკი ამბობდა: „წარვედით და ᲛᲝᲘᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘᲗ ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28, 19); რამეთუ რადგანაც ღმერთმა ჩვენ უხრწნელებისათვის შეგვქმნა, ხოლო როცა ჩვენ გარდავხდით მაცხოვნებელ მცნებას, დაგვსაჯა სიკვდილის ხრწნილების მოწევნით, რათა ბოროტება უკვდავი არ ყოფილიყო, — ამიტომ მ ა ნ დაიმდაბლა თავი, თავის მონებთან გარდამოხდა ვითარცა კეთილად მოწლე, შეიქნა ჩვენი მსგავსი იმით, რომ ჩვენი ბუნება მიიღო და თავისი ვნებით ჯვარზე გვიხსნა ჩვენ ხრწნილებისაგან; თავისი და უმანკო გვერდიდან გამოგვიდინა ჩვენ წყარო ცოდვათა მოტევებისა: წყალი — ჩვენი აღორძინებისათვის, ცოდვათაგან და ხრწნილებისაგან განბანვისათვის, ხოლო სისხლი — სასმელად, როგორც მომნიჭებელი ჩვენდა საუკუნო ცხოვრებისა. და მ ა ნ მცნებანიც დაგვიდო — ხელახალი შობისა წყალითა და სულიწმიდით, როცა ლოცვა-ვედრებით სულიწმიდა გარდამოვალს

წყალზე და განსწმენდს მას; რამეთუ რადგანაც ადამიანი ორადი შედგენილობისაა, ანუ სულისა და სხეულისაგან არის შემდგარი, ამიტომ უფალმა მოგვცა კიდეც ორადი განწმედა: ერთი წყალით და მეორე — სულიწმიდით; სულიწმიდით, რომელიც განაახლებს და აღადგენს ჩვენში ხატსა და სახეს (მსგავსებას) ღმრთისა, და წყალით, რომელიც სულიწმიდის მადლის მიერ განსწმედს ჩვენს სხეულს ცოდვისაგან და გვიხსნის ხრწნილებისაგან; კვალად წყალით, რომელიც გვანიჭებს წინდს სიცოცხლისა[12].

რამეთუ ჯერ კიდევ დასაბამად ყოველი ქმნილებისა „სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა“ (დაბად. 1, 2); და საერთოდაც, საღმრთო წერილი ძველთაგანვე გვიმოწმებს იმას, რომ წყალი შემოსილია განსაკუთრებული ძალით განწმედისა. სწორედ წყალთა რღვნით განბანა ღმერთმა ნოეს დროს ქვეყნიერება ცოდვისაგან. წყალთაგან განიწმიდებოდა სჯულის მიხედვით ყოველი არაწმიდა იქამდეც კი, რომ მისი სამოსიც კი გახიბახებოდა წყლით. ელია თეზბიტელმაც, როცა წყალი ასხურა ყოვლადდასაწველ მსხვერპლს, სულიწმიდის მადლი წარმოაჩინა, შეერთებული წყალთან. და თითქმის ყოველივეც, სჯულის მიხედვით, წყალთა მიერ განიწმიდება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ (ყოველივე) ხილული სიმბოლო, მიმანიშნებელია იმისა, რისი წვდომაც მხოლოდ გონებითაა შესაძლებელი. ასე, რომ ხელახალი შობა (ადამიანის) სულში აღესრულება, რამეთუ ჩვენი რწმენა სულიწმიდის შემწეობით ღმერთის ძედ ყოფნას მოგვანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ—ქმნილნი ვართ, და ამით პირველყოფილ ნეტარებას მიგვაახლებს.

ცოდვათა მოტევება ნათლობის გზით, ამრიგად, ყველას თანაბრად გვეძლევა, მაგრამ მადლი სულიწმიდისა — თითოეულს მისი რწმენის და მანამდელი განწმედის დარად. ამგვარად, ნათლობის გზით ჩვენ ვიღებთ წინდს სულიწმინდისა, და ეს ხელახალი შობა დასაბამად შეიქნება ჩვენთვის ახალი ცხოვრებისა, ბეჭდად, საფარველად და განათლებად ჩვენ განახლებული ძრსებისა.

მაგრამ ჩვენ მთელის ძალით მტკიცედ უნდა ვიცავდეთ თავს უკეთურ საქმეთაგან, რათა საღმრთო იგავის ძაღლის მსგავსად არ მივექცეთ „ნათხევარსა“ ჩვენსა და ღორივით არ „ვინწუ-

ბოთ სანგორელსა მწვირისასა" (II პეტრე 2, 22); რამეთუ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია, ისევე, როგორც საქმენიც რწმენის გარეშე ვერ გამოიღებს ჯეროვან ნაყოფს; ჭეშმარიტი რწმენა საქმით წარმოჩინდება.

ხოლო ნათელს ვიღებთ ჩვენ ყოვლადწმიდა სამების სახელით იმიტომ, რომ თვით მონათლულს სჭირდება წმიდა სამების მადლი როგორც თავისი არსებობისათვის, ისე თავისი დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის, და შეუძლებელია, სამი ჰიპოსტასი ღმრთაებისა ერთად არ ჰგიებდეს ურთიერთთანაზიარობით, რამეთუ წმიდა სამება განუყოფელია[13].

პირველი ნათლობა (კაცობრიობისათვის) იყო წყალთა რღვნა, რომელიც ქვეყნიერებაზე ცოდვის აღმოსაფხვრელად აღსრულდა. მეორე ნათლობა იყო ზღვით და ღრუბლით, რამეთუ ღრუბელი — სულიწმიდის სიმბოლოა. ხოლო ზღვა — წყალისა. მესამე ნათლობა იყო (მოსეს) სჯულის მიხედვით, რამეთუ ყოველი არაწმიდა წყალთაგან განიბანებოდა, განიბანდა შესამოსელსაც, და ამგვარად შედიოდა ბანაკში.

მეოთხე ნათლობა იყო იოანეს (უფლისა წინამორბედის) ნათლობა[14], რომელიც წინათგანმამზადებელი ნათლობა იყო და მონათლულთ სინანულად მიიყვანდა, რათა ადამიანებს ქრისტე ერწმუნათ. „მე უკუე ნათელ-გცემ თქვენ წყლითა სინანულად"-ო, — ამბობს იგი. — „ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს... მან ნათელ-გცეს თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა" (მათე 3, 11). ამრიგად, იოანე წყლით წინასწარ განსწმედს მისი ნათლობით მონათლულს სულიწმიდის მისაღებად, ანუ განამზადებს მას ქრისტესმიერი ნათლობის მისაღებად.

მეხუთე ნათლობა — უფლისმიერია და ამ ნათლობით ი გ ი თვით მოინათლა. მაგრამ მ ა ნ ნათელი იმისთვის კი არ მიიღო, თითქოს თვითონაც საჭიროებდა განწმედას, არამედ იმისთვის, რომ მიიღებდა რა ჩვენმიერ განწმედას, შეემუსრა „თავები ვეშაპთაჲ წყალთა ზედა" (ფსალმ. 73, 13), წარერღვნა ცოდვა დ ; მთლიანად წყალში შთაეფლა ძველი ადამი; ამასთან, განეწმიდა თვით ნათლისმცემელი, აღესრულებინა სჯული, განეცხადებინა საიდუმლო სამებისა და მაგალითი და სახე შექმნილიყო ჩვენთვის ნათლის-ღებისა. და ჩვენც ნათელს-ვიღებთ უფ-

ლისმიერი სრულყოფილი ნათლობით, ანუ წყლითა და სულიწმიდით.

კვალად, ითქვა აგრეთვე, რომ ქრისტე ცეცხლით ნათლავს; რამეთუ მ ა ნ ცეცხლის ენების სახით გამოავლინა თავის მოციქულებზე სულიწმიდის მადლი, როგორც თვით უფალი ამბობს — „იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქვენ ნათელიღოთ სულითა წმიდითა არა მრავალთა ამათ დღეთა შემდგომად“ (საქმე მოციქ; 1, 5); ანდა (ცეცხლით ნათლობა იმასაც ნიშნავს, რომ) ნათლობის მიზეზით ადამიანი მომავალში ცეცხლით შეიძლება დაისაჯოს.

მეექვსე (სახის) ნათლობა აღესრულება სინანულისა და ცრემლის გზით, და ეს ჭეშმარიტად ძალზე დიდ შრომას მოითხოვს. მეშვიდეა — ნათლობა სისხლითა და მოწამეობით, ანუ ის, რომლითაც ჩვენთვის თვით ქრისტემ ნათელ-იღო, — ეს არის ყველაზე დიდებული და ნეტარი ნათლობა, რომელსაც უკვე ცეღარაფერი შებილწავს.

მერვე სახის, და უკანასკნელი, ნათლობა არ არის მხსნელი, მაგრამ იგი ცოდვას აღხოცავს, რამეთუ მის შემდგომ ბიწსა და ცოდვას უკვე აღარა აქვთ ძალა, და ეს ნათლობა საუკუნოდ დასჯის.

სული წმიდა გარდამოხდა უფალზე ხილული სახით, ვითარცა მტრედი (მარკოზი, 1, 10), რითაც გვიჩვენა დასაბამი ჩვენი ნათლობისა და პატივ-ჰყო სხეული ქრისტესი, რამეთუ იგიც, ანუ უფლის სხეულიც, (სიტყვა-ღმერთთან შეერთებისა და) განღმრთოების შედეგად ღმერთი შეიქნა. ამასთან, (მტრედის სახით იმისთვის გარდამოხდა, რომ), როგორც ვიცით, ძველადაც სწორად მტრედი იყო კეთილი მაცნე წარღვნის დასრულებისა. ხოლო წმიდა მოციქულებზე სულიწმიდა გარდამოხდება ცეცხლის სახით, რამეთუ იგი ღმერთია, ღმერთი კი „ცეცხლშემცველ არს (ცეცხლ განმლეველ არს)“ (II სჯული 4, 24; ებრ. 12, 29).

ნათლობის ჟამს ზეთს მოიღებენ ხოლმე[15], რომელიც აღმნიშვნელია ჩვენი ცხებისა და შეგვქმნის კიდეც ცხებულად, ამასთან, ღმერთის წყალობასაც გვაუწყებს სულიწმიდის მიერ, რადგანაც, როგორც ვიცით, მტრედმა ზეთისხილის რტო მო-

უტანა წარღვნას გადარჩენილთ, ნიშნად ღმერთის წყალობისა — წარღვნის დასრულებისა.

თვით იოანე ნათლისმცემელი კი იმით მოინათლა, რომ უფლის დვთაებრივ თავს ხელი დაასხა, და შემდეგ მართალი საქმისათვის სისხლიც დაღვარა.

არ უნდა გადავდოთ ხოლმე ნათლის-ღება, როცა მის მსურველთა რწმენა საქმეებითაა დადასტურებული. რამეთუ ყოველი ვინც კი უკეთურებითა და მზაკვარებით შეუდგება ნათლობას, უფრო მალე დაისჯება, ვიდრე სარგებლობას მიიღებს[16].

თავი X

სარწმუნოებისათვის

რწმენა ორგვარია. არსებობს „საწრმუნოებაჲ... სმენისაგან" (რომ. 10, 17), როცა ვისმენთ რა საღმრთო წერილს, ჩვენ გვწამს სულიწმიდის სწავლებისა. ეს რწმენა სრულყოფილი შეიქნება ხოლმე ყოველივე იმის გზით, რაც ქრისტეს მიერ არის დადგენილი (დაკანონებული), ე. ი. როცა ჩვენ საქმით გვწამს, კეთილმოშიშად ვცხოვრობთ და აღვასრულებთ ყველა იმ მცნებას, რომელიც ჩვენმა განმაახლებელმა დაგვიდო. რამეთუ ვისაც კათოლიკე ეკლესიის გადმოცემის თანახმად არა სწამს, ანდა ვინც ბოროტ საქმეთა მოქმედებით ეშმაკის თანაზიარი შეიქნება, — ესეოვითარი ურწმუნოა.

მეორეს მხრივ, არსებობს კიდევ"... სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არა-ხილულთა" (ებრ. 11, 1), ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცე და უეჭველი სასოება იმ აღთქმათა, რომელნიც ღმერთმა მოგვცა, და იმედი იმისა, რომ ჩვენი ლოცვა-ვედრება შესმენილ იქნება. პირველი რწმენა არის ჩვენი თავისუფალი ნებიდან გამომდინარე კეთილგანწყობის შედეგი მეორე კი სულიწმიდის მადლთაგანია, ჭეშმარიტ მორწმუნეთ რომ მოენიჭებათ ხოლმე. ხოლო უნდა ვიცოდეთ, რომ ნათლის-ღების ძლით ჩვენ განვიძარცვავთ იმ საფარველს, რომელიც შობითვე გვეფარა, და მივიღებთ სახელს სულიერი ისრაიტელებისა და ღმრთის ერისას.

თავი XI

ჯვარისა და კიდევ ერთხელ სარწმუნოებისათვის.

„... სიტყვაჲ იგი ჯვარისაჲ წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ ცხორებულთა ამათთვის-ძალ ღმრთისა არს“ (I კორინთ. 1, 18), „რამეთუ სულიერი განიკითხავს ყოველსავე, და იგი არავისგან განიკითხვის“ (I კორინთ, 2, 15), „ხოლო მშვინვიერი კაცი არა შეიწყნარებს სულსა მისგან ღმრთისაისა რამეთუ სიცოფე უჩნნ მას და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ“ (იქვე, მუხლი 14). რამეთუ იგი (სიტყვაჲ იგი ჯვარისაჲ) უგუნურებაა იმათთვის, ვინც რწმენით კი არ შეიწყნარებს მას და რწმენითვე კი არ ფიქრობს ღმერთის სახიერებისა და ყოვლადძლიერების შესახებ, არამედ კაცობრივი და ბუნებისმიერი განსჯით გამოიძიებს ყოველივე ღვთაებრივს. ხოლო ეს კი ვუწყით, რომ ყველაფერი, რაც ღმერთს განეკუთვნება, — აღმატებულია ყოველგვარ ბუნებაზე, სიტყვასა და განსჯაზე. რამეთუ თუკი ვინმე იმის განსჯას დაიწყებს, თუ როგორ მიანიჭა ღმერთმა არარადან არსებობა ყოველივეს, ანდა რისთვის აღასრულა მ ა ნ ეს საქმე, და თუკი მოისურვებს ჩასწვდეს ამას ბუნებისმიერ განსჯათა მეშვეობით, — ესევითარი ვერაფერს ვერ მიაღწევს. ამგვარი ცოდნა — მშვინვიერი ცოდნაა, და იგი ეშმაკისაგან მომდინარეობს. ხოლო თუკი ვინმე, იხელმძღვანელებს რა რწმენით, დაიწყებს განსჯას ღმერთის სახიერების, მ ი ს ი ყოვლადძლიერობის, ჭეშმარიტების, სიბრძნისა და სამართლიანობის შესახებ, — ესევითარისათვის ყველაფერი უხინჯო და თანაბარი იქნება, და გზაც ყოველივე ამის შესაცნობად მას ხსნილი ექნება. რამეთუ რწმენის გარეშე შ ე ნ უ ძ ლ ებ ელ ი ა ხსნა. რწმენას ეფუძნება ყველაფერი, როგორც კაცობრივი, ასევე — სულიერიც. რწმენის გარეშე ხომ მიწისმოქმედიც ვერ გაავლებს მიწაზე ხნულს, და ვაჭარიც არ მიანდობს თავის ბედს ზღვაში წარგზავნილ მცირე ხომალდს; რწმენის გარეშე ვერც დაქორწინდება ადამიანი და ვერც სხვა რაიმეს მოიმოქმედებს თავის ცხოვრებაში. რწმენით გულისხმას — ვჰყოფთ, რომ ყოველივეს არარადან მიანიჭა ღმრთის ძალამ არსებობა. რწმენითვე აღვასრუ-

ლებთ ჩვენ ყველა საქმეს, — როგორც საღმრთო საქმეებს, ასე-ვე კაცობრივსაც. კვალად, რწმენა არის თანხმობა, ყოველგვარი ეჭვისა და გამომეძიებლობის გარეშე.

ყოველი საქმე და სასწაულთმოქმედება იესუ ქრისტესი, რა ქმა უნდა, მეტად დიდია, ღვთაებრივია და საკვირველია, მაგრამ ყველაზე მეტად საკვირველი და ყოველივეზე აღმატებულია — მ ი ს ი პ ატიოსანი ჯვარი. რამეთუ არა სხვა რაიმეთი, არამედ სწორედ მხოლოდ ჯვარით უფლისა ჩვენისა და მაცხოვარისა იესუ ქრისტესი გაუქმებულია სიკვდილი, მიტევებულია პირველმშობელთა ცოდვა, ჯოჯოხეთიც მოკლებულია თავის ნადავლს, და სწორედ ჯვარის ძლით მოენიჭათ ადამიანებს მკვდრეთით აღდგომა; (ჯვარით) მოგვეცა ჩვენ ძალა მოვიძაგებდეთ ყოველივე ამაქვეყნიურს და თვით სიკვდილსაც უგულებელვჰყოფდეთ; (ჯვარით) აღსრულდა ჩვენი დაბრუნება თავდაპირველ ნეტარებად, (ჯვარით) განგვეხვნა კარნი სამოთხისა, მისით დაჯდა ჩვენი ბუნება მარჯვენით მამისა და მისით შევიქენით ჩვენ ღმერთის შვილებად და მემკვდრეებად. ყოველივე ეს ჯვარის ძლით აღსრულდა. „...რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუჲს მიერ“-ო, — ამბობს ღვთაებრივი (პავლე) მოციქული. — „სიკვდილისა მისისა მიმართ ნათელ ვიღეთ“ (რომ. 6, 3); კვალად: „...რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“-ო (გალატ. 3, 27), და კიდევ: „...ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“-ო (I კორინთ. 1, 24). ამრიგად, სიკვდილმა ქრისტესი, ანუ მ ი ს მ ა ჯვარმა ჩვენ ღმერთის ჰიპოსტასური ძალა და სიბრძნე შეგვმოსა. ხოლო ძალა ღმერთისა არის „სიტყვაჲ ჯვარისაჲ“ ან იმის გამო, რომ მისი მეშვეობით განგვეცხადა ჩვენ ყოვლადძლიერება ღმერთისა, ანუ სიკვდილზე ძლევა ანდა იმიტომ, რომ როგორადაც ჯვარის ოთხი შვერილი დამყარებული და შეერთებულია მათი შეკავშირებით ერთ ადგილას, ამგვარადვე ღმერთის ძალითაა დამყრებული სიმაღლე და სიღრმე, სიგრძე და სივრცე ყოველივესი ანუა მთელი ხილული, და არახილული ქმნილება.

ჯვარი ჩვენ ნიშნად მოგვეცა შუბლზე (ნათლის-ღებისას), როგორც ოდესღაც ისრაელს — წინადაცვეთა; რამეთუ სწორედ ჯვარის მეშვეობით ჩვენ უფრო სარწმუნოდ გამოვირჩევით და განვსხვავდებით ურწმუნოთაგან. ჯვარი არის ფარიც და

ზახვილიც ეშმაკისაგან თავდასაცავად, და ჯვარივეა ძეგლი, აღმართული ნიშნად ეშმაკზე გამარჯვებისა. ჯვარი არის ბეჭედი იმისთვის რომ არ შეგვეხოს ჩვენ ანგელოზი „მომსრველი“ და „მტარვალი“ (გამოსვლ. 12, 21), როგორც ამბობს საღმრთო წერილი. იგი არის წამოდგომა წაქცეულთათვის, დამყარება — ფეხზე მდგომარეთათვის, შეწევნა — უძლურთათვის, კვერთხი სამწყსოსათვის, წინამძღვარი — მოქცეულთათვის, სრულყოფილებად მოყვანა — წარმატებულთათვის, ხსნა — სულისა და სხეულისათვის; ჯვარი არის უკუგდება ყოველი ბოროტებისა მიზეზი ყოველი სიკეთისა, წარხოცვა ყოველი ცოდვისა, აღორძინება აღდგომისა და ხე საუკუნო ცხოვრებისა[17].

ამრიგად, ჯერ-არს თაყვანი — ვსცეთ ამ ყველაზე ღირსშესანიშნავ და ჭეშმარიტ ძვირფას ძელს, რომელზეც ქრისტემ თავისი თავი მსხვერპლად მიიტანა ჩვენი ხსნისათვის, იმ ძელს, რომელიც ღმრთის ძემ განწმინდა თავისი წმიდა სხეულისა და სისხლის შეხებით; ასევე (ჯერ-არს თაყვანი-ვცეთ) სამსჭვალთ, შუბს, შესამოსელს და მ ი ს წმიდა სამყოფელსაც, როგორიცაა, — ბაგა, მღვიმე, გოლგოთა, მისი მაცხოვნებელი და ცხოველმყოფელი საფლავი, (მთა) სიონი — მყარი საფუძველი ეკლესიათათვის, და სხვანი, როგორც ბრძანებს ქრისტეს წინაპარი დავითი[18]. „შევიდეთ სამყოფელთა მ ი ს თ ა, თაყვახის-ვსცეთ ადგილსა, სადა დადგეს ფერხნი მ ი ს ნ ი“-ო (ფსალმ. 131, 7). ხოლო იმას, რომ აქ დავით წინასწარმეტყველი ჯვარს გულისხმობს, ამავე ფსალმუნის შემდგომი მუხლიც ამტკიცებს, სადაც ნათქვამია: „აღდეგ, უფალო, განსასვენებლად შენდა, შენ და კიდობანი სიწმიდისა შენისაჲ“ (იქვე მუხლი 8); რამეთუ ჯვარს — მკვდრეთით აღდგომა მოსდევს. თუკი ესოდენ სასურველია ხოლმე ჩვენთვის სახლი, სარეცელი და სამოსიც კი ჩვენგან მოყვარულ ადამიანთა, მაშინ, რამდენგზის უფრო სანატრელი და ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის ყოველივე ის, რაც ღმერთსა და მაცხოვარს ეკუთვნის და რისი მეოხებითაც ჩვენ ხსნილნი ვართ?!

ჩვენ თაყვანს ვცემთ, აგრათვე, გამოსახულებასაც წმიდა პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარისა, რა ნივთიერებისა თუ ხაგნისაგანაც არ უნდა იყოს იგი გაკეთებული, რადგანაც სა

ღერ პატივს ნივთიერებასა თუ საგანს კი არ მივაგებთ (ნუ იყოფინ!), არამედ იმ გამოსახულებას, რომელიც სიმბოლოა ქრისტესი, რამეთუ თვით მ ა ნ, აღთქმას დაუდებდა რა თავის მოციქულებს, თქვა: „და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ იტუებდენ ყოველნი ტომნი ქვეყანისანი და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავალითა“ (მათე 24, 30), და ამ „სასწაულში ძისა კაცისა“ უფალი გულისხმობდა სწორედ ჯვარს; ამიტომაცაა, რომ ანგელოზიც, მახარებელი უფლის მკვდრეთით აღდგომისა, ასე ეუბნება (უფლის საფლავზე მისულ მენელსაცხებლე) დედათ: „...იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯვარცმულსა? — აღდგა, არა არს აქა...“ (მარკ. 16, 6). და ღვთაებრივმა მოციქულმაც აკი ასე ბრძანა: „ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯვარ-ცმულსა...“ (I კორინთ. 1, 23). თუმცა მრავალნი არიან (ვითომცდა) ქრისტეები და იესუები, მაგრამ ჯვარცმული — ერთია და მოციქულსაც არ უთქვამს თაყვანს-ვსცემთ ნუბით განგმირულ ქრისტესო, არამედ თქვა — ჯვარცმულ ქრისტესო. ამრიგად, ჯერ-არს თაყვანს ვცემდეთ სასწაულს (ნიშს) ქრისტესი, რამეთუ სადაც სასწაულია იქვე იქნება თვით ქრისტეც. ხოლო იმ წივთიერებას, რომლისაგანაც შექმნილია ჯვრის გამოსახულება, — გინდ ოქრო იყოს ეს, გინდ ძვირფასი ქვები, — ამ გამოსახულების დაშლის შემდგომ (თუკი ამას ადგილი ექნა), არ უნდა ვცეთ თაყვანი. მაშასადამე, ჩვენ თაყვანს ვსცემთ ყოველივე იმას რაც ღმერთს განეკუთვნება, და ამ თაყვანის-ცემის პატივს მივაკუთვნებთ თვით მ ა ს.

ამ ჯვრის წინაშე სახე იყო ხე ცხოვრებისა, რომელიც ღმერთმა სამოთხეში დანერგა; რამეთუ რადგანაც ხის გამო შემოვიდა სიკვდილი ადამიანისათვის, (დაბად. 2, 3), ამიტომ ჯერ-იყო, რომ ხისავე მეშვეობით მონიეზოდა ადამიანს (საუკუნო) სიცოცხლე და მკვდრეთით აღდგომა. იაკობმა, როცა მან თაყვანი სცა იოსების „წვერსა კვერთხისასა“ (დაბად. 47, 31), პირველმა გამოსახა ჯვარი, რადგან „ცვალნა ხელნი“ (ანუ გადააჯვარედინა ხელები) და ამ სახედ აკურთხა იოსების ძენი (დაბად. 48, 14); მისი ამ მოქმედებით აშკარად იქნა გამოსახული ნიში ჯვარისა. იგივეს, ანუ ჯვარს, გამოსახავდნენ

წინასწარ: კვერთხი მოსესი, რომლის ჯვარედინი გადასახვითაც მან მოსწყლა ზღვა, განაპო იგი, რითაც იხსნა ისრაელი ერი, ფარაონი კი დაალრჩო (გამოსვლ. 14, 16); აგრეთვე მოსეს ხელნი, ჯვარედინად ზეაპყრობილნი, რომელთა ძლით აოტა ამალეკი და მისი მხედრობა (გამოსვლ. 17, 11); ასევე მწარე წყალიც, რომელიც მოსემ მასში ძელის შთაგდებით დაატკბო (გამოსვლ. 15, 25), კლდეც, გაპობილი (მოსეს მიერ) კვერთხით საიდანაც წყარო გადმოდინდა (გამოსვლ. 17, 6), ასევე კვერთხიც „განედლებული", რომლითაც აარონმა მღვდელთმთავრობის ღირსება მიიღო (რიცხვთა 17, 8 — 9); გველიც რვალისა, მოსეს მიერ ნადავლად აღმართული ძელზე, თითქოსდა უკვე მოკვდინებული, რომლის ნახვითაც განიკურნებოდნენ ხოლმე საშინელი გველისაგან დაგესლილი ისრაელელები (გამოსვლ. 21, 9), ოღონდ ეს შეხედვა მტრის გამოსახულებისათვის რწმენით უნდა ყოფილიყო აღსავსე; და ეს იმის მსგავსია ქრისტე რომ იყო ჯვარზე მიმსჭვალული ცოდვისათვის იმ სხეულით, რომელმაც ცოდვა არ იცოდა. ამიტომაც, დიდი მოსეც ასე ამბობდა: „და იყოს ცხორებაჲ შენი დამოკიდებულ (ძელსა ზედა) წინაშე თვალთა შენთა[19]" (II სჯული. 28, 66), და ესაია წინასწარმეტყველიც ხომ ამბობს: „განვიპყრენ ხელნი ჩემნი ყოველსა დღესა ერისა მიმართ ურჩისა და მაცილობელისა, რომელნი არა ვიდოდეს გზასა კეთილსა, არამედ შემდგომად ცოდვათა მათთა" (ესაია 65, 2). ეს ყოველივე წინა სახეა უფლის ჯვარისა და ნაწინასწარმეტყველებია კიდეც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ უფლის მაცხოვნებელი ჯვარისათვის; და ნეტამც, ჩვენ, რომელნიც თაყვანს ვსცემთ უფლის პატიოსან ჯვარს, მივიღებდეთ ნაწილს ჯვარცმულ ქრისტესთან ერთად და მის ხვედრს ვეზიარებოდეთ! ამინ!

თავი XII

აღმოსავლეთისაკენ თაყვანისცემის შესახებ

ჩვენ შემთხვევით და უბრალოდ როდი ვცემთ თაყვანს (ღმერთს) აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეულნი. გარნა რადგანაც შევდგებით არახილული და ხილული ბუნებისაგან (ანუ სული-

სა და სხეულისაგან), ე. ი. სულიერი და გრძნობისმიერი ბუ-
ნებისაგან, ამიტომ ორგვარსავე თაყვანისცემას მივაგებთ
ღმერთს, მსგავსად იმისა, როგორც, ვთქვათ, ვგალობთ კიდეც
ორგვარად —გონებითაც და ხორციელი ბაგეებითაც, ანდა ნა-
თელს ვიღებთ კიდეც ორგვარად — წყლითა და სულიწმიდით,
და ასევე ორგვარი სახით ვუერთდებით კიდეც უფალს, რაკი
ვეზიარებით სულიწმიდის საიდუმლოთ და მადლს.

ამრიგად, რადგანაც ღმერთი არის სულიერი ნათელი (I იო-
ანე 1, 5), და ქრისტე საღმრთო წერილში იწოდება „მზედ სი-
მართლისა" (მალაქ. 4, 2) და აღმოსავლეთად (ზაქარია 3, 8), —
ამიტომაც ჯერ-არს თაყვანისცემისათვის მ ა ს აღმოსავლეთი
მივუძღვნათ ხოლმე. რამეთუ ყოველივეცა მშვენიერი ყოველ-
თვის ღმერთს უნდა მივუძღვნათ, რ ო მ ლ ი ს ა გ ა ნ ა ც უხ-
ვად გადმოიღვრება ყოველგვარი სიმშვენიერე და სიკეთე. აკი
ღვთაებრივი დავით მეფეც ბრძანებს: „მეფენი ქვეყნისანი აქებ-
დით ღმერთსა და უგალობდით ღმერთსა უფალსა, რომელი —
იგი ამაღლდა ცასა ცათასა ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი თ, ესერა მოს-
ცეს ხმაჲ თვისი, ხმაჲ ძლიერებისაჲ" (ფსალმ. 67, 33 — 34).
კვალად, საღმრთო წერილი ამბობს: „და დაასხა ღმერთმან სა-
მოთხე ედემისა ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი თ, და დადვა მუნ კაცი იგი,
რომელ შექმნა" (დაბად. 2, 8); ცოდვით დაცემის შემდეგაც,
როცა ადამი დაისაჯა, ღმერთმა „განხადა ადამ (სამოთხისაგან)
და დაამკვიდრა იგი წინაშე საშვებელსა სამოთხისასა" (დაბად.
3, 28), და ეს ადგილი, ეჭვსგარეშეა დასავლეთით უნდა ყოფი-
ლიყო სამოთხისაგან. მაშასადამე, ვეძიებთ რა ჩვენს ოდინდელ
მამულსა და სამკვიდრებელს და მივმართავთ რა მზერას მის-
კენ (ანუ აღმოსავლეთისაკენ), ჩვენ ამით თაყვანს ვცემთ
ღმერთს. მოსეს კარავსაც ხომ კრეტსაბმელი და განსაწმენდე-
ლი (საკურთხეველი) აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა; იუდას
ტომიც ხომ, როგორც ისრაელის სხვა ტომებზე აღმატებული,
ბანაკით აღმოსავლეთის მხარეს იყო დამკვიდრებული; ანდა სო-
ლომონის ტაძარსაც ხომ კარიბჭე აღმოსავლეთით ჰქონდა! მაგ-
რამ უფალიც ხომ, ჯვარს მიმსჭვალული, დასავლეთისაკენ იყო
პირმიქცეული, და, ამგვარად, როცა ჩვენ თაყვანს ვცემთ
ღმერთს, პირმიქცეულნი აღმოსავლეთისაკენ, სწორედ მ ა ს
შევყურებთ პირდაპირ თვალებში! და ზეცად ამაღლებისასაც

ხომ სწორედ აღმოსავლეთისაკენ აღმაღლდებოდა ი გ ი, და მოციქულნიც ხომ სწორედ ასე, აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეულნი სცემდნენ მ ა ს თაყვანს, და ი გ ი ც ხომ „ეგრეთვე მოვიდეს“, როგორადაც მოციქულებმა იხილეს „აღმავალი ზეცად“ (საქმე მოციქ. 1, 11), და ამის შესახებ უფალმა ხომ თვით უთხრა თავის მოციქულებს: „რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ“ (მათე 24, 27). ამრიგად მოველით რა მ ი ს (მეორედ) მოსვლას აღმოსავლეთიდან, ამიტომ აღმოსავლეთისაკენ ვცემთ კიდეც მ ა ს თაყვანს. ამასვე გვაუწყებს მოციქულთა ზეპირი გადმოცემაც, რამეთუ მათ მრავალი რამ გადმოგვცეს ისე, რომ დაწერილი არ დაუტოვებიათ[20].

თ ა ვ ი XIII

უფლის წმიდა და ყოვლადწმიდა საიდუმლოთათვის.

სახიერმა, ყოვლადსახიერმა და უსახიერესმა ღმერთმა, რომელიც არის სრულიად სახიერება, თავისი სიკეთის უსაზომო სიმდიდრისა გამო არ ინება, რომ სახიერება ანუ მ ი ს ი ყოვლად არსი ბუნება, მარტო გიებულიყო და არავინ ჰყოლოდა თავისი თანა-მოზიარე, გარნა ამისთვის, რათა თანამოზიარე ჰყოლოდა თავისი სახიერებისა, მ ა ნ შეჰქმნა, პირველ ყოვლისა, გონიერებით შემოსილი ზეციური ძალები, მერმე ხილული და გრძნობისმიერი სამყარო და ბოლოს ადამიანიც, შემდგარი გონიერი და გრძნობისმიერი ბუნებებისაგან. ამრიგად, ყოველივე, შექმნილი მ ი ს მიერ, თვით თავისი არსებობით არის მონაწილე ღმრთის სახიერებისა. თვით ი გ ი არის არსებობა ყველაფრისათვის, „რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი“ (რომ. 11, 36), მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მ ა ნ მიანიჭა ყოველივეს არსებობა, არამედ იმიტომაც, რომ მ ი ს ი ძალა ინარჩუნებს და იცავს ყოველივეს, მ ი ს მიერ შექმნილს; ხოლო განსაკუთრებით ღმერთის სახიერებაში ცოცხალი არსებანი მონაწილეობენ როგორც თვით თავიანთი არსებობის გამო, ასევე იმიტომაც, რომ ეზიარებიან მ ი ს მი-

ერ სიცოცხლეს; ამათზე უმეტეს კი გონიერი არსებანი მონაწილეობენ ღმერთის სახიერებაში არამხოლოდ ზემოთნათქვამი მიზეზისა გამო, არამედ იმიტომაც, რომ ისინი გონიერნი არიან, და ამით რამდენადმე კიდევ უფრო ახლოს არიან მ ა ს თ ა ნ თუმცა კი ღმერთი შეუდარებლად აღმატებულია ყოველივეზე[21].

ადამიანმა, რაკი ის გონიერი და თავისუფალი არსებაა, უფლება მიიღო განუწყვეტლივ ღმერთთან ერთობაში იყოს თავისი საკუთარი ნებელობის გზით, თუკი სიკეთეში ჰგიებს, ანუ თუკი მორჩილი იქნება თავისი შემოქმედისა. მაგრამ რადგანაც იგი გარდახდა თავისი შემოქმედის მცნებას და ამის გამო სიკვდილსა და ხრწნილებას ეწია, ამიტომ შემოქმედი და შემქმნელი ჩვენი მოდგმისა, თავისი უზომო მოწყალებით, ჩვენი მსგავსი შეიქნა, ყველაფრით ადამიანი გახდა, გარდა ცოდვისა, და ჩვენს, ადამიანურ ბუნებას შეუერთდა. რამეთუ, რადგან მ ა ნ საკუთარი ხატი მოგვანიჭა და თავისი სუნთქვაც გვიწილადა, ჩვენ კი ვერ შევინარჩუნეთ ეს, ამიტომ ი გ ი თავის არსებაში მიიღებს ჩვენს უბადრუკ და უძლურ ბუნებას იმისათვის, რომ განგვწმიდოს ჩვენ, გვიხსნას ხრწნილებისაგან და კვლავ გაგვხადოს ღირსნი ვიყოთ თანაზიარნი მ ი ს ი ღმრთაებისა.

მაგრამ ჯერ-იყო, რომ არამხოლოდ საწყისი ჩვენი ბუნებისა გამხდარიყო თანაზიარი უკეთესი ხვედრისა, არამედ ყოველი მეორე ადამიანიც, მსურველი ამისა, ანუ ჯერ-იყო, ყოველი ადამიანი შობილიყო მეორე შობით და მას ესაზრდოვა ახალი საზრდოთი შესატყვისით ასეთი შობისა, და ამგვარად მიეღწია თავისთვის შესაფერი სრულყოფილებისათვის. ამიტომაც უფალმა თავისი შობით, ანუ ხორციელ-ქმნითა და განკაცებით, თავისი ნათლის-ღებით, ვნებითა და მკვდრეთით აღდგომით გაანთავისუფლა ჩვენი ბუნება პირველმშობელთა ცოდვისაგან სიკვდილისა და ხრწნილებისაგან და თვით შეიქნა ჩვენთვის დასაბამად (ჩვენი მკვდრეთით) აღდგომისა, თავისი თავით გვიჩვენა რა გზა, სახე და მაგალითი იმისა, რომ ჩვენც, შედგომილნი მ ი ს ნატერფალთ, ძენი გავმხდარიყავით ღმრთისა, ანუ იმად შევქმნილიყავით, რაც თვით ი გ ი ა თავისი ბუნებით — მ ი ს ი თანამემკვიდრენი. ამრიგად, როგორც უკვე ვთქვი, მ ა ნ მოგვცა მეორედ შობის ძალი, რათა ჩვენ როგორადაც ადამისაგან ვიშევით და ადამსავე დავემსგავსეთ მემკვიდრე-

ობით მივიღეთ რა მისგან წყევა-შეჩვენება და სიკვდილის ხრწნილება, ამგვარადვე მ ი ს გ ა ნ ა ც (ქრისტეთაგანაც) შობილნი, მ ი ს მიერ მ ი ს ი მსგავსნი-შევქმნილიყავით და დაგვემკვიდრებინა უხრწნელება საუკუნო ცხოვრებისა, მ ი ს ი კურთხევა და დიდება.

მაგრამ რადგანაც ეს (ახალი) ადამი (ანუ ქრისტე) — სულიერია, ამიტომ ჯერ-იყო რომ მ ი ს ი (მისმიერი) შობაც სულიერი ყოფილიყო, ისევე, როგორც მ ი ს ი (მისმიერი) საზრდოც. ხოლო რადგანაც ჩვენ (ადამიანები) ბუნებით ორადნი ვართ, შედგენილნი სულიერი ბუნებისაგან და ხორციელი ბუნებისაგან, ამიტომ ასევე ჯერ-იყო, რომ ჩვენი შობაც — ორმაგი ყოფილიყო, ისევე, როგორც საზრდოც — შედგენილი. სწორედ ამის გამო მოგვეცა ჩვენ (ხელახალი, მეორედ) შობა წყლითა და სულიწმიდით, — მე ვლაპარაკობ წმიდა ნათლისღების შესახებ, — ხოლო საზრდო — თვით „პურია ცხოვრებისა", უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, „რომელი გარდამოხდა ცით" (იოანე 6, 35; 4), რამეთუ მ ა ნ ემზადებოდა რა ნებაყოფლობითი სიკვდილის მისაღებად ჩვენი ხსნისათვის, იმ ღამეს, როცა მისცა თავი თვისი, ახალი აღთქმა უანდერძა თავის წმიდა მოწაფეებს და მოციქულებს, ხოლო მათი მეშვეობით ჩვენც, ყველას, ვისაც კი სწამს მ ი ს ი.

ქორწილი წმიდა და დიდებული სიონისა, როცა უფალმა თავის მოწაფეებთან მიიღო ძველი აღთქმის პასექი და აღასრულა ძველი აღთქმა[22], მ ა ნ ფერხნი დაბანა მოწაფეებს, რითაც სიმბოლო უჩვენა წმიდა ნათლისღებისა; შემდეგ პური განტეხა, მისცა მათ და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი", განტეხილი თქვენდა მოსატევებლად ცოდვათა (მათე 26, 25). ამგვარადვე აიღო რა ბარძიმი ღვინითა და წყლით სავსე, მიაწოდა თავის მოწაფეებს და უთხრა: „სუთ ამისაგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა" (მათე 26, 27 — 28); „ესე სასუმელი ახალი რჩეული არს სისხლისა ჩემისაჲ. ამას ჰყოფდით, რაოდენ-გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსახსენებლად, რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკვდილსა უფლისასა მიუთხრობდით და მკვდრე-

თით აღდგომა მისი აღიარეთ, ვიდრემდის მოვიდეს“ (I კორინთ. 11, 25 — 26)[23].

ამრიგად, თუკი „ცხოველ არს სიტყვაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ“ (ებრ. 4, 12) და თუკი „...რაოდენი ინება უფალმან, ქმნა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“ (ფსალმ. 134, 6); თუკი მ ა ნ თქვა: „იქმენინ ნათელი, და იქმნა, იქმენინ სამყარო... და იქმნა“ (დაბად. 1, 3, 6); თუკი „სიტყვითა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს, და სულითა პირისა მისიაჲთა — ყოველი ძალი მათი“ (ფსალმ. 32, 6); კვალად თუკი ცა და ქვეყანა, ცეცხლი და ჰაერი და ყოველივეც, რაც ამკობთ მათ, უფლის სიტყვით შეიქმნენ, და ასევე უფლისავე სიტყვით შეიქმნა ეს უკეთილშობილესი ცოცხალი არსებაც — ადამიანიც; დაბოლოს, თუკი თვით სიტყვა ღმერთი თავისი ნებისაებრ ადამიანი შეიქნა და წნიდა მარადის ქალწულის უბიწო სისხლთაგან შეისხა ხორცი და განკაცდა, — მაშინ, თუკი ყოველივე ეს ასეა, ნუთუ მ ა ს ისიც აღარ ძალუძს, რომ პური თავის სხეულად (ხორცად) გარდაქმნას, ხოლო ღვინო და წყალი — თავის სისხლად?! დასაბამად მ ა ნ თქვა: „აღმოამორჩენ ქვეყანამან მწვანვილი თივისაჲ“, ანუ ბალახი (დაბად. 1, 11), და იგიც, წვიმით მორწყული, დღესაშომდე აღმოაცენებს მცენარეულობას, აღძრული და განმტკიცებული საღმრთო ბრძანებით. (ასევე აქაც) ღმერთმა თქვა — „ესე არს სისხლი ჩემი“-ო, და „ამას ჰყოფდით ჩემდა მოსახსენებლად“-ო, და რაკი მ ა ნ თქვა, მ ი ს ი ყოვლადძლიერი ნებით ასეც არის და ასე იქნება მარადის, ვიდრე უფალი კვლავ არ მოვალს ამქვეყნად, რამეთუ ასეც ითქვა — „ვიდრემდის მოვიდოდეს“-ო (I კორინთ. 11, 26); და ლოცვა-ვედრებით მოგვევლინება ხოლმე წვიმა ამ ახალი მიწისმოქმედებისათვის — განმაცისკროვნებელი ძალა სულიწმიდისა[24]; რამეთუ როგორადაც სულიწმიდის მოქმედებით შეჰქმნა ღმერთმა ყოველივე, რაც კი არსებობს, ამგვარადვეა ახლაც: სულიწმიდის მოქმედება იმას აღასრულებს, რაც აღმატებულია ბუნებაზე და რისი დატევნაც სხვას არაფერს ძალუძს, თუ არ მხოლოდ რწმენას. „ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა“-ო, ამბობს გაოცებული წმიდა ქალწული. — „რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?!“, და მთავარანგელოზი გაბრიელი მიუგებს: „სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაი გფარვიდეს შენ“

(ლუკა 1, 35). შენ, კი, ჰოი, ადამიანო, აწ იმას კითხულობ — თუ როგორ გარდაიქმნებაო პური ქრისტეს ხორცად, ხოლო ღვინო და წყალი — მ ი ს სისხლად?! და აი, მეც გეტყვი შენ: სულიწმიდა გარდამოვალს და აღასრულებს ამ საქმეს, აღმატებულს ყოველგვარ გონებასა და აზრზე[25].

ხოლო პური და ღვინო იმისთვისაა აღებული ამ საქმის აღსასრულებლად, რომ ღმერთმა უწყის ადამიანის უძლურება, რის გამოც ის უსიამოდ შეაქცევს ხოლმე ზურგს ყოველივე იმას, რაც ჩვეულებას არ ეთანხმება. ამიტომაც თავისი ჩვეული შემწყნარებლობით ჩვენდამი, ღმერთი ბუნებით ჩვეულებრივის გზით აღასრულებს იმას, რაც აღმატებულია ბუნებაზე. და როგორადაც ნათლის-ღებისას ღმერთი ზეთითა და წყლით შეაზავებს სულიწმიდის მადლის მოქმედებას, — რამეთუ ადამიანთა შორის, ჩვეულებრივ, მიღებულია განბანვა წყლით და ცხება ზეთით, — და ამით ნათლის-ღებას შექმნის „ბანვად მად მეორედ შობისა" (ტიტეს მიმართ, 3, 5), ამგვარადვე აქაც, წმიდა ზიარების საიდუმლოში, ღმერთმა ამ ნივთიერებებთან — პურსა, ღვინოსა და წყალთან — შეაზავა თავისი ღმრთაება, და თავის ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად გარდაქმნა ისინი, რადგან ადამიანები, ჩვეულებრივ, პურს გამოიყენებენ საზრდოდ, ხოლო სასმელად ღვინოსა და წყალს მოიხმარენ და ეს, მაშასადამე, იმისთვის აღსრულა, რომ ჩვენ, ჩვეულისა და ბუნებრივის გზით ვზიარებოდით იმას, რაც აღმატებულია ბუნებაზე[26].

სხეული ჭეშმარიტად უერთდება ღმრთაებას, — წმიდა ქალწულისაგან შობილი სხეული, მაგრამ უერთდება იმიტომ კი არა, თითქოს ამაღლებული სხეული ცით გარდამოხდება, არამედ იმიტომ, რომ თვით პური და ღვინო (წყალითურთ) გარდაისახებიან ღმერთის ხორცად (სხეულად) და სისხლად. ხოლო თუკი შენ ადამიანო, გამოიძიებ, თუ კერძოდ როგორ და რა სახით აღსრულდება ეს, მაშინ შენთვის საკმარისი იქნება მოისმინო, რომ ეს საქმე სულიწმიდის შეწევნით აღსრულდება, მსგავსად იმ საქმისა, როცა უფალმა სულიწმიდისავე შეწევნით შეისხა თავის არსებაში ხორცი და განკაცდა წმიდა ღვთისმშობელისაგან. ამის უმეტეს ჩვენ არა ვუწყით, და ვუწყით ის, რომ ს ი ტ ყ ვ ა ღმრთისა ჭეშმარიტია ქმედითი და

ყოვლადძლიერია, ხოლო რაგვარობა და წესი ამ გარდასახვისა — გამოუკვლეველია. შეიძლება, აგრეთვე, ასეც ითქვას, რომ როგორადაც პური — ჭამის გზით, ხოლო ღვინო და წყალი — დალევის გზით, — ბუნებრივად გარდაისახებიან სხეულად და სისხლად მათი მიმღებისა, და არ იქცევიან სხვა სხეულად მის უწინდელ სხეულთან შედარებით, ასევე საზიარებელი პური, ღვინო და წყალიც სულიწმიდის მოხმობითა და გარდამოსვლით ზებუნებრივად გარდაისახებიან ქრისტეს ხორცად (სხეულად) და სისხლად, და უკვე ორი რამ კი აღარ არიან, არამედ ერთიანი და ერთი და იგივე რამ.

ამიტომაც, წმიდა ზიარების ღირსეულად და ჯეროვნად მიმღებთათვის იგი (ზიარება) მოასწავებს ცოდვათა მოტევებას და საუკუნო ცხოვრების დამკვიდრებას, და დაცვას როგორც სულისა, ასევე სხეულისაც; ხოლო ურწმუნოებით და უღირსად მიმღებთათვის წმიდა ზიარებისა, იგი მოასწავებს სასჯელსა და განკითხვას, მსგავსად იმისა, როგორც უფლის სიკვდილიც ჯვარზე მორწმუნე ადამიანებისათვის სიცოცხლედ და უხრწნელებად შეიქმნა საუკუნო ნეტარების დამკვიდრებაში, ურწმუნოთა და უფლის მომკვლელთათვის კი — სასჯელად და ხრწნილებად საუკუნო ტანჯვაში.

(ზიარების) პური და ღვინო (წყალითურთ) — არ არის სახე თუ ხატი ქრისტეს სხეულისა და სისხლისა[27] (ნუ იყოფინ!), არამედ თვით განღმრთოებული სხეული და სისხლია უფლისა, რამეთუ თვით უფალი ბრძანებს: ესე არს ხორცი ჩემიო, და არა — ხატი (სახე) ჩემი ხორციისაო; და კვალად ამბობს: ესე არს სისხლი ჩემიო, და არა ხატი (სიმბოლო) ჩემი სისხლისაო. და მანამდეც, ანუ ამ სიტყვების წარმოთქმამდეც, ქრისტე ეუბნებოდა იუდეველებს: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და სვათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქვენთა... ხორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“, და კიდევ: და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხოვნდეს ჩემ მიერ“ (იოანე, თავი 6, მუხლები: 53, 55, 57).

ამიტომ საღმრთო შიშით, წმიდა სინდისითა და შეუეჭვებელის რწმენით შევუდგეთ ხოლმე წმიდა ზიარების საიდუმლოს, და უსათუოდ გვექმნება რწმენისაებრ ჩვენისა. პატივი

მივაგოთ ამ საიდუმლოს სრულის სიწმინდით სულისა და სხეულისა, რადგან იგიც ორადია. მგზნებარე სურვილით მივეახლოთ მას და, ჯვარისაებრ დავიკრებთ რა გულზე ხელებს, თრთოლვით მივიღოთ სხეული ჯვარცმულისა; მივაპყრობთ რა მას თვალებს, ბაგეებსა და შუბლს, ასე ვეზიაროთ ღვთაებრივ ნაკვერცხალს, რათა ჩვენს არსებაში მოგიზგიზე ცეცხლმა, ანთებულმა ამ ნაკვერცხლით, დასწვას ჩვენი ცოდვები და გულნი განგვინათლოს, და რათა ღვთაებრივ ცეცხლთან ზიარებით ჩვენც ასეთი ცეცხლით აღვინთოთ და განღმრთოებულ ვიქნეთ. მგზნებარე ნაკვერცხალს ჰვრეტდა ესაია წინასწარმეტყველი; მაგრამ ნაკვერცხალი უბრალო ხე როდია, არამედ ცეცხლთან შეერთებული ხეა; ასევე ზიარების პურიც უბრალო (ჩვეულებრივი) პური როდია, არამედ ღმრთაებასთან შეერთებული პურია. ხოლო სხეული, შეერთებული ღმრთაებასთან, ერთი ბუნება კი არ არის, არამედ — ორია: ერთია თვით სხეულის ბუნება, და სხვაა — მასთან შეერთებული ღმრთაების ბუნება; ასე, რომ ერთიცა და მეორეც (ანუ ღმრთაებაცა და სხეულიც) — ერთი ბუნება კი არ არის, არამედ — ორი ბუნებაა[28].

მელქისედეკი, „მღვდელი ღმრთისა მაღლისა" (დაბად. 14, 18), პურითა და ღვინით შეეგება აბრაჰამს, რომელიც უცხოტომთა დამარცხების შემდეგ ბრუნდებოდა; ის ტრაპეზი წინასახე იყო ამ საიდუმლო ტრაპეზისა, ისევე, როგორც ეს მღვდელიც (მელქისედეკი) იყო ხატი და მსგავსება ჰეშმარიტი პირველმღვდელმთავრის — ქრისტესი, რამეთუ საღმრთო წერილში ნათქვამია: „შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა" (ფსალმ. 109, 4). ამ პურს გამოსახავდნენ აგრეთვე პურნი წინადაგებისანი; ესაა წმიდა და უსისხლო მსხვერპლი, რომელსაც, როგორც უფალმა თქვა წინასწარმეტყველის პირით, მ ა ს მოუტანდნენ შესაწირად „აღმოსავალთაგან მზისათაგან და ვიდრე დასავალთადმდე" (მალაქ. 1, 11). (ზიარებით) ხორცი და სისხლი ქრისტესი შემოდიან ჩვენი სულისა და სხეულის შედგენილობაში[29] იმგვარად, რომ არც განილევიან, არც განიხრწნებიან და არც გარე განიგდებიან (ნუ იყოფინ!), არამედ შემოდიან ჩვენს შედგენილობაში ჩვენი არსის დასაცავად, ყოველგვარი ზიანის მოსაცილებლად ჩვენგან

და ჩვენს განსაწმენდად ყოველნაირი ბიწისაგან; თუკი აღმოჩნდება ჩვენს არსებაში „ყალბი ოქრო“, სამსჯავროს ცეცხლითა და შემდგომი წურთვნით განგვწმედენ, რათა „არა სოფლისა თანა განვისაჯნეთ“ მომავალ საუკუნო ცხოვრებაში (I კორინთ. 11, 32); ხოლო განგვწმედენ სნეულებებითა და ყოველგვარი უბედურების ჩვენზე მოწევნით, ვითარცა ბრძანებს ღვთაებრივი (პავლე) მოციქული: „...უკუეთუმცა თავთა თვისთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით. ხოლო განთუ-ვიკითხვით, უფლისა მიერ განვისწავლებით, რაადთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“ (I კორინთ. 11, 31 — 32). აი, სწორედ ამას ნიშნავს მისივე სიტყვები, როცა გვეუბნება: „რომელი არა-ღირსად ჭამდეს და სუმიდეს“ უფლის ხორცსა და სისხლს, ანუ ვინც უღირსად ეზიარება წმიდა საიდუმლოს, იგი „დასაშჯელად თავისა თვისისა ჭამს და სვამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი უფლისანი“ (I კორინთ. 11, 29). განწმედილნი ამით (ზიარებით), ჩვენ ვუერთდებით უფლის სხეულს და მ ი ს სულს და შევიქნებით სხეულად ქრისტესი.

ეს პური არის საწყისი მომავალი პურისა, რომელიც არის არსობის პური, რამეთუ სიტყვა — „არსობისა“ — აღნიშნავს მომავლის ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანდა იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ. მაშასადამე, ორსავე შემთხვევაში ქრისტეს სხეული თანაბარი ჯეროვნობით იწოდება არსობის პურად, რამეთუ უფლის ხორცი — არის ცხოველმყოფელი სული, იმიტომ, რომ ჩასახულია ცხოველმყოფელი სულიწმიდის მიერ, ხოლო „შობილი იგი სულისაგან — სული არს“ (იოანე 3, 6). მაგრამ ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ მოისპოს ბუნება სხეულისა, არამედ იმისთვის, რომ მსურს წარმოვაჩინო ცხოველმყოფელობა და ღვთაებრივობა ამ საიდუმლოსი.

თუკი ზოგიერთი უწოდებდა კიდეც პურსა და ღვინოს სახეს უფლის სხეულისა და სისხლისა[30], როგორც ამბობს, მაგალითად, ღმერთშემოსილი ბასილი დიდი, აქ განწმედის შემდგომდროინდელ პურსა და ღვინოს კი არ გულისხმობდნენ, არამედ განწმედამდე აღებულთ, და ასე უწოდებდნენ თვით შესაწირს.

ხოლო ზიარებად ეს საიდუმლო იმიტომ იწოდება, რომ მისი

მეშვეობით ჩვენ თანაზიარნი შევიქნებით იესუს ღმრთაებისა. კცალად, იგი ერთობადაც იწოდება, და ჭეშმარიტად არის კიდეც ერთობა, იმიტომ, რომ მისი მეშვეობით ჩვენ ერთიანი ვხდებით ქრისტესი და თანამოზიარენი ვხდებით მ ი ს ი ხორცისა და ღმრთაებისა; მეორეს მხრივ კი, მისი (ზიარების) მეშვეობით ჩვენ ერთურთის თანაზიარნი ვხდებით და ვერთიანდებით; რამეთუ რადგანაც ყველანი ერთ პურს ვეზიარებით, ამიტომ ერთი ხორცი შევიქნებით ქრისტესი, და ამით — ერთი სისხლი და ერთი სხეულის ნაწილნი, ანუ „თანა-ხორცნი, თანა-მკვიდრნი და თანა-მყოფნი ქრისტესი“ (ეფეს. 3, 6).

ამიტომ მთელის ძალით უნდა ვეცადოთ იმას, რომ არ მივიღოთ ხოლმე ზიარება მწვალებელთაგან და არც ჩვენ მიეცეთ მათ ჭეშმარიტი ზიარების მიღების საშუალება. აკი თვით უფალიც ასე გვიბრძანებს: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, წუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განხეთქნენ თქვენ“ (მათე 7, 6), ანუ რათა არ შეიქნათ თანაზიარნი და თანამონაწილენი გარდაქცეული სწავლებისა და ამით მათს ხვედრ გაკიცხვას არ ვეწიოთ. რამეთუ თუკი ზიარების მეშვეობით ნამდვილად აღსრულდება ერთიანობა ქრისტესთან და ჩვენიც — ერთმანეთთან, მაშინ ჩვენ თავისუფალი კეთილგანწყობით ნამდვილადვე ვერთიანდებით ყველა იმ ადამიანთანაც, ვინც, ჩვენთან ერთად ეზიარება; რადგანაც ეს გაერთიანება ხდება ჩვენი თავისუფალი ნების მიერ, სწორედ ჩვენი თანხმობით. „ერთ პურ და ერთ ხორც ჩვენ მრავალნი ესე ვართ“, იმიტომ, რომ „ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქვს“, Rოგორც ამას ღვთაებრივი მოციქული ბრძანებს (I კორინთ. 10, 17).

ხოლო სახედ მომავალისა (პური და ღვინო) იმ მნიშვნელობით კი არ იწოდება, თითქოს ისინი ჭეშმარიტად ქრისტეს ხორცი და სისხლი არ იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ აწინდელ ჟამს ჩვენ მათი მეშვეობით ვეზიარებით ქრისტეს ღმრთაებას, მომავალ (საუკუნო) ცხოვრებაში კი სულიერად ვეზიარებით ხოლმე ღმერთს, — მხოლოდდამხოლოდ ჭვრეტით მისი პირისა.

უფლისა წარმომავლობისა და წმიდა ღვთისმშობლისათვის

ზემოთ ჩვენ რამდენადმე უკვე შევეხეთ წმიდა ყოვლადდიდებული მარადის ქალწულისა და ღვთისმშობლის — მარიამის პიროვნებას, და დავადგინეთ კიდეც ყველაზე აუცილებელი რამ, კერძოდ კი ის, რომ იგი საკუთრივი აზრითა და ჭეშმარიტადაც არის და იწოდება ღვთისმშობელად. ახლა კი სხვაც გვსურს ვთქვათ მის შესახებ, და ამით შევავსოთ ზემოთქმული.

ღმრთის წინადსაუკუნო და წინადმცნობელი განგებულებით წინასწარგანჩინებული, წინასწარუწყებული და წინასწარწარმოდგენილი სულიწმიდის მიერ წინასწარმეტყველთა სხვადასხვა სახისა და სიტყვების მეშვეობით, იგი (ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი) წინათგანსაზღვრულ ჟამს აღმოცენდა დავით მეფის თესლისაგან, თანახმად დავითისადმი მიცემული საღმრთო აღთქმისა; რამეთუ ნათქვამია: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხ-ყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ (ფსალმ. 131, 11); და კიდევ: „ერთგზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს და მე არა ვეცრუო მას. ნათესავი მისი უკუნისამდე ეგოს, და საყდარი მისი ვითარცა მზე წინაშე ჩემსა, და ვითარცა მთოვარე განმტკიცებული უკუნისამდე და მოწამე სარწმუნოჰ ცათა შინა“ (ფსალმ. 88, 36 — 38); კვალად ესაია წინასწარმეტყველიც ამბობს: „და გამოვიდეს კვერთხი ძისაგან იესესსა, და ყვავილი — ძირისაგან მისისა აღმოხდეს“ (ესაია 11, 1). წმიდა მახარებლებმა მათემ და ლუკამ ნათლად გვიჩვენეს, რომ იოსები დავითის ტომისაგან იყო წარმომავლობით; მაგრამ მათეს მიხედვით იოსების გვარტომობა სოლომონისაგან მომდინარეობს, ლუკას მიხედვით კი — ნათანისაგან, ამასთან წმიდა ქალწულის წარმომავლობის შესახებ ორივე მახარებელი არაფერს გვაუწყებს[31].

ამიტომაც, უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერბაელთა შორის იყო ჩვეულებად და არც საღმრთო წერილში გვაქვს მოცემული დედაკაცთა წარმომავლობის აღრაცხვა. მაგრამ, ამასთანავე, არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც (ისრაელთა) ერთ რომელიმე ტომს არ შეეძლო რძლების მოყვანა სხვა (ისრაე-

ლისავე) ტომისაგან (რიცხვთა 36,7). იოსებიც, რაკი დავითის ტომიდან იყო წარმომავლობით და მართალი მორწმუნეც იყო (მისდა საქებრად ამას გვიდასტურებს საღმრთო სახარებაც), არავითარ შემთხვევაში სჯულის საწინააღმდეგოდ არ დაიწინდებოდა სხვა ტომის დედაკაცზე; ასე, რომ წმიდა ქალწული უეჭველად იმავე ტომის წარმომადგენელი იყო, რომლიდანაც მართალი იოსები მომდინარეობდა. ამიტომაც წმიდა მახარებელისათვის სავსებით საკმარისი იყო აღენიშნა იოსების წარმომავლობა, საიდანაც მის მიერ დაწინდულის გვარტომობაც ნათელი გახდებოდა.

უნდა ვიცოდეთ აგრეთვე შემდეგიც: არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც თუკი კაცი უშვილოდ გადაეგებოდა, გარდაცვლილის ძმას უნდა ცოლად შეერთო მისი ცოლი და თესლი აღედგინა თავისი ძმისათვის, (მეორე სჯული 25, 5). ამიტომაც ამგვარი ქორწინებისაგან შობილი ბუნებით, რა თქმა უნდა, მეორეს ეკუთვნოდა, ანუ მშობელს, კანონის (სჯულის) მიხედვით კი — პირველს, ანუ გარდაცვლილს.

ამგვარად, ლევიმ, წარმოშობით დავითის ძის — ნათანისაგან, შვა მელქი, და პანთვირი; პანთვირმა შვა ძე, წოდებული ბარპანთვირად, და სწორედ ამ ბარპანთვირმა შვა იოაკიმე, მამა წმიდა ღვთისმშობელისა. ხოლო მატთანს, რომელიც წარმოშობით დავითის ძის სოლომონისაგან იყო, ჰყავდა ცოლი, რომლისაგანაც შვა იაკობი. მას შემდეგ, რაც მატთანი მოკვდა მელქიმ, გვარტომობით ნათანის გვარისამან, ძემ ლევისა, პანთვირისა კი — ძმამ, ცოლად შეირთო მატთანის ცოლი, ანუ დედა იაკობისა, და შვა მისგან ილია. ამრიგად, იაკობი და ილია დედით ძმები არიან: იაკობი — სოლომონის ნათესავისაგან, ილია კი — ნათანისა. ილია, რომელიც ნათანისაგან მომდინარეობდა, უშვილოდ გარდაიცვალა; მისი ცოლი იაკობმა შეირთო, მისმა ძმამ, რომელიც სოლომონის თესლისაგან მომდინარეობდა, და მემკვიდრეობა აღუდგინა თავის ძმას, — შვა მართალი იოსები. მაშასადამე, იოსები ბუნებით არის ძე იაკობისა, სოლომონის ნათესავისაგან, სჯულით კი — არის ძე ილიასი, ნათანის ნათესავისაგან.

იოაკიმე დაქორწინდა ღირსად პატივგებულ და ღირსად ქებულ წმიდა ანნაზე. და როგორც ოდესღაც უნაყოფო ანნამ,

ლოცვითა და ღმრთისადმი მიცემული აღთქმით სომოელი შვა, ისევე ამ ანნამაც, მასავით უნაყოფომ, ლოცვა-ვედრებითა და ღმრთისადმი მიცემული აღთქმით ღვთისმშობელი მიიღო ღმრთისაგან, რათა იგი არც ამით (ანუ თავისი წარმოშობით) არ ყოფილიყო ნაკლები სხვა სახელოვან დედებზე. ამრიგად, მ ა დ ლ ი რ ა-საც ნიშნავს სახელი ა ნ ნ ა, შობს დ ე დ ო ფ ა ლ ს (რასაც აღნიშნავს კიდეც სახელი მ ა რ ი ა მ ი), რამეთუ მარიამი, შეიქნა რა დედად შ ე მ ო ქ მ ე დ ი ს ა, ნამდვილად გახდა დედოფალი და ბატონი ყოველი ქმნილებისა. ხოლო იშვა იგი იოაკიმეს სახლში, (ცხვრის) ფარეხის კართან, და აღთქმისაებრ, ტაძრად იქნა მიყვანილი. მერმე, ღვთის სახლში დამკვიდრებული, და დანერგილი და აღორძინებული სულიწმიდის მიერ მსგავსად ზეთისხილის ხისა, იგი ყოველგვარი სათნოების შესაკრებელი შეიქნა, განაშორა თავისი გონება ყოველდღიურ ყოფასა თუ ამაქვეყნიურ საზრუნავს, ხორციელ წადილთ და, ამგვარად შეინარჩუნა ქალწულებრივი სული ქალწულებრივ სხეულთან ერთად, ვითარცა ჯერ-იყო იმისათვის, ვისაც თავის წიაღში ღმერთი უნდა მიეღო, რადგან ღმერთი, არის რა თვით ყოვლადწმიდა, წმიდათა თანა იმკვიდრებს. ამრიგად, ღვთისშობელი სიწმიდეთა მიმართ აღმაღლდება და თვითონაც წარმოადგენს წმიდა და საკვირველ ტაძარს, რომელიც ღირსია და განმზადებულია ღმერთის მისაღებად[32].

რადგანაც მტერი ჩვენი ხსნისა (ეშმაკი) ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ქალწულებს ესაიას წინასწარმეტყველების გამო, რომელშიც ის ამბობს: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემანუილ, რომელ არს თარგმანებით — ჩვენ თანა არს ღმერთი“ (ესაია 7, 14), ამიტომ, რათა მ ა ს, „რომელმან შეიპყრნის ბრძენნი სივერაგითა მათითა“ (I კორინთ. 3, 19), შესძლებოდა პყრობა იმისა, ვინც ყოველთვის თავს იქებს სიბრძნით (ანუ ეშმაკისა), ყმაწვილი ქალი დაიწინდა იოსებზე, და ეს იყო, ვითარცა ახალი გრაგნილი იმათთვის, „რომელნი-იგი მოსციან კაცსა ზედმიწევნულსა წერილთასა“ (ესაია 29, 11). და ეს დაწინდვა იყო საფარველი წმიდა ქალწულისათვის, და ამ დაწინდვამ შეაცდინა ის, ვინც ფხიზლად თვალს ადევნებდა ქალწულებს. „ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ“ (გალატ. 4, 4), მაშინ უფლის მიერ წარგზავნილ

იქნა წმიდა ქალწულთაწ ანგელოზი, რომელმაც უფლის ჩასახვა ახარა. ასე ჩასახა მან ძე ღმრთისა, ჰიპოსტასური ძალა მამისა არა ხორციელი წადილისა თუ ზამაკაცის გულისთქმისა, ანუ არა შეერთებისა და თესლისაგან, არამედ სათნოებისაებრ მამისა და შეწევნითა სულიწმიდისა. ამით იგი (წმიდა ქალწული) იმას ემსახურა, რომ შემოქმედი — ქმნილება შექნილიყო, და რომ ძე ღმრთისა და თავად ღმერთი ხორციელ-ქმნილიყო და განკაცებულიყო წმიდა ქალწულის ყოვლადწმიდა და უბიწო სისხლთაგან, და ამით იმას ემსახურა, რომ გარდახდილ ყოფილიყო პირველი დედაკაცის ვალი. რამეთუ როგორადაც იგი (ევა) წარმოიქმნა ადამისაგან შეერთების გარეშე, ასევე ამანაც აღმოაცენა ახალი ადამი, შობილი თანახმად მუცლად-ღების ბუნებრივი კანონებისა და, ამავე დროს, ყოველგვარ ბუნებრივ კანონებზე აღმატებული სახითაც. უმამოდ დედაკაცისაგან ი ს იშვება, ც ი ნ ც მ ა მ ი ს ა გ ა ნ იშვა დედის გარეშე; ის, რომ ი გ ი დედაკაცისაგან იშვება, — თანახმიერია ბუნებრივი კანონისა; ის კი, რომ უმამოდ იშვება, — აღემატება შობის ბუნებრივ კანონებს. კვალად, ის, რომ ი გ ი იშვებ ჩვეულებრივ, დადგენილ ჟამს, ანუ ცხრა თვის გასრულების ჟამს და მეათის დასაწყისში, — ეს ეთანხმება მუცლად-ღების და ხაყოფის ტარების კანონს; ის კი, რომ ტკივილის გარეშე იშვება, — აღმატებულია შობის ბუნებრივ კანონზე; რამეთუ ამ შობას წინ არ უსწრებდა სიამენი, და შემდგომაც არ ყოფილა სალმობანი შობისა, თანახმად წინასწარმეტყველის სიტყვებისა, რომელიც ამბობს: „პირველ, ვიდრე ლმობისა შობაჲ“-ო, და კიდევ: „და პირველ, ვიდრე მოსლვად ტკივილსა ლმობათასა, განერა და შვა წული, — ვის ესმა ესევითარი და ვინ იხილა ესრეთ?!“-ო (ესაია 66, 7 — 8).

ამრიგად, მისგან იშვა ძე ღმრთისა განხორციელებული, არაღმერთშემოსილი კაცი, არამედ ხორციელ-ქმნილი ღმერთი, ცხებული არა მოქმედებით, როგორც წინასწარმეტყველია

ცხებული, არამედ სრული მუნმყოფობით მ ც ხ ე ბ ე ლ ი ს ა, იმგვარად, რომ მცხებელი ადამიანი შეიქნა, ცხებული კი—ღმერთი, და ეს მოხდა არა ბუნების ცვალებადობით, არამედ ჰიპოსტასური შეერთებით ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებებისა; რამეთუ ე რ თ ი და ი გ ი ვ ე იყო მცხებელიცა და ცხებულიც: მცხებელი, როგორც ღმერთი და ცხებული როგორც ადამიანი. ამიტომაც განა შეიძლება ღვთისმშობელი არ იყოს ის, ვინც თავისი თავისაგან შვა განხორციელებული ღმერთი?! ჭეშმარიტად, საკუთრივი მნიშვნელობით ამ სიტყვისა — იგი ღვთისმშობელია, ბატონი და მეუფე ყოველი ქმნილებისა, რომელიც მხევალი და დედა შეიქნა შემოქმედისა. და უფალმა, როგორც თავისი ჩასახვისას დაიცვა წმიდა ქალწული უბიწოდ, ასევე თავისი შობის შემდგომაც შეუნარჩუნა მას ქალწულობა, მხოლოდ მ ა ნ ერთმა განვლო დედის საშო ისე, რომ არ დაუზიანებია იგი, „და იყო დახშულ ბჭე ესე“ (იეზეკ. 44, 2). ჩასახვა (უფლის ანგელოზის ხარების) მოსმენით აღსრულდა, შობა კი — ყველა შობილისათვის ჩვეულებრივი გზით; ზოგნი ამაოდ სიბრძნისმეტყველებენ და ცრუდ იტყვიან, თითქოს ი გ ი იშვა ღვთისმშობლის გვერდიდან; ჩვენ კი ვიტყვით, რომ მ ი ს თ ვ ი ს არაფერი არ იყო შეუძლებელი, ისიც, რომ დახშულ ბჭეთა შორის გასულიყო ისე, რომ არ დაეზიანებინა ბეჭედი.

ამრიგად, მარადის ქალწული შობის შემდგომაც წმიდა ქალწულია, და თავის ქმართანაც არასდროს არ ჰქონია (ხორციელი) კავშირი, რის გამოც იწოდება კიდეც მარადის ქალწულად. ხოლო თუკი წერია კიდეც სახარებაში: „და არა იცოდა იგი (იოსებმა), ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და უწოდა სახელი მისი იესუ“-ო (მათე I, 25), — ამის გამო უნდა ვიცოდეთ, რომ სიტყვა — „პირმშო“ — აღნიშნავს იმას, ვინც პირველია შობით, თუნდაც იგი მხოლოდშობილი იყოს; მაშასადამე, პირმშოობა შობით პირველობას აღნიშნავს, და არ მიუთითებს ამასთანავე სხვათა (პირმშოს და-ძმათა) შობაზეც. ხოლო სიტყვა — „ვიდრემდე“ — თუმცა კი აღნიშნავს გარკვეული დროის მონაკვეთს, წინასწარ დადგენილს, მაგრამ, ამასთანავე, როგორც საღმრთო წერილის სხვა მაგალითებიდან ნათლად ჩანს, არ გამორიცხავს მის მომდევნო დროსაც. ასე, მაგალითად, უფალი ეუბნება თავის მოწაფეებს: „და აჰა ესერა, მე თქვენ თანა

ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამინ!“ (მათე 28, 20), და რა თქმა უნდა, ეს ამ აზრით სულაც არა თქვა, თითქოს „სოფლის აღსასრულის“ შემდეგ განზრახული ჰქონდა მათი მიტოვება, რამეთუ ღვთაებრივი (პაველ) ფოციქულიც ხომ ბრძანებს — „...და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფვოდით“-ო (I თესალონიკ. 4, 17), ანუ საყოველთაო საერთო აღდგომის შემდგომაც (მკვდრეთით).

ან კი გახა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ღვთისმშობელი, რომელმაც უწყოდა ვ ი ნ ა ც შვა და შემდეგშიც მთელი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე რწმუნდებოდა მასსე აღსრულებულ ამ დიდ ღვთაებრივ, სასწაულებრივ საქმეში, — განა დაუშვებდა ყოველივე ამის მცნობი ღვთისმშობელი, რომ ქმართან შეერთებულიყო და ჩვეულებრივი ცოლ-ქმრული ცხოვრებით ეცხოვრა?! ნუ იყოფინ! თვით გაფიქრებაც კი აკგვარი რამისა, არათუ ხმამაღლად მტკიცება, ყოვლად მიუღებელი და არაბუნებრივია საღად მოაზროვნე გონებისათვის.

მაგრამ ამ ნეტარმა და ზებუნებრივ ნიჭთა ღირსეულად ფიქრებმა დედამ ის სალმობანი, უფლის შობის ჟამს რომ არ დაუთმენია, სრულად დაითმინა თავისი შვილის ჯვარზე ვნების ჟამს, როცა დედობრივი თანა-ლმობა სასტიკად მოსწყლავდა მის სხეულს და სულსაც მახვილივით განუპობდა ფიქრი იმის დანახვაზე, თუ როგორ აკვდინებენ ვითარცა ავაზაკს, იმას, ვ ი ნ ა ც მან ღმერთად შეიცნო შობისას. სწორედ ამას ნიშნავს წმიდა სახარების სიტყვები, როცა მართალი სვიმეონი ყრმა უფლის მირქმისას ეუბნება ღვთისმშობელს: „და თვითონ შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი, რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი“ (ლუკა 2, 35). მაგრამ ამ უსაზღვრო მწუხარებას განაქარვებს უსაზომო სიხარული უფლის მკვდრეთით აღდგომისა, რომელიც მაუწყებელია იმისა, რომ ხორცით (სხეულით) მომკვდარი — ღმერთია!

თავი XV

წმიდათა და მათი ნაწილების თაყვანისცემისათვის.

ჩვენ პატივს უნდა მივაგებდეთ და ვეთაყვანებოდეთ წმიდანებს, როგორც ქრისტეს მეგობრებს, როგორც შვილებსა და მემკვიდრეებს ღმერთისა, ვითარცა ამას ბრძანებს წმიდა მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი: „...რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფებაᲲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მ ი ს ი“ (იოანე 1, 12). ამიტომ ისინი უკვე მონები კი აღარ არიან, არამედ — შვილები, ძენი ღმრთისა; „ხოლო უკუეთუ შვილ, მკვიდრცა მკვიდრ ღმრთისა თანა და თანა-მკვიდრ ქრისტესა...“ (რომ. 8, 17). აკი თვით უფალიც წმიდა სახარებაში ასე ეუბნებათავის მოციქულებს: „თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქვენ... არღარა გეტყვი თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმს უფალი მისი“ (იოანე 15, 14 — 15). თუკი შემოქმედი ყოველთა და უფალი საღმრთო წერილში იწოდება „მეუფედ მეუფეთა და უფლად უფლებათა“ (გამოცხ. 19, 16), აგრეთვე „ღმერთად ღმერთთა“ (ფსალმ. 49, 1), მაშინ, ეჭვს გარეშეა, მ ი ს ი წმიდანნიც ღმერთნი, უფალნი და მეუფენი ყოფილან, და მათი ღმერთი არის კიდეც და იწოდება კიდეც ღმერთად, უფლად და მეუფედ. „მე ვარ ღმერთი მამისა შენისა“, — ეუბნება უფალი მოსეს. — „ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისააკისი და ღმერთი იაკობისი“ (გამოსვლ. 3, 6). და თვით მოსეც ღმერთმა ღმერთად დაადგინა ფარაონსა ზედა. მე მათ (უფლის წმიდანებს) ღმერთებს, მეუფეებსა და უფალთ ვუწოდებ და არა ბუნებისმიერად, არამედ იმიტომ, რომ ისინი მეუფებდნენ და უფლებდნენ თავიანთ ვნებებზე და წაუხდენლად შეინარჩუნეს მსგავსება ღმრთის ხატისა, თავიანთი შემოქმედისა, რ ო მ ლ ი ს სახედ და მსგავსად შეიქმნენ კიდეც (რამეთუ აკი მეუფის ხატიც მეუფედ იწოდებაI), და კიდევ იმის გამოც, რომ ისინი თავიანთი თავისუფალი კეთილგანწყობით შეუერთდნენ ღმერთს, შეიწყნარეს ი გ ი გულის სამკვიდრებელში და ეზიარნენ რა ღმერთს, მადლის მიერ შეიქნენ იმად, რაც ბუნებისმიერად არის თვით ი გ ი. მაშასადამე, განა შეიძლება პატივს არ მივაგებ-

დეთ იმათ, რომელთაც არ მიუღიათ სახელწოდება ღმრთის ძსახურებისა, მეგობრებისა და შვილებისა (ძეებისა)?! რამეთუ ის პატივი, რომელსაც ჩვენ თანამოსაგრეთა შორის ყველაზე გულმოდგინეთ და წარმეტებულთ მივაგებთ, მიუთითებს ჩვენს კეთილგანწყობაზე ჩვენი საერთო მ ე უ ფ ი ს ა დ მ ი[33].

წმიდანნი შეიქნენ საუნჯეთ-საცავად და წმიდა სამკვიდრებელად ღმერთისთვის: „დავიმკვიდრო და ვიქცეოდი მათ შორის", — ამბობს უფალი ღმერთი. — „და ვიყო მე მათა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად" (II კორინთ. 6, 16)." მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა, და არა შეეხოს მათ ტანჯვა და სიკვდილი" (სიბრძნე სოლომ. 3, 1), — ამბობს საღმრთო წერილი, რამეთუ წმიდათა სიკვდილი უფრო ძილია, ვიდრე სიკვდილი. ისინი ხომ „შურებოდეს უკუნისამდე და ცხოვნდენ სრულიად. და არაიხილონ განსახრწნელი" (ფსალმ. 48, 9 — 10). და კვალად, „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა ძისთა" (ფსალმ. 115, 6). და მართლაც, რა შეიძლება იმაზე საპატიო იყოს, ვიდრე „ხელთა შინა ღმრთისათა" ყოფნაა?! — რამეთუ ღმერთი არის სიცოცხლე და ნათელი, და „ხელთა შინა ღმრთისათა" მყოფნი მარადის სიცოცხლით და ნათლით ჰგიებენ.

ღმერთი რომ გონების მიერ (გზით) წმიდანთა სხეულებშიც მკვიდრობდა, ამის შესახებ ცხადად ლაპარაკობს ღვთაებრივი მოციქული: „არა უწყითა, რამეთუ ხორცნი ეგე თქვენნი ტაძარნი თქვენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ-ეგე გაქვს ღმრთისაგან, და არა ხართ თვისთა თავთანი?!" (I კორინთ. 6, 19). კვალად იგივე იტყვის: „ხოლო უფალი სულ არს; ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს" (II კორინთ. 3, 17), და „რომელმან ტაძარი ღმრთისაჲ განხრწნეს, განხრწნეს იგიცა ღმერთმან; რამეთუ ტაძარი ღმრთისაჲ წმიდა არს, რომელ-ეგე ხართ თქვენ" (I კორინთ. 3, 17). ამიტომაც როგორ არ უნდა მივაგებდეთ შესაფერ პატივს ღმერთის განსულიერებულ ტაძრებს, ღმერთის განცოცხლებულ სამკვიდრებლებს?! წმიდანნი მარადის ცხოველნი არიან და სასოებით განცხადებულად წარსდგებიან წინაშე ღმრთისა.

უფალმა ჩვენმა და მეუფემ იესუ ქრისტემ წმიდანთა წმიდა ნაწილებიც გვიბოძა, როგორც მაცხოვნებელი წყარონი, რო-

მელნიც მრავალფერ სათნოებათ და ქველის საქმეთ აღმოაცენებენ და კეთილსურნელ მირონსაც გამოადინებენ. და დაე, ნურავინ ნუ დაეჭვდება ამაში! რამეთუ თუკი ღმერთის ბრძანებით უდაბნოში სალი კლდიდან წყარო გადმოდინდა, ხოლო მწყურვალი სამსონისათვის სახედრის პირიდან (ღაწვიდან) წარმოდინდა წყალი, მაშ, განა დაუჯერებელია, რომ უფლისათვის წამებულთა წმიდა ნაწილებიც კეთილსურნელი მირონით მდინარნი იყვნენ?! — არა, ეს დაუჯერებელი არავითარ შემთხვევაში არ იქნება, იმათთვის მაინც, რომელთაც უწყიან ყოვლადძლიერება ღმრთისა და ისიც, თუ ვითარი პატივის ღირსად ჰყოფს ი გ ი თავის წმიდანებს[34].

(ძველი აღთქმის) სჯულის მიხედვით, ყოველი, ვინც კი მკვდარს შეეხებოდა, არაწმიდად შეირაცხებოდა, მაგრამ წმიდანნი არ არინ მკვდარნი. ი ს ი ც კი, ვ ი ნ ც თვით არის ცხოვრება და მიზეზიც ყოველგვარი სიცოცხლისა და მომნიჭებელიც ცხოვრებისა, ი გ ი ც კი მკვდრად შეირაცხა, და ამის გამო ჩვენ უკვე აღარ ვუწოდებთ მკვდრებს იმათ, ვინც ქრისტეს რწმენითა და მკვდრეთით აღდგომის იმედით შეისვენა. ან კი როგორ შეიძლება სასწაულთმოქმედებას აღასრულებდეს მკვდარი სხეული?! როგორ ხდება ეს, რომ მათი (წმიდანთა ნაწილების) ძლით განიდევნებიან დემონები, განიკურნებიან სნეულებანი, აღდგებიან უძლურნი, თვალს აღიხელენ ბრმანი, განიწმიდებიან კეთროვანნი, დასრულდებიან საცთურნი და მწუხარებანი?! ანდა ვით არის ეს, რომ „ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული, ზეგარდმო გარდამოსრული მ ა მ ი ს ა გ ა ნ ნათლისა" (იაკობ. 1, 17) სწორედ მათი მეშვეობით გადმოდის და მოემადლება ყველა იმათ, ვინც კი წრფელი, შეუეჭვებელი რწმენით ითხოვს ამას?! რა დიდად უნდა გარჯილიყავი, (ჰოი, კაცო), რათა ისეთი მფარველი მოგეპოვებინა, რომელიც (ამა ქვეყნის) მოკვდავ მეფეს წარუდგენდა შენს თავს და მის წინაშე ერთ-ორ სიტყვას შეგაწევდა! ამიტომ ნუთუ პატივი არ უნდა მივაგოთ მთელი კაცთა მოდგმის მეოხმყოფელთ რომელნიც ყოველი ჩვენთაგანისთვის აღუვლენენ ღმერთს ლოცვა-ვედრებას?! რაღა თქმა უნდა, ჯერ-არს პატივს მივაგებდეთ და ვეთაყვანებოდეთ მათ იმით, რომ მათს სახელზე ტაძრებს აღვუგებდეთ ღმერთს, მსხვერპლს შევწირავდეთ, პა-

ტივით აღვნიშნავდეთ მათი ხსენების დღეებს და სულიერად განვიხარებდეთ, რათა ეს სიხარული საფერი იყოს მათთვის, ვინც ჭეშმარიტი რწმენისაკენ მოგვიწოდებს, და უჯერო ქცევით იმის ხაცვლად, რომ ვაამოთ მათ, არ განვარისხოთ ისინი. რამეთუ ის რითაც ადამიანები სათნო-ეყოფიან ღმერთს, მ ი ს წმიდა სათნო-მყოფელთაც აამებთ, ხოლო რაც შეურაცხჰყოფს ღმერთს, ის მ ი ს მხედართაც შეურაცხჰყოფს.

მაშ, პატივი მივაგოთ და თაყვანი ვცეთ წმიდანნებს ჩვენ, მორწმუნეებმა, იმით, რომ აღვუვლინოთ სულიერი ფსალმუნები, სადიდებლები და საგალობლები; გულშემუსრვილნი და მოწყალენი ვიყოთ შეჭირვებულთა მიმართ, რაც ყველაზე მეტად სათნო-ეყოფა ღმერთსაც, აღვუგოთ ხოლმე მათ მოსასხენიებელი ნიშები და შევუქმნათ ხილული გამოსახულებანი, და წმიდანთა ქველის-საქმეთა მიბაძვით თვით ჩვენ შევიქნათ მათს ცოცხალ ძეგლებად და გამოსახულებებად. თაყვანს ვცემდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს როგორც საკუთრივი მნიშვნელობით და ჭეშმარიტად დედას ღმრთისა; თაყვანს ვცემდეთ წინასწარმეტყველ იოანეს, როგორც (უფლის) წინამორბედსა და ნათლისმცემელს, როგორც მოციქულსა და მოწამეს, რამეთუ როგორც თვით უფალმა თქვა, „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოანე წინაჲსწარმეტყველისა"... (მათე 11, 11), რადგან სწორედ ის იყო პირველი მქადაგებელი ღმრთის სასუფეველისა. თაყვანს ვცემდეთ წმიდა მოციქულებს, როგორც ძმებს უფლისა, თვითმხილველთ და მმსახურებელთ მ ი ს ვნებათა, იმ მოციქულებს, „რომელნი იგი ღმერთმან წინაჲსწარ განაჩინნა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თვისისა" (რომ. 8, 29) და „დაადგინნა... ეკლესიათა პირველად მოციქულნი, მეორედ წინაჲსწარმეტყველნი და მესამედ — მოძღვარნი" (I კორინთ. 12, 28); თაყვანი ვცეთ უფლის წმიდა მოწაფეებს, რომელთაც, აღმორჩეულებმა ყოველი წოდებისაგან შესვეს მ ი ს ი სასუმელი და ნათელ-იღეს უფლის სიკვდილის ცხოველმყოფელი ნათლის-ღებით, თაყვანი ვცეთ მათ როგორც მოზიარეთ მ ი ს ი ტანჯვისა და დიდებისა, რომელთაგანაც უპირველესი და უმთავრესი არის ქრისტეს მთავარდიაკვანი და პირველმოწამე სტეფანე. თაყვანი ვცეთ ჩვენს წმიდა მამებს, ღმერთშემოსილ მოსაგრეთ, რომელთაც დაუთმენი-

ათ ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მძიმე მოწამეობა სინდისისა და რომელნიც „ქვითა განიტვინნეს (იერემია და ნაბუთე), განიხერხნეს (ესაია), განიცადნეს (იობი და ზორობაბელი), სიკვდილითა მახვილისაითა მოსწყდეს (მიქეა, ამოსი, და ზაქარია მღვდელი), იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძრიელ-ხილულნი (იოანე ნათლისმცემელი, ელია, ელისე); რომელთა ღირსვე არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცდომილნი, მთათა და ქვაბთა შინა და ხვრელთა ქვეყანისათა, წინაჲსწარმეტყველნი, რომელთა ზრდიდა აბდია უდაბნოს“ (ებრ. 11, 37 — 38). თაყვანს ვცემდეთ იმათ. ვინც მადლის მოვლინებამდე ცხოვრობდა — წინასწარმეტყველთ, მამამთავრებს, მართალთ ღმერთის წინაშე, რომელნიც წინასწარმაუწყებელნი იყვნენ უფლის ამქვეყნად მოსვლისა.

და მოვიხილავთ რა ყველა ამ წმიდანის ცხოვრების სახეს, მივბაძოთ მათ სარწმუნოებას აღვენთოთ მათი სიყვარულით, სასოებით, საღმრთო შურით, ღვთის სათნომყოფელი ცხოვრებით, სიმტკიცითა და მოთმინებით ტანჯვათა შორის, ისე, რომ სისხლსაც არა ვრიდოთ მათივე მსგავსად, რათა ჩვენც მათთან ერთად მივიღოთ გვირგვინნი დიდებისანი.

თავი XVI

ხატების შესახებ[35]

რადგანაც ზოგნი გვკიცხავენ ჩვენ იმისთვის, რომ თაყვანს ვცემთ და საფერ პატივს მივაგებთ გამოსახულებას ჩვენი მხსნელისა იესუ ქრისტესი და ჩვენი დედუფლისა (ღვთისმშობელისა), აგრეთვე ქრისტეს წმინდანებისა და სათნო-მყოფელებისა,— ესევითართ დაე, ისმინონ, რომ დასაბამად ღმერთმა ადამიანი ხატად და მსგავსად თავისა შეჰქმნა (დაბად. 1, 26). აქედან გამომდინარე განა იმის გამო არ ვუხრით ერთმანეთს ქედს, რომ ღმრთის ხატად ვართ შექმნილნი?! რამეთუ როგორც ბრძანებს ღმრთივმესიტყვე და საღმრთო საქმეთა შინა მრავლის მცნობელი ბასილი, ის პატივი, რომელსაც ხატს მივაგებთ, მის პირველსახეზე გადადის, პირველსახე კი ისაა, ვისგანაც კეთ-

დება გამოსახულება, ანუ ის, ვინც აღბეჭდილია ხატზე. რატომ სცემდა თაყვანს მოსეს ერი (სჯულის) კარავს, რომელსაც ყველა სხვა ქმნილებაზე მეტად ჰქონდა სახე და მსგავსება ზეციურისა? და მართლაც თვით ღმერთი ეუბნება მოსეს: „იხილე და ჰქმენ ყოველივე მსგავსად სახისა მის, რომელი გიჩვენე შენ მთასა ზედა“ (ებრ. 8. 5; გამოსვლ. 25, 40). და განა ქერუბიმნიც, საკურთხეველს რომ განაცისკროვნებდნენ, ადამიანის ხელით არ იყვნენ შექმნილი? ანდა იერუსალიმის საყოველთაოდ ცნობილი ტაძარი? — განა ხელით ქმნული არ იყო იგი და ადამიანთა ხელოვნებით აღმართული?![36]

საღმრთო წერილი ჰკიცხავს იმათ, ვინც კერპებს სცემს თაყვანს და მსხვერპლს დემონებს სწირავს. მსხვერპლს ელინებიც სწირავდნენ და იუდეველებიც, მაგრამ ელინები დემონებს სწირავდნენ, იუდეველები კი ერთ ღმერთს, ამიტომაც ელინთა მსხვერპლთშეწირვა იგმობოდა (საღმრთო წერილით) და უარიყოფოდა; ხოლო მართალთა მსხვერპლი სათნო-ეყოფოდა ღმერთს. რამეთუ (წარღვნის დასრულების შემდგომ) ნოემ მსხვერპლი შესწირა ღმერთს, „და იყნოსა უფალმან ღმერთმან სული სურნელებისაჲ“ (დაბად. 8, 21), იწონებდა და შეიწყნარებდა რა მ ი ს ა დ მ ი მიმართული სიყვარულის კეთილსურნელებას. წარმართთა კერპები კი, როგორც გამომსახველნი დემონებისა უარყოფილ და აკრძალულ იქნა.

გარდა ამისა განა ვისმე ძალუძს შექმნას მსგავსება არახილული, უხორცო, გარეშემოუწერელი და სახის არმქონე ღმერთისა?! ამიტომ უკიდურესი უგნურება და უკეთურებაა, როცა ღმრთაებას რაღაც სახეს (ფორმას) ანიჭებენ ხოლმე.[37] და ამიტომაც ძველ აღთქმაში, ანუ მისი მოქმედების ჟამს, ხატები არ გამოიყენებოდა. მაგრამ რადგანაც ღმერთი თავისი სათნოებითა და კეთილმოწყალებით ჭეშმარიტ ადამიანად შეიქმნა[38] ჩვენი (ადამიანთა) ხსნისათვის, და მხოლოდ სახით ადამიაწისა კი არ მოვლენილა ამქვეყნად, როგორადაც აბრაჰამსა და წინასწარმეტყველთ ევლინებოდა, არამედ არსისმიერ და ჭეშმარიტად გაწკაცდა, ცხოვრობდა ამქვეყნად, იქცეოდა ადამიანთა შორის, სასწაულთმოქმედებათ აღასრულებდა ევნებოდა, ჯვარცმულიქნა, სიკვდილი დაითმინა, მკვდრეთით აღდგა და ზეცად აღზაღლდა, ამასთან ყოველივე ეს წამდვილად და ჭეშმარიტად აღა-

სრულა, ხილულად ადამიანთათვის, და ყოველივე აღწერილიცაა იმისთვის, რომ მარად გვახსოვდეს ეს და ჭეშმარიტებას გვასწავლიდეს ყველა იმათ, ვისაც მაშინ, უფლის ამქვეყნად ყოფნის ჟამს არ გვიცხოვრია; რათა ჩვენ, რაკი ცხადლივ არ გვიხილავს, ი გ ი, მაგრამ მოვისმენთ და წავიკითხავთ რა მ ი ს შესახებ, ვირწმუნებთ ჭეშმარიტ ღმერთს, და ამგვარად ნეტარებას მივემთხვიოთ უფლის მიერ, და რადგანაც ყველამ არ იცის წერა-კითხვა და არ შეუძლია საღმრთო წერილი წაიკითხოს, — ამიტომ, რადგან ყოველივე ეს ნამდვილად ასეა, წმიდა მამებმა კეთილად განსაჯეს, რომ ყველა ეს საქმე და ვნება უფლისა, მსგავსად ზოგიერთი სასახელო საქმისა, ხატებზე ყოფილიყო გამოსახული მათი შეხსენებისათვის. უეჭველია, რომ ხშირად ჩვენ არც კი ვფიქრობთ ხოლმე უფლის ვნებაზე, მაგრამ ვიხილავთ თუ არა ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებას, უმალ გვახსენდება მ ი ს ი მაცხოვნებელი ტანჯვა, და მუხლს მოვიყრით რა მის წინაშე, თაყვანს ვცემთ არა რაღაც ნივთს, არამედ ამ ნივთზე გამოსახულს, ისევე, როგორც სახარებისა და ჯვრის შემთხვევაში, ჩვენ ქაღალდსა თუ ხეს კი არ ვეთაყვანებით, აოამედ იმას, რაც დაუწერიათ ამ ქაღალდზე და რაც შეუქმნიათ ამ ხით. რამეთუ განა რით განსხვავდება უფლის გამოსახულებიანი ჯვარი (ჯვარცმა) ისეთი ჯვარისაგან რომელზეც არ არის ი გ ი გამოსახული?! იგივე უნდა ითქვას ღვთისმშობლისა და მისი გამოსახულების შესახებაც. რამეთუ ის პატივი, რომელსაც ყოველადწმიდა ღვთისმშობელს მივაგებთ, მისგან გ ა ნ კ ა ც ე ბ უ ლ ს მიეგება. ასევე წმიდა მამათა ღვაწლნიც მხნეობას განაღვიძებენ ჩვენში, რწმენას განგვიმტკიცებენ და ძალას შთაგვბერავენ, რათა უშიშრად მივბაძოთ მათს სათნოებას და ამით ღმერთი განვადიდოთ. რამეთუ, როგორც უკვე ვთქვით, თანამოსაგრეთაგან ყველაზე გულმოდგინეთათვის მიგებული პატივით, ჩვენ ვამტკიცებთ სიყვარულს ჩვენი საერთო მეუფისადმი, და ის პატივიც, რომელსაც წმიდა ხატს მივაგებთ, მის პირველსახეს მიეგება, ანუ იმას, ვინც არის გამოსახული ამ ხატზე. ეს არის დაუწერელი გადმოცემა (ქრისტეს წმიდა ეკლესიისა), რომელიც არ გვაქვს საღმრთო წერილში; ასეთივე გადმოცემაა აღმოსავლეთის მხარეს თაყვანისცემის შესახებ, ჯვარის თაყვანისცემის შესახებ, და კიდევ მრავა-

ლი სხვა, მსგავსი ამისა ჩვენ ზეპირად გადმოგვეცა წმიდა მოციქულთა და მამათაგან[39].

გადმოგვცემენ ერთ ამბავს (უფლის ხატის შესახებ), რომ ქალაქ ედესაში გამეფებულმა ავგარმა მხატვარი გაგზავნა უფლის მიმსგავსებული გამოსახულების შესაქმნელად. მაგრამ როცა ეს მხატვარი დადგა უფლის პირისპირ და მისი დახატვა დაიპირა, ვერ შეძლო ეს, რადგანაც სახე უფლისა თვალისდამაბრმავებელი ნათლით იყო გაბრწყინებული; მაშინ უფალს თვით აუღია ტილოს ნაჭერი, დაუდია თავის ღვთაებრივ და ცხოველმყოფელ სახეზე და ამგვარად აღუბეჭდია მასზე საკუთარი ხატი, რომელიც მხატვარს თავისი მეფის ავგარისათვის გაუგზავნია, როგორც ეს ამ უკანასკნელს სურდა. ასე შექმნილა უფლის პირველი ხელთუქმნელი ხატი.

ხოლო იმას, რომ უფლის წმიდა მოციქულებმა ძალზე ბევრი რამ დაუწერლად გადმოგვცეს[40], ცხადად გვიდასტურებს ღვთაებრივი პავლე, წარმართთა მოციქული, როცა ამბობს: „მიერითგან, ძმანო, მტკიცედ დეგით და შეიკრძალეთ მოძღვრებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა ს ი ტ ყ ვ ი თ ა, გინა წიგნითა ჩვენითა“ (II თესალონიკ. 2, 15). ასევე კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში იგი წერს: „მობაძავ ჩემდა იქმნენითა, ვითარცა მე — ქრისტესა მიმართ; ხოლო მე გაქებ თქვენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე, ვითარცა-იგი მიგეც თქვენ, მოძღვრებაჲ იგი შეიკრძალეთ“-ო (11, 2).

თ ა ვ ი ᲐᲘᲘ

ს ა ღ მ რ თ ო წ ე რ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს

ერთია ღმერთი — უწყებული ძველ აღთქმაში და ახალ აღთქმაში, ქებული და განდიდებული სამებით, როგორც თქვა უფალმა: „არა მოვედ დახსნად სჯულისა, არამედ აღსრულებად“ (მათე 5, 17). რამეთუ მ ა ნ აღასრულა ჩვენი ხსნა, რისთვისაც მოგვეცა კიდეც მთელი საღმრთო წერილი და საიდუმლოებანი. და კიდევ უფალი გვეუბნება: „გამოეძიებდეთ წიგნთა... და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის“ (იოა-

ნე 5, 39). ასევე მოციქულიც ბრძანებს: „მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაჲსწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანაჲსკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩვენ ძისა მიერ თვისისა“ (ებრ. 1, 1). მაშასადამე, სჯული და წინასწარმეტყველნი, მახარებელნი და მოციქულნი, მოძღვარნი და მასწავლებელნი, — ყველანი სულიწმიდით გვესიტყვებიან.

ამიტომაც „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებელად არს და სამხილებელად და განსამართლებელად და სასწავლელად სიმართლისა“ (II ტიმ. 3, 16). აქედან გამომდინარე, საღმრთო წერილის კვლევა-ძიება ყველაზე მშვენიერი და სულისათვის სასარგებლო საქმეა. რამეთუ ვითარცა „ხე, დანერგული თანაწარსადინელსა წყალთაჲსა“ (ფსალმ. 1, 3), თავის დროზე გამოსცემს ნაყოფს და მისი ფურცელნიც არ დასცვივიან, ასევე სულიც მორწყული საღმრთო წერილის ჭეშმარიტებით განმდიდრდება და თავის გამოსაღებ ნაყოფთაც თავის დროზე გამოიღებს, — ანუ მართლმადიდებელი რწმენით აღივსება, და მარად შემკობილი იქნება მწვანე ფოთლებით, ანუ ღვთის-სათნომყოფელი საქმეებით. რამეთუ სწორედ წმიდა წერილისაგან აღვენთებით ხოლმე კეთილ საქმეთა აღსასრულებლად და უბიწო ჭვრეტისათვის საღმრთო საქმეებისა. ამიტომ, თუკი ჩვენ გულმოდგინედ გამოვიძიებთ საღმრთო წერილს, ამით ჭეშმარიტ ცოდნას შევიძენთ, რადგან სწორედ მასში ვპოვებთ მოწოდებას ყოველი სათნოებისაკენ და დაცვას ყოველი მანკიერებისაგან. რამეთუ ყველაფრი გულმოდგინე მცდელობით, შრომითა და მწყალობელი ღმერთის მადლით მიიღწევა და „...ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოვოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს“ (ლუკა 11, 10). მაშ, ვირეკდეთ საღმრთო წერილის უმშვენიერეს სამოთხეში შესასვლელად, კეთილსურნელებით აღსავსე, უტკბილეს და ერთიანად აყვავებულ სამოთხეში შესასვლელად, რომელიც ჩვენს სასმენელთა ახლოს ხმიაწრბს ღმრთივშემოსილი სულიერი ფრთოსნების ხმებით, იმ ხმებით, სიღრმემდე რომ განსმშვალავს ჩვენს გულებს, — სევდა-მწუხარებით აღსავსეს — ნუგეშს სცემს, მრისხანებით შეპყროხილს კი ამშვიდებს და საუკუნო სიხარულით შემოსავს; (იმ სამოთხეში შესასვლელად), რომელიც ჩვენს გონებას ღვთაებრივი მტრე-

ის ოქროსფრად მოელვარე და ნათელ მხრებზე შესვამს და მისი მბრწყინავი ფრთებით აღამაღლებს მხოლოდშობილ ძესთან — სულიერი ვენახის დ ა მ ს ხ მ ე ლ ი ს მემკვიდრესთან, და მის მიერ მიიყვანს მ ა მ ა ს თ ა ნ ნათლისა (იაკობი 1, 17). საგრამ ზერელედ კი ნუ ვირეკთ, არამედ — შეუპოვრად და გულმოდგინედ ვირეკოთ, და ნუმც დავიღლებით რეკით! რამეთუ მხოლოდ ამ შემთხვევაში განგვეღება. თუკი ერთი და ორი წაკითხვით ვერ ჩავწვდებით საღმრთო წერილს, ნუ დაეღონდებით, და სასოს ნუ წარვიკვეთთ, არამედ მტკიცედ და დაჟინებით განვაგრძოთ თხოვნა. რამეთუ ნათქვამია „...ჰკითხე მამასა შენსა, და გითხრას შენ, და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“ (მეორე სჯული 32, 7), რადგანაც „არა ყოველთა თანა არს მეცნიერებაჲ“ (I კორინთ. 8, 7). ამოვხაპოთ ხოლმე სამოთხის წყაროდან უანკარესი და დაუშრეტელი წყარო, რომელიც ცხოვრების მონიჭებად მოედინება! ვინებივროთ მასში და დაუცხრომლად დავსტკბეთ! რამეთუ საღმრთო წერილი ულევი მადლის მპყრობელია. თუკი ჩვენ გარეშე ნაწერთაგანაც შევიძლებთ რაიმე სასარგებლო მივიღოთ ჩვენი სულისთვის, — ესეც, რა თქმა უნდა, აკრძალული არ არის. გარნა დახელოვნებული მეკერმენი (ანუ გადამცვლელნი) ვიყოთ — მოვიხვეჭოთ მხოლოდ ნამდვილი და ბაჯაღლო ოქრო, ყალბი კი — განვიშოროთ. საუკეთესო აზრები ჩვენთვის შევიძინოთ, სასაცილო ღმერთები კი და უაზრო ზღაპრები (მათს შესახებ) ძაღლებს მივუგდოთ, რამეთუ სწორედ ამ ნაწერთაგან შეგვიძლია შევიძინოთ ძალზე დიდი ღონე, რომლითაც თვით ამ ნაწერთაგან მოვიზღუდავთ თავს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ძველი აღთქმის წიგნი ოცდაორია, შესაბამისად ებრაული ანბანის ასო-ნიშნებისა.[41] რამეთუ ებრაელებს თავიანთ ენაში სულ ოცდაორი ასო-ნიშანი აქვთ, რომელთაგან ხუთს — ორგვარი დაწერილობა აქვს, ასე, რომ სულ მათს ანბანში ოცდაშვიდი ასო-ნიშანი გამოდის. ორგვარი დაწერილობა აქვთ შემდეგ ასო-ნიშნებს: ქაფს, მემს, ნუნს, ფეს და ცადეს. ამიტომ ძველი აღთქმის წიგნთაც ოცდაორს დაითვლიან მაგრამ საბოლოოდ ოცდაშვიდი აღმოჩნდა, რადგანაც ხუთი ამ წიგნთაგან ორ-ორ წიგნს შეიცავს. ასე, მაგალითად, რუთის წიგნი მსაჯულთა წიგნ-

თანაა შეერთებული, და ებრაელები მათ ერთ წიგნად მიიჩნევენ; ასევე ერთ წიგნად თვლიან ისინი მეფეთა პირველ და მეორე წიგნებს, პირველსა და მეორე წიგნთ ნეშტთა (პარალიპომენონს) პირველ და მეორე წიგნებს ეზრასი. ამ სახით ძველი აღთქმის წიგნები ებრაელებს გაერთიანებული აქვთ ოთხ ხუთწიგნეულში, და კიდევ რჩება ორი სხვა წიგნი. ეს წიგნები შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული: პირველია ხუთი წიგნი სჯულისა: დაბადებისა, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა, — ეს წიგნები სჯულისდებითია. შემდეგ მოდის მეორე ხუთწიგნეული (ბერძნულად) „გრაფია"-დ წოდებული, ხოლო ზოგიერთთაგან „აგიოგრაფა"-დ წოდებული, შემდგარი შემდეგი წიგნებისაგან: ისუ ნავესი, მსაჯულთა რუთის წიგნითურთ, პირველი წიგნი მეფეთა მეორითურთ, რომელნიც ერთ წიგნად მიიჩნევა, მესამე წიგნი მეფეთა მეოთხითურთ, რომელიც ასევე ერთ წიგნად მიიჩნევა, და ორი წიგნი ნეშტთა (პარალიპომენონი), ასევე ერთ წიგნად მითვლილი. მესამე ხუთწიგნეულს შეადგენენ ლექსად დაწერილი წიგნები ძველი აღთქმისა: იობისა, ფსალმუნთა, სოლომონის იგავთა მისივე ეკლესიასტე და ქება-ქებათა. მეოთხე ხუთწიგნეული — წინასწარმეტყველთა წიგნებია: თორმეტი წინასწარმეტყველისა, მიჩნეული ერთ წიგნად, აგრეთვე წინასწარმეტყველებანი — ესაიასი, იერემიასი, იეზეკიელისა, და დანიელისა; და ბოლოს არის ორ წიგნი ეზრასი, გაერთიანებული ერთ წიგნად და წიგნი ესთერისა. ხოლო „პანაპეტოს"-ი კი (ანუ „ყოველთა სათნოებათა საუნჯე") — წიგნები სოლომონის სიბრძნისა და იესუს სიბრძნისა, რომელიც ზირაქის მამამ ებრაულ ენაზე გადმოსცა, მისმა შვილიშვილმა კი, ზირაქის ძემ ბერძნულ ენაზე თარგმნა, — ეს ორი წიგნი, თუმც კი ფრიად სამოძღვრო და მშვენიერია, მაგრამ მაინც არ შედის ძველი აღთქმის წიგნთა ზემომოყვანილ რიცხვში, და არც ინახებოდა სჯულის კიდობანში.

ახალი აღთქმის წიგნები კი შემდეგია: ოთხი წმიდა სახარება, გადმოცემული მათესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესაგან; წმიდა მოციქულთა საქმენი, აღწერილი მახარებელ ლუკას მიერ; შვიდი საზოგადო (კათოლიკე) ეპისტოლე წმიდა მოციქულებისა, — ერთი იაკობისა, ორი — პეტრესი, სამი —

იოანესი და ერთიც — იუდასი (თადეოზისა); თოთხმეტი ეპისტოლე პავლე მოციქულისა; გამოცხადება (აპოკალიპსი), აღწერილი იოანეს მიერ, მახარებელისა და ღვთისმეტყველისა, და ბოლოს, წმიდა მოციქულთა განწესებანი,[42] შეკრებილნი კლიმენტის მიერ (სულ ახალი აღთქმის წიგნთა რიცხვი შეადგენს— ოცდარვას).

თავი XVIII

ქრისტეს მიმართ გამოყენებულ გამონათქვამთათვის.

ქრისტეს მიმართ გამოყენებული გამონათქვამები — ოთხი სახისაა. ერთნი შეეფერებიან მ ა ს (სიტყვას ღმრთისა) განკაცებამდე; სხვანი — თვით შეერთებისას ბუნებებისა (ღვთაებრივისა და ადამიანურისა ქრისტეს ჰიპოსტასში); მესამე სახის გამონათქვამები ქრისტეს შეეფერება ბუნებათა შეერთების შემდგომ ხოლო მეოთხე სახისა — მ ი ს ი მკვდრეთით აღდგომის შემდგომ. ის გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს განკაცებამდე შეეფერება, ექვსი სახისაა. პირველი ამ სახეობათაგან აღნიშნავს განუყოფლობას (ღვთაებრივი) ბუნებისა და ერთარსობას მამისა თანა, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი გამონათქვამები: „მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ“ (იოანე 10, 30); „რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი...“ (იოანე 14, 9); „რომელი-იგი (ანუ ქრისტე) ხატი ღმრთისაჲ იყო“ (ფილიპ. 2, 6) და სხვა ამის მსგავსნი. მეორე სახის გამონათქვამები აღნიშნავენ (ქრისტეს) ჰიპოსტასის სრულყოფილებას, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: „...რომელი-იგი (ანუ ქრისტე) არს ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისა მისისაჲ (ანუ მამა-ღმერთისა)“ (ებრ. 1, 3); „სახელი მისი —დიდისა განზრახვისა ანგელოზი, საკვირველი თანაგანმზრახი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისაჲ, მამა მერმეთა საუკუნოსა“ (ესაია 9, 6) და სხვა ამის მსგავსი გამონათქვამები.

მესამე სახის გამონათქვამები აღნიშნავენ (საღმრთო) ჰიპოსტასთა ურთიერთგანმსჭვალვას; ასეთია, მაგალითად, შემდეგი: „...მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს...“ (იოანე 14, 10); და აღნიშნავენ აგრეთვე განუყოფელ არსებობას ერთი ჰიპოს-

ტასისას მეორე ჰიპოსტასში; ასეთია გამონათქვამები: „სიტ-ყუაჲ“, „სიბრძნე“, „ძალი“, „ბრწყინვალებაჲ“, რამეთუ სიტ-ყვა — გონებაშია (ვგულისხმობ არსისმიერ სიტყვას), ასევე სი-ბრძნეც (გონებაშია), ძალა — ძლიერებაში, ბრწყინვალება — ნათელშია, ანუ განუყოფლად ჰგიებენ მ ა ს შ ი, და გადმოი-ღვრებიან მ ი ს გ ა ნ.[43]

მეოთხე სახის გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს განკა-ცებამდე, შეეფერებიან, აღნიშნავენ, რომ ქრისტე მამისაგანაა, როგორც თავისი მიზეზისაგან; მაგალითად, ასეთია შემდეგი: „მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს“ (იოანე 14, 28), რამეთუ მამი-საგან აქვს მას არსებობა და სხვაც ყოველივეც, რაც აქვს; კვა-ლად, ეს გამონათქვამები აღნიშნავენ (მ ი ს) არსებობას შო-ბის მიერ, და არა შექმნით: „...მე ღმერთისაგან გამოვედ, გა-ძოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად“... (იოანე 16, 27 — 28); „და მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა“ (იოანე 6, 57); აგრეთვე აღნიშნავენ იმას, რომ ყოველივე, რაც მას (ქრისტეს) აქვს, აქვს არა მამისაგან მოშორებითა და სწავლა-დამოძღვრით, არამედ, როგორც მიზეზისაგან (ყოველივესი); ასეთია: „...არა ხელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თვისით არცა ერ-თი რაჲ, უკუეთუ არა იხილოს რაიმე მამისაგან საქმე, რამეთუ რაოდენსა-იგი მამაჲ იქმს, მას ძე ეგრეთვე მსგავსად იქმს“ (იოანე 5, 19); რადგან თუკი არ არის მამა, არც ძე არ არის; ძე არის მამისაგან, მამის მიერ და მამისა თანა, და არა — შემდგომ მამისა. ამგვარადვე, იმასაც, რასაც ძე იქმს, იგი იქმს მამისაგან და მამასთან ერთად; რამეთუ ერთი და იგივეა, არათუ — მსგავ-სი მხოლოდ, ერთია ნდომა — სურვილი, ქმედება და ძლიერე-ბა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.[44]

მეხუთე სახის გამონათქვამები აღნიშნავენ, რომ მამის სურ-ვილი — ძის მოქმედებით აღსრულდება, მაგრამ არა როგორც რამ იარაღისა თუ საშუალებისა, ანდა მონური დაქვემდებარე-ბით კი არა, არამედ როგორც მ ა მ ი ს არსისმიერი და ჰიპოს-ტასური ს ი ტ ყ ვ ი ს, ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა და ძ ა ლ ს მიერ, რადგანაც მამასა და ძეში იხილვება ერთი ქმედება; ასეთია, მა-გალითად, გამონათქვამები: „ყოველივე მის (ანუ სიტყვის) მი-ერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“ (იოანე 1, 3); „მოუვლინა სიტყვაჲ მისი და განა-

კურნა იგინი და იხსნა იგინი განმხრწნელთაგან მათთა“ (ფსალმ. 105, 20); და „...რაჲთა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოანე 11, 42).

დაბოლოს, მეექვსე სახის გამონათქვამები ქრისტეზე (განკაცებამდე რომ შეეფერებიან მას) წინასწარმეტყველურია; ერთნი შეეხებიან მყოობადს, როგორიცაა, მაგალითად, — „ღმერთი ცხადად მოვიდეს, ღმერთი ჩვენი, და არა დადუმწეს“... (ფსალმ. 49, 3), და ზაქარია წინასწარმეტყველის ნათქვამი: „იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო, ქადაგებდ, ასულო იერუსალემისაო: აჰა, ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავადი მშვიდი და მჯდომარე კარაულსა ზედა, და კიცუსა ახალსა“ (ზაქარია 9, 9); ასევე მიქეას წინასწარმეტყველებაც: „აჰა, უფალი ჴამოვიდეს ადგილისაგან მისისა და შთავიდეს და აღვიდეს სიმაღლეთა ზედა ქვეყანასითა“ (მიქ. 1, 3); სხვა გამონათქვამები ამ სახისა მყოობადზე ლაპარაკობენ როგორც უკვე გარდასულ ამბავზე, მაგალითად: „ესე არს ღმერთი, არა შეირაცხოს სხვაჲ მის თანა... ამისა შემდგომად ქვეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა თანა იქცეოდა“ (ბარუქი 3, 36, 38); „...უფალმან დამამტკიცა მე დასაბამად გზათა მისთა. საქმეთა შინა მისთა უწინარეს დასაბამისა დამამტკიცა მე, დასაბამსა უწინარეს ქვეყანისა შესაქმისა“ (იგავნი 8, 22 — 23)? „შეიყვარე სიმართლე და მოიძულე უშჯულოებაჲ; ამისთვის გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისაჲ უმეტეს მოყვასთა შენთა“ (ფსალმ. 44, 8) და სხვა ამის მსგავსი გამონათქვამები.

გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს ბუნებათა შეერთებამდე შეეფერიან, რა თქმა უნდა, შეიძლება მას განეკუთვნებოდეს შეერთების შემდგომაც; ხოლო ის გამოწათქვამები, რომლების ქრისტეს ბუნებათა შეერთების შემდგომ შეეფერება, არაფრით რა შეიძლება მას განეკუთვნებოდეს შეერთებამდე, თუ არ ვიგულისხმებთ მათს წინასწარმეტყველურ ხასიათს, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით.

გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს შეეფერება ბუნებათა შეერთებისას, სამი სახისაა, როცა საუბარია მ ი ს ი არსების უზენაეს ნაწილზე, მაშინ გამბობთ ხოლმე ხორცის (სხეულის) განღმრთობას, მის შეერთებას უწინარეს ყოველთა

საუკუნეთა არსებულ ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ და მის (ანუ ხორცის) განდიდებას, და სხვა მისთანა, წარმოვაჩენთ რა ამით იმ სიმდიდრეს, რაც ხორცს მიენიჭა სიტყვა-ღმერთთან შეერთებით და უზენაესს უმჭიდროესი კავშირით. ხოლო როცა ვლაპარაკობთ მისი (ქრისტეს) არსების უდაბლესი ნაწილის შესახებ, მაშინ ვამბობთ ხოლმე სიტყვა — ღმრეთის ხორციელ-ქმნას, განკაცებას, დაუძლურებას, სიგლახაკეს, დამდაბლებას და სხვა, რაშეთუ ყოველივე ეს და მსგავსი ამისა მიეწერება ს ი ტ ყ ვ ა ს ა და ღმერთს მისი შეერთების შემდეგ ადამიანურ ბუნებასთან. ხოლო როცა ქრისტეზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი ორივე ეს ნაწილი — უზენაესი და უდაბლესი, მაშინ ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე შეერთების, თანაზიარობის, ცხების, მჭიდრო კავშირის, თანა-შემსგავსებისა და მისთანათა შესახებ. ამ; მესამე სახის გამონათქვამების საფუძველზე გამოიყენება წინა ორი სახეობის გამონათქვამებიც, რამეთუ ბუნებათა შეერთებით წარმოჩინდება, რაც თითოეულ ბუნებას აქვს ერთმანეთთან თან-შეხებისა და უმჭიდროესი შეუღლებისაგან. ასე, მაგალითად, ითქმება, რომ ბუნებათა ჰიპოსტასური შეერთების შედეგად ხორცი განღმრთოებულ იქნა, ღმერთი შეიქნა, და თავისი განღმრთოებით ეზიარა ს ი ტ ყ ვ ა ს ღმერთისა; ანუ იმავე ღმრთაებას ეზიარა, რომლის თანაზიარი და ერთარსი ს ი ტ ყ ვ ა ა; ხოლო სიტყვა-ღმერთი ხორციელ-იქმნა, ადამიანი შეიქნა (განკაცდა) და ქმნილებად იწოდა, და ამგვარად იწოდება იმიტომ კი არა, თითქოს (ამ შეერთებით) ორი ბუნება ერთ შედგენილ ბუნებად გარდაქმნილიყოს, — რამეთუ შეუძლებელია ერთი ბუნება ერთსა და იმავ დროს ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნებრივი თვისებებით იყოს შემოსილი, — არამედ იმიტომ, რომ ორი ბუნება (ღვთაებრივი და ადამიანური) ჰიპოსტასურად შეერთდა ქრისტეში, და ისინი შეურევნელად, შეუზავებლად და უცვალებელად მსჭვალავენ ერთმანეთს. ხოლო ეს განმსჭვალვა აღსრულდა არა ხორცის მხრივ, არამედ ღმრთაების მხრივ; რამეთუ შეუძლებელია ხორცი განმსჭვალავდეს ღმრთაებას, ღმრთაებისთვის კი არ არის შეუძლებელი, და ერთგზის განმსჭვალა რა ხორცი, მან, ღმრთაებამ ხორცსაც მიანიჭა ეს გამოუთქმელი და გონებისათვის მიუწვდომელი უნარი

ღმრთაების განმსჭვალვისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კიდეც (ბუ-ნებათა) შეერთებას.[45]

უნდა ვიცოდეთ, რომ ორივე ამ სახეობაში გამონათქვამ-ბისა, ქრისტეს რომ შეეფერებიან შეერთებისას შეინიშნება თანხვდომა. რამეთუ როცა ხორცის შესახებ ვლაპარაკობთ, მაშინ ვიტყვით ხოლმე მის განღმრთოებას, სიტყვასთან შეერ-თებას, განდიდებას და ცხებას; ყოველივე ეს ღმრთაებისაგან მომდინარეობს, მაგრამ ხორცთან მიმართებაში იხილვება. ხო-ლო როცა სიტყვის შესახებ ვლაპარაკობთ, მაშინ ვიტყ-ვით ხოლმე მის მოუძლურებას, ხორციელ-ქმნას, განკაცე-ბას, დამდაბლებას და მისთანათ; ყოველივე ეს კი, როგორც უკ-ვე ვთქვით, ხორციდან გადავალს სიტყვასა და ღმერთზე, რამე-თუ მან თავისი ნებით დაითმინა ყოველივე ეს.

ის გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს (ბუნებათა) შეერ-თების შემდგომ შეეფერება, სამი სახისაა. პირველი სახეობა ასეთი გამონათქვამებისა მიუთითებს მის ღვთაებრივ ბუნე-ბაზე; ასეთია, მაგალითად: „...მე მამისა თანა ვარ, და მამაჲ ჩემ თანა არს“ (იოანე 14, 10); „მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ“ (იო-ანე 10, 30). და ყოველივე ის, რაც მას განკაცებამდე მიეწე-რება, შეიძლება ასევე მიეწეროს განკაცების შემდგომაც, თვი-ნიერ იმისა, რომ თავის განკაცებამდე სიტყვას არ მიუ-ღია ხორცი და მისი ბუნებისმიერი თვისებანი. მეორე სახეობა კი ასეთი გამონათქვამებისა მიუთითებს მის ადამიანობაზე. მაგალითად: „რაჲსათვის მეძიებთ მე მოკლვად?“ (იოანე 7, 19); „...კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყვი თქვენ, რომელი მესმა მამისაგან“ (იოანე 8, 40) და კიდევ: „და ვითათცა-იგი მოსე აღამაღლა გველი უდაბნოსა, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაი“ (იოანე 3, 14) და სხვა მისთანა გამონათქვამები.

კერძოდ კი, ყოველივე ის, რაც ითქვა ან დაიწერა ქრისტე მაცხოვრის, როგორც ადამიანის სიტყვებისა თუ საქმეების შე-სახებ, ექვს სახეობად შეიძლება დავყოთ. ერთს რასმე იგი იქმდა თუ ამბობდა შესაბამისად თავისი ადამიანური ბუნებისა და საღმრთო განგებულებით ადამიანთა ხსნისათვის; ამას გა-ნეკუთვნება მისი შობა ქალწულისაგან, აღორძინება და წარ-მატებულობა სიბრძნეში წლების გასვლის თანად, შიმშილი, წყურვილი, დაღლა, ცრემლები, ძილი, ჯვარზე მიმსჭვალვა, სი-

კვდილი და ამის მსგავსნი, ანუ ყოველივე ის, რაც კი ბუნებისმიერ და უბიწო ვნებათ განეკუთვნება. თუმცა ყველა ამ მდგომარეობაში კვლავაც არის ღმრთაების შეერთება ადამიანობასთან, მაგრამ ჩვენ მაინც გვწამს, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტად მხოლოდ სხეულს განეკუთვნება (ქრისტესი), რამეთუ ღმრთაებას არაფერი ასეთი არ დაუთმენია, გარნა თვით განაგო ყოველივე ეს ჩვენი ხსნისათვის.

სხვას რასმე ქრისტე ამბობდა თუ იქმოდა (ადამიანთა) დასანახად: მაგალითად, როცა ი გ ი იკითხავდა ლაზარესათვის: „სადა დასდევით იგი?“ (იოანე 11, 34), ანდა როცა უნაყოფო ლეღვის ხესთან მივიდა და დასწყევლა იგი (მათე 21, 19),ანთუ როცა განერიდა განრისხებულ იუდეველებს, რომელთაც მისი ჩაქოლვა სურდათ (იოანე 8, 59), ანდა როცა ილოცა ლაზარეს ძკვდრეთით აღდგინების წინ (იოანე 11, 42), ანთუ როცა (თავისი აღდგომის შემდეგ) თავს ისე მოაჩვენებდა მოწაფეებს, თითქოს „უშორესადრე წარსვლაჲ“ სურდა (ლუკა 24, 28,). ყოველივე ამაში და ამის მსგავსში მ ა ს არავითარი საჭიროება არ ჰქონდა — არც როგორც ღმერთს და არც როგორც ადამიანს, მაგრამ მაინც მოქმედებდა ხოლმე ადამიანივით იქ, სადაც შესაფერისად ჩათვლიდა ამას იმ მიზნით, რომ ამგვარი მოქმედებით სარგებლობა მოეტანა ადამიანებისათვის. ასე, მაგალითად, ი გ ი იმისთვის ლოცულობდა, რომ ყველასთვის დაენახვებინა — ღმერთის წინააღმდგომი არ ვარო, და ამით ჯეროვან პატივს ძიაგებდა ძ ა მ ა ს, როგორც თაკის მ ი ზ ე ზ ს; ასევე იკითხავდა ხოლმე იმიტომ კი არა, თითქოს არ უწყოდა, არამედ იმისთვის, რომ ყველასთვის ეჩვენებინა — ღმერთი ვარ, და ამავე დროს ჭეშმარიტი ადამიანიც ვარო; კვალად, განერიდებოდა განრისხებულ იუდეველებს იმისთვის, რათა ესწავლებინა ჩვეხთვის — განუსჯელი უგნურებით ნურასდროს ნუ ჩაიგდებთო თავს განსაცდელში და ბედის ანაბარად ნუ მიატოვებთო საკუთარ თაუს. მაშასადამე, ყოველივე ამას ი გ ი ჩვენთვის იქმოდა.

სხვას რასმე ამბობდა თუ იქმოდა ქრისტე გათავისებისა გამო (ადამიანური თვისებებისა) და პირობითად; მაგალითად ი გ ი ამბობდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათვის დაჰ-ტევებ მე?“ (მათე 27, 46), და ამასაც იტყვიან მასზე: „...რო-

მელმან-იგი არა იცოდა ცოდვაი, ჩვენთვის ცოდვაი ქმნა, რაი-თა ჩვენ ვიქმნნეთ სიმართლე ღმრთისა მას შინა" (II კორინთ. 5, 21);[46] და კვალად: „ქრისტემან ჩვენ მოგვიყიდნა წყევისა მის-გან შჯულისა, და იქმნა ჩვენთვის წყევასა ქვეშე, რამეთუ წე-რილ არს: წყეულ იყავნ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელ-სა" (გალატ. — 3, 13); და კიდევ ესეც: „რაჟამს დაემორჩილოს მას ყოველი, მაშინ თავადიცა ძე დაემორჩილოს მას, რომელ-მან-იგი დაამორჩილა მას ყოველი, რაითა იყოს ღმერთი ყოვ-ლად ყოველსა შინა" (I კორინთ. 15, 28). რამეთუ ი გ ი არა-სდროს არ ყოფილა მიტოვებული მამისაგან — არც როგორც ღმერთი და არც როგორც ადამიანი; არ ყოფილა არც ცოდვასა ქვეშე, არც წყევასა ქვეშე. და არც იმის საჭიროება ჰქონია, რომ დამონებულიყო მ ა მ ა ს, რადგანაც ვითარცა ღმერთი — ი გ ი თანასწორია მამისა, და არც მოწინააღმდეგე (ურჩი) ყოფილა მისი და არც დამორჩილებული მ ა ს; ხოლო როგორც ადამი-ანი ი გ ი არასდროს არ ყოფილა ურჩი მ შ ო ბ ე ლ ი ს ა, იმისთვის, რომ საჭიროება ჰქონოდა დამორჩილებოდა მას. მა-შასადამე, ყოველივე ამას ქრისტე იმისთვის ამბობდა, რომ გაეთავისუფლებინა ჩვენი სახე და თავისი თავი ჩვენს გვერდით დაეყენებინა, რამეთუ ჩვენ დაქვემდებარებულნი ვიყავით ცოდ-ვას და ვიყავით „წყევასა ქვეშე", ვითარცა ურჩნი ღმრთისა და შეუსმენელნი მ ი ს ი მცნებებისა, რის გამოც მიტოვებულ ვიქმენით კიდეც ღმრთისაგან.[47]

სხვა რამაა ნათქვამი იესუ ქრისტეს შესახებ აზრისმიერი გაყოფის შედეგად (ბუნებათა). ასე, მაგალითად, თუკი ჩვენ ფიქრით განვაცალკევებთ იმას, რაც სინამდვილეში განუცალ-კევებელია, ანუ თუკი გამოვყოფთ ხორცს ს ი ტ ყ ვ ი ს ა გ ა ნ, მაშინ ქრისტე იწოდება მონად და უცნობელად, რადგანაც (ღმრთაებასთან ერთად) ჰქონდა აგრეთვე მონური და უცნო-ბელი ბუნება; და მ ი ს ი ხორცი შეერთებული რომ არ ყოფი-ლიყო სიტყვა-ღმერთთან, მაშინ იქნებოდა კიდეც მონური და უცნობელი. ამავე მნიშვნელობით უწოდებდა იგი მამას თავის ღმერთს.

სხვას რასმე ამბობდა და იქმოდა ქრისტე იმისთვის, რომ განეცხადებინა თავი ჩვენთვის და დაედასტურებინა თავისი ღვთის ძეობა; ასეთია, მაგალითად, შემდეგი გამონათქვამები:

„და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის დაბადებისა!“ (იოანე 17, 5); რამეთუ ი გ ი იყო და არის მარადის განდიდებული, მაგრამ მისი დიდება არ იყო გამჟღავნებული ჩვენთვის და საქმით დადასტურებული. ამასვე განეკუთვნება მოციქულის სიტყვებიც: „რომელი-იგი (ანუ ქრისტე) გამოჩნდა ძედ ღმრთისა[48] ძალითა და სულითა მით სიწმიდისაჲთა, აღდგომითა მით მკვდრეთით იესუ ქრისტეს უფლისა ჩვენისაჲთა“ (რომ, 1, 4), რადგან სასწაულთმოქმედებებითა და მკვდრეთით აღდგინებით (ლაზარესი) განცხადდა სულიწმიდის მოვლინება ამა ქვეყანად, და ასევე დამოწმებულ იქნა ისიც, რომ ი გ ი (ქრისტე) არის ძე ღმრთისა. ამასვე განეკუთვნება შემდეგი სიტყვებიც წმიდა სახარებისა: „და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და წინაშე კაცთა“ (ლუკა 2, 52).[49]

დაბოლოს, სხვას რასმე ამბობდა ი გ ი, როცა ითავისებდა იუდეველთა სახეს და თავს მათს რიცხვს მიაკუთვნებდა; ასეთი გამონათქვამია, მაგალითად, ის, როცა ქრისტე სამარიტელ დედაკაცს ეუბნება: „თქვენ თაყვანის-სცემთ რომელი არა იცით, ხოლო ჩვენ თაყვანის-ვცემთ რომელი ვიცით, რამეთუ ცხორებაჲ ჰურიათაგან არს“ (იოანე 4, 22).

მესამე სახეობა გამონათქვამებისა, რომლებიც ქრისტეს ბუნებათა შეერთების შემდგომ შეეფერება, წარმოგვიჩენს მ ი ს ერთ ჰიპოსტასს, მიუთითებს რა, ამავე დროს, მ ი ს ორ ბუნებაზე; მაგალითად ამგვარი გამონათქვამებია: „ვითარცმა მომავლინა მე ცხოველმან მამამან და მეცა ცხოველ ვარ მამისა თანა, და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ“ (იოანე 6, 57); ასევე: „...მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე“ (იოანე 16, 10); კვალად: „რომელი-იგი (ანუ ქრისტე) არავინ მთავართაგანმან ამის სოფლისამან იცნა, რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯვარს-ეცვა“ (I კორინთ. 2, 8,) და კიდევ ესეც: „არავინ აღხდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოხდა ზეცით — ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა“ (იოანე 3, 13) და მისთანანი.

იმ გამონათქვამთაგან, რომელნიც ქრისტეს შეეფერება მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ზოგი შეეფერება როგორც

ღმერთს; ასეთია, მაგალითად ეს გამონათქვამები: „წარვიდ-ეთ და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (მათე 28, 19), ანუ სახელითა ძისა, როგორც ღმერთისაო; და ესეც „და აჰა ესერა, მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამინ.“ (მათე 28, 20) და მისთანანი, რამეთუ ი გ ი როგორც ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა. სხვა გამონათქვამები ამავე რიგისა მ ა ს შეეფერება როგორც ადამიანს. მაგალითად, ასეთია: „და აჰა იესუ შეემთხვია მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მივიდეს და შეუვრდეს ფერხთა მისთა და თაყვანის სცეს მას“ (მათე 28, 9); ასეევ: „მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ წარვიდით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე“ (მათე 28, 10) და მისთანანი.

ასეთი გამონათქვამები, რომლებიც ქრისტეს როგორც ადამიანს შეეფერება მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, სხვადასხვა სახისაა. ერთნი მათგან, თუმცა კი ჭეშმარიტად შეეფერება მას, მაგრამ არა ბუნებისმიერ,[50] არამედ ადამიანთა ხსნის განგებულების შესაბამისად — დასადასტურებლად იმისა, რომ მკვდრეთით აღდგა სწორედ ის სხეული, რომელიც ჯვარზე ეკონა; ამასვე უნდა მივაკუთვნოთ ჭრილობები (ქრისტესი), მის მიერ საზრდოს მიღება და შესმა სასმელისა, რაც მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იყო. სხვანი კი მათგან ქრისტეს შეეფერება ჭეშმარიტად და ბუნებისმიერად; მაგალითად, ესაა — ერთი ადგილიდან მეორეზე დაუბრკოლებლად გადანაცვლება დახშულ, კართა შიერის გავლა და სხვა. მესამე სახის გამონათქვამები გამოხატავენ მ ი ს მიერ მხოლოდ ჩვენს დასანახად და ჩვენთვის მოქმედებულ საქმეთ; მაგალითად, ასეთია: „და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსვლაჲ“ (ლუკა 24, 28). ამ რიგის სხვა გამონათქვამები კი, ერთსა და იმავ დროს შეეფერება ორივე ბუნებას ქრისტესას, ასეთია შემდეგი გამონათქვამები: „ჰრქუა მას (მარიამს) იესუ: ნუ შემომეხები რე რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქვენისა“ (იოანე 20, 17); და კიდევ: „...აღეხუენით ბჭენი საუკუნენი და

შევიდეს მეუფეი დიდებისაჲ“ (ფსალმ. 23, 7); ასევე: „...და დაჯდა იგი მარჯვენით სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა“ (ებრ. 1, 3). სხვა გამონათქვამები კი შეეფერება მ ა ს, ვითარცა დამადგინებელს თავისა ჩვენს გვერდით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ გონებით განვყოფთ მის ერთ ბუნებას მეორისაგან; მაგალიად, ასეთია გამოთქმა: „აღვალ... ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქვენისა“ (იოანე 20, 17).

ამრიგად, ყოველივე ამაღლებული უნდა მივაწეროთ ღვთაებრივ ბუნებას (ქრისტესას), უვნებოსა და უხორცოს; ხოლო ყოველივე დამდაბლებული — (მის) ადამიანურ ბუნებას; მაშასადამე, ყველაფერი უნდა მივაკუთვნოთ ერთიან ქრისტეს, რომელიც არის ღმერთი და ადამიანი, ანუ უნდა მივაკუთვნოთ შედგენილ ბუნებას. ენდა ვიცოდეთ, აგრეთვე, რომ ერთიცა და მეორეც ეკუთვნის ერთსა და იმავე იესუ ქრისტეს, ჩვენს უფალსა და მაცხოვარს. რამეთუ როცა გვეცოდინება, თუ რა ახასიათებს მ ი ს თითოეულ ბუნებას, და დავინახავთ რა, რომ ორივე ბუნებისათვის დამახასიათებელი ე რ თ ი ს მიერ აღესრულება, — მაშინ მართლიად ვიწამებთ მ ა ს და არ შევცოდავთ მ ი ს აღიარებაში. ყოველივე ამისაგან შევიმეცნებთ განსხვავებას (ქრისტეს ჰიპოსტასში) შეერთებული ბენებებისას, და იმასაც რომ, როგორც ღვთაებრივი კირილე ამბობს, ღმრთაება და ადამიანობა (ქრისტესი) ბუნებისმიერი თვისებებით ერთი და იგივე არ არის; მაგრამ ერთია ძე და ქრისტე და უფალი; ხოლო რადგანაც ი გ ი — ერთია, ამიტომ მ ი ს ი პირიც — ერთია, რამეთუ ჰიპოსტასური შეერთება ბუნებებისა არაფრით არ განიყოფა და არ ირღვევა იმით, თუკი ვაღიარებთ სხვადასხვაობას ბუნებებისას.

თ ა ვ ი XIX

მასზედ, რომ ღმერთი არ არის მიზეზი ბოროტებისა.

ჯერ არს ვიცოდეთ რომ საღმრთო წერილისათვის ჩვეულებრივია ღმერთის დაშვებას (ნების დართვას) უწოდოს ხოლმე მ ი ს ი მოქმედება, როგორც ეს არის, მაგალითად, ღვთაებრივი (პავლე) მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ,

როცა ის ამბობს: „ანუ არა ხელ-ეწიფებისა მეკეცესა მას თიხისა მისვე შეზელილისაგან შესაქმედ — რომელიმე პატიოსნად ჭურჭლად და რომელიმე — უპატიოდ?“ რა თქმა უნდა, ღმერთი ერთსაც და მეორესაც, რადგან ი გ ი ა ერთადერთი შემოქმედი ყოველივესი გამოუკლებლად, მაგრამ პატიოსნად და უპატიოდ ჭურჭელს (ანუ გონიერ არსებებს) ღმერთი კი არ შექმნის, არამედ საკუთარი ნება ყოველისა. ეს იქიდანაც ჩანს, რასაც იგივე მოციქული ეუბნება ტიმოთეს მეორე ეპისტოლეში: „სახლსა შინა დიდსა არა არს ჭურჭელი ოქროისაჲ ხოლო და ვერცხლისაჲ, არამედ ძელისაჲცა და კეცისაჲცა, რომელნიმე პატიოსნად და რომელნიმე უპატიო; უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თვისი ამათგან, იყოს იგი ჭურ პატიოსან, წმიდა და სახმარ უფლისა, ყოვლისაკეთვის საქმისა კეთილისა განმზადებულ“ (II ტიმ. 2, 21 — 21). ცხადია, განწმედა თავისა საკუთარი ნებით ხდება, რამეთუ მოციქული ასევე ამბობს: „უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თვისი ამათგან“-ო.

ამის შესაბამისად, უკუდაშვება გვიჩვენებს, რომ ვინც არ განიწმედს საკუთარ თავს, ის უსარგებლო ჭურჭელი იქნება, უპატიო და უხმარი მ ე უ ფ ი ს ა თ ვ ი ს, და ღირსიც იმისა, რომ დამტვრეულ იქნას. ამიტომ, ზემომოყვანილი გამონათქვამი მოციქულისა, და ასევე სხვანიც როგორიცაა, მაგალითად ეს: „...შეაყენნა ღმერთმან ყოველნივე ურჩებასა, რაჲთა ყოველნი შეიწყალნეს“ (რომ. 11, 32), და ესეც: „მისცა მათ ღმერთმან სული მწუხარებისაჲ, თვალნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ყურნი, რაჲთა არა ესმოდეს ვიდრე დღეინდელად დღედმდე“ (რომ. 11, 8), — ყველა ეს გამონათქვამი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს თვით ღმერთმა მოიმოქმედა ყველაფერი ეს, არამედ იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ ღმერთმა დაუშვა, რომ ეს ასე ყოფილიყო, რამეთუ კეთილი საქმე თავისთავად დამოუკიდებელია და თავისუფალია გარედან რაიმე იძულებისაგან.

ამრიგად, საღმრთო წერილს სჩვევია ღმერთის მიტევება-დაშვების შესახებ ისაუბროს როგორც მ ი ს მოქმედებასა და აღძონაცენზე. მაგრამ მაშინაც კი, როცა საღმრთო წერილი ამბობს, რომ „მე (ანუ ღმერთი) ვარ, რომელი ვიმჭ მშვიდობასა და აღვაგებ ბოროტთა; მე ვარ უფალი ღმერთი, მოქმედი ამათ ყოველთა“ (ესაია 45, 7), აი, ამის თქმითაც საღმრთო წერილი

არ გვიდასტურებს, რომ ღმერთი შეიძლება იყოს მიზეზი ბოროტებისა. რამეთუ სიტყვა — „ბოროტება“ —-ორგვარად იხმარება და ორი მნიშვნელობა აქვს: ზოგჯერ იგი აღნიშნავს ბუნებით ბოროტს, რაც საწინააღმდეგოა სათნოებისა და ღმრთის ნებისა; ზოგჯერ კი აღნიშნავს ბოროტსა და სამძიმოს მხოლოდ-დამხოლოდ ჩვენი გრძნობებისათვის, ანუ მწუხარებათ და უბედურებათ, — ესენი, რაკი სამძიმონი არიან ჩვენთვის, მხოლოდ ამის გამო გვეჩვენება ბოროტებად; სინამდვილეში კი ისინი — კეთილნი არიან, რამეთუ გულისხმისმყოფელთათვის მოქცევისა და ხსნის მიზეზად შეიქნებიან ხოლმე. სწორედ ესევითართა შესახებ ლაპარაკობს საღმრთო წერილი, რომ ყოველივე ღმერთისაგან არისო.

თუმცა, სხვათა შორის, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი „ბოროტების“ მიზეზიც თვით ჩვენ ვართ ხოლმე, რამეთუ უნებლიე ბოროტება — ნებაყოფლობით ბოროტებათა ნაყოფია.[52]

უნდა ვიცოდეთ, აგრეთვე, რომ საღმრთო წერილისათვის დამახასიათებელია როგორც ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფზე ილაპარაკოს იმაზე, რაც უნდა გავიგოთ ხოლმე როგორც მხოლოდ ერთმანეთის მომდევნო ქმედებანი, როგორიცაა, მაგალითად, გამონათქვამი: „შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რაჲთა განმართლდე სიტყვათაგან შენთა და ხძლო შჯასა შენსა“ (ფსალმ. 50, 6), რამეთუ შემცოდეს იმისთვის როდი შეუცოდია, რომ ღმერთმა სძლოს (ბოროტს) და „განმართლდეს“ რადგან ღმერთს არ სჭირდება, რომ ჩვენ ვცოდავდეთ, — უამისოდაც ი გ ი მარადის მძლეველია; ი გ ი, როგორც შემოქმედი, მიუწვდომელი, არაქმნილი, მქონე ბუნებისმიერი დიდებისა, და არა — ნასესხებისა, ესევითარი ღმერთი შეუდარებლად აღემატება ყველაფერს და ყოვლთა მძლეველია, თვით იმათიც კი, ვინაც არ სცოდავს, მაგრამ ეს ნათქვამია იმ აზრით, რომ როცა ჩვენ ვცოდავთ, ი გ ი არ არის ხოლმე უსამართლო, რაკი თავის რისხვას მოგვაწევს, და მძლეველია, რაკი მონანულთ შეიწყნარებს, ანუ სძლევს ჩვენში დამკვიდრებულ ცოდვას. თუმცა ჩვენ ამისთვის როდი ვცოდავთ, ანუ განგებ როდი ვცოდავთ, რათა შემდეგ შევინანოთ და ღმერთმა შეგვიწყნაროს, არამედ იმის გამო ვცოდავთ, რომ

ასე გამოდის სინამდვილეში. და ეს იმის მსგავსია, როცა ვინმე საშრომლად დაჯდება და ამ დროს მასთან მოულოდნელად მეგობარი მოდის, რის გამოც იგი იტყვის — აი, იმისთვის მეწვია მეგობარი, რომ დღეს აღარ ვიმუშაკო. რა თქმა უნდა, მეგობარი მართლაც იმისთვის როდი მოსულა მასთან, რომ შრომაში ხელი შეეშალა, მაგრამ თავისთავად ასე მოხდა, რადგან შეუდგება რა მეგობრის მიღება-გამასპინძლებას, ეს კაცი ვეღარ იმუშაკებს. ამგვარ შემთხვევებს ერთურთის მომდევნო (ერთმანეთიდან გამომდინარე) შემთხვევებს უწოდებენ, რადგანაც ასე ხდება ხოლმე თავისთავად. მაგრამ, ამასთანავე, ღმერთს არ ნებავს, რომ მართალი მხოლოდ თვით იყოს, არამედ სურს, რომ ყოველი თავისი შეძლებისდაგვარად დაემსგავსოს მას![53]

თავი XX

მასზედ, რომ ორი როდია დასაბამი.

ის, რომ ორი დასაბამი არ არსებობს — ერთი კეთილისა და მეორე ბოროტისა, შეგვიძლია შემდეგიდან დავასკვნათ. სიკეთე და ბოროტება ერთმანეთისადმი მტრული რამაა, დამღუპველი ერთურთისათვის, და მათ არ ძალუძთ ერთმანეთში იარსებონ, ანდა ერთმანეთის გვერდით ჰგიებდნენ. აქედან გამომდინარე, თითქოს, უნდა დავასკვნათ, რომ ყოველი მათგანი სამყაროს მხოლოდ ნაწილში უნდა არსებობდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში, თითოეული შემოფარგლული იქნება არამხოლოდ სამყაროთი, არამედ მისი ნაწილითაც. მეორეც განა ვინმემ დაუწესა თუ განუსაზღვრა თითოეულ მათგანს თავისი ნაწილი? ხომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ერმანეთს შეუთანხმდნენ, ურთიერთშორის ზავი დადეს და ასე არსებობენ, — იმიტომ, რომ ბოროტება, რომელსაც ზავი დაუდია სიკეთესთან და მას შეერთებია, უკვე აღარ არის ბოროტება; და ასევე სიკეთეც, მეგობრულად განწყობილი ბოროტებისადმი, შეთანხმებული მასთან, უკვე აღარ შეიძლება სიკეთედ იწოდებოდეს. ხოლო თუკი ვინმემ სხვამ განუწესა კიდეც თითოეულ მათგანს თავ-თავისი ადგილსამყოფელი, — ესევითარი, უპირველეს ყოვლისა, ღმერთი

უნდა იყოს. ამასთან, აუცილებელი იქნება ორიდან — ერთი: ან ის, რომ ეს დასაბამნი (სიკეთე და ბოროტება) თანაეხებიან ერთმანეთს და დაარღვევენ ერთურთს, ანდა ის, რომ უნდა არსებობდეს რაღაც საშუალი მათ შორის, რომელშიც არ იქნება არც სიკეთე და არც ბოროტება, და რომელიც მსგავსად რაღაც მიჯნისა, ერთმანეთისაგან განაცალკევებდა ამ ორ დასაბამს. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ არსებობს არა ორი; არამედ — სამი დასაბამი!

აუცილებელია კიდევ ერთი— ორიდან: ან ეს ორი დასაბამი მშვიდობას უნდა ინარჩუნებდეს, რაც შეუძლებელია ბოროტებისათვის, რადგანაც რაც მშვიდობით ჰგიებს, ის არც არის ბოროტება, ანდა ისინი უნდა ებრძოდნენ ერთმანეთს, რაც სიკეთისათვის არის შეუძლებელი, რადგან მბრძოლი უკვე აღარ არის მთლიანად კეთილი; ან მხოლოდ ბოროტი ებრძვის კეთილს, კეთილი კი წინააღმდეგობას არ უწევს და ისპობა ბოროტისაგან. (რაც შეუძლებელია), ანდა მარად მწუხარებასა და შევიწროებას დაითმენს ბოროტისაგან, რაც არ შეიძლება სიკეთის ნიშან-თვისება იყოს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, გვეტყვიან, საიდანაა ბოროტება?

რამეთუ შეუძლებელია ბოროტებას სიკეთისაგან ჰქონდეს დასაბამი. ამაზე ჩვენ მივუგებთ, რომ ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა მოკლება სიკეთისა, და ბუნებრივისაგან ბუნების საწინააღმდეგოსაკენ მიდრეკა; რამეთუ ბუნებისმიერ არაფერია ბოროტი, რადგანაც „ყოველნი, რაოდენნი ქმნნა" (ღმერთმან) იმ სახით რა სახითაც ყველაფერი წარმოიშვა, „კეთილ ფრიად" (დაბად. 1, 31); მაშასადამე, ყოველივე, რაც იმავე სახით ჰგიებს, როგორიც თავდაპირველად შეიქმნა — „კეთილ ფრიად", ხოლო ყველაფერი ის, რაც თავის ნებით შორდება ბუნებისმიერს და ბუნების საწინააღმდეგოსაკენ მიიდრიკება, ბოროტებაში აღმოჩნდება.

ბუნებისმიერ ყოველივე შემოქმედს ექვემდებარება და მ ი ს ი მორჩილია. ამიტომ, როცა რომელიმე ქმნილთაგან თავისი ნებით შეეწინააღმდეგება თავის შემოქმედს და მისი ურჩი შეიქნება, მაშინ ის თავის თავშივე ხდება ბოროტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბოროტება არ არის რა-

ღაც არსი და არც თვისება არსისა; ბოროტება არის რაღაც შემთხვევითი, ანუ თვითნებური მიდრეკა ბუნებრივისაგან — ბუნების საწინააღმდეგოსაკენ, რაც, სწორედ, არის კიდეც შეცოდება.

მაშ, საიდანღაა აღმოცენებული ბოროტება? — ბოროტება არის აღმონაცენი ეშმაკის თავისუფალი ნებისა. მაშასადამე, ეშმაკი — ბოროტია. იმ სახით, როგორითაც იგი შეიქმნა, ეშმაკი არ არის ბოროტი, არამედ კეთილია, რამეთუ შემოქმედმა იგი ნათელ და ბრწყინვალე ანგელოზად შექმნა, ამასთანავე — როგორც გონიერი და თავისუფალიც; მაგრამ ეშმაკი თავისი ნებით განუდგა ბუნებისმიერ სიკეთეს, და ბოროტების წყვდიადში ჩაფლული აღმოჩნდა, რადგან განეშორა თავის შემქმნელ ღმერთს, რ ო მ ე ლ ი ერთი მხოლოი არის სახიერი, ცხოველმყოფელი და ნათლის წყარო; რამეთუ ყოველივე კეთილი მ ი ს მიერ შეიქმნება კეთილად, და რამდენადაც მოშორდება ხოლმე მ ა ს თავისი ნებით, და არა — ადგილით (სივრცეში), იმდენადვე ეწევა ხოლმე ბოროტს, ცოდვას დაქვემდებარებული.[54]

თ ა ვ ი XXI

რატომ შეჰქმნა ღმერთმა, წინათმცნობელმა ყოველივესი ისინი, რომელნიც შესცოდავენ და არ შეინანებენ?[55]

ღმერთი, თავისი სახიერებითა და წყალობით, არარადან არსებობას ანიჭებს ყოველივე არსებულს, და წინასწარ უწყის ყველაფერი, რაც უნდა (მომავალში) აღსრულდეს. ამრიგად, თუკი შემცოდენი არ მიიღებდნენ არსებობას არარადან, მაშინ არც შესცოდავდნენ, ბოროტნი არ შეიქნებოდნენ, და ამიტომ მათს გამო არც წინათმცნობელობა იარსებებდა. რამეთუ მცხობელობა იმას განეკუთვნება, რაც არსებობს; ხოლო წინათმცნობელობა იმას განეკუთვნება, რაც უსათუოდ აღსრულდება მომავალში. მაგრამ თავდაპირველი—არსებობაა (საერთოდ), და მხოლოდ მერმინდელია — არსებობა კეთილად თუ ბოროტად. ხოლო თუკი მომავალში ღმერთის სახიერებით არსებობის მიმღებთათვის დაბრკოლება გახდებოდა ის, რომ ისინი თავისი

ნებით ბოროტნი უნდა შეიქნენ, მაშინ ბოროტება სძლევდა ღმერთის სახიერებას. ამიტომ ღმერთი ყოველივეს, რასაც ქმნის, კეთილად ქმნის; ხოლო თითოეული უკვე შემდეგ თავისი თავისუფალი ნებით შეიქნება ხოლმე ბოროტად, ანდა კვლავაც კეთილი დარჩება. აქედან გამომდინარე, თუკი უფალმა თქვა კიდეც — „ვაჲ არს მის კაცისაჲ, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემისl უკეთეს იყო მისა, უკუეთუმცა არა შობილ იყო“-ო (მარკოზი 14, 21), — ამით ი გ ი თავის საკუთარ ქმნილებას კი არ ჰგმობდა, არამედ მხოლოდ იმ ბოროტებას, რომელიც მ ი ს ქმნილებაში აღმოცენდა თავისუფალი ნებელობისა და დაუდევრობის მიზეზით; რამეთუ სწორედ დაუდევრობამ მისი თავისუფალი ნებისა შექნა მისთვის უსარგებლოდ შემოქმედის წყალობა. აკი ამქვეყნადაც ასეა, რომ თუკი ვინმე, ვისთვისაც სელმწიფეს თავისი სიმდიდრე და ძალაუფლება მიუნდვია, თავისი კეთილისმყოფელის წინააღმდეგ გამოიყენებს მათ, მაშინ სელმწიფე დააშოშმინებს მას და საკადრისად დასჯის, თუკი დარწმუნდება, რომ ეს უკანასკნელი ბოლომდე ერთგული დარჩენილა თავისი ძალაუფლებისმოყვარე ზრახუებისა.[56]

თ ა ვ ი XXII

საღმრთო სჯულისა და ცოდვის სჯულის შესახებ.

ღმრთაება — სახიერია და ყოვლად სახიერია; ამგვარივეა მ ი ს ი ნებაც. რამეთუ ის, რაც ღმერთს ნებავს — კეთილია. სჯული კი არის ის მცნება, რომელიც გვასწავლის სიკეთეში ვჰგიებდეთ, კეთილს ვჰყოფდეთ და ნათლით ვიყოთ; მცნების დარღვევა კი — ცოდვაა. ხოლო მომდინარეობს ცოდვა ეშმაკის შეგონებისაგან, და ჩვენს მიერ ამ შეგონების ნებაყოფლობითი, და არა — იძულებითი, — შეწყნარებისაგან. ცოდვაც, ასევე, სჯულად იწოდება.

ამრიგად, საღმრთო სჯული, შემოდის რა ჩვენს გონებაში, თავისკენ მიიზიდავს მას და ჩვენს სინდისს განაღვიძებს რომელიც ჩვენი გონების სჯულადაც იწოდება. მეორეს მხრივ, ეშმაკვარის შეგონება, ანუ ცოდვის სჯული, შემოდის რა ჩვენ-

ში — ჩვენი სხეულის ორგანოებში, სწორედ მათი მეშვეობით ხემოქმედებს ჩვენზე. რამეთუ რაკი ერთხელ ჩვენი თავისუფალი ნებით გარდავხდით საღმრთო სჯულს და დავექვემდებარეთ მზაკვარის შეგონებას, ჩვენ ამ შეგონებას უფლებას ვაძლევთ ხოლმე შემოვიდეს ჩვენში, და ამგვარად, ცოდვას ვწევთ საკუთარ თავს. ამის გამო ჩვენი სხეულიც ადვილად მიიზიდვის ცოდვით. ამიტომაც ჩვენს სხეულში დავანებული სიმყარე და შეგრძნება ცოდვისა ანუ ბილწი გულისწადილი და გრძნობისმიერი სიამოვნება, — იწოდება კიდეც სჯულად „ასოთა შინა" ჩვენი სხეულისა.[57]

სჯული ჩემი გონებისა, ანუ ჩემი სინდისი თანა-დაუტკბება საღმრთო სჯულს, ანუ ღმერთის მცნებას, და სურს იგი თავისთვის. ხოლო სჯული ცოდვისა, ანუ შეგონება (მზაკვარისაგან) იმ სჯულის მეშვეობით, რომელიც არის „ასოთა შინა ჩვენთა", ანუ ბილწი გულისთქმის, გრძნობისმიერი მიდრეკილებისა თუ მოძრაობის, (ჩვენი) სულის არაგონიერი ნაწილის მეშვეობით „წინა-განეწყვების შჯულსა მას გონებისა ჩემისასა" (რომ. 7, 3), ანუ ჩემს სინდისს; და თუმცა მე მსურს საღმრთო სჯულის მიღება და მიყვარს იგი, ხოლო ცოდვის მიღება არ მსურს, ცოდვის სჯული მაინც შემიპყრობს ხოლმე მე ჩემი სხეულის ხაწილებთან (ასოებთან) შერევნის შედეგად, და სიამეთა განცდით, სხეულის ავხორცობითა და (ჩემი) სულის არაგონიერი ნაწილის მეშვეობით, როგორც უკვე ვთქვი, მაცთუნებს და შემაგონებს — ცოდვის მონა გავხდე. მაგრამ „შეუძლებელი იგი შჯულისაჲ, რომლითა უძლურ იყო" სჯული „ხორცთა მათთვის, ღმერთმან ძე თვისი მოავლინა მსგავსად ხორცთა მათ ცოდვისათა" (რომ. 8, 3), რამეთუ მ ა ნ ხორცი მიიღო, ყოველივეთი ჩვენი მსგავსი თვინიერ ცოდვისა, „და საჯა ცოდვაჲ იგი ხორცითა თვისითა, რაითა სიმართლე იგი შჯულისაჲ აღესრულოს ჩვენ შორის, რომელნი არა ხორციელად ვიქცევით, არამედ სულიერად" (რომ. 8, 3 — 4). რამეთუ „სულიცა-იგი თანა-შეეწევის უძლურებათა ჩვენთა..." (8, 26) და ძლიერებით შემოსავს ჩვენი გონების სჯულს იმ სჯულის წინააღმდეგ ,რომელიც არის „ასოთა შინა" ჩვენი სხეულისა. სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნათქვამი ესეც: „რამეთუ რაჲმცა იგი ვილოცეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით; არამედ თვით იგი ს უ ლ ი მეოხ არს

ჩვენთვის სულთქუმისა მით უსიტყველითა“ (რომ. 8, 26), ანუ გვასწავლის, თუ რისთვის უნდა ვილოცოთ ხოლმე. ამიტომაც სხვაგვარად შეუძლებელია უფლის მცნებათა ჭეშმარიტებით აღსრულება, თუ არა მხოლოდ მოთმინებითა და ლოცვა-ვედრებით.

თავი XXII

შაბათისათვის, — იუდეველთა წინააღმდეგ.

შაბათად იწოდა (შექმნათა შემდგომ დამდგარი) მეშვიდე დღე, და თვით ეს სიტყვა (ებრაულ ენაზე) — „მოსვენებას“ აღნიშნავს, რამეთუ სწორედ ამ დღეს „დასცხრა“ ღმერთი „ყოველისაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნნა“ (დაბად. 2, 2), როგორც ამას საღმრთო წერილი გვეუბნება. ამიტომაცაა, რომ დღეთა აღრაცხვა ამგვარად წარმოებს — დაითვლება მეშვიდე დღემდე, მერე (თითქოს) დასაწყისს უბრუნდება და კვლავ პირველიდან იწყება. ეს რიცხვი (შვიდი) პატივის-იცემება იუდეველთა მერ, რადგან ღმერთმა ბრძანა მისი გამორჩევა და პატივით აღნიშვნა, და შემთხვევით როდი ბრძანა ეს, არამედ მეტად სამძიმო სასჯელიც დააწესა მისი დარღვევისათვის; კვალად, ტყუილ-უბრალოდ კი არ ბრძანა ეს, არამედ რაღაც მიზეზისა გამო, რაც საიდუმლოა და მისაწვდომია მხოლოდ სულიერი და მშვრეტელი მამების მიერ.[58]

და რამდენადაც მე მესმის (ეს საიდუმლო) — უცნობელს, — ისე გადმოვცემ ამასთან დავიწყებ ამას უფრო მდაბლითა და ტლანქით. ღმერთმა, იცოდა რა ისრაელი ერის უბირობა და სიყვარული ყოველივე ხორციელისადმი, საერთოდ, მისი მიდრეკილება ნივთიერისადმი, და, ამასთანავე, მისი განუსჯელობაც, ასეთი კანონი დაუწესა: პირველ ყოვლისა, „დღე იგი მეშვიდე — შაბათი არს უფლის ღმერთისა შენისაჲ; არა იქმოდე შენ ყოველსავე საქმესა შენსა, ნუცა შენ, ნუცა ძე შენი, ნუცა ასული შენი, ნუცა მონაჲ შენი, ნუცა მხევალი შენი, ნუცა ხარი შენი, ნუცა კარაული შენი, ნუცაღა ყოველივე საცხოვარი შენი, ნუცა მწირი შენი. ნუცა მსხემი შენი, რომელი შეყოფილ იყოს და ჯდეს შინაგან ბჭეთა შენთა, რამეთუ განისვენოს მო-

ნამან შენმან და მსევალმან შენმან და საცხოვარმან შენმან...“ (II სჯული 5, 14), ვითარცა წერილ არს, რადგანაც „სწყალობნ მართალი (კაცი) საცხოვართა თვისთა“ (იგავთა 12, 10); ამასთანავე, იმისთვისაც (უნდა იქმოდნენო ასე), რომ გათავისუფლდებიან და მატერიალურ საზრუნავთაგან, ღმერთისაკენ მიიქცევიან და მთელს მეშვიდე დღეს — შაბათს — გაატარებენ „...ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა“-ი. (ეფეს. 5, 19) და საღმრთო წერილის კითხვა მოსმენაში, და ამგვარად განისვენებენ ღმერთშიო. რამეთუ როცა ჯერ კიდევ არ იყო სჯული, და არც ღმრთივსულიერი წერილი, მაშინ ჯერ არც შაბათი იყო მიძღვნილი ღმერთისადმი;[59] მაგრამ როცა მოსეს მეშვეობით ადამიანებს საღმრთო წერილი მოეცა, მაშინ შაბათიც მიეძღვნა ღმერთს იმისათვის, რომ სწორედ ამ დღეს იწურთნიდნენ ადამიანები სულს ამ საქმიანობით (ანუ საღმრთო წერილის კითხვით), და რომ იმათ, ვინც მთელს თავის სიცოცხლეს ღმერთს არ მიუძღვნის და უფალს სიყვარულით კი არ ემსახურება, როგორც მ ა მ ა ს, არამედ ვითარცა უმადური ნონა, — აი, ესევითართ ღმერთისთვის დაეთმოთ თუნდაც სულ მცირე, უმნიშვნელო ნაწილი თავიანთი ცხოვრებისა, გაეკეთებინათ ეს, დაე თუნდ, მცნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობითა და დასჯის წინაშე შიშით; „რამეთუ მართალსა შჯული არა უც, არამედ უშჯულოთა და ურჩთა, უმსახურებელთა და ცოდვილთა, უღირსთა და ბილწთა, მამის მაგინებელთა და დედის მაგინებელთა, კაცისა მკვლელთა მეძავთა, მამათმავალთა, კაცის მსყიდელთა, მტყუვართა, ცრუფიცთა...“ (ტიმ. 1, 9). ამის დამადასტურებელია, უპირველეს ყოველისა მოსე, რომელიც ორმოცი დღის განმავლობაში (ერთხელ) და შემდეგაც კიდევ ერთხელ ორმოცივე დღე მარხვა-ლოცვით წარდგომილ იყო ღმერთის წინაშე, და უეჭველია, შაბათის მანძილზეც მოაუძლურებდა ხოლმე თავს მარხვით, თუმცა სჯული უბრძანებდა მართხვით არ დაეუძლურებინა თავი შაბათს. თუკი სიტყვას მომიგებს ვინმე და მეტყვის, — ეს სჯულის მოღებამდე იყოო, — მაშინ ელია თეზბიტელზე, რაღას მეტყვის ესევითარი, იმ წინასწარმეტყველზე, რომელიც ორმოცი დღის სავალ გზას ისე გაივლიდა, რომ მხოლოდ ერთხელ მიიღებდა საზრდოს? — რამეთუ იგი, დააუძლურებდა რა თავს არაკეთილად მარხვით, არა-

მედ გზაზე სვლითაც შაბათ დღეებშიც, ამით, რა თქმა უნდა, შაბათის აღთქმასაც დაარღვევდა ამ ორმოცდღიანი მოგზაურობისას; და ღმერთი, რომელმაც შაბათის სჯული განუწესა ადამიანებს, კი არ განურისხდა მას ამისთვის, არამედ თითქოს მოწონების ნიშნადაც, ქორიბში გამოეცხადა ელია თეზბიტელს. ან კი რას იტყვის ესევითარი სიტყვის-მგებელი დანიელის შესახებ? — განა მან სამი შვიდეული არ დაჰყო ყოველგვარი საზრდოს გარეშე?! და განა მთელი ერიც ისრაელისა შაბათ დღეს არ წინადაცვეთს ახალშობილ ყრმას, თუკი სწორედ შაბათს დაემთხვევა მერვე დღე მისი შობიდან?! ასევე განა სჯულით დადგენილ დიდ მარხვასაც არ იცავენ ისინი (იხ. ლევიტ. 23, 27), დაე თუნდ იგი შაბათსაც ემთხვეოდეს?! ანდა სამღვდელონი და ლევიტელნი — განა შაბათს არ შეაგინებენ თავიანთი საქმიანობით (სჯულის) კარავში, და მიუხედავად ამისა, მაინც დანაშაულად არ ითვლება ეს?! ანდა ესეც ხომ ვიცით, რომ შაბათ დღეს პირუტყვი რომ ორმოში ჩავარდეს, მისი ამრმყვანი დამნაშავედ (შაბათის აღთქმის დამრღვევად) არ ჩაითვლება, ხოლო ის, კი, ვინც გვერდზე ჩაუვლის (და არ ამოიყვანს), — გაიკიცხება. ხოლო რა, — განა მთელი ისრაელი ერი საღმრთო კიდობნით ხელში არ უვლიდა გარს იერიქონის გალავანს მთელი შვიდი დღის მანძილზე, რომელთა შორის, უეჭველია, შაბათიც იყო?![60]

ამრიგად, როგორც უკვე ვთქვი, ღმრთისა თანა განსვენებისათვის, რათა მ ა ს მიუძღვნიდნენ ხოლმე ადამიანები დროის თუნდაც სულ უმნიშვნელო ნაწილს და ერთად განისვენებდნენ მონაცა და სახედარიც, — დადგენილ იქნა დამარხვა შაბათის დღისა იმ ადამიანთათვის, რომელნიც ჯერეთ ყრმანი არიან, ანუ იმათთვის, ვინც არის „წესთა მათ ქვეშე ამის სოფლისაითა... დაკირთებულ“ (გალატ. 4, 3), ანუ ხორციელ ადამიანთათვის და ვერ შემძლეთათვის გულისხმის-ყოფად იმისა, რაც სხეულსა და ასოთ აღემატება. „ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თვისი, მხოლოდშობილი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი შჯულსა ქვეშე, რაჲთა შჯულსა ქვეშე მყოფნი გამოიხსნნეს, და რაჲთა შვილებაჲ იგი მოვიღოთ“ (გალატ. 4, 4 — 5). რამეთუ ჩვენ, რომელთაც შევიწყნარეთ და ვირწმუნეთ ი გ ი,

მოგვეცა „ხელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი“ (იოანე 1, 12). ასე, რომ ჩვენ უკვე აღარა ვართ მონები, არამედ ძენი (ღმრთისა); აღარა ვართ სჯულის ქვეშ, არამედ ვგიებთ საღმრთო მადლის ქვეშ; მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც შიშის გამო კი არ ვემსახურებით უფალს, არამედ შეგვგავს ჩვენი ცხოვრების მთელი დრო მას მივუძღვნათ, და მონაც, — ვგულისხმობ (ჩვენს) მრისხანებასა და ბილწ გულისთქმას, — ყოველთვის უნდა დავასვენოთ ცოდვათაგან, და ჩვენი მოსვენება ღმერთისაკენ მივაქციოთ, რათა განუწყვეტლივ მხოლოდ მისკენ ისწრაფდეს ჩვენი ნდომა-სურვილი, ხოლო რისსვით აღვიკურვებოდეთ მხოლოდ ღმრთის მტერთა წინააღმდეგ; ამგვარადვე უღელში შებმულ პირუტყვსაც, ანუ ჩვენ სხეულს უნდა მოვასვენებდეთ ხოლმე ცოდვას დაქვემდებარებისაგან და ვაიძულებდეთ ღმრთის სამსახურს და საღმრთო მცნებების აღსრულებას.

აი, სწორედ ეს დაგვიდო აღთქმად ქრისტეს სულიერმა სჯულმა, და ამ სჯულის აღმსრულებელნი მოსეს სჯულზე აღმატებულნი შეიქნებიან, „რამეთუ წიგნი მოაკვდინებს, ხოლო სული აცხოვნებს“ (II კორინთ. 3, 6); რადგან ოდეს სრულყოფილი მოვიდა, „მაშინ მცირედიცა-იგი“ განქარდა (I კორინთ. 13, 10), ანუ მაშინ, როცა საფარველი (კრეტსაბმელი) სჯულისა განიპო მაცხოვრის ჯვარცმით და როცა სულიწმიდა ცეცხლოვანი ენების სახით გაბრწყინდა (მოციქულთა ზედა),—სწორედ მაშინ სჯული (წიგნისა) უარყოფილ იქნა და ჩვენ მოგვემადლა თავისუფლების სჯული. ჩვენ ვდღესასწაულობთ სრულყოფილი მოსვენების დღეს ადამიანური ბუნებისას (და არა—შაბათს),— მე ვლაპარაკობ (მკვდრეთით) აღდგომის დღეზე, რომლის მემკვიდრენიც შეგვქმნა ჩვენ უფალმა იესუმ, მეუფემ სიცოცხლისა და მაცხოვარმა, რომელმაც მოგვანიჭა ეს მემკვიდრეობა, აღთქმული ღმერთის სულიერ მსახურთათვის, — ის მემკვიდრეობა, რომელშიც პირველი თვით შევიდა ჩვენს წინამორბედად, რაკი მკვდრეთით აღდგა და ზეცად აღმაღლდა, რომლის კარნიც მას პირველს განეხვნა, და რაკი სხეულებრივად (მკვდრეთით აღმდგარი სხეულით) დაჯდა მარჯვენით მამისა; და იქავე შევლენ ისინიც, რომელნიც სულიერ სჯულსა დაი-

მარხავენ, მას შემდეგ, რაც უფლის მსგავსად მკვდრეთით აღდგებიან.[61]

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის სულიერად მაცალთათვის, და არა (წიგნის) სჯულს დაქვემდებარებულთათვის, დამახასიათებელია ყოველმხრივი უკუგდება ხორციელისა და სულიერი მსახურება ღმრთისა, რომლისა თანა ერთიანნი ვართ. რამეთუ წინადაცვეთაც აღნიშნავს სხეულებრივ სიამეთა უკუგდებას, ანუ უარისთქმას ყოველივე ზედმეტსა და არა აუცილებელზე, რადგან აკი კიდურა ხორციც სხვა არაფერია, თუ არ ზედმეტი ტყავი იმ ასოსი, ხორციელ სიამეს რომ აღძრავს. ხოლო ეს კი ვუწყით, რომ ყოველი სიამე, რომელიც ღმერთისაგან არ არის და ღმერთში თუ ღმერთის მიერ არ არის, — ზედმეტი სიამეა, უსარგებლო სულიერი ადამიანისათვის, და ამ სიამის სახეს წარმოადგენს კიდეც კიდურა ხორცი. ხოლო ბაშათი არის მოსვენება ცოდვისაგან. ასე, რომ წინადაცვეთა და შაბათი — ერთი რამაა, და, მაშასადამე ერთიცა და მეორეც იმ ადამიანთა მიერ დაიმარხება ჟეშმარიტებით, რომელნიც სულიერად ცხოვრობენ და იქცევიან, და ესევითარი ადამიანები სულ მცირე უსჯულოებასაც კი არ სჩადიან.[62]

უნდა ვიცოდეთ, აგრეთვე, რომ რიცხვი შვიდი აღნიშნავს მთელს აწინდელ დროს, როგორც ამბობს ყოვლად ბრძენი სოლომონი: მიეცი ნაწილი ქონებისა შვიდს, რვასაც კი, რადგან არ იცი, რა უბედურება მოელის ქვეყნიერებასაო (ეკლესიასტე 11, 2); და ღმრთისმეტყველი დავითიც, როცა „მერვისათვის“ გალობდა (ფსალმ. 6, 1), სწორედ მომავალ მდგომარეობაზე გალობდა, ანუ ადამიანის ყოფაზე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ. ამიტომაც სჯულმა, ბრძანებდა რა მეშვიდე დღე ხორციელ სიამეთაგან განსვენებაში გაეტარებინათ და სულიერი საქმენი აღესრულებინათ, საიდუმლო სახით უჩვენა ჟეშმარიტ ისრაელს, ღმრთის მჭვრეტელი გონების მქონეს, რომ ჯერ-არს მარად ღმერთს ვუახლოვდებოდეთ და სულიერი ყოფით აღვმაღლდებოდეთ ყოველივე ხორციელზე.[63]

თავი XXIV

ქალწულებრიობისათვის (უქორწინებლობის შესახებ).

ხორციელი და სიამეთო მოყვარული ადამიანები გმობენ ქალწულებას, და საბუთად მოჰყავთ სიტყვები თვით საღმრთო წერილისა, რომელიც გვეუბნება: „წყეულ იყავ ყოველი, რომელმან არა აღუდგინოს თესლი ისრაელსა“ (II სჯული 25, 9). ჩვენ კი, ვეფუძნებით რა ქალწულისაგან ხორციელ-ქმნილ სიტყვა-ღმერთს, ვამტკიცებთ, რომ ქალწულება ზეგარდმო (მონიჭებული) და თავდაპირველადვე დანერგილ იქნა (ღმრთისაგან) ადამიანთა ბუნებაში. რამეთუ ადამიანი ქალწულებრივი (უბიწო) მიწისაგან შეიქმნა. ევაც მხოლოდ ერთისაგან — ადამისაგან შეიქმნა. და სამოთხეშიც ქალწულება იყო დამკვიდრებული. მართლაც, საღმრთო წერილი გადმოგვცემს, რომ ადამი და ევა შიშველნი იყვნენ და არ სცხვენოდათ ამისა (დაბად. 2, 25). ხოლო როცა გარდახდნენ ღმერთის მცნებას, მაშინღა სცნეს თავიანთი სიშიშვლე და შერცხვათ მის გამო, და ამიტომ გარემოსარტყელნიც შეიკერეს (დაბ. 3, 7). და მხოლოდ ამ შეცოდების შემდგომ, როცა ადამმა მოისმინა ღმერთის სასჯელი — „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“-ო. (დაბად. 3, 19) და როცა ამ შეცოდების გამო ამქვეყნად სიკვდილი შემოვიდა, — მხოლოდ ამის შემდეგ „ადამმა იცნა ჰევაჲ, ცოლი თვისი და მიდგომილმან შვა“ (დაბად. 4, 1). მაშასადამე, ქორწინება იმისათვის იქნა დადგენილი, რომ ადამიანთა მოდგმა არ აღხოცილიყო და არ მოსპობილიყო სიკვდილისაგან, და გაგრძელებულიყო შთამომავლობით ბავშვების შობის გზით.[64]

მაგრამ შეიძლება გვითხრან: მაშ, რაღას უნდა ნიშნავდესო საღმრთო წერილის სიტყვები — „მამაკაცად და დედაკაცად შეჰქმნა იგინი“ (დაბად. 1, 27)? ანდა გამოთქმაო — „აღორძიმდით და განმრავლდით“, (დაბად. 1, 28) რაც ღმერთმა ადამიანებს უთხრაო? ამაზე ჩვენ მივუგებთ, რომ გამოთქმა — „აღორძინდით და განმრავლდით“ — არ ნიშნავს განმრავლებას უსათუოდ ქორწინებით შეერთების გზით, რამეთუ ღმერთს, ყოვლის შემძლეს, შეეძლო ადამიანთა მოდგმა სხვა რამ გზითაც განემრავლებინა, თუკი ისინი არ დაარღვევდნენ მცნებას და

არ შესცოდავდნენ. მაგრამ წინათმცნობელმა ღმერთმა, „...რომელმან უწყის ყოველნი პირველ ქმნისა მათისა“ (დანიელი 13, 42) ,და წინდაწინვე იცოდა რა ამიტომ, რომ ადამიანები მომავალში დაარღვევდნენ მცნებას და დაისჯებოდნენ კიდეც, თავიდანვე მამაკაცად და დედაკაცად შეჰქმნა ისინი და უბრძანა — აღორძინდით და განმრავლდითო. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მსჯელობას და განვიხილოთ უპირატესობა უქორწინებლობისა და სიწმიდისა, რაც იგივეა.

როცა ნოეს ებრძანა კიდობნად შესვლა და დაეკისრა მსოფლიოს თესლის შენარჩუნება, მაშინ ღმერთმა ასე უთხრა მას: „შეევედ შენ და ყოველი სახლი შენი“, ძენი შენნი და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანიო (დაბად. 7, 1, 8). ღმერთმა განაცალკევა მამაკაცნი ცოლთაგან,[65] რათა მათ კეთილკრძალულება დაემარხათ და ასე აეცილებინათ თავიდან უბედურება საყოველთაო წარღვნისა. ხოლო წარღვნის დასრულების შემდეგ ღმერთი ეუბნება ნოეს: „გამოვედ კიდობნისაგან შენ და ცოლი შენნი და ძენნი შენნი და ცოლნი ძეთა შენთანი“ (დაბად. 8, 16). აი, კვლავაც ნებადართულია შეუღლება კაცთა მოდგმის განმრავლებისათვის.

კვალად, გავიხსენოთ ელია თეზბიტელი, — ზეცად აღტაცებული ცეცხლოვანი ეტლით და ზეცისა მკვიდრი; — განა უქორწინებლობა არ შეიყვარა მან და განა ეს არ დაგვიდასტურა ჩვენ თავისი ცხოვრებით, ეგზომ რომ აღემატება ყოველგვარ ადამიანურ პირობებს?! ვინ დახშა ზეცა და არა აწვიმა მისგან? ვინ აღადგენდა მკვდრებს? ვინ განაპო მდინარე იორდანე? (III მეფეთა 17, 19 — 22 და IV მეფეთა 2, 8). — განა ქალწულებრივმა (უბიწო) ელიამ არა?! ანდა გავიხსენოთ ელისე, მისი მოწაფე, რომელმაც ორმაგი (მრჩობლი) მადლი ითხოვა სულიწმიდისა, — განა სრულად არ მიიღო იგი, როცა ასეთივე (ორმაგი) სათნოება გამოამჟღავნა?! (IV მეფ. 2, 9) ანდა სამი ყრმა (ბაბილონისა)? — განა ისინი ქალწულებრივი მოსაგრეობით არ განძლიერდნენ ისე, რომ ცეცხლზე ძლიერნი აღმოჩნდნენ, რამეთუ მათს სხეულებს ცეცხლი ვერ მოერია მათი უმანკოების გამო?! (დანიელი 3, 20 და შემდგ.). განა დანიელის სხეული არ იყო, განმტკიცებული უმანკოებით, გარეულ მხეცთა კბილებმაც რომ ვერაფერი ავნეს?! (დან. 6, 22). და განა ღმერთმაც,

როცა განიზრახა გამოცხადებოდა ისრაელ ერს, არ უბრძანა მათ სიწმიდითა და კრძალულებით დაემარხათ თავიანთი სხეულები?! (გამოსვლ. 19, 15 და რიცხეთა 6, 2 და შემდგ.). და განა განწმედილნი და კეთილადკრძალულნი არ შედიოდნენ სამღვდელონი წმიდათაწმიდა საკურთხეველში, სადაც ღმერთისათვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ?! განა საღმრთო სჯულიც უდიდეს აღთქმას არ უწოდებს უმანკოებას (კეთილკრძალულებას)?!

სჯულის ბრძანება ქორწინების შესახებ, რომელიც ზემორე მოვიყვანეთ (II სჯული 25, 9), უფრო სულიერად უნდა გავიგოთ. რამეთუ იგი არის სულიერი თესლი, რომელიც ღმრთის შიშითა და სიყვარულით ჩაისახება სულის საშოში, და სულიც სალმობითა და კირთებით შობს სულს ხსნისა. ამგვარადვე უნდა გავიგოთ ეს გამონათქვამიც საღმრთო წერილისა: „ნეტარ არს, რომელსა აქუნდეს თესლი სიონს შინა და სახლეული იერუსალემს შინა“ (ესაია 31, 9). ნუთუ ნეტარი შეიძლება იყოს ყოველი, დაე, თუნდ მემრუშე, ლოთი თუ კერპთა თაყვანისმცემელი, ოღონდ კი ჰქონდეს „თესლი სიონს შინა და სახლეული იერუსალემს შინა“? — საღადმოაზროვნეთაგან არავინ არ დაიწყებს ამის მტკიცებას.

ქალწულება (უქორწინებლობა) არის სახე ანგელოზთა ცხოვრებისა, ანუ განმასხვავებელი ნიშან-თვისება ყოველი უხორცო ბუნებისა. ამას რომ ვამბობთ, ამით ქორწინებას როდი ვგმობთ, — ნუ იყოფინ! — რამეთუ ისიც ვუწყით, რომ თვით უფალმა იესუ ქრისტემ თავისი ამქვეყნად ყოფნის ჟამს აკურთხა და წმიდა-ყო ქორწინება; ვუწყით აგრეთვე სიტყვებიც ამის მთქმელისა — „პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და საწოლი შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“ (ებრ. 13, 4); მაგრამ ვუწყით რა ყოველივე ეს, იმასაც ვაღიარებთ, რომ ქალწულება (უქორწინებლობა) უმჯობესია თავისთავად კარგ და პატიოსან ქორწინებაზე; რამეთუ სათნოებათა შორისაც არსებობს უფრო მაღალი და დაბალი საფეხური, ისევე, როგორც მანკიერებათა შორის. ვუწყით ისიც, რომ სწორედ ქორწინებისაგან წარმოიშვა ამქვეყნად ყველა მოკვდავი, გარდა პირველმშობელთა (ადამისა და ევასი), რამეთუ ისინი — ქალწულებისა და უმანკოებისაგან არიან, და არა — წარმოსაშობნი ქორწინებისა. მაგრამ უქორწინებლობა, როგორც უკვე

ვთქვით, არის მიბაძვა ანგელოზთა ცხოვრებისა. ამიტომაც, რამდენადაც ანგელოზია ადამიანზე აღმატებული, იმდენადვე ქალწულებაც უპატიოსნესია ქორწინებაზე. მაგრამ რადა ანგელოსს ვიტყვი?! — აკი თვით უფალი ჩვენი იესუ ქრისტე ადიდებს ქალწულებასა და უქორწინებლობასა, და არამხოლოდ იმიტომ, რომ ი გ ი მ ა მ ი ს ა გ ა ნ იშვა დაუსაბამოდ, განლევისა და შეუღლების გარეშე, არამედ იმიტომაც, რომ შეიქნა რა ჩვენი (ადამიანთა) მსგავსი, ი გ ი ჩვენს შობაზე აღმატებული სახით ხორციელ-იქმნა და იშვა წმიდა ქალწულისაგან მეუღლებრივი შეერთების გარეშე, და თავისი თავითვე გვიჩვენა ჭეშმარიტი და სრულყოფილი ქალწულობა. ამიტომაც, თუმცა კი მას არ დაუკანონებია ქალწულება (უქორწინებლობა), რამეთუ „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მოცემულ არს" (მათე 19, 11), როგორც თვით ბრძანა, მაგრამ მ ა ნ თავისი მაგალითით გვასწავლა ქალწულება და ძალიც მოგვმადლა მისი დამარხვისათვის. რამეთუ ვისთვის არ არის ცხადი, რომ ამჟამადაც ქალწულება ცოცხლობს და მოქმედებს ადამიანთა შორის?!

რაღა თქმა უნდა, მშვენიერი რამაა ბავშვთა გაჩენა, რასაც ქორწინება აღმოაცენებს;[68] კარგია ქორწინება იმის გამოც, რომ „სიძვისათვის კაცად-კაცადსა თვისი ცოლი ესვინ" (I კორინთ. 7, 2), რომლითაც აღიკვეთება სიძვა-მრუშება, როცა სჯულიერი შეერთება ნებას არ აძლევს ავხორცობას მძვინვარებდეს და არასჯულიერი ქმედებისაკენ უბიძგებდეს ადამიანს; მაშასადამე, კარგია ქორწინება იმათთვისაც, ვისაც არა აქვს თავშეკავებისა და კეთილკრძალულების ძალი. მაგრამ ქალწულება (უქორწინებლობა) — უმჯობესია, რამეთუ იგი განამრავლებს სულიერ ნაყოფთ და უშობს ღმერთს კეთილდროულ მსხვერპლს — წმიდა ლოცვას. ასე, რომ „რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ" ქალწულება (მათე 19, 12), ხოლო „ქორწილი პატიოსან არს ყოვლითავე და საწოლი — შეუგინებელ; ხოლო მეძავნი და მემრუშენი — საჯნეს ღმერთმან!" (ებრ. 13, 4).

თავი XXV

წინადაცვეთილებათვის

წინადაცვეთილება აბრაჰამს მოეცა სჯულისდებამდე, კურთხევა შემდგომ და მას მერე, რაც აღთქმა მიიღო ღმერთისაგან — მოეცა როგორც ნიშანი, რომელიც სრულიად განასხვავებდა მას, მის შვილთა და მთელს სახლეულს სხვა ხალხებისაგან, რომელთა შორისაც იგი იქცეოდა (დაბად. 12, 3...; 15, 5... და 17, 10). ეს ცხადი ხდება შემდეგი გარემოებიდან: როცა ისრაელმა ერმა ორმოცი წელი გაატარა უდაბნოში მარტომ, ისე, რომ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა და ამიტომ არც აღერეოდა სხვა რომელიმე ხალხს, მაშინ უდაბნოში მყოფთაგან არავინ არ იყო წინადაცვეთილი. ხოლო როცა ისუ (ნავემ) იორდანეზე გადაიყვანა ისინი, სწორედ მაშინ წინადაიცვითეს, და მოცემულ იქნა მეორე სჯული წინადაცვეთილებისა; რამეთუ (პირველი) სჯული წინადაცვეთილებისა მოცემულ იქნა ისრაელი ერისადმი ჯერ კიდევ აბრაჰამის დროს; შემდეგ ამ სჯულმა შეწყვიტა თავისი მოქმედება ისრაელის უდაბნოში ყოფნის ორმოცი წლის განმავლობაში და ღმერთმა შემდეგში ხელახლა, მეორედ დაუდო წინადაცვეთილების კანონი ისუ ნავეს, როგორც ეს სწერია კიდეც. საღმრთო წერილში: „მას ჟამსა შინა ჰრქუა უფალმან ისუს: იქმნენ შენ დანაკნი ქვისანი, ქვისა ცისნატეხისანი, და დაჯედ და წინადასცვითე ძეთა ისრაელისათა მეორედ“ (ისუ ნავე 5, 2). და ცოტა ქვემოთ ხათქვამია: „...ორმეოცდაორ წელ იქცეოდა ისრაელი უდაბნოსა მას მადბარიტისადისასა. ამისთვის წინადაუცვეთელ იყვნეს მრავალნი მბრძოლთა მათგანნი, რომელნი გამოსრულ იყვნეს ქვეყანით ეგვიპტით, რომელნი-იგი არა ერჩდეს ბრძანებათა ღმრთისათა, რომელნი-იგი განაჩინნა უფალმან არა ხილვად ქვეყანა იგი, რომლისათვის, ეფუცა უფალი მამათა მათთა მოცემად ჩვენდა ქვეყნისაჲ, რომლისაგან გამოსდის სძეჲ და თაფლი. ამათ წილ დაადგინნა ძენი მათნი, რომელთა წინადასცვითა ისო, რამეთუ წინადაუცვეთელ იყვნეს, რამეთუ იყვნეს იგინი გზასა ზედა წინადაუცვეთელ“ (ისუ ნავე 5, 6 — 7). ამიტომაც წინადაცვეთილება ის ნიშანი იყო, რომელიც ისრაელ ერს გა-

ნასხვავებდა სხვა ხალხებისაგან, რომლებთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.[67]

მაგრამ წინადაცვეთილება იყო აგრეთვე წინა-სახეც ნათლისღებისა. რამეთუ როგორადაც წინადაცვეთა აშორებს სხეულის ასოს უსარგებლო ნაწილს, ასევე წმიდა ნათლის მიღებითაც ჩვენ განვიშორებთ ცოდვას; ცოდვა კი, როგორც ეს ცხადია, არის სიჭარბე სურვილისა, და არა-სასარგებლო სურვილი. შეუძლებელია, რომ ვისმე სრულიად არ ჰქონდეს არავითარი სურვილი, ანდა ის, რომ ვინმესთვის სრულიად უცხო ხილი იყოს (ხორციელი) სიამოვნება. მაგრამ ურგებობა სიამოვნებაში, ანუ უსარგებლო სურვილი და სიამოვნება — ცოდვაა, რომელიც განაპობს წმიდა ნათლისღებას, წმიდა ჯვარის გამოსახულებას რომ გვანიჭებს შუბლზე ჩვენი რწმენის ნიშნად და განგვასხვავებს ჩვენ არა სხვა ხალხებისაგან, — რამეთუ ყველა ხალხს მიუღია ნათელი და ჯვარის ნიშნითაც აღბეჭდილა, — არამედ თვითეულ ხალხში განასხვაებს მართალ ძორწმუნეს — ურწმუნოსაგან. აქედან გამომდინარე, როცა ჭეშმარიტება გაცხადდა, მაშინ უსარგებლო ხდება ხატი (სახე) და აჩრდილი. ამიტომაც, ამიერიდან წინადაცვეთილება ყოვლად ზედმეტია და საწინააღმდეგოცაა ნათლის-ღებისა. რამეთუ წინადაცვეთილი „თანამდებ არს... ყოველსა შჯულსა ყოფად" (გალატ. 5,3). უფალიც იმისთვის იქნა წინადაცვეთილი, რომ სჯული აღესრულებინა, და ი გ ი „ყოველსა შჯულსა" აღასრულებდა და შაბათსაც იმარხავდა, რათა დაეცვა და განემტკიცებინა სჯული. ხოლო იმ დროიდან მოყოლებული, როცა მ ა ნ ნათელ-იღო და სულიწმიდა გამოეცხადა აღამიანებს, — იმ დროიდან იქადაგება სულიერი მსახურება და სახე ცხოვრებისა, ანუ იქადაგება ცათა სასუფეველი.[68]

თ ა ვ ი XXVI

ანტიქრისტეს შესახებ[69]

უნდა ვიცოდეთ, რომ ჯერ-არს ანტიქრისტეს მოსვლა ამქვეყნად. რა თქმა უნდა, ყოველი, ვინც არ აღიარებს, რომ ძ ე ღმრთისა ხორციელად მოვიდა, და რომ ი გ ი არის სრულყოფილი ღმერთი, ხოლო „უკანასკნელთა მათ ჟამთა" განკაცება

ვა სრულყოფილი ადამიანი შეიქნა, ისე, რომ, იმავდროულად, სრულყოფილ ღმერთადაც დარჩა, — ყოველი ადამიანი, ვინც ამას არ აღიარებს, რა თქმა უნდა, არის კიდეც ანტიქრისტე (იხ. I იოანე 4, 3). მაგრამ საკუთრივი მნიშვნელობით და უპირატესად ანტიქრისტედ ის (პიროვნება) იწოდება, რომელიც ამა ქვეყნის დასასრულის ჟამს მოვა. ამრიგად, ჯერ-არს ძაბამდე მთელს ქვეყნიერებაზე ყველა ხალხს ექადაგოს სახარება, ვითარცა ბრძანა უფალმა, და სწორედ მაშინ მოვალს იგი (ანტიქრისტე) ღმრთისათვის საძაგელი იუდეველების გამოსააშკარავებლად. რამეთუ უფალი ეუბნებოდა მათ: „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხვაჲ მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ“ (იოანე 5, 43). და მოციქულსაც უთქვამს იუდეველთა შესახებ: „...ვინაჲთგან სიყვარული იგი ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რაჲთამცა ცხოვნდეს იგინი, ამისთვის მოუვლინოს მათ ღმერთმა შემწე საცთურებისაჲთა, რაჲთა ჰრწმენეს მათ ტყუვილისაი, რაჲთა ისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებისაჲ მის, არამედ სათნო-ეყვნეს სიცრუესა შინა“ (II თესალონიკ. 2, 10 — 12). მაშასადამე, იუდეველებმა არ მიიღეს ი ს, ვ ი ნ ც არის ძე ღმრთისა, უფალი და ღმერთი იესუ ქრისტე, ხოლო მას (ანტიქრისტეს) — ცრუს, რომელიც თავის თავს ღმერთს უწოდებს, მიიღებენ და ჭეშმარიტ მესიად აღიარებენ. რომ ის (ანტიქრისტე) თვით უწოდებს საკუთარ თავს ღმერთს, ამაზე შემდეგს ამბობს ანგელოზი, რომელიც წინასწარმეტყველ დანიელს დამოძღვრავს: „და ყოველთა მიმართ ღმერთთა მამათა მისთასა არა გულისხმა-ყოს“ (დანიელი 11, 37); და ღვთაებრივი მოციქულიც ამბობს: „ნუმცა ვინ გაცთუნებს თქვენ ნუ რომლითა სახითა, რამეთუ უკუეთუ არა მოვიდეს განდგომილებაჲ იგი პირველად, და გამოჩნდეს კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ, მსდომი იგი და განდიდებული და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებლად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გაძოაჩინებდეს თავსა თვისსა ვითარცა ღმერთი“ (II თესალონიკ. 2, 3 — 4).[70] ტაძართა ღმრთისასაო, რომ ბრძანებს, — ეს ჩვენს, ქრისტეს ეკლესიას კი არ ნიშნავს, არამედ ძველ, ანუ

იუდეველთა ეკლესიას: რამეთუ იგი (ანტიქრისტე) ჩვენთან კი არ მოვა, არამედ — იუდეველებთან; ქრისტეს სანაცვლოდ კი არ მოვა, არამედ — ქრისტესა და ქრისტიანთა წინააღმდეგ; სწორედ ამიტომ იწოდება კიდეც იგი ანტიქრისტედ (ანუ ქრისტეს მოწინააღმდეგედ).[71]

ამრიგად, მანამდე ჯერ-არს ყველა ხალხს ექადაგოს უფლის სახარება (იხ. მათე 24, 14). „და მაშინ გაეოჩნდეს უშჯულო იგი..., რომლისა-იგი მოსვლაჲ არს შეწევნითა ეშმაკისაჲთა, ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა სასწაულებითა ტყუილისაჲთა, და ყოვლითავე საცთურითა სიცრუისაჲთა და წარწყმედულთა მათ შორის,... რომელი-იგი უფალმან აღხოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარვოს იგი გამოჩინებითა მით მოსვლისა მისისაჲთა“ (II თესალონიკ. 2, 9 — 10). ამრიგად, თვით ეშმაკი კი არ შეიქნება ადამიანად,[72] მსგავსად უფლის განკაცებისა, — ნუ იყოფინ! — არამედ იშვება კაცი სიძვისაგანდა თავის არსებაში მიიღებს მთელს ძალს და მოქმედებას სატანისა. რამეთუ ღმერთი, რ ო მ ე ლ მ ა წინათვე უწყის გარდაქცეულება მისი (ანტირქისტეს) მომავალი ჯერ-ჩინებისა, მიუშვებს ეშმაკს იმისათვის, რომ შესახლდეს ანტიქრისტეში.

ამრიგად, იგი (ანტიქრისტე) იშვება, როგორც ვთქვით სიძვისაგან, (შემდეგ) ფარულად აღიზრდება, უეცრად გამოჩნდება, აჯანყდება (ყოველივეს აღაშფოთებს, არევ-დარევს) და შეფედ შეიქნება. დასაწყისში თავისი მეფობისა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავისი მძლავრობისა (ტირანიისა), იგი შეინიღბება წმიდანობის ოდენ გარეგანი სახით; ხოლო როცა გამარჯვებული შეიქნება, დაიწყებს ღმრთის ეკლესიის დევნა-შევიწროებას და ამაში მთელს თავის სიბოროტეს გამოავლენს. ხოლო მოვალს იგი „ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა სასწაულებითა ტყუილისაჲთა“ (II თესალონიკ. 2, 9), ანუ გამონაგონი, მოჩვენებითი სასწაულებით, და არა ჭეშმარიტი სასწაულმოქმედებით, და და იმათ, ვისაც უძლური და არამტკიცე გონება აქვს, შეაცდენს და განაშორებს ცხოველი ღმრთისაგან, იქამდეც კი, რომ ცდუნებულ იქნებიან, „უკუეთუ შესაძლებელ არს“, რჩეულნიც (მათე 24, 24).

მაგრამ, ამავე დროს, ამქვეყნად მოივლინებიან ენუქი და ელია თეზბიტელი (მალაქ. 4, 6) და მოაქცევენ მამათა გულებს

შვილებისადმი, ანუ სინაგოგას (იუდეველებს) — ჩვენი უფლის იესუ ქრისტესადმი და მოციქულთა ქადაგებისადმი, შემდეგ კი ძოკლულ იქნებიან ანტიქრისტეს მიერ (იხ. გამოცხ. 11, 3). და მოვა უფალი ზეცით იმგვარადვე, როგორადაც იხილეს ი ვ ი, ზეცად აღმავალი, წმიდა მოციქულებმა (საქმე მოციქ. 1, 11): სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი, დიდებითა და ძლიერებითა თვისითა, და „კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ"... „უფალმან აღხოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარეოს იგი" (II თესალონიკ. 2, 3, 8). ამიტომაც, დაე ნურავინ ნუ მოელის უფალს ამა ქვეყნისაგან! არამედ ზეცით მოველოდეთ მ ი ს მეორედ მოსვლას, როგორც ეს მ ა ნ თვით ბრძანა და განაჩინა.

თ ა ვ ი XXVII

(უფლის და მომავალში ყოველთა ადამიანთა მკვდრეთით) აღდგომისათვის.

ჩვენ გვწამს აგრეთვე „აღდგომაჲ მკვდართაჲ". რამეთუ ჭეშმარიტად აღსრულდება (ყოველთა) შესვენებულთა მკვდრეთით აღდგომა. როცა ყოველთა მკვდრეთით აღდგომაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ სხეულთა აღდგომას. რამეთუ აღდგომა არის მეორედ აღდგინება წაქცეულისა. სულნი კი როგორ შეიძლება მკვდრეთით აღდგნენ, თუკი ისინი უკვდავნი არიან?! რამეთუ თუკი სიკვდილს განსაზღვრავენ როგორც სულის გაყრას სხეულისაგან, მაშინ მკვდრეთით აღდგომა, უეჭველად, არის მეორეგზის შეყრა-შეერთება სულისა და სხეულისა, და მეორეგზისი აღდგინება დარღვეული და მომკვდარი ცოცხალი არსებისა. მაშასადამე, სწორედ ის სხეული, რომელიც გახიხრწნება და ირღვევა, უხრწნელი აღდგება მკვდრეთით. რამეთუ ი მ ა ს, ვ ი ნ ც დასაბამად მიწის მტვრისაგან შეჰქმნა ადამიანი, განა ის კი აღარ ძალუძს, რომ კვლავ აღადგინოს იგი მას შემდეგ, რაც ის, შემოქმედისავე დადგენებით, დაირღვა და ისევ მიწას დაუბრუნდა, რომლისაგანაც მოღებულ იქნა?![73]

ხოლო თუკი არ არის მკვდრეთით აღდგომა, მაშინ, როგორც ღვთაებრივი მოციქული ამბობს, „ვჭამოთ და ვსუათ, რამეთუ ხვალე მოვსწყდებით“-ო (I კორინთ. 15, 32), და მხოლოდ იმას ვესწრაფვოთ, რომ შვება-სიამით აღსავსე ცხოვრება გვქონდეს. თუკი, კვალად, არ არის მკვდრეთით აღდგომა, მაშინ რითი განვსხვავდებით ჩვენ პირუტყვთაგან?! თუკი არ არის მკვდრეთით აღდგომა, მაშინ ჩვენ ყველაზე ბედნიერ არსებებად უნდა მივიჩნევდეთ გარეულ მხეცებს, რომელნიც შეუურვებლად ცხოვრობენ. თუკი არ არის მკვდრეთით აღდგომა, მაშინ არც ღმერთი ყოფილა და არს მ ი ს ი განგებულება არსებულ, ყოველივეს რომ წარმართავს, და მაშინ ყველაფერი შემთხვევით მოძრაობს და განიგება.. რამეთუ ჩვენ ვხედავთ, რომ, აი, ძალზე მრავალი მართალი მორწმუნე გაჭირვებასა და უსამართლობას დაითმენს და არავითარ შეწევნას არ მიიღებს აწინდელ, ამაქვეყნიურ ცხოვრებაში, ხოლო ცოდვილი და უკეთური ადამიანების ცხოვრება აღსავსეა ყოველგვარი სიმდიდრით, შვებითა და ფუფუნებით. და განა საღად მოაზროვნე კაცი ყოველივე ამას ღმერთის ბრძნული განგებულებისა და სამართლიანი განსჯის საქმედ მიიჩნევს? მაშასადამე, იქნება, ჭეშმარიტად აღსრულდება (ყოველთა) მკვდრეთით აღდგომა. რამეთუ ღმერთი სამართლიანია და თავის მსასოებელთათვის მართალი მიმგებელია საზღაურისა. ამიტომაც, თუკი მხოლოდ ერთი სული (სხეულის გარეშე) იწურთნიდა თავს სათნოებათა მოსაპოვებლად, მაშინ მხოლოდ ის (ერთი) მიიღებს გვირგვინს (საუკუნო ნეტარებისა), და ასევე, თუკი მხოლოდ სული (უსხეულოდ) იქნებოდა განუწყვეტლივ სიამ-ტკბილობაში, მაშინ სამართლიანადვე დაისჯებოდა მხოლოდ ის (ერთი); მაგრამ რადგანაც არც სათნოებისაკენ და არც ბიწიერებისაკენ სული არ ისწრაფვოდა სხეულის გარეშე, ამიტომაც ისინი სამართლიანად მიიღებენ ჯეროვან საზღაურს ერთადვე.

საღმრთო წერილიც ასევე გვიდასტურებს, რომ ჭეშმარიტად იქნება სხეულთა მკვდრეთით აღდგომა. ღმერთი ასე ეუბნება ნოეს წარღვნის დასრულების შემდგომ: „ყოველნი თევზნი და ყოველი ქვეწარმავალი თქვენდა იყოს საჭმელად ვითარცა მბალი თივისაჲ, მიგცენ თქვენ ყოველნი, გარნა ხორცი სისხლითურთ სულისათ არა სჭამოთ; და რამეთუ სისხლიცა

თქვენი სულთა თქვენთა გამოვიძიო ხელისაგან მხეცთასა და გამოვიძიო იგი ხელისაგან კაცისა ძმისა მისისა, გამოვიძიო სული კაცისა. და დამთხეველისა სისხლსა კაცისასა ნაცვლად სისხლისა მისისა დაითხიოს, რამეთუ ხატად ღმრთისა შევქმენ კაცი" (დაბად. 9, 3—6); მაგრამ როგორ გამოიძიებს ღმერთი ადამიანის სისხლს „ხელისაგან მხეცთასა", თუკი არ აღადგინებს სხეულებს მომკვდარი ადამიანებისას?! რამეთუ კაცის სანაცვლოდ მხეცებს არ მოაკვდინებენ.

კვალად, მოსესაც ასე ეუბნება ღმერთი: „მე ვარ ღმერთი მამისა შენისა, ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი" (გამოსვლ. 3, 6). მაგრამ ვუწყით, რომ „არა არს ღმერთი მკუდართაჲ", იმათი, ვინც მომკვდარა და უკვე აღარ არსებობს, „არამედ ღმერთი ცხოველთაჲ" (მარკ. 12, 27), ანუ იმათი, რომელთა სულნი ცხოვრობენ „ხელთა შინა ღმრთისათა" (სიბრძნე სოლომ. 3, 1), ხოლო სხეულნი კვლავ განცოცხლდებიან (მკვდრეთით) აღდგომის გზით. უფლის წინაპარიც დავით მეფეც ასე მიმართავს ღმერთს: „ხოლო გარე-თუ-მიიქციო პირი შენი, შეძრწუნდიან, მოუღი სული მათი, და მოაკლდიან და მიწადვე თვისად მიიქცევიან" (ფსალმ. 103, 29); აი, ესაა სიტყვა სხეულთა შესახებ. შემდეგ კი იგი დასძენს: „გამოავლინო სული შენი და დაჰბადნე იგინი, და განაახლო პირი ქვეყანისაჲ" (იქვე, მუხლი 30-ე).

ესაია წინასწარმეტყველიც ასევე ამბობს: „აღდგენ მკუდარნი, და აღემართნენ საფლავთაშინა და იშვებდენ შორის ქვეყანასა, რმეთუ ცვარი შენმიერი (უფალო) საკურნებელ მათდა არს, ხოლო ქვეყანაჲ უთნოთა დაეცეს" (ესაია 26, 19); ის კი, რომ საფლავად სულნი კი არ შთაიდებიან, არამედ სხეულნი, ცხადია.

და ნეტარი იეზეკიელიც ამბობს: „და ვწინაჲსწარმეტყველებდ, ვითარცა ბრძანა მე უფალმან, და იქმნა ხმაჲ..., და აჰა, ძვრაჲ და მოიყვანნა ძვალნი, ძვალი ძვალისა მიმართ, თითოეული შენაწევრებისა მიმართ მისისა. და ვიხილე, და აჰა, ზედ-დაექნეს მათ ძარღვნი, და ხორცნი აღმოსცენდებოდეს და აღმოვიდოდე მათ ზედა, და გარე-მოეთხა მათ ზედა ტყავი ზედა კერძო, და სული არა იყო მათ შორის" (იეზეკ. 37, 7—8); შემდეგ კი იგი გვასწავლის, თუ უფლის ბრძანებით როგორ „შევიდა მათ-

დამი (ანუ მკვდრეთით აღმდგარ სხეულებში) სული და განცოცხლდეს" (იქვე, მუხლები 9 — 10).[74]

კვალად, ღვთაებრივი დანიელ წინასწარმეტყველიც ამბობს: „და მას ჟამსა აღდგეს მიქაილ, მთავარი დიდი, რომელი დგას ზედა ძეთა ერისა შენისათა, და იყოს ჟამი ჭირისა,... რომელი არა იყო, ვინათგან იქმნა ნათესავი ქვეყანასა ზედა და ვიდრე ჟამამდე, და მას ჟამსა განერეს ერი შენი, ყოველი პოვნილი დაწერილ წიგნსა შინა. და მრავალნი დაძინებულნი ქვეყანისა შინა მიწასა აღდგენ — რომელნი ცხორებად საუკუნოდ, და რომელნი ყვედრებად და სირცხვილად საუკუნოდ და გულისხმის-მყოფელნი განბრწყინდენ ვითარცა ბრწყინვალებაჲ სამყაროჲსა, და მართალთაგანნი მრავალთანი ვითარცა ვარსკვლავნი, საუკუნეთადმი და მერმეცა" (დანიელი 12, 1 — 3). ცხადია, რომ როცა წინასწარმეტყველი ამბობს — „მრავალნი დაძინებულნი ქვეყნისა შინა მიწასა აღდგენ"-ო — იგი მიგვითითებს სხეულთა (მკვდრეთით) აღდგომაზე, რამეთუ, რაღა თქმა უნდა, ვერავინ დაიწყებს მტკიცებას — მიწაში სულებს სძინავთო.

გარდა ამისა, თვით უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ სრულიად ნთლად გადმოგვცა წმიდა სახარებაში სხეულთა აღდგომის შესახებ: „მოვალს ჟამი", — ამბობს იგი. — „ოდეს ყოველნი, რომელნი ისხნეს საფლავებსა, ისმინონ ხმისა მისისაჲ (ძისა კაცისაჲ) და გამოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი — აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა" (იოანე 5, 28 —29). არავინ ჭკუათმყოფელი არ იტყვის, რომ საფლავებში სულნი არიან დამარხულნი (და მაშასადამე, აქაც სხეულთა აღდგომაზეა საუბარი).

მაგრამ უფალმა მხოლოდ სიტყვით კი არა საქმითაც დაგვიდასტურა, სხეულთა მკვდრეთით აღდგომა. პირველ ყოველისა, მ ა ნ აღადგინა ოთხი დღის მკვდარი ლაზარე, რომელიც უკვე იხრწნებოდა და ყარდა (იოანე 11, 39 — 44); აღადგინა არა სხეულისაგან გაყრილი სული, არამედ სხეულიც სულთან ერთად, და სხვა რამ სხეული კი არა, არამედ სწორედ ის, რომელიც მომკვდარიყო და უკვე ყარდა. რამეთუ სხვაგვარად როგორ შეიტყობდნენ, ანდა როგორ ირწმუნებდნენ მომკვდარის აღდგომას, თუკი ამას დამახასიათებელი ნიშნები არ დაადასტურებდნენ? მაგრამ ლაზარე უფალმა აღადგინა თავისი ღვთაებრივი-

ბის დასადასტურებლად და იმაში დასარწმუნებლად (ადამიანებისა) რომ ი გ ი ც და ჩვენც (ყოველნი) მკვდრეთით უწდა აღვდგეთ; ამიტომაც ლაზარე კვლავაც უნდა მომკვდარიყო. თვით უფალი კი თავისი ბრწყინვალე აღდგომით შეიქნა დასაბამი სრულყოფილი აღდგომისა, უკვე რომ აღარ ექვემდებარება სიკვდილის ხელმწიფებას. სწორედ ამიტომ ამბობდა ღვთაებრივი პავლე მოციქული: „...უკუეთუ მკვდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს. და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს". მაშინ ამაო ყოფილა ჩვენი რწმენა, და მთელი ჩვენი ცხოვრება ცოდვებში გაგვიტარებიაო (I კორინთ. 15, 16—17). და შემდეგ ამბობს: რადგანაც „ქრისტე აღდგა მკვდრეთით", ამიტომ „იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა" (იქვე, მუხლი 20) და იგი „არს დასაბამი, პირმშოჲ მკვდრეთით" (კოლას. 1, 18); და კიდევ: „...უკუეთუ გურწამს, ვითარმედ იესუ მოკვდა და აღდგა, ეგრეცა ღმერთმან შესვენებულნი იგ[ი] იესუის მიერ მოიყვანნეს მის თანა" (I თესალონიკ. 4, 14); „ეგრეცა"-ო, ამბობს მოციქული, ანუ იმგვარადვე, როგორადაც თვით უფალი აღდგა მკვდრეთით.[75]

ცხადია, რომ უფლის მკვდრეთით აღდგომა იყო (ხელმეორედ) შეერთება-შეყრა მ ი ს ი უხრწნელი სხეულისა და (უკვდავი) სულისა (რამეთუ ისინი განეშორნენ ერთმანეთს ჯვარზე მ ი ს ი სიკვდილით); აკი თვითონაც უთქვამს: „დაჰხსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე"-ო (იოანე 2, 19). წმიდა სახარება უტყუარად გვიმოწმებს, რომ აქ უფალი თავ[ის] სხეულზე ლაპარაკობდა (იხ. იოანე 2, 21). „იხილენით ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი", — ეუბნება უფალი თავის მოწაფეებს, რომლებიც ჰგონებდნენ სულს ვხედავთო. — „რამეთუ თავადი მე ვარ; ხელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძვალ არა ასხენ, ვითარცა-ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ" (ლუკა 24, 39). და ამის თქმაზე უჩვენებდა მათ თავის ხელებს, (შუბით განგმირულ) გვერდს, და თომასაც სთავაზობდა, — ხელი შემახეო. ნუთუ ეს ყოველივე საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სხეულთა მკვდრეთით აღდგომა ვირწმუნოთ?

კვალად, ამასაც ამბობს ღვთაებრივი მოციქული: „...ჯერ-არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაჲ, და მოკვდავისა ამის შემოსად უკვდავებაჲ" (I კორინთ. 15, 53); და კიდევ: „ეგრეთ-

ცა აღდგომაჲ მკვდართაჲ: დაეთესვის ხრწნილებით, და აღდგების უხრწნელებით, დაეთესვის გინებით, და აღდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით, და აღდგების ძლიერებით; დაეთესვის ხორცი მშვინვიერი (ანუ უხეში და მოკვდავი), და აღდგების ხორცი სულიერი" (იქვე, მუხლები 42 — 44); ამგვარია თვით უფლის სხეული აღდგომის შემდეგ, რომელიც დახშულ კართა შორის გადიოდა დაუბრკოლებლად, არ იღლებოდა, არ საჭიროებდა საზრდოს მიღებას, ძილს თუ სასმელის დალევას, რამეთუ როგორც თვით მაცხოვარი გვეუბნება, „აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან, არცა განჰქორწინებდენ. არაჰედ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი იყვნენ ცათა შინა" (მათე 22, 30); მაშასადამე, მაშინ აღარც ქორწინება იქნება და აღარც შვილთა შობა. მართლაც, ღვთაებრივი მოციქული ამბობს: „ხოლო ჩვენი მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, ვინაჲცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესუ ქრისტესა რომელმან გარდაცვალნეს ხორცნი ესე სიმდაბლისა ჩვენისანი, რაჲთა იყვნენ იგინი თანაბატ ხორცთა მათ დიდებისა მისისათა, შეწევნისაებრ ძლიერებისა მისისა, დამორჩილებად მისა ყოველი" (ფილიპ. 3, 20 — 21), და აქ (მოციქული) სხვად ქცევას კი არ გულისხმობს ჩვენი სხეულისას, არამედ მის შეცვლას ხრწნადობიდან უხრწნელებად.[78]

„არამედ თქვას ვინმე, ვითარმედ: ვითარ-მე აღდგენ მკვდარნი?" (I კორინთ. 15, 35) — ჰოი, ურწმუნოებავ! ჰოი, უგნურებავ! ვ ი ნ ა ც ერთიანი ნებით მტვერი ცოცხალ სხეულად აქცია; ვ ი ნ ც თესლის წვეთს საშოში უბრძანა ზრდა და წარმოქმნა ჩვენი სხეულის მრავალსახოვანი და მრავალფერი აგებულებისა, — განა მ ა ს ერთი ნებითვე ადვილად არ ძალუძს მკვდრეთით აღადგინოს ის, რაც უკვე ყოფილა და დარღვეულა?! „ანუ რომლითა-მე ხორცითა მოვიდენ?"-ო (I კორინთ. 15,35); ჰოი, „უგუნურო!" (იქვე, მუხლი 36) თუკი განძვინება არ გაძლევს ნებას ირწმუნო ღმერთის სიტყვები, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, საქმენი მაინც ირწმუნე! რამეთუ „შენ რომელ დასთესი, არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკვდის? და რომელი-იგი დასთესი, არა თუ იგი გვამი, რომელ ყოფად არს დასთესი, არამედ შიშველი მარცვალი გინა თუ იფქლისაი, ან თუ სხვაჲ რომელიმე თესლი. ხოლო ღმერთმან

მოსცის მას გვამი, ვითარცა უნებნ, და თითოეულსა თესლსა თავისი გვამი“ (I კორინთ. 15, 36—38). იხილე, თესლი ხნულში იფლობა, როგორც საფლავში; ვინ წარმოქმნის მის ფესვებს, ღეროს, ფურცელს, თავთავსა და ფაქიზ ბუსუსს თავთავისა? განა შემოქმედი ყოველივესი არ იქმს ამასაც?! განა იმის ბრძანება არ იქმს ამას, ვინც ყოველივე განაგო და დაამყარა?! ამგვარადვე გწამდეს, რომ მკვდრეთით აღდგომაც იქნება საღმრთო ნებითა და ბრძანებით, რამეთუ მის სურვილს ყოვლადძლიერებაც ახლავს თან!

ამრიგად, ჩვენ (ყოველნი) მკვდრეთით აღვდგებით, რადგან ჩვენი სულები ხელმეორედ შეუერთდებიან ჩვენს სხეულებს, რომლებიც უკვდავნი შეიქნებიან და უხრწნელებასაც შეიმოსავენ, და ასე წარვსდგებით ქრისტეს საშინელი სამსჯავროს წინაშე. ეშმაკი და მისი დემონები, ასევე ეშმაკის კაციც, ანუ ანტიქრისტე, უკეთური და ცოდვილი ადამიანებიც მათთან ერთად მიეცემიან „საუკუნო ცეცხლს“, არა ნივთიერს, როგორიც აწ გვაქვს და ვიცით, არამედ ისეთს, როგორიც მხოლოდ ღმერთმა უწყის.[77] ხოლო სათნონი ღმერთისა და სიმართლის მოქმედნი განათლდებიან ვითარცა მზე და მარადის ანგელოზებთან იქნებიან ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს თანა, მარადის ჰვრეტენ მას და თვითაც მოიხილებიან მის მიერ, და დასტკბებიან მისგან მომდინარე სიხარულით, და მარადის განადიდებენ მას მამითურთ და სულიწმიდითურთ, დაუსრულებლად უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

შენიშვნები IV წიგნისთვის

1. „...დაედასტურებინა ჰეშმარიტობა თავისი მკვდრეთით აღდგომისა და ცხად-ეყო, რომ ერთი და იგივე სხეული ევნო და აღდგა“ (წმიდა იოანე დამასკელი). ამ სწავლებას ეწინააღმდეგება გნოსტიკოსთა შეხედულებებით დაავადებული ორიგენი. ნეტარი თეოდორიტეს II დიალოგში მწვალებელი შეკითხვაზე — როდის დაასრულა არსებობა ქრისტეს ადამიანურმა ბუნებამ, პასუხობს: უკიდურეს შემთხვევაში, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ხორცმა სახე იცვალა და ღმრთაების ბუნებად გარდაიქმნაო. ნიკიტა, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომათა

განმმარტებელი, მისი 49-ე სიტყვის ერთი ადგილის გამო, სადაც ეკლესიის მოძღვარი აცხადებს, რომ ქრისტე მეორედ ხორციელად არ უნდა მოვიდესო, თუმცა არც სხეულის გარეშე მოვაო, ფიქრობს, რომ ეს გამონათქვამი ასე უნდა გავიგოთ: ხორცი ქრისტესი უკვე აღარ არის დაქვემდებარებული ბუნებისმიერ და მიწიურ (ამაქვეყნიურ) ვნებებს, როგორიცაა, შიმშილი, წყურვილი და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი გ ი მაინც უსხეულო როდია; ასე, რომ მ ა ს არ განუცდია თავისაგან ბუნებისმიერი თვისებები სხეულისა, — რა თქმა უნდა კვლავაც აქვს მისი სამმაგი განზომილება, ფორმები და მისთ.; და ეს სხეული უფრო მეტად ღვთაებრივი იქნება; მისი დანახვა შესაძლებელი იქნება, მაგრამ, ამასთანავე, იგი მოკლებული იქნება სიტლანქეს, რადგან უკვე ხორცი კი აღარ იქნება, არამედ რაღაც საშუალო ხორცსა და იმას შორის, რაც უსხეულოა (უნივთოა)... ამ შეხედულებას თვით წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი განამტკიცებს, როცა ამბობს (I ეპისტოლე კლედონიუსისადმი, რომელიც მიმართულია აპოლინარიუსის წინააღმდეგ): შეჩვენებას იმსახურებს ის, ვინც ამბობს — ქრისტემ აწ (მკვდრეთით აღდგომის შემდეგ) განიძარცვა თავისაგან ხორციო. აფინაგორეც, რომელიც იცავდა შეხედულებას ხორცის მკვდრეთით აღდგომის შესახებ, ამბობს, რომ აღდგომის შემდეგ სხეულებივით როდი ვიქნებით, თუმცა კი გვექნება რაღაც სხეულიო.

2. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

3. წმ. ბასილი დიდი. „სულიწმიდისათვის", 6.

4. ეს თავი მიმართულია აპოლინარისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ — ვინც მკვდრეთით აღმდგარ სხეულს სცემს თაყვანს, ის ადამიანს ემსახურებაო. მაგრამ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, თავის მხრივ, სწორედ მათ უწოდებს ხორცის მსახურებს რადგანაც, როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი გადმოგვცემს „(მწვალებელთა წინააღმდეგ") აპოლინარიუსი ამბობდა: არაფერს ისე არ უნდა ვეთაყვანებოდეთ, როგორც ქრისტეს ხორცსაო... წმ. ათანასე ალექსანდრიელიც (ეპისტოლე ადელფიოსისადმი) ამტკიცებს: თუმცა ხორცი, თავისთავად ქმნილ საგანთა რიცხვს განეკუთვნება, მაგრამ იგი ღმერთის

სხეული შეიქნა, და როცა ჩვენ მას თაყვანს ვცემთ, არ ვაცალკევებთ მას ს ი ტ ყ ვ ი ს ა გ ა ნ ო; და როცა გვსურს ს ი ტ ყ ვ ას ვცეთ თაყვანი, არც მ ა ს ვაცალკევებთ მისი ხორციისაგანო. იგივეს გადმოგვცემს (I წიგნის ბოლოს თავისი, აპოლიხარიუსის წინააღმდეგ მიმართული, შრომისა) წმ. ეპიფანეც, რომლისაგანაც წმ. იოანე დამასკელს ნასესხები აქვს კიდეც მაგალითი ძოწის (სამეფო) შესამოსელისა. ამიტომაცაა, რომ წმ. კირილე დაასკვნის: თუკი ვინმე იტყვის, სიტყვა-ღმერთთან ერთად თაყვანის-იცემება ზეცად ამაღლებული ადამიანიცო, ...ესევითარი შეჩვენების ღირსია („შეჩვენებათათვის", 8)... ამგვარადვე ფიქრობენ ნეტარი თეოდორიტე და სხვა წმიდა მამები.

5. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. II ეპისტოლე კლედონიუსისადმი.

6. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 39-ე სიტყვა.

7. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „უფლის განხორციელებისათვის"; წმ. კირილე ალექსანდრიელი. „თარგმანება იოანესი", წგ. I.

8. თავიდან წმ. იოანე დამასკელი, ალბათ, წმ. სოფრონის მიხედვით მსჯელობს, რომელიც თავის ეპისტოლეში სერგისადმი ამბობდა: სიტყვა-ღმერთი ხორციელ-იქმნა და შეუერთდა არა მანამდე არსებულ ხორცს... და არა მანამდე არსებულ სულს, არამედ იმ ხორცსა და იმ სულს, რომელთაც არსებობა დაწყეს სიტყვა-ღმერთის შესახლებით წმიდა მარადის ქალწულის საშოშიო.

9. თუ როგორ იყო ქრისტეს ხორცი დაქვემდებარებული ვნებებს, და ამით ხრწნადობას, — წმ. იოანე დამასკელი ლაპარაკობს III წიგნის 28-ე თავში, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ასეთი დაქვემდებარება არ მოასწავებს სიკეთილის შემდეგ სხეულის დაშლას სტიქიებად და მის გაქრობას.

10. წმ. გრიგოლ ნოსელი. „ევნომიუსის წინააღმდეგ", წგ. III; წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი შემდეგს ამბობს უფლის პირველშობისათვის (პირველშობილობისათვის) თავის სიტყვაში იოსებისა და მარიამის შესახებ: პირველშობილად უფალი იმიტომ კი არ იწოდება, თითქოს მის შემდგომ კიდევ ვინმე იყოს შობილი ქალწულისაგან, არამედ იმის გამო, რომ ი გ ი პირველშობილია ადამიანის ძეებთან შედარების გარეშე, ყოველი

ქმნილების მიმართ; რამეთუ როცა მოციქული ამბობს — პირ-
მშო ყოველი ქმნილებისაო, იგი არ მიუთითებს უფლის ძმაზეო
ასევე, როცა ის პირმშოს უწოდებს მას' შესვენებულთა,
ამით ისეთი ვინმე როდი შემოჰყავს, ვისაც ერთი სისხლი აქვს
უფლისა და მის მსგავსადვე შთახდა ჯოჯოხეთად; მაგრამ პირ-
ველშობილად მამისა და ქალწულისა უფალი იწოდება
იმისთვის, რომ ამით შევიმეცნოთ თავისთავად ერთადერთი
ღირსება მისი ძეობისა; რამეთუ შობა უფლისა ყოველგვარ
შედარებაზე აღმატებულია, — სადაც დედა — ქალწულია, იქ
როგორ შეგვიძლია ავხსნათ შობა?!

11. ძველად მწვალებელთა მოქცევის წესი ასეთი იყო: ვინც
ღმერთსა თუ სამებას აკნინებდა, ეკლესიაში დასაბრუნებლად
ხელახლა უნდა მონათლულიყო, რადგანაც ეკლესია, წმ. კლი-
მენტი ალექსანდრიელის მოწმობით, მწვალებელთა ნათლისღე-
ბას არ მიიჩნევდა ჭეშმარიტ ნათლობად... წმ. ათანასე ალექ-
სანდრიელიც, არიანელთა წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში
ფიქრობს, რომ ისინი ხელახლა უნდა მოინათლონ, რადგან ეს
მწვალებლები ინათლებიან ხოლმე არა მამისა და ძის სახელით,
არამედ შემოქმედისა და ქმნილების სახელითო, თუმცა კი გა-
რეგნულად ისე აკეთებენ, თითქოს მამისა და ძის სახელს წარ-
მოთქვამდნენო.. საკმარისი არ არის მხოლოდ წარმოვთქვათ
ხოლმე — უფალოო, არამედ აუცილებელია, ამასთავანე, ჭეშ-
მარიტი რწმენითაც ვიყოთ აღსავსენი; აკი უფალიც ასე შეა-
გონებდ ათავის მოწაფეებს, რომ მათ ჯერ დაემოძღვრათ ადა-
მიანები, ჭეშმარიტი რწმენით აღევსოთ ისინი და მხოლოდ
ამის შემდეგ მოენათლათ; ამიტომაც არავითარი მნიშვნელობა
არა აქვს მწვალებელთა ცალკეულ სიტყვებსა და გამონათქვა-
მებს, რადგან ისინი ჭეშმარიტ რწმენაზე არ დგანანო... კონს-
ტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებამ (381 წ.) გა-
მოსცა დადგინება მწვალებელთა შესახებ, სადაც განსაზღვრუ-
ლია, თუ ვის მიიღებს უკან ეკლესია ხელახალი ნათლობით, და
ვის ნათლობის გარეშე, მირონის ცხებით. ასეთი მწვალებლე-
ბის ვრცელი სია მოყვანილი ჰყავს VI საუკუნის მოღვაწეს ტი-
მოთეს, კონსტანტინეპოლელ პრესვიტერს. თუმცა, სხვათა შო-
რის, წმ. ბასილი დიდი (II ეპისტოლე ამფილოქესადმი) ამ-
ბობს — უნდა გავფრთხილდეთ, რომ ის მკაცრი ჩვეულება (მწვა-

ლებელთა შეწყნარებისა) ეკლესიას წინაღობად არ შეექნას სიკეთის მიღწევაშიო; რამეთუ მეტისმეტი სიმკაცრე დააბრკოლებს მათს დაბრუნებას ეკლესიაშიო... წმ. იოანე დამასკელამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე ტრულის ადგილობრივი საეკლესიო კრების 95-ე დადგინებით განწესებულ იქნა, რომ მანიქეველნი, ვალენტინეანნი, მარკიონიტები და კიდევ სხვა მწვალებელნიც, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიას უბრუნდებოდნენ, ხელეხალი ნათლობის გარეშე შეეწყნარებინათ, მათს მიერ ფიცის დადების შემდგომ, რომლითაც ისინი განუდგებოდნენ თავიანთ შეცთომილებას... როგორც წმ. ირინეოსი გადმოგვცემს (წგ. I, თ. 8), გნოსტიკოსებმა მრავალნაირად შეცვალეს დადგენილი წესი და სიტყვებიც ნათლისღების საიდუმლოსი. ასევე იქცეოდნენ, რა თქმა უნდა, სხვა მრავალრიცხოვანი მწვალებლებიც.

12. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. I ეპისტოლე კლედონიუსისადმი; წმ. ბასილი დიდი. „ნათლისღებისათვის", 1, 12; წმ. ბასილი დიდი თავის სხვა შრომებში („სულიწმიდისათვის", თ. 28, და 39-ე ეპისტოლე), აგრეთვე ნეტარი იერონიმე და სხვანი ამბობენ, რომ ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების ჟამს სამგზისი შთაფლვა წყალში მოციქულთა დროიდან მომდინარეობს, ზეპირი საეკლესიო გადმოცემით გადმოგვეცა და აღესრულება არამხოლოდ ყოვლადწმიდა სამი ღვთაებრივი პირის სახელად, არამედ იმიტომაც, რომ უფალი თავისი ადამიანური ბუნებით სამი დღის განმავლობაში იყო მკვდარი... კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების (381) მე-7-ე დადგინება მოითხოვს ევნომეველთა ხელახალ ნათლობას მათი ეკლესიაში დაბრუნებისას, რადგან ისინი ნათელს იღებდნენ წყალში ერთგზისი შთაფლვით, ანდა თავზე წყლის ერთგზისი გადასხმით, რაც მოასწავებდა მათ მიერ ძისა და სულიწმიდის ღმრთაების დაკნინებას. წმიდა მოციქულთა 50- დადგინების თანახმად, თუ ეპისკოპოსი ან პრესვიტერი ნათლისღების ჟამს არ აღასრულებს სამგზის შთაფლვას, და აღასრულებს ერთგზისს — ნიშნად უფლის სიკვდილისა, — ესევითარი უნდა განიკვეთოსო, რადგან უფალმა ის კი არ თქვა — ჩემი სიკვდილის მიმართ ნათელ-ეცითო, არამედ ბრძანა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“-ო (მათე 28, 19)... რამეთუ ნეტარი თეოდორიტე (მწვალებლობათათვის“, წგ. IV, თ. 3), სოკრატე („ისტორია“, წგ. VI, თ. 23) და სოზომენი (წგ. VI, თ. 26) გადმოგვცემენ, რომ ევნომეანნი წმიდა სამების სახელით კი არ ნათლავდნენ, არამედ უფლის სიკვდილის სახელით. ამასთან, ამ საიდუმლოს აღსრულებისას ეს მწვალებელნი ღვთის მგმობ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ: ძეს მამის ქმნილებას უწოდებდნენ, სულიწმიდას კი — ძის ქმნილებას, მსგავსად არიოზის მწვალებლობის მიმდევრობისა. რომის ეკლესიაში სამგზისი გადასხმა თავზე წყლისა შემოვიდა არაუგვიანეს VI საუკუნისა, რაშიც ეფუძნებოდნენ წმ. კვიპრიანეს (76-ე ეპისტოლე) და წმ. გენადის („საეკლესიო დოგმატთათვის“).

13. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მე-40-ე სიტყვა.

14. „მეოთხე ნათლობა — იოანესმიერია“ (წმ. იოანე დამასკელი). წმ. კირილე იერუსალიმელს (მე-2-ე სიტყვა კათაკმეველთათვის) ეკუთვნის შემდეგი აზრი: ჩვენი, ქრისტესმიერი ნათლის-ღება მხოლოდ ცოდვებს კი არ მოგვიტევებს, არამედ ღმრთის ძეებადაც შეგვქმნისო, რამეთუ იგი იოანეს ნათლის-ღების მსგავსი არ არისო... წმ. იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ წმ. ლუკა მახარებელი ამბობს იოანე ნათლისმცემელზე: იგი „ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა (ლუკა 3, 3), და არა — ცოდვათა მიტევების! ნათლის-ცემას, რადგან ადამიანებში სინანულის გაღვიძებით იგი განამზადებდა მათ გამომსყიდველის, მხსნელის ძიებად, რომელიც ნათელ-სცემდა მათ ჰეშმარიტი ნათელით და ცოდვებსაც მიუტევებდა... წმ. ბასილი დიდი („ნათლისღებისათვის“), წმ. იოანე დამასკელის მსგავსად, გვასწავლის, რომ იოანეს ნათლობა განმამზადებელი იყო, ქრისტესმიერი ნათლობა კი — აღმასრულებელი, სრულმქმნელი პირველი იყო — განშორება ცოდვისაგან, მეორე კი — ღმერთთან შეერთება. „მერვე ნათლისღება უკანასკნელია“ (წმ. იოანე დამასკელი). წმ. ბასილი დიდი ცეცხლით ნათლობას (ლუკა 3, 16) უწოდებს გამოცდას, განკითხვის დღეს რომ ეწევა ყოველ ადამიანს; აკი წმ. პავლე მოციქულიც ბრძანებს, რომ „კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთუ დღემან მან გამოაცხა-

დოს, რამეთუ ცეცხლითა გამოჩინებად არს; და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ-რაჲ იყოს, ცეცხლმან გამოცადოს“ (I კორინთ. 3, 13). ნეტარი იერონიმეც, ბერძენ მამათა საფუძველზე, ამგვარადვე განმარტავს შესაბამის ადგილს მათეს სახარებიდან (3, 11).

15. ნათლის-ღების ჟამს მოიღებენ ზეთს...“ (წმ. ი. დ.). აქ არ იგულისხმება მირონცხების საიდუმლო, რომელიც დაასრულებს ნათლობას, რადგანაც „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტ გადმოცემაში“ წმ. იოანე დამასკელი ლაპარაკობს მხოლოდ ნათლისღებისა და ევქარისტიის საიდუმლოებებზე, და არ განაცხადებს სწავლებას სხვა საიდუმლოთათვის. წმიდა მოციქულთა დადგინებაში ნათლისღების გამო ვკითხულობთ: თავიდან სცხებ წმიდა ზეთს, შემდეგ განანათლებ წყლით, და ბოლოს აღბეჭდავ მირონითო. წმ. იოანე დამასკელი გულისხმობს ზეთს, რომელიც განინათლება წყლის კურთხევის შემდგომ. ამ ზეთს სცხებენ ნათლის მიმღებს შუბლზე, მკერდზე, ყურებზე, ხელებზე და ა. შ. როგორადაც კიდობანში მყოფთ უფალმა ზეთისხილის რტო გაუგზავნა მტრედის საშუალებით — ნიშნად მშვიდობისა და წარღვნის დასრულებისა, ასევე ნათლის-ცემის დროსაც წყალზე ჯვარი გადაისახება ზეთით, ვიდრე თანლის მიმღებს სცხებდნენ მას შუბლზე, ხელებზე და სხეულის სხვა ნაწილებზე, იმიტომ, რომ ნათლობის წყალს ღმერთთან შერიგებად მივუყავართ და მასში ღვთაებრივი წყალობაა გაცხადებული... მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზეთს სცხებენ, აღსრულდება ხოლმე თვით ნათლის-ცემაც (ამის შესახებ იხ. Пособие к изучению Устава Богослуженія о. Никольского, изд. III, СпБ., 1874, გვ. 647 — 648)... წმ. კირილე იერუსალიმელი („კათაკმეველთათვის“, 2) ამ ზეთს უწოდებს დამასრულებელს, რომლითაც აღიხოცება ცოდვათა ყოველგვარი ნამთი და განიდევნება უხილავი დემონები.

16. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მე-40-ე სიტყვა; წმ. ბასილი დიდი. „ნათლისღებისათვის“, 1, 12.

17. როგორც ტერტულიანე, წმ. ბასილი დიდი და სხვა მამები ამბობენ, სამოციქულო გადმოცემამ დაუდო დასაბამი იმ ჩვეულებას, რომ ქრისტიანები ყოველი საქმის დაწყების წინ პირჯვარს გადაისახავენ ხოლმე. ვისაც ჯვარის გადასახვა მიუტო-

ვებია, მან, დაე, ჩათვალოს, რომ თითქმის ფიცით განდგომია ქრისტეს რწმენას... მინუციოს ფელიქსისა და ტერტულიანეს მოწმობით, იულიანე განდგომილი (331 — 363), როგორც ოდესმე წარმართნი, ქრისტიანებს ბრალს სდებდა იმაში, რომ ისინი ჯვარის ძელს ეთაყვანებოდნენ, შუბლზეც გადაისახავდნენ ჯვარს და თავიანთ საცხოვრებლებზეც გამოსახავდნენ. ნეტარი იერონიმე პავლეს ეპიტაფიაში ამბობს, რომ ეს წმიდა დედაკაცი იერუსალიმში ყოფნისას მიწაზე განერთხა ჯვარის წინ და იმგვარად სცა მას თაყვანი, თითქოს მასზე ახლაც უფალი ყოფილიყო გამოკიდული; ხოლო როცა უფლის საფლავად შევიდა, მხურვალედ ეამბორებოდა აღდგომის ლოდს, რომელიც ანგელოზმა გარდააგორვა საფლავის შესასვლელიდან, და თავისი მართალი ბაგეებით სწორედ იმ ადგილს ეამბორებოდა, სადაც უფალი ესვენა... თავის მე-17-ე ეპისტოლეში კი ნეტარი იერონიმე ამბობს: ოდესმე იუდეველები წმიდათა წმიდას ეთაყვანებოდნენ, რადგან მასში იყვნენ ქერუბიმები და აქ ესვენა სჯულის კიდობანი, აქ იყო აარონის კვერთხი და მანნაც ზეციური, და ნუთუ შენთვის უფრო მეტად სათაყვანებელი არ უნდა იყოს შენი მსნელის წმიდა ჯვარი და საფლავიო...

18. წმ. დავით მეფეს ღვთის მამა პირველად წმ. დიონისე არეოპაგელმა უწოდა, რომელიც ამბობდა — თავისი სიმდაბლითა და მორჩილებით დავით მეფემ იმას მიაღწია, რომ ღირს იქმნა ღმერთთან მეგობრობისაო...

19. „და იხილავთ თქვენს ცხოვრებას, დამოკიდებულს ძელსა ზედა“ (წმ. ი. დ.). ეს ადგილი აღებულია მეორე სჯულის წიგნიდან (28, 66), სადაც ნათქვამია: „და იყოს ცხორებაჲ შენი დამოკიდებულ. წინაშე თვალთა შენთა და შეშინებულ იყო შენ დღე და ღამე, და არა გრწმენეს შენ ცხორებაჲ თავისა შენისაჲ“. წმიდა მამები იუდეველთათვის ამ „დამოკიდებული ცხორების“ მითითებაში გულისხმობენ ქრისტეს, რომელიც იუდეველებმა ჯვარის ძელს მიამსჭვალეს. სხვებზე ადრე ეს აზრი წმ. ირინეოსმა გამოთქვა (წგ. V, თ. 18). მისი თქმით, ს ი ტ ყ ვ ა ხორციელ იქმნა და ჯვარის ძელზე იყო გამოკიდული იმისთვის, რომ წინამძღვარი გამხდარიყო ყოველთა ცოდვილთა მსგავსად იმისა, როგორც ეს მოსემ გამოუხატა თავის ერს ზემომოყვანილი სიტყვებით. ამიტომაც, რადგან იუდეველებმა არ

შეიწყნარეს ქრისტე, მათ არც ის ცხოვრება მიუღიათ. ზოგიერთის აზრით, საღმრთო წერილის ამ ადგილის განმარტება იმ აზრითაც შეიძლება, რომ იუდეველები გამუდმებული შ-შ-ს ქვეშ ევნებიან, რადგან თავიანთი სამშობლოდანაც გაძევებული იქნებიანო.

20. წმ. ბასილი დიდი. „სულიწმიდისათვის", თავი 27-ე; აქ წმიდა მამა მოციქულთა გადმოცემად მიიჩნევს იმ წესს, რომ ქრისტიანები პირით აღმოსავლეთისაკენ არიან ხოლმე მიქცეულნი, როცა ღმერთს თაყვანს სცემენო. ეკლესია-ტაძრებსაც საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეს ამიტომ აქვთ. „მოსეს კარავს აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა კრეტსაბმელი და განსაწმედელი" (წმ. იოანე დამასკელი). რადგანაც საღმრთო წერილში სწერია — „და მოიღოს (აჰარონმა) სისხლისა მისგან ხბოჲსა თითითა მისითა და აპკუროს სალხინებელსა მას მზის აღმოსავლეთით კერძო"-ო (ლევიტ. 16, 14), ამიტომ წმ. იოანე დამასკელს მიაჩნდა, რომ კრეტსაბმელი და განსაწმედელი კარვისა თუ ტაძრისა აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობდა, თუმცა ცნობილია, რომ იგი, სინამდვილეში, დასავლეთის მხარეს მდებარეობდა. საქმე იმაშია, რომ ზემოხსენებული ქმედების აღსრულებისას, აარონმა გარს შემოუარა განსაწმედელს და პირით აღმოსავლეთისაკენ დადგა, როცა ხბოს სისხლს აპკურებდა განსაწმედელს, ასე, რომ ზემომოყვანილი ადგილიდან არა ჩანს, თუ რომელ მხარეს მდებარეობდა განსაწმედელი.

21. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, 45-ე სიტყვა; წმ. დიონისე არეოპაგელი. „საღმრთო სახელთათვის", 3.

22. „სიონის ქორედში... მიიღო ძველი პასექი და აღასრულა ძველი აღთქმა"... (წმ. ი. დ.). პური, რომელიც ამ დროს მიიღო ქრისტემ იყო ცომიანი, აფუებული პური და არა — უცომოების (ანუ უფუვარი) პური...

23. წმ. იოანე ოქროპირი. 88-ე საუბარი მათეს სახარებაზე.

24. „მოწოდებით მოიცლინება წვიმაც ამ ახალი მიწისმოქმედებისათვის, ანუ განმანათლებელი ძალა სულიწმიდისა"... (წმ. იოანე დამასკელი). წმ. ირინეოსი (წგ. IV, თ. 35) ამბობს, რომ ევქარისტია განიწმიდება სულიწმიდის მოხმობით: პური, რომელმაც მიიღო მოწოდება ღმრთისა, უკვე ჩვეულებრივი პური კი აღარ არის, არამედ უფლის ჭეშმარიტი სხეულია. წმ.

ბასილი დიდი („სულიწმიდისათვის“ თ. 27) ამბობს, რომ ეს მოწოდება გადმოგვეცა ქრისტესა და მოციქულთა მიერ. წმ. კირილე იერუსალიმელიც („კათაკმეველთათვის, I) ამბობს, რომ ევქარისტიის პური სულიწმინდის მოხმობის შემდეგ ჩვეულებრივი პური კი არ არის, არამედ ქრისტეს სხეულია... წმ. იოანე ოქროპირიც ამბობს: როცა მღვდელმსახური წმინდა ტრაპეზის წინ დგას ზეცად აპყრობილი ხელებით და სულიწმიდას მოუწოდებს, რათა იგი გარდამოვიდეს და მოძღვნილი მსხვერპლი თავისი შეხებით განანათლოს, დგება ხოლმე დიდი დადუმება. ხოლო როცა სულიწმიდა მოსცემს მადლს, გარდამოვალს და შეეხება მიძღვნილ მსხვერპლს, ანუ როცა იხილავ დაკლულ და განმზადებულ კრავს, მაშინ შენ განიხარებ და ხმამაღლა ღაღადებ ღმერთის სადიდებელსო.

25. წმ. ბასილი დიდი, „სულიწმიდისათვის“, 27; „ევქარისტიისათვის აუცილებელია ღვინო და წყალი“ (წმ. ი. დ.). მოციქულთა გადმოცემა შესახებ იმისა, რომ ევქარისტიისათვის მოიღებოდეს არამხოლოდ წყალი, როგორც ამას ენკრატიტები იქმოდნენ, და არამხოლოდ შეუზავებელი ღვინო, როგორც ამას სომხები და ნაწილი იაკობიტებისა აკეთებდნენ, არამედ ზიარებისთვის ორივე აუცილებელია, ანუ ღვინოს წყალი უნდა შეეზავოს. ასეა, ძველ ლიტურგიებში წმიდა იაკობისა, ანუ იერუსალიმურ ლიტურგიაში, და წმიდა მარკოზის, ანუ ალექსანდრიულ ლიტურგიაში, აგრეთვე წმიდა ბასილის ლიტურგიაში... იგივეს ამტკიცებენ წმიდა მამები კლიმენტი ალექსანდრიელი (წგ. VIII „დადგინებანი-“-სა), იუსტინე მოწამე („აპოლოგია“, I), ირინეოს ლიონელი (წგ. V, თ. 2, სადაც ის ამბობს — ევქარისტიის თასი — შეზავებულიაო) და სხვანი.

26. წმ. გრიგოლ ნოსელი. „დიდი განმამზადებელი სიტყვა, 37; „პური და ღვინო გარდაიქმნება სხეულად და სისხლად ღმერთისა“ — წმ. (ი. დ.) ამ გარდაქმნას გადმოსცემს სიტყვით — „ცვალება“. წმიდა იოანე ოქროპირი ამის აღსანიშნავად იყენებს სიტყვას — „გარდასახვა“. წმ. გრიგოლ ნოსელი, გარდა ამ სიტყვებისა, გამოიყენებს სიტყვას — „გარდაქმნა“. წმ. კირილე იერუსალიმელი სარგებლობს სიტყვით — „მეტაბოლინ“ „გარდაქმნა, ცვალება“... წმ. იოანე დამასკელი, გარდა ზემომოყვანილი სიტყვისა, გამოიყენებს აგრეთვე სიტყვას —

„მეტავალლონტა“ ...შემდეგში, დასავლეთში — XI საუკუნიდან, აღმოსავლეთში კი XV საუკუნიდან, ანუ კონსტანტინეპოლის პატრიარქ გენადის დროიდან მოყოლებული, ზმარებაში შემოვიდა სიტყვა — „არსის შეცვლა, გარდაარსება“, რომელიც ზუსტად და სისრულით გამოხატავს დოგმატის არსს, და ამიტომ დამკვიდრდა კიდეც მართლმადიდებელ ეკლესიაში... „შესაწირავი პური და ღვინო წყალითურთ, სულიწმიდის მოხმობითა და მისი გარდამოსვლით ზებუნებრივად გარდაიქმნება ქრისტეს სხეულად და სისხლად, და უკვე ორი რამ კი არ არიან, არამედ ერთი და იგივე“ — წმ. ი. დ. იგივეს ამბობენ სხვა მამებიც (წმ. კირილე იერუსალიმელი, წმ. გრიგოლ ნოსელი და სხვანი), რომლებიც გვასწავლიან, რომ ევქარისტიის პური და ღვინო გარდაისახებიან, იცვალვიან, გარდაიქმნებიან ქრისტეს სხეულად და სისხლად, ანუ ქრისტეს ჭეშმარიტი სხეული და სისხლი არიანო...

27. „პური და ღვინო — ქრისტეს სხეულისა და სისხლის სახენი (ხატნი) კი არ არიან, არამედ თვით სხეული და სისხლია“ (წმ. ი. დ). წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი (ეპისტოლე სმირნელთადმი, 7) საუბრობს დოკეტების მწვალებლობის შესახებ და შემდეგში სდებს ბრალს: ისინი არ აღიარებენ, რომ ევქარისტია არის ხორცი ჩვენი უფლისა, ვინც ჩვენი ცოდვებისათვის ევნოო... ამგვარადვე მსჯელობენ ევქარისტიის შესახებ წმიდა მამები: იუსტინე (I აპოლოგია, თ. 61), ირინეოსი („მწვალებლობათათვის“, IV, 18) და სხვანი... მაკარი მაგნისი, იერუსალიმის პრესვიტერი ამბოს, რომ ევქარისტიაში სახე კი არ არის სხეულისა და არც სახე სისხლისა, არამედ ეს — ჭეშმარიტი სხეული და სისხლიაო ქრისტესი... იგივეს ამბობენ წმიდა მამები: კირილე იერუსალიმელი, იოანე ოქროპირი, მბროსი მედიოლანელი და სხვანი... წმ. სოფრონი იერუსალიმელიც, მაგალითად, ასე ამბობს: „დაე, ნურავინ იფიქრებს, რომ საუფლო მხსვერპლი (ანუ ევქარისტია) არის ხატი ქრისტეს სხეულისა და სისხლისა, არამედ ეს პური და ღვინო გარდაიქმნებიან ქრისტეს სხეულად და სისხლად... ამასვე გვასწავლის მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგინებანიც...

28. წმ. იოანე ოქროპირი. III საუბარი ეფესელთა მიმართ

ეპისტოლეზე; „ისაიამ ნაკვერცხალი იხილა, მაგრამ ნაკვერცხალი არა უბრლოდ ხისა, არამედ ცეცხლთან შეერთებული; ასევე პურიც ზიარებისა — უბრალოდ პური კი არ არის, არამედ ღმრთაებასთან არის შეერთებული“ — (წმ. ი. დ.)... აქ იგი წმ. კირილე ალექსანდრიელს ეფუძნება, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველების წიგნის IV თავის განმარტებისას და თავის სხვა შრომებშიც შენიშნავს, რომ ის ნაკვერცხალი იყო სახე ხორციელ-ქმნილი ს ი ტ ყ ვ ი ს ა: როგორც ცეცხლი, ხეს რომ შეეხება, მთლიანად მოიცავს მას და განმსჭვალავს, ასევე უნდა ვიფიქროთ ქრისტეს შესახებაც, რამეთუ ღმერთი გამოუთქმელი და მიუწვდომელი სახით შეუერთდა ადამიანობასო... „ღმრთაებასთან შეერთებული სხეული — ერთი ბუნება კი არ არის, არამედ ერთია — ბუნება სხეულისა, და სხეული — მასთან შეერთებული ღმრთაების ბუნება“ — წმ იოანე დამასკელი. ამის განმარტებას ვხვდებით მისსავე III სიტყვაში „გამოსახვისათვის“, სადაც ის ამბობს, რომ ადამიანები, როცა მიიღებენ ქრისტეს წმიდა სხეულს და როცა სვამენ მ ი ს ძვირფას სისხლს, შეიქნებიან მონაწილენი მ ი ს ი ღვთაებრივი ბუნებისა, რადგან ორივე ბუნება ქრისტეში შეერთებულია განუყრელად და განუყოფლად...

29. „სხეული და სისხლი ქრისტესი შემოდიან როგორც ჩვენს სულში, ასევე ჩვენს სხეულშიც“... (წმ. ი. დ.)... წმიდა კირილე იერუსალიმელი („კათაკმეველთათვის“, 5) ამბობს: ეს ყოვლად არსი პური, რომლითაც საზრდოობს ჩვენი სულის არსი, — ეს პური არ შევალს ჩვენს მუცლად და არ განვალს მისგან ბუნებრივი წესით, რამედ მთლიანად გადადის ჩვენს შედგენილობაში სარგებლად სხეულისა და სულისაო... წმ. ირინეოსი (წგ. V, თ. 2) ამბობს: ქრისტეს სისხლის წყალობით განმრავლდება ჩვენი სისხლიც და მტკიცედ არსებობს ჩვენი სხეულიც, რომელიც ამის გამო ღირს იქმნება ნეტარი აღდგომისა მკვდრეთით... ამგვარადვე მსჯელობენ წმ. გრიგოლ ნოსელი („სიტყვა კათაკმეველთათვის“, 37), წმ. კირილე ალექსანდრიელი (წგ. IV იოანეს სახარების განმარტებისა) და სხვანი.

30. „ხოლო თუკი ვინმემ უწოდა კიდეც პურს, და ღვინოს სახე ქრისტეს სხეულისა და სისხლისა...“ (წმ. ი. დ.).. VII მსოფლიო საეკლესიო კრების (ნიკეა, 787) დადგინება, აგრეთვე

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი და სხვანი ამტკიცებენ, რომ წმიდა ბასილი დიდის მიერ ლიტურგიაში პური და ღვინო სახედ იწოდებიან მხოლოდ სულიწმიდის გარდამოსვლამდე და მის მიერ საუფლო მსხვერპლის განათლებამდე, და არა — სულიწმიდის მოხმობისა და გარდამოსვლის შემდეგ. წმიდა ანასტასიც (წინამოძღვარნი", თ. 23) ამტკიცებს, რომ ქრისტეს ევქარისტული სხეული არ არის სახე, ხატი ქრისტეს სხეულისა და სისხლისა...

31. წმიდა მამები მახარებელთა განსხვავებულობას უფლის ჩამომავლობის გადმოცემისას იმითი ხსნიან, რომ ერთმა მახარებელმა მიუთითა იოსების ბუნებით მამაზე, მეორემ კი — სჯულიერ მამაზე, ანუ მამაზე ნათესავობის კანონის მიხედვით. ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობს იულიანე აფრიკელი.

32. წმ. გრიგოლ ნოსელი. „სიტყვა უფლის შობისათვის"; ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჩასახვაზე, შობაზე, ტაძრად მიყვანებაზე, მის მშობლებზე — იოაკიმესა და ანნაზე დაწერილებითაა მოთხრობილი ზოგიერთ აპოკრიფულ წიგნში I და II საუკუნეებისა, განსაკუთრებით კი ე. წ. პირველ სახარებაში ირობისა, რომელსაც წმ. ეპიფანე („მწვალებლობათათვის", 79) უწოდებს ნეტარი მარიამის ისტორიას, სადაც იმაზეც არის მოთხრობილი, რომ მარიამი იშვა მანამდე უნაყოფო, უშვილო იოაკიმესა და ანნასაგან...

33. წმ. ბასილი დიდი. „საუბარი 40 სებასტიელი წმიდა მოწამისათვის".

34. წმიდათა ხსოვნასა და მათს წმიდა ნაწილებს ყოველთვის პატივით ინახავდა ქრისტეს ეკლესია. წმიდანებისადმი ასეთი დამოკიდებულების მოწინააღმდეგენი იყვნენ სხვადასხვა მწვალებელნი, მაგალითად, მანიქეველნი და ევნომიანნი. წმ. იოანე დამასკელის დროს კონსტანტინე კოპრონიმი აღდგა არამხოლოდ წმიდანთა ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ, არამედ მათი წმიდა ნაწილებისაც... „წარმოდინდა წყალი ვირის ღაწვისაგან (ყბისაგან) მწყურვალი სამსონისათვის" (წმ. ი. დ.). ეს ადგილი მსაჯულთა წიგნიდან (15, 15-19) იმ აზრით როდი უნდა გავიგოთ, თითქოს თვით პირუტყვის ძვალთაგან წარმოდინდა წყალი, რადგანაც სალმრთო წერილი ამბობს: „ვიდრე აქა დღემდე" მოედინება იმ ადგილას წყალი, „წოდებული წყაროდ

ღაწვისა“-ო (მსაჯ. 15, 19). იოსებ ფლავიოსი თავის ისტორიაში (წგ. V, თ. 10) წერს ამის შესახებ, რომ ღმერთმა შეიწყნარა სამსონის ლოცვა-ვედრება და ერთ კლდეში საამო, უხვი წყარო წარმოუდინა, რის შედეგადაც სამსონმა ამ ადგილს ღაწვთა წყარო უწოდაო.

35. ამ თავის შინაარსი წარმოადგენს მოკლე გადმოცემას წმ. იოანე დამასკელის სამი სიტყვისა წმ. ხატების მართლმადიდებელი თაყვანისცემის დასაცავად. მანამდე თითქმის იმავე არგუმენტების მოშველიებით ებრძოდა ხატთმბრძოლ იუდეველებს ლეონტი, კვიპროსის ნეაპოლის ეპისკოპოსი (VII საუკუნე).

36. წმ. ბასილი დიდი. „სულიწმიდისათვის“, 18:

37. „ამიტომ უკიდურესი უგნურება და უკეთურებაა, როცა ღმრთაებას რაღაც სახეს ანიჭებენ ხოლმე“ (წმ. ი. დ). ეს გამონათქვამი მოწონებულ იქნა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (787) და შემდეგაც წმ. ხატების თაყვანისცემის დამცველთაგან. ამაზე საუბარია აღმოსავლეთის ეკლესიათა ეპისტოლეში კრებისადმი, და, აგრეთვე, გერმანე კონსტანტინეპოლელის ეპისტოლეში. ლევ სომეხთან მსჯელობისას ნიკიფორე აღნიშნავს, რომ მოსეს მიერ აკრძალული იყო ღმრთაების გამოსახვა რაიმე სახით, და როცა ისრაელი ერი ოქროს ხბოს სცემდა თაყვანს როგორც ღმერთს, მაშინ ისინი კერპთთაყვანისმცემელთ მიემსგავსნენო.

38 .„მაგრამ რადგანაც ღმერთი თავისი სათნოებითა და კეთილმოწყალებით განკაცდა და ჭეშმარიტ ადამიანად შეიქნა...“ (წმ. ი. დ.). ამგვარადვე მსჯელობენ აღმოსავლეთის მოძღვრები, გერმანე კონსტანტინეპოლელი თუ VII მსოფლიო საეკლესიო კრების მამები. მათი გამონათქვამებიდან ჩანს, რომ ხატთმბრძოლნი თავიანთი შეხედულებებით იმ მწვალებელთ უახლოვდებოდნენ, რომელნიც ქრისტეში მხოლოდ ერთ ბუნებას აღიარებდნენ. ეს საკითხი ძალზე ღრმად აქვს გადმოცემული წმ. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელს („მწვალებელთა წინააღმდეგ“), რომელიც წმიდა მამათა შრომების საფუძველზე ღრმად და მართლიად ამტკიცებს უფლის ხორციელ-ქმნის ჭეშმარიტობას, მ ი ს ი ამქვეყნად ხორციელად არსებობის სინამდვილეს...

39. წმ. ბასილი დიდი. „40 წმიდა სებასტიელი მოწამისათვის“, და „სულისწმიდისათვის“, 18, 27.

40. სამოციქულო გადმოცემად ნეტარი ავგუსტინე მიიჩნევს ყოველივე იმას, რაც მთელს ეკლესიას უპყრია და რაც მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ არ არის დადგენილი მაგრამ ყოველთვის არსებობდა და აღესრულებოდა ეკლესიის მიერ (იხ. მისი „დონატისტების წინააღმდეგ“, წგ. IV). VII VIII და IX საუკუნეების წმიდა მამები სწორედ მოციქულთა გადმოცემად მიიჩნევდნენ წმიდა ხატების თაყვანისცემას. წმ. იოანე დამასკელი თავის სამ სიტყვაში ხატმბრძოლთა წინააღმდეგ არაერთგზის აღნიშნავს, რომ ხატების თაყვანისცემა დასაბამს იღებს იმ გადმოცემიდან, რომელიც ქრისტეს ეკლესიაში ზეპირად არსებობს... უფლის ედესის ხელთუქმნელი ხატის არსებობას საეკლესიო მწერალთაგან პირველი მოიხსენიებს ევაგრე პონტოელი („ისტორია“, წგ. IV, თ. 27), და იმოწმებს პროკოფი კესარიელს. პროკოფი საუბრობს ავგარის ეპისტოლეზე უფლისადმი და უფლის პასუხზე მისადმი. წმ. იოანე დამასკელის ეს მონათხრობი შემდეგში ახალი მონაცემებით შეივსო. ავგარი, ედესის მეფე 13 — 50 წლებში ზეობდა. ევსევი, (IV საუკ.), ერთი სირიული საბუთის საფუძველზე გადმოგვცემს, რომ ავგარი რაღაც მძიმე სნეულებით იყო შეპყრობილი და ამის გამო უფალს სთხოვა შეწევნა, რადგან სმენოდა მის მიერ აღსრულებული მრავალრიცხოვანი სასწაულებრივი კურნების ამბავი. იგი თავის ეპისტოლეში აღიარებდა მას ღმერთის ძედ და თავის ქალაქში საქადაგებლად ჩასვლას სთავაზობდა. გადმოცემით, უფალმა აღუთქვა მას, რომ თავისი აღდგომის შემდეგ ერთერთ მოწაფეს გაუგზავნიდა... მართლაც, თადეოზმა, მოციქულმა 70-თაგან, რომელიც ედესაში წმიდა მოციქულმა თომამ წარგზავნა, განკურნა ავგარ მეფე და მის ქვეყანაში ქრისტეს რწმენა გაავრცელა... ევსევის ეს მონათხრობი მჭიდრო კავშირშია წმ. იოანე დამასკელის მიერ გადმოცემულ ამბავთან, რომლის თანახმადაც უფალმა თავისი ხელთუქმნელი გამოსახულება გაუგზავნა ავგარს. ამ ხატიდან, IV საუკუნიდან დაწყებული, მრავალი ასლი იქნა გადაღებული და, იგი, ამგვარად, მთელს საქრისტიანოში გავრცელდა...

41. ძველი აღთქმის კანონი (წიგნების შედგენილობა) წმ.

იოანე დამასკელს აღებული აქვს წმ. ეპიფანეს წიგნიდან „სიმძიმისა და სასწორისათვის“, რომლის მონაცემიც დიდად არ განსხვავდება იმისაგან, რაც მელიტონ სარდიელმა ჩაიწერა II საუკუნეში პალესტინელი ქრისტიანების მონათხრობიდან. მისი გადმოცემის მიხედვით, ძველი აღთქმის კანონი მხოლოდ იმ წიგნთაგან შედგება, რომელსაც ებრაულ-იუდეველური კანონი მოიცავს.

42. „მოციქულთა განწესებანი, შეკრებილი კლიმენტის მიერ...“ (წმ. იოანე დამასკელი). ეს განწესებანი, მცირედთა გაშოკლებით, განეკუთვნება ქრისტიანობის პირველ ხანებს. ზოგიერთი მათგანი იმეორებს მოციქულთა ეპისტოლეებში მოცემულ დადგინებებს; სხვანიც, თავიანთი სულისკვეთებით, მოციქულთა დროს უკავშირდება. IV საუკუნეში ზოგიერთზე ამ განწესებათაგან გვხვდება მინიშნება როგორც უძველესზე, მაგრამ ზოგი განწესება ცხადლივ მიუთითებს იმპერატორთა დროზე, რის გამოც ისინი ვერ იქნებოდა შეკრებილი წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ (დაახლ. 215). ამჟამად ცნობილი კანონთა კრებული, ისევე, როგორც განწესებანი, სავარაუდოა, ერთსა და იმავე ადგილას არის შეკრებილი, ანუ სირიაში, არაუგვიანეს III საუკუნისა.

43. წმ. კირილე ალექსანდრიელი. „საგანძური“, 34.

44. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 29-ე სიტყვა.

45. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 32-ე სიტყვა.

46. „რამეთუ რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ, ჩვენთვის ცოდვაჲ ქმნა, რაჲთა ჩვენ ვიქმნნეთ სიმართლე ღმრთისა მას შინა“ (II კორინთ. 5, 21), ე.ი. როგორც წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს, ღმერთმა დაუშვა, რომ ი გ ი განკითხული და დასჯილი ყოფილიყო როგორც ცოდვილი, მიუხედავად იმისა, რომ განკაცებით უფალი ყოველივეთი დაემსგავსა ადამიანს, გარდა ცოდვისა. გარდა ამისა, ებრაულ სიტყვას ცოდვა (ქთაჰ) ორგვარი მნიშვნელობა აქვს — საკუთრივ „ცოდვისა“ და „მსხვერპლისა ცოდვისათვის“. მაშასადამე ღმერთმა თავისი ძე კაცობრიობის ცოდვის გამოსასყიდად მოაელინა, რადგან სურდა მსხვერპლი გაეღო ჩვენი, ადამიანთა, ცოდვებისათვის. შესაძლოა, მოციქულს აქ მხედველობაში ჰქონდა 39-ეს ფსალმუნიც (მუხლ. 7 და 8), სადაც ნათქვამია: „შესაწირავი და მსხვერპ-

ლი არა გთნდა, ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე; საკუერთხები და ცოდვისათვის არა ითხოვე. მაშინ ვთქუ: ესერა მოვალ; თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთვის". შდრ. აგრეთვე ესაია 53, 10.

47. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 29-ე სიტყვა.

48. „რომელი — იგი გამოჩნდა (წოდებული) ძედ ღმრთისა..." (რომ. 1, 4). ამ ადგილის განმარტებისას წმ. იოანე დამასკელი ეფუძნება წმ. იოანე ოქროპირს და სხვა მამებს. სიტყვა წოდებული მათ ისე კი არ ესმოდათ, თითქოს ქრისტე იმისთვის გამოჩნდა, რომ ძედ ღმრთისა შექმნილიყო, არამედ ისე, რომ მ ი ს ი ძეობა გამოგვიჩნდა და განგვეცხადა ჩვენ როგორც სულიწმიდის გარდამოსვლით ჩვენზე, ასევე თვით ქრისტეს სასწაულთმოქმედებათა ძლით... ნეტარი იერონიმე ეფესელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეს განმარტებაში (1, 5) ლაპარაკობს სიტყვების — „პროორისას"-ისა და „ორისინტოს" შორის განსხვავებაზე: პირველი იმათ აღსანიშნავად იხმარება, რომლებიც ადრე არ არსებულან და რომელთა გამოც, ვიდრე გამოჩნდებოდნენ, განზრახვა-ფიქრიც არსებულა; მეორე სიტყვა კი ი მ ი ს აღსანიშნავად იხმარება, რომელსაც წინ არავითარი აზრი არ უსწრებდა, არავითარი სურვილი, ანუ რ ო მ ე ლ ი ც შარადის იყო და თავისი დასაბამიც არ მიუღია, რადგანაც საუკუნოა... იესუ ქრისტე მარადის იყო მ ა მ ი ს ა თანა და მ ი ს არსებობას არაფერი არ უსწრებდა წინ... მარადის იყო მ ა მ ა და მარადის იყო ძ ე... საუკუნოება მათში თანაბრად უჟამოა, ბუნება კი — ერთი და იგივე, ანუ ღვთაებრივიო.

49. წმ. იოანე ოქროპირი. II საუბარი ეპისტოლეზე რომაელთა მიმართ.

50. „ერთნი მათგან (გამონათქვამთაგან), თუმცა კი ჭეშმარიტებით შეეფერება მ ა ს, მაგრამ არა — ბუნებისმიერად..." (წმ. ი. დ.). ბუნებრისმიერ სახედ აქ იწოდება მდგომარეობა უფლის ნეტარი სხეულისა, რომლის დროსაც ამ სხეულს არ ესაჭიროება არც საზრდო, არც სასმელი და არც სხვა რა ბუნებისმიერ მოთხოვნილებათაგან...

51. „ღმერთი არ არის მიზეზი ბოროტებისა" (წმ. ი. დ.). პლატონიკოსები, გნოსტიკოსები და მანიქეველები მატერიას ღმერთის თანად-საუკუნოდვე მიიჩნევდნენ. მატერიის სულიო,

ამბობდნენ ისინი, არის კიდეც მიზეზი ყოველი ბოროტებისაო. წმიდა მამებს მრავალგზის უარუყვიათ მათი ეს ცრუ-სწავლება. წმიდა ირინეოსს, ევსევისა და ნეტარი იერონიმეს მოწმობით, დაუწერია წიგნი „თვითმპყრობელობისათვის", რომელშიც ფლორინეს საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ ღმერთი არ არის შემოქმედი ბოროტებისა. ამის შესახებ ბევრს წერდნენ სხვა წმიდა მამებიც. წმიდა იოანე დამასკელი აქ ეფუძნება წმ. ბასილი დიდის მსჯელობას.

52. წმ. იოანე დამასკელი. „დიალოგი მანიქეველთა წინააღმდეგ"; წმ. ბასილი დიდი. „საუბარი მასზედ, რომ ღმერთი არ არის მიზეზი ბოროტებისა".

53. წმ.ბასილი დიდი. იქვე.

54. იქვე.

55. „რატომ შეჰქმნა ღმერთმა, წინათ-მცნობელმა ყოველივესი, ისინი, რომელთაც მომავალში უნდა შეეცოდათ და არ შეენანათ?..." წმ. ი. დ.). მარკიონე (იხ. ტერტულიანე. „მარკიონეს წინააღმდეგ", წგ. II, თ. 5) ამბობდა: ღმერთმა ან იცოდა, რომ მის მიერ სამოთხეში დადგინებული ადამიანი დაარღვევდა მის აღთქმას, ანდა — არ იცოდა; თუ იცოდა, მაშინ დამნაშავე არ ყოფილა ის, ვისაც არ ძალუძდა თავიდან აეცილებინა წინათგანსაზღვრულობა საღმრთო განგებულებისა, ხოლო თუ იტყვი, არ იცოდაო, მაშინ შენ ღმრთაებასაც მოაკლებ იმას, ვისაც მოაკლებ ძალს წინათ-მცნობელობისასო... ნეტარი იერონიმე ამაზე შემდეგს პასუხობს („პელაგიოსის წინააღმდეგ", წგ. III): ამ თვალსაზრისით, მიზეზი (დამნაშავე) ისიც იქნება, ვინც საული აღირჩია, რომელიც მომავალში უკეთური მეფე უნდა შექმნილიყო; და თვით მაცხოვარიც იქნება დადანაშაულებული ან უცნობლობში, ანდა უსამართლობაში, რადგან თვით მან თქვა: მე თორმეტნი აღმოგირჩიეთ, ხოლო ერთი თქვენგანი — ეშმაკიაო. მაშ, ჰკითხე მას, უგნურო, რატომ აღირჩია მან იუდა, თავისი განმცემი, რომელსაც „გუადრუცი" (ანუ ფულის ყულაბა მიანდო:) ნუთუ არ იცოდა, რომ იუდა მპარავი იქნებოდა?!.. ღმერთი სჯის აწმყოს, და არა მყოობადს, და იგი არ განიკითხავს წინათმცნობელობის საფუძველზე იმას, ვის გამოც იცის, რომ ის ისეთი შეიქნება, როგორიც სათნო არ ეყოფა ღმერთს. ამიტომ, ესეც ღმერთის

დიდი სახიერებისა და გამოუთქმელი მოწყალების საქმეა, რომ ი გ ი ადირჩევს ხოლმე იმას, ვისაც აწ კეთილს ხედავს, თუმცა კი იცის, რომ მომავალში ბორიტი შეიქნება, — ამითაც საშუალებას აძლევს მოქცევისა და მონანიებისა... რამეთუ იმიტომ როდი შესცოდა ადამმაც, რომ ღმერთმა წინდაწინ უწყოდა ეს, არამედ ღმერთმა, ვითარცა ყოვლის შემძლემ, წინდაწინ უწყოდა, რომ ამას მოიმოქმედებდა თავისუფალი ნებით შემოსილი ჩვენი პირველმშობელიო... ამგვარადვე მსჯელობს წმიდა ბასილი დიდიც თავის ჰომილიაში „მასზედ, თუ რატომ არ არის ღმერთი მიზეზი ბოროტებისა", ასევე წმიდა იოანე ოქროპირიც და სხვა წმიდა მამებიც.

56. წმ. იოანე დამასკელი. „დიალოგი მანიქეველთა წინააღმდეგ".

57. მანიქეველები ამტკიცებდნენ, რომ სხეული შექმნილია ბოროტი საწყისის მიერ, და ამიტომაც იწოდაო „სჯულად ცოდვისა" (რომ. 7, 23). ხოლო წმ. იოანე დამასკელი გვასწავლის, რომ ცოდვის სჯული — ეს არის ეშმაკის შთაგონება, რომელიც იყენებს ხორცის გულისთქმას იმისთვის, რომ ცოდვას დაგვამონოს. წმ. იოანე ოქროპირიც ამბოს, რომ მოციქულს არ უთქვამს, ხორცის ზემოქმედების ქვეშ ვარო, ანდა ხორცის ბუნებას ვყავარო ტყვედ, არამედ თქვა — „შჯულითა მით ცოდვისაჲთა წარმტყუენავსო", ე. ი. ცოდვის მიმძლავრებისაგან ვარ ვნებულიო. ამასთან, იგი გაწარჩევს სჯულს ცოდვისა — სხეულის ნაწილთაგან, და დასძენს, რომ სჯული — როგორც ბუნებისმიერი, ასევე — მოსესიც, — ეწინააღმდეგება ცოდვას, და არა — სხეულს, რამეთუ სხეული თავისთავად ცოდვა არ არის, არამედ ღმერთის ხელთა საქმეა, შემძლე და მეტად მიდრეკილიც სათნოებებათა მოპოვებადო (წმ. იოანე ოქროპირი. მე-13-ე საუბარი ეპისტოლე რომაელთა მიმართ).

58. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 41-ე სიტყვა.

59. „როცა არ იყო სჯული, მაშინ არც შაბათი იყო ღმერთისადმი მიძღვნილი"... (წმ. იოანე დამასკელი). ამ შეხედულების თანახმიერია „სინოპსისის" („მიმოსვლათა") ავტორის აზრიც, რომლის ეს შრომა მოთავსებულია წმ. ათანასე ალექსანდრიელის შრომათა შორის.

69. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. „საუბარი შაბათს აღსრულებული წინადაცვეთის შესახებ“.

61. წმ. ათანასე ალექსანდრიელი. იქვე.

62. იქვე.

53. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 45-ე სიტყვა.

64. წმ. გრიგოლ ნოსელი. „ადამიანის აგებულებისათვის“, 16.

65. “კიდობანში ღმერთმა განაცალკევა ნოეს ძენი — მათი ცოლებისაგან...“ (წმ. ი. დ.). საერთოდ, წმიდა მამები ასე ფიქრობდნენ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ წარღვნა გრძელდებოდა, ნოეს ძენი განცალკევებულნი იყვნენ თავიანთი ცოლებისაგან. ასე, მაგალითად, სემს თავისი პირმშო — არფაქსადი გაუჩნდა მხოლოდ მეორე წელიწადს წარღვნის დასრულების შემდგომ... თუმცა წმ. იოანე ოქროპირი წერს (28-ე ჰომილიაში დაბადებაზე), ქამს თავის ძე ჯერ კიდევ კიდობანში ყოფნისას გაუჩნდაო, და ამას თვით დაბადების სიტყვებიდან დაასკვნის (9, 18: „ხოლო იყვნეს ძენი ნოესნი გამოსრულ კიდობნისაგან: სემ, ქამ და იაფეთ, ხოლო ქამ იყო მამაჲ ქანაანისა“); მაგრამ აქ საღმრთო წერილი იმას როდი ამბობს, რომ ქანაანი მათთან ერთად გამოვიდა კიდობნიდან, და აქედან ვერ დავასკვნით, რომ ის მაინდაცდამაინც იქ იშვა...

66. „მშვენიერი რამაა ბავშვთა გაჩენა, რასაც ქორწინება აღმოაცენებს“ (წმ. იოანე დამასკელი). ამით წმიდა მამა გმობს გნოსტიკოსებსა და მანიქეველებს, რომლებიც მრავალი სახით აკნინებდნენ ქორწინებას. ამის შესახებ წმიდა პავლე მოციქულიც, ლაპარაკობს, როცა გვაფრთხილებს, რომ „უკანაჲსკნელთა მათ ჟამთა“ საწრმუნოებისაგან განდგომილნი „სიტყვითა ტყუილისათა.... აყენებდნენ ქორწილთა და განაშორებდნენ საჭმელთა, რომელნი ღმერთმან დაჰბადნა მისაღებელად მადლობით მორწმუნეთათვის“ (I ტიმოთ. 4, 1 — 5)... ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, თუმცა ქალწულება (უქორწინებლობა) ქორწინებაზე უმჯობეს სათნოებად ითვლება, მაგრამ ქორწინებაც იმდენად კარგი და მშვენიერია, რომ იგი განწმენდილია და კურთხეულია ეკლესიის მიერ, არის რა ერთი საიდუმლოთაგანი.

67. წმ. იოანე ოქროპირი. 39-ე საუბარი დაბადებაზე; იუს-

ტინე, წმიდა მოწამე და ფილოსოფოსი, თავის დიალოგში ტრი-ფონთან ვრცლად ლაპარაკობს წინადაცვეთილებაზე და ამბობს, რომ ეს მხოლოდ გარეგნული ნიშანი იყო, რომლითაც ისრაელელნი უნდა გამორჩეულიყვნენ სხვა ერებისაგან. ამ თვალსაზრისს იზიარებენ წმ. ირინეოსი (წგ. IV, თ. 30), რომელიც აქ გამოდის ებიონიტებისა და ქერინთეანთა წინააღმდეგ, და წმ. ეპიფანე („მწვალებლობათათვის", 30), რომელიც მიუთითებს მრავალ ხალხზე, წინადაცვეთილება რომ აქვთ, მაგრამ არა როგორც წმიდა ჩვეულება თუ რელიგიური წესი. ნეტარი იერონიმე თავის კომენტარებში გალატელთა მიმართ ეპისტოლესი (წგ. II) ამბობს: რადგანაც აბრაჰამის თესლისაგან უნდა წარმოშობილიყო ქრისტე, რომლის სახითაც კურთხევა აღეთქვა ხალხებს, და რაკი აბრაჰამიდან ქრისტეს შობამდე მრავალი საუკუნე უნდა გასულიყო, ამიტომ, ღმერთმა, იმისთვის, რომ აბრაჰამის შთამომავლები სხვა ერთ არ აღრეოდნენ და მისი გვარ-ტომი თანდათან არ გაუჩინარებულიყო, აღნიშნა ისრაელი ერი განსაზღვრული გარეგანი ნიშნით — წინადაცვეთით, რათა იცხოვრებდნენ რა ეგვიპტელთა, ასირიელთა, ბაბილონელთა თუ სხვა ხალხთა შორის, ისინი გამორჩეულნი ყოფილიყვნენ მათგან ამ ნიშნით. უდაბნოში, მთელი 40 წლის მანძილზე, სანამ მოსეს თავისი ერი აღთქმული ქვეყნისაკენ მიჰყავდა, არავინ არ იყო წინადაცვეთილი, რადგან ისრაელელნი მაშინ სრულიად მარტონი ცხოვრობდნენ და სხვა ხალხთან აღრევის საშიშროება არ იყო. ხოლო მაშინვე, როგორც კი მდინარე იორდანე გადალახეს და აღთქმულ ქვეყანაში შეევიდნენ, წინადაცვეთა კვლავ აუცილებელი შეიქნა ისრაელი ერისათვის სწორედ ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო...

68. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. მე-40-ე სიტყვა.

69. წმ. ირინეოსის გარდაცვალების შემდგომ მისმა მოწაფემ წმ. იპოლიტემ გამოსცა წიგნი ანტიქრისტეზე, და ბევრი რამ მასში თავისი მოძღვრის შრომის V წიგნიდან ისესხა, რაზეც არ მიუთითა. VI საუკუნეში უცნობმა მწერალმა ამ წიგნის შინაარსი გადმოსცა, რასაც წმიდა მღვდელმთავარი ფოტი წმ. იპოლიტეს შრომად მიიჩნევდა...

70. „და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თვისსა ვითარცა ღმერთი" (II თესალონიკ. 2,

4), ანუ, როგორც წმ. იოანე დამასკელი ამბობს, ეს დაჯდომა ტაძარში იუდეველთა ტაძარს შეეხება, და არა — ქრისტეს ეკლესიას. ამგვარადვე ფიქრობდნენ წმიდა მამები: კირილე იერუსალიმელი („კათაკმეველთათვის") ირინეოს ლიონელი, იპოლიტე და სხვანი. უნდა აღინიშნოს, რომ წმ. იოანე ოქროპირი ცარაუდობს, რომ ეს შეეხება მსოფლიო ეკლესიას (იხ. მისი III ჰომილია თესალონიკელთა მიმართ II ეპისტოლეზე).

71. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. 35-ე სიტყვა; წმ იოანე ოქროპირი. II ჰომილია თესალონიკელთა მიმართ II ეპისტოლეზე.

72. „თვით ეშმაკი კი არ შეიქმნება ადამიანად..." (წმ. ი. დ.). ასევე ფიქრობს წმ იოანე ოქროპირიც (ზემოხსენებულ ჰომილიაში), რომელიც ამბობს: განა ის მართლაც თვით სატანაა?! — არავითარ შემთხვევაში! იგი არის ერთ-ერთი ადამიანი, რომელსაც მისი (სატანის) მთელი ძალა და მოქმედება მიუღიაო... წმ. იპოლიტე ამბობს, რომ ანტიქრისტეში იმოქმედებს სწორედ თვით ეშმაკი, რომელმაც ოდესმე ადამი და ევა აცთუნა. ნეტარი თეოდორიტე ამტკიცებს, რომ ეშმაკმა ადამიანური ბუნება უნდა მიიღოს. წმ. კირილე იერუსალიმელი კი ამტკიცებს, რომ ანტიქრისტეს სახით ეშმაკი იმოქმედებს მთელი თავისი ძალითო. ასევე ნეტარი იერონიმეც (დანიელის წინასწარმეტყველების განმარტებისას, VII) ამბობს: არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ანტიქრისტე ან ეშმაკია, ანდა დემონი; იგი ერთია კაცთაგან, რომელშიც ხორციელად იქნება დამკვიდრებული სატანა... სხვა ყოველივე, რაც მომავალ ანტიქრისტესთანაა დაკავშირებული — მისი წარმომავლობა, სახელი, ასაკი, და სხვა მისთანა, მხოლოდ ვარაუდის საგანი შეიძლება იყოს...

73. წმ. იუსტინე თავის წიგნში „აღდგომისათვის", რომელიც მიმართულია პლატონიკოსებისა და იმ მწვალებლების წინააღმდეგ, სულთა გადასახლებისათვის რომ ასწავლიდნენ, წმ. იოანე დამასკელის მსგავსად მსჯელობს: აღდგომა დაცემული სხეულისათვისაა დამახასიათებელი, რამეთუ სული არ ეცემა; სული სხეულში იმყოფება, ხოლო რაც სულს არის მოკლებული, ის არც ცხოვრობს. სხეული სულის განსვლის შემდგომ მისგან — აღარ ცოცხლობსო... ორიგენი, ცხადად ასწავლიდა მკვდართა აღდგომის შესახებ, თუმცა თვლიდა, რომ მკვდრე-

თით აღმდგარ სხეულს იგივე ორგანოები არ ექნებაო, რაც ამ-ქვეყნიურ ცხოვრებაში ჰქონდა, რადგან საუკუნო ცხოვრებაში კბილები, მაგალითად, აღარ იქნებაო საჭირო, და ა. შ.

74. წმ. გრიგოლ ნოსელი. „სულისა და მკვდრეთით აღდგომისათვის".

75. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა იყო სახე ჩვენი მომავალი აღდგომისა; ასე, რომ როგორადაც ქრისტე შედიოდა დაუბრკოლებლად დახშულ კარებში, და მიუხედავად თავისი სხეულის ამგვარი ძალისა, მოციქულებს სთავაზობდა, შეეხეთო, ასევე ახალი სასწაული იქნება ის, რომ თუმცა კი შესაძლებელი იქნება შეხება ნეტართა სხეულებისაც, მაგრამ ისინი ისევე ძალით იქნებიან შემოსილი, როგორიც უფალს ჰქონდაო... უფალმა ჩვენმა სხვა სხეული კი არ აღადგინაო მკვდრეთით, — ამბობს წმ. ეპიფანე („მწვალებლობათათვის", 64, 62), — არამედ სწორედ ის, მანამდე რომ არსებობდა, და სულიერებად ცვალა იგი... ამრიგად, ი გ ი დაუბრკოლებლად გადიოდა დახშულ კართა შორის; ამქვეყნად მცხოვრებ სხეულთათვის ასეთი რამ შეუძლებელია მათი სიტლანქისა და ხორციელების გამო... მაგრამ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ჩვენი სხეული, უფლის სხეულის მსგავსად, შეიცვლება და ამ თვისებებს შეიძენსო...

76. წმ. გრიგოლ ნოსელი. „სულისა და მკვდრეთით აღდგომისათვის".

77. „ცეცხლი საუკუნო, უნივთო..." (წმ. ი. დ.). ეშმაკი, დემონები, ანტიქრისტე, უკეთური ადამიანები... რა თქმა უნდა, იმ ცეცხლს მიეცემიან, მათს გარეთ რომ იქნება, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მათს შიგნითაც, დაგვიანებული გაღვიძებით სინდისისა, ცეცხლი იქნება აღგზნებული და მოსწყლავს მათ მწარე სინანულით (ამის შესახებ იხ. ეპ. სილვესტრის „საღვთისმეტყველო დოგმები", ტ. V, კიევი, 1891 წ., რუსულ ენაზე, სადაც სრულად არის მოცემული ეკლესიის მამებისა და სხვა მოძღვართა სწავლება გეჰენიის ცეცხლისათვის).

თარგმნა ვასილ ბურკაძემ

წმ. თეოდორე სტუდიელი

წერილი იღუმენ თეოფილეს

მინდოდა რაც შეიძლება მალე გამომეგზავნა წერილი შენი სიწმინდისათვის, მაგრამ მკაცრი პატიმრობის ქვეშა ვარ და აქამდე ვერაფრით მოვახერხე. ახლა კი, როდესაც სახიერმა ღმერთმა ინება და მომივლინა კაციცა და შემთხვევაც, ვისრულებ საწადელს, მოგესალმები და გეხვევი შენ, ჩემს სულიერ მამას, რომელიც ჭეშმარიტად ძალიან მიყვარს. ამა სოფლის მპყრობელთ ხორციელად კი გაგვყარეს, მაგრამ ამით ჩვენი ღმრთისმიერი ერთობა და სიყვარული ვერ დაარღვიეს, პირიქით, უფრო მეტადაც შეგვაკავშირეს. მჯერა, რომ შენს ღირსებასაც ვუყვარვარ მე უღირსი და ურყევად ადგას მართლმადიდებელი და ღმრთის სათნო აღმსარებლობის გზას. ყოველთვის ასეთად ჩანდი ღმრთისა და კაცთა წინაშე, და არჩიე ჩვენთან ერთად გაგეყო დევნულება ღმრთისმოშიშების წილ, თუმცა ეს არ სურდათ ძლიერთა ამა სოფლისა, ეშინოდათ მრავალის განდევნა და დატუსაღება, იმედი ჰქონდათ, რომ ამით ქვეყანას დაარწმუნებდნენ, თითქოს მხოლოდ მე ვუპირისპირდები, სხვა კი ყველა მათ მხარესაა. სინამდვილეში ასეთი ბევრია მათ სახელმწიფოში, თუმცა ისინი იმალებიან ან შიშის, ან შემგუებლობის გამო, ასე რომ, შეგვიძლია გავიმეოროთ ღმრთაებრივი დავითის სიტყვები: „აღვრაცხნე იგინი, და უფროის ქვიშისა განმრავლდენ“ (ფს. 138, 18).

მართლაც, ეს უსჯულოება არც მცირეა და არც დაფარული, არამედ დიდი და თვალსაჩინო იმათთვის, ვისაც გონება უჭერის. მათ, თქვენო მაღალღირსებავ რამდენადაც ხელეწიფებოდათ, გააუკუღმართეს ქრისტეს განგებულება იმით, რომ სახა-

რების მცნების დარღვევა და მემრუშეთა ქორწინება ეკლესიის მხსნელ იკონომიად გამოაცხადეს და ვინც ეს ამბავი არ მოიწონა, ისინი შეაჩვენეს. ერთი მცნების დარღვევით მთელი სახარება ხელყვეს, რამეთუ წერია: „რომელმან ყოველი ჰსჯული დაიმარხოს და ჰსცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანა-მდებ“ (იაკობ. 2, 10), მათ კი დაცემულებს, უფრო სწორად, მემრუშეებსა და მათ დამაქორწინებლებს, აგრეთვე მათ თანაძონაწილეებს და ყველას, ვისაც რაიმე ურთიერთობა აქვს მათთან (ყველა ესენი ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან) დამნაშავეებს კი არა, ღმრთის განგების აღმასრულებლებს უწოდებენ. მაშ ტყუის იგი (ღმერთი), ვინც ასეთ ადამიანებს დამნაშავეებად სახელდებს, წმინდანები კი უცხონი ყოფილან ღმრთის განგებულებისათვის, რამეთუ არც ერთ წმინდანს არ შეუბღალავს ღმრთაებრივი კანონი, ხოლო ვინც შებღალა, მას შეუძლებელია წმინდანის სახელი ერქვას. ისინი კი ამ გადახვევას უცვალებელ დოგმატად აქცევენ, ღმრთაებრივ კანონად გვიდგენენ და ანათემას გადასცემენ ყველას, ვინც მათ თანამონაწილე არ უხდება. მაგრამ არც ცაზე და არც მიწაზე არც ერთი წმინდანი არ შეეწევა მრუშობას. ამგვარად, ცხადია, რომ მათ სახარების ერთი მცნების დარღვევით არა მხოლოდ მთელი სახარება ხელყვეს (თანაც საეკლესიო კრების განჩინებით ეს დარღვევა ეკლესიის მხსნელ იკონომიად გამოაცხადეს და დაადგინეს, რომ ყოველი მცნება შეიძლება დავარღვიოთ და ამ დარღვევას იკონომია ვუწოდოთ), არამედ შეაჩვენეს წმინდანები, რომლებიც არ იწონებენ ამ საქციელს, წმინდანებთან ერთად კი მას არც ღმერთი იწონებს.

თუმცა, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი იმაზე, რასაც წერილიც ვერ დაიტევს? ჩვენს ეკლესიაში საშინელი ცრუმოძღვრება გამოცხადდა, ეს ბილწი მწვალებლობა, იმის გარდა, რომ სახარებას ხელყოფს, ღმრთაებრივ კანონებსაც არღვევს, რამეთუ უდანაშაულოდ აცხადებს მემრუშეს, რომელსაც ეს კანონები გმობენ. ცხადია, რაკი სახარება არად ჩააგდეს, ღმრთაებრივ კანონებზე ფიქრით თავს აღარ შეიწუხებდნენ. ყოველივე ამის შეხსენება, მამაო, ამისათვის დამჭირდა: რაკი იცი, რომ ეს აშკარა მწვალებლობაა, გაექეცი მწვალებლობასა და მწვალებლებს, ნუ გექნება მათთან ერთობა და ნუ მოიხსენიებ სა-

ღმრთო ლიტურგიაზე შენს უწმინდეს მონასტერში, რამეთუ წმიდა მამები დიდ მუქარას უთვლიან იმათაც კი, ვინც ტრაპეზს გაიყოფს მწვალებლებთან. თუ მკითხავ, რატომ მე თვითონ არ ვამბობდი ამას დატუსაღებამდე და რატომ ვიხსენიებდი ბიზანტიის მბრძანებლებს, გეტყვი, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემდგარი საეკლესიო კრება, არ იყო გამოცხადებული ეს უღმრთო სწავლება და ანათემა. მაშინ საშიში იყო სრულიად გამოყოფა უსჯულოთაგან, შეიძლებოდა მათთან ურთიერთობას გაქცეოდი და დაჩაშვები იკონომიის გამო გარკვეულ დრომდე მოგეხსენიებინა კიდეც.

ახლა კი, როდესაც ამ კრებაზე აშკარად გამომჟღავნდა მწვალებლური უსჯულოება, დანარჩენ მართლმადიდებლებთან ერთად შენც თამამად უნდა თქვა სათქმელი, არავითარი ურთიერთობა არ გქონდეს მწვალებლებთან და არავინ მოიხსენიო მათგან, ვინც ამ უსჯულო კრებაში მონაწილეობდა, ან ვინც მათ აზრებს იზიარებს. ჭეშმარიტად შეგფერის, ღირსო მამაო თეოფილე, ვინც ყოველთვის ამართლებდი შენს სახელს,[1] ამ საქმეშიც ღმრთისმოყვარედ გამოჩნდე, რამეთუ დიდმა ოქროპირმა ხმამაღლა, ყველასათვის გასაგებად გამოაცხადა ღმრთის მტრებად არა მხოლოდ მწვალებლები, არამედ მათთან ურთიერთობის მქონენიც. და თუ შენებრ მტკიცე კაცი შეცდება, სხვა ვინღა ცხონდეს? თუ ის, ვინც მწვალებლობის სრულ გამომჟღავნებამდე წმინდანივით შეუვალი იყო, ახლა გადაუხვევს სწორ გზას, სხვამ როგორღა გაბედოს ხმის ამაღლება? თუ მონაზონი (ანუ მონასტრები და ყველა, ვინც მონასტერშია), არ შერაცხავს ნაგავად ყოველივეს (ფილ. 3, 8), მაშ ერისკაცმა როგორღა მიატოვოს ცოლი, შვილები და ათასი სხვა რამე?

ამიტომ შეგახსენებ, როგორც უმცრსი ძმა, ნუ გავჩუმდებით, რათა ჩვენში სოდომის გმინვა არ დატრიალდეს, ნუ დავინანებთ მიწიერს, რათა ზეციერს არ მოვაკლდეთ, ნუ ჩამოვაგდებთ საკუთარს ღმრთის ეკლესიაში, რომელიც, წმ. მამების თქმით, სამი მართლმადიდებლისგანაც შეიძლება შედგებოდეს, რათა ღმრთის სამსჯავროზე არ განვისაჯოთ. მე უღირსი ამას ჩემი თავისთვის როდი ვამბობ — თუმცა კადნიერება კია ამის

---

[1] თეოფილე — ღმრთისმოყვარე (ბერძ).

თქმა, მაგრამ ჭეშმარიტებისთვის სიკვდილი ჩემთვის შეძინება, ცხოვრება და სიხარულია — არამედ ჩვენი ძველი, სულიერი სიყვარულისა და საერთო სარგებლობისათვის: ჭეშმარიტად, თუკი ძე ღმრთისამ მაცხოვარმა და ყოველთა მეუფემ ჩვენთვის შესწირა თავი მსხვერპლად მამასა და ღმერთს, რა არ უნდა დავითმინოთ მისთვის ჩვენ, მეტადრე მონაზვნებშა, ვინც ჯვარს ეცვა სოფლის უარყოფით, ვინც ჭეშმარიტად და არა მხოლოდ სიტყვით დაუტევა ეს სოფელი?

კაცზე გარეგნობის მიხედვით როდი უნდა ვიმსჯელოთ, არამედ საქმეებით, რამეთუ მრავალმა გაიკეთა ნიღაბი და სინამდვილეში ის არ არის, რადაც თავს გვაჩვენებს. ამრიგად, დღეს მონაზვნებმა საქმით უნდა დაამტკიცონ თავიანთი მონაზვნობა, მონაზვნის საქმეები კი ის იქნება, რომ არავითარი სიახლის შეტანა არ დაუშვას სახარებაში, არ მისცეს ერისკაცებს მწვალებლობისა და მწვალებლებთან ერთობის მაგალითი და მათი წარწყმედის გამო პასუხისმგებლობამ არ მოუწიოს. ბევრი ზემდეტი ვთქვი ამასობაში, ამის უფლება შენმა სიმდაბლემ მომცა. შენ კი, მამაო, ილოცე და ღმერთს ეეედრე ჩემ უძლურისა და ცოდვილისათვის, ვისაც შენ ძალიან უყვარხარ. ჩემთან ერთად დატუსაღებულიც მოგესალმება და ლოცვას გთხოვს.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

მასზედ, რომ ქრისტეს სიტყვიერი სამწყსოს დამწყსობის მსურველმა თავდაპირველად საკუთარი თავი, თავისი სულის მდგომარეობა უნდა მოიხილოს და ზედმიწევნით გაგოიკვლიოს, რათა მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს სხვათა დამოძღვრას.

უფალი ჩვენი იესუ ქრისტე იმას არ ნეტარ-ჰყოფს, ვინც ოდენ ასწავლის კეთილ საქმეთა ქმნას, არამედ — იმას, ვინც უწინარესად თვით მოიმოქმედებს ქველის საქმეთ და მაშინღა შეაგონებს ხოლმე სხვებსაც — მარადის კეთილს იქმოდეთო, რამეთუ უფალი ასე იტყვის წმიდა სახარებაში: „...რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა“ (მათე 5, 19). ამიტომ ჩვენი ეკლესიის ღვთაებრივ მამებსაც არასდროს არც სიტყვით და არც ნაწერით არ უსწავლიათ ვინმესთვის ისეთი სიკეთის ქმნა, რომელიც უწინარესად სხვათა შეგონებისა თვით არ ექნებოდათ მოქმედებული. და ამგვარ მოძღვართა მსმენელნიც უფრო მეტად არიან განმზადებულნი იმისთვის, რომ კეთილ საქმეთა ქმნაში მიბაძონ მათ, რადგან იმდენად მათი სიტყვებით კი არ სარგებლობენ, რამდენადაც საქმეებით თავიანთი მოძღვრებისა, თავის მიბაძვად რომ აღძრავენ დამნახავსა თუ მსმენელს.

მაგრამ ვაი ჩვენ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, რომ ესოდენ დიდ კადნიერებად მივალთ ხოლმე; ისე ვიტვირთავთ ქრისტეს სიტყვიერ ცხოვართა მწყემსვას, რომ ჯერ არა გვაქვს შეძენილი ქრისტესმიერი მადლი; ვაი, ჩვენ, ესევითარ ბერ-მონაზვნებს, რომელნიც, მიუხედავად ამისა, მოციქულებრი ხარისხის მიღებას ვესწრაფვით! და ვაგლახ მე, სამგზის შეჩვენებულს ამისთვის! და ამას მხოლოდ სხეულის საამებლად და საშვებ-

ლად ვ-ქმნ, კაცობრივი სარგებლისა და პატივისათვის. და აკი ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საფასითაც კი მოვისყიდით ხოლმე (ანუ გვსურს ვიყიდოთ) მოციქულებრ ღირსებას, ამასთან არც ღმერთისა გვეშინის და არც ადამიანთა გვრცხვენის! და ეს მაშინ, როცა ამა ქვეყნიურ ცხოვრებაში ვერც ერთი ადამიანი ვერ გაბედავს მიახლოებასაც კი სამეფო ტახტთან თვით ხელმწიფის ნების გარეშე! და ვერც უსწავლელი ვინმე გაკადნიერდება მიითვისოს წოდება გრამატიკოსისა თუ რიტორისა! ვერც ერთი უწიგნური ვერ დათანხმდება მკითხველი იყოს ეკლესიაში! მაგრამ ჩვენ ამგვარნი როდი ვართ, და მიუხედავად ასეთი მაგალითისა, მაინც ვეძიებთ ხოლმე და მივითვისებთ კიდეც მოციქულებრ წოდებას ისე, რომ ჯერ არა გვაქვს შეძენილი ღვთაებრივი მადლი, რომელიც უფლის მოციქულებს ზეგარდმო ჰქონდათ მონიჭებული; და ისეც, რომ საკუთარ თავში ვერც სულიწმიდის მადლმოსილ ნაყოფთ ვხედავთ. და ან კი როგორ დავუშვებთ ჩვენ იმას, რომ თუნდაც ფიქრად გავივლოთ ესოდენი კადნიერება?!

მარქვით მე, ძმანო ჩემნო საყვარელნო, ამ დიდსა და ხალხმრავალ ქალაქს, — კონსტანტინეპოლს ვამბობ, — ვინმე უცხო მწირისთვის, იმ კაცისათვის, ვინც არასდროს შესულა სამეფო პალატში და თვით მეფისთვისაც უცნობია და მასთან დაახლოებულ პირთათვისაც, — ასეთისათვის რომ ეთხოვა და ეთქვა: ჩვენი მეფის საჭურველთმტვირთველად განგაჩინებთ! შედი ხოლმე შენ ერთი, სამეფო პალატში, აუწყე ხელმწიფეს ჩვენი სიქველე და სთხოვე ესა და ეს წყალობა გვიყოსო, — აი, ეს რომ ეთხოვა ქალაქს უცხო მწირისათვის, განა ეს უკანასკნელი ისურვებდა მიეღო ეგზომ დიდი ღირსება?! განა აზრად კი გაივლებდა იმას, რომ ძალუძს ესოდენ საქმეთა ქმნა?! ჩვენ ყოველნი, ალბათ, ერთხმად, დავასკვნით, რომ მწირი კაცი არასდროს არ დათანხმდებოდა ამაზე, და იმათაც, ვინც ამგვარს რასმე შესთავაზებდა, გაკიცხავდა, — უგნურნოო და ცოფნოო, ასე ეტყოდა, და, რა თქმა უნდა, არაფრით არ დათანხმდებოდა ზემოხსენებული ღირსების მიღებას, რადგან სწორად განსჯიდა, რომ იგი პატივსა და ღირსებას კი არ მოუტანდა, არამედ უფრო მალე უპატიო-ჰყოფდა და მეფის რისხვასაც დააწევდა სასჯელად.

ამრიგად, თუკი კაცობრივ საქმეებში არ შეგვიძლია ამგვარად მოვიქცეთ და ჩვენთვის შეუფერებელი ღირსება მივითვისოთ, მაშ როგორღა არ გვეშინის და არ ვძრწივართ მოციქულებრი ღირსების მიღების წინაშე, რასაც ესოდენი კადნიერებით ვიქმთ?! როგორ არ შევძრწუნდებით იმით, რომ მიახლოებას ვაპირებთ მიუახლებელ ნათელთან მეუფეთა მ ე უ ფ ი ს ა — ღმერთისა, და განგვიზრახავს შუამავალნი შევიქნათ უზენაეს ღმერთსა და ცოდვილ ადამიანს შორის?! თუ, ასეთი კადნიერება უმნიშვნელო საქციელად მიგვაჩნია და არაფრად ვაგდებთ?! მაშინ ვაგლახ, ჩვენ, ძმანო ჩემნო საყვარელნო! გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, თუ სიბრმავისა და უგრძნობლობის რა უკიდურესობამდე მივსულვართ ჩვენს სულიერ უგულისხმობაში, იმ ზომამდე, რომ არც კი ვიცით, თუ რა დიდი და საშინელი საქმის ტვირთვა გადაგვიწყვეტია. რამეთუ რომ გვცოდნოდა ეს ყოველივე, მაშინ არც არასდროს მივიდოდით ისეთ კადნიერებამდე, რომ ასე ვეცინოდეთ, განლაღებულნი, ღვთაებრივს, და უფრო მეტს მოშიშებას ყოველივე ამაქვეყნიურისადმი გამოვაჩინებდეთ, ვიდრე ჩვენი ზეციური მეუფისა და მაცხოვრის იესუ ქრისტესადმი.

მაშ, განუწყვეტლივ განვისჯიდეთ და გამოვეძიებდეთ საკუთარ თავს, და ვეცადოთ, ყოველის ღონით, რამდენადაც კი ძალგვიძს, სხვებიც დავარწმუნოთ იმაში, რომ არ ეძიებდნენ თავისთვის ამ ღირსებას და არც იდონ ქედს ეს დიდი ძალაუფლება — ქრისტეს სიტყვიერი სამწყსოს მოძღვრობა. ასე მოვიქცეთ ხოლმე, რათა ისინიც ვიხსნათ განკითხვისაგან და თვით ჩვენც დარჩენილი დღენი ამაქვეყნიური ცხოვრებისა უხიფათოდ განვლიოთ.

მაგრამ თუკი ვინმე ზედმიწევნით გამოიკვლევს საკუთარ თავს და ჰპოვებს მას თავისუფალს ყოველგვარი დიდებისმოყვარებისაგან, სრულიად დახსნილს გემოთმოყვარებისა და ხორცელი გულისთქმის საკრველებისაგან, აგრეთვე თუკი დარწმუნდება, რომ უზაკველია ვეცხლისმოყვარებისაგან და ბოროტის დახსომებისაგან; რომ უკვე შეუძენია ჭეშმარიტი ურისხველობა და სრულყოფილი სიმდაბლე; რომ მოუპოვებია ისეთი სიყვარული ღმერთისადმი, რომ ქრისტეს ოდენ სახელის გა-

გონებისთანავე სული მისი, უფლის უზომო სიყვარულის ცეცხლით აღეგზნება და თვალნიც სიხარულისა თუ სინანულის ცრემლთა ღვრას იწყებენ, ამასთან იგი თავის ძმათა გამოც სტირის, რადგან სხვათა ცოდვებსაც საკუთარ ცოდვებად მიიჩნევს, და საკუთარი თავის გამოც, რადგან მთელის არსებით აღიარებს თავს სხვათა უაღრეს ცოდვილად, და ბოლოს თუკი ასეთი ვინმე საკუთარ თავში ცხადად ხედავს და გრძნობს სულიწმიდის მადლის მოქმედებას, სულის უხვად განმანათლებელს და გულისაც მბრწყინავი მზის მსგავსად შემქმნელს; თუკი ის ნამდვილად გრძნობს, რომ მასში ცხადად აღესრულება შეუწველი მაყვლოვანის სასწაული, ისე, რომ შეუძლია თქვას — რამდენადაც სული ჩემი ღმრთაების მიუახლებელ ცეცხლსაა შეერთებულ-ნაზიარები და არ დაიწვება, ამდენად იგი უკვე გათავისუფლებულა ყოველგვარი ვნებისაგანო; კვალად თუკი ის იმდენად არის მდაბალი სულით და მორჩილი გულით, რომ უღირსად მიიჩნევს თავს და შეუფერებლადაც ესოდენი ღირსებისათვის, იცის რა ადამიანური ბუნების მთელი უძლურება, მაგრამ მაინც აქვს შეძენილი შეუპოვარი სასოება ღვთაებრივი მადლისა და მისგან მომდინარე ძალისა, და თუკი მზადყოფნით გადაწყვეტს ამ ნაბიჯის გადადგმას, ისე, რომ ამისთვის საღმრთო მადლის მხურვალე მობერვითა და მინიშნებით იქნება აღძრული, უარმყოფელი, ამასთანავე, ყოველი ადამიანური ზრახვისა, და შემართული ძმათათვის თავის დადებად, აღსრულებისათვის ღვთაებრივი მცნებისა მოყვასის სიყვარულის შესახებ, და თუკი ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ასეთს ვისმე გონებაც განწმედილი აქვს ყოველგვარი ბილწი მოგონებისაგან და შეზოსილიცაა სიმდაბლის ნათელი შესამოსელით, ისე, რომ არც იმათდამი აქვს რაღაც განსაკუთრებული კეთილგანწყობა თუ სიყვარული, ვინც ხელს უწყობს ამ საქმეში (მწყემსად გახდომაში), და არც იმათ არ უბოროტდება და კნინ სიძულვილსაც კი არ შეაგებებს, ვინც ეწინააღმდეგება ამაში, არამედ ყველასადმი თაწაბარი კეთილგანწყობითაა აღვსილი თავისი უზაკველი, უბოროტო გულით, — ჰოდა-მეთქი, ვისაც ეს ყოველივე შეუძეწია და ძალუძს, ჰი, იმან, დაე, გადაწყვიტოს კიდეც შეთავაზებული ღირსების მიღება და გახდეს მწყემსი ქრისტეს

სიტყვიერ ცხოვართა! დაე, ესევითარმა იტვირთოს მოციქულებრი პატივი!

მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად, დაე, ნუ გაკადნიერდება იგიც იმად, რომ ამ დიდ საქმეს თავისი სულიერი მამის ნებართვისა და ლოცვაკურთხევის გარეშე შეუდგეს! დაე, დაიმდაბლოს თავი მის წინაშე, სრული მორჩილება გამოუმჟღავნოს და ისე გადაწყვიტოს ამ საქმის აღსრულება, თითქოს თავისი სულიერი მამის ბრძანებას ასრულებს და მისი ნებით მოქმედებსო, რადგან ასეთ ღირსებას მხოლოდდამხოლოდ ძმათა ხსნისათვის უნდა მიიღებდეს. თუმცა ასე უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუკი დანამდვილებით ეცოდინება, რომ მის სულიერ მამას განცხადებულად აქვს შეძენილი სულიწმიდის მადლი — ძალი გულისხმისყოფისა და სიბრძნისმეტყველებისა, და ამიტომ ღმერთის ნების საწინააღმდეგოს კი არ ეტყვის თავის მოწაფეს, არამედ მასში გიებული საღმრთო ნიჭის ძალით იმას შეაგონებს, რაც ღმერთსაც სათნო-ეყოფა და მისი მოწაფის სულისთვისაც სასარგებლო იქნება, რათა ბოლოს, ვინძლო არ აღმოჩნდეს, რომ ადამიანს დამორჩილებია, და არა — ღმერთს. მაშასადამე, თუკი თავის სულიერ მოძღვარში იგი კეთილ შემწესა და მრჩეველს ჰპოვებს, მაშინ მოძღვრის ღირსების მიღებაც მისთვის უფრო უხიფათო იქნება, ხოლო სიბრძისმეტყველება — უფრო მეტის სიმდაბლითა და მორჩილებით აღსავსე.

აწ, თუკი ესევითარი დაკვირვებით ჩაუკვირდება საქმეს, იგი ჭეშმარიტებად აღიარებს ჩემს მიერ ზემოთქმულს, ამაზე გაცილებით მეტს კი თავისით შეიტყობს, ანდა, უკეთ რომ ვთქვა, შეგონებულ იქნება თვით „მზისაგან სიმართლისა“ (მალაქ. 4,2), ჩვენი უფლის მიერ, როცა ღირსიქმნება ამა მზის ხილვისა. ხოლო თუ ამ საქმის დასაბამიც კი იმგვარია, რომ ძნელი ამოსაცნობია — ღმრთის ნებისაგანაა იგი, თუ არა, მაშინ რამდენგზის საძნელო უნდა იყოს შემდგომ მისი წარმართვაცა და აღსრულებაც! რაოდენი მოთმინებაა აუცილებელი იმ განსაცდელთა დასათმენად, სამწყემსო მსახურებას რომ ახლავს თან! რა უტყუარი განსჯა უნდა ჰქონდეს მწყემსს იმ ბრძოლათა წინაშე, რომელთაც ის უსათუოდ შეხვდება! ამიტომაც გულდასმით უსმინე შენს გულს, სულიერო მამაო, და ღრმად ჩაუკვირდი მას; განსაკუთრებით კი განიწმიდე თვალი

შენი გონებისა, სიწმიდით დაიმარხე იგი, მტვრით ნუ დაჭეჭ-
რავ, რადგან სწორედ მისი დახმარებით ძალგიძს საკუთარ გულ-
საც კარგად ჩაუკვირდე და შენდა დაკისრებული საქმეებიც
მართლიად განაგო შენს სამწყემსო მსახურებაში, უფრო კი მა-
მათა და ძმათა საჭიროებაც ზედმიწევნით უწყოდე, რათა ყო-
ველივე ჯეროვნად მოაწყო. რამეთუ, როგორც ისმენ, ძმათა
კრებული, თითქოსდა, სხეულია, წინამძღვარი კი — თავი ამ
სხეულისა; როგორადაც სხეულში მის ყოველ ნაწილს თავისი
დანიშნულება აქვს, ასე, მაგალითად, ფერხნი — სიარულის-
თვისაა გაკუთვნილი, ხელები — აღებისა და მუშაკობისათვის,
თავი კი შემაკავშირებელია მთელი სხეულისა, რადგან სწორედ
მასშია თავმოყრილი ყველა გრძნობა, გონება და თვით სიტ-
ყვის უნარიც, — ამგვარადვე მონასტერში მყოფი ძმებიც ყო-
ველს ქველის-საქმეში როდი იწვრთნიან თავს, არამედ ერთ-
ერთს სათნოებაში მოსაგრეობს, მეორე — სხვაში იღვწის. ამის
გამო ძნელად თუ იპოვი რომელიმე ძმაში ორ, ანდა სამ სათ-
ნოებას ერთდროულად. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგანაც
მონასტერში მცხოვრები ძმები არიან „ხორცნი ქრისტესნი და
ასონი ასოთა მისთაგანნი" (1 კორინთ. 12, 27).

მაგრამ წინამძღვარს მონასტრისა ყველა სათნოება უნდა
ჰქონდეს შეძენილი, და არამხოლოდ სულიერნი, არამედ ხორ-
ციელნიც. და ამ სათნოებებთან ერთად, იგი აღვსებული უნდა
იყოს ფარული ნიჭით ღვთაებრივი მადლისა; რამეთუ როგორც
გარეგნულად მშვენიერი და კარგად მოვლილი თავი, თუკი ის
გონიერებას მოკლებულია და არც ყველა გრძნობა აქვს მრთე-
ელი და უვნებელი, ყველას მიერ ყოვლად უხმარად მიიჩნევა,
ულირსად პატივისა, ასევე (მონასტრის) წინამძღვრისთვისაც
საკმარისი არ არის მხოლოდ სულიერი თუ სხეულებრივი სათ-
ნოებებით იყოს შემკული, არამედ აუცილებელია იგი, უწინა-
რესად, ღვთაებრივი მადლის სულიერ ნიჭთაგან იყოს გაბრწყი-
ნებული. რამეთუ სათნოებანი ჩვენი საკუთარი მცდელობითა
და გულმოდგინებით სრულ-იქმნება ჩვენში, და მოპოვებითაც
მათ საკუთარი რუდუნებით მოვიპოვებთ; სულიერნი ნიჭნი კი
თავისუფალი საბოძვარია იმ წყალობისა, რომელიც ქრისტესა-
გან მოემადლებათ სულის ხსნისათვის მოსაგრეთ. ასე, მაგალი-
თად, მარხვა და თავშეკავება — სათნოებაა, რომლითაც დაჭკნე-

ბიან ცოდვიანი ნდომანი და გულისთქმანი, და ამით ხორციელი ცეცხლიც მინავლდება ხოლმე ჩვენში, — ეს კი ჩვენი საკუთარი ნებელობის საქმეა. მაგრამ როცა ვინმე ძმათაგან მარხვისა და თავშეკავების ღვაწლს მისგან მომდინარე მწუხარება-ტანჯვის გარეშე აღასრულებს, და უფრო მეტიც, როცა ასეთ მოსაგრეს სიწმიდისა და უვნებლობის სრულყოფილებისათვის მიუღწევია, — ეს სწორედ საღმრთო მადლის ნიჭია, სხვა ყოველივეზე ბევრად აღმატებული.

კვალად, რისხვისა და გაბოროტებისაგან თავის შეკავება — ჩვენი თავისუფალი ნებიდან მომდინარე საქმეა, და დიდ ღვაწლსა და არამცირედს შრომას მოითხოვს ჩვენგან; მაგრამ სრულყოფილი უშფოთველობა რომ შევიძინოთ გულისა, ანუ სრული სიმშვიდე, — ეს მხოლოდ მაღალი ღმერთის მიერ ჩვენში აღსრულებული საქმეა, მ ი ს ი განმაახლებელი მარჯვენის ნაშოქმედარი. ასევე ჩვენი ქონების ღარიბ-ღლახაკთათვის დარიგებაც, და სრულიად უქონელნი რომ შევიქნებით, მოწყალების თხოვაც, — ეს ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული; მაგრამ ის, რომ სრულიად არაფერი გვინდოდეს ყოველივე ამაქვეყნიურისაგან და სიხარულითაც კი და ვითმენდეთ წვას სიღარიბის ღუმელში — ეს ღმერთის ფარული ძალის მოქმედებაა ჩვენში. ასევე ყოველი სხვა ქველის საქმეც, რომელიც კი საღმრთო მცნებებს შესაბამისად აღესრულება, სათნოებად იწოდება. მაგრამ რიგორადაც ამაქვეყნიურ ყოფაში მინდვრის დამმუშავებელი და ხნულში თესლის მიმომბნეველი მიწისმომქმედი მხოლოდ მუშაობს, ხოლო ის, რომ ეს თესლი გაღივდეს, აღმოცენდეს და აღორძინებულმა მრავალი ნაყოფი გამოიღოს — ეს საღმრთო მადლის მოქმედების შედეგია, ამგვარადვე კაცის სულიერ ცხოვრებაშიც: კეთილ საქმეთა მოქმედება და სათნოებათა თესლის მიმობნება მრავალი შრომითა და ღვაწლით — ეს ჩვენი თავისუფალი ნებიდან მომდინარე საქმეა; მაგრამ ის, რომ მაღალმა ღმერთმა თავისი მადლისა და კაცთმოყვარების წვიმით მორწყას ჩვენი ნამუშაკევი და ამით უნაყოფო მიწა ჩვენი გულისა ნაყოფიერი შექნას — ეს მხოლოდდამხოლოდ ღმერთის მიერ ჩვენდა ბოძებული ნიჭი და მისმიერი წყალობაა. ი გ ი ღვთაებრივი მადლით მორწყავს სიტყვიერ თესლს, დათესილს ჩვენს გულებში, გააღვივებს მას და აღმოაცენებს, რათა შემდგომ დიდ

ნაყოფიერ ხედ გადააქციოს, ანუ სრულყოფილ კაცად შეგვქმნის ჩვენ, შესაბამისად ქრისტეს ასაკის აღსრულებისა და მისი წარმატებულობისა.

ამრიგად, შენთვის, ქრისტეს ცხოვართა მწყემსისათვის, ჯერ-არს შეძენა ყოველი სათნოებისა, როგორც ხორციელისა, ასევე სულიერისა, რადგან შენ თავი ხარ სხეულისა — შენს ძმათა ქრისტეს მიერ. ეს აუცილებელია შენთვის, რათა ძმები შენში პირველსახეს და მაგალითს ხედავდნენ ყოველი სიკეთისა, და შენს უკეთილშობილეს, ანუ ღმერთს მიმსგავსებულ თვისებებს თავის თავშიც აღიბეჭდავდნენ და მიბაძავდნენ. ამასთან, დაე, შენი საყვირიც ნურასდროს ნუ დაიდუმებს, არამედ, დაე, განუწყვეტლივ გამოსცემდეს ხმას მოწოდებისა: ერთ ძმათაგან მახვილს უწინასწარმეტყველებდე, ანუ საღმრთო რისხვას, რომელიც ჯიუტ ძეთ წინააღდგომისა თავს დაატყდებათ, რათა გამოასწოროს ისინი და სიმართლის კეთილმსახურ გზაზე დააყენოს; ხოლო თუკი ისინი მაინც არ შეისმენენ შენს გაფრთხილებას, საკუთარი სული იხსენ ღმრთის საშინელი რისხვისაგან; სხვებს სიკეთის ქმნას შეაგონებდე და ისე დამოძღვრავდე, რომ იიძულებოდნენ ქველის-საქმედ; ამასთან, იმათაც ნუ დასტოვებ უყურადღებოდ, რომელნიც მხილებასა და გაკიცხვას იმსახურებენ, — მარადის ამხილე, დროულადაც და უდროოდაც, აღუკრძალე უკეთურ საქმეთა ქმნა და ყოველმხრივ ეცადე განაშორო ისინი ბოროტისაგან, როგორც ამას ღვთაებრივი პავლე მოციქული გიბრძანებს (ტიტ. 1, 9-13). წყალობა ყველა ძმას თანაბრად უყავი და სიყვარულიცა ერთნაირი გქონდეს ყოველთადმი, თუმცა კი პატივი თითოეულს მისი სათნოების ზომისაებრ მიაგე, ვითარცა ჯერ-არს სჯულისაებრ; სათნო და სულიერი მამის წინაშე ნუ ამჯობინებ თუნდაც იმას, ვინც სხვაზე აღმატებულია მოწასტრის წესდებულების მიხედვით. სამონასტრო საქმეთა ეს მაშენებელნი იმ შვიდი დიაკვნის წოდებაში არიან, რომელთა შესახებაც საღმრთო წერილშია საუბარი (საქმე მოციქულთა 6, 2 — 5)); ესენი არიან „მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთვის, რომელთა-იგი დამკვიდრებად არს ცხორებაი“ (ებრ. 1, 14), და თუკი ისინი მართლიად აღასრულებენ თავიანთ მსახურებას, ყოველგვარი მზაკვრების, პირმოთნეობის გარეშე, მსგავსად ხსენებული შვიდი პირველი დიაკვანისა, მა-

შინ უდიდეს საზღაურს მიიღებენ ღმერთისაგან როგორც აწინ-
დელ ცხოვრებაში, ისე, მით უფრო, მომავალ საუკუნო ცხოვ-
რებაშიც. ხოლო ის ძმანი, რომელნიც ლოცვითა და მდუმარე-
ბით მოსაგრეობენ მონასტერში, სწავლა-მოძღვრებაში სიტყვით,
და დიდი მოთმინებით აღვსილნი თავსაც იწვრთნიან სათნოება-
თა შესაძენად და ქველის საქმეთა_ საქმნელად, — ესევითარნი
შენთან ერთადვე ჰგიებენ მოციქულთა მსგავს წოდებაში. ეს
ძმანი თანაშემწეებად უნდა გყავდეს შენი სულიერი სწავლების
ხარებაში, აგრეთვე შენს მიერ ძმათა გასაჭირის კირთებაში;
ამით ისინი დიდად შეგიმსუბუქებენ მძიმე ტვირთს მწყემსისას
და ძმათა შორის ისე წარმოჩინდებიან, როგორც პატიოსანი
ქვანი.

ნუ ეძიებ სხეულებრივ მოსვენებას თუ სხვა რამ საშვე-
ბელსა და ნუგეშს. დღეცა და ღამეც, მარადის, შენდამი ღმერ-
თის მიერ მონდობილ სულებზე ზრუნვაში განლიე, რათა რო-
მელიმე მათგანი მტრის კლანჭებში არ მოხვდეს, ძლეული ან
ბოროტი გულისთქმით, ანთუ უგონო მრისხანებითა და ცუდ-
შედიდობის ზრახვით! უვნებლად და დაუკლებლად დაიცავი
შენი სამწყსო, ეცადე სულიერ ნაყოფთა გამომღებელი, სათ-
ნოებებით აღვსილი და ღვთაებრივი მცნობელობით განათლე-
ბელი წარუდგინო იგი უზენაეს მწყემსმთავარს — ჩვენს
უფალსა და ღმერთს იესუ ქრისტეს. იღვაწე იმისთვის, რომ
ერთი ცხოვარიც კი არ იყოს შენს სამწყსოში ჭრილობიანი
თუ წყლულიანი, არც მოკლებული სხეულის რომელიმე ნა-
წილს და არც მოუძლურებელი რაიმე სნეულებით.

თუკი ყოველთვის ამგვარ მზრუნველობას გამოიჩენ ძმათა
მიმართ, მრავალთ აცხოვნებ, რაკი ჭეშმარიტი მწყემსობისა და
დამოძღვრის გზით სრულყოფილებას მიამთხვევ მათ, ისე,
რომ უკვე არანაირი სიკეთისაგან აღარ იქნებიან ნაკლუ-
ლევანნი, და ასეთთ მიიყვან შენს ქრისტესთან — უბიწოთ
განწმენდილთ არაწმიდა საქმეთაგან. ამ საქმისათვის შენ ღირ-
სი შეიქნები ღმერთისაგან უდიდესი საზღაურის მიღებისა,
რამეთუ შესახლდები ქრისტეს მოციქულთა და მწყემსთა კა-
რავში და მარადის იმეუფებ თვით ღმერთის ძესთან ერთად.
ამიტომაც შენი ცხოვრება ძმათა და შამათა წინაშე სანიმუშო

უნდა იყოს, რათა ყოველმა შენ მოგბაძოს ღვთის სათნომყოფელობაში და შენს მსგავსად იცხოვროს.

ნუ შეიყვარებ ნურც რაღაც ნივთებს და ნურც შვება-სიამეთ, ნურც გამორჩეულ ტრაპეზს ნუგბარი კერძებითა და ღვინოებით, ნურც მოხდენილ შესამოსელს! ნუ იქნები დიდების მოყვარე, მრისხანე, მოშურღლე, ძვირის-მხსომებელი, და ნურც ბოროტით მიაგებ ბოროტს! არამედ იყავ უანგარო, შეიძულე მოქცევა მხოლოდ სხვათა მოსაჩვენებლად, მოიძაგე პატივი და ყოველგვარი ამება სხეულისა! იყავი მდაბალი, სულით გლახაკი, გულშემუსვრილი, მშვიდი, უწყინარი, ურისხველი, უვეცხლო, ზომიერი, უშფოთველი, კეთილკრძალული, მოთმინე, თავშეკავებული, არამრავლისა მზრუნველი, მღვიძარი, გულმოდგინე, მოშურნე საღმრთოსათვის! იმგვარადვე იურვიდე იმ სულთათვის, რომელთა ზედამხედველადაც განწესებული ხარ, როგორადაც საკუთარი სხეულის ნაწილებზე ზრუნავ, და დღემუდამ მზად იყავ იმისთვის, რომ თავი დასდო მათთვის, თუ ეს აუცილებელი შეიქნება! ამქვეყნად არც ერთი და არანაირი საქმე არ ამჯობინო ძმათა სიყვარულს.

რდგან შენ გამორჩეულ იქმენ ყველა სხვათაგან და დადგინებული მწყემსად ქრისტეს სიტყვიერ ცხოვართა ზედა, ამიტომ ჯერ-არს შენთვის, სიტყვისაებრ უფლისა, სხვათა მეტად იყო შეჭირვებითა და სიმდაბლით, რაც ღმერთისაგანაა. როგორც სხვებზე ძლიერმა — უნდა ზიდო უძლურთა უძლურებანი; როგორც მკურნალმა — უნდა განკურნო ხოლმე ძმათა სულიერი სნეულებანი; როგორც მწყემსმა — კეთილად ფარას უნდა დაუბრუნო ჩამორჩენილი თუ წყმედული ცხოვარი; უმჯობესი მათგან ეცადე წარმატებულ-ჰყო სათნოებებში, ხოლო მტერი და მუნიანი, ანუ უიმედოდ დასნეულებული განაშორე ფარას, რათა სხვა ცხოვარნიც არ დასნებოვნდნენ!

მთელი შენი გულმოდგინებით იღვაწე, ჩემო სულიერ შვილო, იმისთვის, რომ განამრავლო სამწყსო ქრისტესი. და, ნუ გაცთუნებს შენ სურვილი მოსვენებისა და სხეულის ამებისა, სამონასტრო ნივთების საკუთრად, და არა ძმათათვის, დაუნჯებისა! ნუ შეიყვარებ მონასტრიდან ხშირ განსვლას, —

შენთვის საკმარისი იქნება, თუკი აუცილებელ სამონასტრო საქმეთათვის თვეში მხოლოდ ერთხელ დასტოვებ ხოლმე მონასტერს; სხვა საქმეები კი, დაე, შენმა თანაშემწეებმა აღასრულონ მონასტრის შიგნითაც და გარეთაც, რათა სხვა რაიმეთი არ იქნა გატაცებული, და რათა მარადის ძმათა დამოძღვრითა და სწავლა-შეგონებით იყო დაკავებული, — მათზე მზრუნველი და მსურველი მათი სულების ცხოვნებისა.

ნუ განიმზადებ ხოლმე შენთვის ნაირ-ნაირ ნუგბარ კერძებს, ძმათათვის კი — უარესს, საგლახაკოსა და სანელებლებით შეუკაზმავს; იმასაც ნუ იქმ, რომ ტრაპეზზე თვით კეთილ ღვინოს სმიდე, ძმებს კი ჭანგშეპარულს ასმევდე, — დაე, ყველასთვის მუდამ საერთო ტრაპეზი გქონდეთ, — შენთვისაც და მონასტრის ყველა სხვა ძმისთვისაც: ან ფხალეულობით გაწყობილი, ანდა — თევზეულით, ისიც მხოლოდ კვირადღეობითა და დღესასწაულებზე, ანდა როცა მეგობარნი გესტუმრებიან, ანთუ როცა რაიმე უძლურებით იქნები შეპყრობილი.

სამორჩილო საქმედ შენთვის მონასტერში, დაე, ძმათა სულებზე განუწყვეტელი ზრუნვა იყოს; სხვა სამონასტრო მორჩილებანი კი კეთილმსახურ და მოშიშ ძმებს განუნაწილე, რომელნიც გამოცდილი გეყოლება მანამდე სხვადასხვა საქმეთა აღსრულებით, როგორც ამას ჩვენი ღირსი მამა თეოდორე სტუდიელი გადმოგვცემს. ნუ განურისხდები რომელიმე ძმას საფუძვლიანი მიზეზის გარეშე, და მხოლოდ იმგვარი საქმის გამო დასაჯე ხოლმე იგი, რაც მის სულს ვნებს; უმჯობესი კი ისაა, რომ ყოველთვის მშვიდი სიტყვით დამოძღვრავდე ძმებს და ასწავლიდე, თუ როგორ უნდა ეპიროთ თავი ერთმანეთთან.

ჭაბუკთა და ახლადდამწყებთ სხვებზე უმეტეს უბრძანე ხოლმე მდაბალნი და მორჩილნი იყვნენ, რათა სხვებსაც, მათი განლაღებული საყმაწვილო ქცევის დამნახავთაც, ზიანი არ მიაყენონ. იმათ კი, რომელნიც უკვე დიდი ხანია სულიერ ღვაწლთა შორის მოსაგრეობენ, შეაგონე მოთმინედ გადაიტანონ ხოლმე ყოველგვარი საცთური, მარად დაიმდაბლებდნენ თავს, სტიროდნენ, გულმოდგინედ ლოცულობდნენ და კეთილი მაგალითი იყვნენ სხვა ძმებისათვის უფლის მცნებათა აღსრულებაში.

მღვდელმონაზონთ დამოძღვრავდე ხოლმე კეთილმოშიშებაში, მდუმარებაში, განხილვა-განსჯაში საღმრთო წერილისა,

წმიდა მოციქულთა განწესებებისა და ზეპირი გადმოცემებისა, სარწმუნოების დოგმატების ზედმიწევნით შეცნობაში, განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებაში და გულშემუსრვილობაში, და იმაშიც, რომ უდიდესი შიშით წარდგნენ წმიდა საყდრისა და წმიდა ტრაპეზის წინაშე; ასწავლე მათ, რომ ყოველი ძმისათვის მონასტრისა თავიანთი სიტყვითა თუ საქმით ყოველთვის ღვთაებრივი მარილი და ნათელი იყვნენ, და თავის თავში ატარებდნენ სიტყვას ცხოვრებისა.

თუკი ზოგჯერ კურთხეული მიზეზით აუცილებელი გახდება რისხვის გამოჩენაც უწესო ძმათა მიმართ და მათი შეგონებაც სასჯელის კვერთხით, რათა მათ მიატოვონ ბოროტი ჩვეულება, — ესეც უჯერო როდია, თუ უჩვეულო რამ ქრისტეს ეკლესიაში. ამ სიტყვის დამადასტურებელი თვით ჩვენი უფალი იესუ ქრისტეა, რომელმაც „შექმნა შოლტი საბლისაი“ და ცემით გამოასხა იერუსალიმის ტაძრიდან ურჩი იუდეველები იმისთვის, რომ მათ წმიდა სახლი თავიანთი ზეციური მ ა მ ი ს ა — განკუთვნილი ლოცვა-ვედრებისათვის, სავაჭრო ფარდულად გადაექციათ, ამასთან „დაუთხია მათ კერმაი, და ტაბლები იგი დაუმხუა“ (იოანე 2, 14—15); რამეთუ ყოველი საქმე, მოქმედებული ან ხელის შესაშლელად ბოროტისა, ანდა სულაც მის აღსახოცად, ანუ სიკეთისა და სათნოების შესაწევნად და დასაცავად — საქები საქმეა, ღმრთის სათნო-მყოფელი.

სამონასტრო ნივთები კეთილად შეინახე ვითარცა ღმრთისთვის მიძღვნილნი, რადგან სულ უმნიშვნელოსთვისაც კი მათგან თვით ღმერთს უნდა მისცე პასუხი თავის დროზე. შენს მშობლებსა და ახლობელ-ნათესავებს იმგვარადვე შეეწიე ხოლმე, როგორადაც სხვა გლახაკთა და უქონელთ შეეწევი, ანუ მხოლოდ ცხოვრებისათვის აუცილებელი რამ მიეც ხოლმე. უყურადღებოდ ნუ დასტოვებ და აუცილებლად გამოასწორე ყოველივე ის, რაც ღმერთის მცნებათა შესაბამისად არ აღსრულება და მოციქულთა კათოლიკე დადგინებებსა და წესებს ამახინჯებს, დაე თუნდ, სულ უმნიშვნელო რამ იყოს ეს. უმალ აღკვეთე ხოლმე ისეთი რამ, რაც სახარებისმიერი ცხოვრების გმობასა და უპატიო-ყოფას ემსახურება, და რაც აკნინებს სამონაზვნო ხარისხს, ანდა რაც მხოლოდ იმისთვის მოიმოქმედება, რომ სხვებს მოაჩვენონ თავი მშვიდ მონაზვნებად და ადა-

მიანთაგან ქება-დიდება მიიღონ. ამისთვის. მარადის შენს ქრისტესა და ღმერთს მიბაძე; მოშურნედ, გზნებით, მაგრამ რისხვიანი ვნების გარეშე აღუდექი წინ ყოველდღე უჯეროს ძმათა ცხოვრებაში და ყოველის ღონით დაიმარხე საღმრთო მცნებანი და წმიდა კანონები. ამასთან, ეცადე კეთილად წარმართო თითოეულის ზრახვა-ფიქრნიც, და ასე შეაგონე ხოლმე, რომ კეთილმოშიშნი იყვნენ და დიდის მოწიწებით წარდგნენ ყოველთვის წმიდა ტრაპეზის წინაშე, ტაძრის წმიდა ჭურჭელსაც შიშით და რიდით მიეახლონ. მხოლოდ სამღვდელოთ, განწმედილთ და ყველაზე კეთილმსახურ მონაზვნებს რთავენ ნებას ჩვენი ეკლესიის წმიდა მამები წმიდათა წმიდა ალაგას — საკურთხეველში შესვლისა და წმიდა ჭურჭელთან მიახლებისა, ანუ იმ ბერ-მონაზვნებს, რომელნიც ღირსეულად ეზიარებიან ხოლმე ყოვლად წმიდა საიდუმლოთ უფლისა. სხვა ძმებს კი, განსაკუთრებით კი უწესოებით მცხოვრებთ, უნდა აღუკრძალო საკურთხეველში შესვლა და წმიდა ჭურჭელთან მიახლება. კარგად უწყოდე, რომ ყოველთა მართლიად განმსჯელი ღმერთი ხშირად შესწყვეტს ხოლმე იმათ სიცოცხლეს ამქვეყნად, რომელნიც შეურაცხჰყოფენ ამ წმიდა ნივთებს; ესევითართა სისხლს, საბოლოოდ, ღმერთი შენს ხელთაგან გამოიძიებს, და პასუხსაც ცათი უშვერებისათვის შენ მოგთხოვს, იმიტომ, რომ შენ, როგორც მათს სულიერ მოძღვარსა და მამას, უგულებელგიყვია მათი საქციელი და დაგიშვია კიდეც შენდა მონდობილ საძმოში უჯერო მოძაგება ღვთაებრივისა.

ყოველივე ეს, ჩემს მიერ ზემოთ თქმული, და კიდევ მრავალი სხვაც ამის უმეტეს, შენ ზედმიწევნით უნდა უწყოდე როგორც ქრისტეს სიტყვიერი სამწყსოს მწყემსმა, და გულმოდგინედაც უნდა აღასრულებდე ყველაფერ ამას, რათა იხსნა და აცხოვნო შენდა მონდობილი ცხოვარნი. ამიტომაც, თუკი შეიგრძნობ, რომ მიგიღწევია კეთილმსახურების იმ ზომისათვის და მიგიღია იმგვარნი ნიჭნი სულიწმიდის მადლისა, რომ შენდა მოახლებული ყოველი ადამიანი განათლდება შენი ქველის — საქმეების ნათლით და აღივსება შენში გაბრწყინებული ღვთაებრივი სიბრძნითა და გონიერებით, მაშინ შეგიძლია გაბედულად, მხნედ შეუდგე ქრისტეს ცხოვართა მწყემსვას ღმრთისაგან მონიჭებული მადლიანი სიტყვით, როგორც ეს

მანამდე დაგიდე მცნებად, და გამოლალო ხოლმე ქრისტეს კრავნი მ ი ს ი მცსებების მაცხოვნებელ საძოვარზე, და აქ წინამძღრობდე მათ, ვიდრე დაიზრდებოდნენ და სულიერი ასაკის სისრულეს მიაღწევდნენ ქრისტეთი შემოსილნი; და თუ ყოველივე ამას ჯეროვნად იქმ, მაშინ უდიდეს საზღაურს მიიღებ შენი უფლის იესუ ქრისტესაგან, და შეიქნები თანამოსაყდრედ და თანამაცხოვრებლად მ ი ს ი წმიდა ანგელოზებისაც. ხოლო თუკი არა ხარ ამგვარი და არ ძალგიძს ამ დიდი საქმის ჯეროვნად აღსრულება, მაშინ უმჯობესი იქნება თავი შეიკავო მწყემსობისაგან და მთელი შენი ძალისხმევა საკუთარი თავის ხსნას მოახმარო. მაშ, შეისმინე ამ საქმეში ჩემი რჩევა, შენი მოძღვრისა, ვისაც სულით და გულით მსურს შენი ცხოვნება. რამეთუ ღმერთი ჩვენი არის ცეცხლი შემწველი და წარმხოცველი, და მ ა ს შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თარგმნა ვასილ ბურკაძემ.

ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲢᲘᲨᲐᲢᲔ

ᲬᲛ. ᲡᲕᲘᲛᲔᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲛᲠᲗᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ის, რაც საღმრთო სიყვარულის ჰიმნებში სწერია უაღრესად ამაღლებულია და ყოველგვარ გრძნობადს ზეაღმატებული. ღვთისმეტყველების სიმაღლე და განსაცვიფრებელი ცოდნის სიღრმეები კაცთა გონებისათვის გაუგებარია და მიუწვდომელი. რამეთუ იგი გაბრწყინვებულია ღვთაებრივი გამონაშუქით, თვალშეუდგამი ნათლით, რომელიც აფერმკრთალებს ადამიანურ ნააზრევს. საღმრთო სიყვარულის ჰიმნებს ჩასწვდებიან ნათელი გონებისა და ღრმა სულიერების მქონე პიროვნებები, სულიწმიდის მობერვით ამ მწვერვალების გონებით დამლაშქვრელნი, რომლებიც საოცრად საღად აზროვნებენ და ზეცად ატყორცნილნი ღვთაებრივის წიაღში განიშვებენ. ამიტომ, მე, ვინც საკადრის პატივს მივაგებ ჩემს მოძღვარს, სწორედ დროული და აუცილებელი მგონია სწორ გზაზე დავაყენო ისინი, რომლებიც ცდილობენ გონების თვალით ჩასწვდნენ ღვთაებრივი ჰიმნების საიდუმლოებას. რადგან ის, ვინც მოუმზადებლად ეზიარება ღვთაებრივსა და ზეგრძნობადს, სულიწმინდის მადლმოსილების გაუცნობიერებლად და საღმრთო საგანთა შესახებ უწვრთნელი გონებით, სულს ვერარას არგებს, პირიქით, დაიმახინჯებს.

მაშასადამე, ვინც ესწრაფვის ღვთისმეტყველთა ნაწერებს ჩაუჯდეს და ღვთის შემეცნების დაუოკებელი წყურვილი კლავს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, სულითა და ხორცით დაუტეოს ეს სოფელი, ყოველივე ამქვეყნიური, წარმავალი და ფუჭი სურვილები თუ მისწრაფებები, სანაცვლოდ, დაუცხრო-

მელი ღვწითა და იესო ქრესტეს მცნებათა აღსრულებით მტკიცე საძირკველი ჩაჰყაროს, რწმენის კლდეზე დააფუძნოს და თვალისმომჭრელი სრა-სასახლე წამომართოს სათნოებათა, რათა განმართლდეს.

ოდეს ხრწნად კრეტსაბმელს ჩამოიცილებს ავხორცობის ბადეში გახლართული ადამიანი, სიმრთელე-სიჯანსაღეს დაიბრუნებს და ქრისტეს შეიმოსავს, რასაც რასაკვირველია, მხოლოდ სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე თუ მიაღწევს, და მიეახლება სიძეს სრულყოფილებისას ქრისტეს ასაკში. მართებს, აგრეთვე განიწმინდოს, სულიწმიდის შუქით გაბრწყინდეს და განათლდეს. უწინარეს ყოვლისა, სუფთა გონების თვალით მიმოიხილოს საკუთარი არაწმიდებანი, რაც სიტყვის მიღმური სამყაროს შეცნობისა და მის გამოუთქმელ მოძრაობათა წვდომის საწინდარია. შემდგომ, ამაღლდეს თვალხილულ, ცვალებადსა და წარმავალ გარესამყაროზე, ანუ ხორციელისა და გრძნობადის ტყვეობიდან დაიხსნას. აი, მაშინ ბაგეებზე დაეფინება სულიწმიდის მადლი, ამ ნათელს დაეწაფება და განწმენდისდა შესაბამისად, უკვე დიდებისმეტყველებს მასში დამკვიდრებულ, გარდამეტებულ უწმინდეს სახილველზე.

ასე და ამგვარად, ადამიანის ყოვლისმჭვრეტელი გონი ქედს იდრეკს იმის წინაშე, რაც ჰიმნებში სწერია. მხედველობაში მაქვს უნეტარესი და სამგზის ნეტარი წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის უაღმატებულესი და უღვთისმეტყველესი გონების ნაყოფი. ამიტომ ვინც ქვენა გრძნობების ტყვეობაში იმყოფება, მიწიერ გულისთქმებსა და ყოფით საგნებზე ფიქრში დანთქმულა, ცრუ წუთისოფლის მარწუხებში მოქცეული გონებაშერყვნილი და ბილწია, ვაფრთხილებთ, არ გაბედოს და არ წაიკითხოს, რაც ჰიმნებში სწერია. რამეთუ მისი დალიბრული მზერა მზის სხივთა თვალისმომჭრელ ციაგს ვერ გაუძლებს და თვალისჩინიც სამუდამოდ წაერთმის. ამიტომ, თავდაპირველად საჭიროა სიმძიმილისა და ბილწ გულისთქმათაგან განიწმინდოს და მერმე მიეახლოს უბიწოსა და მიუწვდომელს, მანათობელი მზის დაუსაბამობას შეერწყას და პირისპირ მიეახლოს უფალს და ესაუბროს, ვითარცა არსებას, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანური თვალთახედვით უხილა-

ვია. ამასთანავე, თავად გარდაიქმნას ეზედ სიმართლისად, გასხივოსნდეს მისი გონებრივი და მოაზროვნე სხივების გამონაშუქით. რამეთუ სულიწმიდის სიღრმეებში წვდომის უნარი მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, რომლებიც გაცისკროვნებულან უმწვერვალესი განუხრწნელი ღვთაებრივი ნათლის შუქით და სულის მაგიერ მოუხვეჭავთ სრულიად აღურევნელი გონება. წინაღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია და გაცილებით სასარგებლო უარი თქვა ზემოხსენებულ სიკეთეებზე და კვლავ გულს ჰმონებდე.

ამრიგად, ვინც ღირს-ქმნილა ღვთაებრივი წმიდა მამის სიტყვათა არსისა და სიღრმის წვდომისა, მასვე ხამს წმიდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის ნეტარება და განღმრთობა განიცადოს. რამეთუ სხეულის, ხორცისა და ვნების ტყვეობიდან სულიწმიდით აღმოყვანებული და უფალთან ზეცად ატყორცნილი წმინდა სიმეონი სასწაულებრივ ღირს-იქმნა ღვთაებრივი გამოცხადებისა, ღვთაებრივი ნათლით განიმსჭვალა და აღივსო, ღვთის სიყვარულით გულანთებული და განაწონები სხვადასხვა სახელდებით უხმობდა და ესავდა უფალს, დიდი დიონისე არეოპაგელის მიბაძვითა და მის მსგავსადვე მიწას მომწყდარი. დიონისე არეოპაგელზეც მსგავსი ზემოქმედება იქონია საღმრთო ნათელმა. ეს ბრძენთა-ბრძენი წმინდა მამა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის დარად აქებდა და დიდებისმეტყველებდა უფალს, „მიზეზსა ყოველთასა და მრავალსახელ-ჰყოფდა მას, ვითარცა სახიერსა, ვითარცა კეთილსა, ვითარცა ბრძენსა, ვითარცა საყუარელსა, ვითარცა ღმერთსა ღმერთთასა, ვითარცა უფალსა უფალისასა, ვითარცა წმიდასა წმიდათასა, ვითარცა საუკუნესა, ვითარცა არსსა, ვითარცა მიზეზსა საუკუნეთასა; ვითარცა მომცემელსა ცხოვრებისასა, ვითარცა სიბრძნესა, ვითარცა გონებასა, ვითარცა სიტყუასა, ვითარცა მეცნიერებასა, ვითარცა წინაადთვე მქონებელსა ყოველთავე საუნჯეთა მეცნიერებისათა, ვითარცა ძალსა, ვითარცა ძლიერსა, ვითარცა მეუფესა მეუფეთასა, ვითარცა ძუელსა დღეთასა, ვითარცა დაუბერებელსა და დაუხსნელსა, ვითარცა ცხოვრებასა, ვითარცა სიმართლესა, ვითარცა სიწმიდესა, ვითარცა გამოხსნასა, ვითარცა ზეშთააღმატებულსა ყოველთა სიდიდეთასა და ვითარცა ნიავ-წულილსა შინასა. ამას თანა გო-

ნებათაცა შინა იტყჳან ყოფასა მისსა და სულთაცა და ხორცთჳ
და ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და თანად თჳთ მასვე თავსა
შინა თჳსსა, სოფელსა შინად, სოფლისა გარედ, სოფლისა ზეშ-
თად, ზეშთაცად, ზეშთაარსებისად, მზედ, ვარსკვლავად, ცეცხ-
ლად, წყლად, ქარად, ცუარად, ღრუბლად, ლოდად და კლდედ,
ყოვლად-ყოვლად და არცა ერთად მათ ყოველთაგანად" (დი-
ონისე არეოპაგელი, ეფრემ მცირეს თარგმანი, საღმრთოთა სა-
ხელთათჳს, ა, 6, გვ. 12—13).

ამრიგად, საღმრთო საკითხებში დიდად განსწავლული დი-
დი დიონისე არეოპაგელი თავის თხზულებაში „საღმრთოთა
სახელთათჳს" სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის დარად მსჯე-
ლობს და თითქოსდა იმეორებს მის ნათქვამს ღვთის რაობაზე:
„ამას ყოველთა მიზეზსა და ზეშთა ყოველთა მყოფსა უსა-
ხელობაჲცა შეეტყუების და სახელნიცა ყოველთა არსთანი,
რაჲთა განცხადებულ იქმნეს ყოველთა მეუფებაჲ მისი და მის-
სა მიმართ და მისგან ყოფაჲ ყოვლისაჲ და მის შორის, ვითარ-
ცა მიზეზსა, თავსა შორის თჳსსა შემომკრებელისა დასაბამსჳ
და აღსასრულსა ყოველთა დაბადებულთასა და „იგი იყოს
ყოველთა შორის", (I კორ. 15, 28) სიტყვსაებრ წმიდათა წე-
რილთაჲსა". მცირეოდენი გამოტოვების შემდეგ ვკითხულობთ:
„ყოველნი არსნი მასვე და ერთსა შორის არიან ყოვლისა გან-
გებისა მიზეზსა სახიერებათა მისსა. ამისთჳს ყოველთა არსთა-
გან ჯეროვნად შეწყობილ არს ქებაჲ და სახელ-დებაჲ მისი.
რამეთუ არა ხოლო ესე სახელები იქადაგების ღმრთისმეტყუ-
ელთა მიერ ღმრთისათჳს კერძოთაგან, ანუ ყოვლით კერძო-
თაგან წინაგანგებულთა, ანუ წინაგანგებადთა მისთა, არამედ
არს ოდესმე, რომელ საღმრთოთაცა რაჲთაგანმე ოცნებათა
დიდთა შინასამეუფოთა, ანუ სხუად სადმე მესაიდუმლოეთა,
გინა წინაჲსწარმეტყუელთა და გამობრწყინვებულთაგან სხუ-
ათა და სხუათა მიზეზთა და ძალთა სახელ-სდებენ ზეშთაბრწყინ-
ვალებისასა მას მრავალ-სახელსა და ყოველთა სახელთა უზეშ-
თაესსა სახიერებასა და ხატთა რათმე და სახეთა კაცობრივთა
გინა ცეცხლებრივთა ანუ ილეკტროანთა დასდებენ მისთჳს.
და უგალობენ თუალთა მისთა და ყურთა, ვარჯთა და პირსა,
ხელთა და ბეჭთსაშუვალსა, ფრთეთა და მკლავთა, ზურგით

კერძოსა და ფერხთა. ამას თანა გჳრგჳნთა და საყდართა, სასუმელთა და ტაკუკთა იტყჳან მისთა და სხუათა საიდუმლოჲს სახეთა შემოიხუმენ". (დიონისე არეოპაგელი, დასახელებული გამოცემა, ა, 7—8).

წმინდა სვიმეონ ახალმა ღვთისმეტყველმა სულმთლად განიწმინდა სული, რაზეც ხმამაღალ საყვირებზე მეტად ღაღადებენ საღმრთო სიყვარულის ჰიმნები. იგი ღირს-იქმნა უდიდესი გამოცხადებისა, ენით უთქმელი ჭვრეტისა, საიდუმლო საუბრებისა, ღვთაებრივ ხმათა სმენისა, რაც სასწაულებრივი სახით გარდამოხდა მასზედ. მოკლედ რომ ვთქვათ, მოციქულებრივი მადლი მიიღო, სულიწმინდის ღვთაებრივი ცეცხლით აღინთო. ამიტომ არ ისურვა ბოლომდე ჩასწვდომოდა საერო სწავლებას და მჭევრმეტყველებით, საღმრთო სახელდებათა სიუხვითა და განჯის უნარით გარდაამეტა ყველა მჭევრმეტყველსა და ბრძენს. სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა, ვითარცა ჭეშმარიტად ბრძენი, საღმრთო საკითხებისა და დოგმატების ზედმიწევნით მცოდნე ღვთისმეტყველი. ეს არცაა გასაკვირი, „რამეთუ მიბრძანე" — ბრძენი სოლომონის თქმით — „მისწუთების და დაეტევის ყოველთა მიერ სიწმიდით, რამეთუ ორთქლ არს იგი ღმრთისა ძლიერისა და ნაწილი ყოვლისა მპყრობელისა ერთ არს და ყოველივე მას ძალ-უც. და ჰგიეს მას შინა და ყოველსავე განაახლებს ნათესავითი ნათესავად. სულთა ღირსთა მიეცემის მეგობართა ღმრთისათა და წინასწარმეტყუელთა განჰმზადებს. არარა იგი ეგრეთ უყუარს ღმერთსა, ვითარ-იგი, რომელნი სიბრძნესა შინა ყოფილ არიან (სიბრძნე სოლომ. 7, 24—25, 27—28).

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სიბრძნისადმი მიდრეკილმა წმინდა სიმეონმა შეიყვარა სიბრძნის სიკეთე, სოლომონისაებრ, უდიდესი ძალისხმევის საფასურად მოიხვეჭა, მოიმუშაკა, დაიუნჯა და მერმე, მოპოვებული განამრავლა ცრემლებითა და ღწვით. ამიტომაც მიენიჭა გაგების უნარი, რაც ღრმა რწმენით მიიღო და გარდამოვიდა კიდეც მასზედ სული სიბრძნისა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში განუშორებლად ჰგიებდა მასთან ხელთუქმნელი ნათელი. ამით კი დაიმკვიდრა საუკუნო ცხოვრების ყოველი სიკეთე, აღურაცხელი სიმდიდრე სიბრძნისა და ცოდნისა. მართლად, უზაკველად განისწავლა ენით-

უთქმელ საღმრთო საიდუმლოებებში და უშურველად აუწყა ყველა ჰიმნების მეოხებით, რითაც ადამიანებს სულიერი სიხარული და სარგებლობა მოუტანა. იგი როდი მიებაძა უქკუო მონას, ღვთივბოძებული ტალანტი რომ დაფლა, არამედ ვითარცა გონიერი ეკონომოსი, თანახმად წმინდა წერილისა, კეთილგონივრულად მოიქცა და ყოველგვარ სიმდიდრესა და განცხრომას ღმრთივმიმადლებული დაულეველი საგანძური ამჯობინა. „უზაკველად ვისწავლე", ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი „და უშურველად გავსცემ, როდი დავმალავ მის სიმდიდრეს" (სიბრძნე სოლომ. 7, 13).

ამიტომ ვერცხლივით უბზინავს ენა, სიმართლით აღვსილი აქვს სული, უმწიკვლო ბაგეთაგან გადმოდინდება ამაღლებული სიტყვები, ხორხიდან ღმრთივკურთხეული სხივები ბრწყინავენ და გამოუთქმელი ღვთაებრივი სიბრძნე გადმოსჩქეფს. ეს ყოველივე იქმნა წმინდა სიმეონის უდიდესი სიბრძნისა და სიწმინდის წყალობით, „რამეთუ პირი ბრძენთა", — იტყვის სოლომონ ბრძენი, — „იწურთიდეს სიბრძნესა; გულსა შინა კეთილსა განისუენოს სიბრძნემან, ხოლო გულსა შინა უგუნურთასა ვერ საცნაურ იყოს" (იგავთა 11, 2; 14, 33). ჭეშმარიტი ღვთაებრივი სიბრძნის მფლობელი განუწყვეტელ გულისშემუსრვილებაში იყო. ხოლო ღვთაებრივი სიბრძნე შეიცნობა, როგორც ცნობილია, მხოლოდ შემუსრვილი გულით და არა ამქვეყნიური სიბრძნით. მას ჭეშმარიტად ასულდგმულებდა საღმრთო ნათელი, ლამპარივით უნათებდა გონებას და სავსებით ნათლად გამოთქვამდა და წერდა იმას, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა. „ვამბობ, რასაც თვალები ხედავს" — ამბობს კიდეც ჰიმნებში. ამბობს ამას, და ღმერთს ესავს, თვალხილულ საგანთაგან უაღმატებულესსა და ყოველისმომცველს. ვითარცა საღვთისმეტყველო საკითხებში დიდად განსწავლული დიონისე არეოპაგელი იტყვის: „გარნა არავე ყოვლად უზიარებელ არს სახიერებაჲ მისი არცა ერთისა ვისთჳს არსთაგანისა, არამედ რომელმან იგი თავსა შორის თჳსსა მდგომი ზეშთაარსებისა დაამყარა შარავანდედი თითოეულისა არსთაგანსა შემსგავსებულითა მისითა ბრწყინვალებითა, სახიერების შუენიერებით გამოუჩნდების; და დასატევნელითა მით და ხედვითა და ზიარებითა და მსგავსებითა თა-

ვისისა თჳსისა მიმართ მიუწოდს წმიდათა გონებათა, რომელთა უწყოდის, ვითარმედ ჯეროვნად და დიდად შუენიერებით მოუხდებიან მას; (დიონისე არეოპაგელი, ტ. I, § II).

აშგვარად, წინამორბედ ღვთისმეტყველთა კვალდაკვალ წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი არ გამოიძიებს გამოწვლილვით თავის ჰიმნებსა თუ მოკრძალებულ ნააზრევში იმას, რაც ღმერთშია დაფარული, და რაც კაცობრივი გონებისა თუ გრძნობისათვის მიუწვდომელია. დიდი დიონისე არაოპაგელიც ასე ახასიათებს ღვთისმეტყველს, რომელიც საღმრთო საიდუმლოებებს „გამოუკვლეველად", კრძალვით, „წმინდა გონებით" და „გამოუთქმელობასა მისსა ყოვლად ბრძნითა დუმილითა პატივ-სცემს". „გაბრწყინვებული და განათლებული მათ მიერ ღმერთ-მთავრობითითა მით გალობითა ზეშთასოფლისა" ბრწყინავს და „სამღვდელოთა მათ ქების-მეტყუელებათა მიერ განწესებული მხედველ-იქმნნა ნათელსა ღმერთ-მთავრობისა მიერ ზომიერად მონიჭებულსა; და უგალობს კეთილმომცემელსა მას დასაბამსა ყოვლისავე დიდებულისა ნათელ-საჩინოებისასა". (დიონისე არეოპაგელი, თავი I, § 3).

ასეთია ზოგადად უძველესი წინარესახე სიბრძნის საფუძველთა საფუძველისა. რამეთუ დასაბამითგან სულიწმიდის ზეგარდმო მადლით ცხებულ კაცთა მოდგმას მამა-პაპეული სიბრძნის სიყვარული სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. ამიტომ საღმრთო სიყვარულის ჰიმნები და სხვადასხვაგვარი წყობილსიტყვაობაც ტრფიალების ცეცხლით აღაგზნებდა მათ გონებას. სწორედ პირველყოფილი სახით ევლინებოდა იგი პოეტებს, რომლებიც თხზავდნენ ოდებს, ჰიმნებსა თუ საღმრთო სიმღერებს. ისინი ჩვეულებისამებრ, შემდგომ ხდებოდნენ ასეთები და სიბრძნით აღწევდნენ ამას, არა გონების ვარჯიშითა და მეცნიერებაში საფუძვლიანი განსწავლულობის წყალობით, არამედ სიბრძნისმოყვარეობით, რამელიც გამოწვლილვით იქვლევს სულის არსს უმაღლესი მოსაგრეობისა და სათნოებათა მოხვეჭის საფასურად. ვისაც ეჭვი შეეპარება ჩემს ნათქვამში დაე, ფილონ იუდეველისადმი მიმართულ საბუთს „მჭვრეტელობითი ცხოვრებისათვის ანუ მლოცველთათვის" გაეცნოს და მაშინ დარწმუნდება ჩემი სიტყვების სრულ ჭეშმარიტებაში: „ამგვარად, ისინი ჭვრეტენ მხოლოდ ამაღლებულ საგნებს

წმინდა გონებით დაკვირვებით, არამედ ამა თუ იმ ლექსის, სიმღერისა თუ ჰიმნის მელოდიების აგების პრინციპულად საკრალურ რიცხვებს იყენებენ".

ამგვარად, წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის საღმრთო სახელდებების ტკბილხმოვანებას შეესაბამება დიდი დიონისეს სიტყვები დაფარულის შესახებ მიძღვნილ ღვთაებრივ ტრაქტატში. მაგრამ ღვთისმეტყველთა მიერ აღვლენილ საღმრთო საგალობლებში გამოყენებულ თითოეულ სახელდებაში არის მცდელობა გამოწვლილვით იქნეს გამოკვლეული და ნათელი მოეფინოს ღვთაებრივის ბუნებას, რაც, რასაკვირველია, უდიდესი სულიერი ძალისხმევისა და საღმრთო წერილის სუფთა გონებით გასიგრძეგანების გარეშე წარმოუდგენელია. კვლავ დიდი დიონისე არეოპაგელი დაგვემოწმება, რომელიც აი, რას დასძენს ზემოთნათქვამის სასარგებლოდ: „ამას თანა შეეართებიან ჩუენნიცა ესე ღმრთისმხილველნი ანგელოზთ-მსგავსნი გონებანი რაოდენ დასატევნელ არს (ე. ი. განღმრთობილ გონებას აზრისგან დაცლისთანავე ისეთივე ერთობა აქვს საღმრთო ნათელთან, როგორც ანგელოსებს.), ვინაჲთგან ყოვლისავე მოქმედებისა საცნაურისა დაცხრომაჲ ესე-ვითარი რაჲმე იქმნების, რომელ არს განღმრთობილთა გონებითა შეერთებაჲ ნათელსა მას ზეშთაღმერთთაჲსა. და ესრეთ უგალობენ მას უსაკუთრესად ყოველთავე არსთა ზეშთა-აღყვანე-ბითა, რამეთუ ესე გამოუბრწყინვა მათ ჭეშმარიტებით ზეშთაბუნებისად მისსა მიმართმან ნეტარებით შეერთებამან, ვითარმედ ყოველთავე არსთა მიზეზ არს, ხოლო თჳთ არცა ერთი მათგანი, ვინაჲთგან მათ ყოველთა ზეშთაარსებისა ამაღლებულ არს (დიონისე არეოპაგელი, § ა, 5. ეფრემ მცირეს თარგმანი).

ღვთაებრივმა წმინდა მამამ სიმეონმა, ვითარცა ბრძენთა-ბრძენმა ყოველივე უწყოდა და უგალობდა ღვთაებრივს, ბუნებას ზეშთაბუნებრივს, გამოუთქმელსა და „ყოველსავე სახელსა, რომელ სახელ-დებულ არს" (ეფეს. მიმართ. 1, 21) ყოველივეს მიზეზად. იგი ღვთისმეტყველებდა უზეშთაესზე, ვითარცა უსახელოდქმნილზე. ერთის მხრივ, სხვადასხვა საღვთისმეტყველო სწავლებიდან აიღო, ის, რაც ნამდვილად თხზულების თემა იქნებოდა, საჭიროებისამებრ გადაამუშავა და ბრძნულ საღვთისმეტყველო სახელდებათა შემდგომ განვი-

თარებაში მიხი წვლილი ფასდაუდებელია. მეორეს მხრივ, ღვთისმეტყველ გონებაში გატარებულ ღვთივჩენილ და ჭვრეტით ხატებს მოციქულის ღვთაებრივი გადმოცემის ეკვმიუტანლობით დაურთო „წმიდათაწმიდა“ და უხინჯოდ ჭვრეტდა რა თავის მიმდევართა ღვთაებრივ ხილვებს, მდგომარეობის, სისუსტისა და ღირსების შესაბამისად მოძღვრავდა წმინდა საღვთისმეტყველო საკითხებში და თვით წმინდანთა სრულყოფილებას აზიარებდა. „ხოლო უგუნურებით მოცინარნი და მბასრობელნი მათნი განვხადნეთ; უფროჲსღა თჳთ იგინიცა, უკეთუ ნამდჳლვე არიანღა, ვითარცა ესე-ვითარნი რაჲმე კაცნი, სიტყუათ ამათ ზედა ღმრთის მბრძოლებისაგან ვიკსნნეთ (დიონისე არეოპაგელი, თავი 3, § 8). თუმცაღა ამგვარ განდგომას იგი შთააგონებდა საკუთარ თავს არა უმრავლესობის გამო, რამეთუ ჯერ ისევ ცოცხალთა შორის იმყოფებოდა და სწამდა დიდი დიონისე არეოპაგელის სიტყვებისა, რომელიც სწერს ტიმოთეს: „გარნა იხილე, რაჲთა არა საროკველ ჰყენე წმინდანი წმინდათანი, არამედ შეიკრძალე და საიდუმლოთა ღმრთისათა საცნაურებითა და უხილავებითა ცნობითა პატივსცე, რაჟამს მიუღებელ და განუხრწნელად დაიცვნე უსრულოაგან და წმინდანი ხოლო იზიარნე წმიდათა, წმიდითა და ᲘᲚᲦᲔᲚᲨᲣᲔᲜᲘᲔᲠᲘᲗᲐ გამობრწყინვებითა. რამეთუ ესრეთ მოუცემიეს ესე ღმრთისმეტყუელებასა ჩუენ ღმრთისმგალობელთა ამათდა („საეკლესიოჲთა მღვდელ-მთავრობისჳს“ (იქვე, თავი ᲐᲐ. § I, ეფრემ მცირეს თარგმანი) და ჩვენც, წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მიერ დამოძღვრილთ, გასიგრძეგანებული გვაქვს სიმაღლე, სიღრმე და უსაზღვროება მისი სიბრძნისა. ამიტომ, ზემონათქვამისა და წინამდებარე სიტყვის საფუძველზე უგულვებელვყოფთ სრულიად უგუნურთა და საღმრთო საიდუმლოებებს არათანაზიარქმნილთ, არ გვსურს გავაუფასუროთ საღმრთო საკითხები და მხოლოდ ნათლად წარმოვაჩენთ იმათ წინაშე, ვისაც მოუპოვებიათ წმინდა სასმენელნი ღწვითა და გარჯით, ღვთაებრივზე ფიქრში ათენებენ და აღამებენ, ერთი სიტყვით წმინდანები არიან ცხოვრებითა და უმაღლესი მოღვაწეობით, რასაც თვით ღვთაებრივი მოციქული პავლეც კი შეჰნატრის და ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე-

ში კიდეც წერს: „ესე შეჰვედრე მორწმუნეთა კაცთა, რომელნი შემძლებელ-იყუჩნენ სხჳათაცა სწავლად (II ტიმ. 2, 2).

ამრიგად, სიბრძნის სიყვარულით მოღვაწეობიდან ჭვრეტამდე ამაღლებულნი, საღვთისმეტყველო აზრებში ჩაღრმავებულნი დაე, რწმენით ჩაუკვირდნენ სულის ამგვარ მოძრაობებს და მე ღრმად ვარ დარწმუნებული სამგზის იგემებენ უდიდეს მადლს. სხვები კი, რომელთა გონებაც გართულია ათასგვარ ყოფით წვრილმანზე ფიქრში, წყვდიადში დაბორიალობენ და არ უწყიან მოღვაწეობის, ჭვრეტის, საღვთო საიდუმლო გამოცხადებათა ფასი, უვიცნი არიან და დაე, თავი შეიკავონ საღვთო სიყვარულის ჰიმნების წაკითხვისაგან. რამეთუ მათი შემწიკვლებული გონება ამაღლებულ სიტყვებსა და ღვთაებრივ გამოცხადებებს ვერ ჩასწვდება, საღვთო საკითხებს გააუბრალოებს, ფეხქვეშ გათელავს და შებილწავს, ვერც თვალს მიაწვდენს თვალშეუდგამ სიმაღლეებს. ადამიანის უკვდავი და მოაზროვნე სული ანგელოსურ ცხოვრებას ვერ შეძლებს თუ ღვთაებრივი ძალის შეწევნით არ განიწმინდა საბოლოოდ. თანახმად მღვდელმსახურების ზედმიწევნით მცოდნე დიდი დიონისე არეოპაგელისა ეს აზრი ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „სულისაცა მოძრავობაჲ მომრგულებითი არს თავისავე მომართ თჳსისა შემომავლობაჲ გარეგანთაგან და საცნაურთა ძალთა მისთა ერთ-სახეობითი იგი შემოკრებაჲ, ვითარცა სიმრგულისა რაჲსაგანმე უცთომელობისა მომნიჭებელი მისი და მრავალთა მათგან გარემოებათა მომაქცეველი და პირველად თავისა თჳსისა მომართ შემომკრებელი. (თავი 4, § 9). „რამეთუ მათ მიერ, ვითარცა კეთილთა წინამძღუართა, ყოველთა კეთილთა კეთილ-დასაბამისა მიმართ აღიყვანებიან და მის მიერ აღმომდინარეთა ბრწყინვალებათა ძალისაებრ თჳსისა მიიღებენ და სახიერების სახეთა ნიჭთა, რაოდენ ძალ-უც, შეიწყნარებენ“. (თავი 4, § 2).

ამიტომ სამართლიანად ვერ ვრაცხ თუკი წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის უაღმატებულესი ჭვრეტა შეიბღალება და საღვთისმეტყველო სიყვარული მისწვდება ურწმუნო, ეჭვიან კაცთა სმენას, დახშულს შურითა და უნდობლობით, ან უკეთ რომ გთქვათ, ურწმუნოების მრუმე წყვდიადით მოცულ ბიწიან სულებს, რომელნიც ფეხქვეშ გადაუთქორავთ ვირები-

სა და ჯორების ჯოგს, მორიელებსა და გველებს დაუგესლავთ, მომაკვდინებელ ცოდვებსა და არაწმინდა სულთა ტყვეობაში იმყოფებიან და ამიტომ ვამბობ, რომ წმინდა საკითხებს არ უნდა მიეკაროს ყველა, ძაღლი და ღორი. მათზე ვერ გადმოვა ეს მადლი, ვითარცა წინასწარმეტყველება არ არის ყველას წილხვედრი. ამიტომ მათ ფეხებთან მარგალიტები არ უნდა დავყაროთ.

ის ვინც უმწიკვლოებით სიწმინდის უმაღლეს მწვერვალზე ამაღლდა ენით უთქმელი ღვთაებრივ ნეტარებას განიცდის საღმრთო სიყვარულის ჰიმნების წაკითხვისთანავე, საღმრთო ნათელი გარემოიცავს, სიბრძნით აღვსილსა და ამაღლებულს ღვთაებრივი ცეცხლის შარავანდედი დაეფინება.

ოდეს ამგვარ სიმაღლეს შესწვდა ღვთაებრივი და უბიწო სული წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა, ღირსიქმნა ღვთისჩენისა. მესათხევლე-მოციქულთა საღმრთო ხელდასხმას თანაზიარქმნილმა ნათელი და ელვარე გონების მეოხებით ამოიცნო ყოველი საგნის განმსჭვალავი სული, თავის თავში შეიერთა განმართლებულთა სულებიც, რომლებიც შესწვდნენ იგივე სიმაღლეს და გაბრწყინდა მთელი ცხოველმყოფელობით, რაზეც მისივე ჰიმნები ღაღადებენ. ღვთის სიყვარული განცხადა მათში, უბიწო სული განიღმრთო, არსით წმინდას შეუერთდა და წინამორბედ წმინდანებს დაუკავშირდა, ვითარცა ნათელს — ნათელი, ცეცხლს — ცეცხლი, მზეს — მზის სხივი, ვითარცა მეორე — პირველს, ხატი და მსგავსება თავის პირველსახესა და თავად ჭეშმარიტებას. მის სულს უნდა ვუგალობდეთ და ვაქებდეთ იმგვარი საგალობლებითა და შესხმით, ყოველგვარ სადიდებელს რომ გარდაამეტებს, რაც კი ოდესმე შეუქმნია და სმენია ადამიანთა მოდგმას. დაე, დამარცხდეს შური, სიკეთის მოქიშპე მარადჟამს და ღირს წმინდა სიმეონს ვუგალობდეთ და დიდებისმეტყველებდეთ ჰიმნებითა და სადიდებლებით.

ჩვენ გვერდი ავუქციეთ შეგნებულად ყველა ხერხს, რაც წმინდანების შესაქებად გამოუყენებიათ დღემდე. ეს გამოცხადებაცა და ღაღადისიც ხომ ღვთაებრივი ხმაა, ამსოფლიურ ცნებათა ტყვეობიდან დახსნილი ყოვლად უმწიკვლო, განღმრთობილი სულისა. ყველა ადამიანური სიკეთე, თუნდაც უდი-

დესი ძალისხმევით ჩადენილი ადამიანებისგან შექებული, ღვთისთვისაც კი სათნო, ღვთაებრივი სიბრძნისა და ცოდნის ფონზე შესაძლოა დაჩიავდეს და გაფერმკრთალდეს.

ასე რომ, ჩვენი მოძღვარი ღვთაებრივი სიყვარულის ჰიმნებს თავაზობს უშურველთ, რომელთაც არ იციან მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა, ურწმუნოება არ უღრღნით გულ-გვამს. ამიტომ ვინც ხელში აიღებს ჰიმნებს, უწინარეს ყოვლისა, ჯერ უნდა განიწმინდოს, ამაღლდეს შურსა და ცილისწამებაზე, რათა ადიდებდეს მთელი ძალისხმევით მას, ვინც თავად განადიდებდა უფალს საქმით, სიტყვით და ჭვრეტით, ვისი სულიც და სხეულიც განაბრწყინვა ყოველ სახელზე აღმატებულმა სახელდებით. ხოლო ვინც ვერ იგემა სულიერი მადლი და ღვთაებრივი გაცისკროვნება მისივე სიბრიყვის წყალობით, ხელს ნუ ახლებს საღმრთო სიყვარულის ჰიმნებს, რამეთუ კითხვის ყამს, მერწმუნეთ, გარდა მიმოწვლილველობისა სხვა განცდა არ დაეუფლება.

ძველბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა.

წმ. გრიგოლ პალამა

იესო ქრისტეს წმინდა და საიდუმლო ზიარებისათვის
(სიტყვა თქმული ქრისტეშობის დღესასწაულზე)

სიტყვა, სულების მაცხოვნებელი თესლს შეიძლება შევადაროთ. მიწის მუშაკნი ჯერ ნიადაგს აფხვიერებენ, შემდეგ თესლს აგდებენ ხნულში და ჩვენც, თავდაპირველად, სული უნდა განვიწმინდოთ სიბილწეთაგან, აღვმაღლდეთ და განვემზადოთ ზეციური თესლის მისაღებად, ანუ ღვთის სიტყვის მოსასმენად. მიწა უსულო და უგრძნობი რამაა, თავისით ვერც გაფხვიერდება და ვერც თესლს აღმოაცენებს, თუ ადამიანებმა არ იშრომეს და არ შეამზადეს საამისოდ. ადამიანი კი თავად წარმოადგენს განსულიერებულ და გონიერ ნიადაგს, რომელიც მონანიების გზით უნდა გაფხვიერდეს და ციური თესლი მერმე ჩაეთესოს ხნულში. შევეცდები დავაზუსტო რისი თქმაც მსურს. სულის განწმენდის საწინდარი სინანულია; იოანე ნათლისმცემლის მიერ ნათლისღება სხვა არაფერია თუ არა ცოდვათა აღიარება, ვითარცა სახარებაში სწერია: „ნაიელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან, და აღუარებდეს ცოდჟათა მათთა“ (მათ. 3, 5). მაშასადამე, ცოდვათა აღიარება დასაბამია სულის შემკობა-გამშვენიერებისა, რაც გულისხმობს, რომ მონანიების შედეგად ადამიანმა სული შეამზადა მაცხოვნებელი თესლის — საღვთო სიტყვის მისაღებად, რომელიც ადამიანთა სულებს მხსნელად ევლინება. როგორც მიწის მუშაკნი მარგლავენ და მიწის წიაღიდან გლეჯენ სარეველა ბალახებს, რათა თესლი გაღვივდეს და ნერგი აღმოცენდეს, ასევე სულიერი გამარგვლა ხდება მონანიების ჟამს. აღსარება ძირფესვიანად თხრის და გლეჯს გულიდან დაფარულ და ბილწ

გულისთქმებს, სულს ამზადებს წმიდათაწმიდა თესლის მისაღებად, რათა განაყოფიერდეს და სათნოებები აღმოაცენოს. როგორც ადამის შეცოდების შემდგომ დედამიწა ნარ-ეკლითა და შხამიანი ბალახებით დაიფარა, ასევე, ადამიანის გული აღივსო სამარცხვინო და ბილწ გულისთქმებითა თუ ვნებებით, რაც გახდა დასაბამი ადამიანთა უთავბოლო შეცოდებებისა.

ამიტომ ძმანო, აუცილებელია თითოეულმა თქვენგანმა სულიერი მოძღვარი აირჩიოს, რწმენითა და ნდობით აღიჭურვოს, დაემორჩილოს, გაუმხილოს მავნე ჩვევები და ვნებები, გულითადად მიიღოს მისი სულიერი მკურნალობა, რაც თანდათანობით აღმოფხვრის სხეულში ფესვგადგმულ სიბილწესა და უზნეობას, ნასაზრდოებს ვნებათაღელვითა და თავაშვებული ცხოვრებით. ყურნი მიაპყარით სულიერ სწავლებას, შეისისხლხორცეთ თქვენი სულებისათვის სასარგებლო ქადაგება და ჩვენის ლოცვა-კურთხევითა და შენდობით თანაზიარექმენით იესო ქრისტეს, მას, ვინც უსაზღვრო კაცთმოყვარეობის გამოისობით ციდან დაეშვა, ხორცნი შეისხნა და განკაცდა, რათა ადამიანებს, მის მსმენელებს გულში ცხოვრების სიტყვა, მაცხოვნებელი თესლი ჩაუნერგოს. შეინანეთ, ძმანო, რამეთუ ვინც თუნდ მცირედ სინანულს არ აჩვენებს, არც იესო ქრისტე შეიწყნარებს და მეოხექმნება.

უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა ქრისტიანმა გულმოდგინედ უნდა შეინახოს ორმოცდღიანი მარხვა, ღმერთშემოსილი მამების მიერ დადგენილი ხორცისა და სულის განსაწმენდად, რასაც ყოველწლიურად მოსდევს უფლის შობის დღესასწაული. ამ დღეს ყოველი ქრისტიანი ჩვეულებისამებრ ეზიარება ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმინდა ხორცსა და სისხლს და ღვთაებრივი სახით ერთ-სულ და ერთ-ხორც ექმნება უფალს. სახარება არა ერთგზის შეგახსენებთ, რომ აღსარებისა და ღრმა სინანულის გარეშე ადამიანი ვერ ღირს-იქმნება მიღებად საღმრთო სიტყვისა, ვერ ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს ის, ვინც ცოდვებისაგან არ განიწმინდა აღსარებითა და სინანულით. სწორედ ამაზე მიუთითებს ღვთაებრივი პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „გამოიღაცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასუმელისა მისგანი ჰსუნ. ხოლო რომელი არა ღირ-

სად ჰსჭამდეს და ჰსუმიდეს, დასასჯელად თავისა თჳსისა ჰსჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი უფლისანი“ (I კორ. II, 27, 26, 28). ესეიგი, ვინც ვერ შეიცნო ხორცი და სისხლი უფლისა, ცოდვებითაა დამძიმებული და ზიარებაც ვერაფერს არგებს სულსა და სხეულს. ვინც უწმინდურია გულით, ბინძურ ხელებს აღაპყრობს უფლის მიმართ და ილოცებს, სწორედ მათ ამხელს პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „მნებავს უკუ, ლოცუაჲ მამათა ყოველსა ადგილსა, აღპყრობად წმიდად ჴელთა თჳნიერ რისხვისა და გულის ზრახვისა“ (I ტიმ. 2, 8). ჩვენ „განცხადებულებაჲ“ უნდა გვაქვნდეს ღვთის წინაშე, სინდისი უნდა გვქეჯნიდეს ჩვენი ულირსი საქციელის გამო და ვითარცა იტყვის ქრისტეს უსაყვარლესი იოანე ქალწულ-მახარებელი: „უკეთო გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩუენ განცხადებულებაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ“. (I იოანე, 3, 21). მაშინ შემოვა სართულსა ქუეშე სულისა ჩუენისა უფალი იესო ქრისტე და ვექმნებით ერთ-ხორც და ერთ-სულ, როდესაც ჩამოვიცილებთ ცოდვებს, განვიწმინდებით სულში ჩაბუდებულ სიბილწეთაგან აღსარების, სიკეთის, სიწმინდის, მოთმინების, ლოცვის, გულის შემუსრვილების გზით. ჴინაალმდეგ შემთხვევაში უფალი არ შეიწირავს ჩვენს შესაწირავს. რამეთუ ჩვენ არ ვართ უმწიკვლონი და არც ჩვენი შესაწირავი იქნება წმინდა. ძველი აღთქმის მიხედვით უფალმა არ შეიწირა კაენის შესაწირავი და უთხრა მას: „არცა მართლად შემოწირე, ხოლო მართლად არა განჰყავ“ (შესაქმე. 4, 7). ძველი აღთქმისთანავე ცოდვად ითვლება აგრეთვე ღვთის სახლში—ტაძარში ცოდვის ჩადენით შეძენილი შესაწირავის შეტანა (II სჯული, 23, 19), ხოლო მოგვიანებით, ახალი აღთქმაც ხომ ბრძანებს: „დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მიეედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოველ და შეჰსწირე შესაწირავი შენი“ (მათ. 5, 24). ადამიანო, შენ ხომ უდიდესი შესაწირავი გაგაჩნია — სხეული. ნუთუ მას განუწმენდავს აღსარებისა და სინანულისაგან_გაიღებ უფლისთვის? უფალს არ ნებავს, რომ ბილწი ბაგეებით შეეღაღადებდეთ. დავით წინასწარმეტყველიც ხომ ამბობს: „ცოდვილსა მას ჰრქუა ღმერთმან: „რაჲსათჳს მე მიუთხრობ შენ სამართალთა ჩემთა და აღიღებ აღთქუმასა ჩემსა პირითა

შენითა?" (ფსალმ. 49, 6). მაშასადამე, უფალს არ ნებავს მისი „აღთქუმა" და ხორცი მწიკვლევანმა ბაგეებმა მიიღონ.

ამიტომ განვიწმინდოთ ძმანნო სხეული, ბაგეები, გულისთქმანი, სიყვარულითა და სიწმინდით აღვივსოთ. ოქრომჭედელი, რომელიც სპილენძისა ან ძვირფასი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის ჭედურობაზე მუშაობს, იმისათვის, რომ სპილენძის გამოსახულებას მეტი ელფერი შესძინოს, თავდაპირველად სპილენძს ამუშავებს და ფხეკს მინარევებს, შემდეგ ძვირფასი ლითონებით ამუშავებს ზედაპირს და ბზინვარებას სძენს ნამუშევარს. ასევე გაბრწყინვებისა და განსპეტაკების მსურველნი წინასწარ უნდა ვეცადოთ სულიერი მანკიერებისა და ხორციელ ვნებათაგან განწმენდას, რათა განვიწმიდოთ არა მარტო გარეგნული იერი, როგორც ეს მოოქროვილ სპილენძზე ითქმის, არამედ შინაგანი ბუნებაც — სულის სიღრმეში ჩაბუდებული არაწმინდებანი დავთრგუნოთ მთელი ძალისხმევით, რათა აღსარების გზით ცოდვები მოგვეტევოს, თანაზიარვექმნეთ მეუფისა და მაცხოვრის წმიდათაწმიდა ხორცსა და სისხლს, რათა ვსცხონდეთ. პირველ ყოვლისა, უნდა შესთხოვოთ უფალს აღგვადგინოს, სინანული და საუკუნო ტანჯვის შიში მოგვმადლოს ჩვენ, ღვთის უსაზღვრო გულმოწყალებისა და მოთმინების მრავალგზის უარმყოფელთ. „უძვრესისა ტანჯვსა ღირს-ყოფად, რომელმან ძე ღმრთისა დაჰსთრგუნოს და სისხლი იგი აღთქმისა არა ღირსად შერაცხოს, რომლითა განჰსწმიდნა", ამბობს პავლე მოციქული (ებრ. 10, 29). დაისჯება მეფურ პორფირის შემრყვნელი და შემაგინებელი, ვითარცა შებილწავს კეთილსურნელოვან საკმეველს, ის, ვინც ბინძურ ყუთში მოათავსებს ამ სიწმინდეს. ღვთაებრივი მადლის შეურაცხყოფა არავის ეპატიება, რამეთუ იგი მოუწყველელია, იდუმალ მოგვეახლება და მყისვე დაგვტოვებს სამუდამოდ ვერსაცნაურმყოფთ და უღირსთ.

მაშასადამე, მონანიებით წმინდა საიდუმლოს თანამონაწილენი უმძლავრეს-ვიქმნებით და უღირსნი ღირსეულნი გავხდებით. სასოებითა და რწმენით შევიგრძნობთ ხილულსაც და უხილავსაც. ხორცი ქრისტესი — პური, ამ შემთხვევაში კრეტსაბმელია, რომელიც ფარავს ღვთის სიღრმეში არსებულ საიდუმლოს. ღვთაებრივმა მოციქულმა პავლემ ეს იცოდა, რო-

დესაც ამბობდა: „განგვიახლა ჩუენ გზაჲ ახალი და ცხოველი, კრეტსაბმელითა მით, ესე იგი არს, ხორცთა მისთათა“. (ებრ. 10. 19—2შ), რისი წყალობითაც ცამდე ავმაღლდებით, რამეთუ ეს პური ზეციური პურია და ჩვენც ჭეშმარიტად წმიდათაწმიდაში შევაღწევთ იესო ქრისტეს მსხვერპლად გაღებულ უმანკოების მეოხებით: „მოუხდეთ მას ჭეშმარიტითა გულითა, გულსავსებითა სარწმუნოებისათა“ (ებრ. 10, 22) — ბრძანებს წმინდა წერილიც.

წმიდა ზიარება იმიტომ ითვლება ერთ-ერთ „საიდუმლოდ“, რომ ხორციელი თვალისათვის მიუწვდომელი და უხილავია. ამაზე იტყვის უფალი იოანე მახარებლის პირით.: „სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ხორცნი არად სარგებელ არიან“ (იოანე, 6, 63). რასაც ხორციელი თვალით უმზერ თუ მხოლოდ იმას ხედავ, ვერავითარი სარგებელი ვერ მიგიღია, რადგან სისხლი და ხორცი იესო ქრისტესი შენთვის პურია და არა საზრდო სულიერი, რომელიც განგაცხოველებს. რამეთუ იტყვის იოანე ღვთისმეტყველი: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ“. (იოანე. 6, 27). ხოლო „პური ღმრთისა არს, რომელი გარდამოჰხდა ზეცით და მოჰსცა ცხოვრება სოფელსა“ (იოანე. 6, 33) ვინც არ მიიღებს ამ პურს, ვერ ცხონდება. ის კი, ვინც საუკუნო ცხოვრებას დაიმკვიდრებს არა მარტო აღსდგება მკვდრეთით, ტანჯვათაგან განთავისუფლდება და საასუფეველშიც შეაღწევს. იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები საიდუმლო სერობაზე აზიარა ამ პურს, ზიარებამდე კი ტაძარში ეს საიდუმლო შემდეგნაირად განუმარტა: „პური, რომელი მე მივჰსცე, ხორცი ჩემი არს, რომელსა მე მივჰსცემ ცხოვრებისათჳს სოფლისა“ (იოანე. 6, 51) და კვალად: „უკეთუ არა ჰსჭამოთ ხორცი ძისა კაცისა, და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა, ხოლო რომელი ჰსჭამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე. 6, 53, 54). ჰოი, საკვირველებავ! უფალმა ჩვენზედ მოიღო სიყვარული ენით უთქმელი, დაგვამწყალობა სულიწმიდით და ერთსულ გვქმნა ვითარცა პავლე მოციქული ბრძანებს: „რომელი შეეყოს უფალსა ერთ-სულ არს უფლისა თანა“.

ამრიგად, ჩვენ არა მარტო ხორცით, არამედ სულითაც უნდა თანაზიარვექმნათ უფალს, გავხდეთ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი იმ პურის წყალობით, რომელიც უფალმა გვიბოძა. სიყვარული იმარჯვებს, ოდეს შეყვარებული არსებანი შეერთდებიან. ხოლო უძველესი ანდაზა ამბობს: „სადაც მსგავსებაა, იქ სიყვარულია". მეუღლეობრივი სიყვარული ყველა სხვა სახის სიყვარულისგან განსხვავდება. სახარებაც ბრძანებს: „დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყუნენ ორნივე იგი ერთ-ჴორც". (მათ. 19. 5). „საიდუმლო ესე დიდ არს" — იტყვის პავლე მოციქულიც — „ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა" (ეფეს. 5, 32). აქ ნათქვამია: „შეეყოს" და „იყუნენ ერთ-ხორც" და არა ერთ-სულო. ღვთაებრივი პურის ზიარებისთანავე კი ჩვენ თანაზიარვექმნებით იესო ქრისტეს ხორციელად და სულიერად. ხედავთ ვითარი გარდამეტებულებაა საღვთო სიყვარულში, რაზეც დავით მეფე წინასწარმეტყველმა ფსალმუნი აღავლინა: „შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, ხოლო ხორცნი დამამტკიცენ მე" (ფსალმ. 39, 6).

საოცრად მრავალსახა და ამოუცნობი კავშირებია საიდუმლო ზიარებაში. იესო ქრისტე ჩვენი ხორციელი ძმა შეიქმნა, „რამეთუ ყრმათაცა ეზიარა ხორცთა და სისხლთა" (ებრ. მიმართ. 2, 14), ჩვენ დაგვითანასწორდა, მონებს მეუფება გვიბოძა და არა მარტო დაგვენათესავა, არამედ თავისივე სისხლით გამოგვისყიდა, გვეძმო და დაგვიმეგობრდა, საიდუმლო ზიარების ღირსად გვაქცია, თავის თავთან შეგვაერთა და სულიწმიდით დაგვწინდა, ვითარცა სიძემ სასძლო გვაზიარა სისხლს და ერთ-ხორც გვექმნა. ღვთაებრივი ნათლისღებისას მამად შეიქმნა, შემდგომ, ვითარცა მოსიყვარულე დედამ ჩვილს ძუძუ გვაწოვა და, რაც ყველაზე მეტად გასაოცარი და ფასდაუდებელია, — ნაცვლად რძისა თავისი სისხლი გვასვა და ხორცი გვაჭამა, შთაგვბერა სული უკვდავი და უდიდესი სიყვარულის ღირსი გაგვხადა. ზიარებისას არა მარტო ვხედავთ უფალს, არამედ ვეხებით, განვისვენებთ და სამუდამოდ ვგიებთ მისთა თანა, სულსა და გულში ვიხუტებთ თითოეული ჩვენგანი. „მოდით, — ამბობს უფალი — სჭამეთ ხორცი ჩემი და ჰსუით სისხლი ჩემი საუკუნო ცხოვრების მსურველნო, რათა ამ გზით

არა მარტო განიღმრთოთ, არამედ გახდეთ თავად ღმერთნი, საუკუნო და ზეციური მეფენი, ღმერთშემოსილნი და მეუფენი, ეშმაკთა განმდევნელნი, ანგელოსთა განმაცვიფრებელნი, ზეციურ მამის უსაყვარლესი ძენი, ადამიანთა მოდგმის მარადუჭკნობი ყვავილები, ყოვლისმპყრობელი სამების მკვიდრნი". ამა ხორცისა წილ განმართლდა ადამი (შესაქმე. 14, 12), ამა სისხლისა წილ გადარჩა ისრაელიანთა მოდგმა ეგვიპტეში (გამოსლვათა. 12, 23), ამა სისხლისა წილ გაბრწყინდა ძველთაძველი საკურთხეველი უფლისა (გამოსვლ. 40, 10), ამა სისხლით თავად წმიდათაწმიდა განიბანა, გაბრწყინდა, ღვთის სადიდებლად დაადგინა დედამიწაზე წმინდა ალაგნი, მღვდელნი, მღვდელმთავარნი და ღმრთივ მირონცხება დააწესა. ამა სისხლის გარეშე ვერც აარონი შეაღწევდა ცათა სასუფეველში. და ჩვენც, თუკი გულის შემუსრვილების შემდგომ არ ვეზიარებით ამ სისხლს, ვერ დავიმკვიდრებთ სასუფეველს, ვერც ზეციური მამის ძენი შევიქმნებით და საყუარელნი ქრისტესი. რამეთუ უფლის სისხლისა წილ განგვეხვნება მხოლოდ ბჭენი სასუფევლისანი. „მეფე და წინასწარმეტყველი დავითიც ამბობს: „რაჲ მე სარგებელ არს სისხლით ჩემთაგან, შთა თუ ვიდე მე განსახრწნელსა?" (ფსალმ. 29, 10).

ადამიანები იმად აღვურევთ ღვთის სისხლს ჩვენს სისხლში, რომ ხრწნადი ბუნება დავთრგუნოთ უფლის სისხლით, რომელიც უდიდესი და ენით უთქმელი მადლის შემცველია, გადაღრძუებული სხეული განვაახლოთ, წარმავალნი წარუვალ დიდებას თანაზიარვექმნეთ, მარადიული და მარადუჭკნობი შეგიქმნეთ „ვითარცა ხე, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა" (ფსალმ. 1, 3) საუკუნო ცხოვრების ნაყოფს სულიწმიდის გარეშე ვერ მოვიმკით. ეს ის წყალუხვი მდინარეა, რომელიც ედემით გამოვალს და რწყავს მიწას მისი ნაკადები (შესაქმე. 2, 10). ფსალმუნში იტყვის დავით მეფე: „განჰმზადე ტაბლაჲ წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა" (ფსალმ. 29, 5). აჰა ამოხეთქა წყარომ, თავისი ნაკადებით, წყურვილი მოუკლა მოწყურებულ სულებს და ზეცად ასტყორცნა „რომლისათჳს გული-უთქუამს ანგელოსთა ხილუად" (I პეტრ. 1, 12). ღვთაებრივი სიბრძნის მრავალსახა ბუნება გამოსჭვივის ამ სიმშვენიერეში და ადამიანებს აღუძრავს სურვილს ხარბად დაეწაფნონ

იმ მადლს, რომელიც ჩვენში შემოდის ქრისტეს სისხლის წყალობით. რამეთუ საიდუმლო ზიარების მიმღებელნი მეფურ ბორფირად გარდავისახებით, თავად მეფეთ-მეფის სისხლი და ხორცი ვხდებით, ჰოი საკვირველებავ! თვით ძედ ღვთისად ვიწოდებით, იმ ღვთაებრივ ნათელს თანაზიარვექმნებით, იდუმლად რომ შემოდის ჩვენს სულებში. ეს ბრწყინვალება ღვთაებრივ მირონცხებას გვანიჭებს სასწაულებრივად, ძალას გვმატებს თანახმად ქრისტეს აღთქმისა (შდრ. მათ. 13, 14) იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს ვითარცა მზე ისე გაბრწყინდება თითოეული ადამიანი და თუკი სიბილწეა მაზიარებლის სულში ეს ნათელი დაითრგუნება და სულში კვლავ სიბნელე დაისადგურებს. ამიტომ არა მარტო მწიკვლევანებათაგან განწმენდილნი უნდა მივიდეთ საიდუმლო ზიარებაზე, არამედ ამ ღვთაებრივი საბოძვარის დამაუნჯებელნიც გამუდმებით უნდა ვზრუნავდეთ და იმის ფიქრში ვიყოთ თუ როგორ ავმაღლდეთ ცნებებზე, ვითარ ვქმნათ საქმენი კეთილი და სათნოებები განვამრავლოთ. დაე, ზიარების შემდგომ ჩვენს თავს ვკითხოთ ვის სისხლსა და ხორცს ვეზიარეთ, რისი ღირსი შევიქმენით, დახშული ხომ არ აღმოჩნდა ჩვენი გულის კარი უფლის უდიდესი გულმოწყალებისა და სიყვარულის მიმართ, მივიღეთ თუ არა „ნება ღმრთისა კეთილი, სათნოჲ და სრული“ (რომ. 12, 2), რადგან ეს არის სისხლი ახალი აღთქმისა, ქრისტეს სახარებისამებრ დადგენილი და დადასტურებული. ახალი აღთქმაც ხომ ბრძანებს: „რამეთუ ანდერძი დაწერილ მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს“ (ებრ. 9, 17). მაშასადმე, ვეზიაროთ ქრისტეს აღთქმისეულ სისხლს, გულისხმავყოთ რათა ეს მადლი არ დავკარგოთ და განვაქარვოთ საკუთარ უსჯულოების გამო, რის შედეგადაც დავისჯებით და შთავვარდებით საუკუნო სატანჯველში. აღთქმული სისხლი, რომელმაც ეგზომ განგვაბრწყინვა, არა-ღირსად არ უნდა შეირაცხოს (ებრ. მიმართ. 10, 29). ეს უდიდესი ნაანდერძევი სწორედ მათ ეკუთვნით, რომლებმაც წმინდა ზიარებით მიღებული გაცისკროვნება შეინარჩუნეს და კიდეც დაიმკვიდრეს სასუფეველი ცათა, ხოლო უმძიმეს სატანჯველში შთაცვივიან ის ადამიანები, რომლებმაც წმინდა ზიარების შემდგომ ღვთის წყალობა შეურაცხყვეს, ჰოსეს სჯულს გარდახდნენ. ისინი თანახმად მოსეს სჯულისა

უმოწყალო სიკვდილით დაისჯებიან. პავლე მოციქულიც ხომ ბრძანებს — „უძვრესისა ტანჯვსა ღირს-ყოფად, რომელმან წმინდა სისხლი იგი აღთქმისა არა ფირსად შერაცხოს და შეაგინოს ეს დიდი მადლი“ (ებრ. მიმართ. 10. 28—29).

ამიტომ, ძმანნო, დაე, ჩვენც ღვთაებრივი ზიარებისას მიღებული მადლი შეუბღალავად დავიცვათ, მცნებათა აღსრულებით მორჩილ-ვექმნეთ და დავეგოთ უფალს, რომელმაც ჩვენი გულისათვის თავი გასწირა. თუკი მხოლოდშობილი ძე ჩვენს დასახსნელად მოავლინა უფალმა, ძე ღვთისა კი ადამიანთა მოდგმისათვის ივნო და დაიფლა, ნუთუ ცალდებულნი არა ვართო შევუდგეთ უფალს ისევ ჩვენივე სულების საცხოვნებლად და არა იესო ქრისტეს სასარგებლოდ. სიყვარული უფლისა და სიყვარული მოყვასისა ღრმად ჩავინერგოთ გულში, მორჩილვექმნნეთ ძე ღვთისას, რათა ღვთის ძლიერი ხელითა და შეწევნით განვმართლდეთ საკუთარი თავისა და ერთმანეთის წინაშე „ნუ მაღალსა მას ჰზრახავთ, არამედ მდაბალსა მას შეეყუენით“ (რომ. 1; 16) — ბრძანებს პავლე მოციქული და ჩვენც, შეძლებისდაგვარად მოვაკვდინოთ ხორცი, რათა „ქუეყანასა ზედა“ მოისპოს „სიძვაჲ, არა-წმინდებაჲ, ვნებაჲ, გულის-თქუმაჲ ბოროტი და ანგარებაჲ“ (კოლას. 3, 5).

თავად უმწიკვლო სხეული იესო ქრისტესი, ჩვენთვის საზრდელად გაღებული, მიგვითითებს, რომ ცოდვები დავსთრგუნოთ, ვიცხოვროთ სათნოებებით, გვმოძღვრავს და გვსწავლის თუ როგორ გავხდეთ თანაზიარნი მისი ქველმოქმედებებისა და ვნებებისა. დაე, მარადის ვცხოვრობდეთ იესო ქრისტეში, ვმეუფებდეთ მისი თანა. წინასწარმეტყველი მეფის, დავითის პირით ხომ გვამცნო უფალმან „მსხუერპლმან ქებისამან მადიდოს მე, და მუნ არს გზაჲ, სად უჩუენო მას მაცხოვრებაჲ ჩემი“ (ფსალმ. 49, 23). რამეთუ იესო ქრისტეს საქციელი, მისი ვნებები და ცხოვრება დიდებისა და ქების ღირსია. ადამიანთათვის წინადაგებული ხორცი და სისხლი ქრისტესი, უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე აბელის სისხლი, რამეთუ ძმის სისხლი დაიღვარა კაენის ხელით, ქრისტეს სისხლი კი — ადამიანთა მოდგმის გამოსასყიდლად. უფალმა იესო ქრისტეს უმანკო სისხლი შეიწირა, იესო ქრისტემ ძმასავით შეიყვარა თითოეული ჩვენგანი და უზეშთაეს მამასთან შეგვაერთა. იესო

ქრისტეს გზა სიყვარულის გზაა, რადგან მან ადამიანთა სიყვარულის გამო თავი გასწირა, სულიც კი არ დაიშურა რაც უმაღლესია სიყვარულში, რითაც დაგვანახა გზა მორჩილებისა (ეს. 35. 7—8), გზა მოთმინებისა, რამეთუ მამაღმერთს მორჩილებდა ჯვარცმამდე და აღსასრულამდე (ფილიპ. 2, 8). ეს გზა მიგვიძღვის მარადიული ცხოვნებისაკენ ვნებათა დათრგუნვის საფასურად; ჯვარცმული იესო ქრისტე ცხოვრების მომნიშვნელია უკუნითი უკუნისამდე, ქრისტეანთათვის განადიდებს და სრულყოფს მათ და იდიდება თანადაუსაბამოდ მამით და ცხოველსმყოფელ სულით წმინდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ!

ბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა.

სიყვარულისათვის

იესო ქრისტეს ერთ-ერთი პირველწოდებული მოციქულის იოანე ქალწულ-მახარებლის ხსენებას ვდღესასწაულობთ დღეს და ვადიდებთ ქრისტეს როგორც მოციქულთა მამას, უკეთ რომ ვთქვათ, იმათ პატრიარქს, „რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთათა, არცა ნებითა მამა-კაცისათა, არამედ ღმრთისაგან იშუნეს" (იოანე, 1, 13). ვითარცა იაკობის სხეულიდან იშვა თორმეტი პატრიარქი, მშობელნი ისრაელიანთა თორმეტი შტოსი, ასევე სულიერად შვა ქრისტემ თორმეტი მესაიდუმლე. მან ცოდვით დაცემულ იუდა ისკარიოტელის ნაცვლად ციდან პატივი მიაგო დიდ პავლეს და მოციქულად შერაცხა. ამიტომ პატრიარქთაგან ნაშობნი თუ რაოდენობრივად აშკარად არ უთანაბრდებიან მოციქულებს, ამაში არც არაფერია გასაკვირი. რამეთუ სულიერი მადლი განუყოფლად განიყოფება. ადამიანს, მართალია, გრძნობათა ხუთი ორგანო აქვს, მაგრამ როდესაც საქმე სულს ეხება, იგი წარმოადგენს რაღაც ერთიან, განუყოფელ შეგრძნებათა ერთობლიობას, თუმცაღა სახეობრივად ხუთ ორგანოში ნაწილდება. წყლის თორმეტი ნაკადი, რომელთა ნაპირებზეც დაესახლნენ უდაბნოში მოგზაურობის დროს მწყურვალე ისრაელიანნი მოსეს წინამძღოლობით (გამოსლვ. 15, 27), ამ თორმეტ მოციქულს განასახიერებდა წინდაწინ. რამეთუ ეს იყო ბრბო, რომელსაც კერპთთაყვანისმცემლობის წყალობით თავსდამტყდარი წყურვილი სულიერმა სარწყავმა მოუკლა, ოდეს უღმრთო კაცობრიობის მოდგმა თვალუწვდენელი უდაბნოების გავლით მოე-

მართებოდა დასაბამიდან. შემდგომ ფორმეტი ქვა, ისუ ნავესის მიერ ბანაკში დადებული იორდანეს საკვირველი გადალახვის ნიშნად (ისუ ნავ. 4; 8) კვლავ წინასწარ ამ თორმეტს განასახიერებდა. ისინი სამარადისოდ შეგვახსენებენ, რომ ჭეშმარიტმა იესომ გზა გადაუღობა ცოდვის ნაკადს, რომელსაც დაეტბორა სამყარო და მორწმუნეებს მისცა მეუფება, გზა ცხოვრებისა გალიონ უშფოთველად, ვითარცა ისრაელიანებს შეაძლებინა ოდესღაც იორდანე გადაელახათ ისე, თითქოს ხმელეთზე გაევლოთ.

ამგვარად, იესო ქრისტეს, ღვთის მხოლოდშობილი ძის მოციქულობა მოციქულებს აახლოვებს ერთმანეთთან. ის კი, ვის ხსენებასაც დღეს აღვასრულებთ, მარტოოდენ მოციქული როდია, არამედ მითვალულიცაა და რჩეულიც, ერთობ გამორჩეული მზისქვეშეთში მცხოვრებ რჩეულთაგან და თვით ამ რჩეულთა შორისაც — გვერდიგვერდ მდგომ პეტრესა და იაკობს ვგულისხმობ — გამოკვეთილი ფიგურაა. მაცხოვარი ოდეს თაბორის მთაზე ამაღლდა პეტრესა და იაკობთან ერთად იოანეც თან წაიყვანა. იოანემ ღვთაებრივი მოწიწებით მოისმინა მოსეს და ელიას საუბარი იესო ქრისტესთან, თავად უკვრეტდა ღმრთის ძის თვალისმომჭრელი ნათლის ციაგსა და ბრწყინვალებას და მამის მიმართვა ქრისტესადმი მასაც ჩაესმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ“ (მათ. 17, 5). ასე და ამგვარად, ნეტარი იოანე მარტოოდენ ძეს კი არა, მამასაც დაემოწაფა. იოანე მაცხოვრის უპირველეს მოწაფეებს პეტრესა და იაკობს ამით ემსგავსება. მახარებლობით კი დანარჩენ სამ მოციქულ-მახარებელს, რომელთაც ჩაიწერეს წმინდა სახარება, საუკუნო ცხოვრების სიტყვა, თუმცაღა სიღრმითა და ძალისხმევით ღვთისმეტყველებაში მათ ბევრად გარდაამეტა. ენას არ ძალუძს გამოთქვას იოანეს ღვაწლი და უბედნიერესი ხვედრი — ქალწულ-მახარებლად სახელდება.

ამგვარი სახელდება იოანეს არა მარტო მოციქულთაგან გამოარჩევს, არამედ დედამიწის ზურგზე დაბადებულ ყველა ურჩეულეს პიროვნებათაგან და მე ვფიქრობ, ამას საფუძვლად უდევს შემდეგი: იოანემ, ვიდრემდე აღესრულებოდა შეძლო შეენარჩუნებინა სულის, ხორცის, გონების, გრძნობის სიქალ-

წულე. სხეულებრივი სიქალწულე ყველა მოკვდავს ძალუძს დაიცვას უბიწოდ, თუკი მოიწადინებს, ძაგრამ უაღმატებულესი სულიერი სიქალწულის შენარჩუნება, ანუ გულისთქმებსა და მისწრაფებებში უზაკველობა და შეურყვნელობა მხოლოდ იოანე ქალწულ-მახარებელს ხვდა წილად. ესეიგი ქალწულ-მახარებლად სახელდება იმის დამადასტურებელია, რომ იოანემ ღცოდველის მდგომარეობას მიაღწია და ბუნებით უცოდველი „ქრისტეს საყუარელი" მოწაფე გახდა.

იოანეს გარდა არავის არ ხელეწიფება მოკვდავ ადამიანთაგან იყოს ქალწულიც და მახარებელიც და იმავდროულად „საყუარელიც" ქრისტესი. ამ სახელწოდებაში უფრო დიდი რამაა ჩადებული. კერძოდ, იოანე შეიყვარა ქალწულ მარიამის, ღვთისმშობლის მხოლოდშობილმა ძემ და თუკი უფალი იესო ბუნებით, დაბადებით იყო ქალწულის ძე, იოანე მადლის მეოხებით შეიქმნა ძმა უფლისა, სისხლისმიერი ნათესავი და მსგავსი მისი. თუ იესო ქრისტე არის „ძე საყუარელი", იოანე შეიქმნა მოწაფედ „ძისა საყუარელისა". პირველი — მამის წიაღში, მეორე — ქრისტეში, ვითარცა მისი გულის მესაიდუმლე. ორივე ქალწულია: ერთი — შობითგან, ხოლო მეორე მადლმოსილებით. დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „და ქუხდა უფალი ცით-გამო" (ფსალმ. 17, 14) და აი, იოანეც სახელდებულია „ქუხილად" და „ძედ ქუხილისად" (მარკ. 3, 17). ღვთაებრივი სიტყვის ქუხილისა, რომელმაც მთელი ქვეყნიერება შესძრა. ეს სიტყვა დასაბამითგან არსებობდა მამაში, ძეში განცხადდა და თავად არის უფალი ღმერთი, ჭეშმარიტი ნათელის მატარებელი, რომელიც განაბრწყინვებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად და მოძრაობაში მოჰყავს უძრავი არსი. ჭექა-ქუხილს, ბუნებრივია ელვაც თან სდევს. ღვთაებრივ ქუხილსაც მოელვარე ქრისტესმიერი ნათელი მოჰყვა. ჩვენ თვალნი მივაპყარით ზეცით გარდმომავალ სიტყვას, რომელმაც ხორცნი შეისხა და განკაცდა, დედამიწაზე მოვიდა. სიტყვა, საქმე, ვნებანი, აღდგომა, ჯვარცმა, შემდგომ ამაღლება და კვლაავ საუფლო ტახტზე დაბრძანება. ყოველივე ეს ჩვენთვის აღწერა იოანე ქალწულ-მახარებელმა, რათა ვიწამოთ და ვცხონდეთ. იგი ყოველ ქრისტეანს მიმართავს ეპისტოლეებში და შეაგონებს, რომ მარადიული ცხოვრების გზით ვიდოდნენ, რომელიც და-

საბამიდან ეკუთვნოდა მამას და ქრისტეს სახით გამოგვეცხადა ჩვენ. იოანე, ვითარცა უმწვერვალესი მოციქულთაგანი საგანგებოდ სახელდებული „საყუარელად“ თავად განგვიმარტავს უმთავრეს სათნოებას — სიყვარულს. იგი ამბობს: ღმერთი სიყვარულია, ვინც სიყვარულს ფლობს, თავად ღმერთს ფლობს და ღმერთის სიყვარულით განიღმრთობა. იგი გვიჩვენებს, რომ სიყვარული მრჩობლია: ღმერთის და მოყვასის სიყვარულს გულისხმობს. სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა განუყოფელია და იმავდროულად შეურყვნელიცცდება, ის, ვინც ფიქრობს, მთავარია ღმერთი მიყვარდეს ანდა ჰირიქით, მხოლოდ მოყვასი. უფლის სიყვარული მისი სიტყვისა და მცნებათა აღსრულებაში მდგომარეობს. თავად უფალი ეკმოძღვრავს ამ სიტყვებით: „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი, და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე..., ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, ესე არს მცნება ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას..., უკეთუ იყუარებოდეთ ურთიერთას (იოანე. 14, 21; 15, 12; 13, 35).

ხედავთ, ვითარ განუყოფელია სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისა. ამიტომ „საყუარელი“ მოწაფეც ამბობს: „უკეთუ ვინმე ჰსთქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი, და ძმაჲ თჳსი ჰძულდეს, მტყუარ არს; რამეთუ, რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი რომელი არა უსილავს, ვითარ ძალ-უძს შეყუარებად“. (იოანე. 4, 20). მაგრამ „რომელმან ჰსთქუას მისთანაყოფაჲ, თანა-აძს, რათა, ვითარცა იგი თავადი ვიდოდა ეგრეცა მისი სლვაჲ“. (იოანე. 2, 6). უფალი კი ვითარ ვიდოდა? პირველ ყოვლისა მორჩილებდა ზეციურ მამას, მის ნება-სურვილს სიკვდილამდე, ჯვარცმამდეც კი აღასრულებდა, სათნოებებს სჩადიოდა, სნეულთ კურნავდა, მოწაფეებს მოძღვრავდა, მოთმინებით იტანდა შეურაცხყოფას, ავაზაკთაგან შენერწყვას, დასმენას, დაცინვას, დამცირებასა და შოლტებს და ბოლოს, ჯვარზე შემსჭვალვას. სულიც კი არ დაშურებია ჩვენთვის, რითაც უდიდესი სიყვარული გვიჩვენა. მოდით, ქრისტეს „საყუარელი“ მოციქულ-მახარებლის საქმიანობაც გავიხსენოთ. იგი ხომ მოძღვრის სწავლებას ზედმიწევნით აღასრულებდა, სასწაულები, ვნებები, სიტყვანი, საქმენი აჳის ნათელი დადასტურებაა. ყველას დახმარების ხელს უწვ-

დიდა, სიბნელიდან სინათლეში გაჰყავდა, უღირსს ღირს-ქმნიდა, ითმენდა ტანჯვა-წამებას ქრისტეს რწმენისათვის და ჩვენს სასარგებლოდ, ანუ ღვთისა და მოყვასისათვის. მრავალგზის გაშოლტეს იოანე, ქვებით ჩაქოლეს, მაგრამ ჭეშმარიტად შეუპოვარი ღვთისმოსავი ტირანებსა და თავადებს არ შეეპუა. ტირანთა შორის უსასტიკესმა დომიციანემ იოანე კუნძულ პატმოსზე გადაასახლა. ქალწულ-მახარებელი სასოწარკვეთილებას ოდი მიეცა, პირიქით, გაიხარა, რამეთუ კეთილი მწყემსისა და ნოძღვრის მცნებათა ქადაგების საშუალება მიეცა.

ძმანო, დაე, სანიმუშო იყოს ჩვენთვის მორჩილება ქრისტესი და მისი „საყუარელი" მოწაფის, იოანესი თავისი სულიერი მამისადმი. უფალი ამბობს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცეს" (იგავ. 13, 1) ვინც თავის ხორციელ და სულიერ მამას არ ემორჩილება, არ ემორჩილება თავად უზენაესს მამას, „რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-დებულ-არიან" (ეფეს. 3, 15). რამეთუ სულიერი მამის სიყვარული, სვლა მისი გზით და მორჩილება ღმრთის სიყვარულს, მისი გზით სვლასა და მორჩილებას გულისხმობს, და ოდეს მორჩილ არ ვექმნებით სულიერ მამას, თავად უფალს განვუდგებით და შევურაცხყოფთ. თავად იესო ქრისტე ბრძანებს: „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა, და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა (ლუკ. 10, 16). დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენითა და ერჩდით მათ. რომეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათჳს, ვითარცა იგი სიტყუა მიჰსცენ; რათა სიხარულით ამას ჰყოფდენ, და არა სულთ-ითქმიდენ: რამეთუ არა ადვილარს ესე თქუენდა (ებრ. 13,17). — ღაღადებს დიდი მქადაგებელი პავლეც და დაე, ვესწრაფოდეთ ჭეშმარიტებას, აღვასრულოთ კეთილი საქმენი და თუ თანდაყოლილი უძლურება მოგვეძალება, მაშინ მრავალმოწყალე უფალი შეამჩნევს რა, რომ ჩვენ ძალასა და ენერგიას არ ვიშურებთ ქველმოქმედების აღსრულებისას და არც ვქედმაღლობთ იმით, რასაც სჩავდივართ, მადლმოსილებით დაგვამწყალობლებს და შეუძლებელს შეგვაძლებინებს.

რამდენადაც ძალგიძს შეეწიე მოყვასს. არ შეგიძლია სას-

წაულმოქმედი სიტყვებით განკურნო ადამიანთა უძლურება, კეთილი სიტყვით ხომ შეგიძლია ასუგეშო და გაამხნევო. თუკი მოყვასს დაეხმარები, ჰოი საკვირველებავ, თავად ქრისტე დაგიდგება მსახურად, სახარებაშიც ხომ სწერია: „რამეთუ მოირტყნეს და დაჰსხნეს იგინი, წარმოუდგეს და მსახურებდეს მათ“ (ლუკ. 12, 37). ოდეს მოყვასს შეეწევი და მეოხქმნები, თავად დაეპატრონები საუფლო საგანძურს, ქრისტეს სამეუფოს და მოყვასის შემმოსველი და დამპურებელი თავად უკვდაევებას იგემებ და მეფურ შესამოსლით შეიმოსები. არ გაქვს იმისი ნიჭი, რომ სხვა დამოძღვრო, კეთილი საქმეებისკენ უბიძგო, არც მხილების ძალა შეგწევს? არც ბოროტებათა თავიდან აცილებისა? მაშ, საკუთრივ შენი მოღვაწეობით მაგალითი უჩვენე მოყვასს, რათა ამ სახით ამხილო ბოროტება და ათქმევინო ადამიანებს: „მძიმე არს ხილვად ჩუენდაცა, რამეთუ არა მსგავს არს სხუათა ცხოვრება მისი და ცვალებულ ალაგნი მისნი“ (სიბრძნე სოლომ. 2, 15). შესაძლოა ადამიანებს შეშურდეთ შენი, ავყია ჭორების ქსელში გაგაბან, ათასგვარი ოინიც მოგიწყონ, არ შედრკე, განზე გადექი, და ყველასთვის მხოლოდ კეთილისმყოფელმა კვლავ შენი საკეთებელი აკეთე. შენ ხომ ქრესტეს და იოანეს, ქრისტეს „საყუარელ“ მოწაფეს უკვრეტ. მაგალითად გქონდეს მათი საქციელი, შეუსვენებლად და უკანმოუხედავად მისდიე ღვთაებრივ გზას, რამეთუ უფალი იტყვის: „უკეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნენ“ (იოანე, 16, 20). თუკი ამგვარად მოიქცევი და მოთმინებით აიტან ყოველგვარ სატანჯველს, მაშინ ცხადზე-უცხადესი შეიქმნება, რომ შენში ღვთაებრივი სიყვარულია ღრმად ფესვგადგმული.

გულით გწადია გაიგო თუ რა ნიშნებისდამიხედვით უნდა იმსჯელო შენში ღვთაებრივი სიყვარულის არსებობაზე? ამასაც უფალი დაგანახვებს თუკი წარბშეუხრელად მისდევ მის მცნებებს. ეცადე გონებით შეერწყა უფალს, დაივიწყო და განუდგე ყოველივე ამსოფლიურს, უზრუნველად და უპირველად განისვენო უფალში. მარად გახსოვდეს იგი და ლოცვა აღავლინე ღვთისადმი. მაშინ გარკვეულწილად ღვთის სიყვარულსაც იგემებ და შესაბამისად განიღმრთობი კიდეც. როდესაც ავედრებ შენს თავს, ადამიანებს, ნაცნობსა თუ უცნობს, მტერსა თუ მოყვარეს, მშვიდსა თუ მრისხანეს, ერთნაირი გუ-

ლისტკივილითა და მონდომებით მაშინ გჯეროდეს, რომ სულით და გულით შეგიყვარებია მოყვასი შენი. გულის ამგვარ შემუსვრილებას ვერ შეძლებ, თუკი პირად ნება-სურვილს ან უარყოფ და მოყვასის ნებას არ დაჰყვები. ვეღარც მტრის თავდასხმას მოიგერჩებ, ვერც დიდსულოვნად და სულგრძელად შეიწყნარებ მაჭირვებელთა და მაძაგებელთა, ვერ ილოცებ მათთვის. დაჰყევ ამის მთქმელის ნებას: „რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალება; და აჰა თქუენი ყოველი წმიდა არს". (ლუკ. II, 41). შენ კი ძუნწობ, საკუთარი თავისთვისაც კი არ გემეტება შენი მონაგარი და არც გასაჭირში მყოფ მოყვასს შეეწევი და იბრალებ. რამეთუ, ვისაც ღვთის სიყვარული აქვს და ღვთის მეგობარია, მთელი სარჩო-საბადებელი მან ღარიბ-ღატაკთ დაურიგა, ხოლო ვისაც სურს დაამტკიცოს, რომ ქონებასაც ფლობს და ღვთის სიყვარულსაც, იგი ხიბლშია ჩავარდნილი: ხან სიმდიდრისკენ მიიქცევა, ხანაც ღვთის სიყვარულისკენ. ღმერთი სიყვარულია და უფალი ამბობს: „ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასა" (მათ. 6, 24). მამონას ვემონებით, როდესაც არსებობისათვის არასაჭირო ზედმეტი ნივთების, ოქროსა და ვერცხლის ტყვეობაში ვიმყოფებით. რამეთუ ქონების დაცვის სადარაჯოზე მყოფს ლოცვა არ ძალუძს, ვითარცა იტყჳს უფალი: „სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი". ასეთი ადამიანები ლოცვას ვერ შეძლებენ. მათზე უფალი კვალად ბრძანებს: „ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე: ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან". (მათ. 15, 8—9). ძე ღვთისას „საყუარელი" მოწაფე კი ღაღადებს: „უკეთუ ვისმე აქუნდეს საცხოვრებელი სოფელსა ამის, და იხილოს ძმაჲ თჳსი, რომელსა ეკმარებოდეს რაჲმე, და დაჰხშნეს ნაწლევნი თჳსნი მისგან; ვითარმე ჰგიეს მისთანა სიყუარული ღმრთისა?" (იოანე, I. 3, 17). შეუძლებელია სიყვარული ამა სოფლისა და სიყვარული ღვთისა გულში ერთდროულად ჰქონდეს ადამიანს. ამა სოფლის სიყვარული ღვთის სიყვარულს აქარწყლებს. ამაზე ამბობს უფალი: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცაღა რაჲ არს სოფლისა ამის". (იოანე, I. 2, 15). სხვა რა უნდა იგულისხმებოდეს სიტყვაში: „არს სოფლისა" თუ არა გამალებული ფაცი-ფუცი ქონების მოსახვეჭად, ხორციელი გულისთქ-

მები, სიამაყე და მიწიერი მისწრაფებები, რაც არ არის სულის მარგებელი. ყოველივე ეს არ არს უფლისგან, პირიქით, განგვაშორებს უფალს, აშთობს სულსა და ასამარებს ოქროსა და ვერცხლის სამარხში. უბრალო საფლავში, რომელშიც ჩვეულებრივ მოკვდავთ კრძალავენ, არავითარ ზედმეტ ნივთს არ ატანენ და შესაბამისად, გვამიც ჩქარა იხრწნება. მდიდრულ სამარხში კი ხრწნად სხეულებს მიწის გარდა ოქრო-ვერცხლის ქვიშაც ჰფარავთ, ცამდე და ზეციურ ანგელოსებამდე აღწევს შმორისა და სიმყრალის სუნი და მიცვალებულებს ვერ სწვდება საღვთო მადლი და წყალობა.

მაშასადამე, მაცხოვარმა თავისი „საყუარელი" მოწაფე ქალწულ-მახარობელი იოანე მოგვიელინა ჭეშმარიტების მქადაგებლად, მომაკვდინებელ ცოდვათაგან განმსპეტაკებლად, რომელიც ჩვენში აღვიძებს სწრაფვას კეთილი საქმეებისკენ, საუკუნო ცხოვნებას გვანიჭებს და გვირგვინია ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ კი ვითარ შევიყვარებთ ქალწულ-მახარებელს, რაგვარ პატივს მივაგებთ მას? მან ხომ ჭეშმარიტება გვიქადაგა. ჩვენი სიყვარულისა და თაყვანისცემის დასტური ჩვენივე საქციელია. ნუ მოვიქცევით, ძმანო, მისი ქადაგებების საწინააღმდეგოდ. დაე, სიყვარული და ღრმა რწმენა იგრძნობოდეს ჩვენს საქციელსა თუ სიტყვაში, ვუერთგულოთ მოციქულს საქმეშიც, ვითარცა ამბობს: „შვილნო ჩემნო, ნუ ვიყუარებით სიტყუთა ხოლო, ნუცა ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა (იოანე, I. 3, 8). ამგვარად, ოდეს ვდიდებისმეტყველებთ და გვიყვარს უფალი, საქმეებშიაც განვაცხადოთ გულწრფელი სიყვარული, მაშინ დაგვიმკვიდრდება აღთქმული ქვეყანა, საუკუნო ცხოვრება და სასუფეველი ცათა მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსა შვენის დიდება ცათა შინა და ქუეყანასა ზედა თანადაუსაბამოდ მამით თვისით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ძველბერძნულიდან თარგმნა მაია ინდუაშვილმა

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე

ცხონებისა და ქრისტეანული სრულყოფისათვის

მრავალი მსჯელობს ცხონების შესახებ, ბევრს უნდა მისი მოპოვება, მაგრამ კაცმა რომ ჰკითხოს, რა არის ცხონებაო, ძალიან გაუჭირდება პასუხის გაცემა. და მარტო პასუხის გაცემა რომ უჭირდეთ, კიდევ არაფერი! ამას მეტად მავნე შედეგი მოსდევს, რადგან იმის არცოდნა, თუ რა არის ცხონება, ჩვენს საქმიანობას სათნოებათა მოპოვების გზაზე გაურკვეველსა და არასწორს ხდის. ერთი შეხედვით თითქოს ბევრ სიკეთეს ჩავდივართ, სინამდვილეში კი ერთობ ნაკლებად ვიღწვით საკუთარი ცხონებისათვის. რატომ ხდება ასე? პასუხი ძალიან მარტივია: იმიტომ, რომ არ ვიცით, რა გვაცხონებს.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა გვაცხონებს, უნდა ვიცოდეთ, რა წარგვწყმედს, რამეთუ ცხონება მხოლოდ წარწყმედილებს სჭირდებათ. ცხონების მაძიებელი თავის თავს დაღუპულად აღიარებს, თორემ აბა რაღად დასჭირდებოდა გადარჩენის გზის ძიება?

ჩვენი წარწყმედა იმის ბრალია, რომ გაგვიწყდა ერთობა ღმერთთან და დაცემულ სულებთან დავამყარეთ კავშირი. ჩვენი ცხონება სატანასთან კავშირის დარღვევასა და ღმერთთან კავშირის აღდგენაშია.

ნაწილი პირველი

კაცთა მთელი მოდგმა წარწყმედისა და დაცემის მსხვერპლია. ჩვენი წინაპრების ნებსითი შეცდომების გამო თავიდანვე მოვაკლდით ღმერთთან ერთობას. ისინი უბიწოდ, ცოდვასა და

ხრწნილებასთან უზიარებლად იყვნენ შექმნილნი, შექმნისთანავე სული წმიდა დაიმკვიდრეს, ბუნებრივ, კაცობრივ მყოფობასთან ერთად მიიღეს ზებუნებრივი, ღმრთაებრივ ბუნებასთან შეერთებული მყოფობაც. მათ კი ნებსით უარყვეს ღმრთის მორჩილება, ნებსით დაემორჩილნენ ეშმაკს და დაკარგეს ერთობა ღმერთთან, დაკარგეს თავიანთი ღირსება და თავისუფლება და დაცემულ სულს დაემონენ. ადამმა და ევამ უარყვეს ცხოვრება და სიკვდილი ჩაისახლეს. ნებსით დაარღვიეს სიკეთის მთლიანობა, რაც შექმნისას მიენიჭათ, და ცოდვით მოიწამლეს თავი (წმ. გრიგოლ პალამას ეპისტოლე მონაზონ ქსენიას მიმართ). რაკი კაცთა მოდგმის დასაბამი სწორედ ისინი არიან, თავიანთი სენი, თავიანთი წარწყმედა და სიკვდილი გადასცეს და დღესაც გადასცემენ მთელ კაცობრიობას. ადამი ღმრთის ყოვლადწმიდა ხატად და მსგავსად იყო დაბადებული და შესაფერი შთამომავლობა უნდა ჰყოლოდა, მან კი შებღალა ხატი, განაქარვა მსგავსება, და შვა ისეთი შთამომავლობა, როგორიც შებღალულ ხატსა და განქარვებულ მსგავსებას ეკადრებოდა. საღმართო წერილი გვიმოწმებს, რომ კაცი ღმრთის ხატადაა შექმნილი (დაბ. 1, 27), მაგრამ ამ მოწმობას აღარ ავრცელებს ადამის მოდგმაზე. წერილი ამბობს, რომ ისინი დაიბადნენ ადამის ხატად (დაბ. 5, 3), ანუ ისეთებად, როგორიც გახდა ადამი დაცემის შემდეგ. მსგავსების დაკარგვის გამო ხატი უხმარ-იქმნა. საღმრთო წერილი ყოველი დაცემული კაცის პირით აღიარებს: „რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან" (ფსალმ. 50, 7). კაცი მტრად ექცა ღმერთს, თავის შემოქმედს (რომ. 5, 10).

ღმერთმა თავისი გამოუთქმელი მოწყალებით კვლავ მოუწოდა კაცობრიობას ერთობისაკენ და ეს აღასრულა გასაოცარი, მიუწვდომელი ქმედებით: თავისი სამსახოვნებიდან ერთ-ერთით, ყოვლადწმიდა სიტყვით, განკაცდა, სული წმიდის მიერ ჩაისახა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საშოში, აირიდა ჩვეულებრივი, კაცობრივი ჩასახვა მამაკაცის თესლისაგან, ჩასახვა, რომელმაც მთელ კაცობრიობას გადასცა ცოდვა. ამრიგად, კაცთა შორის გამოცხადდა უბიწო კაცი, ისეთი, როგორადაც ღმერთმა ჩვენი წინაპარი შექმნა. ეს უბიწო კაცი

ღმრთაებრივი ბუნების თანაზიარი იყო, ისევე, როგორც პირველი კაცი, მაგრამ ბევრად უფრო აღმატებული: ადამი სული წმიდის მადლით წმიდა კაცად გახლდათ დაბადებული, მაგრამ მაინც მხოლოდ კაცი იყო, განკაცებული ღმერთი კი ღმერთ-კაცად იქცა. კაცთა მოდგმის ყველა ცოდვა მან იტვირთა — მას შესწევდა ამის ძალა, რამეთუ კაცობრივი ბუნებაც ჰქონდა, მაგრამ თან ყოვლადძლიერი, ყოვლადსრული ღმერთიც იყო. უფალმა აღიღო რა კაცთა მოდგმის ყველა ცოდვა, მსხვერპლად შესწირა თავი ღმრთის მართლმსაჯულებას ადამიანების ცოდვათა გამოსასყიდად და აღასრულა გამოხსნა. უსაზღვროდ და უსასრულოდ წმიდა ღმერთმა თავისი ვნებითა და სიკვდილით გამოისყიდა კაცთა მრავალრიცხოვანი, მაგრამ არა უსაზღვრო ცოდვები. წმ. წერილი სრულიად სამართლიანად ამბობს მის შესახებ: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი" (იოანე, I, 29). საზოგადო და კერძო სათნოებებმა, რომლებიც კაცის დაცემული ბუნებიდან გამომდინარეობენ, ღმრთის განკაცების შემდეგ დაკარგეს მნიშვნელობა, ისინი შეცვალა ღმრთის დიდმა საქმემ — „რაჲთა გრწმენეს, რომელი — იგი მან მოავლინა" (იოანე, 6, 29). ღმრთის ამ დიდ საქმეში იგულისხმება ცხონებაც, და ამას თვით მაცხოვარი გვიმოწმებს: „და ესე არს ცხოვრება საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესო ქრისტე" (იოანე, 17, 3). ქრისტეანობის სათნოებები ქრისტესაგან, ქრისტეს მიერ განახლებული კაცობრივი ბუნებისაგან უნდა გამომდინარეობდნენ და არა დაცემული ბუნებისაგან. დაცემით სიკეთე სრულიად როდი აღმოიფხვრა ჩვენი ბუნებიდან, როგორც ეს დაცემულ ანგელოზს დაემართა, არამედ ჩვენი ბუნებითი სიკეთე არაბუნებით ბოროტებას შეერია, ამიტომ ამ დაცემულ ბუნებას თავისი კეთილი საქმეები და სათნოებებიც ახსიათებს. ამგვარ კეთილ საქმეებს სჩადიან წარმართებიც, მაჰმადიანებიც და ყველა, ვინც არ სცნობს ქრისტეს. ეს კეთილი საქმეები და სათნოებები, როგორც ბოროტების შერევით წაბილწულნი, ღმრთის წინაშე საძაგელნი არიან, ხელს უშლიან მასთან ერთობასა და ჩვენს ცხონებას. უარვყოთ ეს ცრუ სიკეთე ანუ, უფრო სწორად, უდიდესი ბოროტება! უარვყოთ დაცემული

ბუნების საქმეები! შევუდგეთ საქმიანობას, რომელიც ქრისტეს სარწმუნოებამ გვამცნო! მოვეშვათ ჩვენი დაცემული გონების, დაცემული გულის კარნახით ცხოვრებას და დავიწყოთ სახარების მცნებების მიხედვით, ღმრთაებრივი ნების მიხედვით ცხოვრება — მხოლოდ ამ გზით მოვიპოვებთ ცხონებას.

ისინი, ვინც დაცემულ ბუნების სიკეთეებს ზედმეტად აფასებენ, დიდ სულიერ ცოდვაში ვარდებიან, შეურაცხყოფენ და უარყოფენ ქრისტეს, და არც კი ესმით, რას სჩადიან. ასეთი ადამიანები ხშირად კითხულობენ: „რატომ ვერ ცხონდებიან წარმართები, მაჰმადიანები, ლუთერანები და სხვები, ქრისტეანობის აშკარა და ფარული მტრები? მათ შორის ხომ ბევრი კეთილი ადამიანია? ცხადია, კითხვაცა და შესიტყვებაც იმის არცოდნითაა გამოწვეული, თუ რას ნიშნავს კაცის ცხონება და წარწყმედა. ორივე, კითხვაცა და შესიტყვებაც, შეურაცხყოფს ქრისტეს და გამოთქვამს აზრს, რომ გამოხსნა და მხსნელი არ იყო აუცილებელი ადამიანებისთვის, რომ ისინი როგორმე თვითონვე მოახერხებდნენ საკუთარი თავის ხსნას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კითხვასა და შესიტყვებაში ქრისტეანობის უარყოფაა ჩადებული. დაცემული კაცობრივი ბუნების ღირსებებს, ისევე როგორც ძველი აღთქმის განჩინებებს, ქრისტეს მოსვლამდე თავიანთი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი მაცხოვრის მისაღებად ამზადებდნენ კაცს. ღმერთკაცმა ადამიანებთან თავისი მოსვლის შესახებ თქვა: „ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ. რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებას, მოვალს ნათლად, რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან“ (იოანე, 3, 19—21). მათთვის, ვინც ცოდვა შეიყვარა, ბუნებრივია ქრისტეს უარყოფა, რამეთუ ქრისტე ასერიგად შეყვარებული ცოდვის დატევებას მოითხოვს მათგან. ხოლო ვინც სათნოება შეიყვარა, მათთვის ბუნებრივია ქრისტესკენ სწრაფვა და ქრისტეს შედგომა, რამეთუ ქრისტეა მათ მიერ შეყვარებული სიკეთის სრულყოფა.

„არა არს თუალ-ღება ღმრთისა თანა, არამედ ყოველთა შორის თესლთა, რომელსა ეშინის მისა და იქმს სიმართლესა,

სათნო მისა არს“ (საქმე, 10, 34—35). ეს სიტყვები წმ. პეტრე მოციქულმა მოქცეული წარმართის, კორნილიოსის შესახებ თქვა. კორნილიოსი ჭეშმარიტი სათნოებისკენ სწრაფვამ მოამზადა ცხონების მისაღებად. წმ. იოანე ოქროპირი გვეუბნება, რომ სწორედ ასე უნდა გავიგოთ სიტყვა „სათნო“ (23-ე საუბარი „საქმე მოციქულთა“-ს შესახებ), ასევე ხსნის ამ სიტყვას თვით წმ. ლუკა მოციქული. წარმართმა კორნილიოსმა დაუტევა კერპები და გულმოდგინედ ეევდრებოდა ერთ, ჭეშმარიტ ღმერთს, უხვად გასცემდა მოწყალებას. ერთხელ, ლოცვისას, ღმრთის ანგელოზი მოევლინა და უთხრა: „კორნილიე! ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებლად შენდა წინაშე უფლისა. და აწ მიავლინენ შენ იობედ კაცნი და მოუწოდე სჯმონს, რომელსა ჰრქჳან პეტრე“ (საქმე, 10, 3—6). კორნილიოსის ლოცვა და მოწყალება იმდენად ძლიერი იყო, რომ სახიერმა ღმერთმა მოხედა მას, მაგრამ თავისთავად ამ სათნოებებმა კი არ აცხოვნეს, არამედ სარწმუნოება შესძინეს, სარწმუნოებამ კი ცხონება მიჰმადლა. სწორედ ეს გახლავთ დაცემულ ბუნების სიკეთის ზუსტი შეფასება! ამ სიკეთეს მხოლოდ მაშინა აქვს აზრი, როდესაც ქრისტესთან მივყავართ, ხოლო როდესაც იგი თავისი თავით კმაყოფილდება და ქრისტეს განგვაშორებს, მაშინ უდიდეს ბოროტებად იქცევა და გვტაცებს ქრისტესაგან მონიჭებულ ცხონებას, ცხონებას, რომელსაც თავისთავად ეს სიკეთე ვერაფრით ვერ მოგვცემს.

ბუნებითი სიკეთის მოქმედების მსგავსია ძველი აღთქმის მოქმედება: მისგან განდრეკა ქრისტეს მოსვლამდე ღმრთისაგან განდგომას ნიშნავდა, ქრისტეს მოსვლის მერე კი იგივეს ნიშნავს ძველი აღთქმის ამარა დარჩენა. იგი შეეწეოდა ცხონებას, ამზადებდა კაცს ქრისტეს სარწმუნოების მისაღებად, რომელიც ანიჭებს ცხონებას, მაგრამ იუდეველთათვის, რომლებმაც ძველი აღთქმის დაცვა მოინდომეს, იგი წარწყმედის შუამდგომლად და იარაღად იქცა. იუდეველთა სასიკვდილო ცოდნა ის იყო, რომ მათ ამპარტავნებისა და თავდაჯერების გამო ღმრთისაგან მოცემულ აღთქმას სხვა მნიშვნელობა მიანიჭეს, და ძველი აღთქმისათვის, რომელიც მხოლოდ მშვენიერი აჩრდილი იყო ჭეშმარიტებისა, უარყვეს

ახალი აღთქმა, ცხონების დროებითი სახელმძღვანელოსთვის: უარყვეს თვით ცხონება, უარყვეს მხსნელი და გამოხსნა.

ასევე დამღუპველია სულისათვის, როდესაც კაცი, ამპარტავნებითა და თავდაჯერებით დაბრმავებული, მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ კეთილ საქმეებს, ანუ დაცემული ბუნების საქმეებს. მაკარი დიდი ამბობს: „ავაზაკი და მპარავია, რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვით კერძო შევალს“ (იანე, 10, 1). და ასევე მპარავია და ავაზაკი, ვისაც ქრისტე კი არ განამართლებს, თვითონ განიმართლებს თავს“ (31-ე საუბარი, თავი IV). ყველა წმინდანმა დაუტევა საკუთარი სიმართლე და ქრისტეს სიმართლის ძებნას შეუდგა, სწორედ ამ სიმართლეში ჰპოვეს მათ წმიდა სიყვარული, რომელიც დაფარულია კაცობრივი ბუნებისათვის (37-ე საუბარი, თავი II). დაცემით გახრწნილი კაცობრივი ბუნების სიმართლეც გახრწნილია: „შევსცეთით და ვიქმნებით, ვითარცა არაწმინდანი, და ვითარცა ძონძი დაშტანისა[1]: ყოველი სიმართლე ჩუენი“ (ესაია, 64, 5—6), ამბობს წინასწარმეტყველი. და ამასაც იტყვის: „ფერხთაგან არა არს მის შორის სიმრთელე“ (ესაია, 1, 6). წინასწარმეტყველის ამ სიტყვებს მამები ასე ხსნიან: ბოროტებამ, რომელმაც მოსწყლა კაცი, რაიმე ერთი ნაწილი კი არ დააზიანა, არამედ მთელი სხეული, მთელი სული და მთელი ძალები (ღირსი მამა დოროთე, სწავლა 1, გამოსვლისათვის სოფლით). კაცობრივი ბუნების არც ერთი ნაწილი არ დარჩენილა, ცოდვა რომ არ შეხებოდა ჩვენი არც ერთი მოქმედება არაა დაცული ბოროტებისაგან. როცა წყალი ღვინოს ან ძმარს შეერევა, მაშინ ყოველი მისი წვეთი შეიცავს ამ შენარევს, და ასევე ჩვენი ბუნება, ბოროტებით სნეული, თავის ყოველ გამოვლინებაში რაიმე ბოროტს შეიცავს, მთელი ჩვენი ღირსება და სამკვიდრებელი მხოლოდ მაცხოვარია. (ღირსი მარკოზ მოღვაწე, სულიერი კანონისათვის, თავი 4). „გურწმენა, რაჲთა განვმართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა და არა საქმეთგან სჯულისათა“ (გალ. 2, 16). იმისათვის, რომ ცხოველი სარწმუნოებით შეეთვისოთ ღმერთს, საჭიროა მთლიანად უარვყოთ

1. დაშტანი — წიდოვნება, დედათა წესი.

ჩვენი სული (ლუკა, 14, 26), ანუ უარვყოთ არა მხოლოდ დაცემული ბუნების ცოდვები, არამედ მისი სიმართლეც. სწრაფვა დაცემული ბუნების სიმართლის შენარჩუნებისაკენ, რომელიც ცოდვითაა შებღალული, მხსნელის უარყოფას ნიშნავს. „განქარვებულ ხართ ქრისტესგან (უცხო ექმენით ქრისტეს), რომელნი ეგე სჯულითა (მოსეს სჯულით ან ბუნებრივი კანონით) განმართლდებით, მადლისა მისგან განვრდომილ ხართ“ (გალ. 5, 4), ამბობს მოციქული, და ამასაც უმატებს: „რამეთუ უკეთუ სჯულისაგან არს სიმართლე, ქრისტე სამე ცუდად მოკუდა“ (გალ. 2, 21). ეს ნიშნავს: თუ გონება უპირატესობას ანიჭებს კაცობრივ სიმართლეს ღმრთაებრივის წინაშე, აქ ნამდვილად ჩაგდებულია ღმრთის გმობის მარცვალი, რომელიც ღვივდება და მთლიანად წამლავს აზრთა მიმართულებას. ეს მარცვალია ცნება, რომ ქრისტე სრულიადაც არაა ცხონების აუცილებელი პირობა, ხოლო ამ ცნების მიღება ქრისტეს უარყოფას ნიშნავს. უფალმა თავიანთ სიმართლეს ჩაბღაუჭებულ ფარისევლებს უთხრა: „აწ იტყვით, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰგიან“ (იოანე, 9, 41), და კიდევ: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე, 9, 13). ეს ნიშნავს: ვინც თავის ცოდვებს ცოდვებად არ აღიარებს, ხოლო თავის სიმართლეს — ბინძურ ძონძებად, რომლებიც ცოდვასა და სატანასთან ერთობითაა შერყვნილი, ის უცხო-ექმნება მაცხოვარს, და თუმცა ბაგით, შესაძლოა, აღიარებდეს კიდეც ქრისტეს, სულით უარყოფს მას. წმიდა პავლე მოციქული, რომელიც უბიწო და მართალი იყო მოსეს სჯულითაც და ბუნებითაც, თავის სიმართლეს არარაობად შერაცხავს ქრისტეს შემეცნების წინაშე (ფალ. 3, 8). იგი უარყოფს და ნაგავად მიიჩნევს საკუთარ სიმართლეს, „რათა ქრისტე შეიძინოს“ (ფილ. 3, 8). „რადთა არა მაქუნდეს ჩემი სიმართლე სჯულისაგანი, არამედ სარწმუნოებითა ქრისტესითა, ღმრთისა მიერი იგი სიმართლე სარწმუნოებით“ (ფილ. 3, 9). „უკუეთე მით (სჯულის საქმეებით) ვეძიებდეთ განმართლებასა ქრისტეს მიმართ, ვიპოვნეთ ჩუენცა ცოდვილ“ (გალ. 3, 17). რამეთუ შეუძლებელია ქრისტესთან მიახლება და მასთან შეთვისება, თუ მანამდე გულწრფელად არ შევრაცხავთ საკუთარ თავს ცოდვილად,

წარწყმედილ ცოდვილად, ვისაც არავითარი საკუთარი სიმართლე და საკუთარი ღირსება არ გააჩნია, „რამეთუ საქმეთა მათთაგან სჯულისათა არა განმართლდეს ყოველი ხორციელი წინაშე მისსა. ხოლო აწ თვინიერ სჯულისა სიმართლე ღმრთისა გამოჩინებულ არს, წამებულ სჯულისა მიერ და წინაჲსწარმეტყუელთა. ხოლო სიმართლე ღმრთისაჲ სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა ყოველთა მიმართ და ყოველთა ზედა მორწმუნეთა, რამეთუ არა არს განწვალება, რამეთუ ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებისაგან ღმრთისა. ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მადლითა მისითა და გამოხსნითა მით იესო ქრისტესითა“ (რომ. 3, 20—24).

მონაზვნური მოღვაწეობის შეუვალი კანონია, რომ საკუთარი ცოდვების განცდა, რასაც კაცს ღმრთაებრივი მადლი ანიჭებს, ყველა სხვა მადლისმიერი ნიჭის წინამავალია. იგი ამზადებს სულს ამ ნიჭების მისაღებად. კაცს არ ძალუძს მათი მიღება, თუ მანამდე სულის სიგლახაკის ნეტარება არ მოიპოვა. „როდესაც სული იხილავს თავის ცოდვებს, ზღვის ქვიშასავით მომრავლებულს, ეს იმის ნიშანია, რომ სულში სინათლე იწყებს შეღწევას, რომ იგი გაჯანსაღების გზაზეა“ (წმ. პეტრე დამასკელი, წიგნი I, წერილი 2, ფილოკალია, ნაწ. 3). მღვდელმთავარი ტიხონ ვორონეჟელიც სწორედ ამ გამოცდილებით წერს: „შევიცნოთ ჩვენი ცოდვები, რამეთუ ესაა სინანულის დასაბამი. შევინანოთ, ყოვლად უღირსად შევრაცხოთ თავი. რაც უფრო უღირსად მიაჩნდათ თავი ღმრთის სათნომყოფელებს, მით უფრო მეტ პატივს მიაგებდა მათ ღმერთი. რა გაგვაჩნია საკუთარი? უძლურება, ხრწნილება, სიბნელე, სიბოროტე, ცოდვები“ (ტ. 15, წერილები 3, 70, 71). ვუფრთხილდეთ სასიკვდილო შეცდომასᲗ გვეშინოდეს ქრისტეს უარყოფისა, რომელიც ამ შეცდომიდან იშვება! გვეშინოდეს ცრუ, ქრისტეს რწმენისათვის უცხო აზრის შეთვისებისა და აქედან Გამომდინარე — ცხონების დაკარგვისა! ჩვენს დროში ასეთი სიფრთხილე მით უფრო საჭიროა, რომ დღეს განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება მოძღვრება დაცემული კაცობრიობის სათნოებისა და მიღწევების შესახებ, და ეს ქადაგება მიზნად ისახავს ყველა მიიზიდოს ამგვარი სათნოებების გზისაკენ. ამავე დროს იგი სასაცილოდ იგდებს უწმიდეს ქრისტეანულ ხა-

კეთეს და კაცთა შორის მისდამი სიძულვილის გაღვიძებას ცდილობს.

ცხონების საქმეები სარწმუნოების, ახალი აღთქმის საქმეებია. ამ საქმეებით კაცობრივი გონება და კაცობრივი ნება კი არა, ღმრთაებრივი ნება აღესრულება, რომელიც უფალმა სახარებით გამოგვიცხადა. ცხონების მსურველ ქრისტიანეს ეს საქმეები შეჰფერის:

1) სწამდეს ღმერთი ისე, როგორც თვით იგი გვიბრძანებს, ანუ მიიღოს ღმრთისაგან გამოცხადებული სწავლება, მიიღოს ქრისტეანობა, ქრისტეანობა კი მთელი სიწმინდითა და სისრულითაა დამარხული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რომელიც ღმერთმა აღმოსავლეთში დააფუძნა. აქედან იგი მთელ ქვეყანაზე გავრცელდა, მაგრამ დღეს სრული სახით მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიის წიაღშია შემონახული და ეს ეკლესია ღმრთივგამოცხადებულ ქრისტეანულ სწავლებას შეურყვნელად, რაიმე კაცობრივი ან დემონური შენარევების გარეშე იცავს. „სარწმუნოება უღირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნების“ (ებრ. II, 6), ამბობს მოციქული. ქრისტიანული სწავლება საყოველთაო ქადაგებით გვემცნო და სარწმუნოებით შევითვისეთ, და რაკი ესაა ღმრთაებრივი, ღმრთივგამოცხადებული სწავლება, რომელიც აღემატება კაცობრივ გონებას, მისი მიღება ადამიანს მხოლოდ გულით, მხოლოდ რწმენით შეუძლია. რწმენას შეუძლია მიიღოს, გულსა და გონებას შეუთვისოს ის, რაც გონებისათვის მიუწვდომელია და რისი მიღებაც ჩვეულებრივი განსჯის გზით შეუძლებელია. რამეთუ უფალმა თქვა: „რომელსა ჰრწნეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმნეს, დაისაჯოს“ (მარკ. 16, 16).

2) ვინც სარწმუნოება შეიძინა, იმან უნდა შეინანოს თავისი უწინდელი ცოდვები და მტკიცედ გადაწყვიტოს ღმრთის სათნო ცხოვრების დაწყება. წმ. პეტრე მოციქული ამცნებს ქრისტეანებს: „არამედ მწოდებელისა მისებრ თქუენისა წმიდისა და თქუენცა წმიდა იყვენით ყოველსავე შინა სლვასა თქვუენსა, ვითარცა შვილნი მორჩილებისანი, და ნუ თანახატ ექმნებით პირველთა მათ უმეცრებისა თქუენისა გულის

თქუმათა“ (I პეტრე, 15—14). შეუძლებელია ღმერთს შეეთ-ვისოთ, თუ ჩვენი ნებით ცოდვილ ცხოვრებას განვაგრძობთ. ახალი აღთქმა სინანულს უდებს პირველ პირობად ყველას, ვისაც ღმერთთან მიახლება სურს. ახალი აღთქმის პირველი მქადაგებელი, დიდი იოანე, უფლის წინამორბედი, თავის ქადაგებას სინანულისკენ მოწოდებით იწყებს: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 3, 2), ასე მიმართავს იგი განგდებულ და კვლავ ღმერთთან ერთობისკენ მოწოდებულ კაცობრიობას. ამავე სიტყვებით იწყებს ქადაგებას თვით უფალი: „მიერითგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 4, 17). უფალმა მოციქულებსაც ამცნო, ამ სიტყვებით დაეწყოთ თავიანთი ქადაგება, როდესაც ისინი მიავლინა პირველად შორის „ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა“ (მათე, 10, 6), რომლებიც ღმერთთან ერთობის პირველუფლების მიუხედავად დაღუპვის გზაზე იდგნენ: „და მი-რა-ხვიდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 10, 7). რწმენისა და სინანულისკენ თვით ღმერთმა მოგვიწოდა, და ამ მოწოდების მორჩილებით მიღება აუცილებელია ცხონებისათვის — ესაა ღმრთის ყოვლადწმინდა ნების აღსრულება.

3) ვინც სარწმუნოება მიიღო და ცოდვილი ცხოვრება დაუტევა ღმერთთან ერთობისათვის, ამ ერთობას აღწევს უპირველესი ქრისტეანული საიდუმლოს — წმიდა ნათლისღების მეშვეობით. ნათლისღება არის ღმრთაებრივი ცხოვრებისათვის დაბადება. შეუძლებელია ბუნებრივი არსებობის დაწყება, თუ კაცი ბუნებრივი კანონის მიხედვით არ იშვა, და ასევე შეუძლებელია ღმერთთან კავშირის დამყარება (რაც არის ჩვენი ნამდვილი ცხოვრება ანუ ცხონება), თუ კაცი ქრისტეანობას არ მიიღებს წმიდა ნათლისღებით — ასეთია ღმრთაებრივი დადგინება. ნათლისღებით გვეძლევა მეორედ შობა (ტიტ. 3, 5), ანუ მაცხოვარი გვიბრუნებს იმ წმიდა შობას, რომელიც ადამს შექმნისას მიენიჭა და დაცემით დაკარგა: „უკუეთუ ვინმე არ იშვეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა... უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისგან და სულისა, ვერ ხელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე,

3, 3—5). როდესაც ხორციელად ვიშვებით, მაშინ ჩვენი ხორციელი წინაპრის, ადამის შთამომავალნი ვხდებით, ადამისა, რომელმაც შობასთან ერთად საუკუნო სიკვდილიც მოგვანიჭა, წმიდა ნათლობით კი ღმერთკაცის სულიერ შთამომავლები ვხდებით, ღმერთკაცისა, რომელიც, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, არის „ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა“ (ესაია, 9, 6), ღმერთი გვშობს სულიერად და ამით საუკუნო ცხოვრებას, ცხონებასა და ღმრთაებრივ ნეტარებას გვანიჭებს. წმ. იოანე ღმრთისმეტყველი მათ შესახებ, ვინც ღმრთის სარწმუნოება შეიძინა და წმ. ნათლისღებით განახლდა, ამბობს: „ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი, რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს“ (იოანე, 1, 12—13). წმ. ნათლობა ღმრთის შვილებად გვყოფს და აღადგენს ჩვენს თავისუფლებას, შექმნით მონიჭებულსა და დაცემით დაკარგულს, აღადგენს ჩვენს ნებისყოფას, გვაძლევს უფლებას, ავირჩიოთ ან ღმრთის შვილობა, ან ღმრთის უარყოფა (ღირსი მამა დოროთე, სწავლა I). ჩვენს წინაპრებსაც ჰქონდათ მინიჭებული თავისუფლება მარადიულ ნეტარებაში ყოფნისა ან მისი დაკარგვისა. წმიდა ნათლობა მტკიცდება მეორე საიდუმლოთი — წმიდა მირონცხებით. მას სამართლიანად უწოდებენ ბეჭედს, რამეთუ წმიდა ნათლობა თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ პირობად, ხელშეკრულებად ღმერთსა და კაცს შორის. ბეჭედი, რომლითაც ეს პირობა მტკიცდება, არის წმ. მირონცხება.

4) ღმრთის შვილობას წმ. ნათლისღება გვანიჭებს, სახარების მცნებებით ცხოვრება გვინარჩუნებს, ხოლო ამ მცნებებისაგან განდგომა გვაკარგვინებს. ერთიცა და მეორეც თვით უფალმა დაგვიმოწმა: „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე ვითარცა ნასხლეტი და გაწხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწუას“ (იოანე, 15, 10, 6). ცხონებისათვის აუცილებე-

ლია, რომ ქრისტეს მიერ ნათელღებულმა ცხოვრებითაც ქრისტეს სჯული დაიმარხოს.

5) ღმერთკაცმა, რომელიც წმ. ნათლისღებით გვშვა ცხოვნებისათვის, თავისთან უახლოეს კავშირშიც შევყავართ მეორე დიდი, მიუწვდომელი საიდუმლოთი — ევქარისტიით, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ხორცსა და სისხლს ღმერთკაცის ხორცსა და სისხლს ვუერთებთ. „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა. რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო. უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იოანე, 6, 56, 54, 53). ამ საიდუმლოთი უფალმა სრულიად განგვაშორა ძველ ადამთან ნათესაობისგან და თავისთან შეგვაერთა. როგორ არ ცხონდება ის, ვინც ღმერთთანაა შეერთებული? „სადაცა ხორცი, მუნცა ორბები შეკრბეს“ (იოანე, 17, 37), ამბობს წმ. სახარება. ზეცით გარდამომავალი და სოფლისათვის ცხოვრების მიმნიჭებელი სულიერი საზრდელის ხშირი და ღირსეული მიღებით სულიერ ორბებს ვემსგავსოთ და ავმაღლდეთ იქ, სადაც აამაღლა თავისი ხორცი და კაცობრივი ბუნება ღმერთკაცმა, რომელიც დასაბამიდან იყო მამა ღმერთში თავისი ღმრთაებრივი ბუნებით, ხოლო კაცობრივი ბუნებით ამაღლდა და დაჯდა მარჯვენით მამისა მას შემდეგ, რაც აღასრულა კაცობრიობის გამოხსნა.

6) ჩვენი უძლურების შემწედ, ჩვენი ნათლისღების შემდგომი ცოდვების საკურნებლად ღმერთმა აღსარების საიდუმლო გვიბოძა. ამ საიდუმლოთი აღდგება და განახლდება ნათლისღებით მონიჭებული ბუნება. აღსარების საიდუმლო რაც შეიძლება ხშირად უნდა შევასრულოთ, რამეთუ იმ კაცის სულს, რომელიც ხშირად აღიარებს თავის ცოდვებს მომავალი აღსარების გახსენება აკავებს ცოდვის ჩადენისაგან და პირიქით, აუღიარებელი ცოდვები სიბნელეში ჩადენილს ჰგვანან, მათ გამეორებას არაფერი უდგას წინ.

სახარება ორ ნეტარ მდგომარეობას ახსენებს: ცხონებისას და ქრისტეანული სრულყოფისას. ერთი მდიდარი და წარჩინებული იუდეველი ჰაბუკი მუხლებში ჩაუვარდა მაცხოვარს და ჰკითხა: რა უნდა ვქნა, რომ საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდროთ? იუდეველს, ანუ ღმრთის მართალი სარწმუნოების მქონე კაცს, უფალმა უპასუხა: „უკუეთუ გნებავს ცხოვრებასა შესელა, დაიმარხენ მცნებანი" (მათე, 19, 17). როდესაც ჰაბუკმა ჰკითხა, რა მცნებებიო, უფალმა მხოლოდ ის მცნებები ჩამოუთვალა, რომლებიც მოყვასის მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. მაცხოვარს არ უხსენებია ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის განმსაზღვრელი მცნებები, იგულისხმებოდა, რომ იუდეველი იცნობდა ამ მცნებებს და ზუსტად იცავდა მათ ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. იუდეველთა ზნეობრივი და რელიგიური სნეულება განკაცებული ღმერთის მიწაზე მოსვლის დროისათვის შეიცვალა.

თუმცა სნეულება გარეგნულად შეიცვალა, თორემ არსით იგივე დარჩა, რაც იყო — ღმრთისაგან განდგომის სწრაფვა. იუდეველები არ გამოხატავდნენ იმ დაუძლეველ მიდრეკილებას კერპთაყვანისცემისაკენ, რომელიც ებრძოდა და არღვევდა მათ სულიერ და სამრქალაქო კეთილდღეობას მთელი ათასწლეულის მანძილზე, ეგვიპტიდან გამოსვლის დროიდან ბაბილონში გადასახლებამდე. ღმრთისაგან განდრეკასა და თავისი თაყვანისცემისაკენ მათ მიქცევას სატანა კერპების თაყვანისცემის გზით როდი ცდილობდა, მან სხვა, უფრო მზაკვრული ხერხი იხმარა, სხვა, უფრო დამღუპველი, ბევრად უფრო ღრმა და პირქუში უფსკრული მოუმზადა იუდეველებს. ეს კიდევ არაფერი: ჩააგონა გადამეტებული, არასწორი პატივისცემა წინაპართა წეს-ჩვეულებებისა და მოხუცების გადმოცემების მიმართ, და იმავე დროს მოსტაცა ღმრთის მცნებების პატივისცემა, ჩააგონა საღმრთო სჯულის ზუსტად და დაწვრილებით შესწავლა წიგნებიდან, და განაშორა იმავე საღმრთო სჯულის ცხოვრებით შესწავლას. ეს მწიგნობრული ცოდნა ეშმაკმა იუდეველთა უსაშინლეს ამპარტავნებაში, უსაშინლეს თავდაჯერებაში ჩასაგდებად იხმარა და ამიტომ, თუმ-

ცა მათ „ავი ღმრთის შვილები ეგონათ, სინამდვილეში ღმრთის ძტრები და ეშმაკის შვილები იყვნენ (იოანე, 8, 44). ღმრთის ერთგულების დაცვის საბაბით უარყვეს ღმერთი, ღმერთთან ერთობის საბაბით განშორდნენ მას, ღმრთისადმი სატანური სიძულვილით დასნეულდნენ და ბოლოს ეს სიძულვილი ღმრთის მკვლელობის ცოდვითაც დაამტკიცეს. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ დავუტოვეთ ღმრთის სათნო ცხოვრება და მოყვასის სიყვარული, და ამ დროს ღმრთისადმი გარეგნულად შენარჩუნებული დამოკიდებულება მკვდარია. ამიტომ იუდეველს, რომელმაც მაცხოვარს ცხონების მოპოვების გზა ჰკითხა, უფალმა მოყვასისადმი დამოკიდებულების მცნებები შეახსენა. ასევე ყოველი ქრისტიანე, თუ დახსნილი ცხოვრების დატოვებასა და მღვიძარე ცხოვრების დაწყებას დააპირებს და თავისი ცხონებისათვის ზრუნვას შეუდგება, პირველ ყოვლისა მოყვასისადმი თავის დამოკიდებულებას უნდა გადახედოს, გამოსასწორებელი გამოასწოროს, რასაც უკვე ველარ გამოასწორებს, გულწრფელად შეინანოს ღმრთის წინაშე, და შეეცადოს, შემდგომში ღმრთის სათნო ცხოვრებით იცხოვროს. მეზვერე ზაქე როდესაც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცა, თქვა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფი ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა, და უკეთუ ვისმე ცილი დავსწამე, მივაგო ოთხი წილი“ (ლუკა, 19, 8). და ესმა ყოვლადსახიერი და ყოვლადძლიერი უფლის განჩინება: „დღეს იქმნა ცხოვრება სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაჰა მისი არს. რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ მოძიებად და ცხოვრებად წარწყმედულთა“ (ლუკა, 19, 9—10). უფალი ასეთივე ყოვლადსახიერი და ყოვლადძლიერია დღესაც. ხორცით აბრაამის შთამომავალი, ზაქე, ღმერთმა თავის შთამომავლად მაშინ სცნო, როდესაც მან ღმრთის სათნო ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა, აქედან ჩანს, რომ უფალს იგი მანამდე არ უცვნია, თუმცა ხორციელი ჩამომავლობის მიხედვით ზაქეს ამის უფლება ჰქონდა. და ქრისტიანეც, ვიდრე თავისი ნებით, სახარების მცნებების საწინააღმდეგოდ, ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობს, არარის ღმრთისაგან ქრისტეანედ შერაცხილი, თუმცა კანონით აქვს ამის უფლება, როგორც ნათელღებულთა წმიდა დასის წევრს. მაგრამ რას გვარგებს სიტყვით ღმრთის აღიარება და საქმით კი მისივე უარ-

ყოფა? მათ შესახებ, ვინც სახარების მცნებების დაცვაზე არ ზრუნავს, უფალმა თქვა: „მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათე, 7, 23). ცხონებისათვის აუცილებელია დავიცვათ სახარების მცნებანი, რომელთაც წმ. ეკლესია ხელშეუხებლად იმარხავს.

ზემოხსენებულმა ჭაბუკმა, უფლის პასუხი რომ მოისმინა, ცხონებისათვის ღმრთის მცნებებით ცხოვრებაა საჭიროო, თქვა: „ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან, რაჲღა მაკლს მე?“ მიუგო იესომ: „წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე, 19, 2—21, მარკ. 10, 21), შეიძლება, რომ კაცი სოფელში ცხოვრობდეს, მონაგებიც ჰქონდეს, და ცხონება მაინც მოიპოვოს, მაგრამ სრულყოფილების მისაღწევად აუცილებელი პირობაა სოფლისაგან განდგომა. ცხონება ყველასათვის საჭიროა, სრულყოფილების ძიება კი მის მნებებელთა საქმეა. ქრისტეანული სრულყოფილების მაგალითს წმ. მოციქულების სახით ვხედავთ, ამას წმ. პავლე მოციქულიც გვიმოწმებს: „რავდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ“ (ფილიპ. 3, 15): მოციქული იმასაც ამბობს, რომ ქრისტიანული სრულქმნილება არის ღმრთისმიერი ცხოვრება, და წარმატების იმდენადვე უსასრულო ასპარეზი, რამდენადაც უსასრულოა თვით ღმერთი (ფილიპ. 3, 12). წმ. იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „როდესაც სრულთა ეს დაუსრულებელი სისრულე მოვა“, მითხრა ერთმა კაცმა, რომელმაც გამოცდილებით იცოდა, რასაც ამბობდა, „ისე განწმენდს გონებას და განაშორებს მას ყოველივე ნივთიერს, რომ ჯერ კიდევ ხორცში მყოფ სულს ზეცად აღიყვანს და უზენაეს საიდუმლოთა ჭვრეტის ღირსად ხდის. ამიტომ ამბობდა დავით წინასწარმეტყველი, რომელმაც იცოდა ამის გემო: „ღმრთისა ძლიერნი ქვეყანით ფრიად ამაღლდეს“ (კიბე, თავი 29, 3). სწორედ ამ სრულყოფილების შესახებ თქვა მესამე ცამდე აყვანილმა და გულითა და გონებით იქ დარჩენილმა პავლე მოციქულმა: „ხოლო ჩვენი მოქალაქობა ცათა შინა არს“ (ფილიპ. 3, 20). სისრულე სული წმიდასთან ხილულად ზიარებას ნიშნავს, რომელიც, როდესაც ქრისტიანე-

ში დაემკვიდრება, მის ყველა სურვილსა და ყველა ფიქრს მარადისობისკენ მიიზიდავს. სულის ასეთ მდგომარეობას გულისხმობდა წმ. დავით მეფე, როდესაც ამბობდა: „სული უფლისა იტყოდა ამას და სიტყუანი პირისა მისისანი ენასა ჩემსა“ (2 მეფეთა, 23, 2). მანვე თქვა სული წმიდის ჩაგონებით: „ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო! ჰსურის და მოაკლდების სულსა ჩემსა ეზოთა მიმართ უფლისათა, გული ჩემი და ხორცნი ჩემნი იხარებდეს ღმრთისა მიმართ ცხოველისა“ (ფსალმ. 83, 2—3). ანდა: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ (ფსალმ. 41, 2), ანდა: „ვაი მე, რამეთუ განმიგრძდა მე მწირობაჲ ჩემი“ (ფსალმ. 119, 5). ჩვეულებრივი კაცისათვის ამ სოფლით გადასახლების ასეთი სურვილი არაბუნებრივია, ეს მხოლოდ ღმერთშემოსილი მამისათვის არის ბუნებრივი, ისეთისათვის, როგორიც პავლე იყო. იგი ამბობს: „ჩემდა ცხოვრება ქრისტე არს, და სიკუდილი — შესაძინელ. გული მეტყვის განსვლად და ქრისტეს თანა ყოფად, უფროჲს და უმჯობეს ფრიად“ (ფილიპ. 1, 21, 23). წმ. ისააკ ასური ამბობს: „ვაჟარი რომ აღებ-მიცემობას მორჩება და თავის წილ მოგებას მიიღებს, შინ დაბრუნებას ჩქარობს. ასევე ბერსაც, ვიდრე მოღვაწეობა არ გაუსრულებია, არ სურს სხეულთან განშორება. ხოლო როდესაც მიხვდება, რომ მისი გზა განვლილია და მთავარი, რასაც დაეძებდა, უკვე მოიპოვა, მაშინ კი ეჩქარება ხორცთაგან, განსვლა და საუკუნო ცხოვრების დამკვიდრება. გონება, რომელმაც სული წმიდისმიერი სიბრძნე მოიპოვა, იმ კაცსა ჰგავს, შუა ზღვაში ხომალდს რომ წააწყდება, და ამ ხომალდს შეფარებული, ჩქარობს გაეცალოს ამა სოფლის ზღვას და საუკუნო ცხოვრების ნავსაყუდელს მიაშუროს. მომავალი ცხოვრების ამსოფლად განცდა ზღვის პატარა კუნძულსა ჰგავს; ამ კუნძულზე მოხვედრილს აღარ სურს მსოფლიო ზრუნვის ღელვასთან შებმა“ (სიტყვა, 85). ღირსი მაკარი დიდი ქრისტეანულ სისრულეს ასე აღწერს: „კაცმა თორმეტი საფეხური უნდა გაიაროს, ვიდრე სრულყოფილებას მიაღწევდეს, და როდესაც ამ საზომს მიაღწევს, სრულყოფილებასაც მოიპოვებს. თუ მადლი შემცირდა, ერთი საფეხურით ჩამოქვეითდება და მეთერთმეტეზე

დგება. ისეთებიც არიან, ვისაც ისე უხვად აქვს ღმრთის მადლი მინიჭებული, რომ დღე და ღამე სისრულის უმაღლეს საფეხურზე დგას, თავისუფალია ყოველი ზრუნვისაგან და მარადის ზეცისას ჭვრეტს. კაცი რომ ყოველთვის ამ ზებუნებრივ მდგომარეობაში იყოს, ვერც ღმრთისმსახურებას იტვირთავდა, ვერც რაიმე სხვა შრომას, არც არაფრის გაგონება მოუწდებოდა, არც თავის თავზე ან ხვალინდელ დღეზე ზრუნვა, სულ ერთ კუთხეში იჯდებოდა, ზეცად აღტაცებული და თითქოს თხრობას მიცემული. ამიტომ სისრულის უმაღლესი საზომი კაცს არ ეძლევა, რათა ძმებზე ზრუნვა და ღმრთისმსახურება შეძლოს. მაგრამ კედელი უკვე დაინგრა, და სიკვდილი იძლია — ეს კი ასე უნდა გავიგოთ: ოთახში, სადაც სანთელი ანთია, სიბნელის არსებობაც იგულისხმება, ასევე სულში გაჩენილ ნათელსაც რაღაც საფარველი ახლავს. ამიტომ ამ ნათელში მყოფი კაცი თავის თავს არ აღიარებს სავსებით სრულყოფილად და ცოდვისაგან განთავისუფლებულად. შუაკედელი დაირღვა და დაემხო, ოღონდ ნაწილობრივ და არა მთლიანად, სამუდამოდ, რამეთუ მადლი ხან უფრო მეტად ასწავლის და განამტკიცებს კაცს, ხან კი სუსტდება და მცირდება, გააჩნია, რა არის მისთვის უმჯობესი. ვინ მიაღწია ამ-სოფლად სისრულის უმაღლეს საზომს, და ვინ შეიცნო გამოცდილებით მომავალი ცხოვრება? ჯერ არ მინახავს არც ერთი ადამიანი, უმაღლესი ქრისტეანული სისრულე რომ მოეპოვებინოს და სრულიად თავისუფალი იყოს ყოველგვარი ბიწისაგან. არიან ისეთები, ვისაც მოიხილავს ნუგეშისმცემელი მადლი, ვინც ღმრთის საიდუმლოებებსა და გამოცხადებებს სწვდება, გამოუთქმელ წეტარებას განიცდის. მაგრამ ამის მიუხედავად, მასში ცოდვაცაა დარჩენილი: ჯერ არ მინახავს სრულიად თავისუფალი კაცი, რამეთუ ზოგჯერ ნაწილობრივ მეც გამომიცდია მადლისმიერი მდგომარეობა და, ამ გამოცდილებით შევიტყვე, რომ სრულყოფილი კაცი არ არსებობს" (მე-8 საუბარი, თავი 4, 5). ამიტომ უწოდა წმ. იოანე კიბისაღმწერელმა და ბევრმა სხვა მამამ ამ სრულყოფილებას „დაუსრულებელი სისრულე", და წმ. პავლე მოციქულიც ამას ამბობს: „არა თუ ვითარმედ აწვე მომიღებდეს, ანუ თუ აწვე სრულქმნილ ვარ, ხოლო ვსდევ ეგრე, რათა ვეწიო, რომლი-

თაცა წევნულ ვიქმენ ქრისტე იესოჲს მიერ. ძმანო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად, ხოლო ერთი ესე: უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები“ (ფილიპ. 3, 12—13).

ქრისტეანული სისრულე არის ნიჭი ღმრთისა, და არა კაცის შრომისა და მოღვაწეობის ნაყოფი, მოღვაწეობით მხოლოდ ამ ნიჭის მოპოვების გულწრფელი სურვილი დასტურდება. მოღვაწეობა აღვირს ასხამს და თრგუნავს ვნებებს, მისი მეშვეობით კაცობრივი ბუნება თავისუფლდება და ნიჭის მისაღებად მზადდება. კაცს ძალუძს განწმინდოს და შეამკოს თავისი ტაძარი, და ისიც ღმრთის შეწევნით, ხოლო ამ ტაძარში ღმრთის დამკვიდრება მხოლოდ ღმრთაებრივ ნებაზეა დამოკიდებული (იოანე, 14, 23).

უპოვარება და სოფლისაგან განდგომა სისრულის მიღწევის აუცილებელი პირობაა. გული და გონება მთლიანად ღმრთისაკენ უნდა იყოს მიმართული, უნდა განვიშოროთ ყველა დაბრკოლება, გართობის ყველა საბაბი. რამეთუ უფალი ამბობს: „ყოველმანვე თქვენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისსაგან მონაგებისა თვისასა, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა, 14, 33). წარმავალი მონაგებისადმი სასოება ღმრთისადმი სასოებით უნდა შევცვალოთ, თვით მონაგები კი ღმრთის აღთქმით, რომელმაც თქვა: „ნუ ჰზრუნავთ და იტყვით: „რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რაჲ გვიხმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე, 6, 31—33). ყველა ჭირისა და სიძნელის სანაცვლოდ, რასაც მონაგებისა და ამა სოფლის ყოველი კეთილის დატევებით შეამთხვევს თავის თავს კაცი, ღმრთის მადლი შეეწევა და ისეთ ნუგეშინისცემას მოუვლენს, როგორსაც სოფელი ვერასოდეს მისცემს თავის მსახურთ. ესე პავლე მოციქულმაც გვამცნო: „ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთის მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯუვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღვი-

ძარებითა, მარხვითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულებელითა, სიტყვითა ჭეშმარიტებისაჲთა, ძალითა ღმრთისაჲთა, საჭურველითა მით სიმართლისაჲთა მარჯუენისაჲთა და მარცხენისაჲთა, დიდებითა და გონებითა, გმობითა და ქებითა, ვითარცა მაცთურნი და ჭეშმარიტნი, ვითარცა უცნაურნი და საცნაურნი, ვითარცა მოსიკუდინენი, და აჰა ესერა ცხოველ ვართ, ვითარცა სწავლულნი და არა სიკუდილადნი, ვითარცა მწუხარენი, და მარადის გვიხარის, ვითარცა გლახაკნი, და მრავალთა განვამდიდრებთ, ვითარცა არარაჲ გუაქუს და ყოველივე გუაქუს" (2 კორ. 6, 4—10). ეს გამოსცადა ყველა მოციქულმა, რომელთაც ყოველივე დაუტევეს და ქრისტეს შეუდგნენ. მათ არავითარი ნივთიერი ქონება არ გააჩნდათ, მაგრამ მთელ ქვეყანას, წარწყმედის ჭაობში ჩაფლულს, ფასდაუდებელი სულიერი საგანძური — ღმრთის ცნობა და ცხონება მიანიჭეს. არაფერი გააჩნდათ, მაგრამ მთელი ქვეყანა მათი იყო — სადაც არ უნდა მისულიყვნენ, ყოველ ქალაქსა და ყოველ დაბაში ღმრთის განგებით გამზადებული ჰქონდათ ჭერიცა და საზრდელიც: „რომელნი იგი პოვნიერ იყვნეს სახლებისა გინა დაბნებისა, განჰყიდდეს და მოაქუნდა სასყიდელი განსყიდულთა მათ" (საქმე; 4, 34). ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ წმ. მოწამეებიც. ვიდრე მოღვაწეობას შეუდგებოდნენ, ჩვეულებრივ მონებს ათავისუფლებდნენ და ქონებას გლახაკებს ურიგებდნენ. ამრიგად, ყოველგვარ კავშირს წყვეტდნენ სოფელთან და თვით სულის სამოსს — სხეულს, უსჯულოებათა შინა შობილს, განიძარცვავდნენ, და შეიმოსავდნენ სული წმიდის სამოსელს — უფალ იესო ქრისტეს. ასე რომ, ხორციელ სამოსელს სულიერით ცვლიდნენ, ხრწნადს — უხრწნელით, ცოდვილს — უცოდველით, მიწიერს — ზეციერით. წმ. მოწამეთა წამებას განსაკუთრებული თვისება ჰქონდა: ისინი ეწამნენ არა როგორც ადამის შვილნი, არამედ როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილები. წმ. მოწამე ფელოციტა ფეხმძიმედ იყო, როდესაც იგი სარწმუნოების მტკიცე აღმსარებლობისათვის ბნელ საკანში ჩააგდეს. იქ მას ძნელი მშობიარობა დაეწყო და უნებლიეთ ყვირილი აღმოხდა. ერთ-ერთმა მცველმა უთხრა: „ახლა ყვირიხარ და მხეცებს რომ მიუგდებენ შენს თავს შე-

საჭმელად, მერე რაღას იზამ?“ ქალმა უპასუხა: „ახლა ვიტანჯები, მაშინ კი სხვა (უფალი) ეწამება ჩემს ნაცვლად, რამეთუ მე მისთვის ვეწამები“. მოწამეობა კაცობრივი გამოგონება ანდა მხოლოდ კაცობრივი ნების გამოვლინება როდი გახლავთ, ესაა ღმრთის ნიჭი, და ამიტომ ზებუნებრივი მოვლენაა. ამას ამბობს პავლე მოციქულიც: „რამეთუ თქუენ მოგემადლა ქრისტესთვის არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნოება, არამედ მისთვის ვნებაჲცა“ (ფილიპ. I, 29). მოწამეობის მსგავსად მონაზვნობაც ღმრთის ნიჭი და ზებუნებრივი მოღვაწეობაა. მონაზვნობაც თავისი არსით იგი მოწამეობაა, და მხოლოდ ზერელე, უმეცარ კაცს ეჩვენება იგი რაღაც გაუგებრობად. მოწამეობის მსგავსად, მონაზვნობაც სოფლის უარყოფას მოითხოვს. მოწამეობის ღვაწლი სხეულის გვემით იწყება და მისი სიკვდილით მთავრდება, ასევე მონაზვნობის ღვაწლის საკუთარი ნებისა და გონების მოკვეთით, ხორციელი ტკბობის უარყოფით იწყება და იმით მთავრდება, რომ სულიცა და ხორციც კვდება ცოდვისათვის და ცოცხლდება ღმრთისათვის. ცოდვასთან სასიკვდილო ორთაბრძოლაში, განსაკუთრებული, ზებუნებრივი მოღვაწეობის ფასად, მრავალი მონაზვნის ღვაწლი მონაზვნურიდან მოწამებრივში გადავიდა, რამეთუ ეს ორი ღვაწლი ძალიან ჰგავს ერთმანეთს წინაპირობით — სოფლისა და საკუთარი თავის უარყოფით. როგორც მოწამეობის ღვაწლია გაუგებარი და სიგიჟის ტოლფასი ამპარტავანი, ამა სოფლის ხრწნად სიკეთეებს დამონებული კაცისთვის, ისე გაუგებარი და უცნაურია მისთვის მონაზვნობა. მოწამეთა ნაწილები მათი მიცვალების შემდეგ სასწაულმოქმედ ნიჭებს იძენდნენ, ასევე, როდესაც მონაზონი კვდება ცოდვისათვის, მასში ღმრთის მადლი იწყებს მოქმედებას, და ეს მადლი მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტად კვდება მოწაზონი ცოდვისათვის. ყოველი მონაზვნის ღვაწლი ზებუნებრივია: იგი აუცილებლად უნდა ესწრაფვოდეს გამარჯვებას თავის ბირუტყვულ ბუნებაზე, რომელიც დაცემის შემდეგ ყველა ადამიანის ხვედრია. ზოგიერთი წმიდა მონაზვნის ღვაწლი მოწამეთა ღვაწლზე უფრო მიუწვდომელიც კი ჩანს, იმდენად ზებუნებრივია იგი. ამაში გვარწმუნებს ღირსი მარკოზ თრაკიელის, ღირსი ონოფრე დიდის, ღირსი მარიამ მეგვიპტელის და

სხვა წმინდანების ცხოვრების გაცნობა. რატომ ეჩვენებათ მონაზვნობისა და მოწამეობის ღვაწლი ამსოფლიურ სიკეთეებსა და ცოდვას დამონებულ ადამიანებს სიგიჟედ და უაზრობად? ალბათ იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ დაცემული ბუნების სიკეთეს მიიჩნევენ სიკეთედ, ქრისტეანობა კი არც იციან და არც ესმით.

სრულყოფილების მისაღწევად გლახაკთათვის ქონების დარიგების შემდეგ მოღვაწემ უნდა „აღიღოს ჯვარი თვისი" (მარკ. 8, 34). მამულის დატოვებას საკუთარი თავის უარყოფა უნდა მოჰყვეს, სწორედ ესაა ჯვარის აღება, რაც ნიშნავს, რომ კაცი თავისი ნებით იტვირთავს ორგვარი სახის მწუხარებებს, რომლებიც თითქოს ჯვარის ორ ძელს შეადგენენ, ეს ორი ძელი კი ერთმანეთს უერთდება და თან ერთმანეთს კვეთს. ერთი სახის მწუხარებებს უფალი მოგვივლენს ხოლმე ჩვენი სულიერი აღშენებისათვის, მეორე სახის მწუხარებები კი თვითონვე უნდა ვიტვირთოთ ჩვენი ვნებების დასათრგუნად და ბოსაკვდინებლად. ღმრთის განგებით დაშვებული მწუხარებების შესახებ წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რომელი უყუარს უფალსა, სწავლის; და ტანჯვის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის. უკეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწყნარებს თქუენ ღმერთი. რამეთუ ვინ-მე არს შვილი, რომელი არა სწავლის მამამან? ხოლო უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარქმნულ არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი. აწ უკუე, თუმცა გუესხნეს ხორციელნი მამა-დედანი მასწავლებლად, გუეკდიმებოდა სამემცა, არა-მე უფროჲს დავემორჩილნეთა მამასა მას სულთასა და ვცხოვწდეთ?" (ებრ. 12, 6—9). წმ. პეტრე მოციქული მწუხარებათა სულიერ განმარტებას გვაძლევს და ასე ანუგეშებს განსაცდელში ჩავარდნილებს: „საყუარელნო, ნუ უცხო გიჩნს თქუენ შორის განხურვება ეგე, რომელ იქმნების განსაცდელად თქუენ თანა, ვითარმცა უცხო რაჲმე შეგემთხუოდა თქუენ, არამედ რავდენ-ეგე ეზიარებით ვნებათა ქრისტესთა, გიხაროდენ, რაჲთა გამოჩინებასაცა დიდებისა მისისასა გიხაროდის და მხიარულ იყვენით. უკეთუ იყუედრებოდით სახელისათვის ქრისტესისა, ნეტარ ხართ, რამეთუ დიდებისაჲ იგი და ღმრთისაჲ სული თქუენ ზედა განსუენებულ არს, რამეთუ ვი-

თარ იგინი ჰგონებენ, იგმობვით, ხოლო ვითარ-იგი თქუენ გნებავს, იდიდებით. ნუმცა ვის თქუენგანსა ევნების, ვითარცა კაᲘცის-მკვლელსა, გინა მპარავსა, გინა ძვირის-მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოჲსა განმგესა. ხოლო უკუეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუენინ, არამედ ადიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილითა. რამეთუ ჟამმან დაწყებად სასჯელისა პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს, უკუეთუ კულა პირველად ჩუენგან, რაჲმე იყოს აღსასრული ურჩთა მათ სახარებისა ღმრთისაჲთა? და უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, უღმრთოჲ იგი და ცოდვილი სადა-ღა იპოოს? ამერითგან რომელთაცა ევნებოდის ნებითა ღმრთისაჲთა ვითარცა სარწმუნოთა დამბადებელსა, შეჰვედრნედ სულნი თვისნი კეთილის საქმითა" (I პეტრე, 4, 12—19). პავლე მოციქული გვასწავლის, რომ ღმრთის განგებით ჩვენზე დაშვებული განსაცდელები უდიდესი მორჩილებით უნდა მივიღოთ როგორც თვით პავლე ღებულობდა: „სათნო-მიჩნს უძლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა, დევნულებათა და იწროებათა ქრისტესთვის" (2 კორ. 12, 10). წმ. პეტრე მოციქული გვეუბნება, რომ როდესაც განსაცდელები შეგვაიწრებენ, ღმრთის ნებას უნდა მივენდოთ და მტკიცედ, განსაკუთრებული სიფრთხილით დავიცვათ მცნებები, რომელთაგანაც ჩვენს განშორებას ცდილობს ეშმაკი ურვის, უიმედობის, დრტვინვის, მრისხანების, გმობის მეშვეობით. „ყოველივე ზრუნვა თქუენი მიუტევეთ მას, რამეთუ იგი იღუწის თქუენთვის" (I პეტრე, 5, 7). მოციქული იაკობი გვამცნებს: „ყოველივე სიხარულად შეჰრაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შესცვივეთ პირად-პირადსა" (იაკ. 1, 2). ჩვენს თავს მოწევნული განსაცდელები იმის ნიშანია, რომ ღმერთმა მოგვიწოდა, გამოგვირჩია და გვიშველა. განსაცდელთა სიღრმეში დანთქმულებმა დიდება აღვუვლინოთ ღმერთს, როგორც ამას იქმოდა მართალი, მრავალვნებული იობი, ყოველი მხრიდან ათასი ჭირით შეიწრებული. (იობი, 1, 21, 2, 10). იქიდანვე შევწიროთ მადლობა ღმერთს, რომელი სულიერ ნუგეშინისცემასა და მოთმინების ძალას მიჰმადლის გულს, მადლობა ხომ თვით ღმერთმა გვაცნო: „ყოველსა შინა ჰმადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ ქრისტე იესოჲს მიერ თქუენდა მიმართ" (I თეს. 5, 18). წმ. პეტრე დამასკელი

ამბობს: „როგორც მოყვარული მშობლები იქცევიან, ანუ მუქარით აიძულებენ უგუნურ შვილებს, სწორ გზას დაადგნენ, ისევე ღმერთი უშვებს ჩვენზე განსაცდელებს. განსაცდელები თითქოს კვერთხია, რომლითაც უფალი ღირსეულებს ეშმაკის ზოროტი რჩევების მიღებისაგან იცავს. „რომელი ერიდებოდის კუერთხითა ძესა თვისსა, სძულს იგი, ხოლო რომელსა უყუარდეს, გულსმოდგინედ სწავლინ“ (იგავი, 13, 24). სჯობს განსაცდელთა მოთმენით შევუვრდეთ ღმერთს, ვიდრე მათ წინაშე ძრწოლის გამო განვუდგეთ უფალს, ეშმაკის ხელში ჩავცვივდეთ და საუკუნო სატანჯველის კერძნი გავხდეთ. ერთ-ერთი უსათუოდ მოგველის: ან პირველი, დროებითი განსაცდელი უნდა დავითმინოთ, ან მეორე, სამუდამო დავიმკვიდროთ. მართლებს არც პირველი უბედურება ეკარებათ და არც მეორე, რამეთუ ის განსაცდელები, ჩვენ სატანჯველად გვეჩვენება, მათთვის საყვარელ და სასურველია, სიხარულით ღებულობენ ყოველგვარ განსაცდელს, როგორც სულიერი სარგებლობის მოპოვების საშუალებას, და უვნებელნი რჩებიან. შეიძლება, კაცს ისარი მოხვდეს, მაგრამ არ განგმიროს, და ისიც შეიძლება, რომ ჭრილობა სასიკვდილო გამოდგეს. განა იობს ავნო რაიმე განსაცდელმა? პირიქით, გვირგვინსან-ჰყო. განა მოციქულები და მოწამენი შეაძრწუნა წამებამ? წმ. წერილი ამბობს, რომ მათ უხაროდათ, „რამეთუ ღირს იქმნნეს სახელისა მისისათვის გინებად“ (საქმე, 5, 41). რაც უფრო მძიმე ბრძოლა აქვს გადატანილი გამარჯვებულს, მით უფრო მეტად პატივს მოიხვეჭს და მით უფრო დიდ სიხარულს განიცდის: საბრძოლო საყვირის ხმისა კი არ ეშინია, როგორც სიკვდილის მომასწავებელი ნიშნისა, არამედ უხარია, რადგან მომავალი გვირგვინი და საზღაური წარმოუდგება თვალწინ. არაფერს მოაქვს ისეთი იოლი გამარჯვება, როგორც სიმხნევესა და მტკიცე სარწმუნოებას, და არაფერია უფრო უეჭველი საწინდარი დამარცხებისა, ვიდრე თავისმოყვარება და სიმხდალე, ურწმუნოებისაგან შობილი“ (ფილოკალია, ნაწ. 3, წიგნი I, სტატიები სათაურით: „თავმდაბლობის გარეშე შეუძლებელია ცხონების მოპოვება“). უფალმა თავის მიმდევრებს აღუთქვა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე ჭირი და დევნა არ მოაკლდებოდათ, მაგრამ ამასთან ერთად სიმხნევე

და სასოებაც ამცნო: „უკუეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა, რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქუენ სოფლისაგან, ამისთვის სძულთ თქუენ სოფელსა“ (იოანე, 15, 18—19), „არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოანე, 16, 33). ამ სიტყვებით უფალი გვეუბნება, ვერავითარი ჭირი და განსაცდელი ვერ მოგერევათ და ვერ შეგმუსრავთ, თუ ჩემს სარწმუნოებას არ დააგდებთ და ჩემს მცნებებს არ დაუტევებთო. „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებაჲცა, რაჲთა შეეძლოთ დათმენად“ (I კორ. 10, 13). საღმრთო წერილის სხვა ადგილასაც იგივეს გვიმოწმებს სული წმიდა: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნეს იგინი უფალმან. დაიცვნეს უფალმან ყოველნი ძუალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს“ (ფსალმ. 33, 20, 21). ვერწმუნოთ ღმრთის აღთქმას, ნუ შევუშინდებით მწუხარებათა მღელვარე ზღვას, და მაშინ უფლის უხილავი, მაგრამ ყოვლადძლიერი მარჯვენის შეწევნით მშვიდობით მივადგებით ნაპირს.

ჯვარის მეორე ნაწილი ნებსით სულიერი საქმეებისაგან შედგება, რომლებიც ღმერთმა დაგვიდგინა და გვამცნო, ამ საქმეებით ითრგუნება ჯერ ხორცის, მერე კი სულის ცოდვილი გულისთქმები. მათ შესახებ თქვა პავლე მოციქულმა: „არამედ აღვიკრძალავ ხორცთა ჩემთა და დავიმონებ ნუუკუე სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო“ (I კო. 9, 27). პეტრე მოციქულიც ამას გვამცნებს: „ქრისტემან რაჲ ივნო ჩუენთვის ხორცითა და თქუენცა იგივე გონებაი შეიჭურვეთ, რამეთუ რომელმან-იგი ივნო ხორცითა, დაცხრომილ არს ცოდვისაგან“ (I პეტრე, 4, 1). და ასევე პავლე იტყვის: „ხოლო ქრისტეთა მათ ხორცნი თვისნი ჯუარს-აცუნეს ვნებიოურთ და გულის თქუმით“ (გალ. 5, 24). ხორცი, რომელსაც ჯვარს კი არ აცვამენ, არამედ წოყიერი კვებით, განცხრომითა და მოსვენებით აფუფუნებენ, შეუძლებელია ცოდვას არ თანაუგრძნობდეს, შეუძლებელია არ ტკბებოდეს ცოდვით,

ასეთი ხორცი არ არის მზად სული წმიდის მისაღებად, იგი უცხოა და მტრულად განწყობილი ქრისტეს მიმართ. „ხოლო ჭეშმარიტი ქურივი და მარტო ქმნული“; ანუ, ვინც ჭეშმარიტად უარყო ეს სოფელი, მოკვდა მისთვის, ვინც ყველა და ყველაფერი მიატოვა ღმრთისათვის, „ესავს უფალსა და დადგრომილ არს ვედრებასა და ლოცვასა დღე და ღამე, ხოლო რომელ-იგი იშუებდეს“, ანუ, ვინც გარეგნულად დატოვა სოფელი და მონაგები გლახაკებს დაურიგა, მაგრამ სინამდვილეში განცხრომას ეძლევა, „ცოცხლივ მკვდარ არს“ (I ტიმ. 5, 5—6), რამეთუ „რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებაჲ, ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვისსა, სულისაგან თვისისა მოიგოს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“ (გალ. 6, 8).

ქრისტეს მოღვაწისათვის აუცილებელია ჯვარს-აცვას ხორცი, აუცილებელია მოსაგრეობის ტკბილ უღელს მოუხაროს ქედი, რათა დათრგუნოს ხორცის პირუტყვული გულისთქმები, ოღონდ შრომა კაცის ძალებს არ უნდა აღემატებოდეს, ჯანმრთელობა და ძალ-ღონე უნდა შეინარჩუნოს, რამეთუ ისინი აუცილებელნი არიან თვით მოღვაწეობისთვის. „ჩვენ ვისწავლეთ ვნებების, და არა ხორცის მოკვდინება“, ამბობს პიმენი დიდი (ანბანური პატერიკონი). ხორცით უძლურთათვის და ავადმყოფებისთვის კი ძალიან საშიშია ზომიერი თავშეკავებულობის დარღვევა, რამეთუ ასეთი დარღვევა კი არ შველის, უფრო მეტადაც ასუსტებს უძლურსა და ავადმყოფს. ყველაზე მეტად მოღვაწის ხორციელი ძალების განმტკიცებასა და შენარჩუნებას გონივრული ზომიერება შეეწევა, ეს ერთნაირად ეხება ძლიერი აგებულების ადამიანებსაც და სუსტებსაც.

მას შემდეგ, რაც მონაგებს გლახაკებს დაურიგებს და სოფელთან კავშირს გაწყვეტს, ქრისტეს მოღვაწე პირველ ყოვლისა ცთუნებათა საფრთხეს უნდა განერიდოს და მონასტერში განმარტოვდეს. ასეთი განრიდებით უწინდელი ცოდვილი ცხოვრების შეგებებდილებები აღიხოცება და ახალი შეგებებდილებების მიღების შესაძლებლობაც ისპობა, ამისკენ ღმრთის ჭეშმარიტ მსახურებს თვით სული წმიდა მოუწოდებს: „ამისთვის გამოვედით შორის მათსა და გამოეშორე-

ნით, იტყვის უფალი, და არაწმიდასა ნუ შეეხებით, და მე შეგიწყნარნე თქუენ. და ვიყო მე თქუენდა მამა, და თქუენ იყვნეთ ჩემდა ძეებ და ასულებ, იტყვის უფალი ყოვლის› ›პყრობელი“ (2 კორ. 6, 17—18). თვითონ მონასტერში უნდა ვერიდოთ ურთიერთობებს, ძმების სენაკებში შესვლასა და მათ მიღებას, რათა სული მზად იყოს მასში ჩაგდებული უფლის სიტყვის მისაღებად და თავის დროზე სულიერი ნაყოფი გამოიღოს. ყანა, პურის მოსავალი რომ მოგცეს, რკინის იარაღით მუშავდება და ყველანაირი სარეველა სცილდება. წმ. სვიმეონ ღმრთისმოშიშმა თავის მოწაფეს, სვიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს, მონასტერში მისვლისას ამცნო: „იცოდე, შვილო, თუ ცხონება გინდა, ნუ ილაპარაკებ ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ და ნუ ივლი ძმების სენაკებში, საერთოდ, ერიდე კადნიერებას. დაიცევ შენი გონება, რათა აქეთ-იქით კი არ აწყდებოდეს, არამედ მარადის თავისი ცოდვები და საუკუნო ტანჯვა ედგას თვალწინ“ (წმ. სვიმეონ. ახალი ღმრთისმეტყველის ცხოვრება). სენაკში მხოლოდ აუცილებელი, რაც შეიძლება უბრალო ნივთები უნდა გექონდეს: ზედმეტ და ლამაზ ნივთებს გული მაშინვე ეჯაჭვება, გონება კი ოცნებებისა და გაფანტულობისაკენ იხრება, რაც ძალიან მავნეა.

მეორე ნაბიჯი მოღვაწისა განმარტოების შემდეგ ზომიერი მარხვა უნდა იყოს. ახლადმოსულის მარხვა მონასტრის ტრაპეზზე წესდება; მან იმდენი უნდა ჭამოს, რომ თავს გაძღომის ნება არ მისცეს, მაგრამ არც ისე ცოტა, მორჩილების შესრულება ვერ შეძლოს. ტრაპეზის გარეშე ჭამას მამათა გადმოცემაც კრძალავს და მონასტრის ტიპიკონიც. ის მონაზონები, რომლებიც ღმერთმა დაყუდებისა და მუდმივი ლოცვის ღვაწლისთვის გამოირჩია, დღეში ერთხელ უნდა ჭამდნენ, ისიც არა გაძღომამდე, შეუძლიათ მიიღონ მონაზონთათვის ნებადართული ყველა სახის საკვები, რასაც ღმერთი მისცემს. და ასეთი თავისუფლების მიუხედავად მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური, რომ საჭმელმა ტკბობა არ მიანიჭოს ან ზედმეტი არ მოუვიდეთ. ჭეშმარიტი სიტკბოება სასუფეველში მოგველის, აქ კი, მისკენ მიმავალ გზაზე, აღვიკვეთოთ განცხრომა, დავიკმაყოფილოთ მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვ-

ნილება და არა პირუტყვული ყინი. მარხვა და განმარტოება მონაზვნური ცხოვრების იმდენად არსებითი ნიშნებია, რომ მათგან წარმოდგა თვით სახელწოდება: ბერძ. „მონახოს“ ლათ. solitarius. სიტყვიდან „მონოს“ (ბერ.) solus (ლათ.) — ერთი, განმარტოებული. მონაზვნებს მმარხველებსაც უწოდებდნენ.

მესამე საქმე მღვიძარებაა, ახალმოსული მონაზონი ამ საქმეს მაშინ გაართმევს თავს, თუ უკლებლივ ყველა საეკლესიო ლოცვას დაესწრება. დაყუდებულისათვის მღვიძარების ღვაწლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ღვაწლის აღებას მონაზონს შეაძლებინებს მუდმივი ხსოვნა, თითქოს წინასწარგანცდა სიკვდილისა და მის შემდეგ — ღმრთის უთვალღებო სამსჯავროსი. მონაზონი ცდილობს, ვიდრე ღმრთის ამ საშინელ სამსჯავროზე წარსდგებოდეს, ძრწოლითა და მოწიწებით იდგეს ლოცვაზე, როგორც თვით უფლის წინაშე, იმედი აქვს, რომ აქ ითხოვოს და მიეცეს ცოდვათა მიტევება, რათა, როდესაც სული სხეულს გაეყრება, უშიშრად განვლოს გზა მიწიდან ზეცამდე. ამიტომ თავის სენაკში განმარტოებული ლოცვის დროს მოკრძალებით დგას ღმრთის მოწყალების კარებთან და აკაკუნებს, აკაკუნებს ტირილით, კვნესით, მდაბალი ვედრებით, საკუთარ ცოდვათა განცდით შეურვებული გულის სიღრმიდან რომ მოდის. რაც უფრო მატულობს ღმრთის შიშის განცდა, მით უფრო ძლიერდება მღვიძარების ღვაწლი, მაგრამ თავიდან უნდა ვაიძულოთ თავი ამ ღვაწლის გასაწევად, ურომლისოდაც ვნებების სრული და საბოლოო დაძლევა შეუძლებელია. მოკლედ, იმ საზომს უნდა მივაღწიოთ, რომელიც ქრისტემ დაგვიდგინა: „იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თვისსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რათა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღოს მას. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი და ბოვნეს იგინი მღვიძარნი. ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დაასხსნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ. დაღათუ მეორესა სახუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი. ხოლო ესემცა უწყით: უკუ-

ეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღვიძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თვისისა. და თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს" (ლუკა, 12, 40). ეს საზომი ღმრთის შიშის განცდით მიიღწევა, ხოლო ვინც ამ საზომს მიაღწევს, მერე ისე ცხოვრობს სოფლად, როგორც სასტუმროში, და ყოველ წამს მოელის ამ სასტუმროდან წასვლას. ამქვეყნიური ცხოვრების დრო მოკლდება მათთვის, რამეთუ თვალწინ უსასრულო, დიდებული მარადისობა გადაეშლებათ. ფიქრი იმისა, რომ უფალმა შეიძლება მოულოდნელად გაიყვანოს ამსოფლით, ცოდვასთან განუწყვეტელ ბრძოლას ჩააგონებს. ღამეებს დღესავით ატარებენ, მხოლოდ აუცილებლობის დროს სძინავთ და მაშინაც ღრმა ძილს არ ეძლევიან, რათა განცხრომას არ მიეჩვიონ. მაგარ სარეცელებზე წვანან გაუხდელნი და სარტყელშემორტყმულნი, რათა მაშინვე წამოხტნენ, როგორც კი საჭირო გახდება. მღვიძარების ღვაწლი კაცის ფიზიკური ძალების შესაბამისი უნდა იყოს. იგი, ისევე, როგორც მარხვა და განმარტოება, ძლიერდება მოღვაწის ხორციელი და მშვინვიერი მდგომარეობიდან სულიერ და მადლისმიერ მდგომარეობაში გადასვლის კვალდაკვალ. სულიერ კაცს, თუნდაც ხორცით უძლური იყოს, ბევრად უფრო დიდი ღვაწლის თავსდება შეუძლია, ვიდრე ხორციელსა და მშვინვიერს. პირველს ღმრთაებრივი მადლი აღანთებს მოღვაწეობისათვის და ამიტომ ნაკლები წინააღმდეგობას აწყდება თავისი ხორცისაგან, რომელიც ასეთ დროს გაცილებით გამძლე ხდება.

ჯვარის შესადგენად აუცილებელია გარდიგარდმო შეერთებული ორი ძელი, და ასევე, უხილავი ჯვარის შესადგენად აუცილებელია: 1) ნებსითი მწუხარებები, ანუ მოღვაწეობა, რომლითაც კაცი ჯვარს-აცვამს ხორცს, და 2) გარედან მოსული მწუხარებები, რომლებიც თრგუნავენ და ამდაბლებენ სულს, დაცემის შემდეგ ამპარტავნებისკენ მიდრეკილს. ამ მწუხარებათა შეერთებით შედგება ჯვარი, რომლის აღება და ქრისტეს შედგომა გვემცნო და ურომლისოდაც ეს შედგომა შეუძლებელია. ვისაც არ სურს, ჯვარს აცვას ხორცი, ვინც არ თრგუნავს მის ცოდვად გულისთქმებსა და მიდრეკილე-

ბებს, ვინც გემოთმოყვარებასაა დამონებული, ვერ ეზიარება ქრისტეს, რამეთუ ცოდვებით ტკბობის გამო სატანასთან აქვს შეკრული კავშირი. „რამეთუ რომელნი-იგი ხორცთა შინა არიან“, ანუ, ვინც მხოლოდ ხორციელი ცხოვრებით ცხოვრობს, სხეულს უზომო კვებით ასუქებს, ნიადაგ მის განსვენებასა და ფუფუნებაზე ფიქრობს, „ღმრთისა სათნო-ყოფად ვერ ძალუც“ (რომ. 8, 8). და კიდევ: „რამეთუ რომელნი-იგი ხორციელად არიან, ხორცთასა ზრახვენ“ (რომ. 8, 5), ანუ: ვინც ხორციელი ცხოვრებით ცხოვრობს, იმას არ ახსოვს და არ ზრუნავს საუკუნოზე, ყალბი დამოკიდებულება აქვს ამქვეყნიური ცხოვრების მიმართ, უსასრულო ჰგონია იგი და მხოლოდ მისთვის იღწვის, მაღლა აყენებს ამქვეყნიურ, წარმავალ სიკეთეებსა და უპირატესობებს. ასეთებმა ვერ შეძლეს ახალი აღთქმის შეთვისება და დაცემული ბუნების უარყოფა, პირიქით, ცდილობენ განავითარონ იგი, პატივს სცემენ მის ღირსებებსა და წარმატებებს. „რამეთუ ზრახვა იგი ხორცთა სიკუდილ არს, ხოლო ზრახვა იგი სულისა ცხოვრება არს და მშვიდობა. რამეთუ ზრახვა იგი ხორცთა მტერობა არს ღმრთისა, რამეთუ სჯულსა მას ღმრთისასა ვერ დაემორჩილების და ვერცა ძალუც“ (რომ. 8, 6—7). ხორციელი ზრახვისთვის უცხოა, შეუძლებელია ეს წმიდა მორჩილება. ვერას გვარგებს სოფლისა და ყოველი მონაგენის დატოვება, ვერც მონასტერში წასვლა, თუ ჩვენი ხორცის ნება-სურვილზე დავდივართ, თუ ჯვარს არ ვაცვამთ მას განცხრომისა და ფუფუნების მოკლებით და მხოლოდ საარსებოდ აუცილებელს არ დავუტოვებთ. უპირველესი მცნება, რომელიც ღმერთმა ადამიანს უბოძა, მარხვის შენახვა იყო. სამოთხეში მიცემულ მცნებას ღმერთი სახარებითაც ადასტურებს. წმ. სამოთხემ ვერ დაიფარა კაცი, როდესაც მან ეს მცნება დაარღვია, და თუ ჩვენ დავარღვევთ ძას, ვერც ჩვენ დაგვიფარავს დაღუპვისაგან ღმერთკაცის მიერ მონიჭებული გამოხსნა. წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ მრავალნი ვინმე ვლენან, რომელთათვის მრავალ გზის გეტყოდე თქუენ, ტირილით გითხრობ თქუენ მტერთა მათთვის ქრისტეს ჯუარ-ცისათა, რომელთა აღსასრულ წარწყმედა არს, რომელთა ღმერთი მუცელ არს და დიდება — სირცხვილისა შინა მათ-

სა, რომელნი ქუეყანისასა ზრახვენ“ (ფილ. 3, 18—19). მოციქული ქრისტიანებს ეუედრებოდა, მიებაძათ მისი ცხოვრებისათვის, რომელსაც იგი ატარებდა „შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა მრავალ გზის შიმშილითა და წყურვილითა, მარხვითა მრავალ გზის, ყინულითა და შიშლოებითა“ (2 კორ. 11, 27). მარხვა მთელი მონაზონური მოღვაწეობის საფუძველია. უმისოდ შეუძლებელია განმარტოება, ენის მოთოკვა, ფხიზელი, ფრთხილი ცხოვრებით ცხოვრება, ლოცვასა და მღვიძარებაში წარმატება, სიკვდილის ხსოვნის მოპოვება, საკუთარი ცოდვებისა და უძლურების ხედვა. მონაზონი, რომელიც არაფრად აგდებს მარხვას, თავის სათნოებათა მთელ შენობას არყევს და ეს შენობა დაინგრევა კიდეც, თუ მაშენებელი გონს არ მოვა და დროსე არ იზრუნებს საძირკვლის გამაგრებაზე. წმ. იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „მთავარი ეშმაკთა არის ზეციდან გადმოვარდნილი მთიები, და მთავარი ვნებათა — მუცლის სიმძლავრე. თავს ნუ იტყუებ, ძმაო, ვერც უხილავი ფარაონისაგან გათავისუფლდები და ვერც ზეციურ აღდგომას ისილავ, თუ დღემუდამ მწარე წვნიანსა და უფუვარ ხმიადს არ იგემებ. მწარე წვნიანში მარხვის შრომასა და ტკივილს ვგულისხმობ, უფუვარ ხმიადში — მდაბალ გონებას. მთელი ცხოვრების მანძილზე თან გდევდეს მეფსალმუნის სიტყვები: „ხოლო რაჟამს იგინი მაჭირვებდიან მე, შევიმოსო ძაძაჲ და დავიმდაბლო მარხვითა სული ჩემი, და ლოცვა ჩემი წიალადვე ჩემდა მოიქცეს“ (ფსალმ. 34, 13). თუ ქრისტეს აღუთქვი ვიწრო და საჭირველი გზით სიარული, მუცელი შეაიწრე. იცოდე, თუ მუცელს განუსვენებ, აღთქმას არღვევ. ისმინე, რას ამბობს უფალი: ფართოა გზა მუცლისა, რომელსაც სიძვით დაცემისა და დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი ვლენან ამ გზით. ხოლო ვიწრო და საჭირველია გზა მარხვისა, რომელიც სიწმიდის სავანემდე მიდის, და მეკირენი ვლენან ამ გზით“ (კიბე, 14, 49, 52, 53, 47—48).

რას ნიშნავს ქრისტეს შედგომა (მათე, 19, 21) ქონების დარიგებისა და ჯვარის აღების შემდეგ? ეს ნიშნავს ამსოფლიური ცხოვრების მხოლოდ ზეცისთვის მოსამზადებლად გატარებას, როგორც თვით უფალი იქცეოდა. ისინი კი, ვინც

ღმრთისმოშიშებით ცხოვრობენ სოფელში და სახარების მცნებებს იცავენ, თავიანთი ზნეკეთილობითა და სულიერი წარმართებით ძე ღმრთისას ემსგავსებიან, მაგრამ ვინც დაუტევა სოფელი, ვინც ხორცი ჯუარს აცვა მოღვაწეობით, ვინც მოაკვდინა იგი ცოდვისათვის (რომ. 8, 10) და ამით სული წმიდის მადლი მოიპოვა, ღმერთკაცთან განსაკუთრებულ მსგავსებას იძენს, „რამეთუ რომელნი სულითა ღმრთისათა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი" (რომ. 8, 14). ღმრთის მადლით მათ ზეცის კაცის, მეორე კაცის, ღმერთკაცის მსგავსად, ქმნეს თავი (I კორ. 15, 47—49). ისინი რომ ღმრთის შვილნი არიან, ამას მწიგნობრული, ზედაპირული ცოდნა კი არ გვიდასტურებს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ღმრთის წინაშე, არამედ თვით ყოვლად წმიდა სული ღმრთისა, რომელიც ჩასახლდა მათში და შეერწყა მათ სულებს „ხოლო უკუეთუ შვილ, მკვიდრცა, მკვიდრ ღმრთისა თანა და თანა-მკვიდრ ქრისტესა" (რომ. 8, 17).

საიდან მიეცა ასეთი დიდება კაცს — საბრალო, დაცემულ ქმნილებას? ქრისტეს, ღმრთის, ჩვენი დამბადებლისა და მხსნელის ცხოველი სარწმუნოებისგან, რომელმაც ღმრთის რჩეულებს ასწავლა არა მხოლოდ გულით ეცნოთ უფალი, არამედ თვით ცხოვრებით ეღიარებინათ იგი. ანუ განდგომოდნენ სოფელს, აეღოთ ჯვარი, რომელიც ნებსითი და უნებლიე მწუხარებებისაგან შედგება, და ზუსტად შეესრულებინათ „ნება ღმრთისა, კეთილი, სათნო და სრული" (რომ. 12, 2). „უკუეთუ მის თანა ვივნოთ", ეუბნება მოციქული ქრისტეს მოღვაწეთა დასს, „მის თანაცა ვიდიდნეთ" (რომ. 12, 17). პავლე მოციქული საუკუნო, ზეციურ დიდებას, მის მიერ გამოცდილებით შეცნობილს, ადარებს ხანმოკლე მწუხარებებს, რომლებიც ამ დიდების მოსაპოვებლადაა საჭირო, და ამბობს: „მე ესრე მგონიეს, ვითარმედ ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერმისა მის თანა დიდების, რომელ გამოჩინებად არს ჩუენდა მომართ" (რომ. 8, 18). რა უმნიშვნელოვანი არიან ეს მწუხარებანი! ჩვენი მოღვაწეობის ყოვლადძლიერმა და ყოვლადსახიერმა ზედამდგომელმა თვით მათში ისეთი სულიერი ნუგეშისცემა ჩადო, რომ ქრისტესათვის ტანჯვა თავისთავად უკვე სიხარულის წყაროა. წმ.

დიდმოწამე ევსტრატიმ თავის სიკვდილისწინა ლოცვაში თქვა: „ეს ხორციელი წამება სიხარულია შენს მონათათვის". სწორედ ასეთი თვისება ახასიათებს მონაზვნურ მწუხარებებსაც: მათ წიაღში სულიერი სიტკბოებისა და სიხარულის წყარო აღმოცენდება, რომელიც საუკუნო ნეტარების დასაბამია. ჯვარი, ძლევის იარაღი, ქრისტეანის საპატიო ნიშანია: „სოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯუარ-ცუმულ არს და მე სოფლისა" (გალ. 6, 14).

განსაკუთრებული დაკვირვებისა და გაოცების ღირსია კავშირი კაცის ხორცსა და სულს შორის. ადამიანის აზროვნება და გრძნობები დიდადაა დამოკიდებული ხორცის მდგომარეობაზე. „როდესაც მუცელი ითრგუნება, გული დამდაბლდება, წოლო როდესაც მუცელი სავსეა, გონება ამაღლდება და აზრები იფანტება" (კიბე, 14, 33), ამბობს წმ. იოანე კიბისაღმწერელი. წმ. პიმენ დიდმა თქვა, რომ სული ხორცის დათრგუნვის გარეშე ვერ დამდაბლდება. ერთი მონასტრის წინამძღვარმა ჰკითხა პიმენს, რატომ არა მაქვს ღმრთის შიშიო? ბერმა უპასუხა: „როგორ უნდა განიცდიდე ღმრთის შიშს, როდესაც მუცელი ნამცხვრითა და ყველითა გაქვს გამოტენილიო? (ანბანური პატერიკონი). როდესაც მაძღარნი ვართ, შეუძლებელია, გულში სიძვის განცდა, გონებაში კი სიძვის აზრები და ოცნებები არ გაჩნდეს, ხოლო მათ თავიანთი ძალითა და მიმზიდველობით ძალუძთ ყველაზე მტკიცენებაც შეცვალონ და ცოდვით ტკბობისაკენ მიდრიკონ, ამიტომ ამბობს წმ. იოანე კიბისადმწერელი: „რომელი განუსვენებდეს მუცელსა თვისსა, და გონებდეს, ვითარმედ მძლე ექმნეს ეშმაკსა სიძვისასა, მსგავს არს კაცთ, რომელი შრეტენ ზეთითა ცეცხლსა" (კიბე, 14, 32). წმ. ისააკ ასური წერს: „შეიყვარე უბრალო სამოსელი, რათა დაითრგუნო შენს სულში დათესილი აზრები, ანუ ამპარტავნება. გარეგწული ბრწყინვალების მოყვარული სიმდაბლეს ვერ მოიპოვებს, რამეთუ გული გარეგნულ შთაბეჭდილებათა სარკეა" (სიტყვა 56). პავლე მოციქულის მიერ ჩამოთვლილ ხორციელ საქმეთა შორის არიან „მტერობანი, ხდომანი, შურობანი, გულისწყრომანი, წვალებანი, შფოთებანი" (გალ. 5, 20), ანუ კაცის სუ-

ლიერი ნაკლოვანებები. რატომ? იმიტომ, რომ ცოდვის ეს სახეები ამხელენ კაცის ხორციელ ზრახვას, ხორციელი ზრახვა კი ხორცის ნება-სურვილზე ცხოვრებას, ქრისტეს ჯვარის უარყოფას[1]. ეკლესიის ისტორიიდან ვხედავთ, რომ წვალებათა ყველა მასწავლებელი ასეთი იყო.

ეს ქნინი სიტყვა დავწერე მე, ცოდვილმა ეგნატემ, რათა ჩემივე თავი აღვაგზნო მოღვაწეობისთვის. შევნიშნე, რომ სულიერი სწავლების ის მუხლები, რომელთაც ქაღალდზე გადმოვიტან, ჩემთვის უფრო გასაგები ხდება და ხანდახან ჩემი საყვარელი ძმებისთვისაც სასარგებლოა, რაკი თანამედროვე კაცის მიერაა გადმოცემული. თუ ვინმე წაიკითხავს ამ სიტყვას, მომიტევოს ნაკლული ცოდნა და ნაკლული სიტყვა! თუ ვინმე წაიკითხავს და რაიმე სულისთვის სარგოს ნახავს, ვევედრები, ყურადღება მიიპყროს და მის მიხედვით კარგად დაუკვირდეს თავის თავს.

საერთოდ, ყოველი ქრისტეანისთვის აუცილებელია ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს მაცხოვრის მცნება: „რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინებაᲲ, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის გინა სახარებისთვის, მან აცხოვნოს იგი" (მარკ. 8, 35), ანდა: „რომელსა უყუარდეს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი, და რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სოფელსა, ცხოვრებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი" (იოანე, 12, 25). რას ნიშნავს საკუთარი სულის სიყვარული? ეს ნიშნავს საკუთარი დაცემული ბუნების სიყვარულს, ამ ბუნების დაცემით შებილწული თვისებების სიყვარულს, მის ცრუ გონების, გულისთქმებისა და მისწრაფებების, მისი სიმართლის სიყვარულს. რას ნიშნავს სულის განრინება ამ სოფელში? ეს ნიშნავს დაცემული ბუნების თვისებების განვითარებას, საკუთარი ნებისა და გონების აყოლას, დაცემული ბუნების ყალბი კეთილი საქმეებით თავის გამართლებას. რას ნიშნავს სულის წარწყმედა ქრისტესა და სახარებისათვის, რას ნიშნავს საკუთარი სულის მოძულება? ეს ნიშნავს ჩვენი ბუნების ცოდვით დაცემისა და

---

1. წმ. სვიმეონი, ქრისტესათვის სალოსი, ჯვარის უარყოფას ორიგენეს ცთომილებისა და დაღუპვის მიზეზად მიიჩნევს.

დარღვევის აღიარებას და ამ დაცემით გამოწვეული მდგომარეობის მოძულებას, მოკვდინებას ჩვენი გონების, ნების, მიდრეკილებების უარყოფით, ეს ნიშნავს იძულებით შეეუერთოთ ჩვენს ბუნებას ქრისტეს მიერ განახლებული ნება და გონება, ხოლო ჩვენი ქცევა ღმრთის ყოვლადწმიდა სწავლებისა და ყოვლადწმიდა ნების მიხედვით წარვმართოთ, რომელიც მანვე გამოგვიცხადა სახარებით. ჩვენი დაცემული ბუნება მტრულადაა განწყობილი ღმრთის მიმართ, ამ ბუნების აზრებისა და მიდრეკილებების აყოლა აშკარა და საუკუნო დაღუპვისკენ სწრაფვას ნიშნავს. ამიტომ იყო, რომ წმ. მეუდაბნოე მამებმა ამდენი საშინელი სიტყვა თქვეს იმათ შესახებ, ვინც საკუთარ ნებასა და აზრებსაა აყოლილი. წმ. პიმენი დიდი ამბობს: „საკუთარი ნება სპილენძის ზღუდეა კაცსა და ღმერთს შორის, და კლდე, წინააღმდგომი ღმრთაებრივი ნებისა. ვინც თავის ნებას უარყოფს, შეუძლია თქვას: „ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავხდე ზღუდესა, ღმერთი ჩემი, უბიწო არიან გზანი მისნი“ (ფსალმ. 17, 30—31). ხოლო თუ კაცის ნებას თავის გამართლებაც დაემატა, ის შეცდომისა და დაღუპვისკენ მიექანება“ (ანბანური პატერიკონი). „თავის გამართლება“ იმას ნიშნავს, როცა ჩვენი ნების მიხედვით მოქმედებას სამართლიანად ანუ ჭეშმარიტად მივიჩნევთ — ესაა ჭკუიდან შეშლისა და ცხონების გზიდან გადახვევის უტყუარი მაჩვენებელი. ღირსი მამა დოროთე ამბობს: „არ ვიცი მონაზვნის დაცემის სხვა მიზეზი, თავისი ნებისა და გულისხმის მინდობის გარდა. იტყვიან ხოლმე, ესა და ეს კაცი ამა და ამ მიზეზის გამო დაეცაო. მე კიდევ ვიმეორებ: ერთადერთი მიზეზი ვიცი დაცემისა. დაცემულს თუ ნახავ, იცოდე, იგი თავის თავს მიენდო“ (სწავლა V, „რათა არა მივენდვეთ განზრახვათა და გულისხმისყოფათა ჩუენთა“). ამბა დოროთე მოგვითხრობს, რომ როდესაც ამბა სერიდას მონასტერში ცხოვრობდა, სრულიად უარყო თავისი ნება და გულისხმა და ყველაფერში ღმრთივსულიერი ბერის, იოანეს რჩევით ხელმძღვანელობდა. როდესაც ჭკვიანსა და განსწავლულ დოროთეს საკუთარი აზრი გაუჩნდებოდა რაიმე სულიერ საკითხზე, თავის თავს ეტყოდა ხოლმე: „წყეულიმცა ხარ შენ, და გულისხმისყოფა შენი, და ცოდნა შენი და სიბრძნე შენი, რა-

მეთუ, რომელნიცა იცი, ყოველი ეშმაკთაგან იცი" (იქვე). სწორედ ესაა სრული ნეტარი მოძულების მაგალითი, რომელიც ჩვენს ხორცთა და სულთა მხსნელმა გვამცნო! ესაა ქრისტესა და სახარებისთვის სულის წარწყმედა, ანუ მისი ცხონება! ესაა მაგალითი, თუ როგორ აფასებდნენ წმინდანები თავიანთ დაცემულ ბუნებას!

მივდიოთ ქრისტეს სწავლებას, ძმებო! მივდიოთ ღმრთის სათნომყოფელთა ცხოვრებას, ქცევას, აზროვნებას! ცხონების მოსაპოვებლად ნუ მოვერიდებით ჩვენი დაცემული ბუნების უარყოფას! საკუთარი თავის ჭეშმარიტი სიყვარულის შესაძენად უარვყოთ ცრუ თავისმოყვარება! სახარების მცნებებით ცხოვრებისათვის განვაგდოთ ჩვენგან დაცემული ბუნების კანონებით ცხოვრება, რომელიც ასე უყვარს სოფელს და ასე სძულს ღმერთს! მოვიძულოთ ვითომდა კეთილი საქმეები, რომლებიც ცრუ გონებისგან, სისხლის დუღილისგან, გრძნობიერებისგან იღებენ სათავეს, რაც არ უნდა ამაღლებულად, წმიდად და უბიწოდ გვეჩვენებოდეს ისინი. ამ საქმეებს მხოლოდ დამღუპველი თავდაჯერება, ამპარტავნებისა და ხიბლის გაღვიძება ძალუძთ ჩვენში. ისინი არ განანათლებენ სულის თვალს, როგორც ამას უფლის მცნებები სჩადიან (ფსალმ. 18, 9), პირიქით, უფრო მეტად აბრმავებენ და ამ სიბრმავეს უკურნებელს ხდიან. ამა საქმეთა მოქმედნი საუკუნო სატანჯველს დაიმკვიდრებენ, როგორც დაცემული ბუნების სიკეთის მოქმედნი, იმ სიკეთისა, რომელიც ყოველთვის ბოროტთანაა წილნაყარი, რომელიც შებღალულია, რომლისგანაც უფალი განარიდებს ყოვლადწმიდა მზერას, როგორც სატანურ სიბილწეს. დაცემული ბუნების კეთილი საქმეების საქმნელად არ არის საჭირო, კაცი ქრისტეანი იყოს, ისინი მთელ დაცემულ კაცობრიობას ეკუთვნიან. სადაც დაცემული ბუნების კეთილი საქმეები ხდება, რომელთაც სოფელი ტაშს უკრავს, იქ სოფლის მაცხოვნებელი უარყოფილი და მიტოვებულია. სარწმუნოების საქმეები, ცხონების საქმეები, ანუ სახარების მცნებების შესრულება მხოლოდ ქრისტიანებს შეუძლიათ. ამ ჭეშმარიტი სიკეთის შესახებ ღირსმა მარკოზ მოღვაწემ თქვა: „სიკეთეს ვერც ვერავინ იწამებს და ვერც ვერავინ იქმს იესო ქრისტესა და სული წმიდის გარე-

შე“ (ფილოკალია, ნაწ. I, სულიერი კანონისათვის, თავი 2). სახარების მცნებების შესრულებას ადამიანი ჭეშმარიტი ღმრთისა და საკუთარი თავის შეცნობისკენ მიჰყავს, მიჰყავს თავისი თავის, მოყვასის, ღმრთის ჭეშმარიტი სიყვარულისკენ ღმერთთან ერთობისკენ, რომელიც მით უფრო მეტად ხორციელდება, რაც უფრო ზედმიწევნითა და გულმოდგინედ სრულდება სახარების მცნებები. ღმერთთან ერთობა, რომელიც ქრისტეანს ჯერ კიდევ ამსოფლიური ცხოვრების დროს ეძლევა, ზეციური და საუკუნო ნეტარების საწინდარია. იგი თვითონვე მოწმობს თავის ჭეშმარიტებას, და ისე წათლად მოწმობს, რომ მისი შესანარჩუნებლად მრავალმა ირჩია უდიდესი განსაცდელების თავსდება, მისთვის მრავალმა დათმო წარმავალი ცხოვრება. მწარე და გულსატკენი სანახავია სიბრმავე, რომლითაც ამპარტავანი სოფელი შესცქერის ქრისტიანული სარწმუნოების საქმეებს, უგუნურად განსჯის მათ და საკუთარი თავისთვის დამღუპველი განაჩენი გამოაქვს. რა არარაობად ეჩვენება სოფელს სარწმუნოების საქმეები თავის ხმამაღალ საქმეებთან შედარებით! თუმცა, ერთი შეხედვით, რა სიკეთეა საკუთარი ცოდვების გაწცდა, რისთვისაც მეზვერეზე ღმრთის მადლი გადმოვიდა? (ლუკა, 8, 10—14) ანდა რა სიკეთეა სინანული, რომლის მეშვეობითაც უდიდესი ცოდვილები ღმერთს დაეგნენ და საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრეს? ან ვითომ ისეთი რა კეთილი საქმეა ქრისტეს აღიარება, სულ ორიოდე უბრალო სიტყვით გამოხატული, და თანაც ვის მიერ — ჯვარცმული ავაზაკის მიერ? მაგრამ ამ ორიოდე უბრალო სიტყვამ ავაზაკი სამოთხედ შეიყვანა, ანუ აღასრულა ის, რაც არ შეეძლო და არც დღეს შეუძლია მთელი კაცობრიობის უბრწყინვალეს სათნოებებს. „სიტყვაჲ იგი ჯუარისაჲ წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს“, ამიტომ მათ უაზრობად ეჩვენებათ სახარების მიხედვით ცხოვრება. „ხოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს“ (I კორ. 1, 18), ძალა, რომელიც კურნავს და აცხოვნებს ჩვენს სულებს.

ყველა დრის წმიდა მამა ღმრთივგამოცხადებული სწავლების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა სიტყვით „მრწამს“. დღევანდელ საზოგადოებაში, რომელიც თა-

ვის თავს განათლებულსა და ქრისტიანულს უწოდებს, ღმრთაებრივი გამოცხადების მიმართ დამოკიდებულების აღმნიშვნელად განუწყვეტლივ გაისმის სიტყვები „მე ვფიქრობ". საიდან გაჩნდა ეს ფორმა? ქრისტიანობის არცოდნისაგან. გულსატკენი სანახავია როდესაც აღმოსავლეთის ეკლესიის შვილი ქრისტეანულ სარწმუნოებაზე მსჯელობს არა თავისი ეკლესიის სწავლების პოზიციიდან, არამედ ღმრთაებრივი სწავლების საწინააღმდეგოდ, მსჯელობს თვითნებურად, უმეცრებისა და ღმრთის გმობის პოზიციიდან. განა ასეთი მსჯელობა ეკლესიისაგან და ქრისტეანობისგან განდგომას არ ნიშნავს? გვეშინოდეს საკუთარი უმეცრებისა, რომელსაც საუკუნო დაღუპვისაკენ მივყავართ, შევისწავლოთ ქრისტეანობა, შევიყვაროთ წმიდა ეკლესიის მორჩილება, საყვარელი ყველასათვის, ვინც ქრისტეს სარწმუნოებას იცნობს. გულმოდგინედ აღვასრულოთ ქრისტეს მცნებები, ვემსგავსოთ უხმარ მონებს (ლუკა, 17, 10), რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, თუმცა ამ დროს განუწყვეტლივ ცდებიან და ვერც უნაკლოდ აკეთებენ საქმეს. დაე, სახარებამ გვიხელმძღვანელოს კეთილი საქმეების გზაზე და არა საკუთარმა სისხლმა და ნერვებმა. ვისწავლოთ სიკეთის ქმნა სიმდაბლით და არა განხურვებით, რომელსაც უცილობლად თან სდევს ცუდმედიდობა და გონების ამაღლება ანუ ამპარტავნება. როდესაც უფალი ჩვენს სულს სიმდაბლის წმიდა სიგრილეს მიჰმადლის და გრძნობათაღელვა დამშვიდდება, მაშინ დავინახავთ, რომ განხურვება, რომლის მეშვეობითაც სახელგანთქმული ადამიანური სიკეთეები კეთდება, სხვა არა არის რა, თუ არა ხორცი და სისხლი, რომლებიც ღმრთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (I კორ. 15, 50).

იღვაწეთ, ძმებო, სულის ცხოვნებისათვის! „ცხონდით ნათესაკისა ამის დრკუისაგან" (საქმე, 2, 40), ეუბნებოდა პეტრე იუდეველებს, რომელთაც ქრისტეანობის მიმართ მტრულად განწყობილი ერისაგან გამოყოფა და ქრისტეანობის მიღება სურდათ. „ვისაც ცხონება სურს, აცხოვნოს სული თვისი", ამბობდნენ ძველი ბერები ბოლო დროის ჭეშმარიტი ქრისტეანების შესახებ (წმ. ჰამბო). ეს ნიშნავს, რომ მათ ძალიან გაუჭირდებათ ცხონება საკუთრის გამრავლებისა

და ცოდვისაკენ კაცობრიობის საერთო გადახრის გამო. ცხოვნებისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა, გულმოდგინება, სიფრთხილე, კეთილგონიერება და მოთმინება იქნება საჭირო. მაგრამ ჩვენი ყოვლადძლიერი წინამძღოლი და ზედამდგომელი ცხოვრება, ძალა, ხსნა, უფალი იესო ქრისტე, რომელმაც წინასწარ გვამცნო, „სოფელსა ამას ჭირი გექნებათო, გვამხნევებს კიდეც და გვეუბნება: „არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოანე, 16, 33), ამენ!

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

იესოს ლოცვისათვის

(ბერისა და მოწაფის საუბარი)

ნაწილი I

საზოგადოდ იესოს ლოცვისათვის

მოწაფე: შეიძლება, რომ მონასტრის ყველა ძმა იესოს ლოცვას ლოცულობდეს?

ბერი: შეიძლება კი არა აუცილებელიცაა. მონაზვნად აღკვეცისას ახლადაღკვეცილს სულიერ მახვილად წოდებულ ფსკვნილს გადასცემენ, და ამცნებენ განუწყვეტლივ, გულმოდგინე ლოცვას იესოს სახელით. ამრიგად, იესოს ლოცვაში მეცადინეობა მონაზვნის აღთქმაა, აღთქმის შესრულება კი — მოვალეობა, რომლის უარყოფა შეუძლებელია.

ძველი მონაზვნები მიამბობდნენ, რომ ჯერ კიდევ ამ საუკუნის[1] დამდეგს საროვის უდაბნოში, და ალბათ, სხვა კეთილად წარმართულ რუსულ მონასტრებშიც[2] ყველა ახალ მოსულს დაუყოვნებლივ ასწავლიდნენ იესოს ლოცვას. ნეტარი ბერი სერაფიმე, რომელიც ამ უდაბნოში ცხოვრობდა და დიდ წარმატებებს მიაღწია ლოცვაში, ყველა მონაზონს ურჩევდა მღვიძარე ცხოვრებით ეცხოვრა და იესოს ლოცვით ელოცა. ერთხელ მას ერთი ჭაბუკი ესტუმრა, რომელმაც ისის იყო სასულიერო სემინარია დაამთავრა და ბერს გაანდო, მონაზვნად აღკვეცა მინდაო. ბერმა ჭაბუკს სულის სარგო დარიგებები მისცა და ამცნო, იესოს ლოცვაში ევარჯიშა.

---

1 ანუ XIX საუკუნის დამდეგს.

2. ისევე, როგორც ქართულ მონასტრებში (მთარგმნელის შენიშვნა)

„მხოლოდ გარეგნული ლოცვა არ კმარა. ღმერთი გულს ხედავს, ამიტომ მონაზვნები, რომლებიც გარეგნულ ლოცვას შინაგანს არ უერთებენ, არ არიან მონაზვნები". ძალიან ზუსტი შეფასებაა! მონაზონი განმარტოებულს ნიშნავს, ვინც თავის თავში არ განმარტოებულა, ის ჯერ კიდევ არ არის მონაზონი, თუნდაც სრულიად განცალკევებულ მონასტერში ცხოვრობდეს. იმ მოღვაწის გონება, რომელიც თავის თავში არ ჩაკეტილა და არ განმარტოებულა, ათასი გულისთქმითაა ამღვრეული და შეშფოთებული, თავისუფალი მისაღგომია ამ გულისთქმათათვის, იტანჯება, წვალობს და ამაოდ აწყდება აქეთ-იქით. თავის განმარტოებას კი კაცი ერთადერთი გზით შეძლებს — შინაგანი ლოცვით. ძირითადად ესაა იესოს ლოცვა.

მოწაფე: ბერ სერაფიმეს მსჯელობა მეტისმეტად მკაცრი მეჩვენება.

ბერი: მხოლოდ ერთი შეხედვით. ასეთად იგი მხოლოდ იმათთვის ჩანს, ვისაც ქრისტეანობაში დამარხული უდიდესი სულიერი საუნჯე ნაკლებად აქვს შეცნობილი. ნეტარ სერაფიმეს საკუთარი აზრი რადი გამოუთქვამს, ესაა ყველა წმ. მამის, მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის აზრი. წმ. ისიქი იერუსალმელი ამბობს: „ვინაც უარყო ყოველივე მსოფლიო, ცოლი, მონაგები და სხვა ამდაგვარი, იმან მხოლოდ გარეგნული კაცი ჰყო მონაზვნად და არა შინაგანი, შინაგანი კაცი კი გონება გახლავთ. ჭეშმარიტი მონაზონი ისაა, ვინც ვნებები უარყო: თუ მოინდომებს, იგი გარეგნულ კაცსაც ადვილად ჰყოფს მონაზვნად. დიდი ღვაწლია შინაგანი კაცის მონაზვნად ქცევა, და არის კი ჩვენს თაობაში მონაზონი, რომელმაც სრულიად უარყო ვნებები და ღირს-იქმნა წმიდა, სულიერი, მუდმივი ლოცვისა, რაც შინაგანი მოწაზვნის თვისებაა?" (სიტყვა მღვიძრებისათვის, თავები 80, 81, ფილოკალია, წაწ. 2). ეგვიპტის სკიტეს ბერმა, ღირსმა აგათონმა, როდესაც ჰკითხეს, რა უფრო მნიშვნელოვანია, ხორციელი ღვაწლი თუ შინაგანი ლოცვაო, მიუგო: „მოღვაწე ხეს შეიძლება შევადაროთ. ხორცთა შრომა მისი ფოთლებია, სულიერი ლოცვა — ნაყოფი. სახარება კი გვამცნებს: „ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი, მოეკუეთოს და

ცეცხლსა დაედვას“ (მათე, 3, 10). აქედან ცხადია, რომ მონაზვნური ცხოვრების მიზანია ნაყოფის, ანუ სულიერი ლოცვის გამოღება, სწორედ მისთვის უნდა ვზრუნავდეთ ყველაზე მეტად. თუმცა, როგორც ხისთვისაა საჭირო ქერქი და ფოთლები, ისევე საჭიროა მონაზვნისათვის ხორციელი მოღვაწეობა“ (ანბანური პატერიკონი). ნეტარ ნიკიფორე ათონელს ღირსი აგათონის ეს სიტყვები მოჰყავს თავის თხზულებაში სულიერი მოღვაწეობის შესახებ და ამბობს: „საოცარია, რა მწარე განაჩენი გამოუტანა ამ წმინდანმა ყველას, ვინც გონების დაცვაზე არ ზრუნავს და მხოლოდ გარეგნულ მოღვაწეობაზე ამყარებს სასოებას! “ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი“, ანუ ყოველი კაცი, ვინც ვერ მოიპოვებს გონების დაცვის ნიჭს და მხოლოდ ფოთოლს, ანუ ხორციელ ღვაწლს გამოიღებს, „მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“. საშინელია, მამაო, შენი განაჩენი!“ (ნიკიფორე, მონაზონი, სიტყვა მღვიძარებაზე, ფილოკალია, ნაწ. 11).

გონების დაცვა, მღვიძარება, ყურადღება, სულიერი მოღვაწეობა, შინაგანი ლოცვა — ყოველივე ეს ერთი და იგივე მშვინვიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სახელწოდებაა, ხოლო მშვინვიერი მოღვაწეობა თავის დროზე სულიერში გადადის. სულიერი მოღვაწეობა იგივე მშვინვიერი მოღვაწეობაა, ოღონდ უკვე ღმრთაებრივი მადლით შემოსილი. ამ მშვინვიერ ანუ სულიერ მოღვაწეობას მამები ასე განსაზღვრავენ: „ყურადღება არის შინაგანი, მუდმივი მდუმარება, მუდმივი ხსენება იესო ქრისტესი, იესოს სახელით სუნთქვა, მასთან ერთად ბრძოლა მტრების წინააღმდეგ, ცოდვების აღიარება წინაშე უფლისა, რომელსაც ერთადერთსა აქვს ხელმწიფება ცოდვათა მიტევებისა“ (წმ. ისიქი იერუსალიმელი, სიტყვა მღვიძარებისათვის, თავი V, ფილოკალია, ნაწ. 2). მოკლედ რომ ვთქვათ, შინაგანი ლოცვა, გონებით ლოცვა, მღვიძარება, გონების დაცვა და მოზღუდვა, ყურადღება — ყველა ეს სახელი ერთსა და იმავე საქმეს ჰქვია: იესოს ლოცვას. ნეტარმა ნიკიფორე ათონელმა ეს სახელები შეადარა მოჭრილ პურს, რომელსაც ნაჭერიც შეიძლება უწოდო, ყუაც და ნატეხიც. ძველი აღთქმის საღმრთო წერილი კანონად გვიდ-

გენს: „ყოველი საცო დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან გამოსავალნი ცხორებისანი“ (ყველაზე მეტად დაიცავი გული შენი, რადგან მასშია ცხონების წყარო). (იგავ. 4, 23). ანდა: „იგულე თავი შენი, ნუუკუე იყოს სამე დაფარული სიტყვა უშჯულოებისა გულსა შინა შენსა“ (II სჯული, 15, 9). გულის დაცვასა და მის განწმენდას განსაკუთრებით ახალი აღთქმა გვიბრძანებს. „განიწმინდე პირველად შინაგანი იგი სასუმელისა და პაროფსიდისა, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდა“ (მათე, 23, 26). აქ უფალმა მყიფე მინისა და უბრალო თიხის ჭურჭელს შეადარა კაცი. გულისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა. რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთაჲსა გამოვლენან გულისსიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი, ანგარებანი და უკეთურებანი, ზაკვანი, არაწმიდებანი, თუალბოროტებანი, გმობანი, ამპარტავნებანი, უგუნურებანი. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა“ (მარკოზ, 7, 20—23). წმ. ბარსონოფი დიდი ამბობს: „თუ კაცს არ შეეწევა ღმრთის მადლით შინაგანი ლოცვა ცხებული, მაშინ ამაოა მისი გარეგნული მოღვაწეობა, ანუ შრომა“ (210-ე პასუხი). წმ. ისააკ ასური წერს: ვისაც შინაგან ლოცვა არა აქვს, იმას არც სულიერი ნიჭები მიემადლება“ (56-ე სიტყვა). სხვა სიტყვაში ქრისტიანული მოღვაწეობის ეს დიდი მოძღვარი მარტოდენ ხორციელ ღვაწლს გონების განწმენდის გარეშე უნაყოფო საშოსა და დამშრალ ძუძუს ადარებს. „ისინი (მხოლოდ გარეგნულ შრომას მინდობილნი) ვერ მიეახლებიან ღმრთაებრივ გონებასო“, ამბობს წმინდანი (58-ე სიტყვა). წმ. ისიქი იერუსალიმელი წერს: „ვისი ლოცვაც გულისთქმათაგან არ განწმენდილა, იმას არ გააჩნია იარაღი ბრძოლისათვის, ვგულისხმობ ლოცვას, რომელიც მუდამ სუნთქავს კაცის სულში, ლოცვას, რომელშიც იესო ქრისტეს ხსენებით იძლევა და იფერფლება იდუმალ მბრძოლი მტერი ჩვენი“. კიდევ: „შეუძლებელია გულის განწმენდა და მისგან ბოროტ სულთა განდევნა იესო ქრისტეს ხშირი ხსენების გარეშე“. „როგორც ჭამა-სმა აუცილებელია ამქვეყნიური ცხოვრების გასატარებლად, ისევე აუცილებელია გონების დაცვა და გულის სიწმინდე, ანუ მღვიძარება, თუ რაიმე სულიერი ნიჭის

მოპოვება ან გონებითი ცოდვისაგან გათავისუფლება გვსურს. უამისოდ კაცი ვერაფერს მიაღწევს, თუნდაც მარადიული სატანჯველის შიშით აიძულებდეს თავს, რომ არ სცოდოს". „თუ ნამდვილად გსურს შენი შემაჭირვებელი გულისთქმების უკუგდება, სულის მშვიდობისა და დაყუდების მოპოვება, მღვიძარების შეძენა; დაე იესოს ლოცვა თან ახლდეს შენს სუნთქვას, და მალე მისწვდები საწადელს". „გემი უწყლოდ ვერ გასცურავს და ვერც გონების დაცვას შევძლებთ მღვიძარების გარეშე, რომელიც სიმდაბლესა და განუწყვეტელ იესოს ლოცვასთანაა შეერთებული". „თუ საღმრთო შურითა ხარ აღძრული და მხოლოდ თავს კი არ აჩვენებ მონაზვნად-სახიერად, თავმდაბლად, მარადის ღმრთის წინაშე მავალად, არამედ მართლა ასეთი გინდა იყო, გულმოდგინედ ივარჯიშე ყურადღების მოპოვებაში. ყურადღება კი ნიშნავს გონების დაცვასა და მოზღუდვას, გულის დაყუდებას, და სულის იმ ნეტარ მდგომარეობას, რომლისთვისაც უცხოა ოცნება და რომელსაც მცირენი თუ აღწევენ". „ჭეშმარიტი მონაზონი ისაა, ვინც მღვიძარებას იმარხავს, მღვიძარებას კი ჭეშმარიტად იმარხავს ის, ვინც გულითაა მონაზონი, ანუ განმარტოებული" (წმ. ისიქი, მღვიძარებისათვის). წმ. მამების ამ სწავლების საფუძველი თვით უფლის სწავლებაა, ისევე როგორც შენობისა — ლოდი საკიდური. უფალმა გვამცნო, რომ „ჭეშმარიტნი თაყვანისმცემელნი თაყუანისსცემენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაც ეგევითართა ეძიებს თაყუანისმცემელთა მისთა. სულ არს ღმერთი და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანის-ცემა" (იოანე, 4, 23—24).

ჩემს სიჭაბუკეში, მახსოვს ზოგიერთი ღმრთისმოშიში ერისკაცი, მათ შორის ბევრი თავადიშვილიც, ძალიან უბრალოდ ცხოვრობდა და იესოს ლოცვას ლოცულობდა. დღეს ეს შესანიშნავი ჩვეულება ქრისტეანობისა და მონაზვნობის საერთო დაცემის კვალდაკვალ თითქმის დაიკარგა. უფალ იესო ქრისტეს სახელით ლოცვა მღვიძარე, მკაცრ ცხოვრებასა და უცხოებას მოითხოვს, კაცი ამა სოფლისას აღარაფერს უნდა იყოს მიჯაჭვული, ჩვენ კი ნაცნობების ფართო წრე გვინდა, გულისთქმების ასრულებას ვესწრაფვით და კე-

თილისმყოფელებს დავეძებთ. „იესო მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას“ (იოანე, 5, 13).

მოწაფე: თქვენი ნათქვამიდან ის დასკვნა ხომ არ გამოდის, რომ იესოს ლოცვის გარეშე ცხონება შეუძლებელია?

ბერი: მამები ამას არ ამბობენ. პირიქით, ღირსი ნილოს სორელი მღვდელმოწამე პეტრე დამასკელზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ბევრმა უვნებობის მიუღწევლადაც მოიპოვა ცოდვების შენდობა და ცხონება (სკიტეს ტიპიკონი, სიტყვა 1). წმ. ისიქიმ ამბობს, მღვიძარების გარეშე შეუძლებელია ბოქცე გონებით ცოდვასო, მაგრამ იქვე ნეტარებს უწოდებს იმათაც, ვინც საქმით ჩადენილი ცოდვისაგან მაინც ახარხებს თავის შეკავებას. წმინდანი ამბობს, რომ ასეთები ძალით ისაკუთრებენ სასუფეველს (წმ. ისიქი, მღვიძარებისათვის, თავი 60, 69). უვნებობის სიწმინდის ანუ ქრისტეანული სრულყოფილების მიღწევა კი შინაგანი ლოცვის გარეშე შეუძლებელია, ამ საკითხში ყველა მამა ერთსულოვანია. მონაზვნური ცხოვრების მიზანი არა მხოლოდ ცხონების მოპოვებაა, არამედ განსაკუთრებით — ქრისტეანული სრულყოფილების მიღწევა. „უკუეთუ გნებავს სრულ ყოფა ...წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა აღიღე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე, 19, 21, მარკ. 10, 21). თქვა უფალმა. წმ. მამები იესოს სახელით ლოცვას სხვა მონაზვნურ საქმეებს რომ ადარებენ, ამბობენ: „თუმცა კი არსებობს მოღვაწეობის სხვა სახეები, რომლებიც ცხონებას ანიჭებენ კაცს, არსებობს საქმეები, რომლებიც მონად და დაქირავებულ მუშად ჰყოფენ კაცს (უფალმა ხომ თქვა: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიანო“ (იოანე, 14, 2), მაგრამ შინაგანი ლოცვის გზა არის რჩეული, სამეუფო გზა. იგი იმდენად უფრო მაღალი და დახვეწილია მოღვაწეობის სხვა სახეებთან შედარებით, რამდენადაც სული აღემატება სხეულს. იესოს ლოცვა მიწისა და ფერფლისაგან აღადგენს და ღმრთის შვილად ჰყოფს კაცს“ (ღირსი კალისტე და ეგნატე ქსანთოპულოები, თავი 98, ფილოკალია, ნაწ. 2).

მოწაფე: დღევანდელი მონაზვნობის მიმართულება ისეთია, რომლის დროსაც იესოს ლოცვაში ვარჯიში ძალიან იშ-

ციათია. გამამართლებს კი ეს ამბავი, თუ ამ იშვიათობის მიზეზით არც მე ავიღებ იესოს ლოცვის ღვაწლს?

ბერი: ვალი ვალად რჩება და პასუხისმგებლობა — პასუხისმგებლობად, თუნდაც იმ ხალხმა, ვინც მოვალეობას არ ასრულებს, კიდევ უფრო იმატოს. აღთქმას ყველა დებს, და მის დარღვევას კანონად ვერ გახდის, ვერც აღთქმის დამრღვევთა სიმრავლე, ვერც თვით დარღვევის ჩვეულებრიობა. მცირეა სამწყსო, რომლისთვისაც ზეციურმა მამამ სასუფევლის მიცემა ინება (ლუკა, 12, 32). მუდამ ასე იყო — ვიწრო გზით მცირენი ვიდოდნენ, ხოლო ფართოთი — მრავალნი (მათე, 7, 13—14). ბოლო ჟამს ვიწრო გზას თითქმის ყველა მიატოვებს და ფართოს დაადგება, მაგრამ აქედან იმ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, რომ ფართო გზას წარწყმედისაკენ აღარ მიჰყავს და ვიწრო გზა აუცილებელი არ არის ცხონებისათვის. ვისაც ცხონება უნდა, ის უსათუოდ ვიწრო გზას უნდა დაადგეს, ასე გვიბრძანა მაცხოვარმა.

მოწაფე: რატომ უწოდებ იესოს ლოცვაში ვარჯიშს ვიწრო გზას?

ბერი: სხვა რა უნდა ვუწოდო? სწორედ რომ ვიწრო გზაა! იესოს ლოცვაში წარმატების მიღწევის მსურველმა გარედანაც და შიგნიდანაც ძალიან ფრთხილი და გონივრული ქცევით უნდა მოიზღუდოს თავი: ჩვენი დაცემული ბუნება ყოველ წუთს მზადაა გვიმტყუნოს და გვიღალატოს, დაცემულნი სულნი განსაკუთრებული მძვინვარებითა და მზაკვრობით ებრძვიან იესოს ლოცვას. ხშირად ერთი შეხედვით უბრალო გაუფრთხილებლობას, დაუდევრობასა და თავდაჯერებას სერიოზულ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ მოღვაწის ამქვეყნიურ და საუკუნო ცხოვრებაზე, და „არა თუმცა უფალი შემეწია მე, კნინ ერთლა და დამცა-ემკვიდრა ჯოჯოხეთს სული ჩემი. უკუეთუმცა ვიტყოდე: ზემიძრწუნდა ფერხი ჩემი, წყალობაჲ შენი, უფალო, შემწევდა მე“ (ფსალმ. 93, 17—18).

ჩვენს ლოცვაში ვარჯიშის საფუძველი ფრთხილი და გონივრული ქცევა უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, ავიკრძალოთ ყოველგვარი ხორციელი განცხრომა და ფუფუნება, საზრდელი და ძილი ზომიერი გვქონდეს, ჩვენი ძალებისა და

ჯანმრთელობის შესაფერი, რათა მათ ხორცი განამტკიცონ, მაგრამ არც ზედმეტობებით გაანებივრონ და არც ძილისა და საკვების ნაკლებობით დააძაბუნონ. სამოსი, საცხოვრებელი და საერთოდ, ყველა პირადი ნივთი უბრალო უნდა იყოს, ისეთი, როგორიც ქრისტესა და მის მოციქულებს ჰქონდათ, თუ გვინდა, რომ მათი სული დავიმკვიდროთ.

წმიდა მოციქულები და ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფენი არავითარ ხარკს არ უხდიდნენ ცუდმედიდურობასა და ამაოებას, სრულიად არ ღებულობდნენ ამა სოფლის სულისკვეთებას. იესოს ლოცვის სწორი, მადლისმიერი მოქმედება მხოლოდ ქრისტემ შეიძლება მოგვცეს, მხოლოდ ამ სულით გაჟღენთილ ნიადაგზე აღმოცენდება იესოს ლოცვა. მკაცრად უნდა დავიცვათ ხედვა, სმენა და სხვა გრძნობები, რათა მათი მეშვეობით სულში მტერი არ შემოიჭრას. ბაგე და ენა დუმილით უნდა შევბოჭოთ და მოვიზღუდოთ: ამაოსმეტყველება, მრავლისმეტყველება, განსაკუთრებით ჭორაობა, ვინმეს დაცინვა და გაკილვა ლოცვის უბოროტესი მტრები არიან. ძმების სენაკებში სიარული და საკუთარ სენაკში მათი მიღება უნდა შეწყვიტო: მოთმინებით იჯექი შენს სენაკში, როგორც კუბოში, განმარტოვდი შენს სულთან, ცოდვით გატანჯულსა და მომკვდართან, და შეწყალებას ევედრე ღმერთს. სამარიდან, ანუ სენაკიდან, ლოცვა ცად ადის, ხოლო იმ სამარეში, რომელშიც ხორცი სიკვდილის შემდეგ დაიფლება, ჯოჯოხეთის სამარეში, რომელშიც ცოდვილის სული დაინთქმის, ლოცვის დრო არ მოგვეცემა. მონასტერში უცხოება უნდა დავიმარხოთ, თვითნებურად არ უნდა ჩავერიოთ იქაურ საქმეებში, არავისთან გვქონდეს განსაკუთრებული სიახლოვე, საერთო მორჩილებების დროს მდუმარება დავიცვათ, ყოველთვის ვიაროთ ღმრთის ტაძარში, საჭიროების დროს სულიერ მამას მივაშუროთ, ყოველი გასვლა სენაკიდან კარგად ავწონ-დავწონოთ და მხოლოდ აუცილებლობის მიზეზით გავიდეთ. უნდა გავექცეთ ამაო ცნობისმოყვარეობასა და გამომეძიებლობას, და მთელი ჩვენი მცდელობა ლოცვის შესწავლისაკენ მივმართოთ. ამ საქმეს მართლაც რომ სერიოზული შესწავლა და კვლევა-ძიება სჭირდება, რამეთუ ესაა არა მარტო ვიწრო გზა, არამედ გზა, „რომელი

მიიყვანებს ცხოვრებასა“ (მათე, 7, 14), ესაა უმთავრესი მეცნიერება და უმთავრესი ხელოვნება. ასე უწოდებდნენ იესოს ლოცვას მამები.

ჰეშმარიტი ლოცვის გზა კიდევ უფრო ვიწროვდება, როდესაც მოღვაწე შინაგანი ქმედებით შეუდგება ამ გზას. როდესაც იგი ამ ვიწრობს დაადგება და მიხვდება, რა სწორი, მაცხოვნებელი და აუცილებელია ეს გზა, როდესაც შინაგანი ლოცვა მისთვის სასურველი გახდება, მაშინ გარეგნული ყოფის სიძნელეც ასევე სასურველად ექცევა, როგორც შიშინაგანი ლოცვის სამყოფელი და საფარველი. სულიერი ლოცვის ამღებელმა უნდა უარყოს როგორც თავისი დაცემული ბუნების, ისევე დაცემულ სულთა მიერ შემოტანილი აზრები და განცდები, რაოდენ კეთილნიც არ უნდა ჩანდნენ ისინი გარეგნულად. მოღვაწე უკიდურესად ყურადღებიანი ლოცვის ვიწრო გზით უნდა ვიდოდეს, და არც მარცხნივ გადაუხვიოს, არც მარჯვნივ. მარცხნივ გადახვევას იმას ვუწოდებ, როდესაც კაცი ლოცვას თავს ანებებს ამაო და ცოდვილ აზრებთან სასაუბროდ, მარჯვნივ გადახვევას — როდესაც გარეგნულად კეთილი აზრები აწყვეტინებენ ლოცვას. მლოცველში ოთხი სახის აზრი და განცდა მოქმედებს: პირველი აღმოცენდება უფლის მადლისაგან, რომელიც ყოველ ქრისტეანს ენიჭება წმ. ნათლისღებით, მეორეს მფარველი ანგელოზი გვკარნახობს, მესამეს — ჩვენი დაცემული ბუნება, და ბოლოს, მეოთხეს დაცემული სულნი ჩაგვაგონებენ. პირველი ორი სახის აზრები, უფრო სწორად, მოგონებები და განცდები შეეწევიან და აცოცხლებენ ლოცვას, აძლიერებენ ყურადღებას და სინანულს, მათგან იშვება ლმობიერება, გლოვა, ცრემლები, მლოცველს თვალწინ წარმოუდგება თავის ცოდვათა სიმრავლე და კაცობრიობის დაცემის სიღრმე, ახსენდება გარდუვალი და უცაბედი სიკვდილი, ღმრთის საშინელი და უთვალღებო სამსჯავრო, საუკუნო სატანჯველი, რომელიც იმდენად მძიმეა, რომ მისი წარმოდგენა კაცს არ ძალუძს. დაცემული ბუნების აზრებსა და განცდებში კეთილისა და ბოროტის აღრევა ხდება, დემონურ აზრებსა და განცდებში კი ბოროტი ხშირად კეთილის სამოსელში ეხვევა, თუმცა ხანდახან აშკარადაც მოქმედებს. ბოლო ორი სახის

აზრები და განცდები ხშირად ერთად არიან, რაშეთუ დაცემულ სულებსა და კაცის დაცემულ ბუნებას მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან, და მათი ერთობლივი მოქმედების ნაყოფია უყურადღებო და გაფანტული ლოცვა. დემონებს ვითომდა მაღალი და სულიერი აზრები შემოაქვთ და ამით განაშორებენ კაცს ლოცვისაგან, წარმოშობენ ყალბ სიხარულს, ტკბობასა და თვითკმაყოფილებას, ქრისტეანული სწავლების უდიდეს საიდუმლოებათა ამოხსნის განცდას. დემონური ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კვალდაკვალ სულში ამაო და ვნებიანი აზრები და ოცნებები შემოდიან, იტაცებენ და სპობენ ლოცვას, არღვევენ სულის კეთილ მიმართულებას. ნაყოფისაგან იცნობა, რომელია ჭეშმარიტად კეთილი აზრები და რომელი — ყალბი.

რა სწორად უწოდებენ მამები იესოს ლოცვას ვიწრო გზას, თავგანწირვასა და სოფლის უარყოფას! ეს ღირსებები ყოველ ფრთხილ და მოწიწებულ ლოცვას ეკუთვნის, განსაკუთრებით კი აზრების სიმრავლე, რაც ფსალმუნებასა და სხვა ლოცვებს ახასიათებს.

მოწაფე: რა სიტყვებისაგან შედგება იესოს ლოცვა?

ბერი: უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი. ზოგიერთი მამა გვირჩევს, ახალმოსულებისათვის იგი ორ ნაწილად გაიყოს და დილიდან სადილის დრომდე ვთქვათ: უფალო იესო ქრისტე, შემიწყალე მე. სადილის შემდეგ კი — ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე. ეს ძველი გადმოცემაა. მაგრამ, თუ შესაძლებელია, სჯობს მთელი ლოცვის წარმოთქმას მივეჩვიოთ. გაყოფა სუსტებისა და ახალმოსულებისათვისაა დაშვებული მათი უძლურების გამო.

მოწაფე: არის თუ არა ნახსენები იესოს ლოცვა საღმრთო წერილში?

ბერი: მას წმიდა სახარება ახსენებს. არ გეგონოს, თითქოს იესოს ლოცვა კაცის გამოგონილი იყოს, იგი ღმრთის დაწესებულია. იესოს უწმინდესი ლოცვა დაგვიწერა და გვამცნო თვით უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ. საიდუმლო სერობის შემდეგ, რომელზეც შესრულდა უდიდესი ქრისტეანული საიდუმლო — წმ. ევქარისტია. უფალმა თავის მოწაფეებთან გამოსათხოვარ საუბრებში, საშინელი წამებისა და

ჯვარცმის წინ, წარწყმედილი კაცობრიობის გამოსასყიდად მსხვერპლად შეწირვის წინ გადმოგვცა ყველაზე მაღალი სწავლება და უმნიშვნელოვანესი მცნებები. მათ შორის იყო მცნება და ნებართვა მისი სახელით ლოცვისა. „ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ .რაოდენიცა-რაჲ სთხოვოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ“ (იოანე, 16, 23) „და რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვყო, რაჲთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა. და უკუეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვყო“ (იოანე, 14, 13—14). „აქამომდე არარაჲ გითხოვიეს სახელითა ჩემითა. ითხოვდით და მოიღოთ, რაჲთა სიხარული თქუენი სავსებით იყოს“ (იოანე, 16, 24). უფლის სახელის მნიშვნელობა წინასწარმეტყველებმაც გვამცნეს. ესაია მაცხოვრის მიერ კაცთა გამოხსნას წინასწარმეტყველებს და ღაღადებს: „აჰა, ღმერთი ჩემი, მაცხოვარი უფალი. და მოსავ ვიყო მისდამი და ვცხონდე მის მიერ. და არა შევიშინო მით, რამეთუ დიდებაჲ ჩემი და ქებაჲ. ჩემი არს უფალი და მეყო მე მაცხოვარ. აღმოივსეთ წყალი მხიარულებათა წყაროთაგან ცხორებისათა. სთქუა მას დღესა შინა: უგალობდით უფალსა, ხმა-ყავთ სახელი მისი, მიუთხრენით წარმართთა შორის დიდებულნი მისნი, მოიხსენეთ, რამეთუ ამაღლდა სახელი მისი“ (ესაია, 12, 2—4). „გზა უფლისაჲ განკითხვა. ვეცოდეთ სახელისა მიმართ შენისა და სახსენებელისა მიმართ, რომლისა გულისმთქმელ იყო სული ჩემი“ (ესაია, 26, 8). ესაიას დავით წინასწარმეტყველიც ეთანხმება: „ვიხარებდეთ ჩუენ მაცხოვრებითა შენითა და სახელითა უფლისა ღმრთისა ჩვენისაჲთა ჩუენ განვდიდნეთ... ხოლო ჩუენ ვხადოდით (ფსალმ. 19. 6, 8). „ნეტარ არს ერი, რომელმან იცის გალობაჲ შენი, უფალო (ანუ ვინც შინაგანი ლოცვა შეითვისა), ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიდოდიან, და სახელითა შენითა იხარებდენ მარადღე და სიმართლითა შენითა ამაღლდენ“ (ფსალმ. 88, 16—17).

მოწაფე: რაშია იესოს ლოცვის ძალა?

ბერი: ღმერთკაცის, ჩვენი უფლისა და ღმრთის, იესო ქრისტეს ღმრთაებრივ სახელში. მოციქულები, როგორც „საქმე მოციქულთას“ წიგნიდან ჩანს, იესო ქრისტეს სახელით დიდ სასწაულებს ახდენდნენ: კურნავდნენ სნეულებს, რომ-

ლებსაც კაცის ხელთ არსებული სამკურნალო საშუალებები ბერაფერს შველოდა, მკვდრებს აღადგენდნენ, ეშმაკებს იმორჩილებდნენ და განასხამდნენ. ერთხელ, ცოტა ხნის შემდეგ უფლის ამაღლებიდან, როდესაც თორმეტივე მოციქული ჯერ კიდევ იერუსალიმში იყო, ორი მათგანი, პეტრე და იოანე, იერუსალიმის ტაძარში შევიდა სალოცავად ტაძრის ბჭესთან, რომელსაც „მშვენიერი" ერქვა, ყოველდღე მოჰყავდათ დაბადებით ხეიბარი და იქვე, ქვაფენილზე სვამდნენ, მას არც სიარული შეეძლო, არც დგომა. ხეიბარი მოწყალებას ითხოვდა, როგორც ჩანს, ამ მოწყალებით ირჩენდა თავს. მოციქულები რომ მიუახლოვდნენ, მან იმედის თვალით შეხედა, იქნებ ორიოდე გროში გადმომიგდონო. წმ. პეტრემ უთხრა: „ვერცხლი და ოქროი არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, გცეთ შენ სახელითა იესო ქრისტე ნაზარეველისაითა: აღდეგ და ვიდოდე!" (საქმე, 3, 6). ხეიბარი მყისვე განიკურნა, მოციქულებთან ერთად შევიდა ტაძარში და დიდება აღუვლინა ღმერთს. ეკლესიას მაშინვე მოაწყდა გაოცებული ხალხი. წმ. პეტრემ მიმართა: „კაცნო ისრაიტელნო, რაჲსა გიკვირს ამას ზედა? ანუ ჩუენ რაჲსა გუხედავთ ვითარცა თვისითა ძალითა გინა ღმრთის მსახურებითამცა გუექმნა სლვაი მაგისი? ღმერთმან იაკობისმან, ღმერთმან მამათა ჩუენთამან ადიდა ძე თვისი იესო... და სარწმუნოებითა სახელისა მისისაჲთა, ამას რომელსა ჰხედავთ და იცით, განამტკიცა სახელმან მისმან" (საქმე, 3, 12, 16). ამ სასწაულის ამბავმა სასწრაფოდ მიაღწია იესო ქრისტეს მტრის — სინედრიონის[1] ყურამდე, რომელიც შეშფოთდა, შეიპყრო მოციქულები და მცველები დაუყენა. მეორე დღეს კი კრება მოაწყო და დაიბარა ისინიც და მათ მიერ განკურნებელი ხეიბარიც. როდესაც მოციქულები ღმრთის მკვლელთა წინაშე წარსდგნენ, რომელთაც სულ ახლახანს ღმერთკაცის დასჯით დაიდაღეს თავები, ღმერთკაცისა, რომლის სახელითაც ახლა ეს გასაოცარი სასწაული მოხდა, მათ ჰკითხეს: „რომლითა ძალითა, ანუ რომლითა სახელითა ჰქმენით თქუენ ესე?" (საქმე, 4, 7). პეტრე აღივსო სულითა წმიდითა და სული წმიდისავე სიტ-

[1] სინედრიონი — იუდეველთა უმაღლესი სასულიერო სამსჯავრო.

ყვებით მიუგო: „ცხად იყავნ თქუენ ყოველთა და ყოვლისა ერისა ისრაელისა, ვითარმედ სახელითა იესო ქრისტე ნაზარეველისაჲთა, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ, რომელი-იგი ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით, ამის მიერ დგას ესე წინაშე თქუენსა ცოცხალი. და არავინაჲ არს სხვით. ცხორება და არცაღა არს სახელი სხუაჲ ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებაჲ ჩუენდა“ (საქმე, 4, 10—12). ღმრთის მტერთა ბაგენი დადუმდნენ ღმრთაებრივი ჭეშმარიტების წინაშე, ბრძენთა და ძლიერთა დიდმა საკრებულომ ვერაფერი მიუგო და ვერაფრით დაუპირისპირდა მოწმობას, რომელიც ორი უწიგნური მებადურის პირით გამოითქვა და რომელიც ზეციური ბეჭდით, ანუ ღმრთის სასწაულით იყო დამტკიცებული. სინედრიონი თავის ძალაუფლებას, ანუ ძალმომრეობას მიმართავს: ხილული სასწაულის მიუხედავად, თვით ღმრთისაგან მიცემული მოწმობის მიუხედავად მკაცრად უკრძალავს მოციქულებს იესოს სახელით სწავლებას და თვით ამ სახელის ხსენებასაც კი. მაგრამ მოციქულებმა მიუგეს: „უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროჲს, ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ. რამეთუ ჩუენ ვერ ხელ-გუეწიფების, რომელი-იგი გუესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არა ვიტყოდეთ“ (საქმე, 4, 19—20). კვლავ არაფერი აქვს სათქმელი სინედრიონს, კვლავ თავის ძალაუფლებას იყენებს და მკაცრ აკრძალვას იმეორებს. სინედრიონმა გაათავისუფლა მოციქულები, თუმცა კი ძალიან უნდოდა მათი დასჯა, მაგრამ სახალხოდ მოხდენილმა სასწაულმა ხელ-ფეხი შეუკრა მას. პეტრე და იოანე თავისიანებთან დაბრუნდნენ და გადასცეს უმაღლესი საკრებულოს მუქარა და აკრძალვა. მაშინ თორმეტივე მოციქულმა და იერუსალიმის ახლად დაარსებული ეკლესიის ყველა წევრმა ერთობლივი, მხურვალე ლოცვა აღუვლინა უფალს, მათ ლოცვა დაუპირისპირეს სოფლისმპყრობელთა — კაცთა და დემონთა სიძულვილს. ეს ლოცვა ერთ სათხოვარს შეიცავდა: „და აწცა, უფალო, მოჰხედენ თქუმასა ამას მათსა ზედა და მოეც მონათა შენთა ყოვლითა განცხადებულებითა სიტყუად სიტყვისა შენისა, განრთხმად ხელი შენი კურნებად და სასწაუ-

ლებისა და ნიშნებისა ყოფად სახელითა წმიდისა ძისა შეწისა იესოჲსათა“ (საქმე, 4, 29—30).

მოწაფე: მავანნი ამბობენ იესოს ლოცვისაგან ყოველთვის, ანდა თითქმის ყოველთვის, ხიბლი იშვებაო, და კრძალავენ მას.

ბერი: ამ აზრსა და ამ აკრძალვაში საშინელი ღმრთის გმობა და სავალალო ხიბლია ჩადებული. ჩვენი ცხონების ერთადერთი წყარო და გზაა უფალი იესო ქრისტე, მისმა კაცობრივმა სახელმა მისივე ღმრთაებრივი ბუნებისაგან შეითვისა განუსაზღვრელი, ყოვლადწმიდა ძალა ჩვენი ცხოვნებისა. და განა შესაძლებელია, რომ ეს ძალა, ჩვენს საცხოვნებლად მოვლენილი, ჩვენსავე დასაღუპად გვექცეს? ეს ხომ უაზრობაა! ეს გახლავთ გულსატკენი, ღმრთისმგმობი, სულის წარსაწყმედელი შეცდომა, ხოლო ვინც ეს აზრი შეითვისა, ის კი მართლაც ეშმაკის ხიბლშია ჩავარდნილი და სატანა-ს საგაწაა ცთუნებული. სატანა მზაკვრულად წინ აღუდგა იესო ქრისტეს ყოვლადწმიდა სახელს, იარაღად კაცთა სიბრმავე და უმეცრება იხმარა და ცილი დასწამა მას, ვისი სახელიც არის „უზეთაესი უფროჲს ყოველთა სახელთაჲსა, რაჲთა სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუხლი მოდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელისათანი“ (ფილიპ. 2, 9—10). იესოს ლოცვის ამკრძალველებს შეგვიძლია მივუგოთ პეტრე და იოანე მოციქულთა სიტყვებით, როდესაც მათ სინედრიონის ასეთივე აკრძალვაზე უპასუხეს: „უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროჲს, ანუ ღმრთისაჲ, საჯეთ“ (საქმე, 4, 19), ანუ რა უფრო სათნოა ღმრთის წინაშე, თქვენი მოსმენა თუ ღმრთისაო. უფალმა იესო ქრისტემ თავისი ყოვლად წმიდა სახელით ლოცვა გვამცნო და ამით უძვირფასესი ნიჭი მოგვმადლა, მაშ რა მნიშვნელობა აქვს კაცობრივ სწავლებას, რომელიც ღმრთაებრივ სწავლებას ეწინააღმდეგება, რა მნიშვნელობა აქვს კაცობრივ აკრძალვას, რომელიც ცდილობს დაარღვიოს ღმრთაებრივი ბრძანება და წარგვტაცოს ეს უძვირაფასესი ნიჭი? ძალიან საშიშია სახარების მიერ ნამცნები სწავლების საწინააღმდეგო ქადაგება, მოციქულის მოწმობით, ეს იმას

წიშნავს, რომ ნებსით უცხო ვექმნენ ღმრთაებრივ მადლს (გალ. 1, 8).

მოწაფე: მაგრამ იმ ბერებს, რომელთა აზრიც მე გადმოგეცი, დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი, მათ ბევრი მიიჩნევს სულიერი ცხოვრების ყველაზე გამოცდილ ხელმძღვანელებად.

ბერი: მოციქულმა, უფრო სწორად, თვით სული წმიდამ მოციქულის პირით გვამცნო, რომ ყოველი სწავლება, რომელიც არ ეთანხმება მოციქულთაგან ხარებულ სწავლებას, უარყოთ, თუნდაც მას „ანგელოზი ზეცით" გვახარებდეს. საღმრთო წერილმა ეს მცნება ასეთი სახით იმიტომ კი არ გამოთქვა, რომ რომელიმე წმ. ანგელოზი ქრისტეს სწავლების წინააღმდგომას აპირებდა, არამედ იმიტომ, რომ ქრისტეს სწავლება, ღმრთაებრივი სწავლება, რომელიც მოციქულებმა გვამცნეს, სრულიად სარწმუნოა, სრულიად წმიდა, არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება, რაც არ უნდა საფუძვლიანად ეჩვენებოდეს ეს სწავლება ნაკლულ, უკეღმართ ცოდნასა და ადამიანურ განსჯას. ქრისტეს სწავლება, რომელიც კაცთა და ანგელოზთა სამსჯავროზე მაღლა დგას, მხოლოდ სიმდაბლით მიიღება და თვითონ არის ის სასინჯი ქვა, რომლითაც მოწმდება ყველა სხვა სწავლება.

საზოგადოების აზრს მონაზვნობის ამა თუ იმ მასწავლებელზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუკი საზოგადოების სწავლება საღმრთო წერილსა და წმ. მამათა სწავლებას ეწინააღმდეგება, თუ იგი ღმრთის გმობას შეიცავს. მონაზვნობა მეცნიერებათა მეცნიერებაა, და იმისათვის, რომ მასწავლებელი სწორად შეაფასო, შენ თვითონ კარგად უნდა იყო განსწავლული ამ მეცნიერებაში. წმ. მაკარი დიდმა თქვა: „მრავალი ჩანს გარეგნულად მართალი, ისინი ჭეშმარიტ ქრისტიანებად არიან ცნობილნი, მაგრამ მხოლოდ ხელოვნების ნამდვილი მცოდნენი ხვდებიან, ჭეშმარიტად იცნობენ ეს მართალნი მეფეს და ნამდვილად აქვთ ზისი ხატი შემოსილი, თუ უკეთურმა ადამიანებმა ყალბი ბეჭედი დაასვეს მათ?

ხოლო თუ ასეთი ოსტატები არსად არიან, მაშინ ვერც ვერავინ ამხელს ბოროტისმყოფელებს, რამეთუ გარეგნულად ისინიც მონაზვნებისა და ქრისტეანების ტყავში არიან გახ-

ვეულნი" (38-ე საუბარი, თავი I). ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, როდესაც მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ იოანე წინასწარმეტყველის შესახებ ნათქვამ სიტყვას განმარტავს, რომ იგი იქნება „დიდ უფლის წინაშე" (ლუკა, 1, 15), წერს: ანგელოზი ამბობს, რომ იოანე იქნება დიდი, მაგრამ დიდი უფლის წინაშე, რამეთუ მრავალს ეწოდება დიდი კაცთა წინაშე და არა უფლის წინაშე, ხოლო ისინი თვალთმაქცნი არიან". თუკი ბიწიერ ცხოვრებასა და ბოროტისმზარხველობას, თვალთმაქცობით შენიღბულს, სოფელი ვერ ცნობს და სათნოებად ღებულობს, მით უფრო ვერ იცნობს იგი ზერელე, ნაკლულოვან, უკუღმართ ცოდნას. სოფელი დიდ პატივს სცემს გარეგნულ მოღვაწეობას და ხორცის დათრგუნვას, და არაფრად დაგიდევთ, სწორად და სასარგებლოდ იყენებენ ამ მოღვაწეობას თუ მცდარად და სულისათვის საზიანოდ. სოფელი განსაკუთრებით აფასებს იმას, რაც გრძნობიერებას აღვიძებს, რაც მის წარმოდგენებს შეესაბამება სათნოებებისა და მონაზვნობის შესახებ, სოფელს ის უყვარს, რაც მას აამებს, სოფელს თავისი უყვარსო, თქვა მაცხოვარმა (იოანე, 15, 19), სწორედ სოფლისაგან მოძულება, გინება და დევნა გამოდგება ღმრთის ნამდვილი მონის გამოსაცნობად, და ამას უფალიც გვიმოწმებს (იოანე, 15, 18—25). წმ. მამები გვამცნებენ ავირჩიოთ უცთომელი მოძღვარი, რომლის უცთომელობა იქიდან უნდა შევიტყოთ, რამდენად შეესაბამება მისი სწავლება და ცხოვრება საღმრთო წერილისა და ღმერთშემოსილი მამების სწავლებას (კალისტე და ეგნატე ქსანთოპულოები, „დაყუდებისა და ლოცვის შესახებ", თავი 14, ფილოკალია, ნაწ. I). ისინი გვაფრთხილებენ, რომ არ მივენდოთ უმეცარ მოძღვრებს, რათა მათი ცრუსწავლება არ გადმოგვედოს (ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, თავი 32, ფილოკალია, 1). მამები იმასაც გვიბრძანებენ, ჩვენი მასწავლებლების სწავლება საღმრთო წერილისა და წმ. მამების სწავლებას შევადაროთ და რაც მათ ეთანხმება, მივიღოთ, ხოლო რაც არ ეთანხმება, განვაგდოთ (იქვე, თავი 33). ისინი ამბობენ, რომ ვისაც სულიერი თვალი ჯერ არ განათლებია და ხეს ნაყოფით ვერ იცნობს, ისინი ჭკუის დამრიგებლებად და სულიერ მოძღვრებად აღი-

არებენ ცუდმედიდ, ცარიელ და თვალთმაქცა ადამიანებს, ხოლო ჭეშმარიტ წმინდანებს არაფრად აგდებენ; თუ ისინი ჩუმად არიან, უმეცრებად თვლიან, ხოლო თუ ლაპარაკობენ, ამპარტავნებად და სასტიკებად (იქვე, 70, 71, 72). გადახედე წმ. წერილს და ნახავ, რომ იგი ყველგან ადიდებს ღმრთის სახელს, მის ძალას, კაცთათვის ცხონების მიმნიჭებელს. გადახედე მამების ნაწერებსაც — ისინი, ყველანი უკლებლივ, გვირჩევენ, და გვამცნებენ იესოს ლოცვაში ვარჯიშს, მას უწოდებენ იარაღს, რომლის უმაგრესი არაფერია არც ცაზე და არც მიწაზე, ღმრთისაგან ბოძებულ, წარუპარველ მემკვიდრეობას, ღმერთკაცის საბოლოო და უმაღლეს მცნებას, მართლმადიდებელი აღმოსავლური ეკლესიის სჯულისდებაც ნახე; წერა-კითხვის უმეცარ შვილებს, მოწაზვნებსაც და ერისკაცებსაც, იგი უდგენს, რომ სენაკის წესში შემავალი უტკბეს ნუგეშინისცემას, სარწმუნო საწინდარს, და ბოლოს, ყველა ლოცვა და ფსალმუნება იესოს ლოცვით შეცვალონ, მაშ რა მნიშვნელობა აქვს საღმრთო წერილსა და წმ. მამების ერთსულოვანი მოწმობის წინაშე, მთელი მსოფლიო ეკლესიის სჯულისდების წინაშე ზოგიერთი ბრმის სწავლებას, რომელთაც მათივე მსგავსი ბრმები განადიდებენ?

მოლდაველმა ბერმა, სქიმონაზონმა ბასილიმ, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მოღვაწეობდა, განსაკუთრებით ნათლად გადმოსცა სწავლება იესოს ლოცვის შესახებ, ღირსი მამების: გრიგოლ სინელის, ისიქი იერუსალიმელისა და ფილოთეოზ სინელის შენიშვნებში. თავის შენიშვნებს ბასილიმ წინასიტყვაობები ანუ წინაბილიკები უწოდა. ძალიან ზუსტი სახელწოდებაა! შენიშვნების კითხვა ამზადებს კაცს ამ მამების წასაკითხად, რომელთა თხზულებებიც უკვე საკმაოდ მაღალ საზომს მიღწევნული ბერების საქმეა. ეს შენიშვნები ოპტინის უდაბნოში გამოიცა პაისი ველიჩკოვსკის ნაწერებთან ერთად, რომელიც ბასილის მოძღვარი, მეგობარი და თანამოსაგრე იყო. ღირსი გრიგოლ სინელის წიგნის წინასიტყვაობაში ბასილი წერს: „ზოგიერთი, ვინც გამოცდილებით არ იცის შინაგანი ლოცვა და ფიქრობს, რომ სულიერი განსჯის უნარი მოიპოვა, თავს იმართლებს ანუ, უფრო, სწორად, იესოს ლოცვისაგან განაყენებს სამი მიზეზის მო-

გონებით: ჯერ ერთი, მას მხოლოდ წმიდა და ვნებათაგან განწმენდილი მამების საქმედ მიიჩნევენ, ამბობენ, ამ ლოცვას ვნებებით სავსე ადამიანები არც კი უნდა გაეკარონო. მეორე მიზეზად ამ გზაზე წინამძღვართა და მასწავლებელთა არარსებობას ასახელებენ, მესამედ — ხიბლს, რომელიც იესოს ლოცვას თან ახლავს. ამ მიზეზთაგან პირველი ფუჭი და უსამართლოა, რამეთუ ახალმოსულ მონაზონთა წარმატების პირველი საფეხური გახლავთ სწორედ ვნებების დათრგუნვა გონების სიფხიზლითა და გულის დაცვით, ანუ შინაგანი ლოცვით. მეორე მიზეზიც უგუნური და უსაფუძვლოა, რამეთუ მართალია, წინამძღვარი და მასწავლებელი არა გვყავს, მაგრამ საღმრთო წერილია ჩვენი მასწავლებელი. მესამეში თავის ცთუნებაა ჩადებული: ვიწც კითხულობს მამათა ნაწერებს ხიბლის შესახებ და ამ მიზეზს ასახელებს იესოს ლოცვის წინააღმდეგ, ის საკუთარ თავს იტყუებს, რამეთუ არასწორად განმარტავს ხიბლს. იმის მაგივრად, რომ წაკითხულიდან გაიგონ, თუ რა არის ხიბლი და როგორ უნდა უფრთხილდნენ მას, ისინი უკუღმართად ხსნიან და შინაგანი ლოცვის უარსაყოფად იყენებენ მამების ნაწერებს. თუ ამ ლოცვისა მხოლოდ მოწიწებისა და უბრალოების გამო გეშინია, მაგ მიზეზით მეც მეშინია, მაგრამ იმ მიზეზებისა კი, ზემოთ რომ ჩამოვთვალე, არ მეშინია, ისინი ცრუ ზღაპრებს გვანან, მაგათი შიშით შორს ვერ წახვალ... ღმერთის უნდა გეშინოდეს, მაგრამ ამ შიშის გამო არ უნდა გაექცე და არ უნდა განეშორო მას". შემდეგ ბასილი განმარტავს განსხვავებას იესოს ლოცვის ორ სახეობას შორის. პირველია გონიერთა ლოცვა, რომელსაც გული თანაუგრძნობს, და ეს ლოცვა ყველა ღმრთისმოშიშ მონაზონსა და საერთოდ, ყველა ქრისტიანს შეუძლია, ხოლო მეორე — მადლისმიერი, როდესაც გონება გულშია ჩაკეტილი და იქიდან ლოცულობს.

ასეთი ლოცვა მაღალ საზომს მიწევნული მონაზვნების საქმეა. ვისაც საშინელი წინააღმდეგობა აქვს ჩაგონებული იესოს ლოცვის მიმართ, და თანაც სრულიად არ იცნობს მას გამოცდილებით, იმისთვის უმჯობესი იქნება საერთოდ შეიკავოს თავი იესოს ლოცვაზე მსჯელობისაგან და აღიარებს, რომ არაფერი გაეგება ამ უწმინდესი ღვაწლისა, ვიდრე იესოს

ლოცვის წინააღმდეგ მქადაგებლის როლი იკისროს და ამტკიცოს, რომ იგი ეშმაკის ხიბლისა და სულის წარწყმედის მიზეზია. მათ გასაფრთხილებლად თავს მოვალედ მივიჩნევ განვაცხადო, რომ იესოს ლოცვის გმობა, ამ სახელისთვის შავნეზემოქმედების მიწერა იმ გმობის ტოლფასია, რომლითაც ფარისევლები უფლის მიერ მოხდენილ სასწაულებს გმობედნენ (მათე, 12, 24). ღმრთის სამსჯავროზე უმეცრება გაცილებით იოლად მიეტევება, ვიდრე ჯიუტი, ამოჩემებული, წინააღმდგომი აზრი და მასზე დამყარებული მოქმედება. გვახსოვდეს, რომ საშინელ სამსჯავროზე ყოველი უქმი სიტყვისათვის პასუხს ვაგებთ (მათე, 12, 36), და მით უფრო მწარედ ვაგებთ პასუხს გმობის სიტყვებისთვის, რომლებიც ქრისტეანული სარწმუნოების ძირითად დოგმატს ეხება. სწავლებას იესოს სახელის ღმრთაებრივ ძალაზე ძირითადი დოგმატის მნიშვნელობა აქვს და ამ დოგმატთა ყოვლადწმიდა რიცხვს მიეკუთვნება. უმეცარი, ღმრთისმგმობი მსჯელობა იესოს ლოცვის შესახებ მწვალებლური მსჯელობის ტოლფასია.

მოწაფე: ისე კი, წმიდა მამები იესოს ლოცვით მლოცველს აფრთხილებენ ხიბლისაგან.

ბერი: დიახ, აფრთხილებენ ისინი ხიბლისაგან, აფრთხილებენ მორჩილებსაც, დაყუდებულებსაც და მმარხველებსაც, მოკლედ, ყველას, ვინც რაიმე სათნოებაში მეცადინეობს. ხიბლის საწყისი, ისევე როგორც ყოველი ბოროტებისა, ეშმაკია, და არა რაიმე სათნოება. წმ. მაკარი დიდი ამბობს: „დიდი სიფრთხილით უნდა ვადევნოთ თვალი მტრის მიერ ყოველი მხრიდან დაგებულ მახეებს, ეშმაკის მზაკვრობებსა და ვერაგულ ხრიკებს. როგორც სული წმიდა პავლე მოციქულის მეშვეობით „ყოველთა ექმნა ყოვლად“ (I კორ. 9, 22), ისევე მაცთური სული გაბოროტებით ცდილობს იყოს ყოველივე ყოველთათვის, რათა ყველას წარსაწყმედელისკენ უქნას პირი. მლოცველთან ისიც მლოცველად აჩვენებს თავს, რათა ამპარტავნებაში ჩააგდოს ლოცვის მიზეზით, მმარხველებთან ერთად იმარხავს, რათა საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით აცთუნოს და ჭკუიდან შეშალოს, საღმრთო წერილის მცოდნეებთან ერთად თვითონაც იწყებს მის ჩხრეკას, ვითომ ცოდნას ეძებს, სიწმიდვილეში კი წერილის უკუღმართ გაგებამდე მიყვანას

ცდილობს, იმათ, ვინც ნათლით გაბრწყინებას ეღირსა, თვითონაც ამ ნიჭის მფლობელად წარმოუდგება, როგორც პავლე ამბობს: „თვით იგიცა ეშმაკი იცვალისვე ანგელოზად ნათლისა“ (2 კორ. 11, 14). რათა ცრუ ნათლით აცთუნოს და თავისკენ მიიზიდოს. მოკლედ, ყველასთვის სხვადასხვა სახეს ღებულობს, რათა სიკეთეს მიმსგავსებული ქმედებით დაიმონოს მოღვაწე, სახიერად აჩვენოს თავი და უფსკრულში გადაჩეხოს“ (სიტყვა 7, თავი 9). მინახავს ბერები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერებულ ხორციელი მოღვაწეობას ეწეოდენ, აქედან ექმნებოდათ არასწორი წარმოდგენა საკუთარ თავზე და უდიდეს ხიბლში ვარდებოდნენ. საოცრად ძლიერდებოდა მათი სულიერი ვნებები — მრისხანება, ამპარტავნება, ცბიერება და ურჩება, ჯიუტად და გამძვინვარებით უარყოფდნენ მოძღვრების, წინამძღვრებისა და თვით მღვდელმთავრების ყველა სულის სარგო რჩევასა და გაფრთხილებას, მეტიც — სიმდაბლის კი არა, თავმდაბლობის და თვით უბრალო ზრდილობის წესებსაც უგულვებელყოფდნენ და სრულიად უტიფრად გამოხატავდნენ აგდებულ დამოკიდებულებას ამ მრჩეველთა მიმართ.

ერთი ეგვიპტელი ბერი, IV საუკუნის მოღვაწე, საშინელი ხიბლის მსხვერპლი გახდა. თავიდან მას ამპარტავნება ებრძოდა, რის გამოც მაცთური სულის განსაკუთრებული გავლენის ქვეშ მოექცა. ეშმაკი, ბერის ამ თვისებას ჩაეჭიდა და განავითარა, რათა საბოლოოდ დაემორჩილებინა და დაეღუპა მისი სული. დემონის შეწევნით ბერმა ისეთი საშინელ წარმატებას მიაღწია, რომ ფეხშიშველი დგებოდა გახურებულ ნაკვერჩხლებზე და თავიდან ბოლომდე ამბობდა უფლის ლოცვას, „მამაო ჩვენო“-ს. რა თქმა უნდა, სულიერ განსჯას მოკლებული ბრბო ამ ქმედებაში ღმრთის სასწაულს, ბერის განსაკუთრებულ სიწმიდესა და უფლის ლოცვის მადლს ხედავდა და ხოტბას ასხამდა, რითაც ხელს უწყობდა მისი ამპარტავნების კიდევ უფრო გაღვივებასა და საბოლოო დაღუპვას. მაგრამ აქ არაფერ შუაში იყო არც ღმრთის სასწაული, არც ბერის სიწმინდე, არც უფლის ლოცვა, აქ მოქმედებდა სატანა, რომელიც კაცის მიერ საკუთარი თავის მოცთუნებასა და არასწორად წარმართულ ნებისყოფაზე დაყრდნობით

ხიბლში აგდებდა მას. ალბათ მკითხავ, ეშმაკის ამ მოქ-მედებაში რა როლი ეკისრებოდა უფლის ლოცვას, მოხიბლული ბერი ხომ ამ ლოცვას კითხულობდა და მასვე მიაწერდა სასწაულსო? სრულიად აშკარაა, რომ უფლის ლოცვა აქ არაფერ შუაშია. მოხიბლული ბერი საკუთარი ნებისყოფით, თავის მოცთუნებისა და ეშმაკის ხიბლის მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავისივე თავის წინააღმდეგ იყენებდა სულიერ მახვილს, რომელიც ადამიანებს საცხოვნებლად მიეცათ. მწვალებელთა შეცდომებიც ყოველთვის წმ. წერილის ბოროტად გამოყენებით ინიღბებოდა, და ეს ხდებოდა დახვეწილი ცბიერების საშუალებით. ამ შემთხვევაშიც კაცის შეცდომა და ეშმაკის ხიბლი უფლის ლოცვით იყო შენიღბული. საბრალო ბერს ეგონა, გახურებულ ნაკვერცხლებზე უფლის ლოცვის წყალობით იდგა, თავისი წმიდა და მაღალი მოღვაწეობის გამო, სინამდვილეში კი ყოველივე ეშმაკის ხიბლის ნაყოფი გახლდათ. სწორედ ასევე, თავის ცთუნება და ეშმაკის ხიბლი ზოგჯერ იესოს ლოცვის მოქმედებით ინიღბება, ხოლო უმეცრება ამ უწმიდესი ლოცვის მოქმედებას მიაწერს იმას, რასაც კაცისა და სატანის ერთობლივ მოქმედებას უნდა მიაწერდეს. კაცისა, რომელმაც სატანა ირჩია წინამძღვრად. ხემოხსენებული ბერი ამ ვითომდა წმიდა ცხოვრებიდან აღვირახსნილ გარყვნილებაზე გადავიდა, ბოლოს საერთო აბანოს ბანახურებულ ღუმელში შეავარდა და დაიწვა. უეჭველია, ან საეოწარკვეთილებამ შეიპყრო, ანდა ღუმელში რაიმე ცრუ ჩვენება დალანდა (თვენი, ღირსი პახომი დიდის ცხოვრება, 15 მაისი).

მოწაფე: თვითონ კაცში რა პირობაა ისეთი, რომელიც მას ხიბლის მისაღებად ამზადებს?

ბერი: ღირსი გრიგოლ სინელი ამბობს: „ხიბლის მიზეზი ერთია — ამპარტავნება" (თავი 131, ფილოკალია, 1). კაცის ამპარტავნებაში, რომელიც თავისთავად სხვა არა არის რა თავის ცთუნების გარდა, ეშმაკი მშვენიერ ნავსაყუდელს პოულობს და მას თავის ხიბლსაც ზედ უმატებს. ყოველი კაცი ცოტად თუ ბევრად ხიბლისკენაა მიდრეკილი, რამეთუ თვით ყველაზე წმიდა კაცის ბუნებაშიც კი არსებობს რაღაც ნარჩენი ამპარტავნებისა (მაკარი დიდი, საუბარი 7, თავი 4).

ყურად ვიღოთ მამების გაფრთხილება: უნდა ვიფხიზლოთ, უნდა ვერიდოთ თავის ცთუნებასა და ხიბლს. ჩვენს დროში, როდესაც ღმრთივსულიერი მოძღვრები ისე დაილივნენ, განსაკუთრებული სიფხიზლე, განსაკუთრებული თავის მოფრთხილებაა საჭირო. ეს სიფრთხილე ყოველი მონაზვნური ღვაწლისათვისაა აუცილებელი, და მით უფრო — ლოცვისათვის, რომელიც ყველა ღვაწლზე მაღალია, ყველაზე სარგო სულისათვის, და ამიტომ ყველაზე მეტად ებრძვის ჩვენი ცხონების მტერი (მაკარი, საუბარი 3, სიტყვა 2). „შიშით მწირობისა მაგის თქუენის ჟამნი აღასრულენით" (I პეტრე, 1, 17), გვამცნო მოციქულმა. იესოს ლოცვაში არის დასაწყისი, არის თანდათანობა და არის უსასრულო დასასრული. აუცილებელია ლოცვაში ვარჯიშის დაწყება თავიდან და არა შუადან ან ბოლოდან. უწმიდესი კალისტე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ამ ლოცვის ნაყოფზე ასე მსჯელობს: „ვინც არ იცის საიდუმლო სწავლება, ანუ ჯერ კიდევ რძით იკვებება, მაგრამ სმენია ლოცვის მადლისმიერი მოქმედების შესახებ, ნუ გაბედავს მასთან მიახლოებას, აკრძალულია ასეთი მცდელობა. ვინც მაინც შეეცდება მის მოპოვებას და წაადრევად მოიწადინებს იმის მიღწევას, რაც თავის დროზე თვითონ მოდის, ვინც უვნებობის ნავსაყუდელში შესვლას ლამობს და სიწამდვილეში მოუმზადებელია მისთვის, იმას მამები ჭკუიდან შეშლილს უწოდებენ. შეუძლებელია წიგნის წაკითხვა კაცისთვის, ვისაც ჯერ ანბანიც არ უსწავლია" (ლოცვისათვის, თავი 2, ფილოკალია, ნაწ. II).

მოწაფე: რას ნიშნავს იესოს ლოცვაში ვარჯიშის დაწყება შუიდან და ბოლოდან, და რას წიშნავს თავიდან დაწყება?

ბერი: შუიდან ის ახალმოსულები იწყებენ, რომლებსაც მამების ნაწერებში ამოუკითხავთ დარიგებები იესოს ლოცვაში ვარჯიშისათვის. ისინი არას დაგიდევენ, რომ ეს დარიგებები დაყუდებულთათვის, ანუ მონაზვნურ ღვაწლში მაღალ საზომს მიწევნულთათვისაა განკუთვნილი და განუსჯელად ღებულობენ მათ სახელმძღვანელოდ საკუთარი თავისათვის. შუადან იწყებენ ისინიც, ვინც ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ცდილობს გონების გულში ჩაკეტვას და იქიდან ლოცვას. ბოლოდან ისინი იწყებენ, ვინც თავის

თავში პირდაპირ მადლისმიერ ტკბობასა და სხვა მადლისმიერ ქმედებებს დაეძებს. ლოცვაში-ვარჯიში თავიდან უნდა დავიწყოთ. ეს ნიშნავს, რომ უნდა ვილოცოთ ყურადღებით და მოწიწების გრძნობით, ლოცვის მიზანი სინანული უნდა იყოს, და მხოლოდ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს სამი თვისება: ყურადღება, მოწიწების გრძნობა და სინანული მუდამ თან ახლდეს ჩვენს ლოცვას. იოანე კიბისაღმწერელიც, შინაგანი მადლისმიერი ლოცვის ეს დიდი მოღვაწე, მორჩილებაში მყოფებს ყურადღებით ლოცვას ამცნებს, დაყუდებულებს კი — გულით ლოცვას. მას მიაჩნია, რომ პირველთათვის შეუძლებელია განუბნეველი ლოცვა, მეორეთაგან კი სწორედ ასეთ, განუბნეველ ლოცვას მოითხოვს (კიბე, სიტყვა 4, 123, სიტყვა 27). როდესაც გარშემო ადამიანები არიან, მხოლოდ გონებით უნდა ილოცო, ხოლო თუ მარტო ხარ, ხმადაბლა, შენთვის გასაგონად (წმ. კალისტე, „მოკლედ ლოცვის შესახებ", ფილოკალია, ნაწ. 4). განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ზნეობის სწორად, სახარების სწავლების მიხედვით წარსამართად. გამოცდილება დაანახებს მლოცველს, თუ რა მჭიდრო კავშირია სახარების მცნებებსა და იესოს ლოცვას შორის. ეს მცნებები იესოს ლოცვისათვის იგივეა, რაც ზეთი — კანდელისათვის: უზეთოდ კანდელის დანთება შეუძლებელია, თუ ზეთი მოაკლდა, კანდელი ქრება და ჰაერში მყარალი კვამლის სუნს ტოვებს. სახარების მცნებების მიხედვით ზნეობის ჩამოყალიბებას ძალიან უწყობს ხელს მონასტრის მორჩილებების გავლა, თუ ეს მორჩილებები წმ. მამათა გადმოცემების მიხედვითაა წარმართული. ჭეშმარიტი მორჩილება ბრის საფუძველი და კარი ჭეშმარიტი დაყუდებისა, ჭეშმარიტი დაყუდება კი გულთან შეთვისებული ლოცვაა, და ზოგიერთი მამა ამ მოღვაწეობას კაცთა შორის მყოფი ეწოდება. მხოლოდ სახარების მცნებებით წარმართული ზნეობის საძირკველზე, მხოლოდ ამ მტკიცე ლოდზე შეიძლება აიგოს ღმრთისათვის სათნო ლოცვის წმიდა, დიდებული, ხელთუქმნელი ტაძარი. ამაოა ქვიშაზე, ანუ მსუბუქი, მერყევი ზნეობის საძირკველზე მშენებლის შრომა (მათე, 7, 26). კეთილად წარმართული ზნეობა, რომელიც სახარების მცნებების შესრულების ჩვევითაა განმტკიცებული, შეიძლება შე-

ედაროს ვერცხლის ან ოქროს ჭურჭელს, და მას ერთადერთს შეუძლია ღირსეულად მიიღოს და საიმედოდ დაიმარხოს უძვირფასესი სულიერი მირონი — ლოცვა.

წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, როდესაც ლოცვითი ღვაწლის წარუმატებლობასა და მისგან წარმოშობილ ხიბლზე ლაპარაკობს, მიზეზად ამ ღვაწლის არასწორად და არათანდათანობით წარმართვას ასახელებს. იგი ამბობს: „ვისაც ლოცვაში უმაღლესი წარმატების მოპოვება სურს, ზემოდან ქვემოთ დაშვებით ნუკი დაიწყებს, ქვემოდან ზემოთ ავიდეს, ჯერ პირველ საფეხურზე, მერე მეორეზე, მესამეზე და ბოლოს, მეოთხეზე. ამრიგად, ყველას შეუძლია მიწას ასცდეს და ზეცას მიაღწიოს. ჯერ ერთი, კაცმა იმისათვის უნდა იღვაწოს, რომ მოთოკოს და შეამციროს ვნებები, მეორეც, ფსალმუნებაში ანუ ზეპირ ლოცვაში უნდა ივარჯიშოს: როდესაც ვნებები მოიკლებს, ლოცვა თავისთავად მიანიჭებს ენას სიტკბოსა და სიხარულს, და ასეთი ლოცვა სათნო — ეყოფა ღმერთს. მესამეც, იგი შინაგანი ლოცვით უნდა ლოცულობდეს“. აქ იგულისხმება ლოცვა, რომლის დროსაც გონება გულშია ჩაკეტილი. ახალმოსულთა ლოცვას მამები იშვიათად უწოდებენ შინაგან ლოცვას, მას უძირო ზეპირ ლოცვად მიიჩნევენ. „მეოთხე საფეხურია, როდესაც კაცი ხილვების ღირსი ხდება. პირველი სახის ლოცვა ახალმოსულთა საქმეა, მეორე — წარმატების გზაზე შედგომილთა, მესამე — განსაკუთრებული წარმატების მომპოვებელთ, ხოლო მეოთხე — სრულთა“. შემდეგ წმ. სვიმეონი ამბობს, რომ ვინც ვნებების დათრგუნვას ცდილობს, იმან გულის დაცვა და ყურადღებით ლოცვა უნდა ისწავლოს, ისეთი, როგორიც მის საზომს შეეფერება (სიტყვა ყურადღებისა და ლოცვის სამი სახის შესახებ).

პახომი დიდის მონასტრებში, სადაც შინაგანი ლოცვის უდიდესი მოღვაწეები ცხოვრობდნენ, ყოველ ახალმოსულს პირველ ყოვლისა შრომას ასწავლიდნენ და გამოცდილ ბერს უჯგენდნენ წინამძღვრად. გარეგნული და შინაგანი ცხოვრების ყოველდღიური აღსარებით, საკუთარი ნების უარყოფით ვნებები სწრაფად და მძლავრად ითრგუნებოდა, ხოლო გული და გონება განიწმინდებოდა. ამავე დროს ახალმოსულს მისი

საზომის შესაფერი ლოცვის წესიც ეძლეოდა. სამი წლის შემდეგ მათგან მოითხოვდნენ მთელი სახარებისა და ფსალმუნის ზეპირად შესწავლას, უფრო ნიჭიერთაგან — მთელი საღმრთო წერილსაც, რაც ძალიან უწყობს ხელს ზეპირი ლოცვის დროს ყურადღების განვითარებას. ამის შემდეგ უკვე იწყებოდა საიდუმლო სწავლება ლოცვის შესახებ, და ამ სწავლებას მათ ძველი და ახალი აღთქმიდან მოყვანილი მაგალითებითაც განუმარტავდნენ. ამრიგად მიდიოდნენ მონაზვნები შინაგანი ლოცვის სწორად გაგებასა და სწორად წარმართვამდე. იმის გამო, რომ საძირკველი მყარი იყო და ლოცვა — კარგად დაყენებული ისინი საოცარ წარმატებას აღწევდნენ.

მოწაფე: არსებობს თუ არა ხიბლისაგან თავდაცვის რაიმე კარგი საშუალება, საერთოდ, ყველა მონაზვნური ღვაწლისათვის და კერძოდ, იესოს ლოცვაში ვარჯიშისათვის?

ბერი: როგორც ამპარტავნებაა ხიბლის მიზეზი, ისევე სიმდაბლე, ამპარტავნების საპირისპირო სათნოება, არის ხიბლისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება. წმ. იოანე კიბისაღმწერელი სიმდაბლეს „ვნებათა მომკვლელსა და წარმწყმედელს“ უწოდებს (25-ე სიტყვის სათაური). ცხადია, იმ კაცის სულში, რომელშიც ვნებები უმოქმედონი და დათრგუნულნი არიან, ვერც ხიბლი გაჩნდება, რამეთუ ხიბლი არის სულის ვნებიანი ანდა მიკერძოებული გადახრა ტყუილისკენ, ამპარტავნების საფუძველზე.

იესოს ლოცვაში ვარჯიშისა და საერთოდ ლოცვის დროს საიმედოდ გვიცავს ხიბლისაგან სიმდაბლის ის სახე, რომელსაც გლოვა ეწოდება. გლოვა არის სინანულის გულით განცდა, მაცხოვნებელი მწუხარება კაცისა საკუთარ ცოდვათა და მრავალფეროვან უძლურებათა გამო. გლოვა არის „სული შემუსვრვალი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული“. (ფსალმ. 50, 19), რომელსაც უფალი არა შეურაცხყოფს, ანუ დემონთა ხელში არ ჩააგდებს და მათ სასაცილოდ არ გახდის, როგორც ეს ემართება ამპარტავან, თავდაჯერებულ, ცუდმედიდ ადამიანს. გლოვა არის ის ერთადერთი მსხვერპლი, რომელსაც ღმერთი შეიწირავს კაცის დაცემული სულისაგან, ვიდრე იგი სული წმიდის მიერ განახლდებოდეს. დაე,

განიმსჭვალოს ჩვენი ლოცვა სინანულით, და გლოვა იყოს მისი განუყრელი მხლებელი, მაშინ საიმედოდ ვიქნებით დაცულნი ხიბლისაგან. წმ. გრიგოლ სინელი თავისი თხზულების ბოლო თავში ამბობს: „დიდი შრომაა საჭირო ჭეშმარიტების მისაღწევად და ყოველივე იმისგან განსაწმენდანდ, რაც წინააღმდგომია სული წმიდის მადლისა, რამეთუ ეშმაკს სჩვევია ხიბლის ჭეშმარიტებად წარმოდგენა და უკეთურების სულიერებად მოჩვენება, მით უფრო ახალმოსულთა მოსაცთუნებლად. ამიტომ დაუუდების ღვაწლის ამღებელი წმიდა ლოცვის მოსაპოვებლად დიდი ძრწოლითა და გლოვით უნდა დაადგეს ლოცვის გზას, გამოცდილ ბერებს ეკითხებოდეს რჩევას, მუდამ თავის ცოდვებს დასტიროდეს, სწუხდეს და ეშინოდეს, რომ სატანჯველში არ ჩავარდეს ან ღმრთისაგან არ განვარდეს აწინდელ ან მერმინდელ ცხოვრებაში. თუ ეშმაკი დაინახავს, რომ მოღვაწე გლოვაში ატარებს დღეებს, უფრთხის და არ ეკარება მას, რამეთუ ვერ უძლებს გლოვისაგან შობილ სიმდაბლეს... მძლავრი იარაღია ლოცვა გლოვასთან ერთად. უცთომელი ლოცვა არის იესოს ლოცვასთან შეერთებული სითბო, რომელიც ცეცხლს ანთებს ჩვენს სულში, ვნებებს წვავს და სიხარულსა და სიმყუდროვეს ამკვიდრებს. ეს სითბო არც მარჯვნიდან მოდის, არც მარცხნიდან და არც ზემოდან, არამედ თვით გულში აღმოცენდება, როგორც წყარო აღმოცენდება განმაცხოველებელი სულისაგან[1]. იგი ერთადერთი შეიყვარე, სცადე მისი მოძებნა და გულში დამკვიდრება, დაიცავი გონება ოცნებების, მსჯელობისა და მჩხრეკელობისაგან, და ნუ გეშინია. იგი, ვინც თქვა: „კადნიერ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინი"! ჩვენთანაა. იგი ისაა, ვისაც ჩვენ ვეძიებთ. იგი ყოველთვის დაგვიცავს და არ უნდა გვეშინოდეს მისი სახელის მოხმობისა. და თუ მავანი კიდეც

---

1. სულიერი სითბო მაღალ საზომს მიწევნული დაუუდებული ბერების ხვედრია, სწორედ მათთვისაა დაწერილი წმ. გრიგოლ სინელის წიგნი და არა ახალმოსულთათვის. ამ უკანასკნელთათვის საკმარისია ყურადღებითა და ლმობიერებით ლოცვა (წმ. ეგნატეს შენიშვნა).

შეცდა და ჭკუიდან შეიშალა, იცოდეს მას ეს თავნებობისა და ქედმაღლობისაგან დაემართა". დღეს, სული წმიდით მოსილი მამების სრული მოკლების გამო, ლოცვის ღვაწლის თავსმდები იძულებულია მხოლოდ წმ. წერილითა და წმ. მამების სწავლებებით იხელმძღვანელოს. ეს ბევრად უფრო ძნელია... აი კიდეც ერთი მიზეზი გლოვისა და ტირილისა.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

ხიბლისათვის

მოწაფე: ჩამომიყალიბე ხიბლის ზუსტი და ამომწურავი განსაზღვრება. რა არის ხიბლი?

ბერი: ხიბლი არის კაცობრივი ბუნების ტყუილით შერყვნა. ხიბლი უკლებლივ ყველა ადამიანის მდგომარეობაა, და ეს მდგომარეობა ჩვენს წინაპართა დაცემითაა გამოწვეული. ჩვენ ყველანი ხიბლში ვართ (წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის მე-3 სიტყვის დასაწყისი). ამის ცოდნა ხიბლისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა.

ყველანი ცთუნებულნი ვართ, ყველანი ხიბლში ვართ, ყველანი ვტყუვდებით და ჭეშმარიტებამ უნდა გაგვანთავისუფლოს, ხოლო ჭეშმარიტება არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე (იოანე, 8, 32). შევითვისოთ ეს ჭეშმარიტება რწმენის გზით, შევღაღადოთ იმავ ჭეშმარიტებას და იგი ამოგვიყვანს იმ უფსკრულიდან, რომელშიც თავის მოტყუებისა და ეშმაკთა საცთურის გამო ვიმყოფებით. საბრალოა ჩვენი ყოფა! იგია საპყრობილე, რომლისგანაც ხსნას ვეევედრებით უფალს მისი სახელის აღიარებით (ფსალმ. 114, 10), იგია ბნელეთი, რომელშიც „დევნა მტერმან სული ჩუენი და დაამდაბლა ქუეყანად ცხოვრება ჩუენი“ (ფსალმ. 142, 3), და ტყუილი მეცნიერება (I ტიმ. 6, 20) რომლითაც ეს სოფელია სნეული, თუმცა სოფელი ამ სნეულებას არ აღიარებს და პირიქით, სრულყოფილ სიჯანსაღედ სახელდებს მას, იგია ხორცი და სისხლი, რომელთაც „სასუფეველი ღმრთისა დამკვიდრებად ვერ ძალ-უც“ (I კორ. 15, 50), იგია მარადიული სიკვდილი. მას კურნავს და განაქარვებს მხოლოდ უფალი იესო ქრისტე. რომელიცაა „აღდგომა და ცხოვრება“ (იოანე, 11, 25). ასეთი გახლავთ ჩვენი მდგომარეობა და მისი ხედვა ახალ საბაბს

გვაძლევს გლოვისათვის. ცრემლით შევღაღადოთ უფალ იესო ქრისტეს, რათა გაგვათავისუფლოს საპყრობილისაგან, აღმოგვიყვანოს მიწიერ უფსკრულთაგან და სიკვდილის საცეცებისაგან გვიხსნას. წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი ამბობს: „უფალი ჩუენი იესო ქრისტე იმიტომ მოგვევლინა, რომ ისურვა ტყვეობისა და უბოროტესი ხიბლისაგან ჩვენი გათავისუფლება“ (მე-3 სიტყვა).

მოწაფე: ეს ახსნა ჩემი გონებისთვის ნაკლებად მისაწვდომია, უფრო უბრალო განმარტება მჭირდება.

ბერი: კაცთა მოდგმის წარსაწყმედად დაცემულმა ანგელოზმა ტყუილი იხმარა (დაბ. 3, 13). ამიტომ თქვა უფალმა, რომ ეშმაკი „მტყუვარ არს, და რამეთუ მამაჲცა მისი მტყუვარ არს... რამეთუ იგი კაცისმკვლელი იყო დასაბამითგან“ (იოანე, 8, 44). ტყუილის ცნება უფალმა მჭიდროდ დაუკავშირა კაცისკვლის ცნებას, რამეთუ ეს უკანასკნელი არის აუცილებელი შედეგი პირველისა. სიტყვა „დასაბამითგან“ იმაზე მიუთითებს, რომ ტყუილი სულ თავიდანვე კაცისკვლისათვის იხმარა ეშმაკმა, და მას აქეთ მუდამ იყენებს ამ იარაღს კაცთა წარსაწყმედად. მტყუვარი აზრია დასაბამი ყოველი ბოროტებისა! მტყუვარი აზრია დასაბამი თავის ცთუნებისა და ეშმაკთა საცთურისა. ტყუილის მეშვეობით ეშმაკმა მარადიული სიკვდილით მოსწყლა კაცობრიობა ძირშივე, ჩვენი წინაპრების სახით. ისინი მოიხიბლნენ, ანუ ტყუილი აღიარეს ჭეშმარიტებად, და ამით უკურნებელ, სასიკვდილო ცოდვაში ჩაცვივდნენ, რაც ჩვენმა პირველმა დედამაც დაგვიმოწმა: „გუელმან მაცთუნა მე და ვჭამე“ (დაბ. 3, 13). მას აქეთ ჩვენი ბუნება, ბოროტის შხამით დაგესლილი, ნებსით და უნებლიეთ ესწრაფვის ბოროტს, რომელიც სიკეთედ ეჩვენება ჩვენს გამრუდებულ ნებას, გაუკუღმართებულ გრძნობასა და გონებას. ნებსით — იმიტომ რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის დარჩენილი ბოროტსა და კეთილს შორის არჩევანის თავისუფლება, უნებლიეთ — იმიტომ რომ ეს ნარჩენი თავისუფლებისა არაა სრული თავისუფლება, იგი ცოდვითაა შერყვნილი და მისი გავლენით მოქმედებს. ჩვენ ასეთებად ვიბადებით, შეუძლებელია არ ვიყოთ ასეთები და ამიტომ უკლებლივ ყველანი თავის მოტყუებისა

და ეშმაკის საცთურის მდგომარეობაში ვიმყოფებით. თუკი ამ კუთხით შეეხედავთ ადამიანების დამოკიდებულებას სიკეთესა და ბოროტებასთან, იმ მდგომარეობას, რომელიც უკლებლივ ყოველი კაცის ხვედრია, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ხიბლის საკმაოდ გასაგები განსაზღვრება: ხიბლი არის კაცის მიერ ჭეშმარიტებად მიღებული ტყუილის შეთვისება. ხიბლი თავიდან აზროვნების წესზე მოქმედებს, როდესაც აზროვნება მიიღებს მას და გაუკუღმართდება, ხიბლი მაშინვე გადაეცემა გულს და იმასაც რყვნის, ხოლო როდესაც კაცის მთელ არსებას დაიპყრობს, მერე უკვე მის ყოველ ქცევას განსაზღვრავს და თვით ხორცსაც წამლავს, რამეთუ შემოქმედმა ხორცი განუყოფლად დაუკავშირა სულს. ხიბლი არის წარწყმედის ანუ მარადიული სიკვდილის მდგომარეობა.

დაცემის დღიდან მოყოლებული კაცი თავისუფალი მაინ სადგომია ეშმაკისათვის (წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, ციტატა ნიკიფორე მოწაზვნის სიტყვიდან, ფილოკალია, ტ. II, აგრეთვე მაკარი დიდი, სიტყვა 7, თავი 2). ეშმაკს აქვს ამის უფლება: ადამიანი თავისი ნებით დაემორჩილა მის ხელმწიფებას, რაკი ღმრთის მორჩილება უარყო: ღმერთმა გამოიხსნა კაცი. გამოხსნილ კაცს თავისუფალი არჩევანი აქვს — დაემორჩილოს ან ღმერთს, ან ეშმაკს, და ეს თავისუფლება შეუზღუდველი რომ იყოს, ეშმაკს კაცთან მისადგომი გზა შეუნარჩუნეს. ცხადია, ეშმაკი ყოველნაირად ცდილობს უწინდელ მორჩილებაში დაიტოვოს კაცი, ანდა კიდევ უფრო მეტადაც დაიმონოს, ამისთვის კი ძველსა და ნაცად იარაღს — ტყუილს ხმარობს. იგი ეყრდნობა ჩვენს მისწრაფებას საკუთარი თავის ცთუნებისაკენ და ცდილობს მოგვხიბლოს და მოგვატყუოს; ვნებებს გვიღვიძებს, მათ დამღუპველ მოთხოვნებს სიკეთის საფარველში ხვევს და ცდილობს ვნებების აყოლაზე დაგვითანხმოს. ვინც ერთგულია ღმრთის სიტყვისა, არ აძლევს თავს ამის ნებას, თრგუნავს ვნებებს და წინაღუდგება ეშმაკს (იაკობი, 4, 7). ასეთი კაცი სახარების მცნებებს მისდევს, ებრძვის თავის ცთუნების სურვილს, სძლევს ვნებებს, თანდათან თავისუფლდება დაცემულ სულთა გავლენისაგან და ხიბლის მდგომარეობიდან გადადის ჭეშმარიტებისა და თავისუფლების მდგომარეობაში (იოანე, 8,

32), რომელსაც კაცს ღმრთაებრივი მადლი ანიჭებს. ქრისტეს სწავლებისაგან განდრეკილი, საკუთარ ნებასა და გონებას აყოლილი ადამიანი მტერს ემორჩილება და თავის ცთუნებიდან გადადის ეშმაკის საცთურის მდგომარეობაში. თავისუფალი ნების ბოლო ნარჩენებსაც კარგავს და სრულიად ემონება ეშმაკს. ეშმაკის საცთურში მოხვედრილი ადამიანების მდგომარეობა სხვადასხვანაირია, გააჩნია, უპირატესად, რომელ ვნებასაა კაცი აყოლილი და დამონებული, და გააჩნია ამ დამონების ხარისხს. თუმცა კი ყველა, ვინც ეშმაკის საცთურში ჩავარდა, ხიბლის მდგომარეობაში იმყოფება და ეშმაკის ტაძარსა და იარაღს წარმოადგენს, მარადიული სიკვდილის კერძია და ჯოჯოხეთის ჯურღმულებში დამკვიდრება მოელის.

მოწაფე: ჩამოთვალე ეშმაკის საცთურის სახეები, რომელთაც არასწორი ლოცვა იწვევს.

ბერი: ეშმაკთა საცთურის ყველა სახე, რომელიც მოღვაწეს ებრძვის, იქიდან ჩნდება, რომ ლოცვას საფუძვლად სინანული არ უდევს, სინანული არაა ლოცვის საწყისი, სული, მიზანი. წმ. გრიგოლ სინელი ამბობს: თუ კაცს არასწორი წარმოდგენა აქვს თავის თავზე და მაღალი ლოცვის მოპოვებაზე ოცნებობს, და ამას ესწრაფვის არა ჭეშმარიტი, არამედ სატანური მოშურნეობით, მას ეშმაკი ადვილად ხვევს თავის ბადეში, ის უკვე ეშმაკის მსახურია". ყოველი კაცი, ვინც ცდილობს შევიდეს ბე ღმრთისას ქორწილში წმიდა და სპეტაკი სამოსლით კი არა, რომელსაც სინანული ანიჭებს, არამედ ძონძებით, ანუ ძველი ადამიანის ცოდვებითა და თავის ცთუნებით დამძიმებული, შორს, ბნელ გარესკნელში, ეშმაკის საცთურში ვარდება. „და განგიზრახებ შენ, რაჲთა იყიდო ჩემგან ოქრო, გამოხურვებული ცეცხლითა, რაჲთა განმდიდრე და სამოსელი სპეტაკი შეიმოსო, და არა გამოცხადწეს სირცხვილი სიშიშულისა შენისა, და საოლავნი, რაჲთა იოლვნე თუალნი შენნი, რაჲთა ხედვიდე. მე რომელნი მიყუარან, ვამხილებ და ვსწავლი. ეშურვებოდენ უკუე, და შეინანე" (გამოცხ. 3, 18—19). სინანული და მისი ყოველი გამოვლინება: გულის შემუსრვილება, გლოვა, ცრემლი, თავის ყვედრება, ხსოვნა და წინასწარგანცდა სიკვდილისა,

ღმრთის სამსჯავროსი და მარადიული სატანჯველისა, ღმრთის არსებობის განცდა, შიში ღმრთისა — ყოველივე ეს ღმრთის ნიჭებია, და თანაც უძვირფასესი, მთავარი და თავდაპირველი ნიჭები, მარადიული და უმაღლესი ნიჭების საწინდარი. სინანულის ნიჭების მიუღებლად მარადიული ცხოვრების ნიჭების მიღება შეუძლებელია. წმიდა იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „დაღაცათუ დიდთა მოღვაწებათა აღვასრულებდეთ და გული ჩვენი ულმობელად იყოს, ვუწყითმცა ვითარმედ ვსცთებითთ“ (სიტყვა 7, 83). სინანული, გულის შემუსრვილება, გლოვა სწორად წარმართული ლოცვის ნიშანია, თუ ისინი არ გაგვაჩნია, მაშასადამე თავის მოცთუნების, ხიბლის ან უნაყოფობის მდგომარეობაში ვართ. ერთიცა და მეორეც, ანუ ხიბლი და უნაყოფობა, არასწორად წარმართული ლოცვის უცილობელი შედეგია, არასწორად წარმართული ლოცვა კი განუყოფელია თავის მოცთუნებისაგან.

არასწორი ლოცვის ყველაზე სახიფათო სახე ისაა, როდესაც მლოცველი თავისი წარმოსახვით თხზავს ოცნებებსა და სურათებს, რომელთაც თითქოს საღმრთო წერილიდან სესხულობს, სინამდვილეში კი ამ წარმოსახვის წყაროა მლოცველის მდგომარეობა, მისი დაცემულობა, ცოდვილობა, თავის ცთუნება. ამ სურათებით კაცი ხარკს უხდის არასწორ წარმოდგენას საკუთარ თავზე, ცუდმედიდობასა და ამპარტავნებას, მოკლედ, თავს იტყუებს. ცხადია, ჩვენი დაცემული ბუნების მიერ შეთხზული ოცნების სურათები სინამდვილეში არ არსებობს, ესაა ტყუილი და მოგონილი, რაც ასე შეითვისა და შეიყვარა დაცემულმა ანგელოზმა. მეოცნებე ლოცვის დაწყებისთანავე სცილდება ჭეშმარიტების სფეროს და ტყუილის სფეროში გადაინაცვლებს, და ნებსით ემონება სატანას.

წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი მეოცნების ლოცვასა და მის ნაყოფს ასე აღწერს: „იგი ზეცისკენ აღაპყრობს ხელებს, თვალებსა და გონებას“ — კლოპშტოკისა და მილტონის მსგავსად — „და წარმოიდგენს ღმრთაებრივ საკრებულოებს; ზეციურ სიკეთეებს, ანგელოზთა დასებს, წმინდანთა სავანეებს — მოკლედ, მისი წარმოსახვა შემოკრებს ყველაფერს, რაც კი ოდესმე საღმრთო წერილში წაუკითხავს,

და ლოცვის დროს წარმოადგენს, ცას შეჰყურებს, ყოველ-ლივე ამით სულს ღმრთაებრივი სიყვარულისკენ აღაგზნებს, ზოგჯერ ოხრავს და ტირის. ამრიგად, გული თანდათან ამაყ-დება, მაგრამ გონება ამას ვერ ხვდება. კაცს ჰგონია, რომ რასაც განიცდის, ღმრთის მადლის ნაყოფია, უფლის მიერ მის სანუგეშებლად მოვლენილი, და ღმერთს ეევდრება, მუ-დამ ამ მდგომარეობაში ამყოფოს. სწორედ ესაა ხიბლის ნიშანი. ასეთი კაცი, თუნდაც სრულ მდგომარეობას იმარხავ-დეს, მაინც ვერ გაექცევა ჭკუიდან შეშლასა და სიგიჟეს. და თუ ამას როგორღაც გადაურჩა, სულიერ განსჯას, სათნოება-სა და უვნებლობას ვერასოდეს მოიპოვებს. ამგვარად ცთუ-ნებული ხშირად ნათელს ჭვრეტს ხორციელი თვალით, ყნოს-ვით ნელსუნნელებას აღიქვამს ანდა რაღაც ხმები ჩაესმის. ზოგიერთი მათგანი ეშმაკეულად იქცა, ჭკუიდან შეიშალა და ერთი ადგილიდან მეორეზე ხეტიალი დაიწყო, ზოგმა ნათ-ლის ანგელოზად გარდასახული ეშმაკი შეიწყნარა, მოიხიბ-ლა და სიკვდილამდე ასე დარჩა, რადგან არც ერთი ძმის რჩევა არ მიიღო, ზოგმა, ეშმაკისაგან ჩაგონებულმა, თავი მოიკლა — უფსკრულში გადაიჩეხა ანდა თავი ჩამოიხრჩო. ვინ მოთვლის ეშმაკის ათასნაირ, გამოუცნობ მზაკვრობებს? თუმცა, რაც გითხარი, იქიდანაც ყოველი გონიერი კაცი ად-ვილად მიხვდება, რა მავნეა სულისათვის ასეთი ლოცვა. ზე-მოთ ჩამოთვლილი უბედურებები უფრო მეტად დაუუდებულ ბერებს შეემთხვევა ხოლმე, მონასტერში, ძმებთან ერთად მცხოვრებს ეს შეიძლება არც დაემართოს, მაგრამ ერთი კია — მთელი მისი ცხოვრება უნაყოფოა“ (სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, ყურადღებისა და ლოცვის პირველი სა-ხის შესახებ, ფილოკალია, ტ. I).

ყველა წმ. მამა, ვინც სულიერი ლოცვის შესახებ წერდა, არა მარტო ოცნების სურათების განზრახ დახატვას გვიკრ-ძალავს, არამედ გვასწავლის, ჩვენი ნებითა და თანაგრძნო-ბით არ მივიდრიკოთ იმ ოცნებებისა და ჩვენებების მისაღე-ბად, რომლებიც ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად, მოულოდ-ნელად გვეცხადება. ესეც ხშირია ლოცვის დროს, განსაკუთ-რებით მდუმარების ღვაწლში მყოფთა შორის. ღირსი მამა გრიგოლ სინელი ამბობს: „ნურაფრით ნუ მიიღებ, თუკი რა-

იმეს იხილავ ხორციელი თვალით აწდა გონებით, შენს გარეთ თუ შიგნით, სულერთია, ქრისტეს სახე ექნება მას, ანგელოზის, თუ რომელიმე წმინდანის, ნურც იმას მიაქცევ ყურადღებას, რაიმე ნათელი თუ გეჩვენა... მღვიძარე იყავ და გაფრთხილდი, ნუ მისცემ თავს ნებას რაიმეს ერწმუნო, ნუ გამოხატავ თანხმობასა და თანაგრძნობას, ნუ იჩქარებ ენდო რაიმე ხილვას, თუნდაც იგი ჭეშმარიტი და კეთილი იყოს, გაწურჩეველი და გულგრილი იყავი მის მიმართ, დაიცევ გონება შენი ხილვებისაგან, ნურავითარ გამოსახულებებს ნუ შეათხზვევინებ და ნურავითარ გამოსახულებებს ნუ დაამჩნევ მას. ვინც რაიმეს წარმოიდგენს გონებით ან ხორციელი თვალით, თუნდაც ეს ღმრთისაგან იყოს, და მიიღებს მას, იოლად ვარდება ხიბლში, ან ხიბლისადმი თავის მიდრეკილებას მაინც ამჟღავნებს, რაკი ნაჩქარევად და განუსჯელად ღებულობს ხილვებს. ახალმოსულმა მთელი ყურადღება გულით ლოცვას უნდა დაუთმოს, მხოლოდ ეს მოქმედება მიიჩნიოს ხიბლისაგან დაცულად, და სხვა არაფერი გაიკაროს მანამ, სანამ უცნებობას მიაღწევდეს. ღმერთი არ განგვირისხდება, თუ ხიბლის შიშით უკიდურესი სიფრთხილით მოვეკიდებით ჩვენს თავს. ღმერთს ისიც კი არ განარისხებს, თუ კაცი წამდვილად მის მიერ მოვლენილ ხილვას არ შეიწყნარებს. პირიქით, აქებს მას ასეთი გონიერებისათვის". წმ. ამფილოქე, სიყრმიდან მონაზონი, სიჭარმაგის წლებში და სიბერეში უდაბნოში იყო დაყუდებული — გამოქვაბულში გამოკეტილმა და მდუმარების დამმარხველმა დიდ სულიერ საზომს მიაღწია. დაყუდებულ ცხოვრების მეორმოცე წელს ღამით ანგელოზი ეჩვენა და უთხრა: „ამფილოქე! წადი ქალაქში და დამწყსენ სულიერნი ცხოვარნი ჩემნი! — ამფილოქემ თავისი ჩვეულებრივი მოღვაწეობა განაგრძო და ყურადღება არ მიუქცევია ანგელოზის ბრძანებისათვის. მეორე ღამეს კვლავ ეჩვენა ანგელოზი და გაუმეორა ბრძანება, თან დაუმატა, ეს ბრძანება ღმრთისაგანაა. ამფილოქე არც ამჯერად დაემორჩილა ანგელოზს, რადგან მოხიბლვისა ეშინოდა და ახსოვდა მოციქულის სიტყვები: „თვით იგიცა ეშმაკი იცვალისვე ანგელოზად ნათლისა" (2 კორ. 11, 14). მესამე ღამეს კვლავ გამოეცხადა ანგელოზი, დიდებისმეტყველება აღუვლინა

უფალს და ამით დაარწმუნა ამფილოქი, რამეთუ დაცემული სულნი ღმრთის დიდებას ვერ იტანენ. ანგელოზმა ხელი მოჰკიდა ბერს, სენაკიდან გაიყვანა და ახლომდებარე ეკლესიისაკენ გაუძღვა. ეკლესიის კარი თავისთავად გაიღო, იგი ზეციური ნათლით იყო განათებული, შიგნით მრავალი წმიდა მამა იდგა, სპეტაკ სამოსელში გამოწყობილი, მზესავით გაბრწყინვებული სახეებით. მათ ამფილოქე ქალაქ იკონიის ეპისკოპოსად აკურთხეს (მას ეკლესია 23 ნოემბერს იხსენიებს). ღირსი ისააკ და ნიკიტა პეჩორელები კი პირიქით მოიქცნენ და საშინელი უბედურება დაიტეხეს თავს. მათ ახალი დაწყებული ჰქონდათ დაყუდებული ცხოვრება და გამოუცდელები იყვნენ, ამიტომ განუსჯელად მიენდნენ ჩვენებას. ისააკს ეჩვენა დემონთა დასი, ნათლით შემოსილი: ერთს ქრისტეს სახე მიეღო, დანარჩენებს — წმიდა ანგელოზთა. ნიკიტამ ჯერ ნელსურნელება იგრძნო ჰაერში და ჩაესმა ხმა, ვითომდა ღმრთისგან, მერე კი ეშმაკი გამოეცხადა ანგელოზის სახით (მღვიმის პატერიკი). გამოცდილი ბერები ბევრად ნაკლებად ენდობიან საკუთარ თავს, ვიდრე ახალმოსულნი, განსაკუთრებით მოღვაწეობის სურვილით განხურვებულნი. წმ. გრიგოლ სინელი სიყვარულით აფრთხილებს საცთურში ჩავარდნისაგან მდუმარების ღვაწლს შედგომილ მონაზონს, ვისთვისაც მისი წიგნია დაწერილი: „მინდა გარკვეული წარმოდგენა გქონდეს ხიბლის შესახებ: იმიტომ მინდა, რომ შეძლო ხიბლისაგან თავდაცვა, რათა შესაფერისი ცოდნით აღჭურვილი მოშურნეობის საბაბით რაიმე ხიფათს არ გადააწყდე და სული არ წარიწყმიდო. კაცის თავისუფალი ნება მიდრეკილია ჩვენს მტრებთან ურთიერთობისკენ, მეტადრე ახალი, გამოუცდელი მოღვაწეების ნება, რამეთუ ისინი ჯერ კიდევ ეშმაკის გავლენის ქვეშ იმყოფებიან“ (დასახელებული წერილი). მართებული ნათქვამია: ხიბლისკენ იხრება, მისკენ მიილტვის ჩვენი თავისუფალი ნება, რადგან ყოველგვარი ხიბლი ხარკს უხდის არასწორ წარმოდგენას საკუთარ თავზე, ჩვენს ცუდმედიდობასა და ამპარტავნებას. „ეშმაკები ახალმოსულებისა და ურჩების გარშემო დაძრწიან, გულისსიტყვებისა და დამღუპველი ოცნებების ქსელებს ხლართავენ, დაცემას უმზადებენ მათ. ახალმოსულთა ქალაქი ჯერ კიდევ ბარ-

ბაროსთა ხელშია... იოლად ნუ აჰყვები იმას, რაც გეჩვენება, არამედ იყავი დინჯი, დიდი სიფრთხილით დაიმარხე კეთილი, ბოროტი კი განაგდე. იცოდე, მადლისმიერი ნიჭები ცხადნი არიან, მათი მოცემა დემონს არ შეუძლია. ვერც სიმშვიდეს მოგვცემს, ვერც მყუდროებას, ვერც სიმდაბლეს, ვერც სოფლის მოძულებას. იგი არ თრგუნავს ვნებებსა და გემოთმოყვარეობას, როგორც ამას მადლი სჩადის". ეშმაკის მოქმედების ნაყოფია: განლაღება — ქედმაღლობა, მედიდურობა, ამპარტავნება, მოკლედ, ბოროტების ყველა სახე. ასე რომ, იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს შენს სულში გაბრწყინებული ნათელი, შეგიძლია შეიცნო, ღმრთისაგანაა იგი, თუ სატანისაგან (ფილოკალია, ტ. I, ხიბლისათვის). უნდა დავუმატოთ, რომ ამის დანახვა მაღალ საზომს მიწევნულ ბერებს ძალუძთ და არა ახალმოსულებს. ღირსი გრიგოლ სინელი, მართალია, ახალმოსულს ესაუბრება, მაგრამ ისეთ ახალმოსულს, რომლისთვისაც მდუმარების ღვაწლია ახალი, თორემ მონაზვნობა კარგა ხნის მიღებული აქვს და ასაკოვანიც გახლავთ, ასე ჩანს წიგნიდან.

მოწაფე: თვითონ ხომ არ გინახავს ვინმე, ვინც არასწორი ლოცვის ამ სახემ გაიტაცა და ეშმაკის საცთურში ჩავარდა?

ბერი: მინახავს. ერთი პეტერბურგელი მოხელე განსაკუთრებით ბევრს ლოცულობდა და ამის გამო უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თავის მოღვაწეობასა და მის შედეგებზე ესაუბრა ღმრთისმშობლის საფარველის ეკლესიის დეკანოზს, კოლობნაში. დეკანოზმა სანკტ-პეტერბურგის ეპარქიის ერთ-ერთი მონასტრის მონახულებისას მავან ბერს სთხოვა გასაუბრებოდა ამ მოხელეს. დეკანოზმა სრულიად მართებულად შენიშნა, რომ „მოხელის უცნაურ მდგომარეობას უფრო უკეთ ახსნიან მონასტრის მკვიდრნი, რადგან ისინი უფრო იცნობენ ასკეტური მოღვაწეობის წვრილმანებსა და შემთხვევითობებს". ბერი დათანხმდა. გარკვეული ხნის შემდეგ. მოხელე მონასტერში ჩავიდა. მისი და იმ ბერის საუბარს მეც ვესწრებოდი. მოხელემ მყისვე თავისი ხილვების მოყოლა დაიწყო, თქვა, რომ იგი ლოცვის დროს მუდამ ხედავს ხატებიდან გადმოსულ ნათელს, ყნოსვით ნელსურნელებას აღიქვამს, არაჩვეულებრივ სიტკბოს გრძნობს და ა. შ. ბერმა მო-

უსმინა და ჰკითხა: „თავის მოკვლაზე ხომ არ გიფიქრიაო?“ „როგორ არა“, მიუგო მოხელემ, „ერთხელ უკვე გადავხტი შადრევანში, მაგრამ ამომათრიეს“. გაირკვა, რომ მოხელე წმ. სვიმეონის მიერ აღწერილ არასწორი ლოცვის სახეს იყენებდა, ამით აღაგზნებდა სისხლსა და წარმოსახვას, ამ მდგომარეობაში კაცს გაძლიერებული ლოცვისა და მარხვისაკენ უჩნდება მიდრეკილება. საკუთარი თავის მოტყუების მდგომარეობას, რომელშიც კაცი ნებსით იგდებს თავს, ეშმაკი თავის მზაკვრობასაც უმატებს, და კაცი თავის მოცდუნებიდან ეშმაკის საცთურის სფეროში გადადის. მოხელემ ხორციელი თვალით იხილა ნათელი, მის მიერ აღქმული ნელსურნელება და სიტკბო ასევე ხელშესახები იყო. ამის საპირისპიროდ, წმინდანების ხილვები და მათი ზებუნებრივი მდგომარეობები სულიერ სფეროს ეკუთვნის (წმ. ისააკ ასური, სიტყვა 55). მოღვაწე მხოლოდ მაშინაა მზად ამისათვის, როდესაც ღმრთაებრივი მადლი გაუნათლებს სულიერ თვალს. ამ დროს ცოცხლდება სხვა სულიერი განცდები, რომლებიც აქამდე იყვნენ მასში (წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, სიტყვა სარწმუნოებაზე, ფალოკალია, ტ. I). ამ მადლისმიერ ხილვებში წმინდანთა ხორციელი გრძნობებიც მონაწილეობენ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხორცი ვნებებისაგან თავისუფლდება და უვნებო ხდება. ბერმა სცადა დაერწმუნებინა მოხელე, თავი დაენებებინა ასეთი ლოცვისათვის, აუხსნა, რომ მისი ლოცვაც არასწორია და თვით მდგომარეობაც, მაგრამ მან აღშფოთებით უარყო რჩევა — როგორ ვთქვა უარი აშკარა მადლზეო?

მოხელეს რომ ვუსმენდი, გამოუთქმელი სიბრალული ვიგრძენი ამ კაცის მიმართ, და თან როგორღაც სასაცილოდაც მეჩვენა. მაგალითად, მან ასეთი რამ ჰკითხა ბერს: „დიდი სიტკბოსაგან პირში ნერწყვი მიგროვდება და იატაკზე წვეთავს ხოლმე, ვაითუ ეს ცოდვაა?“ მართლაც, ეშმაკის საცთურში ჩავარდნილი კაცი სიბრალულს იწვევს, როგორც ჭკუიდან შეშლილი და გულითა და გონებით მაცთური სულის ტყვეობაში მყოფი. და ამასთან ერთად სასაცილოცაა — სასაცილოდ აქცევს ეშმაკი, რომელმაც ჯერ ცუდმედიდობითა და გონების ამაღლებით მოხიბლა და მერე დასცინა. თვითონ მოხიბლულნი ვერც თავიანთ ტყვეობას გრძნობენ და ვერც

იმას, რომ უცნაურად იქცევიან. 1820—29 წლების ზამთარი პლოშჩინის უდაბნოში გავატარე. მაშინ იქ ერთი მოხიბლული ბერი ცხოვრობდა. მან ხელი მოიჭრა, ეგონა ამით სახარების მცნებას ასრულებდა, და ვინც ყურს დაუგდებდა, ყველას უყვებოდა, რომ მისი მოკვეთილი ხელი წმიდა ნაწილად იქცა, რომ იგი იწახება და თაყვანისიცემება მოსკოვის სვიმეონის მოწასტერში, და რომ ბერი პლოშჩინის უდაბნოში, 500 ვერსის მანძილზე გრძნობს, როცა წმ. სვიმეონის მონასტრის არქიმანდრიტი და ძმები ამ ხელს ემთხვევიან ხოლმე. ამ დროს ბერი ცახცახს იწყებდა და ხმამაღლა ქშინავდა, თვითონ ეს ლოცვის შედეგი ეგონა, მაყურებელს კი—გაუკულმართებულად ეჩვენებოდა, რაც მხოლოდ სიბრალულისა და დაცინვის ღირსიაა. მონასტერში მცხოვრები ობოლი ბავშვები ერთობოდნენ ამ სანახაობით და ბერის თვალწინ იმეორებდნენ მის მოძრაობებს. ბერი ბრაზდებოდა, ხან ერთ ბავშვს გამოეკიდებოდა, ხან მეორეს, და თმით ითრევდა. მონასტრის ვერც ერთმა გამოცდილმა ბერმა ვერ შეძლო მისი დარწმუნება, რომ ხიბლის მდგომარეობაშია და სულიერი ამლილობა სჭირს.

როდესაც მოხელე წავიდა, ბერს ვკითხე, საიდან მოგვიდათ აზრად, თავის მოკვლის შესახებ გეკითხათ-მეთქი. მან მიპასუხა: „როგორც საღმრთო გლოვის დროს მოდის უჩვეულო სიმშვიდის გრძნობა, ნუგეშინისმცემელი მგლოვარეთა, ისევე მტყუვარი ტკბობის დროს, რომელსაც ეშმაკის საცთური გვანიჭებს, არის წუთები, როდესაც ხიბლი თითქოს მეღავნდება, და ჩანს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. საშინელი წუთებია! აუტანელია ამ წუთების სიმწარე და მათ მიერ მოგვრილი სასოწარკვეთილების განცდა. ამ მდგომარეობის მიხედვით მოხიბლული წესით უნდა ხვდებოდეს, რომ ხიბლის ტყვეობაში, და სცადოს მისგან თავის დაღწევა, მაგრამ ვაი, რომ ხიბლის დასაწყისი ამპარტავნებაა, ნაყოფი კი — უკიდურესი ამპარტავნება. მოხიბლული ღმრთაებრივი მადლის ჭურჭელად მიიჩნევს თავს და არაფრად აგდებს ახლობელთა მხსნელ შეგონებებს, როგორც ეს წმ. სვიმეონმა შენიშნა. ამასობაში სასოწარკვეთილების შემოტევები უფრო და უფრო ძლიერდება, ბოლოს კაცი ჭკუიდან იშლება და

თაგს იკლავს. ამ საუკუნის (XIX ს.) დასაწყისში რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა სქემოსანი მონაზონი თეოდოსი, რომელმაც მონასტრის ძმებისა და ერისკაცების პატივისცემა მოიპოვა მკაცრი მოღვაწეობით. ერთხელ ჩვენება ჰქონდა, თითქოს სამოთხეში მოხვდა. ბერი მონასტრის წინამძღვართან მივიდა, დაწვრილებით უამბო ხილვა და სინანული გამოთქვა, რომ სამოთხეში თავისი თავის გარდა ძმათაგან ვერავინ ნახა. ეს მომენტი მხედველობიდან გამორჩა წინამძღვარს, შეკრიბა ძმები, ბერის ნაამბობი გადასცა და უფრო გულმოდგინე მოღვაწეობისკენ მოუწოდა. მალე ბერს რაღაც უცნაურობები შენიშნეს. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საკუთარ სენაკში იპოვეს ჩამომხრჩვალი".

მე თვითონ ერთი ასეთი შემთხვევა მახსოვს: ერთხელ ათონიდან ფულის შესაგროვებლად ჩამოსული მღვდელმონაზონი მეწვია. მისაღებ სენაკში დავსხედით. მან მითხრა: „ლოცვა-ჰყავ ჩემთვის, მამაო, ბევრსა ვჭამ და ბევრი მძინავს". ამას რომ მეუბნებოდა, მისგან გამომავალი უცნაური მხურვალეობა ვიგრძენი და ვუპასუხე: „არც ბევრსა ჭამ და არც ბევრი გძინავს, მაგრამ მითხარი, რაიმე განსაკუთრებული ხომ არა გჭირს?" და ვთხოვე, შინაგან სენაკში შემომყოლოდა. წინ გავუძეხი, სენაკის კარი შევაღე და გუნებაში ღმერთს შევევედრე, ჩემი დამშეულ სულისთვის რაიმე სარგებლობა მიეცა ათონელი ბერის საშუალებით, თუ ის ღმრთის ჭეშმარიტი მონა იყო. მართლაც, რაღაც ჰქონდა ამ კაცს განსაკუთრებული. შინაგან სენაკში რომ დავსხედით, ვთხოვე: „წყალობა-ჰყავ და მასწავლე ლოცვა, მამაო. შენ მონაზონთა საეკლესიო სამყოფელოში ცხოვრობ, ათასი მონაზონი გყავს გარშემო. ასეთ ადგილას და მონაზონთა ასეთ საკრებულოში უეჭველად იქნებიან დიდი მლოცველები, რომლებმაც ლოცვის საიდუმლოებები იციან და გადასცემენ მათ მოყვასს, როგორც ამას სჩადიოდნენ გრიგოლ სინელი და გრიგოლ პალამა, აგრეთვე ბევრი სხვა ათონელი წმიდა მამა". მღვდელმონაზონი მყისვე დამთანხმდა მოძღვრობაზე და უცებ — ვაიმე! — მგზნებარედ დამიწყო ზემოთ გადმოცემული არასწორი ლოცვის სწავლება. რას ვხედავ: საშინლადაა განხურცებული, სისხლიც უდუღს და წარმოსახვის უნარიც გაზვი-

ადებული აქვს! იგი კმაყოფილი და აღტაცებულია თავის ოჯ-ეით, მოკლედ, აშკარად მოხიბლულია! ვაცალე ლაპარაკი და მერე ნელ-ნელა, მოწაფის ტონით, დავუწყე მოყოლა, თუ რას ამბობენ წმ. მამები ლოცვის შესახებ, ძირითადად ფილოკალიას ვეყრდნობოდი. მერე ვთხოვე, აეხსნა ეს სწავლება. ათონელი ბერი სრულიად გაოგნდა: იგი საერთოდ არ იცნობდა წმ. მამების სწავლებას ლოცვის შესახებ! ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი: „მამაო, პეტერბურგში რომ ჩამოხვალ, სასტუმროში ზედა სართულზე ნუ აიღებ ოთახს, ქვედა სართული გერჩივნოს". რატომო? გაუკვირდა. „იმიტომ, რომ თუკი ანგელოზები მოულოდნელად პეტერბურგიდან პირდაპირ ათონზე გაფრენას დაგიპირებენ, თუ დაუვარდი, სიკვდილს ვერ ასცდები, ხოლო თუ ქვედა სართულიდან წაგიყვანენ, უბრალო დამტვრევით გადარჩები". „შენ წარმოიდგინე", მითხრა ბერმა, „უკვე ბევრჯერ მიფიქრია ლოცვაზე მდგომს, ანგელოზები ამიყვანენ და ათონზე დამსვამენ-მეთქი!" გაირკვა, რომ მღვდელმონაზონი ჯაჭვებს ატარებს, თითქმის არ სძინავს, ცოტას ჭამს, და ისე სცხელა, რომ ზამთარში თბილი ტანსაცმელი არ სჭირდება. საუბრის ბოლოს ასეთი ხერხი ვიხმარე: ვთხოვე ათონელ ბერს, რომ მას, როგორც მმარხველსა და მოღვაწეს, გამოეცადა წმ. მამების მიერ გადმოცემული ლოცვის მეთოდი: გონებამ არავითარი ოცნება არ უნდა გაიკაროს, მთლიანად ლოცვის სიტყვებში დაინთქას და, როგორც იოანე კიბისაღმწერელი გვირჩევს, „ისწრაფე აღყვანებად გონებისა შენისა და შეყენებად სიტყვათა შენთა ლოცვასა შინა" (სიტყვა 28, მუხლი 27). ამავე დროს გული თანაშეეწევა გონებას ცოდვებზე ტირილით, როგორც ღირსმა მაკარიმ თქვა: „გონება, რომელიც ლოცვის დროს დაცულია გაფანტულობისაგან, გულს შეაიწრებს, ხოლო „გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს" (ფსალმ. 50, სიტყვა მათ შესახებ, ვისაც ჰგონია, რომ საქმეთაგან განმართლდება, თავი 34, ფილოკალია, ტ. I). ბერს ვუთხარი: „ამ ხერხს რომ გამოსცდი, მეც გამაგებინე შედეგი, ჩემთვის ასეთი ლოცვა შეუძლებელია ჩემი ცხოვრების წესის გამო-მეთქი". ათონელი ბერი ხალისით დამთანხმდა.

/ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა და მითხრა: „ეს რა მიყავი?“ რა-მეთქი, ვკითხე. „როგორც კი ვცადე ყურადღებით მელოცა და გონება ლოცვის სიტყვებში ჩამეკეტა, ყველა ხილვა გაქრა და ვეღარ დამიბრუნებია“. ამის შემდეგ ათონელი ბერისთვის აღარ შემიტყვია ის თავდაჯერება და კადნიერება, რაც პირველი შეხვედრისას ასე თვალშისაცემი იყო და რაც დამახასიათებელია მოხიბლულთათვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ წმინდანები არიან, ანდა მაღალ სულიერ საზომს მიწვევნულნი. მან ჩემი მდაბიო რჩევის მოსმენაც კი მოისურვა. ვუთხარი, გარეგნული ცხოვრების წესით სხვა მონაზვნებისაგან გამორჩევას მოერიდე, რადგან ასეთ გამორჩეულობას კაცი ამპარტავნებამდე მიჰყავს-მეთქი (კიბე, 4, 110). მან მოიხსნა ჯაჭვები და მე გადმომცა. ერთი თვის შემდეგ ისევ მოვიდა და მითხრა, რომ აღარ სცხელა, თბილი ტანსაცმელი სჭირდება და ბევრადაც მეტი სძინავს. ისიც დაუმატა, ათონის მთაზე ბევრი ბერი, მათ შორის ისეთებიც, წმინდანის სახელი რომ აქვთ გავარდნილი, ლოცვის სწორედ ამ ხერხს მიმართავენ და სხვებსაც ასწავლიანო. რა გასაკვირია? წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი რვა საუკუნის წინ ცხოვრობდა და ისიც იმას ჩიოდა, შინაგანი ლოცვით ძალიან ცოტა ლოცულობსო (ლოცვის მესამე სახის შესახებ, ფილოკალია, ტ. I). წმ. გრიგოლ სინელმა, XIV საუკუნის მოღვაწემ, ათონის მთაზე რომ მივიდა, აღმოაჩინა, რომ ამ მთის მრავალრიცხოვან მონაზვნებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ შინაგან ლოცვაზე და მხოლოდ ბაგით ლოცულობდნენ (ღირსი გრიგოლ სინელის ცხოვრება, ფილოკალია, ტ. I). ღირსი ნილოს სორელი, რომელიც XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, ათონის მთის ჭინახულების შემდეგ წერდა, რომ სულიერი ლოცვით მლოცველთა რიცხვი უკიდურესად შემცირდა (სკიტეს ტიბიკონის მესავალი). არქიმანდრიტი პაისი ველიჩკოვსკი ათონის მთაზე 1747 წ. ჩავიდა მოლდავეთიდან. იგი კარგად გაეცნო ყველა მონასტერსა და სკიტეს, ესაუბრა ბევრ ბერს, რომლებიც წმ. მთაზე ყველაზე გამოცდილ და წმიდა მონაზვნებად ითვლებოდნენ. როდესაც პაისიმ სიტყვა ჩამოაგდო წმ. მამებზე, რომლებიც შინაგანი ლოცვის შესახებ წერდნენ, გა-

ირკვა, რომ ამ მამების ნაწერები კი არა, მათი სახელებიც არასოდეს სმენოდათ. ფილოკალია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი ბერძნულიდან. შინაგანი ლოცვა თავგანწირვას მოითხოვს, თავგანწირვას კი ცოტანი ბედავენ. საკუთარ თავში ჩაკეტილი, საკუთარ ცოდვათა ხედვით შეძრწუნებული, მრავალსიტყვაობასა და საერთოდ, ეფექტებსა და მსახიობობას განრიდებული კაცი უცნაურად, გაუგებრად, არასრულფასოვნად ეჩვენება ადამიანებს, ვისთვისაც უცნობია მისი საიდუმლო მოღვაწეობა. განა ასე ადვილია კაცისთვის საზოგადოების აზრის არად ჩაგდება? ანდა საზოგადოებამ ვით იცნოს ჭეშმარიტი შინაგანი ლოცვით მლოცველი, თუკი თვითონ ეს მოღვაწეობა სრულიად უცხოა მისთვის? მოხიბლული კაცი კი სულ სხვაა! არც ჭამს, არც სვამს, არც სძინავს, ზამთარში მხოლოდ ანაფორა აცვია, ყველას რაღაცას ასწავლის და ყველას ამხილებს კადნიერი უტიფრობით, არასწორი, ნივთიერი, ვნებიანი განხურვებით, და თვით ეს კადნიერება არის შედეგი დამღუპველი, საშინელი განხურვებისა. მოკლედ, „ნამდვილი წმინდანია"! თავიდანვე შეიმჩნეოდა საზოგადოების ლტოლვა ასეთების მიმართ. წმ. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „თავს-ცა იდებთ, უკუეთუ ვინმე დაგიმონებს, უკუეთუ ვინმე შეგჭამს, უკუეთუ ვინმე ამაღლდების თქუენ-ზედა, უკუეთუ ვინმე პირსა გცემს" (2 კორ. 11, 20). პავლე მოციქული იმასაც წერს, რომ როდესაც თვითონ კორინთოში ჩავიდა, კადნიერად და თავხედურად როდის ეჭირა თავი, არამედ მისი საქციელი აღბეჭდილი იყო სიმდაბლით, „სიმშვიდითა და სახიერებითა ქრისტესითა" (2 კორ. 10, 1). დასავლეთის ეკლესიის მოღვაწეთა უმრავლესობა, (რომელთაც ეს ეკლესია უდიდეს წმინდანებად შერაცხავს) მას შემდეგ, რაც იგი გამოეყო აღმოსავლეთის ეკლესიას და დატეეებულ-იქნა სული წმიდისაგანაც, ჩემს მიერ აღწერილი არასწორი მეთოდით ლოცულობდა და ცრუ ხილვებს ხედავდა. ეს ცრუ-წმინდანები სასტიკად იყვნენ ეშმაკისაგან მოხიბლულნი. ხიბლი უკვე თავისთავად აღმოცენდა ღმრთის გმობის საფუძველზე, რომლითაც მწვალებლებმა სარწმუნოების დოგმატური მხარე დაბმახინჯეს. დასავლეთის ეკლესიის მოხიბლულ მოღვაწეთა

მოქმედება ყოველთვის გონებადაბნელებული კაცის მოქმედება იყო, რაც არანორმალური ნივთიერი და ვხებიახი განხურვების შედეგია. ასეთ მდგომარეობაში გახლდათ ეგნატე ლოიოლა, იეზუიტების ორდენის დამაარსებელი. მას წარმოსახვის უნარი იმდენად ჰქონდა განხურვებული და დახვეწილი, რომ მისივე თქმით, ოდნავი დაძაბვისთანავე თვალწინ წარმოუდგებოდა სამოთხე და ჯოჯოხეთი. ეს ხილვა მხოლოდ ადამიანის წარმოსახვის ნაყოფი არ იყო, ამისთვის წარმოსახვა არ კმარა, ხილვის ავტორი გახლდათ ეშმაკი, რომელიც კაცის ნაკლულ მოქმედებას თავის მძლავრ მოქმედებას უმატებდა, თუმცა ეს ხდებოდა კაცის თავისუფალი ნების საფუძველზე, რომელმაც არასწორი მიმართულება აირჩია და შეითვისა. ცნობილია, რომ ჭეშმარიტ წმინდანებს ხილვები ენიჭებათ მხოლოდ ღვთაებრივი განგებითა და ღმრთაებრივი ქმედებით, და არა კაცის ნებითა და კაცის მცდელობით, ამასთან, ეს ხდება მოულოდნელად და ძალიან იშვიათად, ღმრთის განსაკუთრებული განგებულებით, და არა შემთხვევით, სხვათა შორის (წმ. ისააკ ასური, სიტყვა 36). მოხიბლულთა განსაკუთრებული მოღვაწეობა ჩვეულებრივ საშინელი გარყვნილების მსგავსია. სწორედ ეს გარყვნილებაა მოხიბლულთა მდგომარეობის შეფასების საშუალება. ამას ისტორიული გადმოცემები და მამათა თხზულებებიც მოწმობს. ღირსი მაქსიმე კაფსოკალივი ამბობს: „მაცთური სულის მხილველი ხშირად მრისხანებისა და მძვინვარებისკენაა მიდრეკილი, მისთვის უცხოა სიმდაბლისა და ლოცვის ნელსურნელება, ანდა ჭეშმარიტი ცრემლი. პირიქით, მუდამ თავს იქებს საკუთარი სათნოებებით, ცუდდიდებასაა აყოლილი და უშიშრად ეძლევა მაცთურ ვნებებს (ღირსი მაქსიმე კაფსოკალივისა და ღირსი გრიგოლ სინელის საუბრიდან).

მოწაფე: ახლა ჩემთვის ცხადია, რომ ამ სახის ლოცვა არასწორია და იგი თავის ცთუნებასა და ხიბლთანაა დაკავშირებული. გთხოვ, განმიმარტო არასწორი ლოცვის სხვა სახეები და მათთან დაკავშირებული ყალბი მდგომარეობები.

ბერი: ხომ ვთქვით, რომ გონებისმიერ არასწორ ლოცვას ხიბლამდე მივყავართ, და გულით არასწორ ლოცვასაც იგივე მოსდევს. როდესაც ვნებებით სავსე სული წმიდის მადლით

განუახლებელი გონებით სულიერი ჩვენებების ხილვას მიველტვით, ეს უკიდურესი ამპარტავნების ნიშანია, და ზუსტად ასეთივე ამპარტავნება და განუსჯელობაა, როდესაც მოუმზადებელი გული ესწრაფვის წმიდა, სულიერ, ღმრთაებრივ განცდებს. არაწმიდა გონება, საღმრთო ხილვებს მოწყურებული, თავის თავში თხზავს ამ ხილვებს, ამით თავს იტყუებს და ხიბლში ვარდება. ასევე გული, რომელსაც ღმრთაებრივი სიტკბოებისა და სხვა ღმრთაებრივი განცდების შეგრძნება სურს, თვითონ იგონებს მათ, თავს იტყუებს, იხიბლება და იღუპება, რამეთუ ტყუილის სამფლობელოში შედის; ეშმაკებთან ამყარებს კავშირს, მათ გავლენას ემორჩილება და მათვე ემონება.

ჩვენი დაცემული ბუნების გამო გულის განცდათა შორის ერთადერთი შეიძლება გამოვიყენოთ უხილავი ღმრთისმსახურებისათვის: მწუხარება ჩვენი ცოდვების, დაცემისა და წარწყმედის გამო, მწუხარება, რომელსაც გლოვა, სინანული, გულის შემუსრვილება ეწოდება. ამას საღმრთო წერილიც გვიმოწმებს: „რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხვერპლი შემცა მეწირა, არამედ საკურთხი არა გთნდეს" (ფსალმ. 50, 18). არც ერთი ეს განცდა, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, არ არის სათნო უფლის წინაშე, როგორც ცოდვით შებილწული და დაცემით შერყვნილი. „მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს" (ფსალმ. 50, 19). ეს მსხვერპლი თავის უარყოფაა, ამ მსხვერპლის შეწირვით ყველა სხვა მსხვერპლი თავისთავად უქმდება, სინანულის განცდა ახშობს ყველა სხვა განცდას. იმისათვის, რომ სხვა განცდების მსხვერპლი ღმერთს სათნო-ეყოს, ჯერ ღმრთაებრივი ნება უნდა გარდამოვიდეს ჩვენს სიონზე, ჯერ ჩვენი დანგრეული იერუსალიმის კედლები უნდა აღდგეს. ღმერთი მართალია და ყოვლადწმიდა, მისთვის სათნოა მხოლოდ მართალი და წმიდა მსხვერპლი, რომლის შეწირვაც ჩვენს კაცობრივ ბუნებას მხოლოდ განახლების შემდეგ ძალუძს. შებილწული მსხვერპლისა და ყოვლადდასწველის მიღება მას არ ნებავს. ვეცადოთ განვიწმინდოთ სინანულით, „მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისა, შესაწირავი და ყოვლადდასაწველი, მაშინ შესწირნენ საკურთხე-

ველსა შენსა ზედა ზუარაკნი“ (ფსალმ. 50, 21) — ზვარაკი, ანუ სული წმიდის მადლით განახლებული კაცის განცდები.

პირველი მცნება, რომელიც მაცხოვარმა მისცა მთელ კაცობრიობას, სინანულია: „მიერთიგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 4, 17). ეს მცნება თავის თავში იტევს და მოიცავს ყველა სხვა მცნებას. იმათ, ვისაც არ ესმოდა სინანულის ძალა და მნიშვნელობა, მაცხოვარმა არაერთხელ უთხრა: „ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რა არს: წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი“ (მათე, 9, 13). ეს ნიშნავს: უფალმა შეიწყალა დაცემული და წარწყმედილი კაცთა მოდგმა და ყველას მიანიჭა სინანული, როგორც ერთადერთი გზა ხსნისა, რამეთუ ყოველი ადამიანი დაცემისა და წარწყმედის კერძია. უფალი არ მოითხოვს, არც კი სურს კაცთაგან მსხვერპლი, რომლის გაღებაც მათ არ ძალუძთ, მას მხოლოდ ის უნდა, რომ ადამიანებმა თვითონ შეიწყალონ საკუთარი თავი, სცნონ თავიანთი უბადრუკება და განთავისუფლდნენ მისგან სინანულის გზით. ზემოთ მოყვანილ ნათქვამს უფალმა საშინელი სიტყვები დაუმატა: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“. ვის გულისხმობს მართლებში? ბედკრულებს, რომლებიც, საკუთარ თავზე არასწორი წარმოდგენით ცთუნებულნი, მიიჩნევენ, რომ სინანული მათთვის აუცილებელი არ არის, და ამიტომ ან საერთოდ უარყოფენ, ან ნაკლებად ზრუნავენ მასზე. რა უბედურებაა! ამიტომაც უარყოფს მათ მაცხოვარი, ამიტომაც კარგავენ ცხოვნების შესაძლებლობას. „ვაი სულს“, ამბობს ღირსი მაკარი დიდი, „რომელიც ვერ გრძნობს თავის წყლულებს, ვისი ბუნებაც უკვე შერყვნილია ბოროტის მიერ და თვითონ კი ჰგონია, რომ მისთვის სრულიად უცხოა ბოროტება. ასეთ სულს უკვე აღარ მოიხილავს და აღარ სწამლობს სახიერი მკურნალი, რამეთუ მან ნებსით დაუტევა ზრუნვა საკუთარ წყლულებზე. და თავისი თავი საღი უნაკლო ჰგონია. „არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთაო“. (მათე, 9, 12), ამბობს უფალი“ (მაკარი დიდი, სიტყვა მე-6 სიყვარულისათვის, თავი 16). რა სისასტიკეა საკუთარი თავის მიმართ სინანულის უარყოფა! სინანულის არად ჩაგდებაში სა-

კუთარი თავისადმი საშინელი სიცივე და უსიყვარულობა გამოსჩვივის. ხოლო ის, ვინც თავის თავს ექცევა სასტიკად, შეუძლებელია მოყვასის მიმართ იყოს მოწყალე. და პირიქით, ვინც თავის თავს შეიწყალებს და სინანულის გზას დაადგება, მოყვასის მიმართაც შემწყნარებელი ხდება. აქედან ცხადია შეცდომის მთელი სიმძიმე: კაცი ართმევს სულს თვით ღმრთისაგან მონიჭებულ სინანულს, რომელიც არსებითი და აუცილებელია მისთვის და ყოველგვარი წესრიგის საწინააღმდეგოდ, ღმრთაებრივი კანონის საწინააღმდეგოდ, ცდილობს გააღვიძოს გულში ის განცდები, რომლებიც თავისთავად უნდა აღმოცენდნენ სინანულით განწმენდის შემდეგ, და ასეთი განცდები უკვე სულ სხვა ხასიათისანი არიან (წმ. ისააკ ასური, სიტყვა 55). ამის შესახებ ხორციელ კაცს არავითარი წარმოდგენა არა აქვს, რამეთუ სულიერი განცდები სრულიად უცხოა იმ გულისათვის, რომელიც მხოლოდ ხორციელ და მშვინვიერი განცდებით ცხოვრობს.

ყველამ იცის, თუ რა უბედურება ეწიათ იუდეველ მწიგნობრებსა და ფარისეველებს მათი არასწორი სულიერი მიმართულების გამო: ისინი არა მხოლოდ უცხო ექმნენ ღმერთს, არამედ ღმრთის მტრებად და ღმრთის მკვლელებადაც იქცნენ. სწორედ ასეთ უბედურებას იტეხენ თავს მლოცველები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობისაგან სინანულს გამორიცხავენ. ისინი ცდილობენ გულში ღმრთის სიყვარულის, ტკბობისა და აღტაცების განცდები გააღვიძონ და ამ დროს კი ხელს უწყობენ საკუთარ დაცემას, უცხო-ექმნებიან ღმერთს, სატანასთან ამყარებენ ურთიერთობას და სული წმიდის მტრობით სნეულდებიან. საშინელია ხიბლის ეს სახე: იგი პირველივით დამღუპველია, მაგრამ ნაკლებად თვალსაჩინო: იშვიათად მთავრდება ჭკუიდან შეშლით ან თვითმკვლელობით, მაგრამ სრულიად განხრწნის გულსა და გონებას. ამ მდგომარეობას წმ. მამებმა „წარმოდგენა“ უწოდეს (ღირსი გრიგოლ სიწელი, სიტყვა 108, 128, ფილოკალია, ტ. I). ამ სახის საცთურს გულისხმობს წმიდა პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „ნუვინ თქუენ მძლე, გექმნებიან, უნდეს თუ სიმდაბლითა და წესითა ანგელოზთაჲთა, რომელი-იგი არა იხილა, განიკითხვიდეს ამაოდ განლაგებული გონებითა მით ხორცთა

მისთაადთა“ (კოლას. 2, 18). ამ საცთურში ჩაეარდნილ კაცს თავის თავზე ექმნება წარმოდგენა, რომ მრავალი ღირსების, და სათნოების მფლობელია, იმასაც კი ფიქრობს, რომ სული წმიდის ნიჭები აქვს მიმადლებული. წარმოდგენა შედგება ყალბი ცნებებისა და ყალბი განცდებისაგან, და ამ თვისებით მთლიანად ტყუილის მამის — ეშმაკის სფეროს ეკუთვნის.

მლოცველი, რომელიც ცდილობს თავის გულში ახალი კაცის განცდები გააღვიძოს, ისე რომ ამის არავითარი ძალა არ შესწევს, თხზავს საკუთარ, ყალბ განცდებს, რომლებსაც მაშინვე უერთდება დაცემულ სულთა გავლენა. კაცი ამ არასწორ განცდებს ჭეშმარიტად და მადლისმიერად აღიქვამს და მათი შესაბამისი წარმოდგენაც უყალიბდება. ეს განცდები გულს ეთვისება, თანდათან ძლიერდება და კვებავს ყალბ წარმოდგენებს. ცხადია, ასეთი არასწორი მოღვაწეობისაგან ჩნდება თავის მოტყუება და ეშმაკის საცთური — „წარმოდგენა“. წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი ამბობს: „წარმოდგენა არ აძლევს საშუალებას კაცს, რომ მართლაც ის იყოს, რადაც თავი წარმოუდგენია. ვისაც თავისი თავი უვნებო ჰგონია, ვერასოდეს განიწმინდება ვნებათაგან, ვინც ფიქრობს, რომ სული წმიდის მადლითაა სავსე, ვერასოდეს მოიხვეჭს მას, ვისაც თავი წმინდანთა შორის შეურაცხავს, ვერასოდეს მოიპოვებს სიწმინდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველი, ვინც თავის თავს რაიმე სულიერ მოღვაწეობას, სათნოებას, ღირსების ან თვით მადლის მიერ ნიჭებს მიაწერს, ვინც თავს იტყუებს და ინუგეშებს „წარმოდგენით“, ის კარს უხშობს სულიერ მოღვაწეობასაც, ქრისტიანულ სათნოებებსაც და ღმრთაებრივ მადლსაც, და ფართო გზას უთმობს ცოდვასა და ეშმაკებს. „წარმოდგენით“ შეპყრობილებს არავითარი ძალა არ შესწევთ სულიერი წარმატებისა, მათ მოისპეს ამის საშუალება, რამეთუ ტყუილის სამსხვერპლოზე მიიტანეს ადამიანის მთელი მოღვაწეობისა და ცხოვნების საწყისი — წარმოდგენა ჭეშმარიტების შესახებ. საოცარი სილაღე უჩნდებათ ამ სახის ხიბლით შეპყრობილებს: ისინი თითქოს ტკბებიან თავიანთი თავით, თავიანთი მოცთუნებული მდგომარეობით, და ეს მდგომარეობა მადლისმიერი ჰგონიათ, ცუდმედიდობითა და ამპარტავნებით არიან სავსე, შესახედა-

ვად კი მდაბალნი ჩანან იმათ თვალში, ვინც მხოლოდ გარეგნობის მიხედვით მსჯელობს დ არა ნაყოფით, როგორც მაცხოვარმა გვიბრძანა (მათე, 7, 16; 12, 33), ანდა „წურთვნილი გონებით", როგორც მოციქული იტყვის (ებრ. 5, 14). ესაია წინასწარმეტყველმა კარგად აღწერა „წარმოდგენის" ხიბლის მოქმედება დაცემულ ანგელოზში, მოქმედება, რომელმაც აცთუნა და დაღუპა ეს მთავარანგელოზი: „ხოლო შენ სთქუ გულსა შინა შენსა: ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკვლავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი, დავჯდე მთასა ზედა მაღალსა, მთათა ზედა მაღალთა ჩრდილოთ. აღვიდე ზედა ღრუბელთა და ვიყო მსგავს მაღლისა. ხოლო აწ ჯოჯოხეთადმი 'მთასდე და საფუძველთა მიმართ ქუეყანისათა" (ესაია, 14, 13—15).

მოწაფე: თავად თუ შეხვედრიხარ ამ სახის ხიბლით შეპყრობილებს?

ბერი: ასეთები ბევრნი არიან. ყოველი კაცი, ვისაც არ გააჩნია შემუსრვილი სული, ვინც თავის თავს რაიმე ღირსებებსა და დამსახურებებს მიაკუთვნებს, ყოველი, ვინც ვანუხრელად კი არ მისდევს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, არამედ თავისი გონებით, თავისი აზრით ან უცხო სჯულის მოძღვრების მიხედვით განიხილავს ამა თუ იმ დოგმატს და გადმოცემას, „წარმოდგენითაა" სნეული. იმის მიხედვით, თუ რამდენადაა კაცი გადახრილი სწორი გზიდან და რამდენად ჯიუტად მისდევს ამ ცთომილებას, შესაძლებელია ხიბლის ხარისხის განსაზღვრა.

უძლურია კაცი, უსათუოდ შემოგვეპარება ხიბლის რაიმე სახე, დაიპყრობს ჩვენს არსებას და განგვაშორებს ჭეშმარიტ მადლს. მაკარი დიდი შენიშნავს, რომ არ არსებობს კაცი, სრულიად თავისუფალი ამპარტავნების ვნებისაგან, და არც „წარმოდგენის" ხიბლისაგან თავისუფალი კაცი არსებობს სადმე. იგი თვით პავლე მოციქულს ებრძოდა, და საკურნებლად ღმერთი მძიმე განსაცდელებს მოუვლენდა ხოლმე. კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში წმ. პავლე წერს: „რამეთუ არა მნებავს უმეცრება თქუენი, ძმანო, ჭირისა მისთვის ჩუენისა, რომელი-იგი შეგვემთხვია ჩუენ ასიას შინა. რამეთუ გარდარეულად დაგვიმძიმდა ჩვენ უფრო! ძალისა ჩუენისა ვიდ-

რე წარწირვამდე ჩვენდა ცხოვრებისაცა. არამედ თვით თავით თვისით განჩინება იგი სიკუდილისა მოგუეღო, რაჲთა არა ვესვიდეთ თავთა ჩვენთა, არამედ ღმერთსა, რომელმანიგი აღადგინნის მკუდარნი" (2 კორ. 1, 8—9).

ამიტომ უნდა ვიღვიძოთ, რომ არავითარი კეთილი საქმე ან თვისება, ბუნებრივი ნიჭი, თვით მადლისმიერი მდგომარეობა არ მივაკუთვნოთ ჩვენს თავს, მოკლედ, არავითარი ღირსება არ მივიწეროთ. „ანუ რა გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს" (I კორ. 4, 7) ღმრთისაგან? ღმრთისაგანა გაქვს ამქვეყნიური ყოფაცა და მეორედ შობაც, აგრეთვე ყველა ბუნებრივი თვისება, ყველა ნიჭი, სულიერიცა და ხორციელიც. ჩვენ ღმრთის მოვალენი ვართ, და ამ ვალს ვერასოდეს გადავიხდით. სწორედ ამ თვალთახედვიდან აღმოცენდება ჩვენი სულის მდგომარეობა, რომელსაც უფალმა „გულის სიგლახაკე" უწოდა და რომელიც „წარმოდგენის" ხიბლის საპირისპიროა, მისი დამარხვა გვამცნო და იგი სათნო-ეყო ღმერთს (მათე, 5, 3). დიდი უბედურებაა, როდესაც ადამიანები ეკლესიის დოგმატებიდან და ზნეობრივი სწავლებიდან, სული წმიდის სწავლებიდან უხვევენ თავიანთი მჩხრეკელი გონების კარნახით. ესაა „სიმაღლე, ამაღლებული მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა" (2 კორ. 10, 5). ასეთი ამაღლებული გონება უნდა დავამდაბლოთ და ქრისტეს დავუმორჩილოთ.

მოწაფე: არსებობს რაიმე კავშირი ხიბლის ამ ორ სახეს შორის?

ბერი: ცხადია, არსებობს. პირველი სახის ხიბლი მუდამ დაკავშირებულია მეორესთან „წარმოდგენით". ის, ვინც მაცთურ სურათებს თხზავს წარმოსახვის ბუნებრივი უნარის მეშვეობით, მერე ამ სურათებს ოცნებით ხლართავს და მთელ თავის არსებას გამოგონილი მხატვრობის მომხიბლავ, მძლავრ ზეგავლენას უმორჩილებს, უცილობლად წარმოიდგენს, რომ ეს მხატვრობა ღმრთაებრივი მადლითაა შექმნილი, ხოლო ოცნებით გამოწვეული განცდები მადლისმიერი განცდებია.

მეორე სახის ხიბლი, ანუ „წარმოდგენა" არ თხზავს მაცთურ სურათებს, იგი იმით კმაყოფილდება, რომ იგონებს ყალბ მადლისმიერ განცდებსა და მდგომარეობებს, რომელთაგანაც იშვება ყალბი არასწორი წარმოდგენა საერთოდ

მთელ სულიერ მოღვაწეობაზე. ამ ხიბლით შეპყრობილს ყალბი წარმოდგენა ექმნება ყველაფერზე, რაც კი გარს აკრავს, იგი მოტყუებულია შიგნიდანაც და გარედანაც. ოცნება „წარმოდგენის“ ხიბლით სნეულშიც ძლიერად მოქმედებს, მაგრამ მოქმედებს მხოლოდ განყენებულ სფეროში. ასეთ დროს კაცი იშვიათად ან საერთოდ არ წარმოიდგენს სამოთხეს, ზეციურ სავანეებსა და სამყოფელებს, არაამქვეყნიურ სინათლესა და ნელსუნნელებას, ქრისტეს, ანგელოზებსა და წმინდანებს, მაგრამ სამაგიეროდ იგონებს ყალბ სულიერ მდგომარეობებს: ახლო კავშირს ქრისტესთან (თომა კემპიელის „ქრისტეს მიბაძვა“, წიგნი 2, თავი 8), შინაგან საუბარს მასთან (იქვე, წიგნი 3, თავი I), საიდუმლო გამოცხადებებს, შეძახილებს, ტკბობას, აქედან უჩნდება ყალბი წარმოდგენა საკუთარ თავსა და ქრისტეანულ მოღვაწეობაზე, საერთოდ არასწორი აზროვნება და არასწორი განწყობა, და ხან საკუთარი თავით ტკბობას ეძლევა, ხან განხურვებასა და აღტაცებას. ეს მრავალფეროვანი განცდები დახვეწილი ცუდმედიდობისა და გემოთმოყვარეობის ნაყოფია, მათი ზემოქმედების შედეგად სისხლში ცოდვა და ხიბლი იბუდებს, კაცს კი ყოველივე ეს მადლისმიერ ტკბობად ეჩვენება. თვით ცუდმედიდობასა და გემოთმოყვარეობას აღვიძებს ამპარტავნება — „წარმოდგენის“ ხიბლის ეს განუყრელი თანამგზავრი. ეშმაკთა სიამაყესთან წილნაყარი საზარელი სიამაყეა ორივე სახის ხიბლით შეპყრობილთა მთავარი თვისება. პირველი სახის ხიბლით სნეულები ამპარტავნებას აშკარა შეშლილობამდე მიჰყავს, მეორე სახის ხიბლით დაავადებულთა მდგომარეობა კი რომელსაც საღმრთო წერილი „გონების განხრწნას“ უწოდებს (2 ტიმ. 3, 8), ნაკლებად თვალშისაცემია, გარეგნულად სიმდაბლის, ღმრთისმოსაობისა და სიბრძნის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ხიბლი ადვილად იცნობა მწარე ნაყოფით. ვინც თავის თავს დიდ ღირსებებსა და სიწმინდეს მიაწერს და „წარმოდგენის“ ხიბლშია ჩავარდნილი, მზადაა ყოველგვარ მზაკვრობაზე, ორგულობაზე, ტყუილსა და უსჯულოებაზე. ასეთები მტრობით არიან აღვსილნი ჭეშმარიტების მსახურთა მიმართ და საშინელი სიძულვილით ესწმიან თავს, რაკიღა ისინი არ აღიარებენ მოხიბლულებში იმ

მდგომარეობას, რომელსაც თვითონ მადლიერად მიიჩნევენ და ასეთადვე წარუდგენენ დაბრმავებულ სოფელს.

მოწაფე: კი მაგრამ, ხომ არსებობს ჭეშმარიტად მადლისმიერი სულიერი მდგომარეობებიც, როდესაც ადამიანი სულიერ ტკბობასა და სიხარულს განიცდის, სულს ქრისტეანობის საიდუმლოებები ეცხადება, გული გრძნობს სული წმიდის მოქმედებას და ქრისტეს მოღვაწე სულიერ ხილვათა ღირსი ხდება?

ბერი: ცხადია, არსებობს. მაგრამ ეს მდგომარეობები მხოლოდ იმ ქრისტეანებისთვისაა მისაწვდომი, ვინც ქრისტეანულ სრულყოფილებას მიაღწია, ვინც მანამდე სინანულით განიწმინდა და მოემზადა. საერთოდ სინანული, სიმდაბლის ყველა სახით, მეტადრე სულის სიგლახაკით, გლოვით გამოხატული, თანდათან ასუსტებს ადამიანში ცოდვის გავლენას. ასეთი სინანულის მოსაპოვებლად საკმაო დროა საჭირო, და ეძლევა ჭეშმარიტ თავდადებულ მოღვაწეს ღმრთის განგებით, რომელიც ფხიზლად იცავს ასეთ მოღვაწეს. ვნებებთან ბრძოლა ძალიან სასარგებლოა, ყველაზე მეტად სწორედ ამით მოვიპოვებთ სულის სიგლახაკეს. მსაჯული ჩვენი და ღმერთი ჩვენი ზრუნავს უმჯობესისათვის სულისა ჩვენისა, ამიტომაც სულგრძელებს და გვიან ჰყოფს შურისგებას ჩვენი მტრის — ცოდვის წინააღმდეგ (ლუკა, 18, 7). როდესაც ვნებები ძალიან სუსტდებიან (ეს კი უფრო ცხოვრების დასასრულს ხდება), მაშინ ნელ-ნელა ჩნდება სულიერი მდგომარეობები, რომლებიც სრულიად განსხვავდება „წარმოდგენით" შეთხზული მდგომარეობებისგან. ჯერ ერთი, მოდის მადლისმიერი გლოვა, განბანს და განასპეტაკებს სულის ტაძარს იმ ნიჭების მისაღებად, რომლებიც, სულიერი კანონის თანახმად, გლოვას მოჰყვება. ხორციელ კაცს არავითარი წარმოდგენა არა აქვს სულიერ მდგომარეობაზე, მან არც კი იცის, რა არის მადლისმიერი გლოვა: ამ მდგომარეობების შეცნობა მხოლოდ გამოცდილებითაა შესაძლებელი (წმ. ისაააკ ასური, სიტყვა 55). სულიერი ნიჭები ღმრთაებრივი სიბრძნით გაიცემა, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ სიტყვიერმა ჭურჭელმა, რაიმე ნიჭის მისაღებად გათვალისწინებულმა, შეძლოს ამ ნიჭის დატევნა. ახალი ღვინო გახეთქავს ძველ თხიერს (მათე, 9, 17)! შე-

ნიშნულია, რომ ჩვენს დროში სულიერი ნიჭები უდიდესი ზომიერებით გაიცემა, იმ სისუსტის შესაფერისად, რომელიც საერთოდ მთელ ქრისტეანობასა აქვს დაუფლებული. ღმერთი იმდენს მიჰმადლის კაცს ამ ნიჭებს, რაც მხოლოდ მისი სულის საცხოვნებლადაა საკმარისი და პირიქით, „წარმოდგენა“ კი უზომო სიუხვითა და აჩქარებით გასცემს თავის „ნიჭებს“.

სულიერ მდგომარეობათა საერთო დამახასიათებელი ნიშანია ღრმა სიმდაბლე და სიმდაბლისმოყვარეობა, ამასთან შეერთებულია საკუთარი თავის ყოველ კაცზე უარესად შერაცხვა, სახარებით ნამცნები სიყვარული მოყვასისადმი, მისწრაფება სოფლისაგან განდგომისაკენ. „წარმოდგენა“ აქ ფეხს ვერ მოიკიდებს, რამეთუ სიმდაბლე ნიშნავს საკუთარ ღირსებათა უარყოფას, მხსნელის აღიარებას, ყოველი სასოების მასზე დაფუძნებას, ხოლო „წარმოდგენა“ — ღმრთისაგან ბოძებულ ღირსებათა საკუთარი თავისთვის მიკუთვნებას და არარსებულ ღირსებათა გამოგონებას. იგი საკუთარ თავზე ამყარებს სასოებას და გულგრილად, სხვათა შორის აღიარებს მაცხოვარს, თავისი თავის განსადიდებლად ადიდებს ღმერთს, როგორც ამას ფარისეველი სჩადიოდა (ლუკა, 18, 11). „წარმოდგენით“ შეპყრობილნი უფრო ხშირად გემოთმოყვარეობას ეძლევიან, იმის მიუხედავად, რომ საკუთარ თავს ისეთ მაღალ სულიერ მდგომარეობებს მიაკუთვნებენ, რომლის მსგავსი სწორ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში არსად ჩანს, ცოტანი ახერხებენ არ დაემონონ გემოთმოყვარეობას, და ისიც იმიტომ, რომ მათში ბატონობს უპირველესი ვნებათა შორის — ამპარტავნება.

მოწაფე! შეიძლება თუ არა, რომ „წარმოდგენად“ სახელდებული ხიბლისაგან გაჩნდეს რაიმე ხელშესახები, თვალსაჩინო უბედურებები?

ბერი! ამ ხიბლისაგან წარმოიშვა დამღუპველი წვალებები, განხეთქილებები, უსჯულოება, ღმრთის გმობა. მისი ყველაზე მძიმე, ხილული შედეგია არასწორი, თვითონ კაცისა და მის გარშემომყოფთათვის მავნე საქმიანობა. ეს ის ბოროტებაა, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ აშკარა და ყოვლისმომც-

ველია, მაინც ნაკლებად თვალშისაცემია და ამდენად, ნაკ-
ლებად მისახვედრი. „ხიბლით“ შეპყრობილებს ყველასათვის
აშკარა უბედურებებიც ემართებათ, მაგრამ იშვიათად. „წარ-
მოდგენას“ გონება საშინელ შეცდომამდე კი მიპყავს, მაგრამ
შეშლამდე, როგორც ეს ოცნებას სჩვევია — არა. ვალაამის
კუნძულზე, შორეულ, განმარტოებულ ქოხში ცხოვრობდა
სქემოსანი მონაზონი პორფირი, მას მეც ვიცნობდი. ლოცვის
ღვაწლი ჰქონდა აღებული, არ ვიცი კი, კერძოდ როგორი
ლოცვისა. არასწორად რომ ჰქონდა წარმართული ეს საქმე,
ამის მიხვედრა სქემოსანი მონაზვნის საყვარელი წიგნის მი-
ხედვითაც შეიძლება. ესაა დასავლეთის ეკლესიის მწერლის
თომა კემპიელის „იესო ქრისტეს მიბაძვა“, რომლითაც ხელ-
მძღვანელობდა კიდეც. ეს წიგნი „ხიბლის“ მდგომარეობიდა-
ნაა დაწერილი. შემოდგომის ერთ საღამოს მისი სენაკის ახ-
ლოს მდებარე სკიტეს ბერები მოინახულა. გამომშვიდობები-
სას მათ გააფრთხილეს, ყინულზე ნუ გადახვალ, ეს-ესაა მო-
იყინა და ძალიან თხელი ფენააო. პორფირის უდაბნოს და
სკიტეს ლადოგის ტბის ღრმა ყურე ჰყოფდა და მისთვის ხმე-
ლეთით უნდა შემოევლო. პორფირიმ წყნარად, გარეგნული
სიმდაბლით უპასუხა, მე უკვე მსუბუქი ვარ, და წავიდა. ცო-
ტა ხანში განწირული ყვირილი შემოესმათ. სკიტელი ბერები
შეშფოთდნენ, გარეთ გაცვივდნენ. უკუნეთი სიბნელე იყო,
სანამ იმ ადგილს მიაგნეს, სადაც უბედურება მოხდა, სანამ
მოიფიქრეს, როგორ ამოეყვანათ, ხელში უსულო სხეულიღა
შერჩათ.

მოწაფე: შენ „ქრისტეს მიბაძვა“ ახსენე და ისიც თქვი,
ხიბლის მდგომარეობიდანაა დაწერილიო, მაგრამ მას ბევრი
თაყვანისმცემელი ჰყავს თვით მართლმადიდებელ ეკლესიის
შვილთა შორისაც!

ბერი: სწორედ ეგ თაყვანისმცემლები არიან, ბევრს რომ
ლაპარაკობენ წიგნის ღირსებებზე და არც კი ესმით, რას სჩა-
დიან. „მიბაძვის“ 1834 წლის რუსული გამოცემის წინასიტ-
ყვაობაში ვკითხულობთ: „ერთი ფრიად განსწავლული კაცი,
— რუსი, მართლმადიდებელი, — ამბობდა: „თუ ჩემი აზრი
გაინტერესებთ, საღმრთო წერილის შემდეგ თამამად მივუ-
ჩენდი ადგილს კემპიელის წიგნს იესო ქრისტეს მიბაძვის შე-

სახებ". ამ შეუვალი მსჯელობის აკტორი სრულ უპირატესობას ანიჭებს უცხო სჯულის მწერალს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. მამების წინაშე, ხოლო საკუთარ აზრს მთელი ეკლესიის აზრზე მაღლა აყენებს, იმ ეკლესიისა, რომელმაც წმიდა საეკლესიო კრებებზე ღმრთივსულიერად შერაცხა წმიდა მამების ნაწერები, და გვამცნო მათი კითხვა არა მხოლოდ ეკლესიის შვილთა სულიერი სწავლებისთვის, არამედ საეკლესიო საკითხების გადაწყვეტის დროსაც ისინი დაგვიდგინა სახელმძღვანელოდ. მამების ნაწერებში უდიდესი სულიერი, ქრისტეანული და საეკლესიო საგანძურია დამარხული — ესაა წმიდა ეკლესიის დოგმატური, ზნეობრივი სწავლება. ჩანს, „მიბაძვამ" ზემოთხსენებული კაცი იმ მდგომარეობაში ჩააგდო, საიდანაც მან ასეთი განუსჯელი, ასეთი მცდარი ასეთი სავალალო დასკვნა გამოიტანა[1].

ეს გახლავთ სწორედ ხიბლი და საკუთარი თავის ცთუნება. იგი ყალბი წარმოდგენებისგანაა შექმნილი, ყალბი წარმოდგენები კი ამ წიგნიდან მიღებული არასწორი გრძნობებისგან ჩნდება. წიგნში ცხოვრობს და სუნთქავს ბოროტი სული, რომელიც აცთუნებს მკითხველს, ათრობს მომწამვლელი სიცრუით, რომელიც დახვეწილი ამპარტავნებით, ცუდმედიდობითა და გემოთმოყვარეობითაა შეზავებული. წიგნს მკითხველი პირდაპირ ღმერთთან კავშირისკენ მიჰყავს, ისე რომ მანამდე სინანულით განწმენდის აუცილებლობას არ აღიარებს, ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ თანაგრძნობას იმათ შორის, ვინც ვნებებითაა შეპყრობილი, ვისთვისაც უც-

---

1 „მიბაძვა" თავიდან თვით დასავლეთის ეკლესიამ დაგმო, ინკვიზიცია მას სდევნიდა. შემდეგ დევნა შეწყდა და პირიქით, მფარველობად შეიცვალა, რადგან მიხვდნენ, რომ წიგნი პროპაგანდის კარგი იარაღია იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც დაკარგეს ქრისტეანობის ჭეშმარიტი წვდომა და მისდამი ზერელე დამოკიდებულებაღა შერჩათ. პაპის პროპაგანდაში იგულისხმება იმ აზრის გავრცელება რომელიც პაპს სურს თავს მოახვიოს კაცობრიობას — ესაა დებულება, რომ პაპის ძალაუფლება არის უზენაესი, თვითმპყრობელური და განუსაზღვრელი. პროპაგანდა, ამ დებულების დანერგვას ისახავს მიზნად და ნაკლებ ყურადღებას კი უთმობს თვით სწავლების ხარისხს, მისთვის მისაღებია ყოველივე, რაც მის მიზანს ემსახურება, მისაღებია თვით ქრისტეს რწმენა, კერპთმსახურებასთან შეერთებული.

ნობია სინანულის გზა, ვინც არაა დაცული თავის ცთუნებისა და ხიბლისაგან, ვისი ცხოვრებაც მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. მამების სწავლებით არაა წარმართული. წიგნი ძლიერ ზემოქმედებას ახდენს სისხლსა და ნერვებზე, აღაგზნებს მათ, და ამიტომ განსაკუთრებით მოსწონთ გრძნობებს დამონებულ ადამიანებს: ამ წიგნით შეიძლება ისე დატკბე, რომ თან არც უხეშ, გრძნობისმიერ ტკბობაზე თქვა უარი. ამპარტავნება, დახვეწილი გემოთმოყვარეობა და ცუდმედიდობა წიგნში ღმრთის მადლის მოქმედებადაა წარმოდგენილი. ხორციელი ადამიანები გაფაქიზებულად აღიქვამენ საკუთარი მრუშობის სიმყრალეს და აღტაცებას გრძნობენ ტკბობისაგან, რომელიც ეძლევათ უშრომლად, თავგანწირვის გარეშე, სინანულის გარეშე, ვნებებითა და გულისთქმებით სავსე ხორცის ჯვარზე გაკვრის გარეშე (გალ. 5, 24), დაცემის მდგომარეობის მიღებით. თავიანთ სიბრძაეესა და ამპარტავნებას აყოლილნი პირუტყეული ვნებების სარეცლიდან ხალისით გადადიან კიდევ უფრო ცოდვიანი სიყვარულის სარეცელზე, რომელიც დაცემულ სულთა საკუთრებაა. ერთი ქალი, რომელიც ყველაზე მაღალ და განათლებულ საზოგადოებას ეკუთვნის და გარეგნულად მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია, წმინდანს უწოდებს გარდაცვლილ ლუთერანელ ქალს და ასე აფასებს მის ცხოვრებას: „მას ვნებიანად უყვარდა ღმერთი, მხოლოდ ღმერთზე ფიქრობდა, მხოლოდ ღმერთს ხედავდა, კითხულობდა მხოლოდ სახარებასა და „მიბაძვას", რომელიც მეორე სახარებაა". ამ სიტყვებით სწორედ ის მდგომარეობაა გადმოცემული, რომელიც „მიბაძვის" მკითხველებსა და თაყვანისმცემლებს ეუფლებათ. ფაქტიურად იგივეს ამბობს ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი ქ-ნი სევინიე ცნობილ ფრანგ პოეტზე, უფროს რასინიზე: „მას ისე უყვარდა ღმერთი, როგორც ადრე — თავისი ხარჭები" — ასეთი კადნიერი ფორმით ჩამოაყალიბა მწერალმა თავისი აზრი. ცნობილი კრიტიკოსი ლა არპი, რომელიც თავიდან ათეისტი იყო, მერე კი არასწორად გაგებულ და დამახინჯებულ ქრისტეანობამდე მივიდა, იწონებს ქ-ნ სევინიეს ამ გამონათქვამს და ამბობს: „გული, რომლითაც დამბადებელი და დაბადებული უყვართ, ერთია, თუმცა ამ ორი სიყ-

ვარულის შედეგები იმდენადვე განსხვავებულია, რამდენადაც მათი ობიექტები". რასინი გარყვნილებიდან „წარმოდგენის" ხიბლის მდგომარეობაში გადავიდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს პოეტის ბოლო ორ ტრაგედიაში: „ესთერსა" და „გოთოლიაში". რასინის „მაღალმა" ქრისტეანულმა აზრებმა და განცდებმა ადგილი ჰპოვეს მუზებისა და აპოლონის[1] ტაძარში — თეატრში, თან აღტაცება და ტაშისცემაც გამოიწვიეს. „გოთოლია" რასინის საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს და ზედიზედ ორმოცჯერ წარმოადგინეს სცენაზე. ამ ტრაგედიის სული „მიბაძვისას" ემთხვევა. ჩვენ გვწამს, რომ კაცის გულში არსებობს პირუტყვულ გულისთქმა, რომელიც დაცემულ სულთა გულისთქმასთანაა კავშირში. ჩვენ ისიც გვწამს, რომ გულში არსებობს აგრეთვე სულიერი გულისთქმა, რომელიც წმიდა ანგელოზთა გულისთქმას ეთანხმება. იმისათვის, რომ გვიყვარდეს ღმერთი და ღმერთში — მოყვასი, აუცილებელია განვიწმინდოთ პირუტყვული გულისთქმისაგან. მაგრამ სული წმიდა მხოლოდ იმ ადამიანს განწმენდს, ვინც თავისი ცხოვრებით გამოხატავს განწმენდის სურვილს. გული ზნეობრივი მნიშვნელობით სწორედ გულისთქმასა და სხვა სულიერ ძალებს ეწოდება, და არა სხეულის ნაწილს — გულს.

ხორციელ კაცთაგან განსხვავებით სულიერი ადამიანები მყისვე გრძნობენ „მიბაძვიდან" გამომავალ სიმყრალეს და ზურგს აქცევენ მას. უდაბნოში დაყუდებულ ბერს, ესაიას, შინაგანი ლოცვის დიდ მოღვაწეს, ერთხელ წაუკითხავს ნაწყვეტები „მიბაძვიდან". ბერი მყისვე ჩასწვდა მის მნიშვნელობას, გაიცინა და თქვა: „ოჰო! ეს წიგნი „წარმოდგენის" მდგომარეობიდანაა დაწერილი. აქ არაფერია ჭეშმარიტი, ყველაფერი გამოგონილია. როგორადაც წარმოუდგენია თომას სულიერი მდგომარეობები (თუმცა გამოცდილებით არაფერი იცის მათ შესახებ), ისევე აღუწერია ისინი". ხიბლი, ერთი მხრივ, მძიმე სანახაობაა, რადგან უბედურებაა, და მეორე მხრივ — სასაცილო, რადგან უაზრობაა. კირილო-ნო-

---

1. მუზები და აპოლონი ძველ წარმართთა ბერძენ[illegible] და რომაელთა ღმერთებია. მათ ხელოვნების მფარველობას [illegible] ...ენ.

ვოზერსკის მონასტრის არქიმანდრიტი თეოფანე, ცნობილი მკაცრი ცხოვრებით, თავისი უბრალოების გამო მხოლოდ ხორციელ მოღვაწეობას მისდევდა და სულიერზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა. იმათ, ვინც მისი ხელმძღვანელობით ცხოვრობდა, თავიდან ურჩევდა „მიბაძვის“ წაკითხვას, მაგრამ აღსასრულამდე რამდენიმე წლით ადრე აკრძალა და მისთვის დამახასიათებელი უბრალოებით ამბობდა: „ადრე „მიბაძვა“ სულისათვის სარგო წიგნი მეგონა, მაგრამ ღმერთმა გამომიცხადა, რომ იგი პირიქით, მავნე ყოფილა“. ასევე ფიქრობდა გამოცდილი ბერი, მღვდელმონაზონი ლეონიდე, რომელმაც ოპტინის უდაბნოს ზნეობრივ წარმართებას ჩაუყარა საფუძველი. ყველა ამ მოღვაწეს მე პირადად ვიცნობდი. ერთმა თავადმა, მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღზრდილმა, რომელიც კარგად იცნობდა ე. წ. მაღალ საზოგადოებას, თავის ქალიშვილს ხელში „მიბაძვა“ რომ დაუნახა, აუკრძალა ამ წიგნის კითხვა და უთხრა: „მე არ მინდა, რომ შენ ღმერთის წინაშე კეკლუცობას დაეჩვიო“. ძალიან ზუსტი შეფასებაა!

მოწაფე: არსებობს თუ არა ხიბლის სხვა სახეები?

ბერი: თავის ცთუნებისა და ეშმაკის საცთურის ყველა კერძო სახე ხიბლის ამ ორ სახეში შედის და ჩნდება ან გონების, აწ გულის არასწორი მიმართულებისაგან. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული „წარმოდგენის“ ხიბლი. თავის ცთუნებისა და ხიბლის მდგომარეობას სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებენ ამ მონაზვნების სულიერ განწყობასაც, რომლებიც უარყოფენ იესოს ლოცვასა და საერთოდ, შინაგან ლოცვას, და მხოლოდ გარეგნული მოღვაწეობით კმაყოფილდებიან: არ აცდენენ საეკლესიო წირვა-ლოცვას და ყოველთვის ასრულებენ სენაკის ლოცვის წესს, რომელიც მარტოდენ ფსალმუნებისა და ზეპირი ლოცვებისაგან შედგება. ასეთები ვერ გაექცევიან „წარმოდგენის“ ხიბლს, როგორც ამას ბერი ბასილი გვიხსნის გრიგოლ სინელის წიგნის წინასიტყვაობაში, თვითონ ბასილი კი ძირითადად ეყრდნობა ღირსი გრიგოლ სინელისა და ღირსი სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ნაწერებს. ნიშანი იმისა, რომ „წარმოდგენა“ შეეპარა, მოღვაწისათვის ეს უნდა იყოს: იწყებს ფიქრს,

რომ უკვე მღვიძარე ცხოვრებით ცხოვრობს, ამპარტავნება იპყრობს, და არაფრად აგდებს და აუგად მოიხსენიებს სხვა ადამიანებს, საკუთარ თავს კი სამწყსოს გაძღოლისა და პატრონობის ღირსად მიიჩნევს, იმ ბრმის მსგავსად, სხვა ბრმებს რომ მიუძღვის (ფილოკალია, ტ. I, „ყურადღებისა და ლოცვის მეორე სახისათვის“). ზეპირი და ხმამაღალი ლოცვა მაშინაა შედეგიანი, როდესაც იგი ყურადღებასთანაა შეერთებული, რაც ერთობ იშვიათად გვხვდება, რამეთუ ყურადღებას ძირითადად იესოს ლოცვის მეშვეობით ვსწავლობთ.

თარგმნა რუსიკო ბუაჩიძემ.

მთავარეპისკოპოსი ამბერკი*

რა არის მართლმადიდებლობა?

„ამისთჳს შობილ ვარ და ამისთჳს მოვევლინე სოფლად, რაჲთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი, რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს ხმისა ჩემისაჲ".

(იოანე, 18, 37).

ჩვენთვის ფრიად ყურადსაღები და საწურთელია, რომ დიდი მარხვის პირველი კვირიაკე წმიდა მართლმადიდებლობის დღესასწაულით მთავრდება; და ძალზე სამწუხაროა, რომ ჩვენი მოუცლელობის ხანაში ეს დიდებული დღესასწაული ხშირად ისეთი შესაფერი პატივით არ აღესრულება, როგორსაც სამართლიანად იმსახურებს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ჩვენს დროში ბევრს, მათ შორის მღვდელთმსახურთაც, და თვით უმაღლესი სამღვდელო ხარისხის მქონეთაც კი ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი, თუ რა ა რ ი ს მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა — რატომაა ის ჩვენთვის ასე უსაზღვროდ ძვირფასი, რატომ უნდა დავაფასოთ და დავიცვათ იგი, როგორც უსაჩინოესი საუნჯე ჩვენი, რომელსაც ვერ შეედრება ვერანაირი მიწიერი საუნჯე ამა სოფლისა.

ჩვენს დროში ფართოდ გავრცელებული, „მოარული" აზრია, რომ მართლმადიდებლობა მხოლოდდამხოლოდ ე რ თ-

---

* მწყემსთავარი სირაკუზისა და წმიდა-სამების ეპარქიისა, წინამძღვარი ამავე სახელობის მონასტრისა, რექტორი ჯორდანვილის სემინარიისა. დაიბადა 1906 წლის 19 ოქტომბერს, გარდაიცვალა 1976 წლის 31 მარტს.

ერთ რიგით მოძღვრებას წარმოადგენს ქრისტეანობის მრავალ სხვა სახეობათაგან, არსებობის სრული უფლების მქონეთა და მეტნაკლებად ტოლფასთაგან.

მაგრამ ამგვარად ფიქრი ან უმეცრებაზე დაფუძნებული უკიდურესი გულუბრყვილობაა, ანდა — სიმართლის ბოროტგანზრახული დამახინჯება.

თუკი ქრისტეანული ეკლესიის ისტორიას გადავშლით და თავს-ვიდებთ შრომას — მშვიდად და პირუთვნელად, ყოველგვარი წინასწარგანსჯის გარეშე საფუძვლიანად გავეცნოს მას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ჭეშმარიტი ქრისტეანობა მხოლოდდამხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოებაა — უფლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ — ის ჭეშმარიტება, რომლის საწამებლადაც ამქვეყნად მოვიდა ხორცშესხმული მხოლოდშობილი ძე ღვთისა (იოანე, 18, 37).

როგორც ვიცით, ადამიანთა ცხონების უპირველესმა მტერმა — ეშმაკმა ჯერ ბაგაშივე მოინდომა მაცხოვრის მოსპობა, რათა წინააღდგომოდა მას ადამიანთა ცხონების საქმის აღსრულებაში. აქ რომ ხელი მოეცარა, მაშინ მთელი თავისი სიბოროტე თავად მასზე აღაზვავა და იარაღად იუდეველ მღვდელმოძღვართა, მოხუცებულთა ერისათა, მწიგნობართა და ფარისეველთა ამპარტავნება, მზვაობრობა, ხელმწიფებისმოყვარება და პატივმოყვარება გამოიყენა.

როცა ეს მზაკვრული ვერაგობანიც მარცხით დასრულდა და თავად მისი ხელმწიფებაც ქრისტეს აღდგომით დაითრგუნა, მაშინ ბოროტმა ჯერ იუდეველთა და მერმე წარმართთა ხელით ქრისტეს მიმდევართა უსასტიკესი დევნა დაიწყო, რათა ქრისტეანობა პირისაგან მიწისა აღეგავა.

მაგრამ მტრის არც ეს მანქანებანი დაგვირგვინებულა წარმატებით, არამედ პირიქით; ქრისტეანობა გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა იმდროინდელ კულტურულ ბერძნულ-რომაულ სამყაროში.

უკეთური მტერი მაინც არ დაეცა თავსდატეხილი დამარცხებებისაგან. მაშინ მან ახალი ბრძოლა წამოიწყო მისთვის საძულველი ქრისტეანობის წინააღმდეგ — იმ ღვთაებრივი ჭეშმარიტების წინააღმდეგ, რომელიც ადამიანთა საცხოვნე-

ბლად მოიტანა ამსოფლად ხორცშესხმულმა ძემ ღვთისამ. — ბრძოლა, ბევრად უფრო რთული და სახიფათო.

როგორც წინასწარგანჭვრიტა წმიდა მოციქულმა პავლემ (საქმე, 20, 30), ამპარტავნებითა და პატივმოყვარეობით ეშმაკისაგან მოხიბლულმა ადამიანებმა მისივე დარწმუნებითა და შეგონებით ქრისტეანთა შორის სარწმუნოებრივი დავა წამოიწყეს, და მრავალგვარი უთანხმოებანი და განყოფანი წარმოშვეს ღვთივგანცხადებული ჭეშმარიტების ადგილას საკუთარ წმიდა-ადამიანურ მსჯელობათა და მოსაზრებათა დაყენებით.

ასე აღმოცენდა მ წ ვ ა ლ ე ბ ლ ო ბ ა ნ ი და გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა ნ ი, რომლებიც ძირის გამოთხრას უქადდნენ ქრისტეს მოძღვრების ცხოველმყოფელსა და მაცხოვნებელ ძალას ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ს ა ნ ა ც ვ ლ ო დ ს ი ც რ უ ი ს შ ე პ ა რ ე ბ ი თ.

ამ ცრუმოძღვრებათა და განხეთქილებათა სამხილებლად და დასაგმობად იწვევდნენ ღვთაებრივი ჭეშმარიტების ებგურნი, წმიდა მოციქულთა მემკვიდრენი, ეკლესიის წმიდა მამანი— მღვდელმთავარნი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ს ა და მ ს ო ფ ლ ი ო კ რ ე ბ ე ბს, რათა მსოფლიო „კრებითი" გონით ერთხელ და სამუდამოდ ნათელეყოთ და განესაზღვრათ ყველა ქრისტეანისათვის აუცილებელი და უცვალებელი სწავლება ეკლესიისა, და დაედგინათ, როგორ სწამდათ ყ ო ვ ე ლ გ ა ნ, რა სწამდათ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, რა სწამდა ყ ო ვ ე ლ ს. (წმ. ბიკენტი ლირინელი).*

და მაშინ ეწოდა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ქრისტეანულ სარწმუნოებას — მ ა რ თ ა ლ აღმსარებლობას, — მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა", სხვა „ქრისტეანულ" სახელდობრ მწვალებლობათა და სექტათაგან განსხვავებით.

და ესრეთ, აი, რა არის მართლმადიდებლობა!

მართლმადიდებლობა უზადო და შეურყვნელი ჭ ე შ მ ა რ ი ტ უ ბ ა ა ქრისტე-მაცხოვრის მიერ ადამიანთა საცხოვნებლად ამსოფლად მოტანილი: ესაა — სრულ სიწმინდესა და უვნებლობაში დამარხული ნ ა მ დ ვ ი ლ ი მოძღვრება ქრისტესი რწმენასა და კეთილმსახურებაზე (სარწმუნოებრივ ცხოვრება-

* Св. Викентій Лиринский.

ზე); გარდამოცემული საღვთო წერილში წმიდა მოციქულთაგან; დაწვრილებით ახსნილი და გამოთარგმანებული მოციქულთა სჯულიერ მემკვიდრეთა — მოციქულთა მოწაფეთა, წმიდა მამათა და ეკლესიის მასწავლებელთაგან აღმოსავლეთის კათოლიკე** — მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთო გადმოცემაში; ეკლესიისა, დღესაც ერთადერთი იგი რომ იწოდება სამართლიანად ეკლესიად მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ა დ" როგორც ამ სწავლების უცვალებად დამცველი.

საუბედუროდ, დღეს იმდენად განქარდა სარწმუნოებრივი ამაღლებული ჭეშმარიტებებისადმი ცხოველი ინტერესი, მათი სწორი გაგება და განსაკუთრებით კი მათი ცხოვრებისადმი მისადაგება, რომელიც „კეთილმსახურებად" იწოდება ჩვეულებრივ, რომ ბევრს მართლაც ჰგონია, რომ მართლმადიდებლობასა და სხვა აღმსარებლობებს შორის სხვაობა მ ხ ო ლ ო დ წ ე ს-ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ შ ი ა, და რადგანაც „წეს-ჩვეულებანი მეორეხარისხოვანი საქმეა, ღმერთი კი ერთია", მაშ სულერთი არაა, რომელ სარწმუნოებას ეკუთვნი, საკმარისია „გწამდეს ღმერთი და იყო კარგი ადამიანი".

ასეთია მოდური „მოარული" აზრი.

მაგრამ ასეა კი ეს?

ერთია ღმერთი, ერთია ქრისტე, სარწმუნოება კი რატომღაც ა რ ა ა ე რ თ ი: გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი სარწმუნოებანი ბ ე ვ რ ი ა.

თუკი ერთია ღმერთი, შესაძლებელია კი, რომ ყველა ეს სხვადასხვა აღმსარებლობანი ერთგვარად — ჭეშმარიტნი და მაშასადამე ერთგვარად — მაცხოვნებელნი იყვნენ?

მართლაც, თუკი ერთია ღმერთი და ერთია ქრისტე, მაშინ ნუთუ ეს არ ავალდებულებს ყოველ წრფელადმორწმუნე ქრისტეანს, რომ ყოველივე, რაც მათ სარწმუნოებასა და კეთილმსახურებას ეხება, ჰქონდეთ ე რ თ ი: ე რ თ გ ვ ა რ ი და არა სხვადასხვა?

სწორედ ეს ჭეშმარიტება დაადგინა ღვთიურმა სიტყვამ, რომელიც ამბობს: „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებაჲ,

---

** კათოლიკე — ბერძ. სიტყვა — „საყოველთაოს" ნიშნავს, არ უნდა აგვერიოს ლათინურ, „კათოლიკურ" სარწმუნოებაში.

ერთ ნათლის-ღებაჲ, ერთ არს ღმერთი და მამაჲ ყოველთა“

- ნუთუ უფალმა მრავალი სხვადასხვა ეკლესიანი განაჩინა?

ნუთუ ნათლად და გარკვევით არა ბრძანა: „აღვაშენო ეკლესია ჩემი — სწორედ ერთი და არა მრავალი სხვადასხვა ეკლესია! — „და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16, 18).

ნუთუ შეგვიძლია მაცხოვრის სიტყვები ცრუდ და განუხორციელებლად მივიჩნიოთ და მკრეხელურად განვაცხადოთ, რომ „ბჭეთა ჯოჯოხეთისათა“ მაინც „სძლეს ეკლესიას“ და მრავალ სხვადასხვა ეკლესიებად დააქუცმაცეს?

ნუ იყოფინ!

ნუ მივცემთ თავს ნებას ძე ღვთისას ასე საშინელი გმობისას!

მხოლოდ ერთი — ერთადერთი ეკლესია დააფუძნა კაცთა საცხოვნებლად მხოლოდშობილმა ხორცშესხმულმა ძემ ღვთისა: მხოლოდ ერთადერთია ეკლესია, თავად უფლით დადგინებული და არა ჩვეულებრივ ცოდვილ კაცთა მიერ შექმნილი, არსებობდა მარად, არსებობს ახლაც და უცვალებლად იარსებებს სოფლის აღსასრულამდე.

რა შეიძლება აქ გაუგებარი იყოს?

ამის მტკიცედ რწმუნებაა მხოლოდ საჭირო, და არა ბოროტად ბრძნობა.

სწორედ ამ „ბოროტადბრძნობამ“ წარმოშვა ამქვეყნად ესოდენ მრავალი ცრუ-ეკლესიები და „დომინაციები“, ჰეშმარიტების არმქონენი ასე სასტიკი თვითდაჯერებით რომ აცხადებენ პრეტენზიას მის მფლობელობაზე და მეტწილად ცხადი სიცრუის მქადაგებელნი ყოველგვარ ტყუილს რომ იგონებენ ადამიანის გარყვნილი გულის საამებლად.

ჰეშმარიტი ეკლესია ჰეშმარიტებაა მთლიანად და მას სიცრუისა და შეცთომილების ერთიბეწო აჩრდილიც არ უნდა ეკარებოდეს. შესაძლოა ცდებოდნენ მხოლოდ საკუთარ გონებაზე დაყრდნობილნი ეკლესიის ცალკეული წევრები, და თვით უმაღლესი მღვდელმთავარნიც კი, მაგრამ მთლიანად ეკლესია — არასოდეს.

ერთი, მხოლოდ ამხოლოდ ერთი — ჭეშ-მარიტი ეკლესია აუცოდველი.

რადგან მასშია დადგრომილი სოფლის აღსასრულამდე თავი მისი — თავადი უფალი იესო ქრისტე (მათე, 28, 20) და მადლს მიჰფენს მას და წინაუძღვის სულიწმიდა (იოანე, 14; 16—17).

ეს მტკიცება ფუჭისიტყვაობა არაა, რადგან ღვთიური სიტყვის ნათელ მოძღვრებაზეა დაფუძნებული: ეკლესია ღმრთისა ცხოველისაჲ სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (I ტიმ. 3, 15) — ასე ამბობს წმიდა პავლე, დიდი მოციქული წარმართთა.

ტყუილსა და შეცთომილებაში ჩავარდნილი კაცი ღვთის უხილავი მსჯავრით მაშინვე განიკვეთება ეკლესიის სხეულიდან, განეშორება მას და ამგვარად ცხონების გზასაც კარგავს, და ეკლესიასთან ხელახლა შეერთება მხოლოდ გულწრფელი მონანიებით ძალუძს.

ამიტომაც ვერ ეთვისება ეკლესიას ვერანაირი სიცრუე, ვერ ისადგურებს მასში ვერანაირი ტყუილი.

ამიტომაც ვერ იქნება მასში ვერც აზრთა სხვაობა, ვერც უთანხმოება, ვერც განყოფილება.

ამის შესახებ ნათლად ამბობს წმიდა პავლე მოციქული, როცა პირველ ქრისტეანებს არიგებს: „გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი — იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან. რამეთუ ეგევითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თჳსსა მუცელსა და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნნიან გულნი უმანკოთანი (ე. ი. ალერსობითა და მჭერმეტყველებით ხიბლავენ უმანკოთა გულებს) (რომ. 16, 17—18)“.

„მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქონდეს, ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყვენით (ე. ი. ერთი აზრი გქონდეთ, იგივე სიყვარული და ერთსულნი და ერთაზროვანნიიყავით); ნურარაჲ კდომით გინა ზუაობით, (ნურაფერს იქმთ პაექრობითა და მზვაობრობით), არამედ სიმდაბლით ურთი-

ერთას უმეტეს შეჰრაცხდით თვითთოეული თავისა თვისისასა“ (ფილმ. 2, 2—3).

როგორღა გამოიყურება ახლა ასრერიგად მოდური „ეკუმენისტური“ მოძრაობა ღვთიური სიტყვის ესოდენ ცხადი და კატეგორიული მოძღვრების შუქზე?

განა სრული სიცრუე არაა იგი, ჭეშმარიტი ეკლესიისათვის არაბუნებრივი და შეუწყნარებელი?

ღვთიური სიტყვა სრულ ერთაზრობასა და ერთსულოვნებას მოითხოვს ქრისტეანეთაგან, და ასევე ცხადად და კატეგორიულად გაუწყებს, თუ როგორ უნდა მოეკიდონ ჭეშმარიტი ქრისტეანები ცრუმოძღვარ-მწვალებელთ, ეკლესიის სწორი სწავლების განმრყვნელთ: „რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურება არა მოაქუნდეს (ე. ი. მოციქულთა მიერ ქადაგებული მოძღვრება), ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყჳთ მას“ (ე. ი. ნუ მიესალმებით — 2, იოანე, 10). „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (პირველი და მეორე შეგონების მერმე გასცილდი — ტიტ. 3. 10).

იქცევიან კი ამგვარად თანამედროვე „ქრისტეანები“ — თუ მათ ღვთიური სიტყვის მოთხოვნის „ერცხვინებათ“, როგორც „მოძველებულისა“, „დრომოჭმულისა“ და „არასაკმაოდ პროგრესულისა“?

აი, რატომ ეცრუევიან ჭეშმარიტებას ყველა ეს „ეკუმენისტები“ და თანამედროვე „გამაერთიანებლები“, შეუერთებელის შეერთებას რომ ცდილობენ: სიმართლისა უსჯულოებასთან, ნათლისა ბნელთან, ქრისტესი ბელიართან, მორწმუნისა ურწმუნოსთან (2, კორ. 6, 14—15).

ამის შემდეგ რაღა გვეთქმის იმ მღვდელმთავრებზე, თანამედროვე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მამამთავრებსა და სულიერ მოძღვრებზე, „ეკუმენურ“ მოძრაობაში რომ ჩაებნენ და „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს“ სრულუფლებიანი წევრები და აქტიური მოღვაწენი გახდნენ?

თუღა აქვთ მათ უფლება თავს მართლმადიდებლები უწოდონ?

უკვე აღარაფერს ვამბობთ მართლმადიდებელი ეკლესიის მთელ რიგ სჯულის კანონებზე, რომლებიც მწვალებლებთან

ლოცვას კრძალავენ. ამგვარი ქმედებისათვის ხომ ეკლესიიდან განკვეთაა დადგენილი, ხოლო ეპისკოპოსთა და სასულიერო პირთათვის სამღვდელო ხარისხის აყრა (იხ. მოც. კან. 45, 56, 65; ლაოდიკ. კან. 32, 33, 37). ახლა ბევრს მიაჩნია, რომ კანონები უკვე „ჩამორჩნენ“ შორს „წინწასულ“ ცხოვრებას, და ისინი ან უნდა გავაუქმოთ, ანდა ისე გადავაკეთოთ, რომ მოიხსნას ყველანაირი შევიწროვებები და თავისი სიამოვნებისამებრ ყველამ ისე იმოქმედოს, როგორც სწორად მიიჩნევს.

თუკი იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ეკლესიათა ბევრი მამამთავარი, უმაღლესი იერარქიის და სამღვდელოების წარმომადგენელნი, უბრალო ერისკაცებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღეს ანტიქრისტიანულ ორგანიზაციებშიც კი შედიან ანდა ხმამაღლა აღიარებენ ათეისტურ ღვთისმგმობ ხელისუფლებას „ღვთივ მონიჭებულ ხელმწიფებად“, რომელსაც „შიშით კი არა, სინდისით“ უნდა დაემორჩილო, და ქრისტეს მტერთა სრულ მსახურებაში მყოფნი მათ მორჩილ იარაღად გარდაიქცევიან, უკვე ძლიერი შიში მოგვიცავს!

რას მოვესწარით?!

შეიძლება კი ყველაფერ ამაზე თვალი დავხუჭოთ და უზრუნველად ვუნანავოთ თავსაც და სხვებსაც, და ვარწმუნოთ, რომ თითქოსდა არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და რომ თითქოსდა ასე „იყო ყოველთვის“?

რაღაც-რაღაც შეიძლება მართლაცდა იყო, მაგრამ არა ასე, არა ამგვარი უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, ყოვლისმომცველი მასშტაბებით, თითქმის რომ აღარ რჩება ჯანსაღი ადგილი და პატიოსანმა წრფელმა ქრისტეანმა აღარც კი იცის, საით და ვისთან წავიდეს, ვის დაენდოს.

ბნელმა სატანურმა ძალებმა ხანგრძლივი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგაც რომ ვერ შესძლეს ეკლესიის განადგურება, ჩვენს დროში მთელი ძალისხმევით გამძვინვარებული იერიში მიიტანეს ეკლესიაზე. შიგნიდან ცდილობენ მის აღებას და თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ეკლესიის დამყოლ მსახურთა თანადგომით. ამას რწმენისა და ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის დაკნინებაც უწყობს ხელს, რეკლამასა და ამაო დიდებას გამოდევნებულნი და მატერიალური

სარგებლის მაძიებელნი კი ხომ სატანურ გეგმათა პირდაპირი შემწენი ხდებიან.

და აი, საბოლოოდ ჩვენს თვალწინაა დარდისმომგვრელი სურათი: მ ა რ ი ლ ი გ ა ნ ქ ა რ დ ე ბ ა.

ჩვენს დროში ბევრს ავიწყდება, რომ ეკლესია არის ეკლესია: არა რაიმე მიწიერი, ადამიანური დაწესებულება, არამედ ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი სახლი, რომლის უმაღლესი დანიშნულება ს უ ლ ი ს ცხ ო ნ ე ბ ა ა. ავიწყდებათ, რომ ეკლესიაში „პოლიტიკასა“ და „დიპლომატიას“ არაფერი ესაქმება და დაუშვებელია მკრეხელობა სინდისის ხმის ჩახშობით მიწიერი მიზნების განსახორციელებლად, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, თუნდაც შენიღბულნი ცრუ, ყალბი ლოზუნგებით, „მსოფლიო მშვიდობის“, „საყოველთაო კეთილდღეობის“ და თვით „ქრისტეანული სიყვარულისა“ და „სიმდაბლისაც“ კი, დღეს ასე რომ შემოვიდა მოდაში.

ყველა ამ თანამედროე სიყალბეს, აყალმაყალს და რაღაც „უმაღლესი პოლიტიკითა“ და „ფარული დიპლომატიით“ გატაცებას გაძლიერებულად ესწრაფვიან დღეს არა მხოლოდ მორწმუნენი, არამედ უმაღლესი მღვდელთმსახურნიც; და ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა მომავალი მსოფლიო ბატონობის გზის განმზადება ანტიქრისტესათვის, რომელიც ერთიან (მსოფლიოს ყველა რელიგიებით გაერთიანებულ ც რ უ ე კ ლ ე ს ი ა ს ა და ერთიან მსოფლიო (ყველა ეროვნებისაგან შემდგარ) ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს უნდა ჩაუდგეს სათავეში.

ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ დღევანდელ დღეს ოდენ „მართლმადიდებლის“ სახელი აღარაა საკმარისი და სრულად გამომხატველი მისი შინაარსისა; და ესაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენს წამებულ ქვეყანაში ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე უკვე „ჭ ე შ მ ა რ ი ტ მართლმადიდებლებს“ უწოდებს თავს...

მხედველობაში თუ მივიღებთ, რა ემართებათ ახლა „მართლმადიდებელ ქრისტეანებს“ ე. წ. „თავისუფალ სამყაროში“, სადაც „ეკუმენიზმი“ ბატონობს, და სადაც თითქმის ყველანი „მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს“ შემადგენლობაში გაერთიანდნენ, მაშინ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ც უპრიანია ასეთი უ ფ რ ო ზ უ ს ტ ი დასახელება — „ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა“ — განსხვავებით იმ „მართლ-

ᲫᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲐᲓ“ წოდებულთაგან, რომლებმაც სინამდვილეში უკვე დაუტოვეს იგი და მხოლოდ გარეგნულ იერსახესღა ინარჩუნებენ.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ: ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ქრისტეს ეკლესიას ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲘᲡ, ქადაგება და მტკიცება არ ძალუძს, არ ძალუძს ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ და ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ დაამყაროს ქრისტეს მტრებთან!

და ამიტომაც ის ეპისკოპოსნი, სამღვდლო დასი და ერისკაცნი, რომელნიც ამ სიცრუეში იღებენ მონაწილეობას, — ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მტრებთან მეგობრობენ და თანამშრომლობენ — ოდენ სახელითღა არიან „მართლმადიდებელნი“.

და ისევ და ისევ უნებლიედ გვაგონდება ჩვენი წმიდა მღვდელთმთავრის თეოფანე დაყუდებულის ნამდვილად წინასწარმეტყველური სიტყვები ბოლო დროის შესახებ:

„თუმცა საყოველთაოდ გაისმება ქრისტეანობის სახელი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით ტაძრებს და ვნახავთ საეკლესიო მსახურებს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ᲛᲘᲠᲐᲟᲘᲐ, შინაგანად კი ᲒᲐᲜᲓᲒᲝᲛᲐ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ“.

რაღაც ამდაგვარს ხომ არ ვხედავთ უკვე?

მართლმადიდებლობა ხომ რაღაც განყენებული რამ არაა. მართლმადიდებლობა მხოლოდ სარწმუნოება კი არა, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲐ — ცხოვრება შეთანხმებული სარწმუნოებასთან, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲓ რომ იწოდება ჩვეულებრივ.

და აი; ძალზე დამახასიათებელი ფაქტია, რომ ყველა ეს მოდერნისტ-ეკუმენისტები, თავს ჯერ კიდევ რომ „მართლმადიდებლებად“ მიიჩნევენ, რაღაც თვითკმაყოფილი ქარაფშუტობით უარყოფენ წმიდა ეკლესიის სამოღვაწეო დაწესებებს, ასე სრულად და ნათლად რომ გამოხატავენ მართლმადიდებელი კეთილმსახურების სულს, როგორიცაა მაგალითად — ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ, ᲛᲐᲠᲮᲕᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ და ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲘ.

ჩვენთვის, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მართლმადიდებლობის ერთგულთათვის არ შეიძლება განსაკუთრებით ყურადსაღები და საწურთელი არ იყოს ის, რომ მართლმადიდებლობის დღესას-

წაული თითქოსდა აგვირგვინებს პირველ, მძიმე, კვირიაკეს დიდი მარხვისას.

მოდით, ვისწრაფოთ სამოღვაწეოდ, ამ ღვაწლში ხომ ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტეანული სარწმუნოების არსი გამოიხატება, ღვაწლი ქრისტეს მიბაძვისა ჯვრისტვირთვასა და თვითჯვარცმაში (იხ. I პეტრ., 2, 21; I კორ. 9, 25—27, გალ. — 5, 24) — მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ რ ი ვ სარწმუნოებაში. ვიღვაწოთ სჯულიერად, როგორც გვასწავლის ღვთის სიტყვა, ყოველივე ვიტვირთოთ ჭეშმარიტებისათვის, განუშორებლად მისგან და ნუ მივბაძავთ მათ, ვინც სულმოკლეობითა და ანგარებით დაუტევა იგი.

მყარად დავიხსომოთ: სადაც არაა ღვაწლი, სადაც არაა დადგრომა ჭეშმარიტებაზე, ი ქ ა რ ა ა მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა — ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა და ქრისტესი. ამინ.

Архиепископ Аверкій — «Современность в свете Слова Божія», том III. Holy Trinity Monastery, Jordanville. N. Y. 1975.

თარგმნა რუსულიდან კობახიძემ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ნეტარი ავგუსტინე 5
ეეშმარიტი სარწმუნოებისათვის; ნაწ. II. 5
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი 60
შეგონებანი ოლიმპიადას . 60
არიანელთა წინააღმდეგ და საკუთარ თავზე 61
წმ. ამფილოქე იკონიელი 82
ცხოვრებისათვის წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარ-
ეპისკოპოსის, კესარიელ-კაბადუკიელისა 82
წმ. ნილოს სინელი . . . 105
ცალკეული თავები, ანუ აზრები . 105
წმ. იოანე დამასკელი . . . 113
მწვალებლობათა შესახებ 113
მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა;
წიგნი III, წიგნი IV. 172
წმ. თეოდორე სტუდიელი 3[illegible]
წერილი იღუმენ თეოფილეს 358
წმ. სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი 392
სულიერი დამოძღვრის შესახებ 392
წმ. ნიკიტა სტიფატე 406
წმ სვიმონ ახალი ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის
ჰიმნებისათვის 406
წმ. გრიგოლ პალამა 418
წმიდა ზიარებისათვის 418
სიყვარულისათვის 428
წმ. ეპისკოპოსი ეგნატე . . . 436
ცხონებისა დ სრულყოფილების შესახებ 436
იესოს ლოცვისათვის . . 474
ხიბლისათვის . . . 501
მთავარეპისკოპოსი ამბერკი . . . 532
რა არის მართლმადიდებლობა? 532

მხატვარი დ. ხიდაშელი
მხატვრული რედაქტორი ლ. კინწურაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. არაოშვილი
კორექტორი ზ. არაოშვილი

გამომცემლობა „ხელოვნება"
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 179
1992

ჩაბარდა წარმოებას 21.11.91 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 8.04.92 წ. ფორმატი 84×108 1/32. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი ფურცელი 26,3 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 25,5. ტირაჟი 7.000, შეკვეთა № 1434.

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თბილისის
„ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა. გრ. რობაქიძის გამზირი № 7.